Kate L. Turabian

# A Manual for Writers of Research Papers, Theses, and Dissertations

CHICAGO STYLE FOR STUDENTS AND RESEARCHERS

REVISED BY

WAYNE C. BOOTH, GREGORY G. COLOMB, JOSEPH M. WILLIAMS

AND THE UNIVERSITY OF CHICAGO PRESS EDITORIAL STAFF

7th Edition

Chicago Guides to Writing, Editing and Publishing

On writing, Editing and Publishing
*Jacueqs Barzun*
Tricks of the Trade
*Howard S. Becker*
Writing for Social Scientists
*Howard S. Becker*
Permissions, A Survival Guide: Blunt Talk about Art as intellecual Property
*Susan M. Biestein*
The Craft of Translation
*John Biguenet and Rainer Schulte, editors*
The Craft of Research
*Wayne C. Booth, Gregory G. Colomb, and Joseph M. Williams*
Glossary of Typesetting Terms
*Richard Eckersley,*
*Richard Angstadt,*
*Charles M. Ellerston, Richard Hendel,*
*Naomi B. Pascal, and*
*Anita Walker Scott*
Writing Ethnographic Fieldnotes
*Robert M. Emerson,*
*Rachel I. Fretz, and Linda L. Shaw*
Legal Writing in Plain English
*Bryan A. Garner*
From Dissertation to Book
*William Germano*
Getting it Published
*William Germano*
A Poet's Guide to Poetry
*Mary Kinzie*
The Chicago Guide to Collaborative Ethnography
*Luke Eric Lassiter*
Doing Honest Work in College
*Charles Lipson*
How to Write a BA Thesis
*Charles Lipson*
Cite Right
*Charles Lipson*
The Chicago Guide to Writing about Multivariate Analysis
*Jane E. Miller*
The Chicago Guide to Writing about Numbers
*Jane E. Miller*
Mapping It Out
*Mark Monmonier*
The Chicago Guide to Communicating Science

*Scott L. Montgomery*
Indexing Books
*Nancy C. Mulvany*
Getting into Print
*Walter W. Powell*
Tales of the Field
*John Van Maanen*
Style
*Joseph M. Williams*
A Handbook of Biological Illustration
*Frances W. Zwiefel*

# სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის

"ჩიკაგოს სტილი" სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის

---

მეშვიდე გამოცემა

ქეით ლ. თურაბიანი

გადამუშავებულია უეინ ს. ბუთის, გრეგორი ჯ. კოლომის, ჯოზეფ მ. უილიამსის, და ქ. ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია კემონიკს ინთერნეშენალი ინკ. და ლოს ანჯელესის უნივერსიტეტი კალიფორნიაში, და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა ითარგმნა და დაიბეჭდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს განათლების მართვის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.

ამ წიგნის ზოგიერთი ნაწილი ადაპტირებულია „კვლევის ხელოვნების” მეორე რედაქციის მიხედვით, რომლის ავტორები არიან უეინ ს. ბუთი, გრეგორი ჯ. კოლომი, და ჯოზეფ მ. უილიამსი, ©1995, 2003 ჩიკაგოს უნივერსიტეტი; და „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს” მე-15 რედაქციის მიხედვით, ©1982, 1993, 2003 ჩიკაგოს უნივერსიტეტი.

ქ. ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ჩიკაგო 60637
შ.პ.ს. ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ლონდონი
©2007 ჩიკაგოს უნივერსიტეტი
ყველა უფლება დაცულია. გამოცემულია 2007 წელს
დაბეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში
18 17 16 15 14 13 12 11 10 09 4 5 6 7 8 9
ISBN-13: 978-0-226-82336-2 (cloth)
ISBN-13: 978-0-226-82337-9 (paper)
ISBN-10: 0-226-82336-9 (cloth)
ISBN-10: 0-226-82337-7 (paper)

კონგრესის ბიბლიოთეკის გამოცემების მონაცემების კატალოგიზაცია

ქეით ლ. თურაბიანი

„სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის”: „ჩიკაგოს სტილი” სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის/ქეით ლ. თურაბიანი; რედაქტირებულია უეინ ს. ბუთის, გრეგორი ჯ. კოლომის, ჯოზეფ მ. უილიამსის, და ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობის სარედაქციო კოილეგიის მიერ – მეშვიდე რედაქცია.

“ამ წიგნის ზოგიერთი ნაწილი ადაპტირებულია „კვლევის ხელოვნების” მეორე რედაქციის მიხედვით, რომლის ავტორები არიან უეინ ს. ბუთი, გრეგორი ჯ. კოლომი, და ჯოზეფ მ. უილიამსი, ©1995, 2003 ჩიკაგოს უნივერსიტეტი; და „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს”, მე-15 რედაქციის მიხედვით, ©1982, 1993, 2003 ჩიკაგოს უნივერსიტეტი.”

მოიცავს ბიბლიოგრაფიას და საძიებელს
ISBN-13: 978-0-226-82336-2 (cloth: alk. paper)
ISBN-13: 978-0-226-82337-9 (pbk.: alk. paper)
ISBN-10: 0-226-82336-9 (cloth: alk. paper)
ISBN-10: 0-226-82337-7 (pbk.: alk. paper)

1. დისერტაციები, სამეცნიერო ნაშრომები – გზამკვლევები, სახელმძღვანელოები, და ა.შ. 2. სამეცნიერო ნაშრომების წერა -- გზამკვლევები, სახელმძღვანელოები და ა.შ. I. ნაწილი

LB2369.T8 2007
808.02—dc22
2006025443

## წიგნის პირველ ქართულენოვან გამოცემაზე მუშაობდნენ:

**გამოცემის რედაქტორები:**
ნინო ჩუბინიძე nchubinidze@gem.ge
მედეა კაკაჩია mkakachia@usaid.gov

**მთარგმნელები:**
ანა ადამია aadami1@gmail.com

მარინე თავყელიშვილი mtavkelishvili@gmail.com

**თარგმანის რედატორი:**
ირინა კვახაძე irina.kvakhadze@gmail.com

**შინაარსის რედაქტორი:**
ნათია ანდღულაძე natia.andghuladze@iliauni.edu.ge

**გრაფიკული დიზაინი და ფორმატირება:**

გიორგი ალექსიძე georgealeksidze@hotmail.com

ნინო ესებუა nino.esebua.1@iliauni.edu.ge

# სარჩევი


შენიშვნა სტუდენტებისთვის ........ 15

წინასიტყვაობა........ 16

წინათქმა ........ 19

ნაწილი პირველი........ 21

კვლევა და წერა ........ 21

დაგეგმვიდან შექმნამდე........ 21

1 რა არის კვლევა და რას ფიქრობენ მკვლევარები მის შესახებ ........ 24

1.1 რას ფიქრობენ მკვლევრები კვლევის მიზნებზე?........ 25

1.2 სამი სახის შეკითხვა, რომლებსაც მკვლევრები სვამენ........ 26

2 საკითხიდან შეკითხვაზე და შეკითხვიდან სამუშაო ჰიპოთეზაზე გადასვლა........ 30

2.1 იპოვეთ შეკითხვა საკვლევ თემაში ........ 31

2.2 წარმოადგინეთ რამდენიმე სამუშაო პასუხი........ 37

2.3 ააგეთ „ანგარიშის დაფა", რომლის დახმარებითაც დაგეგმავთ და წარმართავთ მუშაობას ........ 40

2.4 წერაზე მომუშავე მხარდამჭერი გუნდის ჩამოყალიბება........ 42

3. სასარგებლო წყაროების მოძიება........ 44

3.1 განსაზღვრეთ, რა სახის წყაროების გამოყენებას მოელის თქვენგან მკითხველი... 45

3.2 გამოყენებული წყაროები ჩაწერეთ სრულად, ზუსტად და მიღებული წესების თანახმად........ 48

3.3 ეძებეთ წყაროები რეგულარულად ........ 50

3.5 სხვა რესურსების გამოყენება, გარდა სტანდარტული სახის წყაროებისა........ 58

4. წყაროების გააზრება........ 59

4.1 თავდაპირველად წაიკითხეთ მიუკერძოებლად თქვენი წყარო, რათა გაიგოთ, შემდეგ კი – კრიტიკულად, რათა საფუძვლიანად გაიაზროთ და შეაფასოთ იგი ......... 60
4.2 სისტემატურად გააკეთეთ ჩანაწერები ......... 64
4.3 გააკეთეთ გამოსადეგი ჩანაწერები ......... 67
4.4 წერეთ კითხვის პარალელურად ......... 70
4.5 შეაფასეთ თქვენი პროგრესი ......... 71
4.6 დაძლიეთ პროცესისთვის ჩვეული პანიკის შეტევები ......... 73
5. არგუმენტის დაგეგმვა ......... 74
5.1 რა არის და რა არ არის კვლევის არგუმენტი ......... 75
5.2 ააგეთ არგუმენტი მკითხველის შეკითხვებზე გაცემული პასუხების გარშემო ......... 76
5.3 აქციეთ სამუშაო ჰიპოთეზა დებულებად ......... 77
5.4 შეკრიბეთ არგუმენტის ელემენტები ......... 77
5.5 განასხვავეთ ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტები განმარტებით მსჯელობაზე დაფუძნებული არგუმენტებისგან ......... 88
5.6 არგუმენტის შეკვრა ......... 89
6. შავი ნაწერის პირველი ვარიანტის დაგეგმვა ......... 91
6.1 მოერიდეთ გამოუსადეგარი გეგმების გამოყენებას ......... 92
6.2 შექმენით გეგმა, რომელიც პასუხობს მკითხველის საჭიროებებს ......... 93
6.3 შეინახეთ დარჩენილი მასალა ......... 106
7 ნაშრომის შავი ნაწერის შექმნა ......... 107
7.1 შეარჩიეთ წერის მაქსიმალურად მოსახერხებელი გზა ......... 108
7.2 გამოიმუშავეთ შედეგიანი შავი ნაწერის შექმნის ჩვევა ......... 109
7.3 გამოიყენეთ საორიენტაციო ტერმინები, რომ შეინარჩუნოთ სწორი კურსი ......... 110
7.4 სათანადოდ მოიყვანეთ ციტატები, გააკეთეთ პერიფრაზი და რეზიუმე ......... 110
7.5 ტექსტში ჩართეთ ციტატები ......... 112

7.6. გონივრულად გამოიყენეთ სქოლიოები, გვერდობლივი შენიშნვები და დამატებითი განმარტებები....114
7.7 წარდგენამდე განმარტეთ კომპლექსური ან დეტალური ფაქტობრივი მტკიცებულება....115
7.8 გაითვალისწინეთ შესაძლო მოულოდნელობები....116
7.9 თავი დაიცავით უნებლიე პლაგიატისგან....117
7.10 მოერიდეთ არასათანადო დახმარების მიღებას....123
7.11 გადალახეთ საქმის ქრონიკულად გადადების ეტაპი და შემოქმედებითი ჩიხი....124
8 ფაქტების წარმოდგენა ცხრილების და სურათების სახით....126
8.1 სიტყვებით და გრაფიკულად აზრის გადმოცემას შორის არჩევანის გაკეთება....127
8.2 ყველაზე ეფექტური გრაფიკული გამოსახულების შერჩევა....128
8.3 ცხრილების და სურათების მოდელების შექმნა....129
8.4 წარადგინეთ მონაცემები ეთიკურად....139
9 შავი ნაწერის გადამუშავება....145
9.1 შეამოწმეთ შესავალი, დასკვნა და დებულება....146
9.2 დარწმუნდით, რომ ნაშრომის ძირითადი ნაწილი თანმიმდევრულია....146
9.3 შეამოწმეთ აბზაცები....148
9.4 რამდენიმე დღის შემდეგ გადახედეთ სამუშაო ვარიანტს, შემდეგ გააკეთეთ პერიფრაზი....148
10. შესავლის და დასკვნის საბოლოო ვარიანტის შემუშავება....150
10.1 შეიმუშავეთ შესავლის საბოლოო ვარიანტი....151
10.2 შექმენით დასკვნის საბოლოო სამუშაო ვარიანტი....156
10.3 სათური დაწერეთ ბოლოს....156
11 წინადადებების დამუშავება....158
11.1 გააკეთეთ აქცენტი წინადადების პირველ შვიდ ან რვა სიტყვაზე....159
11.2 გააანალიზეთ წაკითხული მასალა....173

11.3 შეარჩიეთ სწორი სიტყვა.......174

11.4 გააშალაშინეთ.......175

11.5 დაასრულეთ და ამობეჭდეთ.......176

12 შეფასებული თხზულების შესახებ გამოთქმული კომენტარების გათვალისწინება...178

12.1 მოძებნეთ ზოგადი პრინციპები კონკრეტულ კომენტარებში.......178

12.2 გაესაუბრეთ ხელმძღვანელს.......179

13 კვლევის წარდგენა სხვადასხვა ფორმით.......181

13.1 დაგეგმეთ ზეპირი მოხსენება.......182

13.2 მოამზადეთ თქვენი პრეზენტაცია.......183

13.3 დაგეგმეთ სტენდზე წარმოდგენილი მოხსენება.......187

13.4 დაგეგმეთ საკონფერენციო შეთავაზება.......188

14 კვლევის არსის შესახებ.......190

ნაწილი მეორე.......192

წყაროების მითითება.......192

15. ზოგადი შესავალი წყაროს დამოწმების წესების შესახებ.......192

15.1 რატომ მივუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას.......192

15.2 წყაროს მითითებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.......193

15.3 წყაროს მითითების ორი სტილი.......195

15.4 ელექტრონული წყაროების დამოწმება.......197

15.5 წყაროს მითითების მომზადება.......199

15.6 მითითების პროგრამების შესახებ.......200

16 სქოლიოში მითითების სტილი:.......201

16.1.1 ელემენტების თანმიმდევრობა.......201

16.1.3 მთავრული ასოების გამოყენება.......201

16.1.5 რიცხვები.......201

16.1.7 აბზაცის შეწევა.......201

16.2.1 ბიბლიოგრაფიების სახეები.......201

16.2.3 **წყაროები, რომელთა გამოტოვება შეიძლება**.......201

16.3.3 შენიშვნების დანომვრა.......201

16.3.5 კომპლექსური შენიშვნები.......201

16.4.1 შემოკლებული შენიშვნები.......201

16.4.3 ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები.......201

შ: 8. ქრონონი, *ბუნების მეგაპოლისი,* 383.......202

16.1 სტანდარტული სისტემები.......203

ნახატი 16.1 შენიშვნების და ბიბლიოგრაფიის მუხლების ნიმუშები.......203

**16.1.1 ელემენტების თანმიმდევრობა**.......208

**16.1.2 პუნქტუაცია**.......209

**16.1.4 სათაურების გაფორმება**.......209

**16.1.6 აბრევიატურები**.......210

16.2 ბიბლიოგრაფიები.......210

**16.2.1 ბიბლიოგრაფიის სახეები**.......210

**16.2.2 მუხლების დალაგება**.......212

16.3 შენიშვნები.......216

**16.3.2 შენიშვნების მითითება ტექსტში**.......217

**16.3.4 შენიშვნების დაფორმატება**.......218

16.4 მოკლე ფორმები შენიშვნებისთვის.......221

შენიშვნები მხოლოდ სათაურის მითითებით.......225

**6.4.3 ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები**.......226

17 სქოლიოში მითითების სტილი: სპეციფიკური სახის წყაროების მითითება.......230

17.1 წიგნები.......233

17.2 საჟურნალო სტატიები ............ 262
17.3 პოპულარული ჟურნალების სტატიები ............ 269
17.4 საგაზეთო სტატიები ............ 271
17.5 დამატებითი ტიპის გამოქვეყნებული წყაროები ............ 274
17.6 გამოუქვეყნებელი წყაროები ............ 282
17.7 არაოფიციალურად გამოქვეყნებული ელექტრონული წყაროები ............ 288
17.8 ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების წყაროები ............ 291
17.9 საჯარო დოკუმენტები ............ 300
17.10 ერთი წყარო, მითითებული მეორეში ............ 316
18 ტექსტობრივი მითითების სტილი: ............ 318
18.1 სტანდარტული მოდელები ............ 319
18.2 ბიბლიოგრაფია ............ 323
18.3 ტექსტობრივი მითითებები ............ 325
19. ტექსტობრივი მითიტების სტილი: სპეციფიკური ტიპის წყაროების მითითება ............ 328
19.1 წიგნები ............ 331
19.2 სამეცნიერო ჟურნალების სტატიები ............ 353
19.3 პოპულარული ჟურნალების სტატიები ............ 359
19.4 საგაზეთო სტატიები ............ 360
19.5 არსებობს რამდენიმე დამატებითი ტიპის გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ მოთხოვნებს მათი მითითებისას. ............ 363
19.6 გამოუქვეყნებელი წყაროები ............ 370
19.7 არაოფიციალურად გამოქვეყნებული ელექტრონული წყაროები ............ 375
19.8 ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების წყაროები ............ 377
19.9 საჯარო დოკუმენტები ............ 386
19.10 ერთ წყაროში მითითებული მეორე წყარო ............ 401

ნაწილი III ........ 403
სტილი ........ 403
20 ორთოგრაფია (მართლწერა) ........ 403
20.1 მრავლობითი რიცხვი ........ 405
20.2 კუთვნილებითი ბრუნვა ........ 407
20.3 შედგენილი და პრეფიქსებით წარმოებული სიტყვები ........ 410
20.4 სტრიქონის გადატანა ........ 417
21 პუნქტუაცია ........ 420
21.1 წერტილი ........ 421
21.2 მძიმე ........ 422
21.3 წერტილ-მძიმე ........ 428
21.4 ორი წერტილი ........ 430
21.5 კითხვის ნიშანი ........ 431
21.6 ძახილის ნიშანი ........ 432
21.7 დეფისი და ტირე ........ 432
21.8 ფრჩხილები და კვადრატული ფრჩხილები ........ 434
21.9 დახრილიხაზები ........ 435
21.10 ბრჭყალები ........ 435
21.11 მრავალჯერადი სასვენი ნიშნები ........ 436
22. სახელები, სპეციალური ტერმინები და ნაშრომების სათაურები ........ 439
22.1 სახელები ........ 440
22.2 სპეციალური ტერმინები ........ 445
22.3 ნაშრომების სათაურები ........ 447
23. რიცხვები ........ 454
23.1 სიტყვები თუ რიცხვები? ........ 455

23.2 რიცხვების მრავლობითი ფორმა და პუნქტუაცია....463

23.3 თარიღთა სისტემები....466

23.4 ტექსტის გარეთ გამოყენებული რიცხვები....468

24. აბრევიატურები....472

24.1 ზოგადი პრინციპები....473

24.2 სახელები და სახელწოდებები, ტიტულები....476

24.3 გეოგრაფიული ტერმინები....481

24.4 დრო და თარიღები....484

24.5 საზომი ერთეულები....485

24.6 ბიბლია და მისი წიგნები....486

24.7 აბრევიატურები მითითებებში და სხვა სამეცნიერო კონტექსტში....490

25. ციტირებები....494

25.1 ზუსტი ციტირება და პლაგიატის თავიდან აცილება....495

25.2 ციტატების ჩართვა ტექსტში....495

25.3 ციტატების შეცვლა....501

26. ცხრილები და სურათები....511

26.1 ზოგადი წესები....513

26.2 ცხრილები....516

26.3 სურათები....527

დანართი ნაშრომის ფორმატი და მისი ჩაბარება....532

ა.1 ფორმატთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები....533

ა.2 ფორმატთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები....538

ა.3. ჩაბარების მოთხოვნები....566

*ცხრილების და დიაგრამების დანართი*....573

ბიბლიოგრაფია....591

შენიშვნა სტუდენტებისთვის

ეს არის წიგნის, „სახელმძღვანელო სამეცნიერო სტატიების, დასდიპლომო ნამუშევრების და დისერტაციების ავტორებისთვის" მეშვიდე რედაქცია. სტუდენტების უკვე რამდენიმე თაობა იყენებს ამ სახელმძღვანელოს კვლევის, წერისა და თავიანთი ნაშრომების წარსადგენად. ყველაზე ერთგული მომხმარებელი წიგნს მოიხსენიებს „თურაბიანის" სახელით. თურაბიანი არის თავდაპირველი ავტორი წიგნისა „სახელმძღვანელო ავტორთათვის". ეს წიგნი ავტორიტეტული წყაროა „ჩიკაგოს სტილით" დაინტერესებული სტუდენტებისთვის.

თუ რეფერატზე მუშაობთ, შესაძლოა, გამოყენებული ლიტერატურის დამოწმება, ასევე, მთავრული ასოების და აბრევიატურების გამოყენება „ჩიკაგოს სტილით" მოგთხოვონ. „ჩიკაგოს სტილი" ფართოდ გამოიყენება სტუდენტების მიერ ყველა დისციპლინაში. წყაროს დამოწმებისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ ჩიკაგოს მიერ რეკომენდებული ორი სტილიდან ერთ-ერთი. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებაში, სავარაუდოდ, გამოიყენებთ სქოლიოში მითით ბის სტილს, ხოლო საბუნებისმეტყველო და ფიზიკურ მეცნიერებებში (და ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებაში) შეიძლება, გამოიყენოთ ე.წ. ტექსტორბრივი მითითების – ავტორი, თარიღი - სტილი. წიგნში „სახელმძღვანელო ავტორებისთვის" განმარტებულია ორივე სტილი და ნაჩვენებია, როგორ გამოიყენება თითოეული მათგანი.

„ჩიკაგოს სტილის" შესახებ ამომწურავი ინფორმაციის გარდა, მოცემულ, მეშვიდე რედაქციაში დამატებულია ახალი ნაწილი, რომლის ავტორებიც არიან: უეინ ს. ბუთი, გრეგორი ჯ. კოლომი და ჯოზეფ მ. უილიამსი. აღნიშნულ ნაწილში განხილულია კვლევის და წერის პროცესის ყოველი ნაბიჯი. ასევე, მოცემულია პრაქტიკული რჩევები, რომლებიც დაგეხმარებათ სწორი შეკითხვების ჩამოყალიბებაში, კრიტიკულად კითხვაში, არგუმენტების შემუშავებასა და ნამუშევრის შავ ვერსიაში ცვლილებების შეტანაში.

## წინასიტყვაობა

თანამედროვე უნივერსიტეტებში სტუდენტები, რომლებიც წერენ საკურსო, სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომებს, მუშაობენ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც წარმოუდგენელი იყო 1937 წელს, როდესაც ქეით ლ. თურაბიანმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტის დისერტაციების მდივანმა, შექმნა სახელმძღვანელო პრინციპების კრებული სტუდენტი ავტორებისთვის. ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობამ და ტექსტების რედაქტირების პროგრამებმა შეცვალა სტუდენტების მიერ კვლევის წარმოებისა და შედეგების წარდგენის მეთოდები. მაგრამ ამ ტექნოლოგიებს არ შეუცვლია ავტორის ძირითადი ამოცანა: კარგად დაგეგმილი კვლევის ჩატარება, შედეგების მკაფიოდ და აკურატულად აღწერა და, ამავდროულად, ნაშრომებში წყაროების მითითების, სტილისა და ფორმატის აკადემიური სტანდარტების დაცვა.

თურაბიანის მიერ 1937 წელს გამოცემულ კრებულში მოცემული იყო სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც „სტილის სახელმძღვანელოს" მეათე რედაქციაშია წარმოდგენილი. ესაა უკვე კლასიკური რესურსი ავტორებისა და რედაქტორებისთვის, რომელიც გამოცემულია ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. გამომცემლობამ თურაბიანის კრებულის გავრცელება 1947 წელს დაიწყო და ნაშრომი პირველად წიგნის სახით 1955 წელს გამოსცა სათაურით „სახელმძღვანელო საკურსო, სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების ავტორებისთვის". თურაბიანმა ნაშრომს კიდევ ორჯერ გაუკეთა რედაქტირება და განაახლა ის, რათა დაეკმაყოფილებინა სტუდენტების მოთხოვნილებები და აესახა უახლესი რეკომენდაციები „სტილის სახელმძღვანელოდან". ამასობაში მთელ ქვეყანაში თურაბიანის წიგნი სტუდენტებისთვის სტანდარტული სახელმძღვანელო გახდა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ყველა დონეზე. თურაბიანი 1987 წელს, წიგნის მეხუთე რედაქციის გამოცემიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ოთხმოცდათოთხმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ რედაქციის ისევე, როგორც მეექვსე (1996) რედაქციის გადამუშავებისთვის გამომცემლობამ სარედაქციო კოლეგია მოიწვია.

მოცემულ, მეშვიდე რედაქციაში უეინ ს. ბუთმა, გრეგორი ჯ. კოლომმა და ჯოზეფ მ. უილიამსმა განავრცეს წიგნის მასშტაბები. ახალი I ნაწილი, „კვლევა და წერა: დაგეგმვიდან შექმნამდე", ადაპტირებულია მათი „კვლევის ხელოვნების" მიხედვით (ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, ჩიკაგო, 2003წ.). ამ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის პროცესის წარმართვისა და კვლევის ანგარიშების მომზადების დეტალური ინსტრუქციები; ეს თემა აქამდე არ ყოფილა ჩართული ამ სახელმძღვანელოში. თუმცა, იგი გამოყენებული ლიტერატურის მითითების, წერის სტილისა და ნაშრომების მომზადების ტექნიკური საკითხების განუყოფელი ნაწილია. განხილულ თემებს შორისაა კვლევის ხასიათი, წყაროების მოძიება და მათზე მუშაობა, ჩანაწერების გაკეთება, არგუმენტის ჩამოყალიბება, სამუშაო ვარიანტის მომზადება-რედაქტირება და ფაქტების წარმოდგენა ცხრილებისა და ციფრების სახით. აგრეთვე, აქვეა განხილული კვლევის ალტერნატიულ ფორუმებზე წარმოდგენის გზები. ამ ნაწილში ავტორები უშუალო, კოლეგიური ტონით წერენ, რათა მკითხველი დააინტერესონ ამ კომპლექსური საკითხით. მისი წაკითხვა სასარგებლო იქნება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც კვლევით პროექტებს ყველა დონეზე ახორციელებენ, სამეცნიერო ნაშრომებზე მომუშავე მკვლევარებს კი შეუძლიათ გამოტოვონ I-IV თავები.

წიგნის დანარჩენ ნაწილში განხილულია იგივე საკითხები, რომლებიც წინა რედაქციებში იყო წარმოდგენილი. თუმცა, წიგნი მნიშვნელოვნად არის შეცვლილი და ასახავს „ჩიკაგოს სტილის" სახელმძღვანელოს მე-15 რედაქციაში (2003) წარმოდგენილ რეკომენდაციებს. ეს რეკომენდაციები ითვალისწინებს ზეგავლენას, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიები ახდენს სტუდენტის მიერ ნაშრომზე მუშაობის ყველა ასპექტზე. ასევე, წარმოდგენილია განახლებული მაგალითები და სახელმძღვანელო უფრო მარტივად წასაკითხი და მეტად პრაქტიკულია.

კვლევის პროცესსა და სათანადო მითითების ფორმებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. სწორედ ამიტომ, „გამოყენებული ლიტერატურის მითითება" სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის სახით არის წარმოდგენილი. ამ ნაწილში, მე-15 თავში მიმოხილულია სამეცნიერო წყაროების დამოწმება, ასევე, მისი კავშირი არა მხოლოდ სანიმუშო კვლევით არამედ კვლევის ეთიკასთანაც. სტუდენტები, რომლებიც გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისთვის სქოლიოში მითითების სტილს (რომელიც დამახასიათებელია ჰუმანიტარული და ზოგიერთი სოციალური მეცნიერებისთვის) იყენებენ, შემდგომ უნდა გაეცნონ მე-16 თავს, სადაც განხილულია გამოყენებული ლიტერატურის დამოწმების ძირითადი ფორმები. ხოლო მე-17 თავში შეგიძლიათ, იხილოთ მთელი რიგი წყაროების მაგალითები. სტუდენტები, რომლებიც იყენებენ ტექსტობრივი მითითების სტილს (დამახასიათებელია სოციალური მეცნიერებების უმეტესობისა და საბუნებისმეტყველო-ფიზიკური მეცნიერებებისთვის), იგივე სახის ინფორმაციას მე-18 და მე-19 თავებში იხილავენ. აღნიშნულ თავებში მოცემულია განახლებული მაგალითები ინტერნეტ და სხვა ელექტრონული წყაროების მითითებაზე.

მესამე ნაწილში, რომლის სათაურია „სტილი", განხილულია საკითხები, რომლებიც სახელმძღვანელოს წინა გამოცემების პირველ ნახევარში იყო წარმოდგენილი. მართლწერა და პუნქტუაცია გაყოფილია ცალ-ცალკე თავებად, ისე, როგორც თავები, რომლებიც შეეხება ციფრებსა და აბრევიატურებს. გავრცობილია თავი, რომელშიც განხილულია სახელები, სპეციალური ტერმინები და ნაშრომების სათაურები. ამ ნაწილის ბოლო ორ თავში განხილულია ციტატების და გრაფიკული გამოსახულებების (ცხრილები და დიაგრამები) გამოყენებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, რომლებიც პირველ ნაწილში რიტორიკული თვალსაზრისით არის მოხსენიებული. ნაშრომების ავტორ სტუდენტებს შეუძლიათ, მთლიანად წაიკითხონ ეს თავები ან გაეცნონ მათ კონკრეტულ საკითხებზე სახელმძღვანელო რეკომენდაციების მისაღებად.

მეორე და მესამე ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციები რამდენიმე შემთხვევაში განსხვავდება იმ რეკომენდაციებისგან, რომლებიც მოცემულია „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოში". თუმცა, ეს განსხვავებები არსებითი არ არის. გარკვეულ შემთხვევებში ამ სახელმძღვანელოში რეკომენდებულია მხოლოდ ერთი სარედაქციო სტილი, ხოლო „ჩიკაგოს სტილის" სახელმძღვანელოში – ორი ან მეტი ფორმაა მოცემული. ზოგჯერ განსხვავება სიმარტივეშია (როგორც სათაურის ასომთავრულით დაწერის წესებში, რომლებიც წარმოდგენილია 22-ე თავში); სხვა შემთხვევებში მასში აღწერილია, რა არის მართებული სტუდენტების ნაშრომებისთვის, განსხვავებით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისგან (აგრეთვე, ინტერნეტ წყაროებიდან ციტირებისას *ყველა* გამოყენებულ წყაროზე წვდომის თარიღების მითითების მოთხოვნა). გამოყენებული ლიტერატურის მითით ბის შესახებ თავებში მოცემულია ახალი სახის წყაროები, როგორიცაა ინტერნეტ ბლოგები, რომლებიც 2003 წლიდან გამოჩნდა და, ამდენად, არ არის განხილული „ჩიკაგოს სტილის" სახელმძღვანელოს ამჟამინდელ რედაქციაში. ამ რეკომენდაციებით ლოგიკურად არის გავრცობილი „ჩიკაგოს სტილის" სახელმძღვანელოში განსაზღვრული პრინციპები.

დანართში თავმოყრილია მასალა ნაბეჭდ ფორმატსა და ნაშრომის წარდგენის წესებზე, რაც, ფაქტობრივად, ქეით თურაბიანის თავდაპირველ ვერსიაში განხილულ საკითხებს წარმოადგენდა. იმ პერიოდიდან მოყოლებული, ეს მასალა გახდა ძირითადი სახელმძღვანელო წყარო მთელი ქვეყნის დისერტაციების სამსახურებისთვის. ამ მასალის რედაქტირებისას გამომცემლობამ მოიპოვა და გაითვალისწინა სხვადასხვა საჯარო და კერძო უნივერსიტეტის დისერტაციის სამსახურების წარმომადგენელთა, მათ შორის, იმ უნივერსიტეტების, რომლებიც ჩამოთვლილია წინათქმის ნაწილში. სახელმძღვანელო პრინციპებში კვლავაც ხაზგასმულია თანმიმდევრულობის მნიშვნელობა. თუმცა, ამავდროულად, გათვალისწინებულია თანამედროვე პროგრამების შესაძლებლობები, ელექტრონულად დაამუშავონ ტექსტი და დაშვებულია მეტი მოქნილობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა გვერდების დანომვრა და სათაურების გაფორმება. წარმოდგენილი ნიმუშები ახალია და ამოღებულია ჩიკაგოს უნივერსიტეტში 2000 წლიდან დღემდე წარდგენილი სანიმუშო დისერტაციებიდან. ეს დანართი გათვლილია ძირითადად იმ სტუდენტებზე, რომლებიც წერენ სადოქტორო დისერტაციებს და სამაგისტრო და კოლეჯის სადიპლომო ნაშრომებს. თუმცა, ნაწილები, სადაც განხილულია ფორმატის მოთხოვნები და ელექტრონული ფაილების მომზადების წესები, აგრეთვე, დააინტერესებს მათ, ვინც საკურსო ნაშრომებზე მუშაობს.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოგიდგენთ იმ საკითხების გადაწყვეტის გზებს, რომელთა წინაშეც დგებიან სტუდენტი ავტორები. თუმცა, შესაძლებელია, აქ მოცემულ პრინციპებს დაემატოს და/ან ჩაენაცვლოს კონკრეტულ დისციპლინებში არსებული წესები, ასევე, ცალკეულმა დაწესებულებებმა ან ფაკულტეტებმა თავიანთი სურვილისამებრ გამოიყენონ ეს პრინციპები. ყველა თავში, სადაც საუბარია სტილისა და ფორმატის შესახებ, სტუდენტებს შევახსენებთ, გადახედონ საკუთარი უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ან მასწავლებლის მოთხოვნებს, რომლებიც აქ წარმოდგენილ სახელმძღვანელო პრინციპებზე უფრო პრიორიტეტულია. საგნების მიხედვით დალაგებულ გავრცობილ ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილია ლიტერატურა კვლევისა და სტილის საკითხების შესახებ ცალკეული დისციპლინებისთვის.

## წინათქმა

იმ წიგნის რედაქტირება, რომლითაც მილიონობით სტუდენტი სამოცდაათი წლის განმავლობაში სარგებლობდა, მარტივი ამოცანა არ არის. ქეით თურაბიანის ნაშრომის ოცდამეერთე საუკუნის რეალობაზე მორგების გამოწვევას თავდაპირველად შეეჭიდა ლინდა ჯ. ჰალვორსონი, რომელიც მაშინ ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში საცნობარო ლიტერატურის მთავარი რედაქტორი იყო. ის აღიარებდა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა სტუდენტი-ავტორის მოთხოვნილებები 1996 წელს მეექვსე რედაქციის გამოცემის შემდეგ და ამ ცვლილების ასახვის მიზნით გადაწყვიტა წიგნის გადამუშავება.

ამ მიზნის მისაღწევი გეგმის ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა რედაქტორების გუნდის შეკრება, რომელსაც ესმოდა, თუ როგორ შეიძლებოდა, მოერგოთ თურაბიანის მეთოდიკა კვლევებსა და თხზულებებზე მომუშავე თანამედროვე, ელექტრონული ეპოქის სტუდენტებისთვის. უეინ ს. ბუთმა, გრეგორი ჯ. კოლომმა, და ჯოზეფ მ. უილიამსმა, მასწავლებლებმა და კვლევისა და წერის საკითხებზე არაერთი წიგნის, მათ შორის „კვლევის ხელოვნების" ავტორებმა დიდი წვლილი შეიტანეს წიგნის გადამუშავებაში. გამომცემლობის სარედაქციო კოლეგია თავდაპირველად წარმოდგენილი იყო მარგარეტ პერკინსით, რომელიც ამჟამად "ნიუ ინგლანდის მედიცინის ჟურნალის" ხელნაწერების რედაქტირების დირექტორია, ხოლო შემდგომ მერი ი. ლაურით, რომელიც პროექტში გამოყენებული ლიტერატურის მიმართულების უფროსი რედაქტორია. ორივე მათგანმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს" მეთხუთმეტე რედაქციის მომზადებაში, რომლის მიხედვითაც ადაპტირებულია წინამდებარე წიგნის მეორე და მესამე ნაწილები.

რედაქტირების მთელი პროცესის განმავლობაში ხელნაწერთან დაკავშირებით (ნაწილობრივ და სრულად) ღირებული რჩევები მოგვაწოდეს რედაქტორებმა, რომლებიც კარგად იცნობენ სტუდენტების მიერ კვლევასა და ნაშრომებზე მუშაობის სხვადასხვა ასპექტებს. ეს რედაქტორები არიან სიუზან ელენი (სოციოლოგიის ამერიკული ჟურნალი), კრისტოფერ ს. ალენი (საერთაშორისო საკითხები, ჯორჯიის უნივერსიტეტი), ანა ნიბლი ბეიკერი (ჰელტინსაითი), ჰაუარდ ბეკერი (სან ფრანცისკო), პოლ ს. ბოიერი (ისტორიის კათედრა, ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი), კრისტოფერ ბაკი (წერა, რიტორიკა, და ამერიკული კულტურები, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი), დევიდ ქემბელი (პოლიტიკური მეცნიერებების კათედრა, ნოტრდამის უნივერსიტეტი), ერიკ ლარსონი (ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა), მაიკლ დ. ქუგანი (რელიგიათმცოდნეობის კათედრა, სთოუნჰილის კოლეჯი), დენიელ გრინი (აშშ-ის ჰოლოკოსტის მუზეუმი), ენ კელი ნოულსი (გეოგრაფიის კათედრა, მიდლბურის კოლეჯი), ლიუის ლანკასტერი (აღმოსავლეთ აზიის ენებისა და კულტურის ფაკულტეტი, კალიფორნიის უნივერსიტეტი – ბერკლი), ლუკ ერიკ ლასტერი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრა, მარშალის უნივერსიტეტის კოლეჯი), ჯეიმს ლელუდისი (ისტორიის კათედრა, ჩრდილოეთ კაროლინას ჩაპელ ჰილის უნივერსიტეტი), კურტ მოსერი (ფილოსოფიის კათედრა, დეიტონის უნივერსიტეტი), ჯერალდ მულდერიგი (ინგლისურის კათედრა, დეპოლის უნივერსიტეტი), ემილი ს. როზენბერგი (ისტორიის კათედრა, კალიფორნიის უნივერსიტეტი, ირვინი), ანიტა სეიმენი (ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა), პოლ სტროლერი (ანთროპოლოგიის და სოციოლოგიის კათედრა, უესტ ჩესტერის უნივერსიტეტი), ენ ბ. თისლი (ბიოლოგიური მეცნიერებების

კათედრა, ფლორიდის შტატის უნივერსიტეტი) და რიჩარდ ველმა (პოლიტიკური მეცნიერებების კათედრა, სუორტმორის კოლეჯი).

ქეით თურაბიანის მემკვიდრეებმა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებიდან მოგვაწოდეს ღირებული მოსაზრებები დისერტაციების მომზადებისა და წარდგენის შესახებ. დანართის რედაქტირებაზე/რეცენზიაზე რევიეწ მუშაობდნენ ფილიპა კ. კარტერი, პიტსბურგის უნივერსიტეტიდან; მეთიუ ჰილი, მერილენდის უნივერსიტეტიდან, კოლეჯ პარკი; ელენა სიაო-ჩინგს უ ვისკონსინ, მედისონის უნივერსიტეტიდან; ჯონა ე.დ. პარკერი, ილინიოსის უნივერსიტეტიდან ურბანა-შემპენში და კრისტინ ქუიგლი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან. კოლინ მალარკმა, რომელიც ამჟამად თურაბიანის თანამდებობაზე მუშაობს ჩიკაგოს უნივერსიტეტში, მთელ ხელნაწერს გაუკეთა რედაქტირება; ის დაგვეხმარა, აგრეთვე, სანიმუშო დისერტაციების გამოვლენაში, რომელთა მიხედვითაც შემუშავდა დანართში წარმოდგენილი გვერდები. ავტორები, რომლებმაც მოგვცეს თავიანთი დისერტაციების გამოყენების ნებართვა, მითითებული არიან შესაბამის ნახატებში.

ხელნაწერის წიგნის სახით ჩამოყალიბებაზე გამომცემლობის კიდევ ერთმა გუნდმა იმუშავა. ქეროლ ფიშერ სელერმა რედაქტირება გაუკეთა ხელნაწერს, რანდოლფ პეტილოსმა კორექტივები შეიტანა ნაშრომში, ხოლო ვიქტორია ბეიკერმა მოამზადა საძიებელი. მაიკლ ბრემმა იზრუნა დიზაინზე, ხოლო სილვი მედნდოზა ჰეჩიმოვიჩმა ზედამხედველობა გაუწია მომზადების პროცესს. ქრისტოფერ ფოუდსმა სარედაქტორო დახმარება გასწია მთელი პროექტის განმავლობაში. ქეროლ კასპერმა, ელენ გიბსონმა და ლაურა ანდერსონმა კი დასრულებული წიგნის ბაზარზე გატანაზე იზრუნეს.

პროექტის ყველა მონაწილეს გული დასწყვიტა უეინ ბუთის ამ ქვეყნიდან წასვლამ; ის მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ხელნაწერი თითქმის დასრულებული იყო. ეს პროექტი დარჩება, როგორც მისი ბოლო ნამუშევარი.

# ნაწილი პირველი

# კვლევა და წერა

## დაგეგმვიდან შექმნამდე

უეინ ს. ბუთი, გრეგორი ჯ. კოლომი, ჯოზეფ მ. უილიამსი

## პირველი ნაწილის ზოგადი მიმოხილვა

ცნობილია, რამდენად რთულია, დაიწყო მუშაობა მნიშვნელოვან კვლევით პროექტზე, იქნება ეს სადოქტორო დისერტაცია, საბაკალავრო ან სამაგისტრო თემა თუ, უბრალოდ, საკურსო ნაშრომი. თუმცა, შეგიძლიათ ნებისმიერ პროექტს გაართვათ თავი, თუ მას ნაწილებად დაყოფთ, შემდეგ კი თანმიმდევრულად იმუშავებთ ამ ნაწილებზე. წინამდებარე ნაწილში წარმოგიდგენთ ამ მეთოდს.

თავდაპირველად განვიხილავთ კვლევის მიზნებს და იმას, თუ რას მოელის მკითხველი ნებისმიერი კვლევითი ნაშრომისგან. შემდგომ შევჩერდებით იმაზე, თუ როგორ უნდა მიაგნოთ კვლევის კითხვას, რომელზე პასუხის მოძიებაც იმსახურებს თქვენს დროსა და მკითხველების ყურადღებას; როგორ უნდა მოძებნოთ და გამოიყენოთ ინფორმაცია წყაროებიდან, რათა გაამყაროთ თქვენი პასუხი; შემდეგ როგორ დაგეგმოთ, შეადგინოთ და შეიტანოთ ცვლილებები თქვენს ანგარიშში, რათა მკითხველმა იფიქროს, რომ თქვენი პასუხი ემყარება გონივრულ მსჯელობას და სარწმუნო ფაქტებს.

ამ ნაწილში შევჩერდებით რამდენიმე თემაზე:

- პროექტის განხორციელებას დაუფიქრებლად ვერ შეუდგებით; თავდაპირველად უნდა დაგეგმოთ, შემდგომ თითოეული ნაბიჯის გადადგმისას უნდა გაიაზროთ მთელი პროცესი. ამდენად, იაზროვნეთ მასშტაბურად, მაგრამ, ამავდროულად, დაყავით პროცესი პატარ-პატარა ამოცანებად, რომელთა შესრულებასაც ეტაპობრივად შეძლებთ.
- იდეალურ შემთხვევაში, კვლევა უნდა იწყებოდეს შეკითხვით, რომელზეც პასუხის გაცემა გსურთ. თუმცა, უნდა წარმოიდგინოთ, რომ მკითხველებიც დასვამენ შეკითხვას: რა მოხდება, თუ არ გასცემთ ამ შეკითხვაზე პასუხს? რა შეიცვლება ამით?
- იმთავითვე უნდა შეეცადოთ, წეროთ ყოველდღე; ეს გულისხმობს არა უბრალოდ ჩანაწერების გაკეთებას წყაროების შესახებ, არამედ განმარტებას, თუ რას ფიქრობთ მათ შესახებ. აგრეთვე, უნდა ჩაინიშნოთ საკუთარი იდეები და შემდეგ ფურცელზე გადმოიტანოთ. შედეგად, შეძლებთ, განსაზღვროთ, მართლაც მნიშვნელოვანია თუ არა ეს იდეები. სავარაუდოდ, ამ ნაწერების დიდი ნაწილი არ შევა ნაშრომის საბოლოო ვარიანტში; თუმცა, მისი მომზადების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.
- განურჩევლად იმისა, თუ რამდენად აკურატულები იქნებით კვლევის განახორციელებისას, მკითხველები მას შეაფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად აღწერთ კვლევის შედეგებს. ამდენად, უნდა იცოდეთ, რისი ნახვა სურს მკითხველს კვლევის ანგარიშში, რათა აღნიშნულმა ნაშრომმა მათი მოწონება დაიმსახუროს.

თუკი გამოცდილი მკვლევარი ხართ, გამოტოვეთ პირველი-მეოთხე თავები. იქ მოცემულია ისეთ საკითხები, რომლებიც თქვენთვის ისედაც ნაცნობია. თუმცა, თუ ლექციებსაც კითხულობთ, ამ თავებში წარმოდგენილი მასალა, შესაძლოა, დაგეხმაროთ, უფრო ეფექტურად აუხსნათ საკითხი სტუდენტებს. (მრავალი გამოცდილი მკვლევრის თქმით, V-XII თავები მათ არა მხოლოდ კვლევის განხორციელებისა და შედეგების წარადგენის სხვებისთვის ახსნაში, არამედ საკუთარი მოხსენებების უფრო სწრაფად და ეფექტურად დაგეგმვასა და დამუშავებაშიც დაეხმარა).

თუ ახალბედა მკვლევარი ხართ, თქვენთვის სასარგებლო იქნება პირველი ნაწილის თითოეული თავის წაკითხვა. იქ იხილავთ მთელი პროცესის მიმოხილვას;

შემდეგ პროექტზე მუშაობისას ხელახლა წაიკითხეთ თავები, რომლებიც უშუალოდ თქვენს ამოცანასთანაა დაკავშირებული.

შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ აქ აღწერილი ნაბიჯები იმდენად ბევრია, რომ რთულია მათი დამახსოვრება. თუმცა, შეგიძლიათ, ამ ამოცანას თავი გაართვათ, თუკი სათითაოდ იმუშავებთ მათზე. ხოლო როდესაც მეტ კვლევას ჩაატარებთ, ამგვარი მუშაობა ჩვევაში გაგიჯდებათ. ნუ იფიქრებთ, რომ ეს ნაბიჯები ზუსტად ისეთი თანმიმდევრობით უნდა განახორციელოთ, როგორც ამას ჩვენ წარმოგიდგენთ. მკვლევრები ყოველთვის გეგმავენ თავიანთ სამუშაოს, მაგრამ მაინც უხდებათ რომელიმე წერტილში უკან დაბრუნება და შემდგომი ნაბიჯების თავიდან გათვლა (სწორედ ამიტომ გირჩევთ, პროცესის მომავალი ეტაპი წინდაწინ გათვალოთ და წინა საფეხურებსაც გადახედოთ). ყველაზე გეგმაზომიერ მკვლევარსაც ჰქონია შემთხვევა, რომ მოულოდნელად აღმოუჩენია რაღაც, რასაც მისი მუშაობა ახალი მიმართულებით წარუმართავს. იმუშავეთ გეგმის მიხედვით, მაგრამ მზად იყავით გეგმიდან გადასახვევად, მისი ახალი გეგმით შეცვლისთვისაც კი.

თუ ძალიან ახალბედა მკვლევარი ხართ, შეიძლება, ასევე, იფიქროთ, რომ ზოგიერთი საკითხი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, სცდება თქვენი უშუალო საჭიროებების სფეროს. ვიცით, რომ ათგვერდიანი საკურსო ნაშრომი განსხვავდება სადოქტორო დისერტაციისგან. თუმცა, ორივე მათგანი მოითხოვს გარკვეულ დაფიქრებას, ეს კი ყველაზე გამოუცდელ მკვლევარსაც შეუძლია. თქვენს კომპეტენტურობას მაშინ სრულყოფთ, როდესაც არა მხოლოდ გეგმავთ სამუშაოს, არამედ იწყებთ იმ პრაქტიკული უნარების გავარჯიშებას, რომლებიც გამოცდილმა მკვლევარებმა შეიძინეს, როდესაც თქვენს ეტაპზე იმყოფებოდნენ.

ვერანაირი წიგნი ვერ მოგამზადებთ კვლევითი პროექტის თითოეული ასპექტისთვის. ვერც ამ წიგნიდან მიიღებთ კონკრეტულ მეთოდოლოგიებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფსიქოლოგია, ეკონომიკა ან ფილოსოფია, კიდევ უფრო ნაკლებად – ფიზიკაში, ქიმიასა ან ბიოლოგიაში. ამ წიგნიდან ვერც იმას შეიტყობთ, თუ როგორ უნდა მოარგოთ აკადემიური კვლევების შესახებ მიღებული ცოდნა თქვენს სამუშაო ან პროფესიულ გარემოს.

თუმცა, ამ წიგნში წარმოდგენილია იმ პროცესების და აზროვნების ყაიდის მიმოხილვა, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა კვლევას, განურჩევლად იმისა, თუ როდის ხორციელდება ის; აქ, აგრეთვე, მიმოხილულია ის გეგმები, რომლებიც უნდა მოამზადოთ ნაშრომის დაგეგმვის, შედგენისა და დამუშავებისთვის. როდესაც შეიძენთ ამ ცოდნას და პროფესორების დახმარებით შეძლებთ თქვენი პროექტების წარმართვას, აღარ შეუშინდებით პროექტებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. საბოლოო ჯამში კი ისწავლით ყველაზე კომპლექსური პროექტების დამოუკიდებლად მართვას, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ სფეროებში.

პირველი ნაბიჯი სრულყოფილი კვლევისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისკენ იმის გაგებაა, თუ რას ფიქრობენ გამოცდილი მკვლევრები კვლევის მიზნების შესახებ.

# 1 რა არის კვლევა და რას ფიქრობენ მკვლევარები მის შესახებ

1.1 რას ფიქრობენ მკვლევარები კვლევის მიზნებზე
1.2 სამი სახის შეკითხვა, რომლებსაც მკვლევარები სვამენ: კონცეპტუალური შეკითხვები: *რა უნდა ვიფიქროთ?*
1.2.1 პრაქტიკული შეკითხვები: რა უნდა გავაკეთოთ?
*1.2.2* გამოყენებითი შეკითხვები: *რა უნდა გავიგოთ, ვიდრე გვეცოდინება, რა არის გასაკეთებელი?*
1.2.3 შეკითხვის სწორად არჩევა
*1.2.4* განსაკუთრებული გამოწვევა კონცეპტუალური შეკითხვებისას: პასუხის გაცემა შეკითხვაზე: *მერე რა, რომ გვაქვს პასუხი საკვლევ კითხვაზე?*

კვლევას ატარებთ ყოველ ჯერზე, როდესაც სვამთ შეკითხვას და ეძებთ ფაქტებს მასზე პასუხის გასაცემად, განურჩევლად იმისა, შეკითხვა ისე მარტივია, როგორც წყალსადენის შემკეთებლის პოვნა, თუ ისეთი რთული, როგორიცაა სიცოცხლის დასაბამის აღმოჩენა. როდესაც პასუხი მხოლოდ თქვენ გაინტერესებთ ან როდესაც სხვებს, უბრალოდ, ინფორმაციის სწრაფად გაგება სურთ, ალბათ, ნაშრომს არ დაწერთ. ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც მკითხველებისთვის თქვენი დებულებები მხოლოდ მაშინ არის სარწმუნო, როდესაც ხედავენ, როგორ გამოიტანეთ ეს დასკვნები, წერილობითი ანგარიშის მომზადება მოგიწევთ. ფაქტობრივად, უმეტესწილად, სწორედ კვლევითი ნაშრომებიდან ვიტყობთ სარწმუნო ფაქტებს სამყაროს შესახებ: რომ ერთ დროს არსებობდნენ დინოზავრები, რომ დაავადებებს ბაქტერიები იწვევს და თუნდაც იმას, რომ დედამიწა მრგვალია.

შესაძლოა, იფიქროთ, რომ თქვენი მოხსენება მცირედს თუ შემატებს მსოფლიო ცოდნას. შეიძლება, ასეც არის. თუმცა, კარგად დამუშავებული ნაშრომი მნიშვნელოვან ცოდნას და გამოცდილებას მაინც შეგძენთ. აგრეთვე, შეიძლება, მიგაჩნდეთ, რომ თქვენი მომავალი საქმიანობა არა სამეცნიერო კვლევა, არამედ ბიზნესი ან სხვა პროფესიაა. მიუხედავად ამისა, კვლევა ისევე მნიშვნელოვანია აკადემიური სფეროს გარეთ, როგორც მეცნიერებაში. ამდენად, აკადემიური კვლევის ხელოვნების დაუფლებით ერთ დღესაც შეძლებთ, განახორციელოთ კვლევა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება სულ მცირე მათთვის, ვისთანაც მუშაობთ და შესაძლოა, თითოეული ჩვენგანისთვისაც კი.

კვლევის ჩატარების მეთოდების დაუფლებისას, ასევე, სწავლობთ სხვების მიერ განხორციელებული კვლევების გამოყენებასა და შეფასებას. ნებისმიერი პროფესიის მკვლევარმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა წაიკითხოს და შეაფასოს კვლევის ანგარიში; ამის უკეთ გაკეთებას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როდესაც იცით, როგორ აფასებენ სხვები თქვენს კვლევით მოხსენებას. ამ წიგნში აქცენტი გაკეთებულია მეცნიერულ სფეროში ჩატარებულ კვლევაზე. თუმცა, ჩვენ ყოველდღიურად ვკითხულობთ ან გვესმის იმ კვლევების შესახებ, რომელსაც შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს ჩვენს ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა, ვიდრე ვირწმუნებთ ამ ნაშრომებს, კრიტიკულად უნდა შევაფასოთ და განვსაზღვროთ, ეფუძნება თუ არა ისინი სანდო ფაქტებს და სარწმუნო მსჯელობას.

ეჭვგარეშეა, რომ მსჯელობისა და ფაქტების მოყვანის გარდა, კიდევ სხვა გზებითაც შეიძლება კარგი დასკვნების გამოტანა: შეგვიძლია, დავეყრდნოთ ტრადიციას და ავტორიტეტს ან ინტუიციას, ჩვენს ხედვას, ან თუნდაც ჩვენს ყველაზე პრიმიტიულ ემოციებს. მაგრამ, როდესაც ვცდილობთ, ავუხსნათ სხვებს არა მხოლოდ ის, რატომ

გვჯერა ჩვენი შეხედულების, არამედ ისიც, რატომ უნდა ირწმუნონ მათაც, საჭიროა იმაზე მეტი, ვიდრე, უბრალოდ, ჩვენი აზრების და შეხედულებების წარდგენაა.

სწორედ ამით განსხვავდება კვლევა სხვა სახის მტკიცებითი ხასიათის ნაშრომებისგან: ის უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, რომლებსაც მკითხველები სიმართლედ ჩათვლიან, განურჩევლად თქვენი შეხედულებებისა და რწმენისა. მათ უნდა შეძლონ, მიყვნენ თქვენს მსჯელობას და ირწმუნონ იმ ფაქტების, რომელზეც ეს მსჯელობა ააგეთ. ამდენად, თქვენი, როგორც მკვლევრის წარმატება, დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, რამდენად კარგად შეაგროვებთ და გააანალიზებთ მონაცემებს, არამედ იმაზეც, რამდენად მკაფიოდ წარუდგენთ თქვენს მსჯელობას მკითხველებს: მათ უნდა მიეცეთ საშუალება, შეაფასონ და გამოსცადონ თქვენი დასკვნები, ვიდრე ირწმუნებენ და დაეთანხმებიან მათ.

## 1.1 რას ფიქრობენ მკვლევრები კვლევის მიზნებზე?

ყველა მკვლევარი აგროვებს ფაქტებსა და ინფორმაციას, რასაც მონაცემებს ვუწოდებთ. თუმცა, კვლევის მიზნებისა და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისინი ამ მონაცემებს სხვადასხვანაირად იყენებენ. ზოგიერთი მკვლევარი აგროვებს მონაცემებს ისეთ საკითხზე, როგორიცაა ისტორიები ალამოს ბრძოლის შესახებ და ამას, უბრალოდ, პირადი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით (ან მასწავლებლის დავალების შესასრულებლად) აკეთებს.

თუმცა, მკვლევრების უმეტესობას სურს, ვიცოდეთ თუ იცოდნენ ფაქტებზე მეტი. ამდენად, ისინი ეძებენ სხვადასხვა თემაზე არა ნებისმიერ, არამედ კონკრეტულ მონაცემებს, რომლებსაც გამოიყენებენ ფაქტებად თემიდან გამომდინარე წამოჭრილი შეკითხვის გამოსაცდელად და დასასაბუთებლად. შეკითხვა კი შეიძლება ასეთიც იყოს: „რატომ გახდა ალამოს ისტორია ეროვნული ლეგენდა?"

თუმცა, გამოცდილმა მკვლევრებმა იციან, რომ იმაზე მეტი უნდა გააკეთონ, ვიდრე მკითხველების თავინთი პასუხების სანდოობაში დარწმუნებაა. მათ, აგრეთვე, უნდა გვიჩვენონ, რატომ არის მათი შეკითხვა მნიშვნელოვანი, როგორ გვეხმარება გაცემული პასუხი უფრო მასშტაბური საკითხის ახლებურად გაგებაში. *მაგალითისთვის, თუკი გამოვიკვლევთ, რატომ გახდა ალამოს ისტორია ეროვნული ლეგენდა, შევძლებთ პასუხის გაცემას უფრო მასშტაბურ შეკითხვაზე: როგორ ჩამოაყალიბა რეგიონულმა მითებმა ჩვენი ეროვნული ხასიათი?*

შეგიძლიათ შეაფასოთ, რამდენად ახლოს დგას თქვენი აზროვნება გამოცდილი მეცნიერების აზროვნებასთან, თუკი აღწერთ თქვენს პროექტს ასეთი წინადადებებით:

1. მე ვმუშაობ თემაზე X [ისტორიები ალამოს ბრძოლის შესახებ]
2. ვინაიდან მსურს, გავიგო Y [რატომ გახდა მისი ისტორია ეროვნული ლეგენდა]
3. რათა შევძლო სხვების დახმარება Z-ის გაგებაში [როგორ ჩამოაყალიბა ასეთმა რეგიონულმა მითებმა ჩვენი ეროვნული ხასიათი].

ეს წინადადებები ყურადღებით განხილვას იმსახურებს, რადგან აღწერს არა მხოლოდ თქვენი კვლევის პროგრესს, არამედ, აგრეთვე, თქვენი, როგორც მკვლევრის ზრდას.

1. „...მე ვმუშაობ თემაზე...": მკვლევრები ხშირად იწყებენ ისეთი მარტივი თემით, როგორიცაა ალამოს ბრძოლა, რადგან ეს მათი დავალებაა, ან ამ თემაში არის რაღაც, რამაც გაურკვევლობაში ჩააგდო ისინი, ან, უბრალოდ, იმიტომ, რომ თემა საინტერესოა. შეცდომა, რომელიც მკვლევარმა გამოუცდელობის გამო შეუძლება დაუშვას, საკვლევი საკითხის ჩამოყალიბებაში აქ გაჩერებაა. დაახვავებენ ათასობით შენიშვნას, მაგრამ ვერ

წყვეტენ, რა მონაცემები გამოიყენონ და რა – არა. როდესაც წერის დრო დგება, ყველაფერს ჩართავენ მოხსენებაში, რომელიც შედეგად შემთხვევითი ფაქტების გროვის სახე იღებს. თუკი ეს ფაქტები თემით დაინტერესებული მკითხველებისთვის ახალია, შეიძლება, წაიკითხონ ანგარიში. თუმცა ასეთ მკითხველებსაც კი ექნებათ სურვილი, ჩაწვდნენ ამ ფაქტების მნიშვნელობას.

2. „...ვინაიდან მსურს, გავიგო, როგორ და რატომ...": შედარებით გამოცდილი მკვლევრები, როგორც წესი, იწყებენ არა უბრალოდ თემით, არამედ კვლევის შეკითხვით, მაგალითად, „რატომ გახდა ალამოს ისტორია ეროვნული ლეგენდა?" მათ იციან, რომ მკითხველები მოყვანილ ფაქტებს მნიშვნელოვნად ჩათვლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტები პასუხს ასაბუთებს. მართლაც, მკვლევარს მხოლოდ შეკითხვის დახმარებით შეუძლია, განსაზღვროს, რომელი ფაქტები მოიძიოს და რომელი დატოვოს – მას სჭირდება არა მხოლოდ პასუხის დამამტკიცებელი ფაქტები, არამედ ისინიც, რომლებიც ცდის ან სულაც ეჭვქვეშ აყენებს მათ. როდესაც მკვლევარი ფიქრობს, რომ გააჩნია პასუხის გამყარებისთვის საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი და შეუძლია, სათანადოდ გაუმკლავდეს ისეთ მონაცემებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მას, პირველ რიგში ნაშრომს საკუთარი მსჯელობის გამოსაცდელად წერს, ხოლო შემდგომ უზიარებს სხვებს გამოსაცდელად.

3. "... რათა დავეხმარო სხვებს, გაიგონ...": ყველაზე წარმატებულმა მკვლევრებმა იციან, რომ მკითხველისთვის არა მხოლოდ პასუხი უნდა იყოს სარწმუნო, არამედ შეკითხვაც – მნიშვნელოვანი. ისინი უნდა ელოდნენ, რომ მკითხველებიც დასვამენ შეკითხვას: „მერე რა? რატომ უნდა მაღელვებდეს, რატომ გახდა ალამოს ისტორია ლეგენდა?" შეკითხვას „მერე რა?" შეუძლია, დააბნიოს ყველაზე გამოცდილი მკვლევარიც კი. მიუხედავად ამისა, ყოველმა მკვლევარმა უნდა სცადოს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა: თუ ამას თავს გავართმევთ, შევძლებთ, უკეთ გავიგოთ ისეთი მასშტაბური საკითხი, როგორიცაა ასეთი ისტორიებით ჩვენი ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბება.

გამჭრიახი მკვლევარი ამაზეც არ ჩერდება. ის ელის, რომ მკითხველები კვლავ დასვამენ შეკითხვას „მერე რა?" და ფიქრობს სხვა, კიდევ უფრო მასშტაბური პასუხის მოფიქრებაზე: თუკი შევძლებთ, გავიგოთ, რამ ჩამოაყალიბა ჩვენი ეროვნული ხასიათი, შევძლებთ, უკეთ გავიგოთ, ვინ ვართ ამერიკელები. თუ ამ შეკითხვის დასმამდე ვიცით პასუხი წინა შეკითხვაზე, შესაძლოა, ისიც გავიგოთ, მსოფლიოში ხალხს რატომ აქვს ჩვენზე ეს თუ ის შეხედულება. თუმცა, ყველაზე წარმატებულმა მკვლევრებმა იციან, რომ მკითხველს აინტერესებს შეკითხვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰგონია, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის შედეგად დასვამს არა შეკითხვას - „მერე რა?" - არამედ იტყვის - „ამისი გაგება მნიშვნელოვანია!"

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა შეკითხვა ერთნაირად კარგი არ არის. შეგვიძლია, ვიკითხოთ, რამდენ კატას ეძინა ალამოში ბრძოლის წინა ღამეს, რას მოგვცემს ამის გაგება? რთულია, წინასწარ განვჭვრიტოთ, ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა როგორ დაგვეხმარება უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი საკითხების კვლევაში. ამდენად, შესაძლოა, არც ღირდეს მსგავსი შეკითხვის დასმა (თუმცა, როგორც შემდგომ ვიხილავთ, შესაძლოა, კიდეც ვცდებოდეთ).

### 1.2 სამი სახის შეკითხვა, რომლებსაც მკვლევრები სვამენ

გამოცდილმა მკვლევრებმა იციან, რომ მკითხველი მათგან სხვადასხვა შეკითხვის დასმას და მათზე პასუხის გაცემას ელის. სამეცნიერო სფეროში ყველაზე გავრცელებულია კონცეპტუალური შეკითხვები, ხოლო სხვადასხვა პროფესიულ სფეროებში – პრაქტიკული.

1.2.1 კონცეპტუალური შეკითხვები: რა უნდა ვიფიქროთ?

შეკითხვა კონცეპტუალურია, თუ პასუხი შეკითხვაზე „მერე რა?" მკითხველს კი არ კარნახობს, რა უნდა გააკეთოს, არამედ ეხმარება გარკვეული საკითხის გაგებაში:

1. მე ვმუშაობ თემაზე X
2. ვინაიდან მსურს, გავიგო როგორ/რატომ/თუ Y [მერე რა, თუ გაიგებ?]
3. რათა შევძლო, სხვებს დავეხმარო, გაიგონ, როგორ/რატომ/თუ Z.

ვინმესთვის რომ მოგიწიოთ თქვენი კვლევის ახსნა, საუბარი შეიძლება შემდეგნაირად წარიმართოს:

– მე რისკის შეფასების თემაზე ვმუშაობ
– რატომ?
– მსურს, გავიგო, როგორ აფასებენ რიგითი ადამიანები ტერორიზმის შედეგად დაზარალების რისკს.
– რას მოგცემს ამის გაგება??
– როდესაც გავიგებ, შესაძლოა, უკეთ გავარკვიოთ ისეთი მასშტაბური საკითხი, როგორიცაა ემოციური და რაციონალური ფაქტორების ურთიერთქმედება და მათი ზეგავლენა რიგითი ადამიანების მიერ რისკის აღქმაზე.

ჰუმანიტარულ, სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მკვლევრები, უმეტესწილად, ისეთ კონცეპტუალურ შეკითხვებზე მუშაობენ, როგორიცაა „როგორი გავლენა მოახდინა შექსპირის პოლიტიკურმა გარემომ მის პიესებზე? რამ გამოიწვია ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე დიდი ძუძუმწოვრების გადაშენება? რა შემადგენლობა აქვს კომეტას? ამ შეკითხვებზე პასუხებით ვერ გავიგებთ, როგორ უნდა შევცვალოთ სამყარო; სამაგიეროდ„ უკეთ გავიცნობთ მას.

აშკარაა, რომ კონცეპტუალურ შეკითხვაზე გაცემული პასუხი ხშირად პრაქტიკული საკითხის გადაჭრაში გვეხმარება. სწორედ ამიტომ, ვიდრე მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრას შევუდგებოდეთ, როგორც წესი, მის უკეთ გასაგებად კონცეპტუალური კვლევის ჩატარებაა საჭირო. თუმცა, სამეცნიერო სფეროში მკვლევართა უმრავლესობის ძირითადი მიზანი, მეტწილად, მხოლოდ ჩვენი ცოდნის გაუმჯობესებაა.

1.2.2 პრაქტიკული შეკითხვები: რა უნდა გავაკეთოთ?

ამჯერად სხვა სახის შეკითხვას სვამთ. ვუწოდოთ მას პრაქტიკული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თქვენი პასუხით შეკითხვაზე „მერე რა?" მკითხველი იგებს, რა უნდა მოიმოქმედოს, რომ შეცვალოს ან გამოასწოროს პრობლემური ვითარება:

1. მე ვმუშაობ X თემაზე
2. ვინაიდან მსურს, გავიგო Y [მერე რა, თუ გაიგებ?]
3. რათა შევძლო მკითხველებს ვუთხრა, რა გააკეთონ Z-ის გამოსასწორებლად/გასაუმჯობესებლად

პრაქტიკულ შეკითხვაზე მუშაობას ასე ახსნიდით:

– რისკის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდების თემაზე ვმუშაობ.
– რატომ?
– მსურს, გავიგო, რა ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო აფასებენ გადაჭარბებით რიგითი ამერიკელები ტერორისტული თავდასხმის რისკს.
– რას მოგცემს ამის გაგება?

შედეგად შემეძლება, ვურჩიო მთავრობას, როგორ უნდა გაანეიტრალოს ეს ფაქტორები, როდესაც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ტერორიზმის რეალურ საფრთხეზე.

პრაქტიკული შეკითხვები ყველაზე მეტად გავრცელებულია სამეცნიერო სფეროს ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით - ბიზნესში. ისეთ აკადემიურ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა და საინჟინრო საქმე, მკვლევრები ზოგჯერ პრაქტიკულ შეკითხვებს სვამენ, თუმცა უფრო ხშირად ისინი მესამე სახისას. ის არც წმინდად პრაქტიკულია და არც წმინდად კონცეპტუალური: მას ვუწოდებთ გამოყენებითი კვლევის შეკითხვას.

1.2.3 გამოყენებითი შეკითხვები: რა უნდა გავიგოთ, ვიდრე გავარკვევთ, რა გავაკეთოთ?

ხშირად ვიცით, რომ რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ პრაქტიკული პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა, ვიდრე გავარკვევთ, რა უნდა გავაკეთოთ, უნდა ჩავატაროთ კვლევა, რომ უკეთ ჩავწვდეთ პრობლემას. ამ სახის კვლევას შეგვიძლია ვუწოდოთ გამოყენებითი. ამ შუალედური სახის შეკითხვით მესამე საფეხურზე წამოიჭრება შეკითხვა, რომელზე პასუხიც არის არა პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის გზა, არამედ მხოლოდ ნაბიჯი მისი გადაჭრისკენ.

– მსურს, გავიგო, როგორ შეცვალეს ამერიკელებმა თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შედეგად.

- რას მოგცემთ ამის გაგება?
- შეგვეძლება, გავიგოთ ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ჩვეულებრივი ამერიკელების მიერ ტერორისტული თავდასხმის რისკის გადაჭარბებით შეფასებას.
- მერე რა, თუ ამას გაიგებთ?
- შემდეგ შევძლებთ, გავიგოთ, როგორ შევამციროთ ამ ფსიქოლოგიური ფაქტორების შედეგები.
- შედეგად რას მიიღებთ?
- შედეგად, ალბათ, მთავრობა შეძლებს, უფრო ეფექტურად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია ტერორიზმის რისკის შესახებ.

გამოყენებითი შეკითხვები გავრცელებულია ისეთ აკადემიურ სფეროებში როგორიცაა ბიზნესი, ინჟინერია და მედიცინა, ასევე, ისეთ კომპანიებში და სახელმწიფო უწყებებში, კვლევას ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად რომ ატარებენ.

1.2.4 სწორი შეკითხვის შერჩევა

ზოგიერთ ახალბედა მკვლევარს არ მოსწონს წმინდა კონცეპტუალური კვლევის შეკითხვები, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი ძალიან „თეორიულია" ან არ შეესაბამება „რეალურ" სამყაროს. ამდენად, ისინი გვთავაზობენ კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლობლობის მცდარ ვარაუდებს: *როცა გვეცოდინება, როგორ იმოქმედა რასამ ალამოს ისტორიების პოლიტიკური ზეგავლენის ჩამოყალიბებაზე, შევძლებთ გავიგოთ, როგორ გამოიყენეს რასიზმი პატრიოტიზმის გასაძლიერებლად და, ამდენად, როგორ უნდა აღმოიფხვრას პატრიოტიზმთან დაკავშირებული რასისტული მოწოდებები ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების კონტექსტში.*

ამგვარი მოტივაცია გასაგებია. თუმცა, ვიდრე არ დაგავალებენ გამოყენებითი ან პრაქტიკული პრობლემის კვლევას, ნუ შეეჭიდებით მას. სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრას საკურსო ნაშრომის ფარგლებში ვერ მოახერხებთ. თანაც, ნებისმიერ შემთხვევაში, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა უმეტესობა საკუთარ მისიას ხედავს არა მსოფლიო პრობლემების პირდაპირ გამოსწორებაში,

არამედ მათ უკეთ გაგებაში (რაც შეიძლება, ან გამოდგეს, ან – არა ამ პრობლემების გადასაჭრელად).

1.2.5 განსაკუთრებული სირთულე კონცეპტუალური შეკითხვების შემთხვევაში: პასუხის გაცემა შეკითხვაზე „მერე რა?"

პრაქტიკულ შეკითხვებზე მეტწილად არ არის საჭირო პასუხის გაცემა შეკითხვაზე „მერე რა", რადგან დადებითი შედეგები, როგორც წესი, თვალსაჩინოა. ყველაზე გამოყენებითი შეკითხვებიც კი გულისხმობს, რომ მათზე პასუხის გაცემას პრაქტიკული დადებითი მხარე აქვს: ცოტა მკითხველს თუ გაუჩნდება კითხვა, რატომ ცდილობს მკვლევარი გაიგოს, რა არის ალცაიმერი. თუმცა, კონცეპტუალური შეკითხვების შემთხვევაში, გამოცდილი მკვლევრებისთვისაც კი არ არის ხშირად ცხადი, რას გვაძლევს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. „მერე რა, თუ შექსპირმა ლედი მაკბეტი სცენაზე არ მოკლა? მერე რა, თუ ზოგიერთ კულტურაში რელიგიურ რიტუალებში გამოიყენება ნიღბები, სხვაგან კი არა? რას გვაძლევს და რატომ არის მნიშვნელოვანი ამის ცოდნა?"

შესავალ კურსზე მომზადებულ რეფერატში თქვენი პედაგოგი შეიძლება, დაკმაყოფილდეს ნებისმიერი გონივრული პასუხით შეკითხვაზე „მერე რა?". ამდენად, წარუმატებლობად ნუ ჩათვლით, თუ კვლევითი კარიერის დასაწყისში გიჭირთ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ნურც იმას იფიქრებთ, რომ არ ხართ მზად სამუშაოს ჩასატარებლად. ფაქტობრივად, შესაძლოა, იქამდე ვერ აღმოაჩინოთ პასუხი შეკითხვაზე „მერე რა?", ვიდრე არ შექმნით ნაშრომის შავ ვარიანტს; შეიძლება, პასუხის გაცემა ვერც მის დასრულებამდე შეძლოთ და მაშინაც კი შესაძლოა, პასუხი საგულისხმო მხოლოდ თქვენთვის იყოს.

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი სადიპლომო ნაშრომია თუ სადისერტაციო, მხოლოდ ხელმძღვანელის მოთხოვნების დაკმაყოფილება არ მოგიწევთ. თქვენი პასუხი უნდა აკმაყოფილებდეს თქვენი სფეროს წარმომადგენლების მოთხოვნებსაც. ისინი ნაშრომის შეფასებისას გაითვალისწინებენ არა მხოლოდ იმას, თუ რამდენად ხარისხიანად გაეცით კითხვას პასუხი, არამედ იმასაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თავად შეკითხვაც. გამოცდილმა მკვლევრებმა იციან, რომ მათი ნაშრომის წაკითხვისას ზოგიერთი, ან სულაც ბევრი მკითხველი გაიფიქრებს, „არ ვეთანხმები". მკვლევარები თვლიან, რომ ეს მნიშვნელოვან საკითხებზე ჩატარებული კვლევის შედეგების აუდიტორიისთვის გაზიარების გარდაუვალი ნაწილია. თუმცა, მათთვის მიუღებელია დამოკიდებულება „არ მაინტერესებს".

ამდენად, რაც არ უნდა რთული იყოს ამის გაკეთება, თუ ხშირად წარმოიდგენთ, რომ სხვები გისვამენ შეკითხვას "მერე რა?" და რაც უფრო ხშირად პასუხობთ ამ კითხვას, უფრო დიდია შანსი იმისა, რომ საბოლოო ჯამში წარმატებულად გაართმევთ თავს ამოცანას, დაარწმუნოთ მკითხველი, რომ თქვენი მოხსენების წაკითხვაში დროს ფუჭად არ კარგავენ. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ზოგჯერ გამოცდილ მკვლევარებსაც უჭირთ. (მეათე თავში განვიხილავთ, როგორ უნდა დავწეროთ ისეთი შესავალი ნაწილი, რომელიც მკითხველს ნაშრომის წაკითხვის სურვილს აღუძრავს).

## 2 საკითხიდან შეკითხვაზე და შეკითხვიდან სამუშაო ჰიპოთეზაზე გადასვლა

2.1 იპოვეთ შეკითხვა საკვლევ თემაში
2.1.1 ჩაეძიეთ თქვენთვის საინტერესო საკითხებს
2.1.2 გახადეთ თემა ადვილად მართვადი
2.1.3 ჩაეძიეთ თქვენთვის საინტერესო საკითხებს
2.1.4 შეაფასეთ დასმული შეკითხვები

2.2 წარმოადგინეთ რამდენიმე სამუშაო პასუხი
2.2.1 განსაზღვრეთ სამუშაო ჰიპოთეზა
2.2.2 ყურადღებით მოეკიდეთ სამუშაო ჰიპოთეზასთან დაკავშირებულ რისკებს
2.2.3 თუ პასუხს ვერ პოულობთ, დაასაბუთეთ შეკითხვის მართებულობა

2.3 შეიმუშავეთ ანგარიშის დაფა
2.3.1 ჩამოაყალიბეთ შეკითხვა და სამუშაო ჰიპოთეზები
2.3.2 ჩამოაყალიბეთ ვარაუდები
2.3.3 ჩაწერეთ, რა სახის დამამტკიცებელი ფაქტები უნდა მოიძიოთ
2.3.4 განიხილეთ მთლიანი გეგმა

2.4 ჩამოაყალიბეთ მომუშავე დამხმარე გუნდი

კვლევითი პროექტი მხოლოდ მონაცემების შეგროვებას არ გულისხმობს. პროექტზე მუშაობა იწყება ინტერნეტის ან ბიბლიოთეკის მონახულებამდე გაცილებით ადრე და გრძელდება მას შემდეგაც, რაც ყველა საჭირო ინფორმაცია მოპოვებულია.ამ პროცესის განმავლობაში თქვენ უამრავი კონკრეტული ამოცანის წინაშე დგახართ. თუმცა, ყველა მათგანი მიმართულია მხოლოდ ხუთი ზოგადი მიზნისკენ:

- დასვათ შეკითხვა, რომელზეცპასუხის მიღება ამართლებს თქვენს დროსა და შრომას და იმსახურებს მკითხველის ყურადღებას
- იპოვოთ პასუხი, რომელიც შეგიძლიათ, კარგი არგუმენტებით დაასაბუთოთ
- იპოვოთთქვენი არგუმენტებისგამამყარებელი სანდო ფაქტები
- მოამზადოთ სამუშაო ვარიანტი, რომელიც გასაგებად გადმოსცემს თქვენს ვერსიას
- გადაამუშავოთსამუშაო ვერსიაიქამდე, სანამ მკითხველი არ იფიქრებს, რომ პირველ ოთხ მიზანს მიაღწიეთ

შეგიძლიათ ეს ხუთი მიზანი სამუშაო კაბინეტშიც კი გაიკრათ.

კვლევითი პროექტები რთული არ იქნებოდა, ამ ნაბიჯების მარტივად შესრულება რომ შეიძლებოდეს. თუმცა, როგორც ხედავთ (ან მალე დაინახავთ), კვლევა და მის შედეგებზე დაყრდნობით ანგარიშის მომზადება არასოდესააადვილი.როდესაც ერთ ამოცანას ასრულებთ, შემდეგ ამოცანაზე უნდა იფიქროთ ან წინასდაუბრუნდეთ. კითხვის პროცესში შეცვლით თემებს;სამუშაო ვერსიის მომზადებისას მოიძიებთ მეტ მონაცემებს;

გადამუშავებისას, სავარაუდოდ, აღმოაჩენთ ახალ შეკითხვას. კვლევა არის კომპლექსური, რთული პროცესიდა მისი წინასწარ პროგნოზირება ძნელია. თუმცა, კვლევის მართვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ გეგმა.გეგმის შემუშავება მართებულია მაშინაც კი, თუ იცით, რომ ამ გეგმიდან გადაუხვევთ.

## 2.1 იპოვეთ შეკითხვა საკვლევ თემაში

მკვლევრები პროექტებს სხვადასხვანაირად იწყებენ. ბევრიგამოცდილი მკვლევარი იწყებს შეკითხვით, რომელზეც პასუხის გაცემა მათი სფეროს წარმომადგენლებს სურთ: რამ გამოიწვია ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძუძუმწოვრების გადაშენება? სხვებიმხოლოდ ბუნდოვანი იდეით იწყებენ. მათ შეიძლება არ იცოდნენ, რა აინტერესებთ გოლიათ ზანტებსა და მასტედონტებზე, მაგრამ სურთ, დრო დაუთმონ იმის გარკვევას, შეძლებენ თუ არა ისეთ შეკითხვად გარდაქმნან თავიანთი ინტერესი, რომელზე პასუხის გაცემაც მნიშვნელოვანია.

ამას გარდა, იციან, რომ კვლევის საუკეთესო შეკითხვა არ არის ის, რომელიც სხვებს კონკრეტულ პასუხს აძლევს. მათპასუხის დახმარებით უნდა შეძლონ, გაერკვნენ უფრო მასშტაბურ საკითხში (ისევ და ისევ „მერე რა?"). მაგალითად, რომ გვცოდნოდა, რატომ გადაშენდნენ ჩრდილოამერიკელი ზანტები, შევძლებდით პასუხის გაცემას უფრო მასშტაბურ შეკითხვაზე, რომელიც ბევრ ისტორიკოს ანთროპოლოგს აინტერესებს: უძველესი პერიოდის ამერიკელი ინდიელები ბუნებასთან შეხმატკბილებულადცხოვრობდნენ, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, თუ უზარმაზარ ცხოველებზე ნადირობდნენ, ვიდრე ეს უკანასკნელები გადაშენდებოდნენ? (ამას თუ გავიგებდით, შემდეგ შევძლებდით, აგრეთვე, გაგვეგო.....)

გარდა ამისა, არის ისეთი შეკითხვები, რომლებიც, უბრალოდ, წამოტივტივდება მკვლევრის გონებაში და გაურკვეველია, საით წაიყვანს მას.ზოგჯერ ისინი ეხება,ერთი შეხედვით, ისეთ უმნიშვნელო საკითხებს, რომ მხოლოდ მკვლევარს მიაჩნია მათზე პასუხის მიღებასაჭიროდ: რატომ რჩება ყავის შხეფების გაშრობის შემდეგ რგოლისებრი ფორმის ლაქა? ამ შეკითხვამ შესაძლოა, არსად მიგვიყვანოს.თუმცა, ამას ვერ იტყვით, ვიდრე პასუხს არ გაიგებთ.აღსანიშნავია, რომ მეცნიერმა, რომელიც ყავის შხეფებისგან დატოვებული ლაქებისფორმით იყო დაინტერესებული, გააკეთა აღმოჩენა სითხეების გარდაქმნაზე.ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი იყო მისი სფეროსთვის და,ასევე, საღებავების მწარმოებელთათვისაც. ამდენად, ვინ იცის, სად მიგიყვანთ ისეთი შეკითხვა, როგორიცაა „რამდენ კატას ეძინა ალამოში ბრძოლის წინა ღამეს?" ეს წინასწარ ვერ გეცოდინებათ.

სინამდვილეში, მკვლევრში ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვეულებრივი მოვლენებისადმი განსაკუთრებული ინტერესისგაჩენის უნარია.ეს შეიძლება იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა ყავის შხეფების რგოლების ფორმა; ან ის, თუ რატომ მოკლა შექსპირმა ლედი მაკბეტი სცენის მიღმა და არა სცენაზე; ან რატომ არ იზრდება წარბი ისევე გრძელი, როგორც თმა თავზე. გამოიმუშავეთ ჩვეულ გარემოში უჩვეულოს დანახვის უნარი და არასოდეს გამოგელევათ კვლევითი პროექტები სტუდენტობისას თუ სპეციალისტის რანგში.

თუ თემა არჩეული გაქვთ, გადადით 2.1.3 პუნქტზე, სადაც შეკითხვებს იხილავთ. თუ უკვე მომზადებული გაქვთ ერთი-ორი შეკითხვა, გადადით 2.1.4-ზე, რათა ისინი იქ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვითშეაფასოთ. თუ ჯერ ისევ თემის ძიებაში ხართ, ეს გეგმა დაგეხმარებათ.

### 2.1.1 ჩაეძიეთ თქვენთვის საინტერესო საკითხებს

თუ აარჩევთ თქვენი სფეროს შესაბამის ნებისმიერ თემას, დასვით შეკითხვები:

- რომელ თემებზე გაქვთ უკვე გარკვეული წარმოდგენა შეძენილი ან შეგიძლიათ მეტი გაიგოთ?
- რის შესახებ გსურთ, იცოდეთ მეტი? ადგილის? ადამიანის? დროის? საგნის? აზრის? პროცესის შესახებ?
- შეგიძლიათ,ინტერნეტში იპოვოთ სადისკუსიო ფორუმები თქვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ?
- თქვენს სფეროსთან დაკავშირებული რა საკითხები განგიხილავთ სხვებთან და შემდგომ აღმოგიჩენიათ, რომ ვერ ასაბუთებთ თქვენს შეხედულებებს კარგი არგუმენტებითა და ფაქტებით?
- თქვენს სფეროში, რომელი საკითხების გაგება უჭირთ იმ ადამიანებს რომლებიც არ მიეკუთვნებიან თქვენს სფეროს?
- რა საკითხებზე მუშაობს თქვენი პროფესორი? სურს, რომ თქვენ გამოიკვლიოთ მისი ნაწილი? ნუ მოგერიდებათ ამის კითხვა.
- აქვსთუ არა თქვენს ბიბლიოთეკას კარგი რესურსები რომელიმე სფეროში? ჰკითხეთთქვენს პროფესორს ან ბიბლიოთეკარს.
- რომელი კურსების გავლას აპირებთ თქვენს სფეროში ან მის გარეთ? იპოვეთ? მოძებნეთ სახელმძღვანელო და გადახედეთ მას კვლევის შეკითხვების მოსაძებნად.
- თუ სამუშაოს მიღება გსურთ, რა სახის კვლევითი მოხსენება დაგეხმარებათ ამაში? დამსაქმებლები ხშირად ითხოვენ კანდიდატისგან ნაშრომის ნიმუშების წარმოდგენას.
- იდეებისთვისშეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ გამოქვეყნებულ ლიტერატურას.
- თვალი გადაავლეთ საკითხებს თქვენი სფეროს შესაბამის სპეციალურ საძიებლებში, მაგალითად, ფილოსოფოსის ინდექსში, გეოგრაფიულ აბსტრაქტებში, ქალთა საკითხების კვლევასთან დაკავშირებულმოხსენებებში და ა.შ. (ბიბლიოგრაფიაში თქვენი სფეროს შესაბამისი საკითხები მეორე კატეგორიაშია მოცემული).
- გადახედეთ ჟურნალს, სადაც განხილულია წლის საუკეთესო ნაშრომები თქვენს სფეროში (ბიბლიოგრაფიაში თქვენი სფეროს შესაბამისი საკითხები მეორე კატეგორიაშია მოცემული).

აკადემიური კვლევა გულისხმობს მის გაზიარებას.თუმცა, ცოდნა, რომელსაც კვლევის საშუალებით იღებთ, იმავდროულად,მნიშვნელოვანია მხოლოდ თქვენთვის.ამდენად, გამოიჩინეთ წინდახედულება: აარჩიეთ ისეთი პროექტი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოგადგებოდათ. თუმცა, ისიც გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, დიდხანს მოგიწიოთ პროექტზე მუშაობა.ასეთ შემთხვევაში, თემა საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს, რომ წარმატებით გაართვათ თავი მასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

### 2.1.2 გახადეთ თემა ადვილად მართვადი

თუ შეარჩევთ თემას, რომლის სახელი ენციკლოპედიის სტატიას ჰგავს – ხიდები, ჩიტები, ნიღბები — იმდენ წყაროს იპოვით, რომ მათ გაცნობას, შეიძლება, მთელი ცხოვრება მოანდომოთ. შერჩეული თემიდან უნდა ამოჭრათ ადვილად მართვადი ნაწილი.ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ბიბლიოთეკაში წასვლამდე:დაავიწროეთ თემა; განსაზღვრეთ, თემაში კონკრეტულად რა გაინტერესებთ: მაგალითად, რის გამო აირჩიეთ ნიღბების თემა? ნიღბებთან დაკავშირებული რა კონკრეტული ასპექტი აღძრავს თქვენში ინტერესს? განიხილეთ თემა თქვენთვის ცნობილ რაიმე კონტექსტში, შემდეგ დაამატეთ სიტყვები და ფრაზები ამ ცოდნის ასახვისთვის:

- ნიღბები რელიგიურ ცერემონიებში
- ნიღბები, როგორც სიმბოლო ჰოპის ტომის რელიგიურ ცერემონიებში
- კერპთანიღბები, როგორც ციური სულების სიმბოლო ჰოპის ტომის ნაყოფიერების ცერემონიებში

შესაძლოა, ვერ მოახერხოთ თემიდან კონკრეტული ასპექტის შერჩევა, ვიდრე მის შესახებ ლიტერატურის გაცნობას არ დაიწყებთ.ეს დროს მოითხოვს.ამდენად, ადრე შეუდექით კითხვას (ამ მოსამზადებელი სამუშაოს დიდი ნაწილის შესრულება ინტერნეტით შეგიძლიათ);

- თავდაპირველად ზოგად ენციკლოპედიაში მოიძიეთ თემის მიმოხილვა (ბიბლიოგრაფიაში იხილეთ პუნქტები მეორე კატეგორიაში გამოყენებული ზოგადი ხასიათის ლიტერატურის შესახებ); შემდეგ თემატურ ენციკლოპედიაში (მეორე კატეგორიაში იხილეთ პუნქტები თქვენს სფეროზე) გაეცანით მასალებს თემის შესახებ.
- გადაათვალიერეთ თემის შესახებ არსებული კვლევები (ჩვეულებრივ, კვლევები მითითებულია ენციკლოპედიის სტატიებში).
- ყოველწლიურ ბიბლიოგრაფიაში თვალი გადაავლეთ თქვენი თემის ქვესათაურებს (ბიბლიოგრაფიაში მეოთხე კატეგორიაში იხილეთ პუნქტები თქვენს სფეროზე). ეს თემის დასამუშავებლად საჭირო საკითხავი ლიტერატურის სიის შექმნაშიც დაგეხმარებათ.
- ინტერნეტშიმოიძიეთ მასალები თემის შესახებ (მაგრამ ყურადღებით დააკვირდით მოძიებულ მასალებს; იხ. პუნქტი 3.4.3).

განსაკუთრებით სასარგებლოა თემები, რომლებიც იწვევს დისკუსიას: ფიშერის მტკიცებით, „ჰელოუინის" ნიღბები გამოხატავს ბავშვების პირვანდელ შიშებს, მაგრამ ასეა კი ეს? შესაძლოა, ვერ შეძლოთ კამათის გადაჭრა, მაგრამ შეძლებთ, გაიგოთ, როგორ წარიმართება ამგვარი დისკუსიები (მეტ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ იხილავთ პუნქტში 3.1.2).

### 2.1.3 დასვით შეკითხვა თქვენს თემასთან დაკავშირებით

ეს გააკეთეთ არა მხოლოდ ერთხელ, საწყის ეტაპზე, არამედ, მთელი პროექტის განმავლობაში.დასვით შეკითხვები კითხვისას, განსაკუთრებით შეკითხვები *როგორ* და *რატომ* (იხ., აგრეთვე, პუნქტები 4.1.1 – 4.1.2). მოსინჯეთსხვა სახის შეკითხვებიც (კატეგორიები თავისუფალია და ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, ნუ იღელვებთ მათ გაცალკევებაზე).

1. დასვით შეკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ესადაგება თემა უფრო ფართო კონტექსტს (ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ, გეოგრაფიულ, ფუნქციურ, ეკონომიკურ და ა.შ.):

- როგორესადაგებათქვენს მიერ არჩეული თემა უფრო ვრცელ ისტორიას? *რა ხდებოდა ნიღბებამდე? როგორ გაჩნდა ისინი? რატომ? რა ცვლილებები გამოიწვია ნიღბებმა სოციალური და გეოგრაფიული გარემოს სხვა ნაწილებში? როგორ და რატომ მოხდა ეს? რატომ დაიწყეს ნიღბების გამოყენება „ჰელოუინზე"? როგორ და რატომ გახდა ნიღბების წყალობით „ჰელოუინი" ამერიკაში შობის შემდეგ უდიდესი დღესასწაული?*
- როგორხდება თქვენი თემა უფრო დიდი სისტემის მოქმედი ნაწილი? *როგორ ასახავს ნიღბები კონკრეტული საზოგადოებების და კულტურების ღირებულებებს? რა დანიშნულება აქვს ნიღაბს ჰოპის ტომის ცეკვებში? საშინელებათა ფილმებში?კოსტუმირებულმეჯლისებზე? შენიღბვის გარდა, კიდევ რა მიზნით გამოიყენება ნიღაბი? რა ზეგავლენა მოახდინა ტრადიციულ ორნამენტებზე „კაჩინების" ნიღბებზე მზარდმა მოთხოვნამ?*

- რით ჰგავს და რით განსხვავდება თქვენი თემა სხვა მსგავსი თემებისგან? *როგორ განსხვავდება ამერიკელ ინდიელთა ცერემონიებში გამოყენებული ნიღბები იმ ნიღბებისგან, რომლებსაც აფრიკის მკვიდრი მოსახლეობა იყენებს? რა საერთო აქვს „ჰელოუინის" ნიღაბს მარდი გრასის ნიღბებთან? რა საერთო აქვს ნიღაბსა და პლასტიკურ ქირურგიას?*

2. დასვით შეკითხვები თავად საკითხის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის ხასიათზე:

- როგორ შეიცვალა თქვენი თემა დროთა განმავლობაში? რატომ? რა არის მისი მომავალი? *როგორ შეიცვალა „ჰელოუინის" ნიღბები? რატომ? როგორ შეიცვალა ამერიკელ ინდიელთა ნიღბები? რატომ?*
- როგორ ერთიანდება თქვენი თემის ნაწილები მთლიან სისტემად? *ნიღბის რა ნაწილებია ყველაზე მნიშვნელოვანი ჰოპის ტომთა ცერემონიებში? რატომ? რატომ ფარავს ზოგიერთი ნიღაბი მხოლოდ თვალებს? რატომ არის ასე ცოტაის ნიღაბი, რომელიც მხოლოდ სახის ქვედა ნახევარს ფარავს?*
- თქვენი თემის რამდენი განსხვავებული კატეგორია არსებობს? *„ჰელოუინის" ნიღბების რა სახეები არსებობს? რა თვისებები აქვს ნიღბებს? რა ფუნქციები აქვს „ჰელოუინის" ნიღბებს?*

3. აქციეთ დადებითი შეკითხვები უარყოფითად: *რატომ არ გახდა ნიღბები შობის დღესასწაულის ნაწილი? რატომ არ განსხვავდება ამერიკელ ინდიელთა ნიღბები აფრიკის მკვიდრი ტომების ნიღბებისგან? ჩვეულებრივ, ნიღბის რა ნაწილები არ არის მნიშვნელოვანი რელიგიურ ცერემონიებში?*

4. დასვით დისკუსიის გამომწვევი შეკითხვები: *რატომ არის გავრცელებული ნიღბები აფრიკის ტომთა რელიგიებში, მაგრამ არა - დასავლეთში? რატომ მოსწონთ ბავშვებს „ჰელოუინის" ნიღბების ტარება ზრდასრულების დიდ*

*ნაწილზე მეტად? რატომ არ ატარებენ კამუფლაჟით შემოსილი მონადირეები ნიღბებს?*

5. დასვით შეკითხვები „რა იქნებოდა, რომ?": რა იქნებოდა, თქვენი თემა საერთოდ რომ არ არსებულიყო, ან გამქრალიყო, ან ახალ კონტექსტში აღმოჩენილიყო? *რა იქნებოდა, უსაფრთხოების გარდა, სხვა მიზნით ნიღაბი არასოდეს არავის რომ არ გაეკეთებინა? რა იქნებოდა, ხალხში ყველა ნიღბებით რომ დადიოდეს? რა იქნებოდა, ფილმები და ტელევიზია ბერძნული სპექტაკლების მსგავსი რომ ყოფილიყო და ყველა მსახიობი ნიღბით გამოსულიყო? რა იქნებოდა, უცნობთან პაემანზე ნიღბების ტარება ჩვეულება რომ ყოფილიყო? საქორწინო ცერემონიებზე? დაკრძალვებზე?*

6. დასვით შეკითხვები, რომლებიც წყაროსგან განსხვავებულ აზრს გამოხატავს: თუკი გამოყენებულ ლიტერატურაში მოცემულია მტკიცება, რომელიც, თქვენი აზრით, სუსტად არის დასაბუთებული ან თუნდაც მცდარია, შეკითხვის სახით ჩამოაყალიბეთ საწინააღმდეგო აზრი (იხ., აგრეთვე, პუნქტი 4.1.2). *მარტინეზი აცხადებს, რომ საკარნავალო ნიღბები შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, დააღწიოს თავი საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს. თუმცა, ჩემი აზრით, რელიგიური ნიღბები იმავდროულად შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, გაერიდოს მატერიალურ სამყაროს და გადაინაცვლოს სულიერში.არსებობსიმის უფრო ნათელიმაგალითი, რომ ყველა ნიღაბი ალტერნატიული საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების შეგრძნებას ქმნის?*

7. დასვით შეკითხვები, რომლებიც აძლიერებს დასკვნებს: თუ წყაროში წარმოდგენილია დებულება, რომელიც თქვენი აზრით, დამაჯერებელია, დასვით შეკითხვები, რომლებიც აფართოებს მის მასშტაბს (იხ., აგრეთვე,პუნქტი 4.1.1). *ელიასი გვიჩვენებს, რომ კოსტუმირებულმა მეჯლისებმა პოპულარობა მოიპოვა მეთვრამეტე საუკუნის ლონდონში საზოგადოებრივ მობილურობასთან დაკავშირებული მღელვარების საპასუხოდ. ევროპის სხვა ქვეყნების დედაქალაქებშიც იგივე მღელვარებით იყო გამოწვეული მსგავსი ტენდენცია? შეგიძლიათ, აგრეთვე, დასვათ შეკითხვა, რომელიც დამატებითი ფაქტებით ამყარებს იმავე დასკვნას.ელიასიმთლიანად გამოქვეყნებული ლიტერატურით ამყარებს საკუთარ განცხადებას კოსტუმირებული მეჯლისების შესახებ. დასტურდებათუ არა ეს განცხადება ისეთ გამოუქვეყნებელ ლიტერატურაში არსებული ფაქტებით, როგორიცაა წერილები და დღიურები?*

8. დასვით იმ შეკითხვების ანალოგიური შეკითხვები, რომლებიც სხვებმა დასვეს მსგავსი თემების შესახებ. *სმითმა გეტისბურგის ბრძოლა ეკონომიკურ ჭრილში გააანალიზა. რას მოგვცემდა ალამოს ბრძოლის ეკონომიკური ანალიზი?*

9. მოძებნეთ შეკითხვები, რომლებიც სხვა მკვლევრებმა დასვეს, თუმცა პასუხი არ გაუციათ. ჟურნალის არაერთი სტატია სრულდება ღია ტიპის შეკითხვებით, რომელსაც ერთი-ორი აბზაცი უჭირავს.იქ, ასევე, იპოვით მოსაზრებებს შემდგომი კვლევისთვის და ა.შ. შესაძლოა, ვერ შეძლოთ ყველა რეკომენდებული კვლევის ჩატარება, მაგრამ შეგიძლიათ, იქიდან რაღაც საკითხი ამოიღოთ.

10. იპოვეთ ინტერნეტ-ფორუმი თქვენს თემაზე, თვალი გადაავლეთ, წაიკითხეთ დიალოგები, რათა გაიგოთ, რა სახის შეკითხვებზე მსჯელობენ ფორუმის მონაწილეები. თუ ვერ პოულობთ ფორუმს საძიებო სისტემის მეშვეობით, მიმართეთ პროფესორს ან ესტუმრეთ თქვენი სფეროს პროფესიული ორგანიზაციების ინტერნეტ-გვერდებს.მოძებნეთ შეკითხვები, რომლებიც საინტერესოა თქვენთვის. შეგიძლიათ, აგრეთვე, შეკითხვა დასვათ ფორუმზე, თუკი ის ძალიან კონკრეტული და ვიწროა. თუმცა,ჯერგაარკვიეთ, დასაშვებია თუ არა იქ სტუდენტების მიერ შეკითხვის დასმა.

### 2.1.4 შეაფასეთ დასმული შეკითხვები

ყველა პასუხი ერთნაირად გამოსადეგი არ არის.ამდენად, შეაფასეთ თქვენი შეკითხვები და გვერდზე გადადეთ ისინი, რომლებითაც, სავარაუდოდ,ვერ მიიღებთ საინტერესო პასუხებს. თუ ქვემოთ მოცემული პირობები კმაყოფილდება, კიდევ ერთხელ დაფიქრდით.

1. შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან მარტივად შეგიძლიათ.
   - შეგიძლიათ მოიძიოთ პასუხი: რომელ ნიღბებს იყენებენ ნავაჰოს ცეკვებში?
   - შეგიძლიათ რეზიუმე გააკეთოთ წყაროს მიხედვით: რას ამბობს ფიშერი ნიღბების და შიშების შესახებ?
2. ვერ პოულობთ კარგ ფაქტებს პასუხის გასამყარებლად.
   - არ არსებობს შესაბამისი ფაქტები: არის თუ არა მაიას ნიღბები უცხოპლანეტელების ხატის მიხედვით არის შექმნილი?
   - შეკითხვა შეეხება უპირატესობის მინიჭებას ან გემოვნებას: ბალის ტომთა ნიღბები უფრო ლამაზია თუ მაიას ტომის ნიღბები?
   - უნდა წაიკითხოთ ძალიან ბევრი წყარო-ლიტერატურა: როგორ მზადდება ნიღბები? საუკეთესო დამადასტურებელი ფაქტების მოსაძიებლად არ გსურთ უთვალავი რაოდენობის მოხსენების გაცნობა (ასეთ სიტუაციაში მაშინ აღმოჩნდებით, როცა თქვენი კითხვა ძალიან ზოგადია).
   - ვერ პოულობთ წყაროებს, რომლებიც თქვენი მკითხველის აზრით მნიშვნელოვანია. პროექტი უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად რომც არ იყოს განხორციელებული, მკითხველი მაინცელის, რომ იმუშავებთ არსებული წყაროებიდან საუკეთესოებზე; თეზისის ან სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში აღნიშნული ასპექტი წყაროების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ვერ მოიპოვებთ ამ წყაროებს, მოიფიქრეთ სხვა შეკითხვა.
3. არ შეგიძლიათ პასუხის დამაჯერებლად უარყოფა
   - პასუხი თავისთავად ცხადია, რადგან, ფაქტები ამყარებს მას. რამდენად მნიშვნელოვანია ნიღბები ინუიტების კულტურაში? პასუხი თვალსაჩინოა: ძალიან მნიშვნელოვანი. თუ ვერ ახერხებთ დებულების უარყოფას, მაშინ აზრი არ აქვს მის დამტკიცებას (მეორეს მხრივ, იმ მკვლევრებმა, რომლებმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ერთი შეხედვით თავისთავად ცხადი მტკიცება – მაგალითად, რომ მზე

დედამიწის გარშემო ბრუნავს – და გაბედეს,დაემტკიცებინათ საპირისპირო, მსოფლიო აღიარება მოიპოვეს).

უარსნუ იტყვით შეკითხვაზე იმის გამო, რომ, თქვენი აზრით, ვინმეს უკვე დაუსვამს ის. ვიდრე არ გაიგებთ, ისე ეძებეთ პასუხი მასზე, თითქოს პირველად სწორედ თქვენ სვამთ ამ შეკითხვას. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვინმეს გაცემული აქვს პასუხი ამ შეკითხვაზე, შესაძლოა, უკეთესი მოიფიქროთ, ან თუნდაც ახალი კუთხით წარმოაჩინოთ ის. ფაქტობრივად, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში საუკეთესო შეკითხვებზე, როგორც წესი, არსებობს ერთზე მეტი კარგი პასუხი. აგრეთვე, შეგიძლიათ,პროექტად აირჩიოთ სხვადასხვა პასუხების შედარება და მათ შორის განსხვავებების წარმოჩენა,ასევე, საუკეთესო პასუხიადაასაბუთებაც (იხ. 6.2.5).

მაშასადამე, უნდა იპოვოთ შეკითხვა, რომელზეცგსურთ პასუხის გაცემა. ძალიან ბევრ სტუდენტს, როგორც საბაკალავრო დონეზე, ისე,განათლების შემდგომ საფეხურებზე მიაჩნია, რომ განათლების მიზანია, დავიმახსოვროთ სხვების მიერ გაცემული პასუხები.ესასე არ არის. განათლება მიზნად ისახავს საკუთარ შეკითხვებზე საკუთარი პასუხების მოძიების უნარის გამომუშავებას. ამისათვის უნდა ისწავლოთ საკითხების გამოვლენა, უნდა დაინტერესდეთ მათით, განსაკუთრებით, ისეთი საკითხებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, ძალიან ჩვეულებრივია.

## 2.2 წარმოადგინეთ რამდენიმე სამუშაო პასუხი

ვიდრე პროექტის შემდგომ ეტაპებზე გადახვალთ, სცადეთ, გაიაროთ კიდევ ერთი ნაბიჯი, რასაც ზოგიერთი დამწყები მკვლევარი ერიდება, მაგრამ, როგორც წესი, გამოცდილი მკვლევრები ამ ეტაპს, ჩვეულებრივ, გადიან. შეკითხვის განსაზღვრის შემდეგ, წარმოიდგინეთ დამაჯერებელი პასუხები, განურჩევლად იმისა, ისინი ზედაპირული იქნება თუ ჰიპოთეტური.ამ ეტაპზე ნუ იფიქრებთ იმაზე, არის თუ არა პასუხი სწორი. ამას მოგვიანებით გააკეთებთ.

მაგალითად, ვთქვთ, სვამთ შეკითვას: *რატომ იყენებენ ზოგიერთ რელიგიურ ცერემონიაში ნიღბებს, სხვებში კი - არა? შეგიძლიათ, ივარაუდოთ,რომ:*

შესაძლოა, კულტურებში, სადაც ბევრი სულია, მათ გასარჩევად ნიღბები სჭირდებათ.

შესაძლოა, ნიღბები, ჩვეულებრივ, იმ კულტურებში გამოიყენება, სადაც რელიგია და მედიცინა შერწყმულია.

შესაძლოა, შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოშობილ რელიგიებზე ზეგავლენა მოახდინა ებრაელების მიერ კერპთაყვანისმცემლობის აკრძალვამ.

ზოგადი პასუხითაც კი შეიძლება, მივიღოთ რაღაც, რისი შესწავლაც მნიშვნელოვანია:

შესაძლოა, ეს დაკავშირებულია ნიღბების დანიშნულებასთან კულტურის არარელიგიურ სფეროებში.

სცადეთ, წარმოიდგინოთ ერთი დამაჯერებელი პასუხი მაინც, მიუხედავად იმისა, რამდენად ნაადრევი თუ ჰიპოთეტურია ის. თუ ვერ შეძლებთ მის დასაბუთებას ხანგრძლივი კვლევის შედეგად, შეგიძლიათ, თქვენი ნაშრომი ააწყოთ იმის გარშემო, რატომ გეჩვენებოდათ ერთ დროს ეს პასუხი მიზანშეწონილად, რომ პასუხი მცდარი აღმოჩნდა და არ ღირს ამ შეკითხვის შესწავლაზე სხვა მკვლევრების დროის ხარჯვა. ეს, თავისთავად, შესაძლოა, ღირებული ინფორმაცია იყოს თემის შესახებ მსჯელობისას (იხ. პუნქტები 10.1.1 – 10.1.2, სადაც ნახავთ, როგორ უნდა გამოიყენოთ ერთ დროს აშკარად კარგი იდეა, რომელიც შემდეგ მცდარი აღმოჩნდა).

ეძებეთ ორი ან სამი დამაჯერებელი პასუხი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე ერთს ანიჭებთ უპირატესობას, შეგიძლიათ,ის სხვა პასუხებს შეადაროთ და ამით გააუმჯობესოთ თქვენი დასკვნები. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ აჩვენებთ, რომ თქვენი პასუხი სწორია, თუ ვერ აჩვენეთ, რატომ არის სხვა პასუხები მცდარი. პროექტის ადრეულ ეტაპზეც კი თქვენი პასუხები მაქსიმალურად მკაფიოდ და სრულად დაწერეთ. ძალიან იოლია, იფიქროთ, რომ რამეზე მკაფიო წარმოდგენა გაქვთ მაშინ, როდესაც ეს ასე არ არის. ბუნდოვანი იდეის დახვეწის საუკეთესო გზა მისი ქაღალდზე გადატანა ან სულაც იმის აღმოჩენაა, რომ ამის გაკეთება არ შეგიძლიათ.

### 2.2.1 განაზღვრეთ სამუშაო ჰიპოთეზა

თუკი ერთი პასუხი პერსპექტიულია, უწოდეთ მას თქვენი სამუშაო ჰიპოთეზა და კვლევის განმავლობაში ამ პასუხით იხელმძღვანელეთ. რა თქმა უნდა, დამამტკიცებელი ფაქტების მოძიება მხოლოდ შეკითხვით ხელმძღვანელობითაც შეგიძლიათ, ვინაიდან ნებისმიერი შეკითხვა ზღუდავს დამაჯერებელი პასუხების რაოდენობას. თუმცა, ყველაზე ადრეული სამუშაო ჰიპოთეზაც კი გეხმარებათ გარკვეული საკითხების წინასწარ განსაზღვრაში, განსაკუთრებით,ჰიპოთეზისდასასაბუთებლად საჭირო ფაქტების ხასიათის განსაზღვრაში. ციფრები დაგჭირდებათ,ციტატები, დაკვირვებების შედეგები, სურათები თუ ისტორიული ფაქტები? კიდევუფრო მნიშვნელოვანია, რა სახის ფაქტები დაამტკიცებს თქვენი ჰიპოთეზის მცდარობას.გაეცით პასუხები ამ შეკითხვებს და გეცოდინებათ, რა მონაცემები მოძებნოთ და შეინახოთ. ფაქტობრივად, ვიდრე ჰიპოთეზას არ შექმნით, არ გეცოდინებათ, შეესაბამება თუ არა მნიშვნელოვან შეკითხვას მონაცემები, რომლებსაც აგროვებთ.

თუ ვერ მოიფიქრეთ სამუშაო ჰიპოთეზა, სცადეთ შეცვალოთ შეკითხვა.გადახედეთ საკვლევი შეკითხვების სიას და მოძებნეთ შეკითხვა, რომელზეც შეძლებთ პასუხის გაცემას. თუ ეს ნაბიჯი გამოტოვეთ, დაუბრუნდით 2.1.3 პუნქტს.შეგიძლიათ, აგრეთვე, ახალი თემა აარჩიოთ.მოკლევადიან პერსპექტივაში ამით დროსდაკარგავთ, თუმცა, შესაძლოა, თავიდან აიცილოთ პროექტის წარუმატებულად დასრულება. თუ მუშაობთ თეზისზე ან დისერტაციაზე, კითხვის და ფიქრის პროცესში შეგიძლიათ, მოიცადოთ, რომ უფრო კარგად ჩამოაყალიბოთ ჰიპოთეზა, მაგრამ პროექტის შემდგომ ეტაპებზე

არ გადახვიდეთ მანამ, ვიდრე შესაძლო პასუხის მონახაზი მაინც არ გექნებათ განსაზღვრული.

არავითარ შემთხვევაში არ გადადოთ ჰიპოთეზის განსაზღვრაზე ფიქრი მოხსენების შავი ვარიანტის წერის, ან,კიდევ უარესი, ნაშრომის თითქმის დასრულების ეტაპისთვის. შესაძლებელია, შეკითხვაზე საუკეთესო პასუხი ვერ გამონახოთ, ვიდრე მოხსენების ბოლო გვერდს არ დაწერთ: წერა, გადამუშავებაც კი, თავისთავად აღმოჩენას გულისხმობს. უბრალოდ, ნუ მოიცდით მოხსენების სრულად დამთავრებამდე,რომ რაიმე პასუხზე დაიწყოთ ფიქრი.

2.2.2 ყურადღებით მოეკიდეთ სამუშაო ჰიპოთეზასთან დაკავშირებულ რისკებს

მიზანშეწონილიარ არის საბოლოო პასუხის ძალიან მალე განსაზღვრა. თუმცა, მრავალი ახალბედა და ზოგიერთი გამოცდილი მკვლევარი თავს იკავებს პროექტის ადრეულ ეტაპზე რაიმე სამუშაო, თუნდაც მხოლოდ გონებაში არსებული, ჰიპოთეზის განხილვისგან, ვინაიდან ეშინიათ მათი აზროვნება მიკერძოებული არ გახდეს. ამის გარკვეული რისკი არსებობს.თუმცა, სამუშაო ჰიპოთეზამ არ უნდა შეგიშალოთ ხელი უკეთესი ჰიპოთეზის განსაზღვრაში.ყველაზე ობიექტური მეცნიერიც კი ატარებს ექსპერიმენტს, რომ გამოსცადოს სულ რამდენიმე მოსალოდნელი შედეგი, ხშირად მხოლოდ ერთიც კი. ფაქტობრივად, მკვლევრებს მუდამ აქვთ გონებაში ჰიპოთეზა, მაგრამ მას საჯაროდ არ აცხადებენ იმის შიშით, რომ მცდარი აღმოჩნდება.

სამუშაო ჰიპოთეზა მხოლოდ მაშინაა რისკთან დაკავშირებული, თუ გაბრკოლებთ უკეთესი ჰიპოტეზის მოფიქრებაში ან თუ ფაქტების სიჯიუტის გამო ვერ ახერხებთ მის უკუგდებას. ამდენად, როგორც ყველა ურთიერთობაში, ძალიან ძლიერ ნუ ჩაეჭიდებით თქვენს პირველ ჰიპოთეზას: რაც უფრო მეტად მოგწონთ, მით უფრო გაგიჭირდებათ მისი ნაკლოვანებების დანახვა. მიუხედავად აღნიშნული რისკისა, უმჯობესია,მუშაობა ხარვეზებიანი ჰიპოთეზით დაიწყოთ, ვიდრე მის გარეშე.

2.2.3 თუ ვერ პოულობთ პასუხს, დაასაბუთეთ შეკითხვის მართებულობა

იმდენს ვმსჯელობთ შეკითხვებზე, შესაძლოა, იფიქროთ, რომ თქვენი პროექტი წარუმატებელი იქნება, თუკი პასუხს ვერ გასცემთ თქვენს შეკითხვას. სინამდვილეში

, ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა განმარტავს, რატომ უნდა დაისვას შეკითხვა, რომელიც არავის დაუსვამს, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი ვერ პასუხობს მას: ხედავს თუ არა კუ სიზმრებს? რატომ არის მთქნარება გადამდები, ძილის სურვილი კი - არა? ან არის კი გადამდები? ასეთ მოხსენებებში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ რატომ არის შეკითხვა მნიშვნელოვანი და როგორი შეიძლება იყოს კარგი პასუხი. შესაძლოა, აღმოაჩინოთ, რომ ვიღაცას გაცემული აქვს პასუხი თქვენს შეკითხვაზე, თუმცა არასრულად ან სულაც, თუ გაგიმართლათ, მცდარად. თუ სწორ პასუხს ვერ პოულობთ, მკითხველს იმით ეხმარებით, რომ უჩვენებთ ფართოდ აღიარებული პასუხის სიმცდარეს (იხილეთ პუნქტი 10.1.2, რათა გაიგოთ, როგორ გამოიყენოთ ეს გეგმა თქვენს შესავალში).

კრიტიკულიაზროვნება, რომელიც ნებისმიერ პროფესიაში დაგჭირდებათ, გივითარდებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკითხვას შეკითხვაზე სვამთ. ფაქტობრივად, გამოცდილი მკვლევრებისთვის ცნობილია, რომ უმეტეს საკითხებს ან საერთოდ არ გააჩნია, ან ძალიან ცოტა საბოლოო პასუხი აქვს, ვინაიდან არ არსებობს საბოლოო შეკითხვები. მათ იციან, რომ ისევე მნიშვნელოვანია ახალი შეკითხვის დასმა, როგორც ძველზე პასუხის გაცემა და რომ ერთ დღეს მათი ახალი შეკითხვაცმოძველდება და ახალი მკვლევრის კიდევ უფრო ახალი შეკითხვის საფუძველი გახდება.

თქვენი საქმეა გახდეთ ისახალი მკვლევარი.

## 2.3 ააგეთ „ანგარიშის დაფა", რომლის დახმარებითაც დაგეგმავთ და წარმართავთ მუშაობას

მოკლე მოხსენებისთვის შესაძლოა, არ დაგჭირდეთ დეტალური გეგმა და საკმარისი იყოს მონახაზის გაკეთება. ვრცელი პროექტისთვის კი, ჩვეულებრივ, დაგჭირდებათ მეტი დაგეგმვა, განსაკუთრებით, თუ საქმე თეზისს ან დისერტაციას ეხება. ჩვეულებრივ, პირველი გეგმა, რომელიც მოგაფიქრდებათ, არის მონახაზი, სადაც ჩაწერთ I და II და "ა" და "ბ" და ა.შ.ეტაპებს (იხ. 23.4.2). თუ გირჩევნიათ მონახაზის გამოყენება, ასეც მოიქეცით, განსაკუთრებით, თუკი თქვენი პროექტი შედარებით პატარაა.საქმე იმაშია, რომ მონახაზის დახმარებით მუშაობისას შეიძლება,მოგიხდეთ ძალიან ბევრი რამის ძალიან ადრე დაკონკრეტება და მოხსენების საბოლოო სახით იქამდე ჩამოყალიბება, ვიდრე მას კარგად გაიაზრებდეთ და დაფიქრდებოდეთ.

ამ რისკის თავიდან ასაცილებლად ბევრი მკვლევარი, მათ შორის აკადემიური სფეროს გარეთ მოღვაწე მკვლევრები,ვრცელი მოხსენებების გეგმას „დაფაზე" აგებენ. „დაფა" არის მონახაზის მსგავსი გეგმა, რომელიც რამდენიმე გვერდზეა გაშლილი და სადაც ბევრი სივრცეა დატოვებული მუშაობის პროცესში მონაცემების და იდეების დასამატებლად. „ანგარიშისდაფის" გამოყენება მონახაზით მუშაობაზე მოქნილი მეთოდია: მისი დახმარებით შეგიძლიათ, დაგეგმოთ ფაქტების მოძიება, ჩამოაყალიბოთ არგუმენტი, შექმნათ შავი ნაწერის პირველი ვარიანტი და გამოსცადოთ საბოლოო ნაწერი. ხაზებისგან განსხვავებით, რომლებიც მონახაზში გამოიყენება, შეგიძლიათ ფიზიკურად გადააადგილოთ დაფის გვერდები და არ მოგიწიოთ ყოველ ჯერზე ახალი გეგმის ამობეჭდვა, როდესაც ახალ წყობას ცდით. შეგიძლიათ, მისი გვერდები კედელზე გააკრათ, დააჯგუფოთ დაკავშირებული გვერდები და მცირე ნაწილები დიდ ნაწილებთან დააკრათ, რომ შექმნათ თქვენი პროექტის „სურათი", რომელიც მთლიანობაში გიჩვენებთ გეგმას და ასახავს,როგორ მიდიხართ წინ გეგმის განხორციელებისკენ.

### 2.3.1 ჩამოაყალიბეთ შეკითხვა და სამუშაო ჰიპოთეზა

„დაფის" დასაწყებად პირველი გვერდისზედა ნაწილში რაც შეიძლება ზუსტად დასვით თქვენი შეკითხვა და სამუშაო ჰიპოთეზა. შემდეგ დაამატეთ დამაჯერებელი ვარიანტები, რაც დაგეხმარებათ, უფრო მკაფიოდ დაინახოთ მისი სუსტი და ძლიერი მხარეეები.მათზე ფიქრისას დაამატეთ ახალი ჰიპოთეზა და გადახაზეთ ისინი, რომელთა სიმცდარესაც დაადასტურებთ. უარყოფილი

ჰიპოთეზები შეინახეთ, რადგან შესაძლოა, მოახერხოთ ერთ-ერთი მათგანის შესავალში გამოყენება (იხ. 10.1.1).

2.3.2 ჩამოაყალიბეთ თქვენი მიზეზები

თითოეული გვერდის ზედა ნაწილში ჩაწერეთ ცალკეული მიზეზი, რომელსაც შეუძლია თქვენი საუკეთესო ჰიპოთეზის გამყარება, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მხოლოდ ერთი ან ორი ჰიპოთეზა გაქვთ განსაზღვრული (მიზეზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. პუნქტში 5.4.2). წარმოიდგინეთ, თითქოს მეგობარს უხსნით თქვენს პროექტს. ამბობთ, მსურს ვაჩვენო, რომ ალამოს ისტორიებმა ზეგავლენა მოახდინა ტეხასის ინდივიდუალური თვითმყოფადობის განვითარებაში და თქვენი მეგობარი გეკითხებათ, რატომ ფიქრობ ასე? თქვენი არგუმენტაცია არის ზოგადი განცხადებები, რომლებსაც წარმოადგენთ თქვენი პასუხის დასასაბუთებლად: პირველ რიგში, ისტორიებმა დაამახინჯა ფაქტები, რათა ხაზი გასმოდა იმას, რაც უმნიშვნელოვანესი გახდა ტეხასის თვითმყოფადობაში; მეორე, ისტორიები პირველად იქნა გამოყენებული იმის საჩვენებლად, რომ ტეხასი (და „ველური დასავლეთი”) ახალი სახის საზღვარი იყო; მესამე, ... და ა.შ.

თუ მხოლოდ ერთი ან ორი ვარაუდი გაფიქრდებათ (როგორც წესი, საჭირო იქნება მეტი ვარაუდის მოყვანა), გვერდების ზედა ნაწილში დააკარით ვარაუდი 3: რაიმე ალამოს ისტორიების შესახებ, რის გამოც ტეხასელებს განსაკუთრებულად მიაჩნიათ თავი. თუ იცით მხოლოდ ის, როგორ გსურთ,ვარაუდმაგაამყაროს თქვენი პასუხი, მოიყვანეთვარაუდი 4: რაღაც იმის საჩვენებლად, რომ ალამოს ისტორიები იყო იმაზე მეტი, ვიდრე, უბრალოდ, მითი. თითოეული ვარაუდი, ცხადია, უნდა გამყარდეს.ამდენად, თითოეულისთვის დასვით შეკითხვა: რატომ ვფიქრობ ასე? რა ფაქტის მოყვანა დამჭირდება ამის დასამტკიცებლად? ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენი კვლევის პროცესი ფაქტების ძიებაზე მიმართოთ (იხ. 2.3.3 და 5.4.2).

თუ თქვენთვის ესა თუ ის თემა ახალია ან პროექტის ადრეულ ეტაპზე იმყოფებით, ვარაუდად შესაძლოა, გამოიყენოთ ცოდნაზე დაფუძნებული დაშვება, რომელსაც შემდგომ შეცვლით; თუ ასე არ მოხდა, შესაძლოა, არ იყავით საკმარისად თვითკრიტიკული. მიუხედავად ამისა, ვარაუდების სია, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად სავარაუდოა ის, კვლევის წარმართვის საუკეთესო ჩარჩოა. ამასთან, აზროვნების კონცენტრირების თვალსაზრისით, დანამდვილებით სჯობს ვარაუდების საერთოდ არქონას.

2.3.3 ჩაწერეთ, რა სახის მტკიცებულელებიუნდა მოიძიოთ

- თითოეული სფეროსთვის სასურველია კონკრეტული სახის ფაქტები, ციფრები, ციტატები, დაკვირვებები, ისტორიული ფაქტები, სურათები, და ა.შ. ამდენად, ჩაინიშნეთ, რა სახის ფაქტები დაგჭირდებათ თითოეული არგუმენტის გასამყარებლად. ისიც კი წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ყველაზე დამაჯერებელი დამამტკიცებელი საბუთი. თუ ვერ განსაზღვრავთ, რა სახის ფაქტი დაგჭირდებათ, ცარიელი დატოვეთ გვერდის ეს ნაწილი, შემდეგ გაეცანით მეორად წყაროებს, რომ ნახოთ, რა სახის ფაქტებს ანიჭებენ უპირატესობას მკვლევრები თქვენს სფეროში (იხ. 3.1.2).

2.3.4 შეხედეთ მთლიან გეგმას

განალაგეთ გვერდები მაგიდაზე ან გააკარით კედელზე. შემდეგ დადექით მოშორებით და დააკვირდით თანმიმდევრობას.როდესაც გეგმავთ პირველ შავ ნაწერს, მისი ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით უნდა დაალაგოთ. ასე რომ, ახლავე შეგიძლიათ, დაიწყოთ მასზე ფიქრი. ხედავთ ლოგიკას თანმიმდევრობაში? მიზეზი და შედეგი? თხრობის დრო? ფარდობითი მნიშვნელობა? კომპლექსურობა? სიგრძე? (თანმიმდევრობასთან დაკავშირებული დამატებითი პრინციპები იხ. პუნქტში 6.2.5).მოსინჯეთ სხვადასხვა თანმიმდევრობა. ეს „დაფა" არ არის თქვენი საბოლოო გეგმა; ის, უბრალოდ, ინსტრუმენტია თქვენი აზროვნების წარსამართად და შედეგების ჩამოსაყალიბებლად.

როდესაც გვერდს ავსებთ, სცადეთ შესაბამისი ნაწილის შავი პირის შექმნა, ვინაიდან პროექტის თითოეულ ეტაპზე შესაძლებელია აზრების ქაღალდზე გადატანით აზროვნების გაუმჯობესება.

ერთ დღეს, როდესაც თავისუფალი დრო გექნებათ, შეგიძლიათ, გადახედოთ წყაროებს, წაიკითხოთ მხოლოდ ის ლიტერატურა, რაც თქვენ გაინტერესებთ. ასეთი შემთხვევითი დათვალიერებით კვლევის მნიშვნელოვანი კვანძები გახსნილა. თუმცა, თუ მოხსენება, დაახლოებით, ერთი თვის ვადაში უნდა იყოს მზად, იდეის მოსვლას ვერ დაელოდებით; დაგეგმვა უნდა დაიწყოთ. „დაფა" არის მარტივი და საიმედო ხერხი, რომელიც გეგმის შემუშავებაში დაგეხმარებათ.

## 2.4 წერაზე მომუშავე მხარდამჭერი გუნდის ჩამოყალიბება

სამეცნიერო კვლევის ნაკლოვანი მხარე მისი იზოლირებულობაა. თუ არ ჩავთვლით ჯგუფურ პროექტებს, სამეცნიერო კვლევის დროს უმეტესწილად დამოუკიდებლად კითხულობთ, აზროვნებთ და წერთ. თუმცა, აუცილებელი არ არის, ასე იყოს, ყოველ შემთხვევაში, მთელი პროცესის განმავლობაში მაინც.მოძებნეთ ვინმე, გარდა თქვენი პროფესორის ან ხელმძღვანელისა, რომელიც გესაუბრებათ თქვენს წინსვლაზე, გადახედავს თქვენს სამუშაო ვარიანტებს, იმასაც გეტყვით, რამდენი დაგიწერიაო. ეს შეიძლება იყოს მეგობარი.თუმცა, პირველ რიგში, ეცადეთ,სხვა ავტორი მოძებნოთ, რომ შეძლოთ ერთმანეთის იდეებისა და სამუშაო ვერსიებისირგვლივ მსჯელობა.

კიდევ უფრო უკეთესია წერაზე მომუშავე ოთხი ან ხუთი ადამიანისგან შემდგარი გუნდი.გუნდის წევრები საკუთარ პროექტებზე მუშაობენ და რეგულარულად მართავენ შეხვედრებს, რათა იმსჯელონ ერთმანეთის მიერ გაწეულ სამუშაოზე.ადრეულ ეტაპზე ყველა შეხვედრა დაიწყეთ თითოეული პირის პროექტის რეზიუმეთი, რომელსაც ჩამოაყალიბებთ ამ სამნაწილიანი წინადადებით: მე ვმუშაობ თემაზე X, ვინაიდან მსურს, გავიგო Y, რათა მე (და თქვენ) შევძლოთ Z–ის უკეთ გაგება. მუშაობის პროცესი დაიწყეთ „ლიფტში მოყოლილი ისტორიით", ესაა თქვენი კვლევის რეზიუმე, რომელსაც მოუყვებით ადამიანს, რომელიც შეხვედრაზე ასვლისას ლიფტში დაგემგზავრებათ. რეზიუმე უნდა მოიცავდეს ზემოთ მოყვანილ სამნაწილიან წინადადებას, სამუშაო ჰიპოთეზას და ძირითად გამამყარებელ ვარაუდებს (იხ. 13.4).

შემდგომ ეტაპებზე, გუნდის წევრები ერთმანეთს აცნობენ მონახაზებს და შავ ნაწერებს, რათა განსაზღვრონ, როგორი რეაქცია ექნება საბოლოოდ მკითხველს.თუკი თქვენს გუნდს არ მოეწონა სამუშაო ვარიანტი, საბოლოო მკითხველიც იმავე აზრისა იქნება.გუნდი შეიძლება, დაგეხმაროთ სამუშაოს ერთობლივ განხილვაში, როდესაც გაგიჯანჯლდებათ პროცესი. თუმცა, ავტორთა უდიდესი ნაწილისთვის წერაზე მომუშავე გუნდი ყველაზე მეტად ღირებულია იმ დისციპლინის გამო, რომელსაც ის აწესებს. ვადებში ჩატევა უფრო იოლია, როცა იცით, რომ სხვას უნდა მოახსენოთ თქვენი პროგრესის შესახებ.

წერაზე მომუშავე ჯგუფები სტანდარტულად გამოიყენება თეზისებისა ან დისერტაციებისთვის. თუმცა, წესები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს საკურსო ნაშრომებისთვის.ზოგიერთპედაგოგს მიაჩნია, რომ ჯგუფს ან წერაზე მომუშავე პარტნიორს შეუძლია, გაგიწიოთ სათანადოზე მეტი დახმარება, ამიტომ კარგად გააგებინეთ თქვენს პროფესორს, რა ფუნქცია ექნება გუნდს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლექტორმა შეიძლება, გადაწყვიტოს, რომ დახმარება, რომელიც მიიღეთ, შეუსაბამოა (იხ. 7.10).

## 3. სასარგებლო წყაროების მოძიება

**3.1 განსაზღვრეთ, რა სახის წყაროების გამოყენებას მოელის თქვენგან მკითხველი**

3.1.1 ფაქტების მოძიების მიზნით, მიმართეთ პირველწყაროებს

3.1.2 გაეცანით მეორად წყაროებს, რათა იხილოთ სხვა მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები

3.1.3 გაეცანით მესამეხარისხოვანწყაროებს, რათა ზოგადი წარმოდგენა შეიქმნათ საკითხზე

**3.2 გამოყენებული წყაროები ჩაწერეთ სრულად, ზუსტად და მიღებული წესების თანახმად**

3.2.1 განსაზღვრეთ გამოყენებული ლიტერატურის მითითების სტილი

3.2.2 ჩაწერეთ ბიბლიოგრაფიული მონაცემები

**3.3 ეძებეთ წყაროები რეგულარულად**

3.3.1 მოძებნეთ ადამიანი, რომლისთვისაც თქვენი თემა ნაცნობია

3.3.2 მოიძიეთ მასალები ინტერნეტში

3.3.3 გაესაუბრეთ ბიბლიოგრაფ-ბიბლიოთეკარს

3.3.4 განახორციელეთ ძიება თქვენი სფეროს ბიბლიოგრაფიებში

3.3.5 გადახედეთ თემატურ ცნობარებს

3.3.6 მოიძიეთ მასალები თქვენი ბიბლიოთეკის კატალოგში

3.3.7 მოიძიეთ მასალები პერიოდული გამოცემების ცნობარებში

3.3.8 გადაათვალიერეთ წიგნის თაროები

3.3.9 აკადემიური ხარისხის დასაცავი ნაშრომისთვის, მიჰყევით ბიბლიოგრაფიულ კვალს

**3.4 წყაროების შეფასება შესაბამისობის და სანდოობის კუთხით**

3.4.1 შეაფასეთ წყაროების შესაბამისობა

3.4.2 შეაფასეთ ნაბეჭდი წყაროების სანდოობა

3.4.3 შეაფასეთ ინტერნეტწყაროების სანდოობა

**3.5 ეძებეთ სტანდარტული წყაროების მიღმა**

მას შემდეგ, რაც გექნებათ შეკითხვა და შესაძლოა, სამუშაო ჰიპოთეზაც რამდენიმე გამამყარებელი ვარაუდით, შეგიძლიათ, შეუდგეთ მონაცემების ძიებას. ისინი დაგჭირდებათ ვარაუდის გასამტკიცებლად და ჰიპოთეზის გამოსაცდელად. ამ თავში აგიხსნით, როგორ უნდა მოიძიოთ აღნიშნული მონაცემები, მომდევნო თავში კი მონაცემებზე მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს გაგაცნობთ. თუმცა, წყაროების მოძიებასა და მათ წაკითხვას ცალ-ცალკე საფეხურებად ნუ განიხილავთ. მას შემდეგ, რაც მოიძიებთ, სავარაუდოდ, გამოსადეგ წყაროს, წაიკითხეთ ის, რათა სხვა წყაროები იპოვოთ. „დაფის" ჩანაწერებით შევსების პროცესში აღმოაჩენთ სხვადასხვა ხარვეზს და ახალ შეკითხვას და მხოლოდ დამატებითი წყაროების მეშვეობით იქნება შესაძლებელი ამ ნაპრალების ამოვსება. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ წყაროების მოძიება და გამოყენება

ცალ-ცალკე საფეხურებად გვაქვს განხილული, ამ ორ საქმეს ხშირად არაერთხელ და ერთდროულად გააკეთებთ.

## 3.1 განსაზღვრეთ, რა სახის წყაროების გამოყენებას მოელის თქვენგან მკითხველი

თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე იქმნის მკითხველი მოლოდინს, თუ რა დონის წყაროებს გამოიყენებთ.ეს დონეებია პირველწყარო, მეორადი წყარო და მესამეხარისხოვანი წყარო. აღნიშნული დაყოფა არ წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრულ კატეგორიზაციას. თუმცა, იგი მიახლოებით გამოხატავს, როგორ ახარისხებენ მკვლევრები წყაროების უმეტესობას.

### 3.1.1 ფაქტების მოძიების მიზნით მიმართეთ პირველწყაროებს

ისეთი დარგებისთვის, როგორიცაა ლიტერატურული კვლევა-ძიებანი, ხელოვნება და ისტორია პირველწყაროებს წარმოადგენს მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების და სხვათა მიერ შექმნილი ორიგინალი ნაწარმოებები – დღიურები, წერილები, ხელნაწერები, სურათები, ფილმები, ფილმების სცენარები, ჩანაწერები და მუსიკალური გაფორმებები. ეს წყაროები გვაწვდის მონაცემებს, სიტყვებს, გამოსახულებებს და ბგერებს, რომლებსაც იყენებთ თქვენი ვარაუდის გასამყარებელ საბუთად.მონაცემები შეიძლება, იყოს საგნებიც: მონეტები, ტანსაცმელი, ინსტრუმენტები და სხვა ნიმუშები იმ პერიოდის ან იმ პირის კუთვნილი, რომელსაც შეისწავლით.

ისეთ დარგებში, როგორიცაა ეკონომიკა, ფსიქოლოგია, ქიმია და სხვ., მკვლევრები, ჩვეულებრივ, მონაცემებს დაკვირვების და ექსპერიმენტის გზით აგროვებენ. სხვა დარგებში ისინი მტკიცებულებებს გამოკითხვის გზით კრებენ (შედეგიანი ინტერვიუების ჩასატარებლად ინფორმაციის მოპოვებისა და ჩაწერის სანდო მეთოდები უნდა გამოიყენოთ). ასეთ სფეროებში დამამტკიცებელი საბუთი მოიცავს მონაცემებს, რომლებსაც მკვლევარები აგროვებენ. შეგროვებული მონაცემებისთვის პირველწყაროებს წარმოადგენს პუბლიკაციები, სადაც პირველად გამოქვეყნდა ეს მონაცემები.ასეთი პუბლიკაციები მოიცავს სამთავრობო და კერძო მონაცემთა ბაზებსა და სამეცნიერო ჟურნალებს.

გამოცდილი მკვლევრები მონაცემებს პირველ რიგში პირველწყაროებში ეძებენ. მაგალითად, თქვენ რომ ალამოს ისტორიების შესახებ წერდეთ, შეეცდებოდით, მოგეპოვებინათ იმ პერიოდში დაწერილი წყაროები, წერილები, დღიურები, თვითმხილველთა მონათხრობი და ა,შ.

### 3.1.2 გაეცანით მეორად წყაროებს, რათა იხილოთ სხვა მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები

მეორადი წყაროები არის წიგნები და სტატიები, სადაც გაანალიზებულია პირველწყაროები; ისინი, როგორც წესი, დაწერილია მკვლევრების მიერ სხვა მკვლევრებისთვის. სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, სადაც წარმოდგენილია ალამოს ისტორიების ანალიზი, იქნება მეორადი წყარო მკვლევრებისათვის, რომლებიც მუშაობენ ამ ისტორიებზე. მეორადი წყაროები მოიცავს აგრეთვე თემატურ ენციკლოპედიებს და ლექსიკონებს, რომლებშიც

წარმოდგენილია დარგში მოღვაწე მეცნიერთა მიერ შექმნილი ესეები. მეორად წყაროს მკვლევარი სამი დანიშნულებით იყენებს:

1. რათა არ ჩამორჩეს თანამედროვე კვლევას. მკვლევრები მეორად წყაროებს ეცნობიან, რათა მიიღონ ინფორმაცია სხვათა ნაშრომების შესახებ, რათა გააფართოონ ცოდნა საკითხის ირგვლივ და უკეთ გაიაზრონ იგი.მკვლეევრებისთვის, ასევე, მოტივაციის შემქმნელია ის აზრი, რომ მათი ნაშრომის სახით ახალი მასალა დაემატება უკვე გამოქვეყნებულ კვლევით ლიტერატურას.
2. განსხვავებული თვალსაზრისის გასაგებად. კვლევითი ნაშრომი არ არის დასრულებული, ვიდრე მკვლევარი არ გაითვალისწინებს სხვათა თვალსაზრისს, საკუთარი მკითხველის მოსალოდნელ შეკითხვებსა და მათ განსხვავებულ აზრს (იხ. 5.4.3). განსხვავებული შეხედულებების უდიდესი ნაწილი შეგიძლიათ მოიძიოთ მეორად წყაროებში. როგორია მისი ალტერნატიული თვალსაზრისი? რაში მდგომარეობს მისი არგუმენტები? ზოგიერთ ახალბედა მკვლევარს მიაჩნია, რომ თუ საწინააღმდეგო თვალსაზრისს აღნიშნავენ მოხსენებაში, ამით საკუთარ შეხედულებას დაასუსტებენ. სინამდვილეში პირიქით არის. როდესაც მოიხსენიებთ საწინააღმდეგო თვალსაზრისს, მკითხველს აჩვენებთ, რომ არა მხოლოდ იცით ამ თვალსაზრისის შესახებ, არამედ შეგიძლიათ დამაჯერებლად გამოეხმაუროთ მას (ამ საკითხის შესახებ დამატებით იხ. 5.4.3).

მეტიც, აღნიშნული განსხვავებული თვალსაზრისი უნდა გამოიყენოთ საკუთარი შეხედულებების გასაუმჯობესებლად. ვერ შეძლებთ თქვენი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, თუ არ გეცოდინებათ, რატომ შეიძლება, გამჭრიახ ადამიანს სხვა შეხედულება ჰქონდეს. ამდენად, წყაროების ძიებისას ნუ მოიძიებთ მხოლოდ იმ წყაროებს, რომლებში გამოხატული თვალსაზრისიც თქვენსას ემთხვევა. ეძებეთ წყაროები, რომლებშიც თქვენი შეხედულებების საწინააღმდეგო მოსაზრებაა წარმოდგენილი.

3. საკუთარი კვლევისა და ანალიზისთვის მოდელების მოსაძებნად. მეორადი წყაროები შეგიძლიათ გამოიყენოთ, რათა გაარკვიოთ არა მხოლოდ ის, რა დაწერეს სხვებმა თქვენი საკვლევი თემის შესახებ, არამედ, აგრეთვე, როგორ დაწერეს. ამით შეიტყობთ რა ფორმა და სტილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ნაშრომისთვის. წარმოიდგინეთ, თითქოს მეორადი წყარო არის კოლეგა, რომელიც გესაუბრებათ თქვენი საკვლევი თემის ირგვლივ. მასთან საუბრისას გენდომებათ, საკითხში გარკვეული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოთ. ამდენად, შეეცდებოდით, გაგერკვიათ, როგორ მსჯელობს ის, რა ტერმინებს იყენებს, რა სახის დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს და რომელ მტკიცებულებებს იყენებს იშვიათად ან საერთოდ არ იყენებს. ეს „საუბარი" წერილობითი იქნებოდა, ამდენად, სტილისტური დეტალების იმიტირებასაც კი შეძლებდით. მაგალითად, თქვენი კოლეგა დიდ აბზაცებს იყენებს, თუ გვერდები დაყოფილი აქვს ქვესათაურებად და პუნქტებად (რომელიც გავრცელებულია სოციალურ მეცნიერებებში, ნაკლებად – ჰუმანიტარულში).

მეორადი წყარო შეგიძლიათ, გამოიყენოთ, აგრეთვე, როგორც კონცეპტუალური ანალიზის მოდელი. მაგალითად, თქვენ რომ ალამოს ისტორიების ანალიზს აწარმოებდეთ, ალბათ, შეისწავლიდით, წყაროში როგორ

არის განხილული კასტერის დამარცხება. წყაროში გამოყენებული მიდგომა ფსიქოლოგიური, სოციალური, ისტორიული თუ პოლიტიკურია? თქვენი პროექტისათვის, სავარაუდოდ, იქ წარმოდგენილი კონკრეტული ვარაუდი ან დამამტკიცებელი საბუთი აქტუალური არ იქნება.თუმცა, პასუხის გამტკიცება მსგავსი სახის მონაცემებით და ლოგიკური მსჯელობით, იმავე სახის სტრუქტურის გამოყენებით კი შეგიძლიათ.

ამდენად, თუ აღმოაჩენთ წყაროს, რომელიც კონკრეტულად თქვენს საკვლევ თემას არ შეეხება, მაგრამ მსგავს საკითხს მიმოიხილავს, გადაავლეთ თვალი და დააკვირდით, როგორ მსჯელობს მკვლევარი, როგორ წარმოადგენს ვარაუდსა და დამამტკიცებელ საბუთს (შესაბამისი წყაროს დამოწმება არ არის აუცილებელი, თუ ამ წყაროდან მხოლოდ ზოგად ლოგიკას იყენებთ, თუმცა, შეგიძლიათ, მიუთითოთ ის, რომ თქვენს მიდგომას მეტი დამაჯერებლობა შესძინოთ.)

მკვლევარები მეორად წყაროებში მოყვანილ მონაცემებს მხოლოდ მაშინ იყენებენ, როდესაც ვერ პოულობენ აღნიშნულ მონაცემებს პირველწყაროებში. ისინი სიფრთხილით ეკიდებიან აღნიშნული მეორადი წყაროების გამოყენებას, ვინაიდან მეორად წყაროებში წარმოდგენილი მასალა ხასიათდება ცდომილების მაღალი მაჩვენებლით. თუ თქვენ მაღალი აკადემიური ხარისხის დასაცავ ნაშრომზე მუშაობთ, შეამოწმეთ მეორადი წყაროებიდან მოყვანილი მნიშვნელოვანი ციტატების, ფაქტების ან ციფრების სიზუსტე. ავტორიტეტულ გამოცემებში იშვიათად აქვს ადგილი მიზანმიმართულად დაშვებული უზუსტობას, მაგრამ უყურადღებობით გამოწვეულ შეცდომების შემთხვევა იმაზე უფრო ხშირია, ვიდრე ეს არასპეციალისტებს ჰგონიათ ან ვიდრე ამას სპეციალისტები აღიარებენ.

რა თქმა უნდა, თქვენ რომ იკვლევდეთ, როგორ არის გაანალიზებული ალამოს ისტორია, მაშინ მეორადი წყაროები, სადაც ეს ანალიზია წარმოდგენილი, თქვენთვის პირველწყარო იქნება.

თუ სფეროში ახალბედა ხართ, შესაძლოა, მეორადი წყაროების წაკითხვა რთული მოგეჩვენოთ: მეორადი წყაროების დამუშავება საკითხის ფონის ღრმა ცოდნას მოითხოვს და მრავალი მათგანი არც თუ გარკვევითაა დაწერილი (იხ. 11.2). თუ მუშაობთ თქვენთვის ახალ თემაზე, უპრიანი იქნება, თუ ჯერ საკითხს თემატურ ენციკლოპედიაში ან სანდო მესამეხარისხოვან წყაროში გაეცნობით.

### 3.1.3 გაეცანით მესამეხარისხოვან წყაროებს, რათა ზოგადი წარმოდგენა შეიქმნათ საკითხზე

მესამეხარისხოვანი წყაროები ეფუძნება მეორად წყაროებს. ჩვეულებრივ, ისინი არასპეციალისტების მიერ არის დაწერილი.მათ შორისაა ზოგადი ენციკლოპედიები და ლექსიკონები, აგრეთვე გაზეთები და ჟურნალები, როგორიცაა Time და Atlantic Monthly და ფართო აუდიტორიაზე გათვლილი კომერციული წიგნები. კარგად რედაქტირებულ ზოგად ენციკლოპედიებში წარმოდგენილია მრავალი თემის მოკლე მიმოხილვა. თუმცა, სიფრთხილით მოეკიდეთ ინტერნეტ-ენციკლოპედიებს, როგორიცა „ვიკიპედია", ვინაიდან იქ წარმოდგენილია უცნობი ავტორების მიერ დაწერილი და არა აღიარებული მეცნიერების მიერ შექმნილი, საგულდაგულოდ რედაქტირებული სტატიები. „ვიკიპედიაში" მეტ-ნაკლებად ზუსტი ინფორმაციაა ზუსტ და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.თუმცა, ზოგჯერ, შეიძლება, შეცდომებიც აღმოჩნდეს.არასოდეს მოიხსენიოთ „ვიკიპედია”, როგორც ავტორიტეტული წყარო.

ანალოგიური სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ საჟურნალო და საგაზეთო სტატიების გამოყენებისას. ზოგიერთ სტატიაში მეორად წყაროში მოყვანილი კვლევა სანდოდ არის აღწერილი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, კვლევა მეტისმეტად არის გამარტივებული ან მეტიც, არასწორად არის გადმოცემული. თქვენ, რასაკვირველია, ასეთ წყაროს პირველწყაროდ განიხილავდით, რომ იკვლევდეთ, როგორ არის განხილული წყაროში თემა; მაგალითად, როგორ არის განხილული დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით „ენციკლოპედია ბრიტანიკაში” ან ხრიკები – „ვიკიპედიაში”.

მას შემდეგ, რაც გაერკვევით წყაროების სახეებში, შეძლებთ, დაიწყოთ მათი მოძიება.

## 3.2 გამოყენებული წყაროები ჩაწერეთ სრულად, ზუსტად და მიღებული წესების თანახმად

ვიდრე წყაროების ძიებას დაიწყებდეთ, უნდა იცოდეთ, როგორ უნდა მიუთითოთ გამოყენებული ლიტერატურა. მკითხველი თქვენს ნაშრომს დამაჯერებლად ჩათვლის მხოლოდ მაშინ, თუ ირწმუნებს თქვენ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. თუკი მკითხველი თქვენ მიერ გამოყენებული წყაროების მოძებნას ვერ შეძლებს, თქვენს მტკიცებულებებს არ ენდობა, თქვენი, როგორც მკვლევრის უპირველესი მოვალეობაა გამოყენებული ლიტერატურის ზუსტად და სრულად მითითება, რათა მკითხველმა შეძლოს აღნიშნული ლიტერატურის მოძებნა.

### 3.2.1 განსაზღვრეთ გამოყენებული წყაროების მითითების სტილი

დარგების უდიდეს ნაწილში დადგენილია წყაროს მითითების კონკრეტული სტილი. მითითების ორი ყველაზე მეტად გავრცელებული სტილი დეტალურად მეორე ნაწილშია აღწერილი.

- სქოლიოში მითითების სტილიფართოდ გამოიყენება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და, რიგ შემთხვევებში სოციალურ მეცნიერებებში (იხ. მე-16 და მე-17 თავები).
- ტექსტობრივი მითითების სტილი, უმეტეს შემთხვევებში, გამოიყენება სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (იხ. მე-18 და მე-19 თავები).

თუ არ გაქვთ გადაწყვეტილი, რომელი სტილი გამოიყენოთ, რჩევისთვის პროფესორს მიმართეთ.ვიდრე წყაროების ნუსხის შედგენას დაიწყებდეთ, წაიკითხეთ ზოგადი შესავალი წყაროს მითითების შესახებ მე-15 თავში, შემდეგ, იმის მიხედვით, თუ მითით ბის რომელი სტილის გამოყენება მოგეთხოვებათ, წაიკითხეთ სქოლიოში მითითების სტილის (მე-16 თავი) ან ტექსტობრივი მითითების სტილის (მე-18 თავი) შესავალი.

### 3.2.2 ჩაწერეთ ბიბლიოგრაფიული მონაცემები

დროის დაზოგვის და შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, წყაროს პოვნისთანავე ჩაიწერეთ წყაროს მითითებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი წიგნის სათაურის გვერდზე ან საჟურნალო სტატიის სათაურთან შეგიძლიათ იხილოთ. ის, თუ კონკრეტულად რა ინფორმაცია დაგჭირდებათ, დამოკიდებულია წყაროს სახეზე. თუმცა, თითოეული წყაროსთვის მიუთითეთ, სულ მცირე, შემდეგი:

- ვინ დაწერა ან შეადგინა წყარო?
    - ავტორ(ებ)ი
    - რედაქტორ(ებ)ი
    - მთარგმნელ(ებ)ი

- რა მონაცემების მიხედვით ხდება წყაროს ამოცნობა?
    - სათაური და ქვესათაური
    - უფრო ვრცელი ნაშრომის სათაური და ქვესათაური, სადაც წყაროა ჩართული (როგორიცაა კრებული, ჟურნალი ან გაზეთი)
    - გვერდის ნომრები, თუკი წყარო უფრო ვრცელ ნაშრომშია ჩართული
    - ტომის ნომერი
    - გამოცემის ნომერი
    - რედაქციის ნომერი
    - ინტერნეტმისამართი და მასალის მოპოვების თარიღი, თუ მონაცემები ინტერნეტწყაროების მეშვეობით გაქვთ მოპოვებული

- ვინ და როდის გამოაქვეყნა წყარო?
    - გამომცემლობის დასახელება
    - გამოცემის ადგილი
    - გამოცემის თარიღი

შეგიძლიათ, თქვენთვის ჩაინიშნოთ კონგრესის ბიბლიოთეკის შესაბამისი ნომრები.ამ ნომრებს ბიბლიოგრაფიის მუხლებში არ შეიყვანთ. თუმცა, შესაძლოა, გამოგადგეთ მომავალში, როდესაც წყაროზე მუშაობა დაგჭირდებათ.

გარკვეულ ეტაპზე მოგიწევთ ამ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ფორმატირება მოთხოვნილი მითითების სტილის მიხედვით. ამდენად, წყაროები იმთავითვე შესაბამის სტილში უნდა ჩაწეროთ. სქოლიოში მითით ბის სტილის შაბლონები და ნიმუშები შეგიძლიათ, იხილოთ ნახატში 16.1 და მე-17 თავში; ტექსტობრივი მითითების სტილს ნახავთ 18.1 ნახატსა და მე-19 თავში.

ამ მონაცემების ჩაწერისას გაგიჩნდებათ ტექსტის შემოკლების სურვილი, ვინაიდან ეს მოსაწყენი სამუშაოა და წერტილების, მძიმეების და ბრჭყალების გამოყენების წესები შეიძლება, ოდნავ პედანტურად მოგეჩვენოთ. თუმცა, უფრო თვალსაჩინოდ არაფერი მიანიშნებს დამწყები მკვლევარი რომ ხართ, ვიდრე გამოყენებული წყაროს შეუსაბამო, არასრული ან არაზუსტი მითითება.ამდენად, ჩვევად გაიხადეთ ბიბლიოგრაფიული მონაცემების სრულად, ზუსტად და სათანადოდ ჩაწერა მათზე მუშაობისას. არსებობს კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ავტომატურად აფორმატებს გამოყენებული წყაროების მითითებებს.

ეს სასარგებლო ხერხია, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებს თქვენს ცოდნას სათანადო ციტირების ფორმებისა და მეთოდების შესახებ.ამასთან, ყველა პროგრამა სრულყოფილად არ მუშაობს.

## 3.3 ეძებეთ წყაროები რეგულარულად

წყაროების ძიების პროცესში გონივრული სისტემურობა გმართებთ, რადგან თუ მნიშვნელოვანი წყარო გამოგრჩათ, დამაჯერებლობას დაკარგავთ.

### 3.3.1 მოძებნეთ ადამიანი, რომელმაც რაღაც იცის თქვენი თემის შესახებ

შეგიძლიათ, თავდაპირველად გაიკითხოთ, ვინმემ თუ იცის რაიმე თქვენი თემისა და მასზე არსებული წყაროების შესახებ.შესაძლოა, ასეთი ადამიანები იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები, აკადემიური წრეების გარეთ მოღვაწე ადამიანებიც კი.თემასთან დაკავშირებით ინფორმაცის მოძიება სატელეფონო ცნობარის ყვითელ ფურცლებში შეგიძლიათ.შეიძლება, ყოველთვის ვერ იპოვოთ სათანადო პირი, თუმცა, იქნებ, გაგიმართლოთ კიდეც.

### 3.3.2 მოიძიეთ მასალები ინტერნეტში

კოლეჯში ჩაბარებამდე მოსწავლეების დიდი ნაწილი მხოლოდ ინტერნეტის გამოყენებით ახორციელებს კვლევას, ვინაიდან საშუალო სკოლების ბიბლიოთეკები მცირეა და, ამასთანავე, მხოლოდ რამდენიმე წყაროს მოძებნა სჭირდებათ. კოლეჯშიც შეგიძლიათ გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება ისეთი სამეცნიერო საძიებლის გამოყენებით, როგორიცაა Google Scholar. ამით შეიქმნით ზოგად წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა სახის წყაროები არსებობს. თუ თქვენს ბიბლიოთეკას ონლაინ კატალოგი აქვს, იქაც შეგიძლიათ დაიწყოთ ძიება (იხ. 3.3.6 ქვემოთ). თუმცა, თუ მასალებს მხოლოდ ინტერნეტის გამოყენებით იკვლევთ, გამოგრჩებათ მნიშვნელოვანი წყაროები, რომელთა პოვნაც მხოლოდ ბიბლიოთეკაში ძიების გზით არის შესაძლებელი.კვლავაც შეგახსენებთ, რომ თქვენი სამუშაო უფრო შედეგიანად წარიმართება, თუ გექნებათ გეგმა.

### 3.3.3 გაესაუბრეთ ბიბლიოგრაფ-კონსულტანტს

თუ არ იცით, როგორ უნდა იპოვოთ სასურველი ლიტერატურა, შეეკითხეთ ბიბლიოთეკარს.კოლეჯების ბიბლიოთეკების უმეტესობაში სტუდენტებს სთავაზობენ ტურს სამკითხველო დარბაზებში და ათვალიერებინებენ თემატურ კრებულებს, აგრეთვე უტარებენ მოკლე სემინარებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ეძებონ მასალები კატალოგში, მონაცემთა ბაზებში და ინფორმაციის სხვა წყაროებში. თუ ახალბედა მკვლევარი ხართ, გამოიყენეთ ყოველი შესაძლებლობა, რომ დაეუფლოთ თქვენს სფეროში მასალების ონლაინ ძებნის მეთოდებს.

აგრეთვე, შეგიძლიათ, გაესაუბროთ ბიბლიოთეკარებს, რომლებსაც ამ სფეროში აქვთ მიღებული სპეციალიზაცია. ბიბლიოთეკარი თქვენს მაგივრად ვერ მოძებნის წყაროს, თუმცა დახმარებას გაგიწევთ მოძიებაში. თუ გაქვთ კვლევის შეკითხვა, გააცნით ის ბიბლიოთეკარს: „ვეძებ მონაცემებს X საკითხის შესახებ, ვინაიდან მსურს, გავარკვიო... თუ გაქვთ სამუშაო ჰიპოთეზა და

ვარაუდი, მათ შესახებაც უთხარით: ვეძებ მონაცემებს, რათა ვაჩვენო Y [თქვენი ვარაუდი], ვინაიდან მსურს დავამტკიცო Z [ჰიპოთეზა]''. წინასწარ მოამზადეთ შეკითხვები, რათა არ გაფლანგოთ საკუთარი და ბიბლიოთეკარის დრო.

### 3.3.4 განახორციელეთ ძიება თქვენს თემატურსფეროში

ყველა სფეროში მკვლევრებს აქვთ საერთო ღირებულებები და აზროვნების ყაიდა, თუმცა თითოეულ სფეროს გააჩნია დამახასიათებელი სტილი. იმის გასარკვევად, თუ მუშაობის როგორი მეთოდები გამოიყენება თქვენს სფეროში, გადაათვალიერეთ თქვენი ბიბლიოთეკის საცნობარო დარბაზის თაროები, სადაც მოცემულია გზამკვლევები თქვენს სფეროში კონკრეტული კვლევის მეთოდების, მონაცემთა ბაზების და სპეციალური რესურსების შესახებ (ბიბლიოგრაფიაში იხილეთ მესამე კატეგორიის პუნქტები თქვენი სფეროსათვის). სულ მცირე, გაეცანით შემდეგ რესურსებს (თქვენს სფეროში წყაროების ჩამონათვალისთის იხილეთ მეოთხე კატეგორია ბიბლიოგრაფიაში; მრავალი წყარო, ასევე, ინტერნეტშია განთავსებული):

- თქვენს დარგში წლების მიხედვით გამოქვეყნებული ნაშრომების ბიბლიოგრაფიას, მაგალითად „ფილოსოფოსის ინდექსი" ან „განათლების ინდექსი".
- კონკრეტულ თემაზე ნაშრომების ბიბლიოგრაფიების რეზიუმეს, შეგროვებულს რამდენიმე წლის განმავლობაში (ბიბლიოგრაფიული ინდექსი – ბიბლიოგრაფიების ბიბლიოგრაფია).
- მოკლე მიმოხილვების კრებულს, რომლებშიც შეჯამებულია გაზეთებსა და პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები.
- წლის ნაშრომის რეცენზიას; მოძებნეთ სათაური თქვენს სფეროში, რომელიც იწყება ასე: „რეცენზიები... სფეროში".
- ახალი დარგებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, ვებგვერდებს, რომლებსაც ფლობენ კერძო პირები ან სამეცნიერო ასოციაციები.

თუ ოდნავი წარმოდგენა მაინც გაქვთ, რა სახის მეორადი ლიტერატურა არსებობს თქვენს თემაზე, შეგიძლიათ, დაიწყოთ უფრო მნიშვნელოვანი წყაროების მოძიება (გადადით 3.3.7—3.3.8); თუ არ იცით, შეგიძლიათ დაიწყოთ თემატური ცნობარებით.

### 3.3.5 გადახედეთ თემატურ ცნობარებს

თავდაპირველად საკვლევი თემის შესახებ ინფორმაცია მოიძიეთ შესაბამის თემატურ ენციკლოპედიაში ან ლექსიკონში, მაგალითად, „ფილოსოფიის ენციკლოპედიაში" ან „ოქსფორდის ლიტერატურული ტერმინების ამომწურავ ლექსიკონში", სადაც შეგიძლიათ იხილოთ საკვლევი თემის მიმოხილვა და ხშირად სტანდარტული პირველადი და მეორადი წყაროების სია (იხილეთ საკითხები თქვენი დარგისთვის ბიბლიოგრაფიის პირველ და მე-2 კატეგორიებში).

### 3.3.6 მოიძიეთ მასალები თქვენი ბიბლიოთეკის კატალოგში

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. როგორც კი იპოვით თქვენს თემასთან დაკავშირებულ ერთ ბოლოდროინდელ წიგნს, მოძებნეთ ის თქვენი ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგში. ამგვარად გაიგებთ, რა თემატურ კატეგორიას მიეკუთვნება ის კონგრესის ბიბლიოთეკაში; თემატური კატეგორიები სტატიის ბოლოშია მითითებული. მაგალითად, ინტერნეტში ეს წიგნი შემდეგი თემატური კატეგორიებით არის განსაზღვრული:

1. დისერტაციები, აკადემიური. 2. აკადემიური წერა.

შეგიძლიათ დააჭიროთ კატეგორიაზე, რათა იპოვოთ სხვა წიგნები იმავე თემებზე.ამ წყაროებიდან მრავალ მათგანში იქნება სხვა კატეგორიები, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ კიდევ უფრო მეტი წყაროს მოძიება; ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲫᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ. თქვენს ინტერნეტ-კატალოგში მასალები, ასევე, მოიძიეთ კვლევის შეკითხვიდან ან სამუშაო ჰიპოთეზიდან საკვანძო სიტყვების გამოყენებით – ალამო, ტეხასის დამოუკიდებლობა, ჯეიმს ბოუი. თუ ძალიან ბევრი მასალა ამოვიდა, დაიწყეთ იმ წყაროებით, რომლებიც გამოქვეყნებულია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ცნობილი უნივერსიტეტების გამომცემლობების მიერ.უფრო დიდი არჩევანია WorldCat –ში, თუ თქვენს ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს ეს სერვისი. სხვა შემთხვევაში წყაროები მოიძიეთ კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგში, http://www.loc.gov.აქ იხილავთ ბმულებს მსხვილი უნივერსიტეტების კატალოგებზე. თუ გჭირდებათ ბიბლიოთეკაშორისო აბონემენტი, დროულად დაიწყეთ ამაზე ზრუნვა.

ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ.თუ თქვენს თემაზე არსებული წყაროების უმეტესობა სტატიებია, მოიძიეთ უახლესი სტატიები თქვენი ბიბლიოთეკის „ონლაინ" მონაცემთა ბაზებში.მონაცემთა ბაზის სტატიაში იქნება საკვანძო სიტყვების სია. მოიძიეთ ისინი და შეძლებთ დამატებითი სტატიების მოძებნას. ძირითადად, ამის გაკეთება საკვანძო სიტყვაზე დაჭერით შეგიძლიათ. ზოგიერთ მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილია, აგრეთვე, საჟურნალო სტატიების მოკლე მიმოხილვები. გამოიყენეთ ეს საკვანძო სიტყვები მასალების ბიბლიოთეკის კატალოგში მოსაძებნადაც.

### 3.3.7 მოიძიეთ მასალები პერიოდული გამოცემების ცნობარებში

თუ კვლევა მანამდეც ჩაგიტარებიათ, თქვენთვის, ალბათ, ნაცნობი იქნება ყოველწლიური გზამკვლევები, მაგალითად, „მკითხველის მეგზური სხვადასხვა დროის ლიტერატურაში", სადაც მოყვანილია ისეთი წყაროები, როგორებიცაა ჟურნალები და გაზეთები. უმეტეს დარგში, აგრეთვე, არსებობს ყოველწლიური გზამკვლევი მეორადი წყაროებისთვის, როგორიცაა მოკლე მიმოხილვები ხელოვნების, ისტორიის, და ანთროპოლოგიის სფეროებში (ბიბლიოგრაფიაში იხ. თქვენს დარგში მე-4 კატეგორიის პუნქტები).უმეტესი მათგანი შეგიძლიათ ნახოთ ინტერნეტში ან კომპაქტურ დისკზე.

ყველა აღნიშნული რესურსის გამოყენებით გადახვალთ სხვა რესურსებზე, თუმცა, ვერც ერთი მათგანი ვერ ჩაენაცვლება ძიებას ბიბლიოთეკაში, სადაც მკვლევარი წარმოუდგენლად გამოსადეგ წყაროს აღმოაჩენს ხოლმე.

### 3.3.8 გადაათვალიერეთ წიგნის თაროები

შეიძლება, იფიქროთ, რომ ინტერნეტში ძიება უფრო სწრაფი გზაა, ვიდრე ბიბლიოთეკაში სიარული. თუმცა, შეიძლება ეს მეთოდი უფრო ნელი იყოს და თუ მხოლოდ ინტერნეტში იმუშავებთ, შესაძლოა, გამოგრჩეთ ძალიან მნიშვნელოვანი წყაროები, რომლებიც მხოლოდ ბიბლიოთეკაში შეიძლება, იპოვოთ. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ გამოტოვებთ წყაროს მოულოდნელად თავად აღმოჩენის შესაძლებლობა.

თუ გაქვთ შესვლის უფლება წიგნთსაცავში (სადაც ინახება ყველა წიგნი), იპოვეთ თარო, სადაც განთავსებულია წიგნები თქვენი თემის შესახებ.შემდეგ გადახედეთ თაროზე განთავსებული წიგნების სათაურებს, აგრეთვე ზედა, ქვედა და გვერდით მდებარე თაროებზე დაწყობილ წიგნებს.შემდეგ შემობრუნდით და თქვენ უკან მდებარე წიგნების სათაურები გადაათვალიერეთ; რა იცით, რა ხდება. როდესაც იპოვით სათაურს, რომელიც შესაძლოა, გამოგადგეთ, განსაკუთრებით, თუ ეს არის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოშვებული წიგნი ახალი ყდით. ჩაიკითხეთ მისი სარჩევი, შემდეგ საძიებელი, რათა ნახოთ თქვენს შეკითხვასთან ან პასუხთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვები. შემდეგ გადახედეთ წიგნის ბიბლიოგრაფიას, რათა ნახოთ სათაურები, რომლებიც თქვენს პროექტს შეესაბამება.  ამ ყოველივეს წიგნების თაროსთან უფრო სწრაფად მოახერხებთ, ვიდრე ინტერნეტში.

თუ წიგნი, ერთი შეხედვით,თქვენი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე სასარგებლო ჩანს, თვალი გადაავლეთ მის წინასიტყვაობას ან შესავალს. ამის შემდეგ, თუ დადასტურდა წიგნის გამოსადეგობა, გადადეთ, რათა უფრო დაკვირვებით გაეცნოთ მოგვიანებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ჩანს თქვენთვის სასარგებლო, ჩაინიშნეთ მისი კონგრესის ბიბლიოთეკის ნომერი და ბიბლიოგრაფიული მონაცემები (ავტორი, სათაური, გამომცემლობა, გამოცემის თარიღი და  ა.შ.; დეტალები იხ. ამ სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილში) და რამდენიმე სიტყვით შეაჯამეთ, თქვენი აზრით, რის შესახებ არის წიგნი. ერთი თვის შემდეგ შესაძლოა, მიხვდეთ, რომ ეს წიგნი უფრო გამოსადეგია, ვიდრე მანამდე გეგონათ.

ინტერნეტში შეგიძლიათ მოძებნოთ არაერთი ჟურნალის სარჩევი, თუმცა ბიბლიოთეკაში ჟურნალების სექციაში  ძებნა, შეიძლება, უფრო შედეგიანი აღმოჩნდეს. მოძებნეთ ჟურნალები, სადაც, სავარაუდოდ, გამოსადეგი სტატიებია გამოქვეყნებული. გადახედეთ წინა ათი წლის განმავლობაში გამოცემული ჟურნალების სარჩევებს. ტომებში ძირითადად მოცემულია ყოველწლიური შეჯამებული სარჩევები. შემდეგ სწრაფად გადახედეთ იქვე, თაროზე დაწყობილ ჟურნალებს.გადაათვალიერეთ მათი უახლესი სარჩევები. გაგიკვირდებათ, რამდენად ხშირად იპოვით სათანადო სტატიას, რომელიც გამოგრჩებოდათ, ეს მუშაობა მთლიანად ინტერნეტით რომ ჩაგეტარებინათ.

თუ ახალბედა ხართ მოცემულ დარგში, შეგიძლიათ, წარმოდგენა ჟურნალის მეცნიერულ დონეზე მისი გარეგნული მახასიათებლების მიხედვით შეიქმნათ. თუ ჟურნალი დაბეჭდილია პრიალა ქაღალდზე და მასში ბევრი ილუსტრაცია და რეკლამებიც კი შეგხვდათ, შესაძლოა, ის უფრო ბელეტრისტიკული იყოს, ვიდრე სამეცნიერო. ეს არ არის უტყუარი ნიშნები იმისა, რომ ჟურნალი მეცნიერული არ არის, თუმცა ღირს მათი გათვალისწინებაც.

**3.3.9 მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას მიჰყევით ბიბლიოგრაფიულ კვალს**

თუ მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობთ, გამოიყენეთ წყაროებში მოცემული ბიბლიოგრაფიები, რათა მოძებნოთ ახალი წყაროები, მათი ბიბლიოგრაფიების მეშვეობით კი სხვა წყაროები.გააკეთეთ შემდეგი:

- გადაავლეთ თვალი თქვენს საკვლევ თემაზე არსებული ბოლოდროინდელი წიგნების ბიბლიოგრაფიებს; გადახედეთ ნებისმიერ ნაშრომს, რომელიც მოხსენიებულია ყველა მათგანში ან უმეტესობაში და აღნიშნული ნაშრომის ავტორის სხვა პუბლიკაციებს.
- თუ წყარო გამოსადეგი აღმოჩნდა, გადაავლეთ თვალი მის საძიებელს, რათა მოძებნოთ ავტორები, რომლებიც მითითებულია ოთხ ან მეტ გვერდზე.
- მოძებნეთ კვლევის რეცენზიები საჟურნალო სტატიების პირველ რამდენიმე აბზაცში.
- მოძებნეთ ბოლოდროინდელი სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც ოდნავ მაინც არის დაკავშირებული თქვენს საკვლევ თემასთან. თითქმის ყველა დისერტაციაში კვლევის მიმოხილვა პირველ და მეორე თავებშია წარმოდგენილი.

ახალი წყაროები საუკეთესოა, თუმცა, შეიძლება, აღმოაჩინოთ ძველი წყარო, სადაც მოცემულია მონაცემები, რომლებიც დიდი ხანია ყურადღების მიღმაა დატოვებული.

**3.4 წყაროების შეფასება შესაბამისობის და სანდოობის კუთხით**

სავარაუდოდ, იმაზე გაცილებით მეტ წყაროს იპოვით, ვიდრე გამოყენება შეგიძლიათ. ამდენად, სწრაფად გადახედვისას ორი კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეაფასოთ მათი გამოსადეგობა. ეს კრიტერიუმებია საკვლევ საკითხთან შესაბამისობა და სანდოობა.

**3.4.1 შეაფასეთ წყაროების შესაბამისობა**

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ, რომ წიგნი შეიძლება გამოგადგეთ, სისტემურად გადახედეთ მას:

- თუ წიგნის საძიებელში მოყვანილია საკვანძო სიტყვები, დაკავშირებული საკვლევ საკითხთან ან მის პასუხებთან, გადაათვალიერეთ გვერდები, რომლებზეც ეს სიტყვები გხვდებათ.
- თვალიგადაავლეთ შესავალს, განსაკუთრებით მის ბოლო გვერდს, სადაც ავტორები ხშირად წარმოადგენენ საკუთარი ტექსტის მონახაზს.
- გადახედეთ წიგნის ბოლო თავს, განსაკუთრებით, პირველ და ბოლო ექვს ან შვიდ გვერდს.
- თუ დრო გაქვთ, ანალოგიურად მოიქეცით იმ თავების შემთხვევაში, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლით, განსაკუთრებით, თუ მათში, საძიებლის მიხედვით, ბევრი საკვანძო სიტყვაა.

- თუ წყარო სტატიების კრებულია, გადაავლეთ თვალი რედაქტორის წინასიტყვაობას.
  (დარწმუნდით, რომ ხელთ გაქვთ წიგნის უახლესი რედაქცია. დროთა განმავლობაში მკვლევრები იცვლიან ან სრულყოფენ შეხედულებებს, ზოგჯერ უარყოფენ კიდეც მათ). თუ აკადემიური ხარისხის დასაცავ ნაშრომს ამზადებთ, წაიკითხეთ სავარაუდოდ გამოსადეგი წყაროების რეცენზიები (იხ. თქვენი სფეროს წყაროების ბიბლიოგრაფია მეოთხე ნაწილში).

თუ თქვენი წყარო საჟურნალო სტატიაა, მოიქეცით შემდეგნაირად:

- წაიკითხეთ მისი მოკლე მიმოხილვა, თუ ასეთი არსებობს.
- გადახედეთ პროლოგის (ან სხვა შესავალი ნაწილის) ბოლო ორ ან სამ აბზაცს და მთლიანად – ნებისმიერ ნაწილს, რომელსაც ეწოდება „დასკვნა".
- თუ სტატიას არ აქვს ცალკე შესავალი ან დასკვნა, გადაავლეთ თვალი მის პირველ და ბოლო რამდენიმე აბზაცს.
- გადაავლეთ თვალი პირველ ერთ ან ორ აბზაცს თითოეული ქვესათაურის შემდეგ, თუ ასეთები არსებობს.

თუ წყარო ინტერნეტშია, მაშინ შემდეგნირად მოიქეცით:

- თუ წყაროს ნაბეჭდი სტატიის ფორმა აქვს, მოიქეცით ისე, როგორც საჟურნალო სტატიის შემთხვევაში.
- გადაავლეთ თვალი ნებისმიერ ნაწილს, რომელსაც ეწოდება „შესავალი", „მიმოხილვა", „შეჯამება" და ა.შ. თუ ასეთი ნაწილები არ არის, მოძებნეთ ბმული სახელწოდებით „საიტის შესახებ" ან რაიმე მსგავსი.
- თუ „საიტს" აქვს ბმული სახელწოდებით „საიტის რუკა" ან „საძიებელი", მიჰყევით მას და შეამოწმეთ სია, მოძებნეთ საკვანძო სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს შეკითხვასთან ან მის პასუხებთან. მიჰყევით მათ ბმულებში, რათა გადაათვალიეროთ შესაბამისი გვერდები.
- თუ საიტს აქვს „ძიების" ფუნქცია, ჩაწერეთ საკვანძო სიტყვები თქვენი თემიდან.

### 3.4.2 შეაფასეთ ნაბეჭდი წყაროების სანდოობა

წყაროზე ვერ იმსჯელებთ, ვიდრე არ წაიკითხავთ მას. თუმცა, არსებობს წყაროს სანდოობის ნიშნები, რომლებიც წაკითხვამდეც შეგიძლიათ ამოიცნოთ:

1. ავტორი კარგი რეპუტაციის მქონე მეცნიერია? პუბლიკაციების უმეტესობაში მითითებულია ავტორის ხარისხთან დაკავშირებული მონაცემები; საძიებო სისტემით შეგიძლიათ, მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია. აღიარებული მეცნიერების უმეტესობა სანდოა. თუმცა, ყურადღებით იყავით, ხომ არ არის თემა ისეთი სადავო სოციალური საკითხი, როგორიცაა იარაღის კონტროლი ან აბორტი.კარგი რეპუტაციის მქონე მეცნიერიც კი შეიძლება საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდეს,

განსაკუთრებით, თუ მის კვლევას მხარს უჭერს კონკრეტული ინტერესების დამცველი ჯგუფი.

2. წყარო უახლესია? მრავალი ავტორიტეტული მეცნიერი წერს წიგნებს და სტატიებს და ახდენს სხვათა კვლევების პოპულარიზაციას. იმ დროისთვის, როდესაც თქვენ მათ წაიკითხავთ, ეს მესამეხარისხოვანი წყაროები შესაძლოა, მოძველებული იყოს. თუ რამდენად სწრაფად მოძველდება წყარო, დამოკიდებულია თემაზე, ამდენად, გადაამოწმეთ წყარო პირთან, რომელიც ერკვევა თქვენ სფეროში.სოციალურ მეცნიერებებში საჟურნალო სტატიებისთვის ათ წელზე მეტხნიანი პერიოდი ძალიან ზევრია. წიგნების შემთხვევაში ეს ვადა შეადგენს თხუთმეტიოდე წელიწადს. ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში გამოცემული პუბლიკაციები კი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაშია ვარგისი.
3. წყარო ავტორიტეტული გამომცემლობის მიერ არის გამოქვეყნებული? ყველაზე მეტად შეგიძლიათ ენდოთ საუნივერსიტეტო გამომცემლობებს, განსაკუთრებით, ცნობილი სასწავლებლების გამომცემლობებს. ეს გამომცემლობები ხელნაწერის გამოცემამდე სპეციალისტებს სთხოვენ გადახედვას (ამ პროცესს ეწოდება განხილვა კოლეგების მიერ). შეგიძლიათ, აგრეთვე, ენდოთ ზოგიერთ კომერციულ გამომცემლობას გარკვეულ სფეროებში, მაგალითად „ნორტონს" (Norton) ლიტერატურაში, „აბლექსს" (Ablex) მეცნიერებებში ან „უესტს" (West) სამართალში. კომერციულ წიგნს, სადაც გაკეთებულია სენსაციური განცხადებები, მიუდექით სკეპტიკურად იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ავტორის სახელის გასწვრივ მითითებულია, რომ იგი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორია.
4. გადახედილია სტატია ავტორის კოლეგების მიერ? (უმეტეს სამეცნიერო ჟურნალში, როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ-ვერსიებში, აქვეყნებენ მხოლოდ ისეთ სტატიებს, რომლებსაც კოლეგებმა გადახედეს. კომერციული ჟურნალებიდან მხოლოდ ცოტა იყენებს კოლეგების მიერ გადახედვის მეთოდს და კიდევ უფრო ცოტა ამოწმებს ავტორის მიერ მოყვანილ ფაქტებს. თუ ნაშრომი არ არის კოლეგის მიერ გადახედილი, სიფრთხილით მოეკიდეთ მის გამოყენებას.
5. როგორი რეცენზია აქვს წყაროს მიღებული? თუ წყარო არის წიგნი, რომელიც გამოცემულია ერთ წელზე მეტი ხნის წინ, შესაძლოა, მის შესახებ რეცენზია დაიბეჭდა შესაბამისი დარგის ჟურნალში.მრავალ დარგში არსებობს გამოქვეყნებული რეცენზიების საძიებლები, სადაც იხილავთ, როგორ აფასებენ სხვები აღნიშნულ წყაროს (იხ. ბიბლიოგრაფია).
6. ხშირად აქვთ აღნიშნული წყარო ციტირებული სხვებს? იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად აქვთ სხვა ავტორებს მოცემული წყარო თავიანთ ნაშრომებში ციტირებული, შეგიძლიათ, მიახლოებით განსაზღვროთ, რამდენად მნიშვნელოვანია ის. ამისთვის მიმართეთ გამოყენებული ლიტერატურის საძიებელს ციტირების ინდექსის დასადგენად (თქვენი დარგის ბიბლიოგრაფიაში იხ. მეოთხე ნაწილი).

ესინდიკატორები არ არის იმისი გარანტია, რომ წყარო სანდოა, თუმცა მათ საფუძველზე შეიძლება უფრო თამამად გამოიყენოთ ის. თუ სანდო

წყაროებს ვერ პოულობთ, გაითავისეთ თქვენს ხელთ არსებული ლიტერატურის საზღვრები.რა თქმა უნდა, შეიძლება, იპოვოთ საინტერესო საკვლევი პრობლემა, თუ აღმოაჩენთ, რომ წყარო, რომელიც სანდოდ მიიჩნეოდა, სინამდვილეში არ არის სარწმუნო.

### 3.4.3 შეაფასეთ ინტერნეტწყაროების სანდოობა

ონლაინ წყაროები შეაფასეთ ნაბეჭდი წყაროების მსგავსად, თუმცა მეტი დაკვირვებით. სანდო ინტერნეტწყაროების რაოდენობა დღითი დღე იზრდება, თუმცა, სარწმუნო წყაროები ერთეულებია მცდარი ინფორმაციის მორევში. თუ ეძებთ მასალას, რომლის მოპოვებაც მხოლოდ ინტერნეტში შეიძლება, მოძებნეთ საიტები ან ინტერნეტპუბლიკაციები სანდოობის შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. საიტის მესვეურია სანდო ორგანიზაცია. ზოგიერთი საიტი, რომელსაც კერძო პირი ფლობს, სანდოა, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ასე არ არის.
2. დაკავშირებულია სანდო პროფესიულ ჟურნალთან.
3. წარმოადგენს დამატებით რესურსს სანდო ბეჭდური წყაროებისთვის. ზოგიერთი ჟურნალი შემდეგი მიზნებისთვის იყენებს ინტერნეტს: ავტორებსა და მკითხველს შორის დისკუსიების გასამართად; ისეთი მასალის წარმოსადგენად, რომელიც ძალიან ახალიაიმისათვის, რომ ბიბლიოთეკაში ინახებოდეს; ისეთი მონაცემების დასაარქივებლად, რომლებიც სტატიებში არ არის; აუდიტორიისთვის იმ ილუსტრაციების საჩვენებლად, რომელთა დაბეჭდვაც ძალიან ძვირი ჯდება. მრავალი სამთავრობო და აკადემიური მონაცემთა ბაზა მხოლოდ ონლაინ არსებობს.
4. არ ეწევა აქტიურ პროპაგანდას რაიმე სადავო სოციალური საკითხის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.
5. არ შეიცავს უსაფუძვლო განცხადებებს, სხვა მკვლევრების მტრულ კრიტიკას, შეურაცხმყოფელ გამოთქმებს ან ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და გრამატიკულ შეცდომებს.
6. მიანიშნებს, ბოლოს როდის განახლდა საიტი. თუ თარიღი არ აქვს, სიფრთხილე გამოიჩინეთ.

საიტი მიიჩნიეთ სარწმუნოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებიანი მკითხველი ენდობოდა მათ, ვინც აღნიშნულ საიტს ემსახურება. თუ არ იცით,ვინ ემსახურება ვებსაიტს, ეს დაეჭვების საფუძველი უნდა გახდეს.

ონლაინ მომსახურებების მეშვეობით დღესდღეობით შესაძლებელია,მრავალი შედარებით ძველი ტექსტის სანდო რედაქციების მოპოვება. აგრეთვე, მთელი რიგი უნივერსიტეტების საიტებზე შეგიძლიათ, იხილოთ ჯეროვნად რედაქტირებული ტექსტები. ეს არის „ერთი ფანჯრის პრინციპი"; თქვენ არ მოგიწევთ ადგილიდან გასვლა. თუმცა, ინტერნეტსერვისები სრულყოფილებით საკმაოდ ჩამოუვარდება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების უმეტესობას და მათი გამოყენებით ვერაფერს ისწავლით რეალურ ბიბლიოთეკაში კვლევის ჩატარების შესახებ. ერთ დღეს ყველაფერი, რაც ოდესმე დაბეჭდილა, ინტერნეტში განთავსდება (ამ პერსპექტივასთან დაკავშირებით ზოგიერთ მკვლევარს არაერთგვაროვანი შეხედულება აქვს). თუმცა, მანამდე, ინტერნეტში ძიება ვერ ჩაენაცვლება წიგნთსაცავში მუშაობას.

### 3.5 სხვა რესურსების გამოყენება, გარდა სტანდარტული სახის წყაროებისა

თუ საკურსო ნაშრომზე მუშაობთ, როგორც წესი, აქცენტი უნდა გააკეთოთ კონკრეტულად იმ სახის წყაროებზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება თქვენს სფეროში. თუმცა, თუ მუშაობთ ისეთ პროექტზე, როგორიცაა სამაგისტრო თეზისი ან სადოქტორო დისერტაცია, გამონახეთ შესაძლებლობა, სტანდარტული წყაროების გარდა, სხვა რესურსებიც მოიძიოთ. მაგალითად, თქვენ რომ ამზადებდეთ პროექტს თემაზე „1600 წელს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ცვლილებების ეკონომიკური შედეგები ლონდონის მარცვლეულის ბაზრისთვის", შეგეძლოთ, წაგეკითხათ დედოფალ ელისაბედის ეპოქის დროინდელი პიესები, დაკვირვებოდით მუშათა კლასის ცხოვრების სურათებს ან მოგეძებნათ რელიგიური პირების კომენტარები სოციალური ქცევის შესახებ. თქვენ რომ მუშაობდეთ ლონდონის ყოველდღიური ცხოვრების ვიზუალურ გამოხატულებაზე, შესაძლოა, დაგემუშავებინათ იმ პერიოდის და ადგილის ეკონომიკური ისტორიის ამსახველი მასალა.ზემოაღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია იმ შეზღუდულ ვადაში, რომელიც მოკლე ნაშრომებისთვის გეძლევათ, თუმცა, როდესაც გაქვთ თვეები დიდ პროექტზე სამუშაოდ, შეეცადეთ, შეკითხვასთან დაკავშირებული სტანდარტული წყაროების გარდა სხვა წყაროებსაც გაეცნოთ. ამით გააძლიერებთ არა მხოლოდ კონკრეტულ ანალიზს, არამედ გაიღრმავებთ აზროვნების დიაპაზონს და შეიძენთ სხვადასხვა სახის მონაცემების გაერთიანების უნარს, რაც მაძიებელი გონების მნიშვნელოვანი თვისებაა.

## 4. წყაროების გააზრება

4.1 თავდაპირველად წაიკითხეთ მიუკერძოებლად თქვენი წყარო, რათა გაიგოთ, შემდეგ კი – კრიტიკულად, რათა საფუძვლიანად გაიაზროთ და შეაფასოთ იგი
4.1.1 შემოქმედებითად გამოიყენეთ წყაროში წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომელსაც ეთანხმებით
4.1.2 შემოქმედებითად განავითარეთ წყაროში წარმოდგენილი თვალსაზრისის საწინააღმდეგო მოსაზრება

4.2 სისტემატურად გააკეთეთ ჩანაწერები
4.2.1 შექმენით შაბლონები ჩანაწერებისთვის
4.2.2 იცოდეთ, როდის უნდა გააკეთოთ რეზიუმე ან პერიფრაზი, ან მოიყვანოთ ციტატა
4.2.3 თავიდან აირიდეთ უნებლიე პლაგიატიზმი

4.3 გააკეთეთ გამოსადეგი ჩანაწერები
4.3.1 გაკეთეთ საკვლევი შეკითხვისა და სამუშაო ჰიპოთეზისთვის აქტუალური და საჭირო ჩანაწერები
4.3.2 გააკეთეთ ჩანაწერები, რომლებიც შეესაბამება საკვლევ შეკითხვას და სამუშაო ჰიპოთეზას
4.3.3 ჩაინიშნეთ სათანადო კონტექსტი
4.3.4 კატეგორიებად დააჯგუფეთ თქვენი ჩანაწერები დახარისხების მიზნით

4.4 კითხვის პარალელურად წერეთ

4.5 შეაფასეთ თქვენი პროგრესი
4.5.1 ჩანაწერებში მოძებნეთ პასუხი
4.5.2 გამოიგონეთ შეკითხვა
4.5.3 გადაახარისხეთ თქვენი ჩანაწერები

4.6 დაძლიეთ ამ პროცესისთვის ჩვეული პანიკის შეტევები

მას შემდეგ, რაც იპოვით წყაროს, რომელიც ღირებულად მიგაჩნიათ, ნუ წაიკითხავთ მას მექანიკურად, მხოლოდ ამოსაწერი მონაცემების მოძიების მიზნით. ჩანაწერების გაკეთება არ არის მექანიკური სამუშაო. როდესაც წყაროს შესახებ გაცნობიერებულად აკეთებთ ჩანაწერებს, ყურადღების კონცენტრირებას ახდენთ არა მხოლოდ წყაროში მოცემულ სიტყვებსა და მოსაზრებებზე, არამედ მის მნიშვნელობაზე, შედეგებზე, ნაკლოვანებებსა და ახალ პოტენციალზე. წყაროს მიაპყარით მთელი ყურადღება, თითქოს მისი ავტორი იჯდეს თქვენს წინაშე და მზად იყოს საუბრისთვის (სწორედ ასე უნდა წარმოიდგინოთ მკითხველთან კომუნიკაციაც).

## 4.1 თავდაპირველად წაიკითხეთ მიუკერძოებლად თქვენი წყარო, რათა გაიგოთ, შემდეგ კი – კრიტიკულად, რათა საფუძვლიანად გაიაზროთ და შეაფასოთ იგი

მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას წყაროები, რომლებიც ყველაზე გამოსადეგად გეჩვენებათ, ორჯერ წაიკითხეთ, პირველად სწრაფად და მიუკერძოებლად, რათა გაიგოთ, რა იდეაა მათში გატარებული. თუ აჩქარდებით და არ დაეთანხმებით წყაროში გამოხატულ მოსაზრებებს მათი კარგად გააზრების გარეშე, შეიძლება, არასწორად გაიგოთ რაიმე ან გადაჭარბებული ყურადღება მიაქციოთ მის სუსტ მხარეებს.

შემდეგ კიდევ ერთხელ წაიკითხეთ წყარო, ნელა და კრიტიკულად, თითქოს მეგობარს კეთილგანწყობით, თუმცა, მკაფიოდ უსვამთ შეკითხვებს; წარმოიდგინეთ მისი პასუხები, შემდეგ შეკითხვები დაუსვით. თუ არ ეთანხმებით, წყარო უბრალოდ გვერდზე არ გადადოთ: წაიკითხეთ ის თქვენი თავდაპირველი თვალსაზრისის განვითარების მიზნით.

სავარაუდოდ, წყაროებზე სრულ კონცენტრირებას ვერ შეძლებთ, ვიდრე არ წაიკითხავთ და შეგექმნებათ საკუთარი მოსაზრებები. თუმცა, თავიდანვე ყურადღებით იყავით, რათა წყაროები წაიკითხოთ არა პასიურად, როგორც ჩვეულებრივმა მკითხველმა, არამედ აქტიურად და საფუძვლიანად, როგორც დაინტერესებულმა პარტნიორმა. გარკვეულ ეტაპზე, უმჯობესია, რაც შეიძლება ადრე მოიფიქროთ, როგორ შეიძლება, გასცდეთ წყაროების ფარგლებს მაშინაც კი, როცა მათ ეთანხმებით.

### 4.1.1 შემოქმედებითად გამოიყენეთ წყაროში წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომელსაც ეთანხმებით

ძალიან კარგია, როდესაც წყაროში წარმოდგენილი თვალსაზრისი ემთხვევა თქვენს შეხედულებებს. თუმცა, თუ მას უბრალოდ პასიურად დაეთანხმებით, ვერ განავითარებთ საკუთარ იდეებს. ამდენად, სცადეთ, განავრცოთ ის, რაც წყაროშია მოცემული: რა ახალ თვალსაზრისს შეიძლება მოიცავდეს იგი? რა ახალი იდეები შეუძლია მოგვაწოდოს? შეიცავს თუ არა ის ისეთ დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც თქვენს წყაროში არ არის გათვალისწინებული? ქვემოთ გიჩვენებთ, როგორ შეგიძლიათ შემოქმედებითად მიუდგეთ წყაროში წარმოდგენილ თვალსაზრისს.

**წარმოადგინეთ დამატებითი მტკიცებულებები**. თქვენ გაქვთ ახალი მტკიცებულება წყაროში წარმოდგენილი ვარაუდის გასამყარებლად.

სმიტი იყენებს დაკვირვებაზე დაფუძნებულ მტკიცებულებებს იმის საჩვენებლად, რომ ალამოს ისტორიას ტეხასის გარეთ მითის სტატუსი ჰქონდა. თუმცა, დიდი ქალაქების გაზეთების კვლევის შედეგად უკეთეს მტკიცებულებებს ვიღებთ.

1. წყარო ვარაუდს ძველი მონაცემებით ამყარებს, ხოლო თქვენ შესაძლოა, ახალი დამატკიცებელი საბუთები წარმოადგინოთ.
2. წყარო ვარაუდის გასამყარებლად სუსტ დამამტკიცებელ საბუთს იშველიებს, თქვენ კი შესაძლოა, უფრო ძლიერი მონაცემები წარმოადგინოთ.

**დაადასტურეთ დებულება, რომელიც არ არის გამყარებული.** თქვენ შეგიძლიათ, დაამტკიცოთ რაღაც, რაც წყაროში მხოლოდ დაშვების ან ვარაუდის დონეზეა წარმოდგენილი.

სპორტში შედეგების გასაუმჯობესებლად სმიტი გვირჩევს ვიზუალიზაციის გამოყენებას, ხოლო სპორტსმენების გონებრივი მუშაობის კვლევა გვიჩვენებს, რატომ არის სმიტის რჩევა სასარგებლო.

1. წყაროში მხოლოდ ნავარაუდევია, რომ X სწორია, თქვენ კი შეიძლება, დაამტკიცოთ, რომ ნამდვილად ასეა.
2. წყაროში წარმოდგენილია დაშვება, რომ X სწორია, თქვენ კი შეიძლება, ეს დაამტკიცოთ.

**განავრცეთ დებულება**. თვალსაზრისი შეგიძლიათ, ახალი მიმართულებებით განავრცოთ.

სმიტმა გამოავლინა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ფიზიოლოგიურ პროცესებს უკეთ სწავლობენ, როდესაც მათ საკითხს უხსნიან ბევრი მეტაფორის გამოყენებით, ვიდრე მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთი მეტაფორით შემოიფარგლებიან. როგორც ჩანს, იგივე ხდება ინჟინრების მიერ ფიზიკური პროცესების შესწავლისასაც.

1. წყაროში სწორად არის გამოყენებული დებულება ერთი სიტუაციისთვის, თუმცა, შესაძლოა, ის სხვა სიტუაციებზეც გავრცელდეს.
2. წყაროს მტკიცებით, X სწორია კონკრეტულ სიტუაციაში, თუმცა, შესაძლოა, საზოგადოდაც ასეა.

### 4.1.2 შემოქმედებითად განავითარეთ წყაროში წარმოდგენილი თვალსაზრისის საწინააღმდეგო მოსაზრება

ნაშრომის მომზადებისას კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღნიშნოთ, რომ არ ეთანხმებით წყაროს, რადგან ამან შესაძლოა, აღმოგაჩენინოთ მთელი თქვენი ნაშრომის სამუშაო ჰიპოტეზა. ამდენად, გამოიყენეთ განსხვავებული თვალსაზრისი თქვენი მსჯელობის გასავითარებლად და არ შემოიფარგლოთ მხოლოდ აღნიშვნით, რომ წყაროში წარმოდგენილ თვალსაზრისს არ ეთანხმებით. ქვემოთ მოყვანილია საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვის მაგალითები (მოყვანილი ვარიანტები არ მიეკუთვნება მკაფიოდ გამიჯნულ კატეგორიებს; ბევრი მათგანი ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს).

**წყაროში წარმოდგენილი თვალსაზრისის უარყოფა რაიმეს ბუნებასთან დაკავშირებით.** წყაროში ნათქვამია, რომ რაღაც გარკვეული ბუნებისაა, თუმცა შესაძლოა, ის სხვა ხასიათის არის.

სმიტი ამბობს, რომ გარკვეული რელიგიური ჯგუფები მიიჩნევიან ე.წ. “კულტების რელიგიად” მათი უცნაური რწმენა-შეხედულებების გამო. თუმცა, ამ რწმენა-შეხედულებების ბუნება არ განსხვავდება სტანდარტული რელიგიებისგან.

1. წყაროს მტკიცებით, X მიეკუთვნება Y-ის სახეობას (ან მისი მსგავსია), თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
2. წყაროს მტკიცებით, X ყოველთვის ხასიათდება Y-ით, როგორც ერთ-ერთ თვისებით ან ატრიბუტით, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
3. წყაროს მტკიცებით, X არის ჩვეულებრივი/კარგი/მნიშვნელოვანი/გამოსადეგი/ ზნეობრივი/საინტერესო/..., თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.

(შეგიძლიათ, შეაბრუნოთ ეს ვარაუდები და განაცხადოთ საპირისპირო: მიუხედავად იმისა, რომ წყაროს თქმით, X არ არის Y-ის ბუნების, თქვენ შეგიძლიათ, აჩვენოთ, რომ ეს ასეა.)

**საწინააღმდეგო შეხედულების გამოთქმა ნაწილებისა და მთელის ურთიერთკავშირის შესახებ**. შეგიძლიათ აჩვენოთ, რომ წყარო ცდება იმის შესახებ, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული რაიმეს ნაწილები.

სმიტი აცხადებს, რომ სპორტული მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია განათლებული ადამიანისთვის, თუმცა, სინამდვილეში მძლეოსნობის ადგილი კოლეჯში არ არის.

1. წყაროს მტკიცებით, X არის Y-ის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ, შესაძლოა, ასე არ არის.
2. წყაროს მტკიცებით, X-ის ერთი ნაწილი გარკვეული სახით დაკავშირებულია მის სხვა ნაწილებთან, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
3. წყაროს მტკიცებით, ყოველი X-ის ერთ-ერთი ნაწილია Y, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.

**საკითხის განვითარებასთან ან ისტორიასთან დაკავშირებული საწინააღმდეგო მოსაზრება.** შეგიძლიათ, აჩვენოთ, რომ საკითხის საწყისები და განვითარება არასწორად არის წარმოდგენილი წყაროში.

სმიტი აცხადებს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა გაგრძელდება, თუმცა, ასე არ მოხდება.

1. წყაროს მტკიცებით, X იცვლება, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
2. წყაროს მტკიცებით, X მომდინარეობს Y-დან, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
3. წყაროს მტკიცებით, X განვითარდება გარკვეული სახით, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.

**გარეშე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის უარყოფა.** შეგიძლიათ აჩვენოთ, რომ წყარო მცდარად განიხილავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს:

სმიტი აცხადებს, რომ შესაძლებელია არასრულწლოვანთა დამნაშავეებად ქცევის პრევენცია მოზარდთა გამოსასწორებელი დაწესებულებების დახმარებით. თუმცა, ფაქტები გვიჩვენებს, რომ ასეთი დაწესებულებები ზრდის არასრულწლოვნების დამნაშავეებად ჩამოყალიბების ალბათობას.

1. წყაროს მტკიცებით, X იწვევს Y-ს, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
2. წყაროს მტკიცებით, X იწვევს Y-ს, თუმცა, შესაძლოა, ორივე მათგანს იწვევს Z.
3. წყაროს მტკიცებით, X საკმარისია იმისათვის, რომ გამოიწვიოს Y, თუმცა, შესაძლოა, ასე არ არის.
4. წყაროს მტკიცებით, X მხოლოდ Y-ს იწვევს, თუმცა, შესაძლოა, ის იწვევს აგრეთვე Z-საც.

**გაბატონებული შეხედულების საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვა.** უარყოფის უმეტესი ნაწილი არ ცვლის საკითხის კონცეპტუალურ სტრუქტურას, თუმცა, რაიმე საკითხზე სტანდარტული შეხედულების უარყოფით სხვებს ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისკენ უბიძგებთ.

სმიტი ვარაუდობს, რომ რეკლამირება წმინდა ეკონომიკური საქმიანობაა, თუმცა რეკლამირება, აგრეთვე, ხელოვნების ახალი ფორმების ლაბორატორიაც არის.

1. წყარო განიხილავს X–ს Y-ის კონტექსტში. თუმცა, შესაძლოა, ახალმა კონტექსტმა ან თვალსაზრისმა ახალი ჭეშმარიტება გამოავლინოს (ახალი ან ძველი კონტექსტი შეიძლება, იყოს სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული, ეკონომიკური, ეთიკური, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული და ა.შ.)
2. წყაროში X გაანალიზებულია Y-ის თეორიის/ღირებულებების სისტემის გამოყენებით. თუმცა, შესაძლოა, მოახერხოთ X-ის ახლებურად გაანალიზება და დანახვა.

როგორც აღვნიშნეთ, ვერ შეძლებთ წყაროების ასე გამოყენებას, ვიდრე საკუთარი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად საკმარისი მასალა არ გექნებათ წაკითხული. თუმცა, თუ კითხვის დაწყებისას მსჯელობის ამ გზებს გაითვალისწინებთ, უფრო სწრაფად და შედეგიანად შეძლებთ წყაროებზე კონცენტრირებას.

რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც მიხვდებით, რომ შეგიძლიათ, ეფექტურად დაეთანხმოთ ან არ დაეთანხმოთ წყაროს, უნდა დასვათ შეკითხვა „მერე რა?" რისი მომცემია იმის ჩვენება, რომ სმიტი ცდებოდა, როდესაც ამტკიცებდა, რომ აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა ენთუზიაზმით არ შეხვდა ალამოს ისტორიას, რომ ეს სინამდვილეში პირიქით მოხდა?

## 4.2 სისტემატურად გააკეთეთ ჩანაწერები

ისევე, როგორც პროექტის სხვა ეტაპებისთვის, ჩანაწერების საწარმოებლადაც უმჯობესია, გქონდეთ წინასწარ შემუშავებული გეგმა.

<u>**შარმანი, სკაბრეზობა, გვ. 133. ისტორია/ეკონომიკა (გენდერული საკითხები?)**</u>

დებულება: სკაბრეზობა მე-18 საუკუნეში ეკონომიკური პრობლემა გახდა

ფაქტები: „ჯენტლმენზ მაგაზინ" 1751 წლის ივლისს (გვერდი არ არის მითითებული) იუწყება: ქალს მიუსაჯეს მძიმე შრომა ათი დღის განმავლობაში, ვინაიდან ვერ შეძლო უშვერი სიტყვების გამოყენებისთვის დაკისრებული ჯარიმის, ერთი შილინგის გადახდა.

„... ერთმა ხისტმა ეკონომისტმა გამოთქვა მოსაზრება, გაეზარდათ ეროვნული რესურსები უშვერი სიტყვებით მოლაპარაკე შეძლებული კლასის წინააღმდეგ კამპანიის მოწყობით."

ჩემი შეკითხვები: მამაკაცებს ისევე ხშირად აჯარიმებდნენ, როგორც ქალებს? აქტუალურია დღეს ეკონომიკასა და სკაბრეზობას შორის კავშირი? უშვერი სიტყვებით მოლაპარაკე კომიკოსები უფრო პოპულარულები არიან? სკაბრეზული სიტყვების შემცველი ფილმები უფრო რეალისტურია?

ნახ. 4.1. ჩანაწერების ბარათის ნიმუში

### 4.2.1 შექმენით შაბლონი ჩანაწერებისთვის

ჩანაწერები უფრო სანდო იქნება, თუ მათ ისეთი სისტემის მიხედვით გააკეთებთ, რომელიც დაგეხმარებათ არა მხოლოდ დაუფიქრდეთ წყაროების შინაარსს, არამედ გააანალიზოთ და დაალაგოთ ისინი გამოსადეგ კატეგორიებად. ზოგიერთი პროფესორი დღესაც ურჩევს სტუდენტებს, გააკეთონ ჩანაწერები 3X5 ბარათებზე, როგორც ეს 4.1 ნახატზეა ნაჩვენები. ასეთი ბარათი შეიძლება, ძველმოდურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ის ეფექტიანი ჩანაწერების წარმოების ნიმუშია და გამოსადეგია მაშინაც, როცა ჩანაწერებს კომპიუტერში აკეთებთ. (წყაროდან ამოწერილი თითოეული ზოგადი თვალსაზრისი ან დებულება ცალკე გვერდზე მოათავსეთ.) შაბლონის შექმნის გეგმა ასეთია:

- ყოველი ახალი გვერდის ზედა ნაწილში გამოყავით ადგილი ბიბლიოგრაფიული მონაცემებისთვის (ავტორი, მოკლე სახელწოდება, გვერდის ნომერი).

- ზედა ნაწილში გამოყავით კიდევ ერთი ადგილი საკვანძო სიტყვებისთვის (იხ. ზედა მარჯვენა მხარე). მოგვიანებით ეს სიტყვები დაგეხმარებათ ჩანაწერების საკითხის მიხედვით დახარისხებაში (საკვანძო სიტყვების შესახებ დამატებით იხ. 4.3.4).
- სხვადასხვა შენიშვნისთვის ცალკე ადგილი გამოყავით შაბლონის გვერდზე. შეგიძლიათ, ეს ადგილები დაასათაუროთ კიდეც (იხ. ნახატი 4.1, სადაც გამოყოფილი და დასათაურებულია ადგილები: დებულება, მონაცემები და ჩემი შეკითხვები).
- გამოყავით ნაწილი, რომელიც დაეთმობა თქვენს პასუხებს, თანხმობას, საწინააღმდეგო თვალსაზრისს, მსჯელობას და სხვა თემებს. შედეგად, უბრალოდ, წაკითხულის შინაარსის ჩანიშვნაზე მეტს მიიღებთ.
- როდესაც წყაროდან ციტატა მოგყავთ, ჩაწერეთ ის განსხვავებული ფერით ან სხვა ზომისა და სტილის შრიფტით, რათა ერთი შეხედვით შეძლოთ მისი ამოცნობა. მოათავსეთ ციტატები დიდ ბრჭყალებში, რომ მაინც შეძლოთ მათი სწრაფად შენიშვნა, თუ ფაილის ფორმატი დაიკარგა,
- როდესაც ნაწყვეტის პერიფრაზს აკეთებთ (იხ. 4.2.2), ჩაწერეთ ის განსხვავებული ფერით ან შრიფტით, რათა არ აგერიოთ საკუთარ იდეებში და ჩასვით მრგვალ ფრჩხილებში (გამოგადგებათ, თუ ფაილის ფორმატი დაიკარგა),

თუ პირდაპირ კომპიუტერში ვერ აკეთებთ ჩანაწერებს, გადაიღეთ შაბლონის ასლები.

### 4.2.2 იცოდეთ, როდის უნდა გააკეთოთ რეზიუმე ან პერიფრაზი, ან მოიყვანოთ ციტატა

ტექსტების სიტყვა-სიტყვით ამოწერა ყველა წყაროდან, რომლის გამოყენებაც გსურთ, უსასრულოდ გაგიგრძელდებათ, ამიტომ უნდა იცოდეთ, როდის სჯობს ციტირებას რეზიუმე ან პერიფრაზი.

რეზიუმე გააკეთეთ მაშინ, როდესაც გჭირდებათ ნაწყვეტის, ნაწილის ან, თუნდაც, მთლიანი სტატიის ან წიგნის მხოლოდ ზოგადი აზრი. რეზიუმე გამოსადეგია ზოგადი კონტექსტისთვის ან თქვენი კვლევისთვის აქტუალური, მაგრამ არა პირდაპირ დაკავშირებული ფაქტებისა და შეხედულებებისთვის. წყაროს რეზიუმე არასოდეს გამოდგება კარგ მტკიცებულებად (დამატებით დამამტკიცებელი საბუთების შესახებ იხ. 5.4.2).

პერიფრაზი გააკეთეთ მაშინ, როცა წყაროში მოცემული აზრი შეგიძლიათ უფრო მკაფიოდ ან ხაზგასმით წარმოადგინოთ, ვიდრე ეს წყაროშია მოცემული. პერიფრაზი არ ნიშნავს მხოლოდ ერთი-ორი სიტყვის შეცვლას. პერიფრაზის დროს უნდა გამოიყენოთ *საკუთარი სიტყვები და ფრაზები*, და შეცვალოთ ნაწყვეტში არსებული სიტყვების და ფრაზების უმეტესობა (იხ. 7.9.2). პერიფრაზი არასოდეს გამოდგება ისეთივე კარგ დამამტკიცებელ საბუთად, როგორიც ზუსტი ციტატაა.

ზუსტი ციტატები გამოიყენეთ შემდეგ შემთხვევებში:

- ციტირებული სიტყვები წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც ამყარებს თქვენს ვარაუდს. თუ, მაგალითად, გსურთ, განაცხადოთ, რომ სხვადასხვა

რეგიონში ალამოს ბრძოლას განსხვავებული გამოხმაურება ჰქონდა, მოიყვანეთ ზუსტი ციტატები სხვადასხვა გაზეთებიდან. ხოლო მათი პერიფრაზი გააკეთეთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მიზანია ზოგადი განწყობის ჩვენება.
- სიტყვები ეკუთვნის ავტორიტეტულ წყაროს, რომელიც ემხრობა თქვენს თვალსაზრისს.
- ციტატა საოცრად ორიგინალურია.
- ციტატა გამოხატავს თქვენს იდეებს ისე საინტერესოდ, რომ შემდგომი მსჯელობისთვის კარგ სტრუქტურას ქმნის.
- ციტატა გამოხატავს თვალსაზრისს, რომელსაც არ ეთანხმებით და, ობიექტურობის მიზნით, გსურთ, ის ზუსტად წარმოადგინოთ.

თუ თავიდანვე არ ჩაიწერთ მნიშვნელოვან სიტყვებს, მოგვიანებით ვერ მოახერხებთ მათ ციტირებას. ამდენად, გადაწერეთ ნაწყვეტები ან გადაიღეთ მათი ასლები, ისინი იმაზე ხშირად დაგჭირდებათ, ვიდრე გგონიათ (ასლების გადაღების შესახებ დამატებით იხ. 4.3.1). არასოდეს შეამოკლოთ ციტატა იმ იმედით, რომ მოგვიანებით შეძლებთ მის აღდგენას. თუ ციტატას არასწორად წარმოადგენთ, ზიანს მიაყენებთ თქვენი ნაშრომის სანდოობას. ამდენად, გადაამოწმეთ ციტატა ორიგინალთან. შემდეგ კიდევ ერთხელ შეამოწმეთ.

### 4.2.3 თავიდან აირიდეთ უნებლიე პლაგიატი

ჩანაწერების დაუდევრად გაკეთების გამო არაერთი სტუდენტი და სპეციალისტი აღმოჩენილა სავალალო მდგომარეობაში – უმნიშვნელო საგნის გამო დაცინვის ობიექტები გამხდარან ან უნებლიე პლაგიატის გამო სამეცნიერო წრეებიდან გაურიცხავთ. ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად, კარგად დაიმახსოვრეთ ჩანაწერებში ინფორმაციის ჩანიშვნის ორი ძირითადი წესი:
- ყოველთვის მკაფიოდ გამოყავით წყაროდან მოყვანილი ციტატები და იდეები, რათა კვირების ან თვეების შემდეგ არ შეგეშალოთ და საკუთარი არ გეგონოთ. როგორც ზემოთ გირჩიეთ, ბრჭყალებში ჩასვით ციტატები და პერიფრაზები, აგრეთვე, გამოიყენეთ შრიფტი, რომელიც მკაფიოდ გამოარჩევს მათ თქვენი იდეებისგან.
- არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან ისე მიახლოებული პერიფრაზი, რომ მკითხველმა ორიგინალად ჩათვალოს (იხ. 7.9.2).

ამასთანავე, ნაცვლად იმისა, რომ ხელით აკრიფოთ ის ციტატები, რომლებსაც რამდენიმე ხაზზე მეტი ადგილი უკავია, ჩამოტვირთეთ მათი ელექტრონული ვერსია ან გადაიღეთ მათი ასლი. ჩამოტვირთული ან გადაღებული გვერდის ზედა ნაწილში დაამატეთ წყაროს დასახელება და დახარისხებისთვის საჭირო საკვანძო სიტყვა.

მნიშვნელოვანია: არასოდეს ივარაუდოთ, რომ შეგიძლიათ, გამოიყენოთ ინტერნეტში მოძიებული მასალა წყაროს მითითების გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის უფასო და საჯაროდ ხელმისაწვდომია. არაფერი განთავისუფლებთ ვალდებულებისგან, მიუთითოთ ნებისმიერი ისეთი მასალის წყარო, რომელიც

პირადად არ შეგიქმნიათ (პლაგიატის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. 7.9.)

## 4.3 გააკეთეთ გამოსადეგი ჩანაწერები

მკითხველი შეაფასებს თქვენს ნაშრომს არა მხოლოდ წყაროების ხარისხისა და მათი ზუსტად მითითების მიხედვით, არამედ, აგრეთვე, იმით, თუ რამდენად ეფექტურად იყენებთ წყაროებს. ამისათვის ჩანაწერები ისე უნდა აწარმოოთ, რომ არა მხოლოდ ასახავდეს წყაროს, არამედ გეხმარებოდეთ კიდეც პროექტის უკეთ გააზრებაში.

### 4.3.1 აწარმოეთ ჩანაწერები, რათა უკეთ წარმართოთ მსჯელობის პროცესი

მრავალ გამოუცდელ მკვლევარს მიაჩნია, რომ ჩანაწერების გაკეთება მხოლოდ მონაცემების ჩაწერაა. წყაროს მოძიების შემდეგ ისინი ჩამოტვირთავენ მასალას, გადაიღებენ გვერდების ასლებს, ან ზუსტად გადაწერენ წყაროდან ტექსტს. ტექსტის ამოწერა და ასლის გადაღება დაგეხმარებათ ზუსტ ციტირებასა და პერიფრაზირებაში, თუმცა, თუ მხოლოდ ამით შემოიფარგლებით, თუ წყაროებს ღრმად არ გააანალიზებთ, უბრალოდ, დააგროვებთ უამრავ უსარგებლო მონაცემს, რომელსაც ნაშრომში ვერ გამოიყენებთ.

თუ მრავალი ტექსტის ასლს იღებთ, გაუკეთეთ მათ ანოტაციები ისე, რომ დაგეხმაროთ მათ კრიტიკულად გააზრებაში. თავდაპირველად შეარჩიეთ ის წინადადებები, რომლებიც რომელიმე თავში ან სტატიაში გამოხატავს მნიშვნელოვან ელემენტებს (დებულებას, ძირითად ვარაუდს და ა.შ.). მონიშნეთ ისინი ან მინდორზე გაუკეთეთ შენიშვნა. შემდეგ მონიშნეთ იდეები ან ინფორმაცია, რომელთა ჩართვასაც აპირებთ ნაშრომში. (თუ იყენებთ მარკერს, გამოიყენეთ სხვადასხვა ფერი განსხვავებული ელემენტების გამოსაყოფად.)

შემდეგ, გადაღებული გვერდების უკანა მხარეს შეაჯამეთ, რაც მონიშნეთ ან ჩაინიშნეთ მათზე პასუხის მონახაზი, ან კიდეზე გააკეთეთ ჩანაწერები, რომლებიც დაგეხმარებათ მონიშნული ტექსტის განმარტებაში. რაც უფრო მეტ ინფორმაციას ჩაინიშნავთ წყაროს შესახებ თავიდანვე, მით უკეთ გაიგებთ და გაიხსენებთ მას მოგვიანებით.

### 4.3.2 გაკეთეთ საკვლევი შეკითხვისა და სამუშაო ჰიპოთეზისთვის აქტუალური და საჭირო ჩანაწერები

მაქსიმალურად გამოსადეგი ჩანაწერების გასაკეთებლად ამოწერეთ არა მხოლოდ ფაქტები, რომელთაც, თქვენი აზრით, დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენებთ, არამედ ის მონაცემებიც, რომლებიც დაგეხმარებათ განმარტოთ ეს ფაქტები და მათი კავშირი თქვენს დებულებასთან. შეგიძლიათ, შექმნათ ჩანაწერების შაბლონი, რაც გაგახსენებთ, რომ უნდა მოიძიოთ განსხვავებული სახის მონაცემები (იხ. 4.2.1).

ეს სამი ელემენტი პირდაპირ კავშირშია თქვენს სამუშაო ჰიპოთეზასთან:

- ვარაუდი, რომელიც ამყარებს თქვენს ჰიპოთეზას ან მიანიშნებს, რომ საჭიროა ახალი ჰიპოთეზა;
- დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ამყარებს თქვენს ვარაუდს;
- შეხედულებები, რომლებიც ასუსტებს ან, თუნდაც, ეწინააღმდეგება თქვენს ჰიპოთეზას;

ჩანაწერებში მხოლოდ დამამტკიცებელ ფაქტებს ნუ ჩაინიშნავთ. თქვენი ჰიპოთეზის დამტკიცებისას დაგჭირდებათ იმ მონაცემების განხილვა, რომლებიც ასუსტებს ან თუნდაც ეწინაღმდეგება მას (იხ. 5.4.3).

ქვემოთ წარმოდგენილი ელემენტები შეიძლება, არ ასაბუთებდეს ან ეწინააღმდეგებოდეს თქვენს ჰიპოთეზას, მაგრამ შესაძლოა, გამოგადგეთ მისი კონტექსტის განმარტებისთვის ან, უბრალოდ, ნაშრომის უკეთ გამართვაში:
- თქვენი შეკითხვის ისტორიული ფონი: რას ამბობენ ავტორიტეტული პირები ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ადრეულ კვლევებში (იხ. 6.2.2 და 10.1.1);
- ისტორიული ან თანამედროვე კონტექსტი, რომლითაც აიხსნება თქვენი შეკითხვის მნიშვნელოვნება;
- მნიშვნელოვანი განმარტებები და ანალიზის პრინციპები;
- ანალოგიები, შედარებები და ისტორიები, რომლებიც შეიძლება, პირდაპირ არ ამტკიცებდეს თქვენს ჰიპოთეზას, მაგრამ განმარტავდეს ან უკეთ წარმოაჩენდეს რთულ საკითხებს ან, უბრალოდ, უფრო საინტერესოს ხდიდეს თქვენს ანალიზს;
- თქვენს თემასთან დაკავშირებული განსაკუთრებულად ორიგინალური ტექსტი

### 4.3.3 ჩაიწერეთ სათანადო კონტექსტი

ისინი, ვინც შეგნებულად არასწორად გადმოსცემს წყაროებიდან ინფორმაციას, არაკეთილსინდისიერია, მაგრამ კეთილსინდისიერმა მკვლევარმაც შეიძლება, დაუშვას უნებლიე შეცდომა, თუ სიტყვებს უბრალოდ ჩაიწერს და ყურადღებას არ მიაქცევს მათ მნიშვნელობას ან გამოსადეგობას. მკითხველი რომ შეცდომაში არ შეიყვანოთ, მისდიეთ შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს:

1. ნუ ივარაუდებთ, რომ წყარო ეთანხმება მწერალს, როდესაც წყაროში შეჯამებულია მწერლის მსჯელობა. ციტატის სახით მოიტანეთ მხოლოდ ის, რასაც წყარო ეთანხმება და არა წყაროში წარმოდგენილი სხვათა შეხედულებები, თუ, რაღა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი საჭირო არ არის თქვენი ნაშრომისთვის.
2. ჩაწერეთ, რატომ ეთანხმება წყარო აღნიშნულ შეხედულებას, რადგან თანხმობის მიზეზი შეიძლება, ისევე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც განსხვავებული აზრისა. ორი ფსიქოლოგი შეიძლება თანხმდებოდეს იმაზე, რომ მოზარდებში ალკოჰოლიზმი გამოწვეულია სოციალური გარემოს ზეგავლენით, თუმცა, ერთმა შეიძლება, დაიმოწმოს ოჯახური გარემო, მეორემ კი – თანატოლების ზეგავლენა.

3. ჩაინიშნეთ ციტატის კონტექსტი. როდესაც ჩაიწერთ მნიშვნელოვან დასკვნას, მიუთითეთ ავტორის მსჯელობაც:

არასწორია: ბარტოლი (გვ. 123): ომი გამოიწვია.... Z-მა.

სწორია: ბარტოლი: ომი გამოიწვია Y-მა და Z-მა (გვ. 123), მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო Z (გვ. 123), ორი მიზეზით: პირველი, ....(გვ. 124-26); მეორე, ...(გვ. 126)

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხოლოდ დასკვნა გაინტერესებთ, უფრო ზუსტად გამოიყენებთ მას, თუ ჩაინიშნავთ, როგორ გამოიტანა ავტორმა ეს დასკვნა.

4. ჩაინიშნეთ, რა ჩარჩოებშია მოქცეული და რამდენად მტკიცედ არის წარმოდგენილი თითოეული დებულება. არ წარმოაჩინოთ ის უფრო ძლიერად და ვრცლად, ვიდრე ეს წყაროშია მოცემული. ქვემოთ წარმოდგენილ მეორე წინადადებაში პირველის შინაარსი სათანადოდ და ზუსტად არ არის გადმოცემული.

რისკის აღქმის შესახებ ჩატარებული ერთი კვლევა (უილსონი 1988) ამბობს, რომ არსებობს ურთერთკავშირი დიდ ფსონებზე აზარტულ თამაშებში ჩაბმასა და არასრულ ოჯახებს შორის.

უილსონის (1988) თქმით, არასრული ოჯახი იწვევს დიდ ფსონებზე აზარტულ თამაშებში ჩაბმას.

5. ჩაიწერეთ, როგორ არის წარმოდგენილი წყაროში თვალსაზრისი. აღნიშნეთ, ეს მნიშვნელოვანი ვარაუდია, უმნიშვნელო საკითხი, შესწორება თუ აღიარება და ა.შ. ასეთი განსხვავებების გაკეთებით შეძლებთ შემდეგი სახის შეცდომის თავიდან აცილებას:

ორიგინალი ჯოუნსის მიერ: “ის, რომ ერთი მოვლენა მეორეს შემდეგ ხდება, არ გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ პირველი მეორეს იწვევს. არც სტატისტიკურ კორელაციას შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. თუმცა, ვისაც შეუსწავლია სათანადო მონაცემები, ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ მოწევა ფილტვის კიბოს გამომწვევი ფაქტორია.”

შეცდომაში შემყვანი გადმოცემა: ჯოუნსი აცხადებს, „ის, რომ ერთი მოვლენა მეორის შემდეგ ხდება, არ გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ პირველი მეორეს იწვევს. არც სტატისტიკურ კორელაციას შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.” ამდენად, სტატისტიკური მონაცემები არ არის სარწმუნო მაჩვენებელი იმის, რომ მოწევა ფილტვის კიბოს იწვევს.

### 4.3.4 კატეგორიებად დააჯგუფეთ თქვენი ჩანაწერები დახარისხების მიზნით

დაბოლოს, კონცეპტუალურად შრომატევადი ამოცანა: ჩანაწერების წარმოებისას თითოეულის შინაარსი მოაქციეთ ორი ან რამდენიმე განსხვავებული საკვანძო სიტყვის ქვეშ, კატეგორიებში (იხ. ნახატი 4.1, ბარათის ზედა მარჯვენა კუთხე). ჩანაწერებიდან სიტყვები მექანიკურად არ გამოიყენოთ: ჩანაწერის კატეგორია განსაზღვრეთ იმის მიხედვით, რაც მასში იგულისხმება. კატეგორია უნდა მოიცავდეს უფრო ვრცელ თემას, ვიდრე ჩანაწერის სპეციფიკური შინაარსი. შექმენით გამოყენებული საკვანძო სიტყვების სია და დაკავშირებული ჩანაწერებისთვის გამოიყენეთ ერთი და იგივე საკვანძო სიტყვები. ყოველი ახალი ჩანაწერისთვის ახალ საკვანძო სიტყვას ნუ შექმნით.

ეს საფეხური ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან გიბიძგებთ, ჩანაწერის შინაარსი ერთ ან ორ სიტყვაში დაატიოთ. თუ ჩანაწერებს კომპიუტერში აკეთებთ, საკვანძო სიტყვები დაგეხმარებათ ბრძანება „ძებნის" გამოყენებით მომენტალურად დააჯგუფოთ დაკავშირებული ჩანაწერები. თუ ერთზე მეტ საკვანძო სიტყვას იყენებთ, შეგიძლიათ, გადააჯგუფოთ ჩანაწერები სხვადასხვანაირად, რათა მათ შორის ახალი კავშირები აღმოაჩინოთ (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა გრძნობთ, რომ სწრაფად მიიწევთ წინ; იხ. 4.5.3).

## 4.4 წერეთ კითხვის პარალელურად

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (და კვლავაც გავიმეორებთ), წერა ფიქრისკენ გიბიძგებთ. ასე რომ, ნუ დაელოდებით აზრის გონებაში დახვეწას, რომ ის ფურცელზე გადაიტანოთ. გამოცდილმა მკვლევრებმა იციან, რომ რაც უფრო მეტს დაწერენ, მით უფრო მალე და უკეთ ჩაწვდებიან საკითხს. სარწმუნო წყაროების თანახმად, წარმატებული მკვლევრების უმეტესობას ყოველდღიურად საწერად განსაზღვრული დრო აქვს გამოყოფილი – თხუთმეტი წუთიდან ერთ საათზე მეტი. მათ შესაძლოა, მხოლოდ ერთი აბზაცი დაწერონ, სადაც წარმოდგენილი იქნება მოსაზრება წყაროში გამოთქმული შეხედულების შესახებ, მსჯელობის შეფასება ან მსჯელობა ახალი ვარაუდის თაობაზე. თუმცა, მნიშვნელოვანი ის არის, რომ ისინი რაღაცას წერენ არა ნაშრომის შავი ნაწერის პირველი ვარიანტის შესაქმნელად, არამედ საკუთარი აზრების დასალაგებლად და, ალბათ, ახალი იდეების აღმოსაჩენად. თუ კვლევის მიზნებს აცდებით ხოლმე, გაიკარით გრაფიკი კომპიუტერთან.

თუ დაწერთ რაიმეს, რაც, თქვენი აზრით, გამოგადგებათ, დაამატეთ ის „დაფაზე". ამ ჩანაწერს თითქმის ყოველთვის შეასწორებთ შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტში შეტანამდე, ან შეიძლება საერთოდაც არ გამოიყენოთ. თუმცა, მისი მხოლოდ მცირე ნაწილიც რომ გამოიყენოთ, რაც მეტს დაწერთ, თუნდაც მხოლოდ მონახაზის სახით, მით მეტად გაგიადვილდებათ შავი ნაწერის შექმნა. წერისთვის მომზადება და შავი ნაწერის შექმნა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პროცესი არ არის, თუმცა, სასურველია, ისინი განცალკევებულ საფეხურებად განიხილოთ.

თუ თემაზე ახლახანს დაიწყეთ მუშაობა, წერის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად, შეიძლება, მხოლოდ რეზიუმეები და პერიფრაზები აკეთოთ. როდესაც თქვენს ჩანაწერებს თვალს გადაავლებთ, მასში მაინცდამაინც ბევრ თქვენს მოსაზრებას ვერ იპოვით და შეიძლება, გულიც დაგწყდეთ, რომ ორიგინალური იდეები არ გაქვთ. ამან არ უნდა დაგაბრკოლოთ. სწორედ რეზიუმესა და პერიფრაზის გაკეთებით ვამუშავებთ ახალ მონაცემებს, ახალ და რთულ იდეებს. ეს მსჯელობის ახალი გზების აღმოჩენაშიც კი გვეხმარება. თითქმის ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ცოდნის გაღრმავებას ესწრაფვის, იმის ამოწერა, რის გაგებასაც ცდილობს, სტანდარტული და, ალბათ, აუცილებელი ეტაპიც კია.

## 4.5 შეაფასეთ თქვენი პროგრესი

გამუდმებით გადახედეთ ჩანაწერებს და „დაფას", რათა ნახოთ, რა ეტაპზე ხართ და რა უნდა გააკეთოთ. შევსებული გვერდები ფაქტებით გამყარებულ ვარაუდებზე მიანიშნებს; ცარიელი გვერდები მიანიშნებს, რომ წინ სამუშაო გაქვთ. შეამოწმეთ, ისევ ვარგისია თუ არა თქვენი სამუშაო ჰიპოთეზა, სად მსჯელობაზეა ის აგებული? ამ მსჯელობის გამამყარებელი კარგი საბუთები გაქვთ? შეგიძლიათ ახალი ვარაუდის ან დამამტკიცებელი მონაცემების დამატება?

### 4.5.1 პასუხი მოძებნეთ ჩანაწერებში

როგორც ადრე გირჩიეთ, უნდა განსაზღვროთ სამუშაო ჰიპოთეზა ან ის შეკითხვა მაინც, რომელსაც კვლევის წარმართვისთვის გამოიყენებთ. თუმცა, ზოგიერთი ავტორი კვლევას ისეთი ბუნდოვანი შეკითხვით იწყებს, რომ პასუხის ძიებაში ის საერთოდ ქრება. თუ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდით, მოძებნეთ თქვენს ჩანაწერებში განზოგადება, რომელიც სამუშაო ჰიპოთეზად გამოდგება, შემდეგ კი საპირისპიროდ მოიქეცით და მოძებნეთ შეკითხვა, რომელსაც ეს განზოგადება პასუხობს.

პირველ რიგში, წყაროებში ეძიეთ შეკითხვები, საწინააღმდეგო აზრები, თავსატეხები, დაუკვირდით, რა რეაქცია გაქვთ მათზე (იხ. 2.1.3 და 4.1). თქვენთვის მოულოდნელი რამ შესაძლოა, სხვებისთვისაც სიურპრიზი იყოს. ჩამოაყალიბეთ, თქვენი აღმოჩენები:

მეგონა, რომ ალამოს პირველი მითიური ისტორიები წარმოიქმნა ტეხასში, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. ისინი მომდინარეობს...

ეს წინასწარი ჰიპოთეზა გვეუბნება, რომ ალამოს მითი თავდაპირველად ეროვნული მოვლენა იყო და არა რეგიონული მნიშვნელობის — მოკრძალებული, თუმცა, იმედის მომცემი დასაწყისია.

თუ საკუთარ ჩანაწერებში ჰიპოთეზას ვერ პოულობთ, მოძებნეთ იდეები, რომლებმაც შეიძლება, მიგიყვანოთ ჰიპოთეზამდე. თუ მონაცემები ბუნდოვანი შეკითხვის გარშემო შეაგროვეთ, ისინი, ალბათ, სავარაუდო საკვანძო სიტყვების

მიხედვით დაახარისხეთ. ნიღბებზე რომ გქონოდათ მონაცემები, კატეგორიები შესაძლოა, ყოფილიყო მათი წარმომავლობა (აფრიკული, ინდიელთა, იაპონური...), დანიშნულება (დრამატურგია, რელიგია, კარნავალი...), მასალა (ოქრო, ბუმბული, ხე, ...), და ა.შ. მაგალითად:

ეგვიპტელები – წარჩინებულ პირთათვის ოქროსგან დამზადებული მუმიის ნიღბები, ხის მასალისგან – სხვებისთვის.

აცტეკები – ოქროს და ნეფრიტის ნიღბები, ჩამარხული მხოლოდ წარჩინებულთა საფლავებში.

ახალი გვინეის ტომები – იშვიათი ფრინველის ბუმბულისგან დამზადებული ნიღბები გარდაცვლილთათვის.

ამ ფაქტებით შესაძლებელია შემდეგნაირი ზოგადი დებულების გამყარება: ის ხალხები, რომელთა კულტურაშიც გავრცელებულია ნიღბები, რელიგიურ ნიღბებს ყველაზე ძვირფასი მასალისგან აკეთებენ. ასეთ ნიღბებს უფრო გარდაცვლილთათვის ამზადებენ.

მას შემდეგ, რაც შექმნით ასეთ ორ ან სამ თვალსაზრისს, სცადეთ, ჩამოაყალიბოთ კიდევ უფრო ვრცელი განზოგადება, რომელიც შეიძლება, ყველა თქვენს თვალსაზრისს მოიცავდეს:

**მრავალი კულტურა უზარმაზარ მატერიალურ და ადამიანურ რესურსს ახმარს ისეთი ნიღბების დამზადებას, რომლებიც მათ ყველაზე სათუთ ფასეულობებს გამოხატავს.** განზოგადება ეგვიპტელებმა, აცტეკებმა და ოკეანეთის ხალხებმა რელიგიური ნიღბები უიშვიათესი და უძვირფასესი მასალებისგან შექმნეს. ოკეანეთის ხალხების კულტურებში ნიღბების დამზადებაში ჩართულია მამაკაცების უმეტესობა. თუმცა, ეგვიპტელები და აცტეკები ამ საქმისთვის გამოყოფენ ყველაზე ნიჭიერ მხატვრებსა და ოსტატებს.

თუ თვლით, რომ ზოგიერთი მკითხველი შეიძლება, არ დაეთანხმოს ამ განზოგადებას, შეგიძლიათ, ის წარმოადგინოთ ისეთ დებულებად, რომელიც მკითხველის მცდარ წარმოდგენას შეცვლის.

### 4.5.2 გამოიგონეთ შეკითხვა

ეს რთული ნაწილია და მოითხოვს პროცესის საპირისპირო მიმართულებით წარმართვას: თქვენ იპოვეთ პასუხი შეკითხვაზე, რომელიც არ დაგისვამთ. ამდენად, მსჯელობა საპირისპირო მიმართულებით უნდა წარმართოთ, რათა განსაზღვროთ შეკითხვა, რომელზე პასუხიც ახალი განზოგადება იქნება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, ეს პროცესი ასე გამოიყურება: „რა ნიშნები მეტყველებს ნიღბების მნიშვნელობაზე იმ საზოგადოებებში, სადაც მათ ამზადებენ და იყენებენ? რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, გამოცდილი

მკვლევრები ხშირად აღმოაჩენენ შეკითხვას მას შემდეგ, რაც პასუხს გასცემენ მას, ხოლო პრობლემას, რომელიც უნდა წამოეყენებინათ, აღმოაჩენენ მას შემდეგ, რაც მას გადაჭრიან.

### 4.5.3 ხელახლა დაახარისხეთ თქვენი ჩანაწერები

თუ ზემოაღნიშნული რჩევები შეასრულეთ, მაგრამ მაინც არაფერი გამოგივიდათ, სცადეთ ჩანაწერების ხელახლა დახარისხება. როდესაც ჩანაწერებისთვის პირველად შეარჩიეთ საკვანძო სიტყვები, განსაზღვრეთ ზოგადი იდეები, რომელთა მიხედვითაც დაახარისხებდით არა მარტო მტკიცებულებებს, არამედ თქვენს აზრებსაც. თუ ამ იდეების ამსახველი საკვანძო სიტყვები ყურადღებით შეარჩიეთ, შეგიძლიათ, სხვადასხვანაირად დააჯგუფოთ ჩანაწერები, რომ მასალა ახალ ჭრილში დაინახოთ. თუ გეჩვენებათ, რომ საკვანძო სიტყვები აღარ არის აქტუალური, გადახედეთ ჩანაწერებს, რომ ახალი საკვანძო სიტყვები შექმნათ. შემდეგ კვლავ გადაახარისხეთ ისინი.

## 4.6 დაძლიეთ პროცესისთვის ჩვეული პანიკის შეტევები

ახლა კი დროა, შევეხოთ პრობლემას, რომელსაც წაწყდომია გამოცდილი მკვლევარიც კი და რაღაც მომენტში თქვენც შეგეხებათ. როდესაც თვალს გადაავლებთ ასობით ჩანაწერს და სხვადასხვა თვალსაზრისს, გაურკვევლობა და შეშფოთება დაგეუფლებათ. მოგეჩვენებათ, რომ ამოცანა სულ უფრო რთულდება და ვერ ახერხებთ მის ამოხსნას.

საქმე იმაშია, რომ არ არსებობს ასეთი სიტუაციის თავიდან აცილების გარანტირებული გზა. თუმცა, დამაიმედებელია ის, რომ უმეტესი ჩვენგანი ვარდება ასეთ მდგომარეობაში და, როგორც წესი, თავს ართმევს მას. თქვენც დაძლევთ მას, თუ გააგრძელებთ მუშაობას, მისდევთ გეგმას, ამოხსნით მცირე და მართვად ამოცანებს, ნაცვლად იმისა, რომ მთლიან პროექტს ერთბაშად შეეჭიდოთ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უჯობესია დროულად დაიწყოთ პროექტზე მუშაობა, დაყოთ დიდი პროექტი უმცირეს ნაწილებად და დასახოთ გონივრული გეგმები, მაგალითად, განსაზღვროთ, რამდენი გვერდი უნდა დაწეროთ ყოველდღიურად.

მრავალი მწერალი ცდილობს, კვლევით მიღებული გამოცდილებით გაიმდიდროს ცოდნა. ამისთვის აწარმოებენ ჟურნალს; ესაა დღიური, სადაც ინიშნავენ, რა გააკეთეს და აღმოაჩინეს, რა მსჯელობა და თვალსაზრისი განავითარეს, რატომ დაასაბუთეს ან არ დაასაბუთეს დებულება. წერა კარგი მეთოდია იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გააანალიზოთ წაკითხული მასალა და, ამავდროულად, უკეთ გაერკვეთ საკუთარ აზრებში.

# 5. არგუმენტის დაგეგმვა

## 5.1 რა არის და რა არ არის კვლევის არგუმენტი

## 5.2 ააგეთ არგუმენტი მკითხველის შეკითხვებზე გაცემული პასუხების გარშემო

## 5.3 აქციეთ სამუშაო ჰიპოთეზა დებულებად

## 5.4 შეკრიბეთ არგუმენტის ელემენტები

5.4.1 ჩამოაყალიბეთ და შეაფასეთ დებულება
5.4.2 გაამყარეთ დებულება ვარაუდით და მტკიცებულებებით
5.4.3 გაითვალისწინეთ და უპასუხეთ მკითხველების თვალსაზრისს
5.4.4 დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდის შესაბამისობა

## 5.5 განასხვავეთ ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტები მსჯელობაზე დაფუძნებული არგუმენტებისგან

## 5.6 არგუმენტის შეკვრა

ადამიანების უმეტესობას წერას კითხვა ურჩევნია. ყოველთვის მოიძებნება კიდევ ერთი წასაკითხი სტატია, მორიგი მოსაძიებელი წყარო, დამატებით შესაგროვებელი მონაცემები. თუმცა, კვლევის ჩატარებაზე ბევრად ადრე დგება მომენტი, როდესაც უნდა დაიწყოთ ფიქრი ნაშრომის შავი ნაწერის პირველ ვარიანტზე. ამისთვის, ალბათ, მზად იქნებით მაშინ, როდესაც თქვენი „დაფა" შეივსება და მისი სისრულე დაგაკმაყოფილებთ. გეცოდინებათ, რომ მზად ხართ შავი ნაწერის შესაქმნელად, როდესაც ჩათვლით, რომ შეგიძლიათ, გააკეთოთ სამუშაო ჰიპოთეზის დამასაბუთებელი ვარაუდის მონახაზი (იხ. 2.3). თუ თქვენი „დაფა" გავსებულია, მაგრამ ჯერ ვერ აგებთ საკმარისად ძლიერ ვარაუდს შავი ნაწერის დასაგეგმად, ალბათ, უნდა გადახედოთ ჰიპოთეზას, შესაძლოა, თქვენს შეკითხვასაც კი. მაგრამ ზუსტად ვერ გაიგებთ, რა ეტაპზე ხართ, ვიდრე არ ცდით პირველი შავი ნაწერის დაგეგმვას.

თუ ნაშრომების წერაში გამოცდილება არ გაქვთ, გირჩევთ, შავი ნაწერის პირველი ვარიანტის დაგეგმვა ორ საფეხურად განახორციელოთ:

- დაახარისხეთ ჩანაწერები კვლევის არგუმენტის ელემენტებად;
- დააწყვეთ ეს ელემენტები ლოგიკური თანმიმდევრობით;

ამ თავში აგიხსნით, როგორ უნდა ააწყოთ არგუმენტი; მომდევნო თავში განვიხილავთ, როგორ უნდა ჩამოაყალიბოთ ის. გამოცდილების მიღებასთან ერთად, ისწავლით ამ ორი საფეხურის ერთ საფეხურში გაერთიანებას.

## 5.1 რა არის და რა არ არის კვლევის არგუმენტი

სიტყვა არგუმენტი დღესდღეობით ცუდ ასოციაციას იწვევს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ რადიოსა და ტელევიზიებში ისინი აქტიურად გამოიყენება სადავო სიტუაციებში. თუმცა, კვლევით ნაშრომში არგუმენტის დანიშნულება არ არის ოპონენტის დაშინება, გაჩუმება ან დამორჩილება. რეალურად, კვლევითი ნაშრომის შემთხვევაში, „ოპონენტი" თითქმის საერთოდ არ არსებობს. ნებისმიერი კარგი არგუმენტის მსგავსად, კვლევის არგუმენტი ჰგავს გულღია საუბარს, რომლის დროსაც თქვენ და წარმოსახვითი მკითხველი მსჯელობთ, რათა გადაჭრათ პრობლემა, რომლის გადაჭრის გზაც მკითხველისთვის, ჯერ-ჯერობით, მისაღები არ არის. ეს არ ნიშნავს, რომ მკითხველი ეწინააღმდეგება თქვენს დებულებას (თუმცა, შესაძლოა, ასეც იყოს). ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის არ აღიარებს დებულებას, ვიდრე არ იხილავს კარგ, სანდო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ვარაუდებს, ვიდრე არ უპასუხებთ მის გონივრულ შეკითხვებსა და საწინააღმდეგო აზრს.

პირისპირ საუბრისას საერთო არგუმენტის შექმნა (და არა ქონა) მარტივია: თქვენ განაცხადებთ საკუთარ ვარაუდს და მის მტკიცებულებებს არა ისე, როგორც ამას ლექტორი გააკეთებდა მდუმარე აუდიტორიის წინაშე, არამედ ისე, თითქოს, თქვენთან ერთად მაგიდის გარშემო მსხდომ მეგობრებს ესაუბრებოდეთ: მათ წარუდგენთ დებულებას და რამდენიმე ვარაუდს, რის გამოც მეგობრებმა უნდა ირწმუნონ ამ დებულების მართებულობა; მსმენელები არკვევენ დეტალებს, გამოთქვამენ საწინააღმდეგო აზრს ან წარმოადგენენ საკუთარ თვალსაზრისს; თქვენ მათ პასუხობთ, ალბათ, უსვამთ შეკითხვებსაც; ისინიც კვლავ გისვამენ შეკითხვებს. საუკეთესო შემთხვევაში, ესაა მეგობრული, მაგრამ გააზრებული ორმხრივი ურთიერთობა, რომლის დროსაც უალიბდება და გამოიცდება საუკეთესო თვალსაზრისი, რომლის შექმნაც ერთობლივად შეგიძლიათ.

წერის დროს ასეთი თანამშრომლობა უფრო რთულია, ვინაიდან, როგორც წესი, თქვენ დამოუკიდებლად წერთ (თუ არ წერთ გუნდურად; იხ. 2.4) და, ამდენად, არა მხოლოდ უნდა უპასუხოთ წარმოსახვითი მკითხველის შეკითხვებს, არამედ, აგრეთვე, მის მაგივრადაც დასვათ შეკითხვები – ისე ხშირად და მწვავედ, როგორც მკითხველები დასვამდნენ. თუმცა, თქვენი მიზანი არ არის მხოლოდ გონივრული რიტორიკული სტრატეგიების მოფიქრება, რომლებიც დაარწმუნებს მკითხველს, დაეთანხმოს თქვენს დებულებას იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგია ის. თქვენი მიზანია დებულების, განსაკუთრებით, მისი გამამყარებელი ვარაუდის გამოცდა, რათა, როდესაც ნაშრომს მკითხველს წარუდგენთ, მას საუკეთესო თვალსაზრისი შესთავაზოთ. კარგ კვლევით ნაშრომში მკითხველმა უნდა შეძლოს ამ წარმოსახვითი საუბრის ნიშნის დანახვა.

როგორც აღვნიშნეთ, ფაქტებზე დაფუძნებული ლოგიკური მსჯელობა არ წარმოადგენს გონივრული დასკვნის გამოტანის ერთადერთ გზას; ზოგჯერ ის არც არის საუკეთესო გზა. კარგ გადაწყვეტილებებს ხშირად ვიღებთ ინტუიციაზე, გრძნობებზე ან შინაგან გამჭრიახობაზე დაყრდნობით. თუმცა,

როდესაც ვცდილობთ ავხსნათ, რატომ მიგვაჩნია ჩვენი თვალსაზრისი მართებულად და რატომ უნდა ირწმუნონ ეს სხვებმაც, ვერ ვახერხებთ, წარმოვაჩინოთ, როგორ ჩამოგვიყალიბდა აღნიშნული თვალსაზრისი, ვინიდან ვერ მოვიყვანთ მტკიცებულებად ინტუიციას ან გრძნობებს, რომ მკითხველმა მათი შეფასება შეძლოს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია, მოვუთხროთ მკითხველს ინტუიციის ან განწყობის შესახებ და ვთხოვოთ, ირწმუნოს ჩვენი შეხედულება. ეს არის თხოვნა, რომელსაც საზრიანი მკითხველი იშვიათად ასრულებს.

თუმცა, კვლევის არგუმენტის შექმნისას უნდა წარმოადგინოთ თქვენი ვარაუდები და მტკიცებულებები ისე, რომ მკითხველმა შეძლოს მათი გათვალისწინება; შემდეგ უნდა წარმოიდგინოთ მკითხველის შეკითხვები და თქვენი პასუხები. ეს უფრო რთული ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია.

## 5.2 ააგეთ არგუმენტი მკითხველის შეკითხვებზე გაცემული პასუხების გარშემო

მარტივია, წარმოიდგინოთ, რა სახის საუბარი უნდა გამართოთ მკითხველთან, ვინაიდან ამას ყოველდღე აკეთებთ:

**ა:** გავიგე, რომ გასულ სემესტრში სირთულეებს წააწყდი. როგორ ფიქრობ, როგორ ჩაივლის ეს სემესტრი? [ა წამოჭრის პრობლემას შეკითხვის ფორმით.]

**ბ:** ვიმედოვნებ, რომ უკეთესად. [ბ პასუხობს შეკითხვას.]

**ა:** რატომ ფიქრობ ასე? [ა სთხოვს, წარმოადგინოს ვარაუდი, რათა დაიჯეროს ბ-ს პასუხი.]

**ბ:** მე გავდივარ კურსებს მთავარ საგანში. [ბ წარმოადგენს ვარაუდს.]

**ა:** რა კურსებს? [ა სთხოვს ბ-ს, წარმოადგინოს მტკიცებულებები ვარაუდის გასამყარებლად.]

**ბ:** ხელოვნების ისტორია, შესავალი კურსი დიზაინში. [ბ წარმოადგენს მტკიცებულებებს საკუთარი ვარაუდის გასამყარებლად.]

**ა:** რა იცვლება იმით, რომ გადიხარ კურსებს მთავარ საგანში? [ა ვერ ხედავს ბ-ს მიერ წარმოდგენილი ვარაუდის კავშირს მის შეხედულებასთან, რომ უკეთესი შედეგები ექნება]

**ბ:** როდესაც გავდივარ კურსებს, რომლებიც მაინტერესებს, უფრო ბეჯითად ვმეცადინეობ. [ბ წარმოადგენს ზოგად პრინციპს, რომელიც ეხება მის ვარაუდს იმ შეხედულებასთან დაკავშირებით, რომ უკეთესი შედეგები ექნება.]

**ა:** რას იტყვი მათემატიკის კურსზე, რომელიც სავალდებულოა? [ა ეწინააღმდეგება ბ-ს მიერ წარმოდგენილ ვარაუდს.]

**ბ:** ბოლოს, როდესაც მათემატიკაში მომზადება დავიწყე, თავის დანებება მომიხდა. თუმცა, კარგი კერძო მასწავლებელი მოვნახე. [ბ აღიარებს ა-ს მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო აზრს და პასუხობს მას.]

თუ შეგიძლიათ, საკუთარი თავი წარმოიდგინოთ ა-ს ან ბ-ს როლში, ახალს ვერაფერს იპოვით კვლევის მოხსენების არგუმენტში, ვინაიდან თქვენ ქმნით მას იგივე ხუთი სახის შეკითხვებზე პასუხების გაცემით:

- რა არის თქვენი დებულება?
- რა ვარაუდი ამყარებს მას?
- რა მტკიცებულებები ამყარებს ამ ვარაუდებს?
- როგორ პასუხობთ საწინააღმდეგო თვალსაზრისს და ალტერნატიულ შეხედულებებს?
- როგორ შეესაბამება თქვენი ვარაუდები დებულებას?

თუ ამ ხუთ შეკითხვას დასვამთ და პასუხს გასცემთ, ვერ იქნებით დარწმუნებული, რომ მკითხველი დაეთანხმება თქვენს თვალსაზრისს. თუმცა, უფრო გაზრდით ალბათობას, რომ მკითხველი თქვენს დებულებას და თავად თქვენ სერიოზულად აღგიქვამთ.

## 5.3 აქციეთ სამუშაო ჰიპოთეზა დებულებად

ჩვენ აღვწერეთ, რომ კვლევის ადრეული ეტაპები მოიცავს შეკითხვის განსაზღვრას და წინასწარი პასუხის წარმოდგენას. აღნიშნულ პასუხს სამუშაო ჰიპოთეზა ვუწოდეთ. ახლა, როდესაც განვიხილავთ ამ ჰიპოთეზის გამამყარებელი არგუმენტის შექმნას, ბოლოჯერ ვცვლით ტერმინოლოგიას. როდესაც ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ, დაწეროთ მოხსენება, რომელიც ამყარებს ჰიპოთეზას კარგი დებულებებით და დამამტკიცებელი საბუთით, ამ ჰიპოთეზას წარმოადგენთ, როგორც არგუმენტის დებულებას. დებულება არის თქვენი არგუმენტის ბირთვი, თქვენი მოხსენების დედაარსი (ზოგიერთი პედაგოგი მას თეზას უწოდებს).

## 5.4 შეკრიბეთ არგუმენტის ელემენტები

არგუმენტის ბირთვი შედგება სამი ელემენტისგან: დებულება, მის მისაღებად საჭირო ვარაუდები და მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებს ამ ვარაუდს. ამ ბირთვს ამატებთ ერთ, შესაძლოა, ორ ელემენტს: ერთი პასუხობს შეკითხვებზე, საწინააღმდეგო თვალსაზრისზე და ალტერნატიულ თვალსაზრისზე; მეორე პასუხობს მათ, ვისაც არ ესმის, როგორ შეესაბამება თქვენი ვარაუდი დებულებას.

### 5.4.1 ჩამოაყალიბეთ და შეაფასეთ დებულება

დაიწყეთ „დაფის" (ან მონახაზის) ახალი პირველი გვერდი. ძირში დაწერეთ დებულება ერთი ან ორი წინადადებით. ჩამოაყალიბეთ ის მაქსიმალურად კონკრეტულად, ვინაიდან ამ დებულებაში გამოყენებული სიტყვები დაგეხმარებათ შავი ნაწერის დაგეგმვასა და შექმნაში. მოერიდეთ ბუნდოვან, მნიშვნელოვნების განმსაზღვრელ სიტყვებს, როგორიცაა მნიშვნელოვანი, საინტერესო, საყურადღებო, და ა.შ.

შეადარეთ:

*ნიღბებს მნიშვნელოვანი დანიშნულება აქვს მრავალ რელიგიურ რიტუალში.*

*კოლუმბის პერიოდამდელი ამერიკის, აგრეთვე, აფრიკისა და აზიის კულტურებში ნიღბები იძლეოდა რელიგიურ დღესასწაულებზე ღვთაებების გაცოცხლების შესაძლებლობას, რათა თაყვანისმცემლებს შექმნოდათ მათთან უშუალო შეხების განცდა.*

ახლა შეაფასეთ თქვენი დებულების მნიშვნელობა (კვლავ შეკითხვა „მერე რა?"). მნიშვნელოვანი დებულება მკითხველს არ აფიქრებინებს – „მე ეს ვიცი", არამედ – „მართლა? რა საინტერესოა. რატომ მიგაჩნია ასე?" (გადახედეთ 2.1.4.) ეს მომდევნო ორი დებულება ძალიან ტრივიალურია იმისათვის, რომ ღირდეს მოხსენების მოსამზადებლად მათ შესახებ დამატებითი წყაროების კითხვა და მით უმეტეს, რაიმეს დაწერა:

*ამ მოხსენებაში განხილულია ხალხური ლეგენდების, მაგალითად, ალამოს ბრძოლის ისტორიის, სწავლება დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის. [მერე რა, თუ ასეა?]*

*დაწყებით განათლებაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ჩვენი ქვეყნის ისტორიის სწავლება ისეთი ხალხური ლეგენდების მეშვეობით, როგორიცაა ალამოს ბრძოლა. [მერე რა, თუ ასეა?]*

რა თქმა უნდა, ის, თუ რას ჩათვლის თქვენი მკითხველი საინტერესოდ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ცოდნა აქვს მას. თუ კვლევითი კარიერის ადრეულ ეტაპზე იმყოფებით, ამის წინასწარ გათვლას ვერ შეძლებთ. თუ მუშაობთ ერთ-ერთ პირველ კვლევით პროექტზე, დაუშვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მკითხველი თავად ხართ. თუმცა, თუ ფიქრობთ, რომ თქვენივე დებულება ბუნდოვანი ან უმნიშვნელოა, ესე იგი არ ხართ მზად მისი დასასაბუთებელი არგუმენტის შესაკრებად, რადგან არ გაქვთ ამ არგუმენტის შესაქმნელად საჭირო ვარაუდი.

**5.4.2** გაამყარეთ დებულება ვარაუდით და ფაქტებით

შესაძლოა, ცხადია, რომ უნდა დაასაბუთოთ დებულება ვარაუდითა და ფაქტებით. თუმცა, ეს ორი სიტყვა იოლად შეიძლება, აგერიოთ ერთმანეთში, ვინაიდან მათ ხშირად ვიყენებთ ერთი და იმავე რამის გამოსახატად:

რა ვარაუდებზე აფუძნებთ თქვენს დებულებას?

რა ფაქტებზე აფუძნებთ თქვენს დებულებას?

თუმცა, მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ:

- ჩვენ ვაყალიბებთ ლოგიკურ ვარაუდებს, თუმცა, ვაგროვებთ ძლიერ ფაქტებს; არ ვაგროვებთ მტკიცე ვარაუდებს და ვიგონებთ ლოგიკურ დამამტკიცებელ ფაქტებს. ვაფუძნებთ ვარაუდებს დამამტკიცებელ ფაქტებზე; ჩვენ არ ვაფუძნებთ ფაქტებს ვარაუდებზე.

- ვარაუდი არის აბსტრაქტული და არ უნდა დაიმოწმოთ მისი წყარო (თუ ასე აპირებდით). ფაქტი, როგორც წესი, თქვენი მოგონილი ან მოფიქრებული არ არის; ამდენად, ყოველთვის უნდა მიუთითოთ წყარო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის საკუთარი დაკვირვების ან ექსპერიმენტის შედეგად მოიპოვეთ; შემდეგ უნდა აჩვენოთ, რა გააკეთეთ მის საპოვნელად.

- ვარაუდი უნდა მყარდებოდეს ფაქტებით; ფაქტებს არ უნდა სჭირდებოდეს სხვა სახით გამყარება სანდო წყაროს მითითების გარდა.

პრობლემა ის არის, რომ რაც უტყუარ ფაქტად და, შესაბამისად, მტკიცე საბუთად მიგაჩნიათ, შესაძლოა, მკითხველისთვის არ იყოს უტყუარი ფაქტი და მტკიცე საბუთი. მაგალითად, დავუშვათ, მკვლევარი წარმოადგენს შემდეგ დებულებას და ვარაუდს:

ალამოს ისტორიები ასახავდა ღირებულებებს, რომლებიც უკვე არსებობდა ამერიკულ ხასიათში. დებულება. ისტორია თითქმის მაშინვე გადაიქცა ლეგენდად ამერიკელთა საგმირო თავგანწირვის შესახებ. ვარაუდი

ამ ვარაუდის გასამყარებლდ, ის გვთავაზობს „მტკიცე" ფაქტებს:

ბრძოლიდან მოკლე ხანში, მრავალმა გაზეთმა გამოიყენა ისტორია, რათა წარმოეჩინა ჩვენი გმირული ნაციონალური ხასიათი. დამამტკიცებელი ფაქტი.

თუ მკითხველი აღიარებს ამ დებულებას, როგორც ფაქტს, მან შესაძლოა, აღიაროს ის, როგორც დამამტკიცებელი საბუთი. თუმცა, სკეპტიკურად განწყობილი მკითხველი, ისეთი, როგორსაც უნდა მოელოდეთ (უნდა იმედოვნებდეთ კიდეც, რომ ასეთი შეგხვდებათ), სავარაუდოდ, დასვამს

შეკითხვებს: რას ნიშნავს მალე? რამდენია ბევრი? რომელი ნაშრომები? ახალ ამბებში თუ სარედაქციო სტატიებში? კონკრეტულად რა იყო ნათქვამი? რამდენმა გაზეთმა არ დაწერა ამის შესახებ?

რა თქმა უნდა, მკითხველმა შესაძლოა, მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე აღიაროს მტკიცება, თუ ეს ვარაუდი თავისთავად ცხადია ან მომდინარეობს სანდო წყაროდან:

ჩვენ ყველანი თანასწორები ვართ ვარაუდი, ამდენად, არავის აქვს ბუნებრივი უფლება, გვმართოს. დებულება

ფაქტობრივად, შესავალი კურსების პედაგოგები ხშირად აღიარებენ ვარაუდებს, რომლებიც გამყარებულია მხოლოდ სანდო წყაროების საშუალებით: უილსონი ამბობს X-ს რელიგიური ნიღბების შესახებ, იანგი ამბობს Y-ს, შმიდტი – Z-ს. თუმცა, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შექმნილი ნაშრომისგან მკითხველი მეტს მოელის. მკითხველს სჭირდება ფაქტი, რომელიც მოპოვებულია არა მეორადი წყაროდან, არამედ პირველწყაროდან ან საკუთარი დაკვირვების შედეგად.

გადახედეთ თქვენს „დაფას": შეგიძლიათ, გაამყაროთ თითოეული ვარაუდი ისეთით, რომელსაც თქვენი მკითხველი ჩათვლის სწორი სახის, რაოდენობის და ხარისხის მტკიცებულებად და, რომელიც შეესაბამება მის სფეროს? შესაძლებელია, მკითხველმა იფიქროს, რომ თქვენი მტკიცებულება მეტ დასაბუთებას მოითხოვს? ან უკეთესი წყაროა საჭირო? თუ ასეა, უნდა მოიძიოთ მეტი მონაცემი ან აღიაროთ არსებული მონაცემების ზღვრები.

არგუმენტის ბირთვია დებულება, ვარაუდები და ფაქტები; თუმცა, არგუმენტს სჭირდება სულ მცირე კიდევ ერთი ელემენტი, შესაძლოა, ორიც.

**5.4.3** გაითვალისწინეთ და უპასუხეთ მკითხველების თვალსაზრისს

შესაძლოა, გინდოდეთ, რომ ასე არ იყოს, მაგრამ თქვენი საუკეთესო მკითხველი ყველაზე კრიტიკული მკითხველია; ის წაიკითხავს მიუკერძოებლად, თუმცა, თავისთავად არ დაეთანხმება ყველაფერს, რასაც წერთ. მკითხველი მოიფიქრებს შეკითხვებს, წამოჭრის საწინააღმდეგო თვალსაზრისს და ალტერნატიულ ვარიანტებს. საუბრის დროს შეგიძლიათ, შეკითხვებს დასმისთანავე გასცეთ პასუხი. წერის შემთხვევაში კი არა მხოლოდ პასუხი უნდა გასცეთ მათ, არამედ თავად უნდა დასვათ ისინი. თუ ასე არ გააკეთეთ, შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ არ იცით ან, კიდევ უფრო უარესი, არ გაინტერესებთ მკითხველის თვალსაზრისი.

მკითხველები წამოჭრიან ორი სახის შეკითხვას; სცადეთ, წარმოიდგინოთ და პასუხი გასცეთ ორივე მათგანს.

1. პირველი სახის შეკითხვა მიმართულია არგუმენტში არსებულ პრობლემაზე, ჩვეულებრივ, მის ფაქტზე. წარმოიდგინეთ, რომ მკითხველი გამოთქვამს

რომელიმე სახის კრიტიკულ შენიშვნას, შემდეგ საპასუხოდ ქმნის მინი-არგუმენტს:

- თქვენი მტკიცებულება მომდინარეობს არასარწმუნო ან მოძველებული წყაროდან.
- ის არ არის ზუსტი.
- არ არის საკმარისი.
- სათანადოდ არ წარმოადგენს ყველა არსებულ ფაქტს.
- ეს მცდარი სახის მტკიცებულებაა ჩვენი სფეროსთვის.
- არ არის მართებული, ვინაიდან არ ითვლება მტკიცებულებად.

შემდეგ წარმოიდგინეთ თქვენი ვარაუდებისა და პასუხების შემდეგი სახის საწინააღმდეგო თვალსაზრისი და ის, თუ როგორ გასცემდით მათ პასუხს:

- თქვენი ვარაუდები არათანმიმდევრული ან წინააღმდეგობრივია.
- ისინი ძალიან სუსტია ან ძალიან ცოტაა, რათა დაასაბუთოს თქვენი დებულება.
- ისინი არ შეესაბამება თქვენს დებულებას (ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ 5.4.4-ში).

2. მეორე სახის შეკითხვით პრობლემები არგუმენტის გარეთ წამოიჭრება. ისინი, ვინც სხვაგვარად უყურებს სამყაროს, სავარაუდოდ, პირობებს სხვანაირად განსაზღვრავს, სხვაგვარად მსჯელობს, ისეთ ფაქტსაც კი შემოგვთავაზებს, რომელიც თქვენ შეუსაბამოდ მიგაჩნიათ. თუ თქვენი და თქვენი მკითხველების მსოფლმხედველობა არ ემთხვევა, ეს უნდა აღიაროთ და ამ საკითხებზეც უნდა იმსჯელოთ. ნუ მოეპყრობით განსხვავებულ თვალსაზრისს როგორც, უბრალოდ, საწინააღმდეგო აზრს. თუ იმის მტკიცებას დაიწყებთ, რომ თქვენი თვალსაზრისი სწორია, მათი კი – მცდარი, მკითხველს დაკარგავთ. ამის ნაცვლად, აღიარეთ განსხვავებები, შემდგომ შეადარეთ ისინი, რათა მკითხველმა შეძლოს, გაიგოს თქვენი არგუმენტი ისე, როგორც ის წარმოდგენილია. მათ შეიძლება, მაინც არ გაიზიარონ თქვენი შეხედულება, მაგრამ უჩვენებთ, რომ გესმით და პატივს სცემთ მათ თვალსაზრისს; შედეგად უფრო სავარაუდოა, რომ მკითხველი შეეცდება, გაიგოს და მოიწონოს თქვენი შეხედულება.

თუ დამწყები მკვლევარი ხართ, გაგიჭირდებათ ამ შეკითხვების წარმოდგენა, ვინაიდან შესაძლოა, არ იცოდეთ, როგორ განსხვავდება მკითხველის თვალსაზრისი თქვენი შეხედულებებისგან. მიუხედავად ამისა, სცადეთ, მოიფიქროთ რამდენიმე შესაძლო შეკითხვა და საწინააღმდეგო აზრი; მნიშვნელოვანია საკუთარი თავისთვის შემდეგი შეკითხვის დასმა: რის გამო შეიძლება, ეჭვქვეშ დააყენონ ჩემი დებულება? თუმცა, თუ სადიპლომო ან სადისერტაციო ნაშრომს წერთ, უნდა იცოდეთ საკითხები, რომლებსაც, სავარაუდოდ, წამოჭრიან თქვენი სფეროს წარმომადგენლები. ამდენად, რაც არ უნდა გამოცდილი იყოთ, ივარჯიშეთ საწინააღმდეგო თვალსაზრისის წარმოდგენასა და მასზე პასუხის გაცემაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას მხოლოდ მექანიკურადაც კი გააკეთებთ, გამოიმუშავებთ აზროვნების ყაიდას, რომელიც დაიმსახურებს მკითხველის მოწონებას და რომლის წყალობითაც შეიძლება, თავიდან აირიდოთ საეჭვო დასკვნების ნაჩქარევად გამოტანა.

დაამატეთ თვალსაზრისები და პასუხები „დაფაზე", თუ ფიქრობთ, რომ მკითხველი მათ წამოჭრის.

**5.4.4** დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდის შესაბამისობა თქვენს დებულებასთან

გამოცდილი მკვლევრებისთვისაც კი რთულია არგუმენტის ამ ბოლო ელემენტის გაგება, უფრო რთული – გამოყენება და კიდევ უფრო რთული – ახსნა. ეს არის განმარტებითი მსჯელობა. არგუმენტს განმარტებით მსჯელობას უმატებთ მაშინ, როდესაც ფიქრობთ, რომ მკითხველმა შეიძლება, უარყოს თქვენი დებულება არა იმის გამო, რომ მისი გამამყარებელი ვარაუდი ფაქტობრივად მცდარია ან ეფუძნება არასაკმარის ფაქტებს, არამედ იმიტომ, რომ ის შეუსაბამოა და ამდენად, არც კი ითვლება ვარაუდად.

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ მკვლევარი წერს:
*ალამოს ისტორიები სწრაფად გავრცელდა,* დებულება *ვინაიდან 1836 წელს ეს ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო თავდაჯერებული მოთამაშე მსოფლიო არენაზე.* ვარაუდი

წარმოიდგინეთ, თითქოს ის ეჭვობს, რომ მკითხველი, სავარაუდოდ, საწინააღმდეგო აზრისა იქნება: *მართალია, რომ ალამოს ისტორიები სწრაფად გავრცელდა და 1836 წელს ეს ქვეყანა არ იყო თავდაჯერებული მოთამაშე მსოფლიო არენაზე. მაგრამ ვერ ვხედავ, რა კავშირი აქვს თავდაჯერებულობას ისტორიის სწრაფად გავრცელებასთან.* ავტორი ამაზე პასუხს ვერ გასცემს მხოლოდ იმ დამატებითი ფაქტების წარმოდგენით, რომ მისი ქვეყანა არ იყო თავდაჯერებული მოთამაშე მსოფლიო არენაზე ან რომ ისტორიები, სინამდვილეში, სწრაფად გავრცელდა: მკითხველი მათ ეთანხმება, როგორც ნამდვილს. ამის ნაცვლად, მკვლევარმა უნდა ახსნას აღნიშნული ვარაუდის შესაბამისობა – რატომ ამყარებს მათი სინამდვილე დებულების მართებულობას.

ამისთვის მას სჭირდება განმარტებითი მსჯელობა. განმარტებითი მსჯელობა ძალიან რთული გასაგებია. თუმცა, ყველა, ვინც წერს კვლევით არგუმენტს, უნდა ჩაწვდეს მათ პრინციპს შემდეგი მიზეზის გამო: მკითხველი ხშირად არ ეთანხმება წარმოდგენილ შეხედულებას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, სჯეროდეს მკვლევრის ვარაუდისა ან მოყვანილი დამამტკიცებელი საბუთის სიზუსტისა. ის არ ეთანხმება დებულებას, რადგან ვარაუდი ან ფაქტი არ შეესაბამება დებულებას.

**როგორ გამოიყენება განმარტებითი მსჯელობა არაოფიციალურ საუბარში.** ვთქვათ, ახალშეძენილ მეგობარს შორეული ქვეყნიდან ეუბნებით შემდეგ მცირე არგუმენტს:

*მინუს ხუთი გრადუსია,* ვარაუდი *ამდენად, ქუდი უნდა დაიხუროთ.* დებულება

ზოგიერთი ჩვენგანისთვის, ვარაუდი ისე ნათლად ამყარებს დებულებას, რომ საჭირო არ არის მისი შესაბამისობის განმარტება. თუმცა, თუ, დავუშვათ, თქვენი მეგობარი სვამს ამ უცნაურ შეკითხვას:

*მერე რა, თუ 5 გრადუსი ყინვაა? რატომ უნდა დავიხურო ქუდი?*

ეს შეკითხვა ეჭვქვეშ აყენებს არა ამ ვარაუდის (რომ 5 გრადუსი ყინვაა) ჭეშმარიტებას, არამედ მის შესაბამისობას დებულებასთან (რომ ქუდი უნდა დაიხურო). შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ ამ შეკითხვის დასმა, თუმცა, ზოგადი პრინციპით შეძლებთ, პასუხი გასცეთ მას:

*როცა სიცივეა, ადამიანებმა თბილად უნდა ჩაიცვან.*

ეს წინადადება არის განმარტებითი მსჯელობა. მასში წარმოდგენილია ზოგადი პრინციპი, რომელიც ჩვენი გამოცდილებიდან მომდინარეობს: გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ გარკვეულ ზოგად პირობებს (სიცივეა), ჩვეულებრივ, გარკვეული ზოგადი შედეგი (ადამიანებმა თბილად უნდა ჩაიცვან) მოსდევს. ვფიქრობთ, რომ ზოგადი განმარტებითი მსჯელობა წარმოდგენილი კონკრეტული ვარაუდის საფუძველზე (რომ 5 გრადუსი ყინვაა) ასაბუთებს კონკრეტულ დებულებას (რომ ჩვენმა მეგობრმა უნდა დაიხუროს ქუდი), ვინაიდან ვმსჯელობთ ასეთი ლოგიკით: თუ ზოგადი პირობა და მისი შედეგი მართალია, მაშინ მათი კონკრეტული შემთხვევებიც ნამდვილი უნდა იყოს.

უფრო დეტალურად, ეს ასეა (გაფრთხილება: ქვემოთ წარმოდგენილი შეიძლება, მოგეჩვენოთ ლოგიკის მორიგ გაკვეთილად):

- განმართებითი მსჯელობა: ზოგადი პირობა არის ის, რომ სიცივეა. ჩვეულებრივ, ამით მივდივართ ზოგად შედეგამდე: ადამიანებმა თბილად უნდა ჩაიცვან. ჩვენ ვაცხადებთ ამას, როგორც ნამდვილ და ზოგად პრინციპს, როცა სიცივეა, ადამიანებმა თბილად უნდა ჩაიცვან.
- კონკრეტული მიზეზი, მინუს 5 გრადუსი, არის ნამდვილი გარემოება ზოგადი პირობისა – სიცივეა.
- კონკრეტულ დებულებას – ქუდი უნდა დაიხუროთ, აქვს ზოგადი შედეგის ნამდვილი გარემოება – ადამიანებმა უნდა ჩაიცვან თბილად.
- იმის გამო, რომ განმარტებით მსჯელობაში წარმოდგენილი ზოგადი პრინციპი მართალია და ვარაუდი და დებულება მისი ნამდვილი გარემოებებია, ჩვენ შეგვიძლია, ვამტკიცოთ, რომ დებულება „ქუდი უნდა დაიხურო" ნამდვილი და მართებულია.

თუმცა, ახლა დავუშვათ, რომ ექვსი თვის შემდეგ ესტუმრეთ მეგობარს და ის გეუბნებათ, რომ:
დღეს 80 გრადუსზე მაღალი ტემპერატურაა, ვარაუდი ამდენად, ჩაიცვი გრძელსახელოებიანი პერანგი. დებულება

ამან შეიძლება, დაგაბნიოთ: როგორ შეიძლება, ვარაუდი (რომ 80 გრადუსზე მაღალი ტემპერატურაა) შეესაბამებოდეს დებულებას (ჩაიცვი გრძელსახელოებიანი პერანგი)? შეგეძლოთ, წარმოგედგინათ ეს ზოგადი პრინციპი როგორც განმარტებითი მსჯელობა

*როცა თბილი საღამოა, ადამიანებმა თბილად უნდა ჩაიცვან.*

თუმცა, ეს არ შეესაბამება სიმართლეს და თუ ფიქრობთ, რომ განმარტებითი მსჯელობა არ არის სწორი, არ აღიარებთ, რომ ვარაუდი ამყარებს დებულებას, ვინაიდან ის შეუსაბამოა.

თუმცა, ვთქვათ, თქვენი მეგობარი დასძენს შემდეგს:

*ამ ადგილებში, როცა თბილი საღამოა, უნდა დაიცვათ მკლავები მწერების კბენისგან.*

ახლა არგუმენტი, შესაძლოა, გასაგებია, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ყველაფრის გჯერათ:

- განმარტებითი მსჯელობა არის სწორი (როცა თბილი საღამოა, უნდა დაიცვათ მკლავები მწერებისგან).
- ვარაუდი არის სწორი (ამ საღამოს ტემპერატურა 80 გრადუსზე მაღალია)
- ვარაუდი წარმოადგენს ზოგადი პირობის ნამდვილ გარემოებას (80 გრადუსი ნამდვილად არის სითბოს პირობა).
- დებულება არის ზოგადი შედეგის ნამდვილი გარემოება (გრძელსახელოებიანი პერანგის ტარება ნამდვილი გარემოებაა მწერების კბენისგან თავის დასაცავად).
- არ ვრცელდება არანაირი განუცხადებელი შეზღუდვები ან გამონაკლისები (წინა საღამოს უეცრად აციებამ არ დახოცა ყველა მწერი, ადამიანი ვერ გამოიყენებს მწერებისგან დამცავ საშუალებას და ა.შ.).

თუ ამ ყოველივესი გჯერთ, უნდა ირწმუნოთ არგუმენტი, რომ როდესაც 80 გრადუსია ღამით, მიზანშეწონილია გრძელსახელოებიანი პერაგის ჩაცმა, ყოველ შემთხვევაში, იმ კონკრეტულ დროს და ადგილას.

ყველამ ვიცით უამრავი ასეთი პრინციპი და ყოველდღიურად სულ უფრო მეტს ვსწავლობთ. ასე რომ არ იყოს, ვერ გავუძლევებოდით ყოველდღიურ ცხოვრებას. ფაქტობრივად, განმარტებითი მსჯელობის ფორმით გამოვხატავთ ხალხურ სიბრძნეს, თუმცა, მათ ანდაზებს ვუწოდებთ: ღამით ყველა კატა ნაცრისფერიაო; თვალი თვალს რომ დაშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო.

**როგორ გამოიყენება განმარტებითი მსჯელობა სამეცნიერო არგუმენტში.** ქვემოთ მოყვანილია შედარებით სამეცნიერო მაგალითი, თუმცა მტკიცება აქაც იგივენაირად გამოიყენება:

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ამერიკაში ენციკლოპედიები ბევრს არ უნდა ჰქონოდა კერძო მფლობელობაში, დებულება ვინაიდან ანდერძებში ისინი იშვიათად არის ნახსენები. ვარაუდი

დავუშვათ, ვარაუდი არის მართალი: უამრავი დამამტკიცებელი ფაქტია, რომ ენციკლოპედიები მართლაც იშვიათად იყო აღნიშნული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პერიოდის ანდერძებში. ამის მიუხედავად, მკითხველს შესაძლოა, გაუჩნდეს კითხვა, რატომ შეესაბამება ეს ვარაუდი დებულებას: *შეიძლება, მართალი ხართ და ასეთი ანდერძების უდიდეს ნაწილში არ არის მოხსენიებული ენციკლოპედიები, მაგრამ მერე რა? არ მესმის, რატომ შეესაბამება ეს თქვენს დებულებას, რომ ენციკლოპედია მცირე რაოდენობით იყო კერძო მფლობელობაში.* თუ ავტორი მოელის ამ შეკითხვას, მან უნდა წარმოადგინოს განმარტებითი მსჯელობა, ზოგადი პრინციპი, რომელიც აჩვენებს, როგორ შეესაბამება ვარაუდი დებულებას.

ეს განმარტებითი მსჯელობა შეიძლება, ასე ჩამოყალიბდეს:

თუ ფასეული ნივთი არ იყო მითითებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პერიოდის ანდერძებში, ის, ჩვეულებრივ, არ იყო მოძრავი ქონების ნაწილი განმარტებითი მსჯელობა. იმ პერიოდის ანდერძებში იშვიათად არის აღნიშნული ენციკლოპედიები, ვარაუდი ამდენად, ცოტა ადამიანი ფლობდა ენციკლოპედიას. დებულება

ჩვენთვის დებულება მისაღები იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავიჯერებდით შემდეგს:

- განმარტებითი მსჯელობა მართალია.
- ვარაუდი არის როგორც მართალი, ისე განმარტებითი მსჯელობის ზოგადი პირობის (ენციკლოპედიები მიიჩნეოდა ფასეულ ნივთად) ნამდვილი გარემოება.
- დებულება არის განმარტებითი მსჯელობის ზოგადი შედეგის ნამდვილი გარემოება (რომ ენციკლოპედიის უქონლობა არის რაღაც ღირებულის, მოძრავი ქონების ნაწილის არ ქონის ნამდვილი გარემოება).

თუ მკვლევარს ეშინია, რომ მკითხველმა შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს რომელიმე ეს პირობა, მან უნდა შექმნას არგუმენტი მის დასასაბუთებლად.

თუმცა, ამით პრობლემა არ იწურება: განმარტებითი მსჯელობა ყოველთვის, გამონაკლისების გარეშე, მართალია? მკითხველი შეიძლება, დაინტერესდეს, იყო თუ არა ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ანდერძებში მოხსენიებული მხოლოდ მიწა და შენობები, თუ საერთოდ ცოტა ადამიანი ადგენდა ანდერძს. თუ მწერალს მიაჩნია, რომ მკითხველი შესაძლოა, დაინტერესდეს ასეთი დეტალებით, მას, ალბათ, მოუწევს კიდევ ერთი არგუმენტის წარმოდგენა, იმის საჩვენებლად, რომ გამონაკლისები არ არსებობდა.

თქვენ იხილეთ, რატომ ვეთანხმებით ასე იშვიათად არგუმენტებს რთული საკითხების შესახებ: მაშინაც კი, როდესაც მისაღებია მოყვანილი ფაქტები, მაინც შეიძლება, ვერ ვირწმუნოთ მსჯელობა, რომელზეც აგებულია დებულება.

**ვარაუდის დებულებასთან შესაბამისობის გამოცდა.** ვარაუდის დებულებასთან შესაბამისობის გამოსაცდელად შექმენით მათი დამაკავშირებელი განმარტებითი მსჯელობა. პირველ რიგში, წარმოადგინეთ ვარაუდი და დებულება ამ თანმიმდევრობით. იხილეთ ამ ნაწილის დასაწყისიდან მოყვანილი თავდაპირველი ვარაუდი და დებულება:

*1836 წელს ეს ქვეყანა არ იყო თავდაჯერებული მოთამაშე მსოფლიო არენაზე.* *ვარაუდი* *ამდენად, ალამოს ისტორიები სწრაფად გავრცელდა* *დებულება*

ახლა ააგეთ ზოგადი პრინციპი, რომელიც მოიცავს ამ ვარაუდს და დებულებას. განმრტებითი მსჯელობა უამრავი სხვადასხვა სახის და ფორმისაა, თუმცა, ყველაზე მეტად გამოსადეგია *როდესაც-მაშინ* მოდელები. ეს განმარტებითი მსჯელობა „მოიცავს" ვარაუდს და დებულებას.

*როცა ქვეყანა არ არის თავდაჯერებული, მაშინ იქ სწრაფად ვრცელდება ამბები ისტორიული სამხედრო მოვლენების შესახებ.*

| | |
|---|---|
| როცა ეს **ზოგადი პირობა** არსებობს | ეს **ზოგადი შედეგი** მომდინარეობს განმარტებითი მსჯელობა |
| როცა ქვეყანა არ არის თავდაჯერებული, ზოგადი პირობა | მასში სწრაფად ვრცელდება ისტორიები საგმირო სამხედრო მოვლენების შესახებ ზოგადი შედეგი |
| 1836 წელს ეს ქვეყანა არ იყო თავდაჯერებული მოთამაშე მსოფლიო არენაზე კონკრეტული ვარაუდი | მდენად, ალამოს ისტორია სწრაფად გავრცელდა კონკრეტული დებულება |
| ეს კონკრეტული პირობა არსებობს ვარაუდი | ამდენად, ეს კონკრეტული შედეგი გამომდინარეობს დებულება |

სურათი 5.1 არგუმენტის სტრუქტურა

შეგვიძლია, ფორმალურად წარმოვადგინოთ ეს ურთიერთკავშირი, როგორც 5.1 სურათშია მოცემული.

ამ დებულების აღიარებისთვის მკითხველმა უნდა აღიაროს შემდეგი:

- განმარტებითი მსჯელობა არის სწორი
- კონკრეტული ვარაუდი არის სწორი.
- კონკრეტული ვარაუდი არის განმარტებითი მსჯელობა ზოგადი პირობის ნაწილის ნამდვილი გარემოება.

- კონკრეტული დებულება არის განმარტებითი მსჯელობა ზოგადი შედეგის ნაწილის ნამდვილი გარემოება.
- არ არსებობს განმარტებითი მსჯელობის გამოყენების რაიმე შემზღუდველი პირობები.

ავტორს რომ ეფიქრა, რომ მკითხველს შეიძლება, არ ეღიარებინა განმარტებითი მსჯელობის ან ვარაუდის სიმართლე, მას უნდა შეექმნა არგუმენტი მათ გასამყარებლად. ავტორი თუ ჩათვლიდა, რომ მკითხველს შესაძლოა, ვარაუდი და დებულება არ ჩაეთვალა განმარტებითი მსჯელობის ნამდვილ შემთხვევად, მას მოუწევდა კიდევ ერთი არგუმენტის შექმნა იმის დასასაბუთებლად, რომ ეს ასეა.

გამოცდილების მიღებასთან ერთად ისწავლით არგუმენტების გონებაში შემოწმებას; თუმცა, მანამდე შეგიძლიათ, სცადოთ განმარტებითი მსჯელობის მონახაზის გაკეთება ყველაზე უფრო სადავო ვარაუდებისთვის. განმარტებითი მსჯელობის გამოცდის შემდეგ დაამატეთ ის „დაფაზე" იქ, სადაც ფიქრობთ, რომ მკითხველებს დასჭირდებათ. თუ გჭირდებათ განმარტებითი მსჯელობის არგუმენტით დასაბუთება, მისი მონახაზიც იქვე გააკეთეთ.

რატომ არის განმარტებითი მსჯელობა განსაკუთრებით რთული ახალბედა მკვლევრებისთვის? თქვენ რომ ახალი დაწყებული გქონდეთ დარგში მოღვაწეობა, შემდეგი მიზეზების გამო გაგირთულდებოდათ განმარტებითი მსჯელობის გამოყენება:

- გამოცდილი მკვლევარი იშვიათად განმარტავს მსჯელობის პრინციპებს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ კოლეგებმა ზემოაღნიშნული ისედაც იციან. ახალბედა მკვლევრებმა ისინი თავისით უნდა მოიფიქრონ (იმის მსგავსად, როდესაც ვიღაც ამბობს, „გრძელსახელოებიანი პერანგი ჩაიცვი, ვინაიდან დღეს საღამოს ტემპერატურა 80 გრადუსზე მეტია).
- განმარტებით მსჯელობას, ჩვეულებრივ, აქვს გამონაკლისები, რაც გამოცდილმა მკვლევრებმა ისედაც იციან და, ამდენად, იშვიათად მოიხსენიებენ მათ, ამის გამო ახალბედა მკვლევრები იძულებულნი ხდებიან, თავად მივიდნენ ამ გამონაკლისებამდე.
- ექსპერტებმა, აგრეთვე, იციან, როდის არ უნდა დაურთონ აშკარა განმარტებითი მსჯელობა ან მისი შემზღუდველი გარემოებები, კიდევ ერთი რამ, რაც ახალბედა მკვლევარმა დამოუკიდებლად უნდა ისწავლოს. მაგალითად, გამოცდილ მკვლევარს რომ დაეწერა, ივნისის დასაწყისია, ამდენად მოსალოდნელია, რომ მალე ბენზინში მეტ ფულს გადავიხდით, ის არ აღნიშნავდა თვალსაჩინო განმარტებით მსჯელობას: როცა ზაფხული ახლოვდება, ბენზინზე ფასები მატულობს.

თუ წარმოადგენთ ყველასთვის გასაგებ მსჯელობაზე განმარტებას, ძალიან ქედმაღალი ან გულუბრყვილო გამოჩნდებით. თუმცა, თუ ვერ წარმოაჩენთ იმ განმარტებითი მსჯელობას, რომელიც მკითხველს სჭირდება, დატოვებთ ალოგიკური სპეციალისტის შთაბეჭდილებას. უნდა გაიწაფოთ, რომ

განსაზღვროთ, როდის სჭირდება მკითხველს განმარტების დამატება, და როდის – არა. ეს გამოცდილებას მოაქვს.

ამდენად, ნუ შეშინდებით, თუ განმარტებითი მსჯელობის მითითების საჭიროობა გაურკვევლობაში გაგდებთ; მასზე მუშაობა გამოცდილი მკვლევრებისთვისაც კი რთულია. თუმცა, განმარტებითი მსჯელობის შესახებ ცოდნა გიბიძგებთ, დასვათ ეს საკვანძო შეკითხვა: თქვენი ვარაუდის და დამამტკიცებელი ფაქტების სისწორესთან ერთად მკითხველი დაინახავს მათ შესაბამისობას დებულებასთან? თუ შესაძლოა, რომ ვერ დაინახავს, ამის დემონსტირებისთვის არგუმენტი უნდა შექმნათ.

## 5.5 განასხვავეთ ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტები განმარტებით მსჯელობაზე დაფუძნებული არგუმენტებისგან

დაბოლოს, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არსებობს ორი სახის არგუმენტი, რომლებსაც მკითხველები სხვადასხვანაირად აფასებენ:

- პირველი ვარაუდიდან და განმარტებითი მსჯელობიდან ასკვნის დებულებას. მიიჩნევა, რომ დებულება ამ სახის არგუმენტში უდავოდ ნამდვილია.
- მეორეში კი დებულება ეფუძნება ფაქტებზე დამყარებულ ვარაუდს. ამ სახის არგუმენტში დებულება მიიჩნევა, როგორც სავარაუდოდ ნამდვილი.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მკვლევრები უფრო ენდობიან არა პირველი, არამედ მეორე სახის არგუმენტს, რომელიც ფაქტებს ემყარება.

ეს არგუმენტი წარმოადგენს დებულებას, რომელიც ემყარება ფაქტებზე დამყარებულ ვარაუდს:

*საინექციო ნემსის გაცვლის პროგრამები ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარების გაზრდას.* დებულება *როდესაც მისი მონაწილეები გააცნობიერებენ, რომ დაინფიცირებული ნემსებით შეძენილი დაავადების რისკის თავიდან არიდება შეუძლიათ, მეტი ნარკოტიკის მოხმარების სტიმული ეძლევათ.* ვარაუდი *იმ პირთა კვლევის შედეგების მიხედვით, ვინც მონაწილეობა მიიღო ასეთ პროგრამაში, მონაწილეების 34%-მა ნარკოტიკების მოხმარება გაზარდა კვირაში 1.7-იდან 2.1-მდე, ვინაიდან განაცხადა, რომ ნემსით გადამდები დაავადებებისგან დაცულად გრძნობდა თავს.* ფაქტი

თუ მივიჩნევთ, რომ მოცემული მტკიცებულება მართებული და საკმარისია (შესაძლოა, ასე არ ვთვლიდეთ), მაშინ დებულება გვეჩვენება გონივრული, თუმცა, არანაირად – უდავო, ვინაიდან ვინმეს შესაძლოა, აღმოეჩინა ახალი და უკეთესი ფაქტობრივი მტკიცებულება, რომელიც ეწინააღმდეგება უკვე წარმოდგენილს.

მომდევნო არგუმენტში წარმოდგენილია იგივე დებულება იგივე ვარაუდის საფუძველზე, თუმცა, დებულება დასაბუთებულია არა ფატობრივი მტკიცებულებით, არამედ ლოგიკით. დებულება უნდა იყოს მართალი, თუ მსჯელობის განმარტება და ვარაუდი მართალია და თუ ვარაუდი და დებულება მსჯელობის განმარტების ნამდვილი გარემოებებია:

*საინექციო ნემსის გაცვლის პროგრამები ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარების გაზრდას.* დებულება *როდესაც მონაწილეები გაიაზრებენ, რომ მათ შეუძლიათ დაინფიცირებული ნემსებით შეძენილი დაავადების თავიდან აცილება, ეძლევათ მეტი ნარკოტიკების გამოყენების სტიმული.* ვარაუდი *როდესაც რისკის შემცველი ქცევის შედეგები მცირდება, ადამიანები უფრო ხშირად მიმართავენ ასეთ ქცევას.* მსჯელობის განმარტება

თუმცა, ის, რომ უნდა დავიჯეროთ, რომ მსჯელობის განმარტება ყოველთვის მართალია ყველა შემთხვევაში და ყველგან, არის დებულება, რომელსაც ჩვენი უმეტესობა არ დაეთანხმებოდა, ან არ უნდა დაეთანხმოს. ცოტა ჩვენგანი ატარებს მანქანას გაუფრთხილებლად მხოლოდ იმის გამო, რომ მანქანებში უსაფრთხოების ღვედები და მოქნილი საჭის ღერძებია.

ყველა არგუმენტი ემყარება განმარტებით მსჯელობას, თუმცა, კვლევის არგუმენტის მკითხველისთვის, უფრო სავარაუდოა, რომ სარწმუნო იქნება დებულება, რომელიც ემყარება არა პრინციპს, არამედ – ფაქტობრივ მტკიცებულებას, ვინაიდან მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დამაჯერებელი ჩანს ზოგადი პრინციპი, მას აქვს ძალიან ბევრი გამონაკლისი, დონე და შემზღუდველი გარემოება. ის, ვინც დებულებას აგებს, მისი აზრით, უდავო პრინციპზე, ძალიან ხშირად არ ითვალისწინებს ამ სირთულეებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი პრინციპები მართალია, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტები საპირისპიროზე მიანიშნებს. ხოლო თუ მისი პრინციპები სწორია, ასევე სწორია მისი დასკვნებიც. ასეთი არგუმენტები უფრო იდეოლოგიურია, ვიდრე ფაქტობრივი. ამდენად, დაასაბუთეთ დებულებები მაქსიმალურად ბევრი ფაქტობრივი მტკიცებულებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფიქრობთ, რომ ლოგიკა თქვენს მხარეზეა. დაამატეთ განმარტებითი მსჯელობა, რათა გამართოთ დასკვნა, მაგრამ, ამასთანავე, ააგეთ დასკვნა მტკიცებულებაზე.

## 5.6 არგუმენტის შეკვრა

აი, მცირე არგუმენტი, რომელიც აერთიანებს ხუთივე ნაწილს:

ბავშვებზე ორიენტირებულ ტელევიზიას შეუძლია, ხელი შეუწყოს მათ ინტელექტუალურ განვითარებას. თუმცა, ამ წვლილს ანეიტრალებს ფაქტორი, რომელმაც შეიძლება, ზიანი მიაყენოს ბავშვების ემოციურ განვითარებას – მეტისმეტი ძალადობა. დებულება მშობლები თანხმდებიან, რომ მაგალითი წარმოადგენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბავშვის განვითარებაზე. სწორედ

ამიტომ, მშობლები ბავშვებს მოუთხრობენ გმირების შესახებ. მაშინ დამაჯერებელი ჩანს, რომ როდესაც ბავშვები ხედავენ არასასურველ საქციელს, მათზე ისიც მოახდენს ზეგავლენას. განმარტებითი მსჯელობა. ერთი დღის განმავლობაში ბავშვები ხედავენ ძალადობის უამრავ მაგალითს. ვარაუდი. ყოველდღიურად ბავშვი ტელევიზორს უყურებს, საშუალოდ, თითქმის ოთხი საათის განმავლობაში და ხედავს ძალადობის დაახლოებით თორმეტ მოქმედებას [სმითი 1992]. ფაქტი. ტარნოვმა გვიჩვენა, რომ ბავშვები განასხვავებენ ერთმანეთისგან ძალადობას ნახატ ფილმებში და რეალურ ცხოვრებაში [2003]. ალტერნატიული თვალსაზრისის აღიარება. მაგრამ ასეთი მოქმედებების ყურებით ბავშვები შეიძლება, უფრო დაუცველნი გახდნენ სხვა პროგრამებში ნაჩვენები ძალადობის წინაშე. თუ ისინი მხოლოდ ნახატ ფილმებს და ადამიანებს განასხვავებენ, მათ შეიძლება, იფიქრონ, რომ რეალური მსახიობები გრაფიკულ ძალადობაში წარმოადგენენ რეალურ ცხოვრებას. პასუხი. ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ იმ ალბათობას, რომ ტელევიზიით ნაჩვენები ძალადობა ხელს უწყობს ძალადობისკენ მიდრეკილი ზრდასრულების ჩამოყალიბებას. დებულების ხელახლა წარმოდგენა.

ამ ელემენტების უდიდესი ნაწილი შეიძლება, გაივრცოს მრავალ აბზაცზე. სხვადასხვა სფეროში არგუმენტები განსხვავებულად გამოიყურება, მაგრამ ყველა მათგანი წარმოადგენს პასუხს შემდეგ ხუთ შეკითხვაზე:

- რას ამტკიცებთ?
- რა არის თქვენი ვარაუდები?
- რა ფაქტები ამყარებს თქვენს ვარაუდს?
- რას იტყვით განსხვავებული თვალსაზრისის შესახებ?
- როგორ შეესაბამება თქვენი ვარაუდი თქვენს დებულებას?

თქვენს მიერ შექმნილ „დაფაზე" არაერთხელ უნდა გაეცეს პასუხი ზემოაღნიშნულ შეკითხვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მოხსენება არასრულყოფილი და არადამაჯერებელი იქნება.

## 6. შავი ნაწერის პირველი ვარიანტის დაგეგმვა

6.1 მოერიდეთ გამოუსადეგარი გეგმების გამოყენებას

6.2 შექმენით გეგმა, რომელიც პასუხობს მკითხველის საჭიროებებს

6.21 გარდაქმენით „დაფა" მონახაზად

6.2.2 შეიმუშავეთ შესავლის სამუშაო ვარიანტის მონახაზი

6.2.3 განსაზღვრეთ იმ ცნებების გამომხატველი ძირითადი ტერმინები, რომლებიც აერთიანებს ნაშრომს და განასხვავებს მის ნაწილებს

6.2.4 გამოიყენეთ კონკრეტული ძირითადი ტერმინები ქვეთავების დასასათაურებლად

6.2.5 დაალაგეთ ვარაუდები

6.2.6 გარდამავალი სიტყვების გამოყენებით ასახეთ თანმიმდევრობა

6.2.7 გააკეთეთ შესავლის მოკლე მონახაზი თითოეული ნაწილისა და ქვენაწილისთვის

6.2.8 თითოეული ნაწილისთვის გააკეთეთ დამამტკიცებელი ფაქტების, ალტერნატიული მოსაზრების, მსჯელობის განმარტებისა და რეზიუმეების მონახაზი

6.2.9 შექმენით დასკვნის სამუშაო ვარიანტის მონახაზი

6.3 შეინახეთ დარჩენილი მასალა

მას შემდეგ, რაც არგუმენტს მოუყრით თავს, მზად იქნებით შავი ნაწერის შესაქმნელად. გამოცდილმა ავტორებმა იციან, რაოდენ ეფექტური სტრატეგიაა შავი ნაწერის დაგეგმვა. თუმცა, შავი ნაწერის ეფექტურად შესაქმნელად უფრო მეტია საჭირო, ვიდრე უბრალოდ არგუმენტის ელემენტები. ამისთვის გჭირდებათ გეგმა, რათა არგუმენტის ელემენტების გამოყენებით შექმნათ ლოგიკურად თანმიმდევრული ნაშრომი. უნდა გაითვალისწინოთ, რომ არსებობს სხვადასხვა სახის გეგმა და ზოგი მათგანის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია.

## 6.1 მოერიდეთ გამოუსადეგარი გეგმების გამოყენებას

მოერიდეთ გარკვეული სახის მიდგომებს.

1. ნუ ააგებთ თქვენს ნაშრომს ნარატიულ სტილში. განსაკუთრებით, ნუ დაამსგავსებთ მას დეტექტიურ მოთხრობას, სადაც დებულება ბოლოს მხოლოდ ჩანს. როგორც წესი, მკითხველს, პირველ რიგში, აინტერესებს, რა აღმოაჩინეთ, შემდეგ რა პრობლემები გადაჭერით, რა ნაბიჯები გადადგით და ა.შ. ბოლომდე. ამის მაგალითია შემდეგი ფრაზები: პირველ რიგში..., შემდეგ შევადარე..., დასასრულ, დავასკვენი.
2. ნაშრომში არ უნდა იყოს დიდი რაოდენობით ციტატა, წყაროების პერიფრაზი ან ინტერნეტიდან ჩამოტვირთულ მასალა. მასწავლებლებს სურთ, იხილონ თქვენი აზროვნება და არა სხვათა ნააზრევი. მათ, განსაკუთრებით არ მოსწონთ ნაშრომლები, რომლებიც ინტერნეტ-გვერდების კოლაჟს წააგავს. თუ ამ რჩევას არ გაითვალისწინებთ, დატოვებთ დილეტანტის ან, უარესი, პლაგიატორის შთაბეჭდილებას (იხ. 7.9).
3. ნუ ააგებთ ნაშრომს მექანიკურად დავალების ან თემის ტერმინების გარშემო. თუ დავალებაში ჩამოთვლილია შესასწავლი საკითხები, ნუ იფიქრებთ, რომ თითოეული მათგანი მოცემული თანმიმდევრობით უნდა განიხილოთ. თქვენთვის რომ დაევლებინათ ან, რომ გადაგეწყვიტათ ფროიდის და იუნგის შემოქმედებითი წარმოსახვის ანალიზის შედარება

და შეპირისპირება, არ მოგიწევდათ მოხსენების ორ ნაწილად ორგანიზება და პირველ ნაწილში ფროიდის შესახებ, მეორეში კი იუნგის შესახებ მსჯელობა. უფრო შედეგიანი იქნებოდა ამ ორი დიდი თემის ნაწილებად დაყოფა და შემდეგ მოხსენების მათ გარშემო აგება (ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. 6.2.5-6.2.6).

## 6.2 შექმენით გეგმა, რომელიც პასუხობს მკითხველის საჭიროებებს

ზოგიერთ დარგში გათვალისწინებულია ნაშრომის გეგმის შემუშავება. მაგალითად, ექსპერიმენტული კვლევის ჩატარების შემთხვევაში, მკითხველი მოელის, რომ მოხსენებას ექნება შემდეგნაირი აგებულება:

შესავალი – მეთოდები და მასალები – შედეგები – მსჯელობა – დასკვნა

თუ წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით უნდა იმუშაოთ, მიმართეთ პროფესორს ან მოძებნეთ მეორადი წყარო, რათა მოიპოვოთ ნიმუში. ხოლო თუ საკუთარი გეგმა უნდა შექმნათ, ის გასაგები უნდა იყოს არა მხოლოდ თქვენთვის, არამედ აუცილებლად მკითხველისთვისაც. ამ გასაგები ფორმის შესაქმნელად, დაუბრუნდით „დაფას" ან მონახაზს.

### 6.2.1 „დაფის" გარდაქმნა მონახაზად

თუ უპირატესობას მონახაზის მიხედვით მუშაობას ანიჭებთ, „დაფა" უნდა გარდაქმნათ მონახაზად:

- დაიწყეთ „I"-ით დანომრილი წინადადებით, სადაც წარმოდგენილია დებულება.
- ამ წინადადების ქვეშ დაამატეთ სრული წინადადებები, რომლებიც დანომრილი იქნება: II, III, ..., თითოეულ მათგანში წარმოადგინეთ ვარაუდი, რომელიც ასაბუთებს თქვენს დებულებას.

*I. შესავალი: გაურკვეველია, რა მნიშვნელობა აქვს კლასებში კომპიუტერების ქონას.*

*II. განსხვავებული გამოყენება განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს.*

*ა. ყველა გამოყენება ზრდის შექმნილი სიტყვების რაოდენობას.*

*1. კვლევა 1: 950 780-ის ნაცვლად;*

*2. კვლევა 2: 1,103 ნაცვლად 922-ისა;*

*ბ. ლაბორატორიები სტუდენტებს ურთიერთობის საშუალებას აძლევს.*

*III. კვლევების შედეგების მიხედვით გადამუშავებისას ნაკლებად გამოსადეგია.*

*ა. კვლევა ა: კომპიუტერზე მომუშავე ავტორების ნაწერები გამოირჩევა მეტი ჭარბსიტყვაობით.*

*1. საშუალოდ 2.3-ით მეტი სიტყვა თითო წინადადებაში;*

*2. საშუალოდ 20%-ით მეტი სიტყვა თითო ესეში;*

*ბ. კვლევა ბ: ავტორებს ნაბეჭდი ვარიანტი ეფექტიანად გადამუშავებისთვის სჭირდებათ.*

*1. 22%-ით ნაკლები მექანიკური შეცდომა ნაბეჭდ ვარიანტზე მუშაობისას, ვიდრე კომპიუტერის დახმარებით გადამუშავებისას;*

*2. 2.26%-ით ნაკლები ორთოგრაფიული შეცდომა;*

*IV. დასკვნა: ძალიან ნაადრევია იმის თქმა, თუ რამდენად აუმჯობესებს კომპიუტერების გამოყენება სწავლას.*

*ა. სანდო ემპირიული კვლევების მცირე რაოდენობა;*

*ბ. ისტორია მცირეა, ვინაიდან მრავალი პროგრამა გარდამავალ ეტაპზეა;*

შავი მონახაზის ყველაზე მარტივი ვარიანტია მხოლოდ ფრაზები, სადაც არ ხდება ოფიციალური დაყოფა I-ით, ა-ით, 1-ით და ა.შ.

*შესავალი: დადებითი მხარეები გაურკვეველია*

*განსხვავებული გამოყენება/განსხვავებული შედეგები*

*მეტი სიტყვები*

*მეტი ურთიერთობა*

*ნამუშევარის გადახედვის კვლევები*

*კვლევა ა უფრო გრძელი წინადადებები*

*კვლევა ბ უფრო მოცულობითი ესეები*

*დასკვნა: ჯერ ძალიან ნაადრევია შედეგებზე მსჯელობა*

პროექტის დაწყების ეტაპზე შეიძლება, მხოლოდ მონახაზის გაკეთება შეძლოთ, მოკლე პროექტის შემთხვევაში შესაძლოა, მხოლოდ მონახაზი იყოს საჭირო, თუ თითოეული საკითხის არსი იცით. თუმცა, როგორც წესი, უფრო გამოსადეგია მთლიანი წინადადებების მონახაზი. კიდევ უფრო გამოსადეგია „დაფა", განსაკუთრებით, დიდი პროექტის შემთხვევაში.

### 6.2.2 შესავლის სამუშაო ვარიანტის მონახაზის შექმნა

მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ მოგიწევთ შესავლის ორჯერ დაწერა, პირველად, მონახაზის სახით – თქვენთვის; მას შემდეგ, რაც გადაამუშავებთ შავ ნაწერს და დაგაკმაყოფილებთ მისი შინაარსი, საბოლოო ვარიანტის სახით – მკითხველებისთვის. შესავლის საბოლოო ვარიანტი, როგორც წესი, ოთხი ნაწილისგან შედგება. ამდენად, შეგიძლიათ, ააგოთ შესავლის სამუშაო ვარიანტი ამ ნაწილების გათვალისწინებით (იხ. მე-9 თავი).

1. გააკეთეთ მოკლე მონახაზი თქვენს მიერ წაკითხული კვლევისა, რომელიც კონკრეტულად შეესაბამება თემას. პუნქტში 5.4.1 გირჩიეთ, რომ დაწეროთ დებულება ყოველი ახალი გვერდის ბოლოს, „დაფაზე". ახლა, ზედა ნაწილში მოკლედ ჩამოაყალიბეთ წინა კვლევა, რომლის გავრცობას, შეცვლას ან შესწორებასაც აპირებთ. ნუ ჩამოთვლით ყველა კვლევას, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოდ შეესაბამება თქვენს თემას. ბევრი არც თუ ისე გამოცდილი მკვლევარი ათობით კვლევას ჩამოთვლის, რადგან მიაჩნია, რომ მისი მონდომება მკითხველზე შთაბეჭდილებას მოახდენს. თუმცა, არასათანადო ლიტერატურის უსასრულო ჩამონათვალი მოსაბეზრებელი უფროა, ვიდრე შთამბეჭდავი. ალამოს ისტორიებზე რომ მუშაობდეთ, მაგალითად, არ მიუთითებდით ბრძოლის თითოეულ ისტორიულ ანალიზს, არამედ მოიყვანდით მხოლოდ კონკრეტულ კვლევას, რომლის გავრცობას, შეცვლას ან შესწორებასაც აპირებთ.

ჩამოთვალეთ წყაროები მკითხველისთვის მოსახერხებელი თანმიმდევრობით. თუ მნიშვნელოვანი მათი ისტორიული თანმიმდევრობაა, ჩამოთვალეთ წყაროები

ქრონოლოგიურად. თუ არა, დააჯგუფეთ რაიმე სხვა პრინციპის - ხარისხის, მნიშვნელოვნების, თვალსაზრისის - მიხედვით. შემდეგ დაალაგეთ ეს ჯგუფები ისეთი სახით, რომელიც ყველაზე მეტად დაეხმარება მკითხველს მათ გაგებაში (იხ. 6.2.5 თანმიმდევრობის პრინციპებისთვის). არავითარ შემთხვევაში არ ჩამოთვალოთ წყაროები იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი წაიკითხეთ ან გახსოვთ.

2. შეცვალეთ შეკითხვის ფორმულირება და ჩამოაყალიბეთ ისე, რომ ეხებოდეს საკითხის ცოდნის ან საკითხში ჩახედულობის სიმწირეს. ზემოაღნიშნული კვლევის მონახაზის გაკეთების შემდეგ უთხარით მკითხველს, მის რომელ ნაწილს განავრცობთ, შეცვლით ან გაასწორებთ. ეს გააკეთეთ შემდეგნაირად: შეკითხვა ხელახლა ჩამოაყალიბეთ ისე, რომ მან მოიცვას ის, რაც კვლევაში შეცდომით იყო წარმოდგენილი, ცუდად ახსნილი ან არ იყო გათვალისწინებული.

*რატომ არის ალამოს ისტორია ასე მნიშვნელოვანი ჩვენს ეროვნულ მითოლოგიაში?*
*– ცოტა ისტორიკოსმა სცადა, აეხსნა, რატომ გახდა ალამოს იტორია ასე მნიშვნელოვანი ჩვენს ეროვნულ მითოლოგიაში.*

ავტორები ამას თითქმის ყოველთვის და მრავალი გზით აკეთებენ. ამდენად, კითხვის პარალელურად, ჩაინიშნეთ, როგორ არის ეს გაკეთებული წყაროებში.

3. თუ შეგიძლიათ, გააკეთეთ პასუხის მონახაზი შეკითხვაზე - *მერე რა, თუ ვერ გავარკვევთ?* რომელ უფრო მასშტაბურ საკითხს ვერ გაიგებს მკითხველი, თუ არ გასცემთ პასუხს თქვენი კვლევის შეკითხვაზე?

*თუ გავიგებთ, ეს ისტორიები როგორ იქცა ეროვნულ ლეგენდებად, უკეთ გავიგებდით ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, ალბათ, იმასაც, რითი ვართ გამორჩეული.*

ამ ეტაპზე შეიძლება, აღმოაჩინოთ საკითხის უფრო დიდი, რთულად წარმოსადგენი მნიშვნელობა. დაამატეთ ის, თუ შეგიძლიათ, თუმცა, დიდ დროს ნუ დახარჯავთ ამაზე; ჩვენ მას მოგვიანებით დავუბრუნდებით (იხ. 10.1.3).

4. გადაამუშავეთ და მოუნახეთ ადგილი დებულებას. დებულება დაწერეთ „დაფის" პირველ გვერდზე. ახლა განსაზღვრეთ, სად გსურთ დებულების დატოვება. მოხსენებაში დებულების აღსანიშნად ორი ვარიანტი გაქვთ:
    - შესავლის ბოლოს და განმეორებით, დასკვნის დასაწყისთან ახლოს;
    - მხოლოდ დასკვნაში, მსჯელობის კულმინაციის სახით;

თუ კვლევითი პროექტების წერაში მწირი გამოცდილება გაქვთ, მოგიწოდებთ, ჩაწეროთ დებულება შესავლის ბოლოს და განმეორებით, დასკვნის დასაწყისთან. როდესაც მკითხველი დებულებას დასაწყისშივე ნახავს, შესავლის ბოლოს ეცოდინება, რის შესახებ არის კვლევა და ამდენად, შემდგომი ნაწილების უფრო სწრაფად წაკითხვას, უკეთ გაგებას შეძლებს და ის დიდხანს დაამახსოვრდება. როდესაც პირველ რიგში წერთ დებულებას, ეს, აგრეთვე, გეხმარებათ წერის პროცესის სწორად წარმართვაში.

ზოგიერთი ახალბედა მკვლევარი შიშობს, რომ თუ შესავალში გაამჟღავნებს დებულებას, მკითხველს დაეკარგება ინტერესი და აღარ განაგრძობს კითხვას. სხვები შიშობენ, რომ ერთი და იგივეს გამეორება არ მოუწიოთ. ორივე შიში უსაფუძვლოა. თუ საინტერესო შეკითხვას დასვამთ, მკითხველს გაუჩნდება სურვილი, იხილოს, რამდენად კარგად შეძლებთ მასზე პასუხის დასაბუთებას.

თუ დებულებას დატოვებთ შესავალი გვერდის ქვედა ნაწილში, ხელახლა ჩამოაყალიბეთ მისი ვარიანტი „დაფის" ბოლოში, დასკვნის ახალი ფურცლის ზედა ნაწილში. თუ შეგიძლიათ, დასკვნის ნაწილში ჩართული დებულება შესავალში მოცემულ დებულებასთან შედარებით უფრო კონკრეტულად ჩამოაყალიბეთ.

ზოგიერთ სფეროში ავტორები დებულებას, როგორც წესი, ამჟღავნებენ მხოლოდ დასკვნით ნაწილში, რომლის სათაურია მსჯელობა ან დასკვნა. ასეთ შემთხვევებში მრავალი მკითხველი თვალს გადაავლებს შესავალს და პირდაპირ დასკვნაზე გადადის. ამდენად, ამ ტიპის მკითხველისთვის შესავალი ისე დაწერეთ, რომ იქ წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ნაშრომის ძირითადი ნაწილი, არამედ დასკვნაც.

თუ გადაწყვეტთ, რომ დებულება მხოლოდ დასკვნაში ჩართოთ, აიტანეთ ის ახალი დასკვნის გვერდის ზედა ნაწილში. თუმცა, თუ ასე მოიქცევით, დაგჭირდებათ კიდევ ერთი წინადადება, რომელიც დებულების ნაცვლად უნდა ჩასვათ შესავლის ბოლო ნაწილში, რათა მკითხველი საინტერესოდ გადაიყვანოთ მოხსენების ძირითად ნაწილზე. ეს წინადადება უნდ მოიცავდეს ძირითად ტერმინებს, რომლებსაც გამოიყენებთ მთელ მოხსენებაში (იხ. 6.2.3).

ჩვენი რჩევაა, დაწეროთ ეს წარმდგენი წინადადება შავი ნაწერის შესავლის საბოლოო ვარიანტის შექმნისას (იხ. 10.1.4). ამდენად, მანამდე გამოყავით ადგილი ამ წინადადებისთვის „დაფაზე", შესავლის გვერდის ქვედა ნაწილში, ან გააკეთეთ წინადადების მონახაზი ან ჩანაწერი, რომელსაც მოგვიანებით დაამატებთ.

ზოგიერთი ავტორი შესავლის ბოლოს ამატებს „სქემას", სადაც წარმოადგენს მოხსენების სტრუქტურას:

> პირველ ნაწილში განვიხილე... მეორე ნაწილში შევეხეთ... მესამე ნაწილში განხილულია..

მკითხველების დამოკიდებულება ამ მეთოდის მიმართ განსხვავდება. მას ფართოდ იყენებენ სოციალურ მეცნიერებებში, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ის არამართებულად მიიჩნევა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფიქრობთ, რომ სქემა მკითხველს არ მოეწონება, შეგიძლიათ ის დაამატოთ „დაფაზე". ეს დაგეხმარებათ შავი ნაწერის შექმნისას. შემდეგ ამოჭერით ის შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტიდან. თუ დატოვებთ, დარწმუნდით, რომ მოკლეა.

### 6.2.3 განსაზღვრეთ იმ ცნებების გამომხატველი ძირითადი ტერმინები, რომლებიც აერთიანებს ნაშრომს და განასხვავებს მის ნაწილებს ერთმანეთისგან

მოხსენების ლოგიკური თანმიმდევრულობის აღსაქმელად, მკითხველმა უნდა დაინახოს, რომ მის ყველა ნაწილს გასდევს მთავარი თემები. თუმცა, მკითხველი ვერ შენიშნავს ამ გამეორებულ ცნებებს, თუ მათ სხვადასხვა ტერმინით გამოხატავთ. მკითხველს სჭირდება, იხილოს კონკრეტული ტერმინები, რომლითაც აღწერთ ამ ცნებებს. არ არის სავალდებულო ყოველ ჯერზე ტერმინები იხმაროთ, მაგრამ ეს იმდენად ხშირად უნდა გააკეთოთ, რომ მკითხველს არ გამორჩეს ძირითადი ცნებები. ის ტერმინები, რომლებიც გასდევს მთელ მოხსენებას შესაძლოა, მოიცავდეს სიტყვებს, რომლებიც გამოიყენეთ შენიშვნების კატეგორიზაციისთვის, თუმცა, ისინი უნდა მოიცავდეს მნიშვნელოვან სიტყვებს თქვენი შეკითხვიდან და დებულებიდან. მკითხველმა, აგრეთვე, თითოეულ ნაწილში უნდა დაინახოს უფრო მეტი კონკრეტული ცნება, რაც მოცემულ ნაწილს სხვა დანარჩენი ნაწილებისგან განასხვავებს.

ამდენად, შავი ნაწერის შექმნის დაწყებამდე განსაზღვრეთ ძირითადი ცნებები, რომელთა გამოყენებასაც აპირებთ მთელ მოხსენებაში და შეარჩიეთ ტერმინი, რომელსაც გამოიყენებთ ყველაზე უფრო ხშირად თითოეულის აღსანიშნავად. შემდეგ იგივენაირად მოიქეცით ცნებებისთვის, რომლებიც გამოარჩევს თითოეულ ნაწილს სხვა ნაწილებისგან. შავი ნაწერის შექმნის პროცესში აღმოაჩენთ ახალ ტერმინებს და ამოიღებთ ძველებს, თუმცა, თუ უმნიშვნელოვანეს ტერმინებს და ცნებებს გაითვალისწინებთ, უფრო ლოგიკურად თანმიმდევრული ნაშრომი გამოგივათ,.

აი, კონკრეტული მეთოდი იმ ზოგადი ცნებების გამოსავლენად, რომლებიც აერთიანებს მთელ მოხსენებას:

1. „დაფაზე" შესავლის და დასკვნის გვერდებზე შემოხაზეთ ოთხი ან ხუთი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს ყველაზე მნიშვნელოვან ცნებებს. ეს სიტყვები უნდა იყოს დებულების ყველაზე დეტალურ ვარიანტში.

- ნუ გამოიყენებთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც აშკარად არის დაკავშირებული თემასთან: ალამო, ბრძოლა, დამარცხება.
- აქცენტი გააკეთეთ ცნებებზე, რომლებსაც ჩართავთ არგუმენტში და რომელთა გავრცობასაც აპირებთ: დამარცხების შემდეგ, ტრიუმფი მარცხში, საგმირო იდეალები, თავგანწირვა, ეროვნული სულისკვეთება, და ა.შ.

2. თითოეული ცნებისთვის შეარჩიეთ საკვანძო ტერმინი, რომელსაც გაიმეორებთ ნაშრომის ტექსტში. ეს შეიძლება, იყოს ერთ-ერთი შემოხაზული სიტყვა ან ახალი სიტყვა. ჩამოთვალეთ ეს ძირითადი ტერმინები ცალკე გვერდზე. თუ რამდენიმე სიტყვა ნახეთ, რომლებიც ძირითად ტერმინებად გამოდგება, ესე იგი, შესაძლოა, დებულება ძალიან ზოგადია (გადახედეთ 5.4.1).

შეგიძლიათ, იგივე პროცედურა განახორციელოთ იმ ძირითადი ტერმინების გამოსავლენად, რომლებიც თითოეულ ნაწილს აერთიანებს. შეხედეთ ვარაუდს, რომელიც განსაზღვრეთ ვარაუდის თითოეული გვერდის ზედა ნაწილში და შემოხაზეთ მისი მნიშვნელოვანი სიტყვები. ამ სიტყვებიდან ზოგი მათგანი დაკავშირებული უნდა იყოს სიტყვებთან, რომლებიც შემოხაზულია შესავალსა და დასკვნაში. დანარჩენები უნდა გამოხატავდეს ცნებებს, რომლებიც გამოარჩევს მოცემულ ნაწილს სხვა ნაწილებისგან. შეარჩიეთ ძირითადი ტერმინი თითოეული ძირითადი ცნებისთვის.

ახლა, შავი ნაწერის წერის პროცესში, გამოიყენეთ როგორც ზოგადი ტერმინები, რომლებიც უნდა გასდევდეს მთლიან მოხსენებას, ისე კონკრეტული ტერმინები, რომლებიც განასხვავებს თითოეულ ნაწილს სხვა დანარჩენი ნაწილებისგან. მათი დახმარებით უზრუნველყოფთ საკუთარი მუშაობის და, შესაბამისად, მკითხველის სწორი მიმართულებით წაყვანას. თუ მოგვიანებით იხილავთ, რომ ნაშრომში ეს ტერმინები მწირად არის გამოყენებული, ნუ დაუბრუნდებით მათ მაშინვე. შავი ნაწერის შექმნის პროცესში შესაძლოა, რაიმე ახალი აღმოაჩინოთ.

### 6.2.4 გამოიყენეთ კონკრეტული ძირითადი ტერმინები ქვეთავების დასასათაურებლად

იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს სფეროში ნაშრომებში ქვესათაურები არ გამოიყენება (იხ. A2.2 დანართში), ჩვენი რჩევაა, გამოიყენოთ ისინი შავ ნაწერში. შექმენით ქვესათაურები ძირითადი ტერმინებისგან, რომლებიც განსაზღვრეთ 6.2.3-ში. თუ ვერ პოულობთ ძირითად ტერმინებს ნაწილის განსხვავების წარმოსაჩენად, ყურადღებით დააკვირდით და განსაზღვრეთ, რა დანიშნულებას ასრულებს ის. მკითხველმა შესაძლოა, ის გამეორებად ან შეუსაბამოდ ჩათვალოს.

თუ თქვენს სფეროში ქვესათაურები მაინცდამაინც არ გამოიყენება, გამოიყენეთ ისინი მუშაობის პროცესში, შემდეგ კი შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტიდან ამოიღეთ.

### 6.2.5. დაალაგეთ ვარაუდები

ნაშრომის ნაწილებისთვის კარგი თანმიმდევრობის მოძებნა შეიძლება, დაგეგმვის ყველაზე რთული ნაწილი აღმოჩნდეს. არგუმენტის თავმოყრის დროს, შესაძლოა, არ დაგილაგებიათ ვარაუდები რაიმე კონკრეტული თანმიმდევრობით („დაფის" გამოყენების ერთ-ერთი დადებითი მხარე). თუმცა შავი ნაწერის დაგეგმვისას როგორღაც უნდა დაალაგოთ ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მკითხველის მოთხოვნილებებს. ეს არ არის იოლი, განსაკუთრებით, როცა წერთ ახალ თემაზე ახალ სფეროში.

როდესაც არ ხართ დარწმუნებული, საუკეთესო თანმიმდევრობით როგორ დაალაგოთ ვარაუდები, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- შედარება და შეპირისპირება. ეს არის ფორმა, რომელსაც შეარჩევდით ორი ან მეტი სუბიექტის, ცნების ან საგნის შედარების შემთხვევაში.

თუმცა, არსებობს შედარების და შეპირისპირების ორი ხერხი, რომელთაგან ერთი, ჩვეულებრივ, მეორეზე უკეთესია. მაგალითად, რომ ადარებდეთ, ჰოპის ტომთა ნიღბებს უფრო მეტი რელიგიური სიმბოლიზმი ახასიათებს თუ ინუიტების ნიღბებს, შესაძლოა, გადაგეწყვიტათ ნაშრომის პირველ ნაწილში ინუიტების ნიღბების შესახებ მსჯელობა, მეორეში კი – ჰოპის ნიღბებზე. თუმცა, ამ სახის წყობის შედეგად ძალიან ხშირად ვიღებთ ორ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ რეზიუმეს. სცადეთ თემების დაყოფა კონცეპტუალურ ნაწილებად. ნიღბების შემთხვევში ეს იქნებოდა მათი სიმბოლური გამოხატულება, დიზაინის ელემენტები, განვითარების ეტაპები, და ა.შ.

არსებობს აზრების დალაგების რამდენიმე სხვა სტანდარტული ხერხი. ორი მათგანი აქცენტს აკეთებს საგანზე:

- ქრონოლოგიური. ეს არის ყველაზე მარტივი მეთოდი: ყველაზე ადრეულიდან უახლესისკენ ან მიზეზიდან შედეგისკენ.
- ნაწილების მიხედვით. შეგიძლიათ თემა დაყოთ შემადგენელ ნაწილებად, თითოეულ მათგანზე იმუშაოთ რიგ-რიგობით, თუმცა, მაინც უნდა დაალაგოთ ეს ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით, რათა დაეხმაროთ მკითხველს მათ გაგებაში.

შეგიძლიათ, აგრეთვე, დაალაგოთ იმის მიხედვით, თუ როგორ გაიგებს მათ მკითხველი:

- მოკლედან გრძელამდე, მარტივიდან რთულამდე. მკითხველების დიდ ნაწილს ურჩევნია გაეცნოს ნაკლებ კომპლექსურ საკითხებს, ვიდრე უფრო კომპლექსურ ნაწილებზე გადავა.
- შედარებით ნაცნობი საკითხიდან ნაკლებ ნაცნობ საკითხამდე. მკითხველების უმეტესობას ურჩევნია, ახალი საკითხის წაკითხვამდე წაიკითხოს ის, რაც მისთვის ნაცნობია.
- ნაკლებ სადავოდან უფრო სადავომდე. მკითხველების უმრავლესობა უფრო მარტივად გადაინაცვლებს იმ თემიდან, რომელსაც ეთანხმება, იმ თემაზე, რომელსაც არ ეთანხმება.

- ნაკლებ მნიშვნელოვნიდან უფრო მნიშვნელოვნამდე (ან პირიქით). მკითხველს ურჩევნია, წაიკითხოს უფრო მნიშვნელოვანი ვარაუდები პირველ რიგში, თუმცა, შესაძლოა, ამ ვარაუდებს მეტი ზეგავლენა ჰქონდეს, როდესაც ისინი ბოლოს არის წარმოდგენილი.
- საბაზისო ცოდნა მომდევნო საკითხების უკეთ გასაგებად. მკითხველს შესაძლოა, დასჭირდეს გარკვეული მოვლენების, პრინციპების, განსაზღვრებების და ა.შ. გაგება, ვიდრე სხვა რამეს გაიგებენ.

ხშირად, ეს პრინციპები ურთიერთქმედებენ: ის, რასაც მკითხველი ეთანხმება და ყველაზე მარტივად ესმის, შესაძლოა, იმავდროულად, იყოს ყველაზე მოკლე და ნაცნობი. თუმცა, შესაძლოა, ისინი, აგრეთვე, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ: ვარაუდები, რომლებიც მკითხველს ესმის, სავსებით შესაძლებელია, იყოს ის ვარაუდები, რომლებსაც ყველაზე მალე უკუაგდებენ; ის, რაც მიგაჩნიათ ყველაზე გადამწყვეტ მიზეზად, შესაძლოა, მკითხველს მოეჩვენოს ყველაზე ნაკლებად ნაცნობად. აქ არ მოქმედებს წესები, მხოლოდ არჩევნის პრინციპები.

რა თანმიმდევრობაც არ უნდა შეარჩიოთ, ის უნდა ასახავდეს მკითხველის საჭიროებებს და არა იმ თანმიმდევრობას, რომელიც მასალიდან გამომდინარეობს (როგორც აშკარა შედარება–შეპირისპირების წყობაშია) და ყველაზე ნაკლებად – იმ თანმიმდევრობას, რომლითაც აზრები მოგდიოდათ.

### 6.2.6 გარდამავალი  სიტყვების გამოყენებით ასახეთ თანმიმდევრობა

დარწმუნდით, რომ მკითხველი შეძლებს, შენიშნოს თქვენს მიერ არჩეული თანმიმდევრობა. „დაფაზე" ვარაუდების ყოველი გვერდი დაიწყეთ სიტყვებით, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავს თანმიმდევრობის პრინციპს: პირველ რიგში, ამას გარდა, შემდგომ, დაბოლოს, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უფრო კომპლექსური საკითხია, შედეგად. ნუ ჩათვლით, რომ ამ სიტყვების გამოყენება უადგილოა და ნურც იდარდებთ ამას, ამ ეტაპზე ისინი უფრო მეტად თქვენთვის

არის სასარგებლო, ვიდრე მკითხველისთვის. შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტში მათი შეცვლა ან ამოღება შეგიძლიათ.

### 6.2.7 გააკეთეთ შესავლის მოკლე მონახაზი თითოეული ნაწილისა და ქვენათავისთვის

მთლიანი მოხსენებისთვის, როგორც იცით, საჭიროა შესავალი, სადაც მიმოხილულია მომდევნო ნაწილების შინაარსი. ამის მსგავსად, შესავალი საჭიროა, ასევე, თითოეული ნაწილისთვის. თუ ნაწილი მხოლოდ ერთ ან ორგვერდიანია, შესავლისთვის მხოლოდ მოკლე აბზაცი იქნება საკმარისი; თუ ნაწილი რამდენიმე გვერდისგან შედგება, დაგჭირდებათ მონახაზი, რომელსაც ორი ან რამდენიმე აბზაცით წარმოადგენთ. აღნიშნული შესავლის ნაწილში უნდა წარმოადგინოთ ძირითადი ტერმინები, რომლებიც დამახასიათებელია შესაბამისი ნაწილისთვის. საუკეთესო შემთხვევაში, ეს უნდა გააკეთოთ ბოლოში, ერთი წინადადებით ძირითადი არსის გამოხატვით. ეს არსი შეიძლება იყოს ვარაუდი, პასუხი სხვადასხვა თვალსაზრისზე ან განმარტებით მსჯელობაზე, რომელიც უნდა ახსნათ. ნაწილში, რომელიც, თქვენი აზრით, დაახლოებით, ხუთ გვერდზე მეტი მოცულობისა იქნება, შესაძლოა, ნაწილის არსი წარმოადგინოთ როგორც შესავლის ბოლოს, ასევე, განმეორებით, დასკვნაში.

### 6.2.8 თითოეული ნაწილისთვის გააკეთეთ ფაქტობრივი მტკიცებულებების, ალტერნატიული მოსაზრების, განმარტებითი მსჯელობის და რეზიუმეების მონახაზი

შესაბამის ნაწილებში გააკეთეთ არგუმენტის ნაწილების მონახაზი. გახსოვდეთ, რომ ამ ნაწილებიდან ბევრში თავისთავად იქნება წარმოდგენილი არსი, რომელიც უნდა გამყარდეს შედარებით მცირე არგუმენტებით.

**ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ.** უმეტესი ნაწილები, უპირატესად, შედგება ფაქტებისგან, რომლებიც ამყარებს ვარაუდს. ფაქტობრივი მტკიცებულებების

მონახაზი შექმენით იმ ვარაუდის შემდეგ, რომელსაც ის ამყარებს. თუ ერთი და იგივე ვარაუდისთვის განსხვავებული სახის ფაქტები გაქვთ მოყვანილი, დააჯგუფეთ და დაალაგეთ ისინი მკითხველისთვის გასაგები სახით.

**ფაქტობრივი მტკიცებულებების განმარტება.** თქვენ უნდა წარმოადგინოთ განმარტება მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით – საიდან მოიპოვეთ, რატომ არის სანდო და ზუსტად როგორ ამყარებენ ისინი თქვენს ვარაუდს. როგორც წესი, ეს განმარტებები ფაქტობრივ მტკიცებულებებს მოსდევს, თუმცა, შეგიძლიათ გააკეთოთ მათი მონახაზი მანამდეც, თუ ეს უფრო ლოგიკურად გეჩვენებათ.

**ალტერნატიული მოსაზრებები და პასუხები.** წარმოიდგინეთ, მკითხველი რას არ დაეთანხმება და სად, შემდეგ გააკეთეთ პასუხის მონახაზი. პასუხი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ქვეარგუმენტს, რომელიც უნდა შეიცავდეს, სულ მცირე დებულებას და ვარაუდებს, ის ხშირად მოიცავს ფაქტებს და თქვენი პასუხის წარმოსახვით საწინააღმდეგო მოსაზრებაზე პასუხსაც კი.

**განმარტებითი მსჯელობა.** თუ ფიქრობთ, რომ დაგჭირდებათ მსჯელობის განმარტება ვარაუდის შესაბამისობის დასასაბუთებლად, შეიმუშავეთ ის ვარაუდის წარმოდგენამდე. (თუ განმარტებით მსჯელობას მხოლოდ აქცენტისთვის იყენებთ, ჩასვით ის ვარაუდის შემდეგ). თუ ფიქრობთ, რომ მკითხველი ეჭვქვეშ დააყენებს განმარტებითი მსჯელობის სინამდვილეს, გააკეთეთ მინიარგუმენტის მონახაზი მის დასასაბუთებლად. თუ მკითხველმა შეიძლება, იფიქროს, რომ თქვენი ვარაუდი ან დებულება არ არის განმარტებითი მსჯელობის ნამდვილი გარემოება, გააკეთეთ საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი არგუმენტის მონახაზი

**რეზიუმეები.** თუ ნაშრომი ოც გვერდზე მეტი მოცულობისაა, შეგიძლიათ, არგუმენტის განვითარების ეტაპი თითოეული დიდი ნაწილის ბოლოში მოკლედ შეაჯამოთ, განსაკუთრებით, თუ ნაშრომში მრავლად არის გამოყენებული

ფაქტები, თარიღები, სახელები, მოვლენები ან ციფრები. ამდენი ფაქტების წარმოდგენით შეიძლება, ბუნდოვანი გახდეს არგუმენტის განვითარების პროცესი. რა დაადგინეთ ამ ნაწილში? რა ეტაპზეა არგუმენტი ამ დროისთვის? თუ შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტში ეს რეზიუმეები ძალიან თვალსაჩინოა, ამოჭერით ისინი.

სხვადასხვა სფეროებში მომუშავე ავტორებმა შესაძლოა, ეს ელემენტები ოდნავ განსხვავებულად დაალაგონ, თუმცა, თავად ელემენტები და მათი ორგანიზების პრინციპები იგივეა ნებისმიერ სფეროსა და პროფესიაში. სფეროს მიუხედავად, თითოეულ ნაშრომში ძალიან მნიშვნელოვნია, რომ არგუმენტის ნაწილები დაალაგოთ არა, უბრალოდ, საკუთარი თვალსაზრისის ასახვის მიზნით, არამედ მკითხველისთვის გასაგები სახით.

### 6.2.9 შექმენით დასკვნის სამუშაო ვარიანტის მონახაზი

დასკვნითი დებულება „დაფაზე" დასკვნის გვერდის ზედა ნაწილში უნდა გქონდეთ დაწერილი. თუ შეგიძლიათ ამ დებულების მნიშვნელობის გაძლიერება (მორიგი პასუხი შეკითხვაზე – მერე რა?), გაკეთეთ მისი მონახაზი დებულების შემდეგ (უფრო ვრცლად დასკვნების შესახებ იხ. 10.3).

## 6.3 შეინახეთ დარჩენილი მასალა

გეგმის პირველი სამუშაო ვარიანტის შექმნის შემდეგ შესაძლოა, აღმოაჩინოთ, რომ დაგრჩათ ბევრი მასალა, რომელიც არ გამოგიყენებიათ გეგმის შემუშავებისას. დაძლიეთ სურვილი, ჩართოთ დარჩენილი მასალა მოხსენებაში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ რადგან მოიძიეთ, მკითხველმაც უნდა წაიკითხოს. ფაქტობრივად, თუ მასალების უმეტესობა გამოიყენეთ და ნარჩენი მასალა ცოტაა, ალბათ, საკმარისი კვლევა არ ჩაგიტარებიათ. შეინახეთ დარჩენილი მასალა სამომავლოდ. შესაძლოა, იქ ინახებოდეს სხვა პროექტისთვის გამოსადეგი მარცვლები.

# 7 ნაშრომის შავი ნაწერის შექმნა

**7.1 შეარჩიეთ წერის მაქსიმალურად მოსახერხებელი გზა**

**7.2 გამოიმუშავეთ შედეგიანი შავი ნაწერის შექმნის ჩვევა**

**7.3 გამოიყენეთ ძირითადი ტერმინები, რომ შეინარჩუნოთ სწორი კურსი**

**7.4 სათანადოდ მოიყვანეთ ციტატები, გააკეთეთ პერიფრაზი და რეზიუმე**

**7.5 ტექსტში ჩართეთ ციტატები**

**7.6 გონივრულად გამოიყენეთ სქოლიოები, შენიშვნები და დამატებითი განმარტებები**

**7.7 წარდგენამდე განმარტეთ კომპლექსური ან დეტალური ფაქტობრივი მტკიცებულება**

**7.8 გაითვალისწინეთ შესაძლო მოულოდნელობები**

**7.9 თავი დაიცავით უნებლიე პლაგიატისგან**

**7.9.1 გამოყავით თითოეული ციტატა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მითითებული გაქვთ წყარო**

**7.9.2 ნუ გააკეთებთ პერიფრაზს ორიგინალ ტექსტთან ძალიან ახლოს**

**7.9.3 იმ აზრებისთვის, რომლებიც თქვენ არ გეკუთვნით, როგორც წესი, გააკეთეთ წყაროს ციტირება**

**7.9.4 თავს ნუ გაიმართლებთ არცოდნით, გაუგებრობით ან კეთილი განზრახვით**

**7.10 მოერიდეთ არასათანადო დახმარების მიღებას**

**7.11 გადალახეთ საქმის ქრონიკულად გადადების ეტაპი და შემოქმედებითი ჩიხი**

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც „დაფაზე" დაწერს მონახაზს, შეძლებს შავი ნაწერის დაწერას, უბრალოდ, წინადადებების გაშალაშინების გზით. თუ ვრცელი მონახაზი გაქვთ გაკეთებული, ალბათ, იმასაც ფიქრობთ, რომ ეს მოსამზადებელი ჩანაწერები შეგიძლიათ, შავ ნაწერში გადაიტანოთ. გამოცდილმა ავტორებმა იციან, რომ ეს არ არის გამართლებული გზა. მათ იციან ორი რამ: კვლევის პროცესში მონახაზების გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ხშირად ეს მოსამზადებელი ნაწერი არ გამოდგება შავ

ნაწერში ჩასართავად; ამასთანავე, სამუშაო ვარიანტის შექმნის პროცესი შეიძლება, იყოს აღმოჩენა, რომლისთვისაც მკვლევარი ემზადება მოსამზადებელი, დაგეგმვის და „დაფაზე" დატანის ეტაპების დროს, თუმცა, ეს ნაწერები სამუშაო ვარიანტისთვის არ გამოდგება. ფაქტობრივად, ავტორების უმრავლესობამ არ იცის, რა აზრი შეიძლება, მოუვიდეთ, ვიდრე არ იხილავენ მას დაწერილს, სიტყვებით გამოხატულს. მართლაც, კვლევის დროს ერთ-ერთ ყველაზე ამაღელვებელი მომენტია, როდესაც აღმოაჩენთ, რომ გამოხატავთ იდეებს, რომლებიც იმ წუთამდე არ იცოდით, თუ გქონდათ.

ამდენად, ნუ შეხედავთ შავი ნაწერის შექმნას როგორც. უბრალოდ, „დაფაზე" ჩამოწერილი დებულებების ან მონახაზის თხრობით ფორმაში გადატანას. თუ შავ ნაწერს ობიექტურად ქმნით, შეიძლება, მოგივიდეთ აზრები, რომლებსაც, ვიდრე წერას დაიწყებდით, ვერც კი წარმოიდგენდით, თუმცა, პროცესის სხვა ნაბიჯების მსგავსად, გეგმის არსებობის შემთხვევაში მოულოდნელობებსაც კი უკეთ გაართმევთ თავს.

## 7.1 შეარჩიეთ წერის მაქსიმალურად მოსახერხებელი გზა

ავტორები შავი ნაწერის შესაქმნელად სხვადასხვა გზას იყენებენ. ზოგი წერს ნელა და დაკვირვებით: მომდევნო აბზაცზე გადასვლამდე საბოლოოდ უნდა ჩამოაყალიბონ წინა აბზაცი. ამისთვის სჭირდებათ დეტალური გეგმა. ამდენად, თუ ნელა წერთ, დაგეგმეთ დაკვირვებით. სხვა ავტორები წერენ სწრაფად, თუ შემოქმედებით ჩიხში აღმოჩნდებიან, გადაინაცვლებენ შემდეგ ნაწილებზე, გამოტოვებენ ციტატებს, სტატისტიკას და ა.შ. და მოგვიანებით ჩაამატებენ ამ ნაწილებს. თუ შეჩერება მოუწევთ სტილისტური საკითხის გამო, როგორიცაა საკითხი ციფრები სიტყვებით გამოხატონ თუ ციფრებით, ისინი იმ ადგილზე ჩაწერენ [?] და განაგრძობენ წერას ენერგიის გამოცლამდე. შემდეგ დაუბრუნდებიან ამ ადგილებს და გაასწორებენ. თუმცა, ისეთ ავტორებს, რომლებიც სწრაფად წერენ, დიდი დრო სჭირდებათ ნაწერის გადასამუშავებლად. ამდენად, თუ სწრაფად წერთ, ადრე შეუდექით მუშაობას. წერეთ თქვენთვის მოსახერხებელი გზით; უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი

ავტორები, როგორც წესი, წერენ სწრაფად, შემდგომ კი სერიოზულად ამუშავებენ ნაწერს.

## 7.2 გამოიმუშავეთ შედეგიანი შავი ნაწერის შექმნის ჩვევა

ადამიანების უდიდესი ნაწილი ყველაზე ნაკლებად ეფექტურ გარემოებებში სწავლეობს წერას – ზეწოლის ქვეშ, როცა ჩქარობენ ვადაში ჩატევას, სწრაფად ქმნიან შავ ნაწერს წინა ღამით და ალბათ, მომდევნო დილას რამდენიმე წუთში გადაავლებენ მას თვალს. ეს მეთოდი იშვიათად ამართლებს მოკლე მოხსენების წერის შემთხვევაში და თითქმის არასოდეს – დიდი ნაშრომის შემთხვევაში. თქვენ გჭირდებათ დრო და გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება მცირე, მიღწევადი მიზნები, მაგრამ რომელიც ორიენტირებული იქნება დიდი, ძირითადი მიზნის მიღწევაზე.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წერეთ რეგულარულად და ხშირად; ნუ დაწერთ ნაჩქარევად, რათა არ შეაფერხოთ აზროვნების პროცესი და არ ჩაიხშოთ ინტერესი. წერის თითოეული სესიისთვის დასახეთ მცირე მიზანი და სიტყვების გონივრული რაოდენობა, მისდიეთ ამ გეგმას. როცა წერას განაახლებთ, არ არის აუცილებელი იმ მონაკვეთიდან გააგრძელოთ, სადაც შეწყვიტეთ. გადახედეთ „დაფას", რათა განსაზღვროთ, რისი წერისთვის ხართ მზად მოცემულ დღეს. გადახედეთ, როგორ ჯდება საკითხი შესაბამის ნაწილში და მთელ მოხსენებაში: რა ვარაუდს ამყარებს ნაწილი? რა ადგილი უკავია მთლიან ლოგიკურ მსჯელობაში? რომელი ძირითადი ტერმინები გამოხატავს ცნებებს, რომლებიც გამოარჩევს აღნიშნულ ნაწილს? თუ გიჭირთ ნაწილის დასრულება, გადადით სხვა ნაწილზე. რაც არ უნდა გააკეთოთ, ნუ ჩაანაცვლებთ წერას მეტი კითხვით. ადამიანს, რომელიც ქრონიკულად მომავლისთვის დებს საქმის კეთებას, ჩვეულებრივ, ისე აფრთხობს პროექტის მოცულობა, რომ მოქმედების უნარი ერთმევა და აგრძელებს საქმის დაწყების სამომავლოდ გადადებას. ამ მავნე ჩვევის დაძლევა პროექტის მცირე, მიღწევად მიზნებად დაყოფის გზით შეგიძლიათ (იხ. 7.11).

### 7.3 გამოიყენეთ საორიენტაციო ტერმინები, რომ შეინარჩუნოთ სწორი კურსი

ნაწერის შექმნისას ხელთ იქონიეთ ზოგადი ცნებების შესაბამისი საორიენტაციო ტერმინების ცალკე სია; ეს ის ტერმინებია, რომლებიც მთელს ნაშრომში უნდა გამოიყენოთ. დროდადრო შეამოწმეთ, რამდენად ხშირად გაქვთ გამოყენებული ეს სიტყვები – ისინი, რომლებიც მთლიან ნაშრომს გასდევს და ისინი, რომლებიც ერთ ნაწილს მეორისგან გამოარჩევს. თუმცა, ამ სიტყვებმა არ უნდა გამოიწვიოს ორიგინალური აზროვნების შეზღუდვა. თუ შენიშნავთ, რომ ყურადღება გადაგერთოთ სხვა რამეზე, არ შეაფერხოთ ეს პროცესი. შეიძლება, საინტერესო იდეა მოგივიდეთ. გააგრძელეთ, ვიდრე არ მიხვდებით, რა ახალი აზრი მოგივათ.

### 7.4 სათანადოდ მოიყვანეთ ციტატები, გააკეთეთ პერიფრაზი და რეზიუმე

ამ თემას შევეხეთ, როდესაც განვიხილეთ ჩანაწერების გაკეთებასთან დაკავშირებული საკითხები (4.2.2). ნაშრომის უდიდესი ნაწილი უნდა დაწეროთ საკუთარი სიტყვებით, რომლებიც გამოხატავს თქვენს თვალსაზრისს. აღნიშნულ თვალსაზრისსა და მოსაზრებებს ძირითადად გაამყარებთ ციტატების, პერიფრაზის და რეზიუმეების გამოყენებით. თუმცა, სხვადასხვა სფეროში ისინი სხვადასხვა დოზით გამოიყენება. საზოგადოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მკვლევრები ყველაზე ხშირად იყენებენ ციტატებს; სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩვეულებრივ პერიფრაზს ან რეზიუმეს მიმართავენ. თუმცა, ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, გამომდინარე იქიდან, როგორ იყენებთ ინფორმაციას არგუმენტში კერძო შემთხვევებისას. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე პრინციპი:

- რეზიუმე წარმოადგინეთ მაშინ, როცა დეტალები არ არის მნიშვნელოვანი ან როდესაც წყარო არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი საიმისოდ, რომ მეტი ადგილი დაეთმოს ნაშრომში.
- გააკეთეთ პერიფრაზი მაშინ, როდესაც შეგიძლიათ წყაროში მოცემული მონაკვეთის უფრო მკაფიოდ ან მოკლედ გადმოცემა ან როცა არგუმენტი

დამოკიდებულია წყაროში არსებულ დეტალებზე, მაგრამ არა კონკრეტულ სიტყვებზე (თუმცა, პერიფრაზს ვიდრე გააკეთებდეთ, წაიკითხეთ 7.9.)

- მოყვანეთ ციტატა შემდეგ შემთხვევებში:
    - სიტყვები წარმოადგენს დამამტკიცებელ ფაქტებს, რომელიც ამყარებს თქვენს ვარაუდებს.
    - ნაწყვეტში მოცემულია თვალსაზრისი, რომელსაც არ ეთანხმებით და ობიექტურობის მიზნით გსურთ. ზუსტად წარმოადგინოთ ის.
    - ციტირებული სიტყვები ეკუთვნის ავტორიტეტულ პირს, რომელიც ემხრობა თქვენს თვალსაზრისს.
    - ციტატა საოცრად ორიგინალურია.
    - ის გამოხატავს თქვენს ძირითად ცნებებს ისე საინტერესოდ, რომ ციტატის გამოყენებით შეიძლება შემდგომი მსჯელობისთვის ჩარჩოს შექმნა.

ციტატები, პერიფრაზები და რეზიუმეები საკუთარი ახალი იდეებით უნდა დააბალანსოთ. უბრალოდ, ნუ გაიმეორებთ, ან უარესი, ნუ გადმოიტანთ სხვების სიტყვებს და იდეებს, რომლებსაც ტექსტში ჩართავთ და წარმოადგენთ, როგორც საკუთარს. ყველა პედაგოგს აღიზიანებს ასეთი ნაშრომები, ვინაიდან მათში იგრძნობა ორიგინალური აზროვნების სიმწირე. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნული პროექტის შემთხვევაში, როგორიცა თეზისი ან სადისერტაციო ნაშრომი, მკითხველი იმთავითვე მიუღებლად ჩათვლის ასეთ, ლიტერატურიდან ამოღებული იდეებით შეკოწიწებულ ნაშრომს.

მკითხველი აფასებს კვლევას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ენდობა მასში მოყვანილ წყაროებს. ამდენად, თითოეული რეზიუმეს, პერიფრაზის, ან ციტატის შემთხვევაში მიუთითეთ მისი ბიბლიოგრაფიული მონაცემები წყაროს დამოწმების შესაბამისი სტილის გამოყენებით (იხ. ნაწილი 2).

## 7.5 ტექსტში ჩართეთ ციტატები

ტექსტში ციტატები შეგიძლიათ ორი გზით ჩართოთ:

- მოიყვანეთ ოთხი ან ნაკლები ხაზის მოცულობის ციტატა ძირითად ტექსტში.
- გამოყავით ხუთ ან მეტხაზიანი ციტატა შეწეულ-სტრიქონებიანი აბზაცის სახით.

ორივე სახის ციტატა ტექსტში შეგიძლიათ, ორი გზით ჩართოთ:

1. ჩართეთ ციტატა დამოუკიდებელი წინადადების ან ნაწყვეტის სახით, რომელსაც წაუმძღვარებთ რამდენიმე სიტყვისგან შემდგარ განმარტებას. თუმცა, შესავალ წინადადებაში მოერიდეთ შემდეგი სიტყვების გამუდმებით გამოყენებას: ამბობს, მიხედვით, თქმით და ა.შ.:

დაიამონდის თქმით, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის და ჩინეთის ისტორიები … ყურადსაღები გაკვეთილია თანამედროვე მსოფლიოსთვის: გარემოებები იცვლება და წარსული დიდება არ არის მომავალი სიდიადის გარანტი" (417).

ამის ნაცვლად, წარმოადგინეთ გარკვეული ინტერპრეტაცია:

დაიამონდის მიხედვით, ერთი გაკვეთილი, რაც შეგვიძლია წარსულიდან ვისწავლოთ, არის ის, რომ არ უნდა ველოდეთ წარსულის განმეორებას.. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის და ჩინეთის ისტორიები... ყურადსაღები გაკვეთილია თანამედროვე მსოფლიოსთვის..."

2. ციტატის სტრუქტურა თქვენს წინადადებაში ჩააქსოვეთ:

პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა ისწავლონ ისტორიის მაგალითზე, თუმცა დაიამონდი აღნიშნავს, რომ „თანამედროვე მსოფლიოსთვის გაკვეთილი" ნაყოფიერი ნახევარმთვარის და ჩინეთის ისტორიიდან არის ის, რომ „გარემოებები იცვლება და წარსული დიდება არ არის მომავალი სიდიადის გარანტი" [417]. ამდენად, ერთი გაკვეთილი ისტორიიდან არის ის, რომ წარსული გამეორების იმედად ვერ ვიქნებით.

იმისათვის, რომ ციტირებული წინადადება კარგად შეერწყას თქვენსას, შეგიძლიათ, შეცვალოთ ციტატა, თუკი ამით არ შეიცვლება მისი მნიშვნელობა და მკაფიოდ მიუთითებთ დამატებულ ან შეცვლილ სიტყვებს კვადრატული ფრჩხილებით, გამოტოვებულ ტექსტს კი – მრავალწერტილით. ამ წინადადებაში ორიგინალი ტექსტი უცვლელად არის მოტანილი:

პოზნერი აქცენტს აკეთებს რელიგიაზე არა სულიერი, არამედ სოციალური დანიშნულების გამო: „ამერიკის საზოგადოების აღსანიშნავი ელემენტი რელიგიური პლურალიზმია და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, როგორ უკავშირდება ის სოციალური ნორმების მეშვეობით მართვის ეფექტიანობას იმის გათვალისწინებით, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიას, რომელიც იმავდროულად ამ ნორმების წყარო და დამამკვიდრებელი იყო." [299].

ამ ვერსიაში კი ციტატა შეცვლილია, ავტორის წინადადების სტურქტურასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

რელიგიური პლურალიზმის ამ განხილვაში პოზნერი ამერიკის საზოგადოების შესახებ ამბობს, რომ „აღსანიშნავი ელემენტი... არის [მისი] რელიგიური პლურალიზმი." ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, როგორ ზეგავლენას ახდენს მისი სოციალური ნორმები „მართვის ეფექტიანობაზე... იმის გათვალისწინებით, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიას, რომელიც იმავდროულად ამ ნორმების წყარო და დამამკვიდრებელი იყო."[299]
(ვრცლად ციტატების ტექსტში ჩართვის შესახებ იხ. 25-ე თავში.)

როდესაც პირველად მიუთითებთ წყაროზე, გამოიყენეთ მისი სრული დასახელება. ნუ დაურთავთ ბ-ნი, ქ-ნი, ან პროფესორი („ბ-ნის", „პატივცემულის", „სენატორის" და ა.შ. გამოყენების შესახებ იხ. 24.2.2). წყაროს შემდგომი მოხსენიებისას გამოიყენეთ მხოლოდ გვარი:

სტივენ პინკერის თქმით, „განცხადებებს ენის ინსტინქტის შესახებ... ფაქტობრივად არაფერი აქვს საერთო ადამიანებს შორის შესაძლო გენეტიკურ განსხვავებებთან." პინკერი აგრძელებს და აცხადებს, რომ...

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მითითებაა მეფეებზე, დედოფლებზე და პაპებზე, არასოდეს მოიხსენიოთ წყარო სახელით:

სტივენ პინკერის თქმით, „მტკიცებები ენის ინსტინქტის შესახებ...” სტივენი განაგრძობს, ...

## 7.6. გონივრულად გამოიყენეთ სქოლიოები, გვერდობლივი შენიშნვები და დამატებითი განმარტებები

თუ იყენებთ გამოყენებული ლიტერატურის დამოწმების სქოლიოში მითითების სტილს (იხ. 3.2.1), შავი ნაწერის შექმნისას უნდა გადაწყვიტოთ, როგორ გამოიყენოთ სქოლიოები, შენიშვნები და ნაშრომის ბოლოში მოცემული დამატებითი განმარტებები (მათ შესახებ სტანდარტული მოთხოვნები იხ. მე-16 თავში). რა თქმა უნდა, თითოეული წყარო უნდა მიუთითოთ სქოლიოში, თუმცა, აგრეთვე, უნდა გადაწყვიტოთ, როგორ გამოიყენოთ გვერდობლივი შენიშვნები და დამატებითი განმარტებები შინაარსობრივი შენიშვნებისთვის, რომლის არც ტექსტის ძირითად ნაწილში ჩართვა გსურთ და არც გამოტოვება. (ასეთი შინაარსობრივი შენიშვნები, ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექსტში ჩართულ მითითებებთან ერთად როცა ტექსტობრივ მითითების სტილს იყენებთ; იხ. 18.3.3.)

- თუ წყაროებს იმავე გვერდზე, სქოლიოში მიუთითებთ, შინაარსობრივი მასალა ნაშრომის ბოლოში მოცემულ დამატებით განმარტებებში გადაიტანეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველს მოუწევს ნაშრომის ბოლოში გადასვლა, რათა შეამოწმოს, შინაარსობრივია შენიშვნა თუ ბიბლიოგრაფიული.
- გონივრულად გამოიყენეთ შინაარსობრივი სქოლიოები. თუ ძალიან ბევრს გააკეთებთ, იქმნება იმის საშიშროება, რომ გვერდები წყვეტილი და დანაწევრებული გამოვიდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში გახსოვდეთ, რომ ძალიან ბევრი მკითხველი არ აქცევს ყურადღებას შინაარსობრივ სქოლიოებს იმ პრინციპით, რომ თუ ეს ინფორმაცია არ იყო საკმარისად მნიშვნელოვანი ტექსტში ჩასართავად, შესაბამისად, მათთვის არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი, რომ წაიკითხონ ის სქოლიოში.

### 7.7 წარდგენამდე განმარტეთ კომპლექსური ან დეტალური ფაქტობრივი მტკიცებულება

ამ ეტაპისთვის შესაძლოა, მტკიცედ დარწმუნებულმა ჩათვალოთ, რომ თქვენი ფაქტი ამყარებს ვარაუდს და მკითხველი აუცილებლად შენიშნავს მის შესაბამისობას. თუმცა, ფაქტობრივ მტკიცებულებას სჭირდება წარმოდგენა, განსაკუთრებით, თუ ეს დიდი ციტატა, სურათი, ცხრილი ან დიაგრამაა და ა.შ.; მას უნდა წაუმძღვაროთ წინადადება, სადაც მიუთითებთ მოყვანილი ფაქტის დანიშნულებას.

მაგალითად, რთულია დანახვა, როგორ ამყარებს შესავალ წინადადებას ციტატა ქვემოთ მოყვანილ მონაკვეთში:

როდესაც ჰამლეტი შემოდის მისი მამინაცვლის კლაუდიუსის ლოცვის დროს, ის ცივად და ლოგიკურად ფიქრობს, მოკლას თუ არა მამინაცვალი იქვე. დებულება

აგერ ლოცულობს!
მარჯვე დრო არის და მარჯვედაც მოვიხმარ ამ დროს:
მოვკლავ და ზეცას ავა იგი.
ამითი ვითომ მერე ჯავრს ვიყრი?
მოფიქრება არის საჭირო.
მამა მომიკლა ავაზაკმა და მე კი, ნაცვლად,
მის მკვიდრი შვილი ზეცას ვგზავნი იმავ ავაზაკს.
ეს ხომ ჯილდოა, სად არის აქ შურისძიება!

ამ სტრიქონებში არაფერი მიანიშნებს აშკარად ცივ რაციონალურობაზე. შეადარეთ:

როცა კლაუდიუსი ლოცულობს, ჰამლეტი შემოდის და ცივად, ლოგიკურად ფიქრობს, იქვე მოკლას თუ არა იგი. დებულება. ჰამლეტს თავიდან სურს, იქვე მოკლას მამინაცვალი, თუმცა, შემდეგ დაფიქრდება: ლოცვის დროს რომ გამოასალმოს სიცოცხლეს, ის მის სულს ზეცაში გაგზავნის. მას კი სურს, რომ

კლაუდიუსი დაწყევლილი იყოს. ამდენად, იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას, რომ სხვა დროს მოკლას: ვარაუდი

აგერ ლოცულობს!
მარჯვე დრო არის და მარჯვედაც მოვიხმარ ამ დროს:
მოვკლავ და ზეცას ავა იგი.
ამითი ვითომ მერე ჯავრს ვიყრი?
მოფიქრება არის საჭირო.
მამა მომიკლა ავაზაკმა და მე კი, ნაცვლად,
მის მკვიდრი შვილი ზეცას ვგზავნი იმავ ავაზაკს.
ეს ხომ ჯილდოა, სად არის აქ შურისძიება!

ამ სახის განმარტებითი შესავალი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც წარადგენთ რაოდენობრივ მტკიცებულებას ცხრილის ან სურათის სახით (იხ. 8.3.1).

## 7.8 გაითვალისწინეთ შესაძლო მოულოდნელობები

თუ წყაროებზე მუშაობის პარალელურად წერთ და შავი ნაწერის შექმნამდე გეგმასაც ადგენთ, ნაკლებ სავარაუდოა, შავი ნაწერის განვითარების პროცესი თქვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, მთლიანი პროცესის განმავლობაში მზად იყავით ახალი მიმართულებებისთვის:

- როდესაც შავ ნაწერზე მუშაობა გეგმით გათვალისწინებულ კურსს გასცდება, დააკვირდით, იქნებ დაგეგმილზე უკეთესი გზით წარმართოთ მუშაობა.
- როდესაც დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ ეჭვქვეშ დგება ვარაუდი, ნუ უგულებელყოფთ ამ გრძნობას. გადაამოწმეთ.
- როცა ვარაუდების თანმიმდევრობა ბოლომდე არ მოგწონთ, სცადეთ ახალი ვარაუდების გამოყენება, მაშინაც კი, თუ გეგონათ, რომ თითქმის დასრულებული გქონდათ მუშაობა.

- მაშინაც კი, როცა საბოლოო დასკვნას გამოიტანთ, უნდა ნახოთ, როგორ განაცხადოთ დებულება ხელახლა, უფრო მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად.

თუ ნაშრომის დასრულების ვადაზე საგრძნობლად ადრე უკეთესი აზრები მოგივიდათ, გამოიყენეთ დარჩენილი დრო ცვლილებების შესატანად. ეს ნაშრომის სერიოზულად დახვეწის მარტივი გზაა.

## 7.9 თავი დაიცავით უნებლიე პლაგიატისგან

სწორედ შავ ნაწერზე მუშაობისას დგებით რისკის წინაშე, დაუშვათ ერთ-ერთი ყველაზე უხეში შეცდომა, რომელიც კი შეიძლება, დაუშვას მკვლევარმა: მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ცდილობთ, სხვა ავტორის ნაშრომი საკუთარ ნაშრომად წარმოაჩინოთ. ასეთ შემთხვევაში დადგებით პლაგიატში დადანაშაულების რისკის წინაშე. ეს არის ბრალდება, რომელმაც, თუ დადასტურდა, შეიძლება, თქვენი ჩაჭრა ან გარიცხვაც კი გამოიწვიოს.

მრავალი ინსტრუქტორი გვაფრთხილებს პლაგიატის შესახებ. თუმცა, არ განმარტავენ, რას ნიშნავს ის, რადგან მიაჩნიათ, რომ პლაგიატი, როგორც წესი, განზრახ ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედებაა და განმარტებას არ საჭიროებს. მართლაც, სტუდენტებმა იციან, რომ ცრუობენ, როცა საკუთარ სახელს აწერენ ნაშრომს, რომელიც ინტერნეტით შეიძინეს ან სტუდენტთა კლუბის ფაილიდან გადმოწერეს. მათმა უმეტესობამ ისიც იცის, რომ არაკეთილსინდისიერად იქცევიან, როდესაც საკუთარ ნაშრომად ასაღებენ წყაროდან ზედმიწევნით გადაწერილ ან ინტერნეტიდან ჩამოტვირთულ ნაშრომს. ასეთი შემთხვევებისთვის სხვას ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ „არ მოიქცეთ ასე".

თუმცა, მრავალი სტუდენტი ვერ აცნობიერებს, რომ ისინი დგებიან პლაგიატში დადანაშაულების რისკის წინაშე იმ შემთხვევაშიც კი, თუ განზრახ არ მოქცეულან არაკეთილსინდისიერად, უბრალოდ, არცოდნით ან დაუდევრობით

მოუვიდათ ასე. რისკის ზღვარზე ხართ, როდესაც აძლევთ მკითხველს საბაბს, იფიქროს, რომ გააკეთეთ ერთ-ერთი ან მეტი შემდეგიდან:

- გააკეთეთ წყაროს ციტირება, თუმცა, ზუსტად წყაროში მოყვანილი სიტყვები გამოიყენეთ და ფრაგმენტი არ ჩასვით ბრჭყალებში ან არ გამოყავით ციტატის აღმნიშნველი აბზაცით.
- გააკეთეთ წყაროს პერიფრაზი და მიუთითეთ წყარო, მაგრამ სიტყვები ისე ახლოს არის წყაროსთან, რომ თითქმის ციტატაა: ძალიან თვალში საცემია, რომ წყაროს ტექსტი სიტყვასიტყვით გაიმეორეთ პერიფრაზის დროს.
- წყაროდან გამოიყენეთ იდეები ან მეთოდები, წყარო კი არ მიუთითეთ.

### 7.9.1 გამოყავით თითოეული ციტატა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხსენიებული გაქვთ წყარო

იმ შემთხვევაშიც კი, თუ წყაროს მიუთითებთ, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომელი სიტყვებია თქვენი და რომელი – ციტატის. თქვენ დგებით პლაგიატის ბრალდების რისკის წინაშე, თუ არ გამოიყენებთ ბრჭყალებს ან ციტატის აღმნიშვნელ აბზაცს, რათა მიანიშნოთ, რომ სულ რაღაც ერთი სტრიქონი გაქვთ ამოწერილი.

საკითხი უფრო რთულდება, როდესაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ციტატა მოგყავთ. წაიკითხეთ:

> იმის გამო, რომ ტექნოლოგია წარმოშობს კიდევ უფრო მეტ ტექნოლოგიას, გამოგონების გავრცელების მნიშვნელობა, თეორიულად, აჭარბებს თავდაპირველი გამოგონების მნიშვნელობას. ტექნოლოგიის ისტორია წარმოადგენს იმის ილუსტრაციას, რასაც ავტოკატალიზურ პროცესს უწოდებენ: ანუ, ესაა პროცესი, რომელიც ჩქარდება სიჩქარით, რომელიც იზრდება დროთა განმვლობაში, ვინაიდან პროცესი საკუთარ თავს ააქტიურებს [Diamond, 1998, 301]

ჯარედ დაიამონდის იდეების შესახებ რომ წერდეთ, სავარაუდოდ, მოგიწევდათ მისი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, გამოგონების

მნიშვნელობა. თუმცა, ამ ფრაზას ბრჭყალებში არ ჩასვამდით, ვინაიდან ის არ აჩვენებს აზრის ან გამოხატვის ორიგინალურობას. თუმცა, დაიამონდის ორი ფრაზა იმდენად ორიგინალურია, რომ მოითხოვს ბრჭყალებს: "ტექნოლოგია წარმოშობს მეტ ტექნოლოგიას" და "ავტოკატალიზური პროცესი". მაგალითად:

ტექნოლოგიის ძალა სცდება ინდივიდუალური გამოგონებების ფარგლებს, ვინაიდან ტექნოლოგია „მეტ ტექნოლოგიას წარმოშობს." დაიამონდის თქმით, ეს არის „ავტოკატალიზური პროცესი" [301].

ციტატის სახით ამ სიტყვების პირველად მოყვანის შემდეგ შეგიძლიათ, კვლავ გამოიყენოთ ისინი ბრჭყალების ან ციტირების გარეშე:

როდესაც ერთი გამოგონება წარმოშობს მეორეს და მეორე – კიდევ სხვა გამოგონებას, პროცესი ხდება კატალიზატორი, რომელიც გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდება ეროვნული საზღვრების მასშტაბით.

ეს ბუნდოვანი ზღვარია: სიტყვები, რომლებიც ზოგიერთი მკითხველისთვის ორიგინალურია, სხვებისთვის განსაკუთრებული არ არის. თუ ბრჭყალებს გამოიყენებთ ძალიან ბევრი სტანდარტული ფრაზისთვის, მკითხველმა შეიძლება, იფიქროს, რომ გამოუცდელი ან საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ თუ არ გამოიყენებთ ბრჭყალებს მაშინ, როცა, მკითხველის აზრით, უნდა გამოგეყენებინათ, შესაძლოა, მკითხველმა ჩათვალოს, რომ ცდილობთ, საკუთარ აზრებად წარმოადგინოთ სიტყვები და იდეები, რომლებიც თქვენ არ გეკუთვნით. ვინაიდან უმჯობესია დატოვოთ გამოუცდელის შთაბეჭდილება, ვიდრე არაკეთილსინდისიერი ავტორისა, განსაკუთრებით კვლევითი კარიერის ადრეულ ეტაპზე, შეუზღუდავად გამოიყენეთ ბრჭყალები. (თუმცა, უნდა დაიცვათ თქვენი სფეროს სტანდარტული პრაქტიკის პრინციპები. მაგალითად, იურისტები ხშირად იყენებენ ზუსტ ენას კანონიდან ან სასამართლო დასკვნიდან ბრჭყალების გარეშე.)

### 7.9.2 ნუ გააკეთებთ ისეთ პერიფრაზს, რომელიც ორიგინალ ტექსტთან ძალიან ახლოს დგას

პერიფრაზს აკეთებთ სათანადოდ, როცა საკუთარი სიტყვებით იდეას წარმოადგენთ უფრო გარკვევით ან ხაზგასმით, ვიდრე წყაროშია. თუმცა, მკითხველი იფიქრებს, რომ გასცდით ობიექტური პერიფრაზის ზღვრებს და პლაგიატორობთ, თუ შეძლებენ, შეუსაბამონ თქვენი სიტყვები და ფრაზები წყაროში მოცემულ წინადადებებს და ფრაზებს. მაგალითისთვის, მომდევნო წინადადებაში წარმოდგენილია იმ ორი წინადადების პლაგიატები, რომლებსაც თქვენ ახლა წაიკითხავთ:

ბუთი, კოლომბი და უილიამსი აცხადებენ, რომ სათანადო პერიფრაზი არის საკუთარი სიტყვების გამოყენება იდეის წარმოსადგენად, რათა მონაკვეთი წყაროდან უფრო მკაფიო ან უფრო აშკარა გახდეს. თუმცა, მკითხველს შეუძლია დააბრალოს სტუდენტს პლაგიატი, თუ მისი პერიფრაზი ისე ჰგავს წყაროს, რომ ადამიანს შეუძლია, შეუსაბამოს მისი სიტყვები და ფრაზები წყაროში წარმოდგენილ წინადადებებს და ფრაზებს.

მომდევნო პერიფრაზი პლაგიატთან ძალიან ახლოს არის:

სათანადო პერიფრაზი გულისხმობს წყაროდან ამონარიდის ხელახლა დაწერას საკუთარი სიტყვებით, რათა აზრი უფრო მკაფიო ან უფრო ხაზგასმული იყოს. მკითხველი ჩათვლის, რომ ეს პლაგიატია, თუკი წყაროს პერიფრაზი ისე ახლოა ორიგინალ ტექსტთან, რომ მას შეუძლია პარალელების დანახვა სიტყვებსა და ფრაზებს შორის. [Booth, Colomb, and Williams, 2007].

ეს პერიფრაზი არ არის პლაგიატის ნიმუში:

ბუთის, კოლომბის და უილიამსის მიხედვით [2007], პერიფრაზი არის საკუთარი სიტყვების გამოყენებით იდეების უფრო გარკვევით წარმოდგენა. პლაგიატის მაგალითია, როცა მკითხველს შეუძლია სიტყვასიტყვით დაინახოს მსგავსება პერიფრაზსა და წყაროში არსებულ ტექსტს შორის.

იმისათვის, რომ პერიფრაზი არ დაემსგავსოს პლაგიატს, ნუ წაიკითხავთ წყაროს პერიფრაზირების დროს. წაიკითხეთ ნაწყვეტი, დაფიქრდით მასზე რამდენიმე წუთით; შემდეგ, წყაროში ჩახედვის გარეშე გააკეთეთ პერიფრაზი საკუთარი სიტყვებით. შემდეგ შეამოწმეთ, შეგიძლიათ თუ არა წინადადებას გააყოლოთ თითი და იპოვოთ წყაროში იგივე იდეები იმავე თანმიმდევრობით. თუ ასეა, მკითხველიც შეძლებს ამას. სცადეთ, ხელახლა გააკეთოთ პერიფრაზი.

### 7.9.3 იმ აზრებისთვის, რომლებიც თქვენ არ გეკუთვნით, როგორც წესი, გააკეთეთ წყაროს ციტირება

ეს წესი უფრო რთულია, ვიდრე ჩანს, ვინაიდან ჩვენი იდეების უმეტესობა ემყარება ან მომდინარეობს ამა თუ იმ წყაროდან. მკითხველი არ მოელის, რომ თქვენ იპოვით თითოეულ ძნელად მისაწვდომ წყაროს ყოველი ნაცნობი იდეისთვის. თუმცა, იგი მოელის, რომ მოახდენთ წყაროს ციტირებას, როცა (1) იდეა დაკავშირებულია კონკრეტულ პირთან და (2) საკმარისად ახალია საიმისოდ, რომ არ იყოს სფეროში არსებული სტანდარტული ცოდნის ნაწილი.

მაგალითად, ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ჩვენი აზრები და გრძნობები ტვინის სხვადასხვა ნაწილში მუშავდება. თუმცა, არც ერთ მკითხველს არ ექნება იმის მოლოდინი, რომ მოახდენთ ამ იდეის ციტირებას, ვინაიდან ის უკვე აღარ არის დაკავშირებული კონკრეტულ წყაროსთან და იმდენად ნაცნობია, რომ არავინ იფიქრებს, რომ ეს იდეა თქვენად წარმოაჩინეთ. მეორეს მხრივ, ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ ემოციები ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების რაციონალურად მისაღებად. ეს იდეა იმდენად ახალია და იმდენად მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტულ მკვლევრებს, რომ მათი ციტირება მოგიწევდათ.

უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით: მოახდინეთ წყაროს ციტირება იდეისთვის, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით იმ შემთხვევაში, თუ საკითხში გარკვეულმა მკითხველმა შეიძლება, იფიქროს, რომ იდეას თქვენად წარმოაჩენთ. ეს ძალიან ერთმნიშვნელოვანი ჩანს. თუმცა, არსებობს ზღვარი, რომელიც

ბუნდოვანობას იწვევს. როცა არ ხართ დარწმუნებული, გადაამოწმეთ ინსტრუქტორთან.

### 7.9.4 თავს ნუ გაიმართლებთ არცოდნით, გაუგებრობით ან კეთილი განზრახვით

აშკარაა, რომ ის, რაც პლაგიატს წააგავს, ხშირად, უბრალოდ, კეთილსინდისიერი სპეციალისტის არცოდნაა იმ პრინციპებისა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს და ციტატად მოიყვანოს წყაროები. ზოგიერთ სტუდენტს გულწრფელად სჯერა, რომ არ უნდა მოახდინოს იმ მასალის ციტირება, რომელიც ინტერნეტიდან ჩამოტვირთა, თუ ეს მასალა ინტერნეტში უფასო და საჯაროდ ხელმისაწვდომია. ეს მცდარი შეხედულებაა. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მასალა საჯაროდ ხელმისაწვდომი და უფასოა. თქვენ უნდა მოახდინოთ ნებისმიერი სხვა პირის მიერ შექმნილი ტექსტის ციტირება, რომელსაც იყენებთ თქვენს ნაშრომში.

მრავალი სტუდენტი თავს იცავს, როცა აცხადებს, რომ არ ჰქონდა განზრახული მკითხველის შეცდომაში შეყვანა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ სიტყვებს ვკითხულობთ და არა აზრებს. ამდენად, იფიქრეთ პლაგიატზე არა როგორც გამიზნულ მოქმედებაზე, არამედ აღქმული მოქმედებაზე, მოერიდეთ ნებისმიერ ნიშანს, რამაც შეიძლება, მკითხველს გაუჩინოს საბაბი, ეჭვი შეიტანოს პლაგიატში. როდესაც წარადგენთ ნაშრომს, რომელზეც თქვენი სახელია მითითებული, ეს გულისხმობს, რომ თქვენ გეკუთვნით ყველა ის სიტყვა, რომელზეც მკაფიოდ და კონკრეტულად არ გაქვთ გაკეთებული მითითება სხვა წყაროზე.

პლაგიატის არსებობის განსაზღვრის საუკეთესო გზაა დასვათ კითხვა: პირი, რომლის ნაშრომსაც იყენებთ, თქვენი თხზულების კითხვისას იცნობს თუ არა იქ წარმოდგენილ იდეებს და წინადადებებს როგორც საკუთარს, მათ შორის, პერიფრაზებს და რეზიუმეებს, ან, თუნდაც, ზოგად იდეებს ან მეთოდებს? თუ ასეა, უნდა გააკეთოთ იმ წყაროს ციტირება და ჩართოთ მისი ზუსტი სიტყვების

თანმიმდევრობა ბრჭყალებში ან ჩართოთ ისინი აბზაცით გამოყოფილი ციტატის სახით.

### 7.10 მოერიდეთ არასათანადო დახმარების მიღებას

გამოცდილი ავტორები სისტემატურად აჩვენებენ საკუთარ შავ ნაწერებს სხვებს კრიტიკული შენიშვნების და რჩევების მისაღებად; თქვენც ასე უნდა მოიქცეთ. თუმცა, განსხვავდება ინსტრუქტორების აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა დოზის დახმარებაა მიზანშეწონილი და რა დახმარების მიღება უნდა მიუთითოს სტუდენტმა ნაშრომში, როცა დახმარებისთვის მიმართავთ სპეციალისტს, დასვით ორი შეკითხვა:

1. რა მოცულობის დახმარებაა მართებული?
   - საკურსო ნაშრომისთვის ინსტრუქტორების დიდი ნაწილი მოუწოდებს სტუდენტებს, მოიპოვონ ზოგადი კრიტიკული შენიშვნები და მცირე დოზით მიმართონ დახმარებას რედაქტირებაში; დახმარება არ უნდა მოიცავდეს ხელახლა დეტალურად დაწერას ან საფუძვლიან რჩევებს.
   - თეზისის, სადისერტაციო ნაშრომის ან პუბლიკაციისთვის წარდგენილი თხზულებისთვის ავტორები იღებენ მაქსიმალურ შესაძლო დახმარებას პედაგოგებისგან, რეცენზენტებისგან და სხვა პირებისგან, თუ ეს არ გულისხმობს ამ პირების მიერ ნაშრომის მათ მაგივრად დაწერას.

ამ უკიდურესობებს შორის ზღვარი ბუნდოვანია. შეეკითხეთ ინსტრუქტორს, სად გაავლებდა ზღვარს. შემდეგ მაქსიმალურად მიიღეთ დასაშვები დახმარება.

2. რა სახის დახმარება უნდა მიუთითოთ თხზულებაში?
   - საკურსო ნაშრომის შემთხვევაში, როგორც წესი, არ მოგეთხოვებათ ზოგადი კრიტიკული შენიშვნების მოპოვება; შეგიძლიათ, მცირე რედაქტირების გაკეთება სთხოვოთ ვინმეს ან დახმარება მოიპოვოთ სკოლის ინსტრუქტორისგან წერის საკითხებში. თუმცა, უნდა მიუთითოთ, რომ ეს დახმარება იყო არასტანდარტული და

საფუძვლიანი. ამ წესებს თქვენი პედაგოგი განსაზღვრავს. ამდენად, მას მიმართეთ რჩევის მისაღებად.

- თეზისის, სადისერტაციო ნაშრომის ან პუბლიკაციის შემთხვევაში, არ მოგეთხოვებათ სტანდარტული სახის დახმარების მითითება. თუმცა, თავაზიანი ჟესტია, და ხშირად დიპლომატიური, მიღებული დახმარების შესახებ შესავალში მითითება (იხ. A.2.1). რაც შეეხება არასტანდარტულ ან საფუძვლიან რედაქტირებას, უნდა მიუთითოთ ის, აგრეთვე, მოახდინოთ სხვების მიერ მოწოდებული ძირითადი იდეების ან ფრაზების ციტირება შენიშვნის სახით.

## 7.11 გადალახეთ საქმის ქრონიკულად გადადების ეტაპი და შემოქმედებითი ჩიხი

თუ გიჭირთ შავი ნაწერის პირველი ვარიანტის დაწყება ან თუ რამდენიმე სიტყვაზე მეტს ვერ უყრით თავს, შეიძლება, შემოქმედებით ჩიხში აღმოჩნდით. ზოგჯერ ეს სკოლის და მისი ზეწოლის გამოა გამოწვეული; თუ ასეა, კონსულტაციისთვის სპეციალისტს მიმართეთ. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, ეს გამოწვეულია მიზეზებით, რომელთა გადაჭრა თავადაც შეგიძლიათ:

- შესაძლოა, წერა გიჭირთ იმიტომ, რომ არ გაქვთ მიზნები ან ძალიან რთულად მისაღწევი მიზნები გაქვთ დასახული. თუ ასეა, შექმენით გრაფიკი და დასახეთ მცირე, მიღწევადი მიზნები. ნუ მოერიდებით ისეთი ხერხების გამოყენებას, რომლებიც გაიძულებთ წეროთ; მათ შორისაა წინსვლის ამსახველი დიაგრამა ან რეგულარული შეხვედრები წერაზე მომუშავე პარტნიორთან.
- შეიძლება, ისე შეგაშინათ დავალების მოცულობამ, რომ არ იცით, საიდან დაიწყოთ. თუ ასეა, შეასრულეთ ჩვენი რჩევები პროცესის მცირე, მიღწევად ამოცანებად დაყოფასთან დაკავშირებით; შემდეგ სათითაოდ იმუშავეთ თითო მცირე ნაბიჯის შესრულებაზე. მთლიანი ამოცანის შესრულებაზე ნუ გადახვალთ, ვიდრე არ დაასრულებთ რამდენიმე მცირე ნაწილს.

- შეიძლება, გრძნობთ, რომ სრულყოფილად უნდა ჩამოაყალიბოთ ყოველი წინადადება ან პარაგრაფი, ვიდრე მომდევნოზე გადახვალთ. თუ ასეა, საკუთარ თავს უთხარით, რომ შავ ნაწერს კი არ წერთ, არამედ, უბრალოდ, რამდენიმე იდეის მონახაზს აკეთებთ. მოიკრიბეთ ნებისყოფა და სწრაფად შეუდექით სამუშაო ვარიანტის წერას. შეგიძლიათ, თავი დააღწიოთ სრულყოფილი ნაწერის შექმნის სურვილს, თუ პირდაპირ წერას შეუდგებით და გეცოდინებათ, რომ შავი ნაწერის პირველ ვარიანტს არ წერთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველას გვიწევს სრულყოფილი ვარიანტის წერაზე უარის თქმა ნაწერის შექმნის სასარგებლოდ.

თუ მსგავს პრობლემებს ხშირად წააწყდით ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მიმართეთ სტუდენტთა სასწავლო ცენტრს. იქ მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც უნახავთ მრავალი დღემეხვალია და შემოქმედებით ჩიხში მყოფი ავტორი და შეძლებენ პრობლემის შესაბამისი რჩევის გაწევას.

მეორე მხრივ, ზოგჯერ ავტორის შემოქმედებით ჩიხში შესვლის ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება, მართლაც წარმოადგენდეს აზრების ქვეცნობიერში დალექვის შესაძლებლობას, რაც რაღაც ახალი და მოულოდნელი იდეის შექმნას იწვევს. თუ ვერ აგრძელებთ წერას, მაგრამ დრო საკმარისი გაქვთ (კიდევ ერთი მიზეზი საქმის ნაადრევად დასაწყებად) ერთი-ორი დღის განმავლობაში რაიმე სხვა საქმიანობით დაკავდით. შემდეგ დაუბრუნდით წერას, რათა ნახოთ, შეგიძლიათ თუ არა მუშაობის გაგრძელება.

# 8 ფაქტების წარმოდგენა ცხრილების და სურათების სახით

## 8.1 სიტყვებით და გრაფიკულად აზრის გადმოცემას შორის არჩევანის გაკეთება

## 8.2 ეფექტური გრაფიკული გამოსახულების შექმნის ხერხები

## 8.3 ცხრილების და სურათების მოდელების შექმნა

### 8.3.1 თითოეული გრაფიკი სტრუქტურულად ააწყვეთ, რომ უკეთ გასაგები იყოს მკითხველისთვის

### 8.3.2 ეცადეთ, გამოსახულება იმდენად მარტივი იყოს, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ტექსტის შინაარსი

### 8.3.3 მისდიეთ ცხრილების, სვეტოვანი და ხაზოვანი დიაგრამებისთვის დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს

## 8.4 მონაცემების ეთიკურად წარმოდგენა

მკითხველთა უმეტესობა უფრო იოლად აღიქვამს გრაფიკულად გამოხატულ რიცხობრივ მონაცემებს. მონაცემთა გრაფიკულად გამოსახვის მრავალი ვარიანტი არსებობს. თუმცა, ზოგი მათგანი უკეთ შეესაბამება კონკრეტულ მონაცემებს და იდეას, ვიდრე სხვა. ამ თავში წარმოგიდგენთ, როგორ უნდა აარჩიოთ გრაფიკული ფორმა და მოდელი ისე, რომ მკითხველმა მათი მეშვეობით ნახოს მონაცემებიც და ისიც, თუ როგორ ამყარებს თქვენს არგუმენტს ეს მონაცემები. (გრაფიკების შექმნის და გამოყენების წესები იხილეთ ბიბლიოგრაფიაში ვრცლად გრაფიკული გამოსახულების ფორმატირების შესახებ იხ. 26-ე თავი.)[1]

---

[1] შენიშვნა ტერმინებთან დაკავშირებით: გრაფიკების გამოსახატავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება. ამდენად, ჩვენ წარმოგიდგენთ გამოყენებული ტერმინების განმარტებას. ამ თავში გამოყენებული ტერმინი *გრაფიკი* აღნიშნავს ფაქტების ყველა ვიზუალურ გამოსახულებას. მეორე ტერმინი, რომელიც ზოგჯერ გამოიყენება ასეთი გამოსახულების აღსანიშნავად, არის *ილუსტრაცია*. როგორც წესი, გრაფიკული გამოსახულებები იყოფა *ცხრილებად და სურათებად* ცხრილი არის ბადე, რომელსაც აქვს სვეტები და სტრიქონები, სადაც მოცემულია მონაცემები რიცხვების სახით ან სიტყვიერად და დალაგებულია კატეგორიებად. სურათი – ესაა ყველა სხვა სახის გრაფიკული გამოსახულება, მათ შორის, გრაფიკები, დიაგრამები, ფოტოები, ნახაზები და ტაბულები. რაოდენობრივი მონაცემების ამსახველი სურათები იყოფა *დიაგრამებად*, რომლებიც, ჩვეულებრივ, შედგება სვეტოვანი, წრიული ან სხვა ფორმის მქონე დიაგრამებისგან და გრაფიკებად, რომლებიც, როგორც წესი, შედგება უწყვეტი ხაზებისგან. სურათების სტანდარტული ვარიანტები იხ. ცხრილში 8.7.

## 8.1 სიტყვებით და გრაფიკულად აზრის გადმოცემას შორის არჩევანის გაკეთება

თუ მცირერიცხოვანი რაოდენობრივი მონაცემები გაქვთ, წარმოადგინეთ ისინი სიტყვიერად. (რიცხვების სიტყვიერად წარმოდგენის შესახებ იხილეთ 23-ე თავი.) მონაცემები წარმოადგინეთ გრაფიკული გამოსახულების სახით, როდესაც ფაქტების უმეტესი ნაწილი რაოდენობრივია ან, როცა ბევრი მონაცემი უნდა წარმოადგინოთ. თუმცა, როდესაც მონაცემები ცოტა და მარტივია, მკითხველს შეუძლია, ადვილად აღიქვას ისინი როგორც წინადადების, ისე, 8.1 სურათში მოყვანილი ცხრილის მსგავსი გამოსახულების სახით:

საშუალოდ, 1996 წელს მამაკაცები გამოიმუშავებდნენ 32,144 აშშ დოლარს წელიწადში, ქალები – 23,710 დოლარს, სხვაობა შეადგენს 8,434 დოლარს.

**ცხრილი 8.1 მამაკაცების და ქალების ხელფასები ($), 1996**

| | |
|---|---|
| მამაკაცები | 32,144 |
| ქალები | 23 710 |
| სხვაობა | 8,434 |

**ცხრილი 8.2 ცვლილებები ოჯახის სტრუქტურაში, 1970-2000**

ოჯახების საერთო რაოდენობის პროცენტული წილი

ოჯახის ტიპი

2 მშობელი

დედა

მამა

ზრდასრულის გარეშე

თუმცა, თუ ოთხ ან ხუთ რიცხვზე მეტს წარმოადგენთ ნაწყვეტში, მკითხველს გაუჭირდება მათი გაგება, განსაკუთრებით, თუ მათი შედარებაა საჭირო, მაგალითად:

1970 და 2000 წლებს შორის ოჯახების სტრუქტურა ორგვარად შეიცვალა. 1970 წელს ოჯახების 85 პროცენტს ჰყავდა ორი მშობელი, ხოლო 1980 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 77 პროცენტამდე, 1990 წელს – 73 პროცენტამდე, 2000 წელს კი – 68 პროცენტამდე. არასრული ოჯახების რაოდენობა გაიზარდა, განსაკუთრებით, ისეთი ოჯახების, სადაც მარჩენალი დედაა. 1970 წელს ოჯახების 11 პროცენტში ოჯახის უფროსი მარტოხელა დედა იყო. 1980 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 18 პროცენტამდე, 1990 წელს – 22 პროცენტამდე, 2000 წელს კი – 23 პროცენტამდე. მარტოხელა მამების უფროსობით ოჯახები 1970 წელს შეადგენდა 1 პროცენტს, 1980 წელს მათი წილი 2 პროცენტი იყო, 1990 წელს – 3

პროცენტი, 2000 წელს კი 4 პროცენტი შეადგინა. ზრდასრული წევრის გარეშე მცხოვრები ოჯახების რაოდენობა უცვლელი დარჩა, 3-4 პროცენტის ფარგლებში.

ამ მონაცემების უფრო ეფექტურად გამოსახვა შეიძლება გრაფიკული ფორმით, როგორც ეს 8.2 ცხრილშია ნაჩვენები.

## 8.2 ყველაზე ეფექტური გრაფიკული გამოსახულების შერჩევა

მრავალი ვარიანტი არსებობს ისეთი კომპლექსური მონაცემების გრაფიკულად გამოსახვისთვის, როგორიც ზემოთ აბზაცში იყო მოყვანილი. უმარტივესი და ყველაზე გავრცელებულია ცხრილები, სვეტოვანი დიაგრამები და ხაზოვანი გრაფიკები. თითოეულ მათგანს დამახასიათებელი რიტორიკული ეფექტი აქვს.

- კონკრეტული მნიშვნელობების ხაზგასასმელად გამოიყენეთ 8.2 ცხრილის მსგავსი ცხრილი.
- მონაცემთა შესადარებლად გამოიყენეთ *ცხრილების და დიაგრამების დანართში* 8.1 სურათში წარმოდგენილი დიაგრამის მსგავსი სვეტოვანი დიაგრამა.
- ტენდენციების გამოსაკვეთად გამოიყენეთ 8.2 სურათში წარმოდგენილი დიაგრამის მსგავსი ხაზოვანი დიაგრამა.

ზემოთ ნახსენები თითოეული დიაგრამა ერთი და იმავე მონაცემებს გვიჩვენებს. თუმცა, მკითხველებს სხვადასხვა რეაქცია აქვთ მათზე:

- ცხრილი ზუსტი და ობიექტურია. მასში ხაზგასმულია კონკრეტული რიცხვები და მკითხველს უბიძგებს, დაინახოს ურთიერთკავშირი და ტენდეციები (თუ მის შესახებ შესავალში არ გიხსენებიათ).

ოჯახების საერთო პროცენტული მაჩვენებელი

2 მშობელი
დედა
მამა
ზრდასრულის გარეშე

<u>სურათი 8.1. ცვლილებები ოჯახის სტრუქტურაში, 1970-2000</u>

ოჯახების საერთო პროცენტული მაჩვენებელი

2 მშობელი
დედა
მამა
ზრდასრულის გარეშე

სურათი 8.2. ცვლილებები ოჯახის სტრუქტურაში, 1970-2000

ოჯახების საერთო პროცენტული მაჩვენებელი

- როგორც გრაფიკები, ისე ხაზოვანი დიაგრამები ხაზს უსვამს ვიზუალურ გამოსახულებას. მისი მეშვეობით მაჩვენებლები ნაკლებად ზუსტად, მაგრამ უფრო სწრაფად გადმოიცემა, ვიდრე ცხრილში მოცემული ზუსტი რიცხვების საშუალებით. თუმცა, ეს გრაფიკებიც:
  - სვეტოვანი დიაგრამით ერთმანეთს ადარებს განსხვავებულ მონაცემებს.
  - ხაზოვანი დიაგრამით აჩვენებს ტენდენციას დროის გარკვეულ პერიოდში.

ისეთი გრაფიკული ფორმა შეარჩიეთ, რომლითაც მაქსიმალურად მიაღწევთ გათვალისწინებულ ეფექტს და არა ის, რაც პირველად მოგაფიქრდებათ.

ის, თუ რამდენ ვარიანტს განიხილავთ, დამოკიდებულია თქვენს გამოცდილებაზე. თუ ახალი დაწყებული გაქვთ რაოდენობრივი კვლევების სფეროში მუშაობა, ძირითად ცხრილებზე, სვეტოვან და ხაზოვან დიაგრამებზე შეჩერდით. კომპიუტერულ პროგრამაში შესაძლოა, მეტი ვარიანტი იყოს, მაგრამ არ მიაქციოთ ყურადღება თქვენთვის უცნობ ვარიანტებს.

თუ სამეცნიერო ხარისხის დასაცავად ატარებთ კვლევას, მკითხველს ექნება მოლოდინი, რომ გამოიყენებთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება ნაშრომში მოყვანილ თვალსაზრისსა და ფაქტებს. ასევე, ისინი ელიან, რომ გრაფიკულ გამოსახულებას შეარჩევთ ვარიანტების უფრო ფართო არჩევნიდან. ასეთ დროს იხილეთ ცხრილი 8.7, სადაც აღწერილია სხვა სტანდარტული ფორმები. თუმცა, შეიძლება, მონაცემების გამოსახვის უფრო შემოქმედებითი გზების გამოყენება დაგჭირდეთ, თუ ისეთ სფეროში წერთ სადისერტაციო ნაშრომს ან სტატიას, სადაც, ჩვეულებრივ, მოცემულია კომპლექსური კავშირი ვრცელ მონაცემებს შორის.

## 8.3 ცხრილების და სურათების მოდელების შექმნა

კომპიუტერული პროგრამებით დღესდღეობით შესაძლებელია, შექმნათ ისეთი თვალისმომჭრელი გრაფიკული გამოსახულებები, რომ შეიძლება ცდუნებამ შეგიპყროთ და პროგრამას მიანდოთ გრაფიკის დიზაინი. მაგრამ მკითხველს არ აღელვებს, რამდენად დახვეწილია გრაფიკი, თუ ის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანია ან არ შეესაბამება საკითხს. უნდა გადაწყვიტოთ, როგორ შექმნათ მკაფიო, მიზანმიმართული და საკითხის შესაბამისი გრაფიკები. შემდეგ კი პროგრამაში უნდა შეიყვანოთ ისეთი პარამეტრები, რომ თქვენი მოთხოვნილებები დაკმაყოფილდეს. (იხ. A.3.1, ცხრილების და სურათების შექმნა და მათი ნაშრომში ჩართვა.)

**8.3.1 თითოეული გრაფიკი სტრუქტურულადააწყვეთ, რომ უკეთ გასაგები იყოს მკითხველისთვის**

გრაფიკი, რომელიც ასახავს კომპლექსურ რიცხვებს, იშვიათად არის იმთავითვე გასაგები. მონაცემები უნდა განალაგოთ ისე, რომ მკითხველმა იცოდეს, რას მიაქციოს ყურადღება და როგორ გაიგოს, რა კავშირი აქვს მონაცემებს თქვენს არგუმენტთან.

1. ცხრილებს და სურათებს ტექსტში წაუმძღვარეთ წინადადება, სადაც განაცხადებთ, როგორ ამყარებს მონაცემები თქვენს თვალსაზრისს. ჩართეთ ამ წინადადებაში რაიმე კონკრეტული რიცხვი, რომელზეც გსურთ მკითხველის ყურადღების მიპყრობა (ეს რიცხვი ცხრილში ან სურათშიც უნდა გამოჩნდეს).

2. თითოეულ ცხრილს და სურათს გაუკეთეთ წარწერა, რომელიც აღწერს მონაცემებს და, თუ შესაძლებელია, მათ შორის მნიშვნელოვან კავშირს. ცხრილის წარწერას ეწოდება *სათაური*. სათაური იწერება ზევით, მარცხნივ სწორებით. სურათზე დართულ წარწერას ეწოდება *წარწერა*. წარწერა იწერება ქვევით, მარჯვნივ სწორებით. (სათაურების და წარწერების შესახებ იხ. 26-ე თავში). სათაურები და წარწერები უნდა იყოს მოკლე, მაგრამ უნდა მიანიშნებდეს მონაცემების კონკრეტულ ხასიათზე და ერთმანეთისგან განასხვავებდეს გრაფიკებს.

- შეეცადეთ, რომ სათაური ან წარწერა არ იყოს ზოგადი:

არასწორია: ოჯახის უფროსები

სწორია: ცვლილება ოჯახებში, სადაც ერთი და ორი მშობელია ოჯახის უფროსი, 1970-2000 წლებში

- გამოიყენეთ არსებითი სახელის ფრაზები; მოერიდეთ მიმართებით წინადადებებს; უმჯობესია, გამოიყენოთ მიმღეობა:

არასწორია: იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც გამოწერილი აქვთ ყოველკვირეული ჟურნალები

სწორია: ყოველკვირეულ ჟურნალებზე ხელმოწერის მქონე ოჯახების რაოდენობა

რაიონების ხელახალი გადანაწილება ახალი საშუალო სკოლის გახნისას

მათემატიკა
ზეპირი

დამატებითი პროგრამების დანერგვა მათემატიკასა და კითხვაში

<u>სურათი 8.3 აკადემიური უნარის გამოსავლენ (SAT) გამოცდაზე მიღებული ქულები, 1990-2005</u>

- ნუ მოიყვანთ დამატებითი ინფორმაციას და ნუ დაახასიათებთ მონაცემების მნიშვნელობას:

არასწორია: თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებამდე დეპრესიაში მყოფი ბავშვებისთვის კონსულტაციების სუსტი შედეგები, 1995-2004 წლები
სწორია: დეპრესიაში მყოფი ბავშვებისთვის გაწეული კონსულტაციების შედეგები, 1995-2004 წლები

- გრაფიკებს, რომლებშიც მსგავსი მონაცემებია წარმოდგენილი, განსხვავებული წარწერები უნდა ჰქონდეს:

ილინიოსის შტატის ქ. მეივუდში მცხოვრებ მამაკაცებში სისხლის მაღალი წნევის გამომწვევი რისკფაქტორები
კინგსტონის დედაქალაქ იამაიკაში მცხოვრებ მამაკაცებში სისხლის მაღალი წნევის გამომწვევი რისკფაქტორები

3. ცხრილში ან სურათში ჩართეთ ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მკითხველს, დაინახოს, როგორ ამყარებს მონაცემები თქვენს თვალსაზრისს. მაგალითად, თუ ცხრილში წარმოდგენილი რიცხვები ასახავს ტენდენციას და თუ ცვლილება მნიშვნელოვანია, დაამატეთ ის ბოლო სვეტში, ან თუ გრაფიკის ხაზი იცვლება ზეგავლენის შედეგად, რომელიც არ არის აღნიშნული გრაფიკში, როგორც 8.3 სურათის შემთხვევაშია, დაამატეთ ტექსტი ამ ზეგავლენის განმარტების მიზნით:

მიუხედავად იმისა, რომ რაიონების ხელახალი გადანაწილების შემდეგ კითხვასა და მათემატიკაში მიღებული ქულები თავდაპირველად თითქმის 100 ერთეულით შემცირდა, ტენდენცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა მათემატიკის და კითხვის დამატებითი პროგრამების დანერგვის შედეგად.

4. ხაზი გაუსვით ცხრილის ან სურათის იმ ნაწილს, რომელზეც მკითხველის ყურადღების გამახვილება გსურთ, განსაკუთრებით ციფრს ან კავშირს, რომელიც აღნიშნულია ცხრილის ან სურათის წარმდგენ წინადადებაში. მაგალითად, 8.3 ცხრილი დაკვირვებით უნდა შევისწავლოთ, რათა დავინახოთ, როგორ ამყარებს ის შესავალ წინადადებს:

ბენზინის მოხმარების შესახებ გაკეთებული პროგნოზების უდიდესი ნაწილი მცდარი აღმოჩნდა.

ცხრილი 8.3 ბენზინის მოხმარება
წლიური მილებში (000)
წლიური მოხმარება (გალონებში)

ცხრილი 8.4 გავლილი მილების რაოდენობა და ბენზინის მოხმარება ერთ სულზე 1970-2000 წლები
წლიური მილების რაოდენობა (000)

(% ცვლილება 1970 წელთან შედარებით)
წლიური მოხმარება (გალონებში)
(% ცვლილება 1970 წელთან შედარებით)

საჭიროა კიდევ ერთი, უფრო ინფორმაციული წინადადება, რომელშიც აღვწერთ, როგორ უკავშირდება რიცხვები დებულებას. ასევე, საჭიროა ვიზუალური ხერხი, რომლის დახმარებითაც ყურადღებას მივაპყრობთ აღნიშნულ განსხვავებას (ცხრილი 8.4):

ბენზინის მოხმარება ისე არ გაზრდილა, როგორც ვარაუდობდნენ. *მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა 2000 წელს 1970 წელთან შედარებით 23 პროცენტით მეტი მილი გაიარეს, მათ 32 პროცენტით ნაკლები საწვავი მოიხმარეს.*

დამატებითი წინადადებით ვიგებთ, როგორ უნდა განვმარტოთ ძირითადი მონაცემები 8.4 ცხრილში, კურსივით გამოყოფილი ნაწილი კი მიგვითითებს, სად შეგვიძლია ამ მონაცემების ნახვა.

### 8.3.2 ეცადეთ გამოსახულება იმდენად მარტივი იყოს, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ტექსტის შინაარსი

ზოგიერთ სახელმძღვანელო გვირჩევს, თითოეულ გრაფიკში მაქსიმალურად ბევრი მონაცემი ჩავრთოთ. თუმცა, მკითხველს სურს, მხოლოდ ის მონაცემები იხილოს, რომლებიც თქვენს თვალსაზრისს შეესაბამება და რომლებიც წარმოდგენილია თვალსაჩინოდ:

1. შეიყვანეთ მხოლოდ შესაბამისი მონაცემები. თუ მხოლოდ ინფორმაციისთვის გსურთ მონაცემების ჩართვა, დაურთეთ სათანადო სათაური და ჩართეთ დანართში (იხ. A.2.3).
2. ბადე მარტივი უნდა იყოს.

- გრაფიკები
  - გრაფიკი ჩასვით ჩარჩოში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორ ან მეტ სურათს აჯგუფებთ
  - ნუ გააფერადებთ ან გაამუქებთ ფონს.
  - არასოდეს შექმნათ სამგანზომილებიანი ფონი ორგანზომილებიანი გრაფიკისთვის. ეს არაფერს გააუმჯობესებს და შესაძლოა, ხელი შეუშალოს მკითხველს მნიშვნელობების სათანადოდ შეფასებაში.
  - მონაცემები სამგანზომილებიან ფონზე დაიტანეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სხვა გზით ვერ წარმოადგენთ და თუ მკითხველისთვის ნაცნობია ასეთი გრაფიკები.

- ცხრილები
  - არასოდეს გამოიყენოთ ერთდროულად ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები სვეტების და სტრიქონების დასაყოფად. თუ მონაცემების შედარების მიზნით მკითხველის ყურადღების მიპყრობა ერთი მიმართულებაზე გსურთ ან თუ ცხრილი უჩვეულოდ კომპლექსურია, გამოიყენეთ ღია ნაცრისფერი ხაზები. მოერიდეთ ნაცრისფერი ხაზების

გამოყენებას ან ისეთი სურათის გამუქებას, რომელიც შემდგომ გადავა მიკროფირზე, ვინაიდან ფოტო ბუნდოვანი გამოვა.
- მრავალსტრიქონიანი ცხრილებისთვის ოდნავ გაამუქეთ ყოველი მეხუთე სტრიქონი.
- ნუ გამოიყენებთ ცხრა კეგელზე ნაკლები ზომის შრიფტს ისეთი დოკუმენტისთვის, რომელიც მიკროფირზე უნდა გადაიტანონ. ამ ზომაზე ნაკლებ შრიფტებს ფოტოზე ვერ გაარჩევენ.

- გრაფიკები და დიაგრამები
  - ბადის ხაზები გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიაგრამა კომპლექსურია ან თუ მკითხველს სჭირდება ზუსტი ციფრების ნახვა. ყველა ბადის ხაზი უნდა იყოს ღია ნაცრისფერი, თუ ტექსტის მიკროფირზე არ უნდა გადაიტანონ.
  - გააფერადეთ და გაამუქეთ ხაზები ან სვეტები მხოლოდ კონტრასტის საჩვენებლად. ფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენეთ, თუ ტექსტი დაიბეჭდება ფერადად და, მოგვიანებით, მის ასლებს არ გადაიღებენ (შავ-თეთრ ფოტოასლზე სხვადასხვა ფერი ერთმანეთს ემსგავსება).
  - არასოდეს შექმნათ სამგანზომილებიანი გრაფიკი ან დიაგრამა, თუ შეგიძლიათ იგივე მონაცემები ორ განზომილებაში წარმოადგინოთ. დამატებული სიღრმე არაფერს გააუმჯობესებს და შესაძლოა, ხელი შეუშალოს მკითხველს მნიშვნელობების სათანადოდ გაგებაში.
  - არასოდეს გამოიყენოთ გამოსახულებიანი სვეტები (მაგალითად, მანქანების გამოსახულებები ავტომობილების წარმოების გამოსახატავად). ეს არაფერს გააუმჯობესებს და შესაძლოა, ხელი შეუშალოს მკითხველს მნიშვნელობების სათანადოდ გაგებაში. ამასთან, ასეთი ხერხისთვის მიმართვა მოყვარულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

3. გამოიყენეთ მკაფიო წარწერები.
   - ცხრილებში სტრიქონებს და სვეტებს, ასევე, დიაგრამებსა და გრაფიკებში ორივე ღერძს, გაუკეთეთ წარწერები (წარწერებთან დაკავშირებული პუნქტუაციის და მართლწერის შესახებ იხილეთ 26-ე თავი).
   - გამოიყენეთ ტირესმაგვარი აღნიშვნები და წარწერები გრაფიკის ვერტიკალურ ღერძზე ინტერვალების გამოსაყოფად (იხ. ნახ. 8.4).
   - თუ შესაძლებელია, წარწერები გააკეთეთ სტრიქონებზე, სვეტების სეგმენტებზე და ა.შ., და არა გვერდით გამოტანილი შენიშვნის სახით. წარწერები გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათაურების გამოყენება ძალიან გაართულებს გამოსახულების წაკითხვას.
   - როდესაც კონკრეტულ რიცხვებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, დაამატეთ ისინი სვეტებზე, სეგმენტებზე ან ხაზების წერტილებზე.

**8.3.3 მისდიეთ ცხრილების, სვეტოვანი და ხაზოვანი დიაგრამებისთვის დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს**

**ცხრილები.** ძალიან ბევრი მონაცემის შემცველი ცხრილი შეიძლება, გადატვირთულად მოგეჩვენოთ. ამდენად, შეეცადეთ, მაქსიმალურად მარტივი იყოს მისი გამოსახულება და შინაარსი.

- დაალაგეთ სტრიქონები და სვეტები ისე, რომ მკითხველმა სწრაფად იპოვოს ის, რისი ჩვენებაც გსურთ. ავტომატურად ნუ აარჩევთ ანბანურ თანმიმდევრობას.
- დაამრგვალეთ რიცხვები შესაბამის მნიშვნელობებამდე. თუ 1,000-ზე ნაკლები განსხვავება მისაღებია, მაშინ 2,123,499 და 2,124,886 მეტისმეტად ზუსტია.
- სვეტების ან სტრიქონების მნიშვნელობები დააჯამეთ სვეტების ან სტრიქონების ძირში ან ბოლოს და არა ზევით ან მარცხნივ. შეადარეთ ცხრილი 8.5 და 8.6. ცხრილი 8.5 უწესრიგოა და მასში ინფორმაცია მოუხერხებლად არის დალაგებული. ცხრილი 8.6 კი, პირიქით, უფრო მკაფიოა, ვინიდან მისი სათაური მეტ ინფორმაციას შეიცავს, ცხრილი უკეთ არის დალაგებული და მნიშვნელობები ისეა ორგანიზებული, რომ შესაძლებელია სტრუქტურის უფრო იოლად დანახვა.

ცხრილი 8.5. უმუშევრობა ძირითად ინდუსტრიულ ქვეყნებში, 1990-2000 წლები
ცვლილება
ავსტრალია
კანადა
საფრანგეთი
გერმანია
იტალია
იაპონია
შვედეთი
გაერთიანებული სამეფო
აშშ

ცხრილი 8.6. უმუშევრობის დონის ცვლილებები ინდუსტრიულ ქვეყნებში, 1990-2000 წლები
ინგლისურენოვანი ქვეყნების შედარება არაინგლისურენოვან ქვეყნებთან
ცვლილება
ავსტრალია
აშშ
კანადა
გაერთიანებული სამეფო

საფრანგეთი
იაპონია
იტალია
გერმანია

შეეღეთი

**სვეტოვანი დიაგრამები.** სვეტოვანი დიაგრამები იმდენივე ინფორმაციას გვაწვდის გამოსახულების საშუალებით, რამდენსაც კონკრეტული რიცხვების მეშვეობით. სვეტები, რომლებიც სტრუქტურის გარეშეა დალაგებული, აზრს ვერ გადმოსცემს. ამდენად, თუ შესაძლებელია, დააჯგუფეთ და დაალაგეთ სვეტები, რათა მკითხველმა დაინახოს თქვენი თვალსაზრისის შესაბამისი თანმიმდევრობა.

მაგალითად, იხ. სურათი 8.4 იმ განმარტებითი წინადადების კონტექსტში, რომელიც მას უძღვის წინ. იქ პუნქტები ჩამოთვლილია ანბანური თანმიმდევრობით, რაც არ ეხმარება მკითხველს არსის დანახვაში. და, პირიქით, იხილეთ 8.5 სურათი, სადაც დებულება გამყარებულია ლოგიკურად თანმიმდევრული გამოსახულებით.

სტანდარტულ სვეტოვან დიაგრამებში თითოეული სვეტი წარმოადგენს მთელის 100%-ს. თუმცა, მკითხველისთვის ზოგჯერ მოსახერხებელია, თუ მიუთითებთ კონკრეტულ მნიშვნელობებს  მთელის ნაწილებისთვის. ამის გაკეთება ორი გზით შეგიძლიათ:

- „შედგენილი სვეტების" მქონე დიაგრამაში სვეტი დაყოფილია პროპორციულ ნაწილებად, როგორც 8.6 სურათის მარცხენა ნაწილში მოთავსებულ დიაგრამაზე ვხედავთ.
- „დაჯგუფებული სვეტების" მქონე დიაგრამაში მთელის თითოეული ნაწილისთვის გამოყენებულია ცალკე სვეტი. თუმცა, ისინი დაჯგუფებულია, როგორც ეს 8.6 სურათის მარჯვენა ნაწილში მოცემულ დიაგრამაშია.

შედგენილი სვეტები გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სეგმენტების შედარებაზე უფრო მნიშვნელოვანი მთლიანი მნიშვნელობების შედარებაა. თუმცა, მკითხველი პროპორციებს მხოლოდ თვალით ვერ განსაზღვრავს. ამდენად, თუ იყენებთ შედგენილ სვეტებს, მოიქეცით შემდეგნაირად:

მსოფლიოში უდაბნოების ფართობის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია ჩრდილოეთ აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში.

არაბეთის (ახ. აღმ.)
ავსტრალიის (ავსტ.)
ჩიჰუაჰუას (ჩრდ. აფრიკა)
დიდი ქვიშიანი უდაბნო (ავსტ.)
გობის (აზია)
ვიქტორიის დიდი უდაბნო (ავსტ.)
კალაჰარის (სამხ. აფრ.)
ლიბიის (ჩრდ. აფრ.)
რუბ-ალ-ხალის (ახლო აღმ.)
საჰარის (ჩრდ. აფრ.)

სურათი 8.4. მსოფლიოს ათი უდიდესი უდაბნო

მსოფლიოს უდაბნოების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია ჩრდილოეთ აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში.

ჩრდ. აფრიკა შუა აღმოსავლეთი ავსტრალია სამხ. აფრიკა ჩრდ. ამერ.
კვადრატული მილები (ათასი)

საჰარის
ლიბიის
არაბეთის
რუბ ალ ხალის
ავსტრალიის
დიდი ქვიშიანი უდაბნო
ვიქტორიის დიდი უდაბნო
გობის
კალაჰარის
ჩიჰუაჰუას

სურათი 8.5 მსოფლიოს მსხვილი უდაბნოების განაწილება

- დაალაგეთ სეგმენტები ლოგიკური თანმიმდევრობით. თუ შესაძლებელია, ყველაზე დიდი სეგმენტი ყველაზე მეტად გაამუქეთ.
- დაასათაურეთ სეგმენტები, მიუთითეთ კონკრეტული რაოდენობები და პროპორციების უკეთ აღსაქმელად დააკავშირეთ შესაბამისი სეგმენტები რუხი ხაზებით.

აღმოსავლეთი
დასავლეთი
ჩრდილოეთი
I კვარტ.
II კვარტ.
III კვარტ.
IV კვარტ.

აღმოსავლეთი
დასავლეთი
ჩრდილოეთი
I კვარტ.
II კვარტ.
III კვარტ.
IV კვარტ.

სურათი 8.6. შედგენილი სვეტების მქონე დიაგრამის შედარება დაჯგუფებული სვეტების მქონე დიაგრამასთან

კილოვატ/საათი (მილიარდებში)
შორეული აღმოსავლეთი/ოკეანია
აფრიკა
შუა აღმოსავლეთი
აღმ. ევროპა
დას. ევროპა
ცენტრ/სამხრ. ამერიკა
ჩრდ. ამერიკა

კილოვატ/საათი (მილიარდებში)
აღმ. ევროპა
შორეული აღმოსავლეთი/ოკეანია
ჩრდ. ამერიკა
დას. ევროპა

სურათი 8.7. შედგენილი სვეტების მქონე დიაგრამებით წარმოდგენილია ბირთვული ენერგიის მწარმოებლები, 1980-1999 წლები

სურათიდან 8.7. ვხედავთ, რამდენად უფრო იოლია შედგენილი სვეტების მქონე დიაგრამის გარჩევა; ამ შემთხვევაში, ის სეგმენტები, რომლებიც შეუსაბამოა, ამოღებულია, დარჩენილი სვეტები კი ლოგიკურად არის დალაგებული და მთლიანად წარწერები აქვს გაკეთებული.

დაჯგუფებული სვეტების მქონე დიაგრამების დახმარებით მკითხველს უადვილდება მთელის ნაწილების შედარება, თუმცა, რთულია სხვადასხვა მთელის შედარება, ვინაიდან მათ გონებაში არითმეტიკული გაანგარიშების გაკეთება მოუწევთ. თუ სვეტებს აჯგუფებთ იმ მიზეზით, რომ სეგმენტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი, გააკეთეთ შემდეგი:
- დაალაგეთ სვეტების ჯგუფები ლოგიკური თანმიმდევრობით; თუ შესაძლებელია, მსგავსი ზომის სვეტები ერთმანეთის გვერდზე განალაგეთ (ჯგუფებში სვეტები ერთნაირად დაალაგეთ).
- ჯგუფებს გაუკეთეთ წარწერები, მთელის ამსახველი რიცხვით ან თითოეული ჯგუფის ზემოთ ან ქვემოთ გაუკეთეთ წარწერები.

მონაცემების უმეტესი ნაწილი, რომელთა წარმოდგენა შესაძლებელია სვეტოვანი დიაგრამით, შეიძლება, აგრეთვე, წარმოვადგინოთ წრიული დიაგრამის სახით. ასეთი სახის დიაგრამას ხშირად მიმართავენ ჟურნალები, ტაბლოიდები, გამოიყენება, აგრეთვე, ყოველწლიური ანგარიშებისთვის. თუმცა, წრიული დიაგრამის წაკითხვა უფრო რთულია, ვიდრე სვეტოვანი დიაგრამის; მისი წაკითხვისას იოლია ინფორმაციის არასწორად გაგება, ვინაიდან მკითხველს გონებაში უწევს სეგმენტების პროპორციების შედარება, მათი მოცულობის დიაგრამიდან განსაზღვრა კი რთულია. მკვლევრების უმრავლესობას მიაჩნია, რომ წრიული დიაგრამების გამოყენება არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია. მათ ნაცვლად სვეტოვანი დიაგრამები გამოიყენეთ.

**ხაზოვანი დიაგრამები.** ხაზოვანი დიაგრამა ხაზს უსვამს ტენდენციას, ამიტომ მკითხველმა უნდა შეძლოს მკაფიო სურათის დანახვა, რათა სწორად გაიგოს ის. მკაფიო გამოსახულების შესაქმნელად, გააკეთეთ შემდეგი:

- აარჩიეთ ცვლადი, რომლის შედეგადაც ხაზი მიემართება გარკვეული მიმართულებით, ზევით ან ქვევით და რომელიც ასაბუთებს თქვენს თვალსაზრისს. თუ საშუალო სკოლის მიტოვების მაჩვენებლის შემცირება (დაღმავალი მიმართულება) დადებითი ტენდენციაა, უფრო ეფექტიანად შეგიძლიათ, წარმოადგინოთ იგივე მონაცემები, როგორც სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის ზრდა (აღმავალი).
- ექვსზე მეტი ხაზი ერთ დიაგრამაში ჩართეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზით ვერ გამოხატავთ საკითხს.

ევროპა
აზია
აფრიკა
ოკეანია
ლათინური ამერიკა
ჩრდილოეთ ამერიკა
სურათი 8.8. უცხოეთში დაბადებული რეზიდენტები შეერთებულ შტატებში, 1870-1990 წლები

უცხოეთში დაბადებული რეზიდენტები (მილიონი)
ევროპა
ჩრდილოეთ ამერიკა
ლათინური ამერიკა
აზია
აფრიკა
ოკეანია
სურათი 8.9. უცხოეთში დაბადებული რეზიდენტები შეერთებულ შტატებში, 1870-1990 წლები

- ხაზების გამოსარჩევად, ნუ გამოიყენებთ რუხის სხვადასხვა ტონალობას, როგორც ეს 8.8 სურათზეა წარმოდგენილი.

- როცა ქმნით ხაზოვან დიაგრამას მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელობის გამოყენებით, ხაზები ნაკლებ ზუსტი იქნება. ამდენად, თუ დაიტანთ ათზე ნაკლებ მნიშვნელობას (უწოდებენ წერტილს), აღნიშნეთ ის თითოეულ მათგანთან დამატებითი წერტილის ჩართვით, როგორც ეს 8.9 სურათშია ნაჩვენები. თუ ეს მნიშვნელობები მართებულია, შეგიძლიათ, წერტილების ზემოთ დაამატოთ რიცხვები. ნუ დაამატებთ წერტილებს იმ ხაზებზე, რომლებიც შედგენილია ათი ან მეტი წერტილისგან.

შეადარეთ 8.8 და 8.9 სურათები. ზოგად ინფორმაციას თუ არ ჩავთვლით, 8.8 სურათი უფრო რთული წასაკითხია, ვინაიდან რუხის ტონალობები არ განასხვავებს ხაზებს კარგად და, ვინაიდან უნდა შევხედოთ მნიშვნელობებს, ხაზებს, რათა დავაკავშიროთ ხაზები ცვლადებთან და მათ ციფრებთან. 8.9 სურათში ეს კავშირები უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი.

ერთი და იგივე მონაცემების წარმოდგენის ეს განსხვავებული გზები შესაძლოა დამაბნეველი იყოს. შეგიძლიათ, ეს პრობლემა გადაჭრათ, თუ ჯერ ერთი და იგივე მონაცემებს სხვადასხვა გზით (კომპიუტერული პროგრამა, ჩვეულებრივ, ამის სწრაფად გაკეთებაში დაგეხმარებათ) წარმოადგენთ; შემდეგ სთხოვთ ვინმეს, ვინც არ იცნობს მონაცემებს, შეაფასოს, რამდენად მკაფიოა გამოსახულება და რამდენად ასხავს შედეგებს. დიაგრამებს და სქემებს აუცილებლად წაუმძღვარეთ წინადადება, სადაც განაცხადებთ დებულებას, რომლის დასაბუთებაც გსურთ ცხრილის ან დიაგრამის გამოყენებით.

სურათი 8.10 დაბინძურების ინდექსი კაპიტოლიუმში, 1982-1994 წლები

პროფკავშირის წევრობა %
პროფკავშირის წევრობა
უმუშევრობის მაჩვენებელი
უმუშევრობის მაჩვენებელი %

სურათი 8.11. პროფკავშირის წევრობა და უმუშევრობის მაჩვენებელი, 1993-1999 წლები

## 8.4 წარადგინეთ მონაცემები ეთიკურად

დიაგრამა უნდა იყოს არა მხოლოდ მკაფიო, ზუსტი და შესაბამისი, არამედ, აგრეთვე, ობიექტური. არსის გადმოსაცემად არ უნდა დამახინჯდეს მონაცემები ან მათი ურთიერთკავშირი. მაგალითად, ორი სვეტოვანი დიაგრამა სურათში 8.10 წარმოადგენს იდენტურ მონაცემებს, თუმცა, სხვადასხვა აქცენტს აკეთებს. მარცხენა მხარეს განთავსებულ სურათზე სრული მასშტაბით წარმოდგენილ დიაგრამაზე დაქანება საკმაოდ უმნიშვნელოა, რის გამოც დაბინძურების მაჩვენებლის შემცირება უმნიშვნელო ჩანს. მარჯვენა ნაწილში განთავსებული სურათის ვერტიკალური შკალა კი იწყება არა 0-ით, არამედ 80-ით. როდესაც შკალა შეიკვეცება, მისი წაგრძელებული დახრა უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მცირე განსხვავებებს.

დიაგრამებმა, აგრეთვე, შეიძლება, შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი, თუ მცდარ

სამხრეთ ოლქი
აღმოსავლეთ ოლქი
დასავლეთ ოლქი

ჩრდილოეთ ოლქი

ჩრდილოეთ ოლქი
სამხრეთ ოლქი
აღმოსავლეთ ოლქი
დასავლეთ ოლქი

სურათი 8.12 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების განაწილება (მთელის პროცენტი) ერთ-ერთ შტატის ოლქების მიხედვით

კორელაციიას გამოხატავს. ვინმემ შესაძლოა, ამტკიცოს, რომ უმუშევრობის დონე მცირდება, როდესაც პროფკავშირის წევრობა მცირდება და მტკიცებულების სახით სურათი 8.11 წარმოადგინოს. მართლაც, ამ სურათის მიხედვით, პროფკავშირის წევრობის და უმუშევრობის მაჩვენებელი, თითქოს, ისე პირდაპირ არის დაკავშირებული, მკითხველმა შეიძლება დაასკვნას, რომ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. თუმცა, მარცხენა ღერძის (პროფკავშირების წევრობა) შკალა განსხვავებულია მარჯვენა ღერძის (უმუშევრობის მაჩვენებელი) შკალისგან. ორი შკალა შეგნებულად არის დამახინჯებული, რათა ორი მაჩვენებლის შემცირება პარალელური გამოჩნდეს. ეს მაჩვენებლები შეიძლება, დაკავშირებული იყოს. თუმცა, ეს დამახინჯებული გამოსახულება ამას არ ადასტურებს.

გრაფიკმა შეიძლება, შეცდომაში შეგვიყვანოს მაშინაც, როცა სურათი უბიძგებს მკითხველს, არასწორად შეაფასოს მნიშვნელობები. ორი სქემა 8.12 სურათზე, თითქოს, სხვადასხვა ტენდენციას გადმოგვცემს, მიუხედავად იმისა, რომ მათში ზუსტად ერთი და იგივე მონაცემებია წარმოდგენილი. დიაგრამა 8.12 სურათზე არის „შედგენილი უბნების" მქონე დიაგრამები. მიუხედავად მათი ვიზუალური განსხვავებებისა, ისინი წარმოადგენს ერთსა და იმავე მონაცემებს. შედგენილი დიაგრამები განსხვავებებს მნიშვნელობებში წარმოადგენს არა ხაზების კუთხეებით, არამედ ხაზებს შორის არსებული სივრცით. ორივე გრაფიკის შემთხვევაში, სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ჯგუფები მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიგანისაა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მათ მნიშვნელობებში ცვლილება მცირეა. თუმცა, ჩრდილოეთის ნაწილი მკვეთრად ფართოვდება, რაც აღნიშნავს შესაბამისი მნიშვნელობის დიდ ზრდას. მარცხენა მხარეს განთავსებულ გრაფიკში მკითხველი, სავარაუდოდ, ზედა სამ უბანს არასწორად შეაფასებს, ვინაიდან ისინი მდებარეობს ზრდადი ჩრდილოეთის ნაწილის ზევით და ეს ქმნის ისეთ ეფექტს, თითქოს ზემოთ განლაგებული ნაწილებიც ასევე ფართოვდება. მარჯვენა მხარეს განთავსებულ გრაფიკზე კი ეს სამი ნაწილი არ ფართოვდება, ვინაიდან ისინი ძირშია მოთავსებული. ახლა ფართოვდება მხოლოდ ჩრდილოეთის შესაბამისი ნაწილი.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ოთხ სახელმძღვანელო პრინციპს, რომლებიც დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ შეცდომაში შემყვანი ვიზუალური გამოსახულების შექმნა:

- ნუ ისარგებლებთ მასშტაბით კონტრასტის გასაზრდელად ან შესამცირებლად.
- ნუ გამოიყენებთ სურათს, რომლის გამოსახულება ამახინჯებს მნიშვნელობებს.
- ცხრილი ან სურათი არ უნდა იყოს მეტისმეტად კომპლექსური ან იმდენად მარტივი, რომ შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი.
- თუ ცხრილი ან სურათი ამყარებს დებულებას, მიუთითეთ ამის შესახებ.

ცხრილი 8.7. გრაფიკების სტანდარტული ფორმები და მათი გამოყენება

| | მონაცემები | რიტორიკული გამოყენება |
|---|---|---|
| სვეტოვანი დიაგრამები | ერთი ცვლადის მნიშვნელობის ცალკეული ობიექტების მიხედვით (მაგ., მომსახურების დარგში მუშაკების საშუალო ხელფასი ცვლადი ექვსი კომპანიის მიხედვით ნიმუში). | ქმნის ძლიერ ვიზუალურ კონტრასტს ცალკეულ ნიმუშებს შორის, ხაზს უსვამს განსხვავებას. კონკრეტული მნიშვნელობების მითითებისთვის სვეტებს დაუმატეთ რიცხვები. ამ სახის დიაგრამის გამოყენებით შესაძლებელია დონის ან ტენდენციების ჩვენება. ყველაზე მეტად გავრცელებულია ვერტიკალური სვეტები, თუმცა, შეიძლება, სვეტები იყოს ჰორიზონტალური, თუ ნიმუშები მრავალია ან რთული წარწერები აქვს. იხ. ნაწილი 8.3.3 |
| სვეტოვანი დიაგრამები, დაჯგუფებული ან გაყოფილი | ქვეჯგუფებად დაყოფილი ერთი ცვლადის მნიშვნელობის შედარება ნიმუშების სერიების მიხედვით (მაგ., მომსახურების სფეროში მომუშავე ქალი და მამაკაცი მუშაკების ქვეჯგუფები საშუალო ხელფასი ექვსი კომპანიის მიხედვით ნიმუშები). | ხდება ქვეჯგუფებს შორის განსხვავების წარმოჩენა ცალკეული ნიმუშების შიგნით და მათ შორის; არ არის გამოსადეგი მთელი მნიშვნელობების მქონე ნიმუშების შედარებისთვის. კონკრეტული მნიშვნელობების მისათითებლად სვეტებს დააწერეთ რიცხვები. დაჯგუფებული სვეტები ცუდად ასახავს დონეს ან ტენდენციებს; გამოსადეგია დროის სერიებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტენდენციები არ არის მნიშვნელოვანი. იხ. ნაწილი 8.3.3. |
| სვეტოვანი დიაგრამები, | შედარებულია ერთი | საუკეთესოა მთლიანი |

| | | |
|---|---|---|
| შედგენილი | ცვლადის მნიშვნელობა, დაყოფილი ორ ან მეტ ქვეჯგუფად, ნიმუშების სერიების მიხედვით (მაგ., შევიწროების შესახებ საჩივრები ცვლადი დაყოფილი რეგიონის და ქვეჯგუფები ეძვი სფეროს მიხედვით ნიმუშები) | მნიშვნელობების შესადარებლად მთელის ნიმუშებს შორის და ნიმუშების ქვეჯგუფებში; რთულია ქვეჯგუფების შედარება ნიმუშების შიგნით (ამისთვის გამოიყენეთ დაჯგუფებული სვეტები). კონკრეტული მნიშვნელობების მისათითებლად სვეტებს და სეგმენტებს დააწერეთ რიცხვები. გამოსადეგია დროითი მწკრივებისთვის. მისი საშუალებით დონეების ან ტენდენციების ჩვენება შესაძლებელია მხოლოდ მთლიანი მნიშვნელობების მიხედვით იხ. ნაწილი 8.3.3 |
| ჰისტოგრამა | შედარებულია ორი ცვლადი, რომელთაგან ერთი დაყოფილია სერიებად, რომლებიც იგივე დატვირთვას ატარებს, რასაც ნიმუშები სვეტოვან დიაგრამაში (მაგ., მომსახურების სფეროს მუშაკები მუდმივი ცვლადი რომელთა ხელფასი შეადგენს 0-5,000 დოლარს, 5-10,000 დოლარს, 10-15,000 დოლარს და ა.შ. დაყოფილი ცვლადი) | საუკეთესოა მუდმივი მონაცემების სეგმენტების შესადარებლად. აჩვენებს ტენდენციებს, თუმცა, აქცენტი გაკეთებულია სეგმენტებზე (მაგ., $ 5-10,000 ხელფასის მქონე არასრულ განაკვეთზე მომუშავე მუშაკების უეცარი ზრდა). კონკრეტული მნიშვნელობების აღსანიშნად სვეტებს დააწერეთ რიცხვები. |
| გამოსახულებიანი დიაგრამა | აჩვენებს მნიშვნელობას ერთი ან მეტი ცვლადის ნიმუშებისთვის, რომლებიც მოცემულია რუკაზე, დიაგრამაზე ან სხვა გამოსახულებაზე (მაგ., შტატები ნიმუშები გაფერადებული წითლად ან ცისფრად, რათა გვიჩვენოს ამომრჩეველთა ხმების განაწილების ხასიათი ცვლადი). | აჩვენებს მონაცემების განაწილებას წინასწარ არსებულ კატეგორიებთან მიმართებაში; კონკრეტული მნიშვნელობების როლი შემცირებულია. როგორც რუკის ან პროცესის დიაგრამის შემთხვევაში, საუკეთესოა, როდესაც გამოსახულება ნაცნობია,. |
| წრიული დიაგრამა | აჩვენებს ერთი ცვლადის პროპორციას ნიმუშების სერიებისთვის (მაგ., ბიუჯეტის წილი ცვლადი | საუკეთესოა ერთი სეგმენტის მთელთან შედარებისთვის. გამოსადეგია მხოლოდ მაშინ, როცა გვაქვს რამდენიმე |

| | | |
|---|---|---|
| | აშშ-ის კაბინეტის დეპარტამენტების მიხედვით ნიმუშები). | სეგმენტი ან სეგმენტები, რომლებიც ძალიან განსხვავებული მოცულობისაა; სხვაგვარად რთულია სეგმენტების შედარება. კონკრეტული მნიშვნელობების ასახვისთვის სეგმენტებში ჩაწერეთ რიცხვები. გავრცელებულია არასამეცნიერო წრეებში, სპეციალისტებში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. იხ. 8.3.3. |
| ხაზოვანი დიაგრამა | შედარებულია უწყვეტი ცვლადები ერთი ან მეტი ნიმუშისთვის (მაგ., ტემპერატურა ცვლადი და სიბლანტე ცვლადი ორი სითხის მიხედვით ნიმუშები) | საუკეთესოა ტენდენციების საჩვენებლად; ნაკლები აქცენტია გაკეთებული კონკრეტულ მნიშვნელობებზე. გამოსადეგია დროითი მწკრივებისთვის. კონკრეტული მნიშვნელობების საჩვენებლად წერტილებთან დააწერეთ რიცხვები. ტენდენციის მნიშვნელოვნების საჩვენებლად ბადე დაყავით ნაწილებად (მაგ., საშუალო შედეგებზე დაბალი ან მაღალი). იხ. 8.3.3 |
| დიაგრამა უბნებით | შედარებულია ორი უწყვეტი ცვლადი ერთი ან მეტი ნიმუშისთვის (მაგ., კითხვის ტესტის ქულები ცვლადი დროის განმავლობაში სასკოლო ოლქში ნიმუში). | აჩვენებს ტენდენციებს; კონკრეტული მნიშვნელობების როლი შემცირებულია. შეიძლება ამ სახის დიაგრამის გამოყენება დროითი მწკრივებისთვის. კონკრეტული მნიშვნელობების საჩვენებლად მონაცემების წერტილებთან მიუთითეთ რიცხვები. ხაზების ქვემოთ უბანი ინფორმაციას არ ზრდის, თუმცა ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება, არასწორად შეაფასოს მნიშვნელობები. დამაბნეველია მრავალი ხაზის/უბნის შემთხვევაში. |
| დიაგრამა უბნებით, შედგენილი | შედარებულია ორი მუდმივი ცვლადი ორი ან ორზე მეტი ნიმუშისთვის (მაგ., შემოსავლები ცვლადი დროის პერიოდში | ნაჩვენებია ტენდენცია ყველა ნიმუშის მთელისთვის, ამასთანავე, აჩვენებს, რამდენია თითოეული ნიმუშის წილი მთელში. სავარაუდოდ, |

| | | |
|---|---|---|
| | ცვლადი რამდენიმე პროდუქტისთვის მიხედვით ნიმუშები). | მკითხველი არასწორად გაიგებს ინდივიდუალური ნიმუშის მნიშვნელობას ან ტენდენციას, როგორც ეს ნაწილში 8.4 იყო განმარტებული |
| წერტილოვანი დიაგრამა | შედარებულია ორი ცვლადი მრავალ წერტილში ერთი ნიმუშის მიხედვით (მაგ., ბინების გაყიდვები ცვლადი და მანძილი ქალაქის ცენტრიდან ცვლადი ერთ ქალაქში ნიმუში) ან ერთ წერტილში მრავალი ნიმუშის მიხედვით (მაგ., ბრენდისადმი ერთგულება ცვლადი და შეკეთების სიხშირე ცვლადი ათი მწარმოებლისთვის ნიმუშები) | საუკეთესოა მონაცემების განაწილების საჩვენებლად, განსაკუთრებით, როდესაც არ არის მკაფიო ტენდენცია ან როდესაც აქცენტი კეთდება ცენტრიდან მოშორებულ მნიშვნელობებზე. თუ მხოლოდ რამდენიმე წერტილის დატანა ხდება, ეს შესაძლებლობას იძლევა აქცენტი კონკრეტულ მნიშვნელობებზე გაკეთდეს. |
| ბურთულოვანი დიაგრამები | შედარებულია სამი ცვლადი მრავალ წერტილზე ერთი ნიმუშისთვის (მაგ., ბინების გაყიდვა ცვლადი დაშორება ქალაქის ცენტრიდან ცვლადი და ფასები ცვლადი ერთ ქალაქში ნიმუში) ან ერთ წერტილში მრავალი ნიმუშისთვის (მაგ., პრესტიჟულობის რეკლამირება ცვლადი შეკეთების სიხშირე ცვლადი და ბრენდისადმი ერთგულება ცვლადი ათი მწარმოებლის მიხედვით ნიმუშები). | აქცენტი კეთდება მესამე (ბურთულები) და პირველ ორ ცვლადს შორის კავშირზე; ყველაზე გამოსადეგია, როდესაც გვაინტერესებს არის თუ არა მესამე ცვლადი სხვების პროდუქტი. მკითხველს შეიძლება, მარტივად შეეშალოს ბურთულებით გამოხატული ფარდობითი მნიშვნელობები; თუ დააწერთ რიცხვებს, ეს პრობლემა გადაიჭრება. |

# 9 შავი ნაწერის გადამუშავება

### 9.1 შეამოწმეთ შესავალი, დასკვნა და დებულება

### 9.2 დარწმუნდით, რომ ნაშრომის ძირითადი ნაწილი თანმიმდევრულია

### 9.3 შეამოწმეთ აბზაცები

### 9.4 რამდენიმე დღის შემდეგ გადახედეთ სამუშაო ვარიანტს, შემდეგ გააკეთეთ პერიფრაზი

ზოგიერთ დამწყებ მკვლევარს მიაჩნია, რომ ნაშრომზე მუშაობა შავი ნაწერის შექმნით სრულდება. გამოცდილმა ავტორებმა კი იციან, რომ სამუშაო ამით არ მთავრდება. ისინი შავი ნაწერის პირველ ვარიანტს ქმნიან არა მკითხველისთვის, არამედ თავიანთთვის, რათა ნახონ, შეუძლიათ თუ არა, დაასაბუთონ დებულება (ან განსაზღვრონ უკეთესი). შემდეგ იქამდე გადაამუშავებენ შავ ნაწერს, ვიდრე არ ჩათვლიან, რომ ის შეესაბამება მკითხველის მოთხოვნებს და მოლოდინს. ეს რთულია, ვინაიდან ისე კარგად ვიცნობთ ჩვენს ნაშრომს, რომ გვიჭირს სხვისი თვალით შევხედოთ. ეფექტიანად გადამუშავებისთვის უნდა იცოდეთ, რას მოელის მკითხველი და შეძლებს თუ არა ამის პოვნას შავ ნაწერში. ამისთვის, ჩვენი რჩევა შეიძლება, ზერელედ მოგეჩვენოთ. მაგრამ მხოლოდ ნაშრომის ობიექტურად გაანალიზების მეშვეობით შეძლებთ, თავიდან აიცილოთ ნაშრომის მიკერძოებულად წაკითხვა, ანუ მისი ისე აღქმა, როგორც გსურთ, რომ თქვენმა მკითხველმა დაინახოს.

ჩვენი რჩევაა, გადამუშავება დაიწყოთ ზოგადი ნაწილებიდან და შემდეგ გადახვიდეთ კონკრეტულზე: პირველ რიგში, გადაამუშავეთ შესავალი და დასკვნა, შემდეგ მთლიანი აგებულება, შემდეგ ნაწილები, აბზაცები, წინადადებები, ბოლოს კი სტილისტური ასპექტები, როგორიცაა მართლწერა და პუნქტუაცია (ამ საკითხებზე რჩევები იხილეთ მესამე ნაწილში). რა თქმა უნდა, არავინ ამუშავებს ნაწერს ასე ზედმიწევნით. ჩვენ გადავაადგილებთ აბზაცებს და გადავაწყობთ სიტყვებს წინადადების შეცვლისას. თუმცა, სავარაუდოდ, ყველაზე შედეგიანი იქნება, თუ გადამუშავებას დავიწყებთ მთელით და შემდეგ ნაწილებზე გადავალთ. ეს იმ შემთხვევაშიც ამართლებს, თუ თქვენს ხელთ არსებული „მთელი" მხოლოდ ნაშრომის ნაწილია.
არაერთმა გამოცდილმა მკვლევარმა შენიშნა, რომ უფრო საიმედოა ნაბეჭდი ვარიანტის რედაქტირება, ვიდრე ტექსტის კომპიუტერის ეკრანზე გადამუშავება. ელექტრონული ვარიანტი შეგიძლიათ, გადაამუშაოთ, როცა ნაწერის პირველი ვარიანტებს ხვეწთ; თუმცა, მკითხველი ნაბეჭდ ვარიანტს ეცნობა; თქვენც, თუ შავი ნაწერის შემდგომი ვარიანტების ამონაბეჭდს გადახედავთ, შესაძლოა, მეტი შეცდომა აღმოაჩინოთ და უკეთესად გაერკვეთ ნამუშევარის ზოგად სტრუქტურაში.

## 9.1 შეამოწმეთ შესავალი, დასკვნა და დებულება

მკითხველმა სწრაფად და გარკვევით უნდა დაინახოს სამი რამ:

- სად მთავრდება შესავალი
- სად იწყება დასკვნა
- რა წინადადებებით არის წარმოდგენილი დებულება შესავალსა და დასკვნაში

შესავალი და დასკვნა რომ მკაფიოდ იყოს გამოყოფილი, შეგიძლიათ, შესავალს და ძირითად ტექსტს შორის ჩართოთ ქვესათაური ან დატოვოთ ცარიელი ადგილი, ანალოგიურად გამოყოთ ძირითადი ნაწილი დასკვნიდან. (მეათე თავში დაწვრილებით არის განხილული, როგორ გადაამუშაოთ შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტის შესავალი და დასკვნა, განსაკუთრებით, როგორ და სად უნდა შემოიტანოთ დებულება.)

## 9.2 დარწმუნდით, რომ ნაშრომის ძირითადი ნაწილი თანმიმდევრულია

მოხსენების სტრუქტურის მკაფიოდ ჩამოყალიბების შემდეგ, შეამოწმეთ ძირითადი ნაწილი. მკითხველი თქვენს ნაშრომს მიიჩნევს თანმიმდევრულად, როდესაც შეეძლება დაინახოს:

- რა ძირითადი ტერმინები გასდევს ნაშრომის ყველა ნაწილს
- სად სრულდება თითოეული თავი და ქვეთავი და იწყება მომდევნო
- როგორ არის ყოველი ნაწილი დაკავშირებული წინასთან
- რა როლს ასრულებს თითოეული ნაწილი მთელში
- რომელი წინადადებით არის წარმოდგენილი თითოეული ნაწილის და ქვენაწილის არსი ყოველ მათგანში
- რა ძირითადი დამახასიათებელი ტერმინები გასდევს თითოეულ ნაწილს

მკითხველმა ეს ელემენტები რომ დაინახოს, გადახედეთ მოხსენებას და შეამოწმეთ:

1. გასდევს თუ არა ძირითადი ტერმინები მთელ მოხსენებას?

- შემოხაზეთ ძირითადი ტერმინები შესავალში და დასკვნაში წარმოდგენილ დებულებაში (გადახედეთ 7.3-ს).
- შემოხაზეთ იგივე ტერმინები მოხსენების ძირითად ნაწილში.
- ხაზი გაუსვით სიტყვებს, დაკავშირებულს იმ ცნებებთან, რომლებიც გამოხატულია შემოხაზული ტერმინებით.

თუ მკითხველი ვერ დაინახავს თქვენს ძირითად ტერმინებს აბზაცების უმეტესობაში, შეიძლება, იფიქროს, რომ ნაშრომი არ არის თანმიმდევრული. გადაამუშავეთ, შეიტანეთ ეს ტერმინები იმ ნაწილებში, სადაც არ არის საკმარისად გამოყენებული. თუ ხაზი გაუსვით უფრო მეტ სიტყვას, ვიდრე შემოხაზული გაქვთ, შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ მკითხველი შენიშნავს, როგორ უკავშირდება ხაზგასმული სიტყვები ძირითად ტერმინებს. თუ მოსალოდნელია, რომ მკითხველი ვერ შენიშნავს კავშირს, შეცვალეთ

დაკავშირებული სიტყვები. თუ თქვენ გადაუხვიეთ თქვენი ლოგიკის ძირითადი ხაზიდან, მოგიწევთ ნაწერის სერიოზული გადამუშავება.

2. მკაფიოდ არის თუ არა გამოყოფილი თითოეული ნაწილის და ქვენაწილის დასაწყისი?

ქვესათაურების გამოყენებით შეგიძლიათ, მიანიშნოთ ერთი მთავარი ნაწილიდან მომდევნოზე გადასვლა (გადახედეთ 6.2.4-ს). უფრო დიდ ნაშრომში შეგიძლიათ, დაამატოთ ადგილი ძირითადი გადასვლის ადგილებში. თუ ვერ გადაწყვეტთ, რა სიტყვები გამოიყენოთ ქვესათაურებში ან სად ჩართოთ ისინი, მკითხველი საერთოდ ვერ დაინახავს წყობას. (სხვადასხვა დონის სათაურების სტილების შესახებ იხ. A2.2).

3. იწყება თუ არა თითოეული დიდი ნაწილი სიტყვებით, რომლებიც მიანიშნებს, როგორ უკავშირდება აღნიშნული ნაწილი წინას?

მკითხველმა უნდა შეძლოს დანახვა, სად იწყება და სად მთავრდება ნაწილები; ამას გარდა, მათ უნდა გაიგონ, რატომ დაალაგეთ ისინი მოცემული თანმიმდევრობით (იხ. 6.2.5-6.2.6). თანმიმდევრობის ლოგიკა აღნიშნეთ ისეთი სიტყვების გამოყენებით, როგორიცაა *პირველ რიგში, ამას გარდა, უფრო მნიშვნელოვანია, მომდევნო საკითხი, ზოგი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას* და ა.შ.

4. ჩანს თუ არა მკაფიოდ, როგორ შეესაბამება თითოეული ნაწილი მთელს?

თითოეულ ნაწილს დაუსვით შეკითხვა: რას პასუხობს ეს ნაწილი? თუ კითხვის საშუალებით ვერ ახერხებთ, უპასუხოთ იმ ხუთი შეკითხვიდან ერთ-ერთს რომელზეც პასუხი არგუმენტს წარმოადგენს (იხ. 5.2), დაფიქრდით, რამდენად შესაბამისია ეს ნაწილი: რამდენად შინაარსობრივია ის, განმარტავს თუ არა ცნების ან საკითხს წინაისტორიას ან სხვაგვარად თუ ეხმარება მკითხველს? თუ ვერ განმარტავთ, როგორ არის ნაწილი დაკავშირებული დებულებასთან, დაფიქრდით, უმჯობესი ხომ არ არის მისი ამოღება ნაშრომიდან.

5. წარმოდგენილია თუ არა თითოეული ნაწილის არსი მისი მცირე შესავლის ბოლოს (ან ნაწილის ბოლოში) მოცემულ წინადადებაში?

თუ შესაძლებელია, ნაწილის არსი შესავლის ბოლოში ჩართეთ. არავითარ შემთხვევაში არ მოათავსოთ ის ნაწილის  შუაში. თუ ნაწილი ოთხ ან ხუთ გვერდზე მეტია, შეგიძლიათ, არსი ამ ნაწილის ბოლოს კიდევ ერთხელ გაიმეოროთ.

6. გამოყენებულია თუ არა ნაწილში კონკრეტული ტერმინები, რომლებიც მას გამოარჩევს?

ისე, როგორც ძირითადი ტერმინები, რომლებიც აერთიანებს მთელ მოხსენებას და გამოარჩევს მას სხვა მოხსენებებისგან, ძირითადი ტერმინებიც, რომლებიც

განასხვავებს თითოეულ ნაწილს და ქვენაწილს, უნდა გასდევდეს და აერთიანებდეს მას. გაიმეორეთ საფეხური (1) თითოეული ნაწილისთვის: იპოვეთ წინადადება, რომელიც გამოხატავს მის არსს და განსაზღვრეთ ძირითადი ტერმინები, რომლებიც გამოარჩევს მოცემულ ნაწილს სხვა ნაწილებისგან. შემდეგ შეამოწმეთ, გასდევს თუ არა ეს ტერმინები ამ ნაწილს. თუ ტერმინები ვერ აღმოაჩინეთ, მკითხველმა შესაძლოა, ვერ დაინახოს, რა განსხვავებული იდეებია წარმოდგენილი მასში.

## 9.3 შეამოწმეთ აბზაცები

თითოეული აბზაცი უნდა შეესაბამებოდეს მისი ნაწილის არსს. ნაწილების მსგავსად, თითოეულ აბზაცს უნდა წაუმძღვაროთ ერთი ან ორი შესავალი წინადადება, რომელშიც, როგორც წესი, წარმოდგენილი იქნება მისი არსი და ჩართული იქნება ძირითადი ცნებები, რომლებიც გაივრცობა აბზაცის დანარჩენ ნაწილში. თუ აბზაცის შესავალ წინადადებებში არ არის წარმოდგენილი მისი არსი, მაშინ ის ბოლო წინადადებაში უნდა მიუთითოთ. დაალაგეთ წინადადებები გარკვეული პრინციპით და შეუსაბამეთ ისინი აბზაცის არსს (თანმიმდევრობის პრინციპის შესახებ იხ. 6.2.5).

მოერიდეთ მცირე აბზცების წყებას (სადაც ხუთზე ნაკლები სტრიქონია) ან ძალიან დიდ აბზაცებს (სფეროების უმეტესობისთვის ნახევარ გვერდზე მეტი). ორ ან სამწინადადებიანი აბზაცები გამოიყენეთ ჩამონათვლისთვის, გადასასვლელი ნაწილის, შესავლის და დასკვნითი ნაწილებისთვის, აგრეთვე, იმ დებულებებისთვის, რომელთა ხაზგასმაც გსურთ. (ამ წიგნში ვიყენებთ მცირე აბზაცებს, რათა მკითხველს გაუიოლდეს თვალის გადავლება; მოხსენებების წერისას ამგვარი გაიოლება, როგორც წესი, არ არის საჭირო.)

## 9.4 რამდენიმე დღის შემდეგ გადახედეთ სამუშაო ვარიანტს, შემდეგ გააკეთეთ პერიფრაზი

თუ პროექტს ადრე დაიწყებთ, გექნებათ დრო, რომ გადამუშავებულ შავ ნაწერს რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ გადახედოთ. ის, რაც ერთ დღეს მოგწონთ, მეორე დღეს შეიძლება, სხვაგვარად შეაფასოთ. როცა შავ ნაწერს დაუბრუნდებით, ნუ წაიკითხავთ მას თავიდან ბოლომდე; გადაავლეთ თვალი დიდ ნაწილებს: შესავალს, თითოეული ძირითადი ნაწილის პირველ აბზაცს და დასკვნას. შემდეგ, წაკითხულის საფუძველზე, გააკეთეთ მისი პერიფრაზი იმ ადამიანისთვის, ვისაც არ წაუკითხავს. გამოგივიდათ პერიფრაზი? არის მასში შეჯამებული არგუმენტი? უმჯობესია, თუ ვინმე სხვას სთხოვთ, გადაავლოს თვალი თქვენს მოხსენებას, წაიკითხოს მხოლოდ შესავალი და ძირითადი ნაწილების შესავლები: ის, თუ რამდენად კარგად შეაჯამებს აღნიშნული პირი თქვენ ნაშრომს, მიანიშნებს, რამდენად კარგად გაიგებს მას მკითხველი.

დაბოლოს, ნაწერი ყოველთვის გადაამუშავეთ პროფესორის ან ხელმძღვანელის რჩევის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აწყენინებთ იმ სპეციალისტებს, რომლებიც ხარჯავენ დროს და კითხულობენ თქვენს მოხსენებას, რათა რჩევები მოგცენ; ამასთანავე, ხელიდან გაუშვებთ მოხსენების დახვეწის შესაძლებლობას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული რჩევა უნდა შეასრულოთ; უბრალოდ, დაკვირვებით აწონ-დაწონეთ ისინი.

# 10. შესავლის და დასკვნის საბოლოო ვარიანტის შემუშავება

10.1 შეიმუშავეთ შესავლის საბოლოო ვარიანტი
- 10.1.1 მოკლედ წარმოადგინეთ მანამდე ჩატარებული კვლევები
- 10.1.2 ხელახლა წარადგინეთ შეკითხვა როგორც საკითხი, რომელიც არ არის ცნობილი ან კარგად შესწავლილი
- 10.1.3 წარმოადგინეთ თქვენი შეკითხვის მნიშვნელოვნება
- 10.1.4 წარმოადგინეთ დებულება
- 10.1.5 შექმენით ახალი პირველი წინადადების სამუშაო ვარიანტი

10.2 შექმენით დასკვნის საბოლოო სამუშაო ვარიანტი
- 10.2.1 ხელახლა წარმოადგინეთ დებულება
- 10.2.2 აღნიშნეთ ახალი მნიშვნელოვნება, პრაქტიკული გამოყენება ან ახალი კვლევა (სამივესთვის)

10.3 სათაურის მოფიქრება ბოლოსთვის მოიტოვეთ

მას შემდეგ, რაც შავი ნაწერის საბოლოო ვარიანტს შექმნით და ნახავთ, რა გაქვთ დაწერილი, შეგიძლიათ, დაწეროთ შესავლის და დასკვნის საბოლოო ვარიანტები. მოხსენების ეს ორი ნაწილი მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაში, თუ როგორ წაიკითხავს და დაიმახსოვრებს მკითხველი მოხსენების დანარჩენ ნაწილებს. ამდენად, სასურველია, დრო დაუთმოთ ამ ნაწილების დამუშავებას, რათა ისინი მაქსიმალურად მკაფიო და საინტერესო იყოს.

შესავალი სამ მიზანს ემსახურება. მისი დანიშნულებაა:
- მოაქციოს კვლევა სხვა კვლევის კონტექსტში
- გააგებინოს მკითხველს, რატომ უნდა წაიკითხოს მოხსენება
- გახადოს მოხსენება გასაგები

შესავლების უმრავლესობა მთელი მოხსენების დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხშირად უფრო მცირეს).

დასკვნაც სამ მიზანს ემსახურება. დასკვნის დანიშნულებაა:
- მკაფიოდ გააგებინოს მკითხველს დებულება
- გააგებინოს მკითხველს მისი მნიშვნელოვნება
- წარმოადგინოს შემდგომი კვლევის განხორციელების რეკომენდაცია

დასკვნა, როგორც წესი, შესავალზე მოკლე უნდა იყოს. თეზისის და სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში, შესავალი და დასკვნა, ჩვეულებრივ, ცალკე თავებია.

## 10.1 შეიმუშავეთ შესავლის საბოლოო ვარიანტი

მოხსენებების შესავლები განსხვავდება სფეროების მიხედვით. თუმცა, მათ უმრავლესობას საფუძვლად უდევს ოთხი ნაწილისგან შემდგარი მოდელი, რომელიც აღწერილი იყო 6.2.2.-ში:

1. საწყისი კონტექსტი ან წინაისტორია. როდესაც ამ ნაწილში შეჯამებულია შესაბამისი კვლევა, მას ეწოდება ლიტერატურის მიმოხილვა; ის თქვენს პროექტს სხვა კვლევის კონტექსტში აქცევს და მომდევნო საფეხურისთვის გვამზადებს. ეს ნაწილი მოკლე უნდა იყოს.
2. კვლევის შეკითხვის წარმოდგენა. ეს, ჩვეულებრივ, მოიცავს იმის წარმოდგენას, რაც არ არის ცნობილი ან შესწავლილი, ან რაც მცდარია იმ კვლევაში, რომელიც მიუთითეთ პირველ პუნქტში აღნიშნულ საფეხურში. აღნიშნული ნაწილი ხშირად იწყება სიტყვებით *თუმცა, მიუხედავად ამისა* ან დაზუსტების აღმნიშვნელი სხვა სიტყვებით.
3. შეკითხვის მნიშვნელოვნება. გაცემულია პასუხი შეკითხვაზე მერე რა? ის ძალიან მნიშვნელოვანია მკითხველის დასაინტერესებლად.
4. დებულება. აქ პასუხი გაეცემა კვლევის შეკითხვაზე, რომელიც მოცემულია მეორე საფეხურში. ქვემოთ წარმოდგენილია შემოკლებული მაგალითი (თითოეული წინადადება შეიძლება გაიშალოს ერთ ან მეტ აბზაცზე):

საუკუნეების განმავლობაში, რისკის ანალიტიკოსები შეისწავლიან რისკს, როგორც სტატისტიკურ პრობლემას და ალბათობის თეორიის რაციონალურ გამოყენებას. კონტექსტი თუმცა, რისკის შესახებ ინფორმაციის გადამცემმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ რიგითი ადამიანების მიერ რისკის შეფასება არ ჩანს დაკავშირებული სტატისტიკაზე დაფუძნებულ ალბათობებთან. შეკითხვა. ვიდრე არ გავიგებთ, როგორ აღიქვამენ არასპეციალისტები რისკს, გამოუცნობი დარჩება ადამიანის შემეცნების მნიშვნელოვანი ასპექტი. მნიშვნელოვნება. როგორც ჩანს, არასპეციალისტები რისკს აფასებენ ყველაზე ცუდი ვარიანტების ვიზუალიზაციით, შემდეგ აფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიშია წარმოსახული სურათი. დებულება

### 10.1.1 მოკლედ წარმოადგინეთ მანამდე ჩატარებული კვლევები

ყველა მოხსენება არ იწყება კვლევის მიმოხილვით. ზოგიერთი მათგანი იწყება უშუალოდ კვლევის შეკითხვით, რომელიც წარმოდგენილია როგორც რაღაც, რაც არ იციან ან არ არის შესწავლილი. შემდეგ მოსდევს შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა. ეს გავრცელებული სტრატეგიაა იმ შემთხვევებში, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაღაც არ არის გარკვეული:

პასიურ მწეველობასა და გულის დაავადებებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ შეთანხმებული აზრი ჯერ არ არსებობს.

თუმცა, თუ ბევრისთვის უცნობია ამგვარი ღია საკითხის არსებობა, მისი ასე წარდგენა შეიძლება, ძალიან მკვეთრად მოხვდეს მკითხველის თვალს, როგორც, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი წინადადება:

მკვლევრებს არ ესმით, როგორ აფასებენ რისკს რიგითი ადამიანები.

როგორც წესი, ავტორი მკითხველს ამზადებს მანამდე განხორციელებული იმ კვლევის აღწერით, რომელსაც მათი კვლევა გააფართოებს, შეცვლის, ან შეასწორებს. თუმცა, თუ მოხსენება გამიზნულია ზოგადი კატეგორიის მკითხველზე, კონტექსტი შეიძლება, მოკლე იყოს:

ჩვენ ვრისკავთ ყოველდღე - როცა ვჭრით ქუჩას, მივირთმევთ ზედმეტად ცხიმიან საკვებს, მაშინაც კი, როდესაც შხაპს ვიღებთ. რისკის შესწავლა დაიწყო აზარტული თამაშების შემოღებასთან ერთად. ამდენად, დიდი ხანია, მას მათემატიკურად აფასებენ. მეოცე საუკუნეში მკვლევრები იყენებდნენ მათემატიკურ ხერხებს რისკის შესასწავლად მრავალ სფეროში: ინვესტიციებში, სამომხმარებლო პროდუქციაში, ომშიც კი. შედეგად, მკვლევრების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ შესაძლებელია რისკის სტატისტიკურად გამოთვლა და რომ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები რაციონალურობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.

სხვა მკვლევრებისთვის გამიზნულ მოხსენებაში ეს შესავალი კონტექსტი, ჩვეულებრივ, აღწერს კონკრეტულ კვლევას, რომელსაც გააფართოებს ან შეცვლის მოცემული მოხსენება. მნიშვნელოვანია მანამდე განხორციელებული კვლევის ობიექტურად წარმოდგენა. ამდენად, ისე აღწერეთ ის, როგორც მისი განმახორციელებელი მკვლევრები აღწერდნენ.

მას შემდეგ, რაც მეთექვსმეტე საუკუნეში გიროლამო კარდანომ დაიწყო აზარტული თამაშების რაოდენობრივად გაანალიზება (ჩარდანო 1545), რისკის განხილვას მიუდგნენ, როგორც წმინდა მათემატიკურ ამოცანას; რისკის ანალიზი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც პასკალმა, ლაიბნიცმა და სხვებმა კალკულუსი შემოიტანეს ( ერნსტეინ 1996). მეოცე საუკუნეში მკვლევრებმა გააფართოეს მიმართულება და დაიწყეს რისკის შესწავლა ცხოვრების ყველა სფეროში: ინვესტიციებში, სამომხმარებლო საქონელში, გარემოსა და ომშიც კი (შტიმსონ 1990, 1998). ეს პრობლემებიც, თითქმის მხოლოდ მათემატიკური პოზიციიდან არის განხილული. (მოგვიანებით წარმოდგენილია თანამედროვე კვლევის დეტალური განხილვა.)

ზოგიერთ მოხსენებაში, განსაკუთრებით თეზისებსა და სადისერტაციო ნაშრომებში, მსგავსი აღწერა იშლება რამდენიმე გვერდზე, ციტირებულია ათობით წიგნი და სტატია, რომლებიც მხოლოდ მეტ-ნაკლებად შეესაბამება საკითხს, ჩვეულებრივ, ამის მიზანია, აჩვენოს, რომ მკვლევარი ბევრ ლიტერატურას გაეცნო. ამ სახის კვლევებიდან შესაძლებელია სასარგებლო ბიბლიოგრაფია მოიპოვონ სხვა, განსაკუთრებით, დამწყებმა მკვლევრებმა, მაგრამ მკითხველს, რომელსაც ბევრი დრო არ აქვს, სურს, შეიტყოს მხოლოდ კონკრეტული კვლევის შესახებ, რომლის გაფართოებას, შეცვლას ან შესწორებასაც აპირებს მკვლევარი.

მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული მანამდე ჩატარებული კვლევის ობიექტურად და სრულად წარმოდგენა: აღწერეთ ის, როგორც ამას გააკეთებდა თქვენს მიერ ციტირებული მკვლევარი, ციტატები კი მოიყვანეთ არა შერჩევით ან კონტექსტიდან ამოვარდნილად, არამედ ისე, როგორც ავტორს ჰქონდა წარმოდგენილი თავის ნაშრომში.

კარიერის ადრეულ ეტაპზე შეიძლება, ვერ მოახერხოთ მანამდე განხორციელებული კვლევების თავდაჯერებულად მიმოხილვა, ვინაიდან, სავარაუდოდ, არ გეცოდინებათ მათი უმეტესობა. თუ ასეა, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მკითხველი იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც თქვენ იყავით კვლევის დაწყებამდე. რა არ იცოდით

მაშინ? რა შეგეშალათ მაშინ, რაც კვლევით გამოასწორეთ? როგორ გააუმჯობესა კვლევამ თქვენი მცდარი წარმოდგენა? აქ შეგიძლიათ იმ სამუშაო ჰიპოთეზის გამოყენება, რომელიც უარყავით: შეიძლება ჩანდა, რომ X ასეა, თუმცა,... (იხ., აგრეთვე, 4.1.2).

10.1.2 ხელახლა წარადგინეთ შეკითხვა, როგორც საკითხი, რომელიც არ არის ცნობილი ან კარგად შესწავლილი

შესავალი კონტექსტის შემუშავების შემდეგ აღნიშნეთ, მანამდე განხორციელებულ კვლევაში რა არ გაკეთებულა ან რატომ არის ის არასრულყოფილი, ან, თუნდაც, მცდარი. წარმოადგინეთ ეს დაზუსტება ან უარყოფა შემდეგი სიტყვებით: თუმცა, მიუხედავად ამისა, ან რომელიმე სხვა ტერმინით, რომელიც მიანიშნებს, რომ თქვენ შეცვლით მიღებულ ცოდნას და შესწავლის შედეგს, რომელიც ახლახანს გამოიკვლიეთ:

მას შემდეგ, რაც გილორამო კარდანომ.... მათემატიკური კუთხით. კონტექსტი. თუმცა, რისკის შესახებ ინფორმაციის გადამცემმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ რიგითი ადამიანები რისკს აფასებენ ირაციონალურად და მათ მიერ რისკის შეფასება არ უკავშირდება სტატისტიკურად რეალურ ალბათობებს. გაურკვეველია, ასეთ არასპეციალისტთა მიერ რისკის შეფასება შემთხვევით გამოცნობას ეფუძნება, თუ გეგმაზომიერი მახასიათებლები აქვს. შეკითხვა ხელახლა არის ჩამოყალიბებული.

10.1.3 წარმოადგინეთ თქვენი შეკითხვის მნიშვნელოვნება

ახლა მკითხველს უნდა დაანახოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი კვლევის შეკითხვაზე პასუხის გაცემა. წარმოიდგინეთ, რომ მკითხველი სვამს ყველაზე გამაღიზიანებელ შეკითხვას – მერე რა? შემდეგ პასუხი გაეცით ამ შეკითხვას. პასუხი ისე უნდა ჩამოაყალიბოთ, რომ თვალსაჩინო იყოს, რა უარყოფითი შედეგები ექნებოდა კვლევის შეკითხვაზე პასუხის არქონას:

მას შემდეგ, რაც გილორამო კარდანომ... მათემატიკური კუთხით. კონტექსტი თუმცა, რისკის შესახებ ინფორმაციის გადამცემმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ... გაურკვეველია, ასეთ არასპეციალისტთა მიერ რისკის შეფასება შემთხვევით გამოცნობას ეფუძნება, თუ გეგმაზომიერი მახასიათებლები აქვს. შეკითხვა ხელახლა არის ჩამოყალიბებული. (მერე რა?) ვიდრე არ გავიგებთ, არასპეციალისტები რისკს როგორ აფასებენ, ადამიანის მსჯელობის მნიშვნელოვანი ასპექტი ამოუცნობი დარჩება: შემეცნებითი პროცესის სახეობა, რომელიც გეგმაზომიერი ჩანს, თუმცა, მდებარეობს იმ ზღვარს გარეთ, რასაც ეწოდება „რაციონალური აზროვნება". მნიშვნელოვნება

შეგიძლიათ, პირიქით, ხაზი გაუსვათ კვლევის შეკითხვაზე პასუხის მოპოვების მნიშვნელოვნებას:

მას შემდეგ, რაც გილორამო კარდანომ... მათემატიკური კუთხით. კონტექსტი თუმცა, რისკის შესახებ ინფორმაციის გადამცემმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ... გაურკვეველია, ასეთ არასპეციალისტთა მიერ რისკის შეფასება შემთხვევით გამოცნობას ეფუძნება თუ გეგმაზომიერი მახასიათებლები აქვს. შეკითხვა ხელახლა არის ჩამოყალიბებული. (მერე რა?) ჩვენ რომ გავიგოთ, როგორ იღებენ ჩვეულებრივი ადამიანები რისკების შესახებ გადაწყვეტილებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შევძლებდით, უკეთ ჩავწვდომოდით შემეცნებით პროცესს, რომელიც ჩანს გეგმაზომიერი, თუმცა, მდებარეობს იმ ზღვარს გარეთ, რასაც ეწოდება „რაციონალური აზროვნება" მნიშვნელოვნება

შესაძლოა, გაგიჭირდეთ პასუხის გაცემა შეკითხვაზე მერე რა? ეს ის პრობლემაა, რომელსაც მხოლოდ გამოცდილების შედეგად გადაჭრით. თუმცა, მან შესაძლოა, გამოცდილი მკვლევრებიც კი გაადიზიანოს.

10.1.4 წარმოადგინეთ დებულება

მას შემდეგ, რაც განაცხადებთ ისეთ რამეს, რაც არ არის ცნობილი ან შესწავლილი და იმას, თუ რატომ უნდა მოხდეს მისი შესწავლა, საჭირო იქნება, მკითხველს წარმოუდგინოთ დებულება, პასუხი კვლევის შეკითხვაზე (მომდევნო აბზაცი საგრძნობლად არის შემოკლებული):

მას შემდეგ, რაც გილორამო კარდანომ... მათემატიკური კუთხით. კონტექსტი თუმცა, რისკის შესახებ ინფორმაციის გადამცემმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ რიგითი ადამიანები რისკს აღიქვამენ გეგმაზომიერი, თუმცა, ირაციონალური და სტატისტიკურად რეალურ ალბათობებთან კავშირის არმქონე გზებით... შეკითხვა (მერე რა?) ვიდრე არ გავარკვევთ, არასპეციალისტები როგორ აღიქვამენ რისკს, ამოუცნობი დარჩება ადამიანის მსჯელობის მნიშვნელოვანი სახე: შემეცნებითი პროცესი, რომელიც ჩანს გეგმაზომიერი, თუმცა, მდებარეობს იმ ზღვარს გარეთ, რასაც ეწოდება „რაციონალური აზროვნება" მნიშვნელოვნება როგორც ჩანს, არასპეციალისტები რისკს აფასებენ არა შესაძლო მოვლენებისთვის რაოდენობრივი ალბათობების მინიჭებით, არამედ ყველაზე ცუდი ვარიანტების ვიზუალიზაციით, შემდეგ რისკს ანიჭებენ დონეებს იმის მიხედვით, თუ რამდენად მკაფიო და საშიშია წარმოსახული სურათი. დებულება

თუ გაქვთ საფუძველი, რომ დებულება ნაშრომის ბოლომდე არ წარმოადგინოთ, შესავლის ბოლოს დაწერეთ დასკვნითი წინადადება, სადაც გამოყენებული იქნება ძირითადი ტერმინები აღნიშნული დებულებიდან და რომელიც მიუთითებს შემდგომ ნაწილებზე:

როგორც ჩანს, არასპეციალისტები რისკს აფასებენ არა რაოდენობრივი ალბათობების მინიჭებით, არამედ ვიზუალური წარმოსახვის თვისებების სისტემატურად გამოყენებით. მკითხველი ხედავს, რომ დებულება მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი

ეს ოთხი საფეხური შესაძლოა, მექანიკურად მოგეჩვენოთ. თუმცა, ნებისმიერ სფეროში ისინი წარმოადგენს შესავალს კვლევითი ნაშრომების უდიდესი ნაწილისთვის, როგორც სამეცნიერო სამყაროში, ისე მის გარეთ. როდესაც წყაროებს გაეცნობით, განსაკუთრებით, საჟურნალო სტატიებს, ყურადღებით დააკვირდით ამ ოთხნაწილიან ჩარჩოს. თქვენ არა მხოლოდ ისწავლით შესავლების წერის მთელ რიგ სტრატეგიებს, არამედ უკეთ გაიგებთ იმ მოხსენებებს, რომლებსაც კითხულობთ.

10.1.5 შექმენით ახალი პირველი წინადადების სამუშაო ვარიანტი

ზოგიერთ ავტორს ისე უჭირს ნაშრომის პირველი წინადადების დაწერა, რომ კლიშეებს მიმართავს ხოლმე. მოერიდეთ შემდეგი სახის კლიშეებს:

- ნუ გაიმეორებთ დავალებაში მოცემულ სიტყვას
- ნუ მოიყვანთ ციტატას ლექსიკონიდან: ვებსტერში რისკი განმარტებულია, როგორც ...
- გადაჭარბებით ნუ შეაფასებთ მნიშვნელოვნებას: საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსები დავობენ ... მწვავე საკითხზე... (კარგი შეკითხვები თავად მეტყველებს მნიშვნელოვნებაზე)

თუ გსურთ დაიწყოთ რამე უფრო სახალისო საკითხით, ვიდრე მანამდე განხორციელებული კვლევაა, სცადეთ ქვემოთ მოცემული საწყისი წინადადებიდან ერთ-ერთის (თუმცა, გაითვალისწინეთ გაფრთხილება, რომელიც მათ მოსდევს) გამოყენება:

1. შთამბეჭდავი ციტატა:

ნათქვამია, რომ რისკის გამოთვლა სილამაზის შეფასებას ჰგავს: ამას ირაციონალური მაყურებლის თვალი წყვეტს.

2. შთამბეჭდავი ფაქტი:

მრავალ ადამიანს მანქანით მგზავრობა ურჩევნია თვითმფრინავით მგზავრობას, ვინაიდან ავიაკატასტროფის მკაფიო სურათი მათში შიშს აღძრავს მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით დიდია ტრასაზე მანქანით მგზავრობისას დაღუპვის ალბათობა, ვიდრე ავიაკატასტროფის შედეგად.

3. შესაბამისი მაგალითი:

ჯორჯ მილერი კლიენტებთან შესახვედრად შორ მანძილებზე ყოველთვის მანქანით მიემგზავრებოდა, რადგან სჯეროდა, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის რისკი ძალიან დიდი იყო. მაშინაც კი, როდესაც ავტოკატასტროფის შედეგად ხერხემალი დაიზიანა, მაინც თვლიდა, რომ სწორი გათვლა გააკეთა. „ყოველ შემთხვევაში, გადავრჩი. თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემთხვევში გადარჩენის შანსები ნულს უდრის!"

შეგიძლიათ შეაჯამოთ სამივე:

ნათქვამია, რომ რისკის გამოთვლა სილამაზის შეფასებას ჰგავს: მასზე ირაციონალური მაყურებელი მსჯელობს. მრავალ ადამიანს მანქანით მგზავრობა ურჩევნია თვითმფრინავით მგზავრობას, ვინაიდან ავიაკატასტროფის მკაფიო სურათი მათში შიშს აღძრავს, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით დიდია ტრასაზე მანქანით მგზავრობისას დაღუპვის ალბათობა, ვიდრე ავიაკატასტროფის შედეგად. ჯორჯ მილერი კლიენტებთან შესახვედრად შორ მანძილებზე ყოველთვის მანქანით მიემგზავრებოდა, რადგან სჯეროდა, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის რისკი ძალიან დიდი იყო. მაშინაც კი, როდესაც ავტოკატასტროფის შედეგად ხერხემალი დაიზიანა, მაინც თვლიდა, რომ სწორი გათვლა გააკეთა. „ყოველ შემთხვევაში, გადავრჩი. თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემთხვევაში გადარჩენის შანსები ნულს უდრის!" მრავალ ადამიანს მანქანით მგზავრობა ურჩევნია თვითმფრინავით მგზავრობას, ვინაიდან ავიაკატასტროფის მკაფიო სურათი მათში შიშს აღძრავს, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით დიდია ტრასაზე მანქანით მგზავრობისას დაღუპვის ალბათობა, ვიდრე ავიაკატასტროფის შედეგად.

აუცილებლად გამოიყენეთ ტერმინები, რომლებიც შეეხება ძირითად ცნებებს და რომლებსაც გამოიყენებთ შესავლის დანარჩენ ნაწილში (ნაშრომის დანარჩენ ნაწილშიც). ამ შემთხვევაში ასეთი ტერმინებია: გამოთვლა, რისკი, მკაფიო სურათი, ირაციონალური, უფრო მოსალოდნელი.

ახლა კი გაფრთხილება: ვიდრე სახალისო შესავალს დაწერთ, აუცილებლად გადაამოწმეთ, თუ იყენებენ თქვენს სფეროში ასეთი სახის შესავლებს. ზოგიერთ სფეროში ისინი მიიჩნევა ზედმეტად ჟურნალისტურად და სერიოზული მეცნიერებისთვის შეუფერებლად.

## 10.2 შექმენით დასკვნის საბოლოო სამუშაო ვარიანტი

თუ უკეთესი გეგმა არ გაქვთ, დასკვნა ააგეთ შესავლის ელემენტებზე, საპირისპირო წყობით.

10.2.1 ხელახლა წარმოადგინეთ დებულება
ხელახლა წარმოადგინეთ დებულება დასკვნის დასაწყისშივე, უფრო სრულად, ვიდრე შესავალშია:

რიგითი ადამიანები რისკთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ არა რაციონალურ ან რაოდენობრივ საფუძველზე, არამედ, სულ მცირე, ექვსი ფსიქოლოგიური ფაქტორის საფუძველზე, რომლებიც არა მხოლოდ მოიცავს ემოციას, არამედ სისტემატურად იყენებს ვიზუალური წარმოსახვის ძალას.

ამ ეტაპზე თქვენ, სავარაუდოდ, ზუსტად იცით, რა არის თქვენი დებულება. თუმცა, მაინც, გამოიყენეთ ბოლო შანსი, რომ ხელახლა, მაქსიმალურად კონკრეტულად და სრულად ჩამოაყალიბოთ ის.

10.2. აღნიშნეთ ახალი მნიშვნელოვნება, პრაქტიკული გამოყენება ან ახალი კვლევა (სამივესთვის)

დებულების წარმოდგენის შემდეგ შეახსენეთ მკითხველს მისი მნიშვნელოვნება. უმჯობესია, თუ წარმოადგენთ დებულების ახალ მნიშვნელოვნებას ან პრაქტიკულ გამოყენებას:

ეს შედეგები მიანიშნებს ადამიანის შემეცნების მანამდე უცნობ ასპექტზე – ესაა გამოთვლითი ლოგიკა, რომელიც დამოუკიდებელია სტატისტიკური ალბათობებისგან და მოიცავს სიზუსტის დონეებს ან რეალიზმს ვიზუალიზაციაში. მას შემდეგ, რაც გავიგებთ რისკის ამ წარმოსახვით, მაგრამ გეგმაზომიერ შეფასებას, რისკის შესახებ ინფორმაციის გადამცემმა პირებმა უნდა შეძლონ ახსნან, როგორ მიიღება გადაწყვეტილება რისკის შესახებ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დაბოლოს, შესთავაზეთ შემდგომი კვლევა. ეს ჟესტი მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მკვლევრებს გააგრძელონ ამ საკითხზე მსჯელობა. მასში ასახულია შესავლის კონტექსტი:

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები აუმჯობესებს ჩვენს ცოდნას რისკის შესახებ, ისინი არ ამოწურავს რისკის შეფასების „ადამიანურ" ფაქტორებს. ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, აგრეთვე, ასაკის, სქესის, განათლების და გონებრივი შესაძლებლობების ფაქტორების მოქმედება. მაგალითად,...

## 10.3 სათური დაწერეთ ბოლოს

პირველი, რასაც მკითხველი წაიკითხავს სათაურია; ის ყველაზე ბოლოს უნდა დაწეროთ. მასში უნდა აისახოს ნაშრომის თემა და კონცეპტუალური ჩარჩო, ამდენად, ააგეთ ის ძირითადი ტერმინებიდან, რომლებიც მანამდე შემოხაზეთ და ხაზი გაუსვით (გადახედეთ 9.2). შეადარეთ ეს სამი სათაური

რისკი

რისკის შეფასება

ირაციონალური, თუმცა გეგმაზომიერი რისკის შეფასება: ვიზუალური წარმოსახვის როლი ფარდობითი რისკის გამოთვლაში

პირველი სათაური არის ზუსტი, თუმცა, ძალიან ზოგადი იმისთვის, რომ მოგვცეს ინფორმაცია, რის შესახებ არის ნაშრომი. მეორე არის შედარებით კონკრეტული, მესამეში კი გამოყენებულია როგორც სათაური, ისე ქვესათაური; შესაბამისად, მკითხველი წინასწარ იგებს, რა საკვანძო სიტყვები გამოჩნდება ნაშრომში. როდესაც მკითხველი ხედავს, რომ სათაურში მოცემული ძირითადი სიტყვები კვლავ მეორდება შესავალში და შემდეგ ნაშრომში, უფრო მოსალოდნელია, იგრძნონ, რომ ნაშრომის ნაწილები ურთიერთდაკავშირებულია. ორი ნაწილისგან შემდგარი სათაურები ყველაზე გამოსადეგია: ისინი გაძლევთ კარგ შესაძლებლობას, გამოიყენოთ ძირითადი სიტყვები ძირითადი ცნებების წარმოსადგენად.

ამ ეტაპზე შეიძლება, ისე დაიღალეთ მოხსენებაზე მუშაობით, რომ არაფერი გსურთ, გარდა იმისა, რომ დროულად დაასრულოთ ის. ცოტაც მოითმინეთ; წინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გაქვთ.

## 11 წინადადებების დამუშავება

11.1 განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ წინადადების პირველ შვიდ ან რვა სიტყვას

11.1.1 მოერიდეთ გრძელი შესავალი ფრაზების და წინადადებების გამოყენებას

11.1.2 ქვემდებარე უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული

11.1.3 მოერიდეთ ქვემდებარესა და ზმნას შორის ერთ ან ორ სიტყვაზე მეტის ჩართვას

11.1.4 ძირითადი მოქმედებები გამოხატეთ ზმნებით და არა სახელზმნებით

11.1.5 მკითხველისთვის ნაცნობი ინფორმაცია ჩართეთ წინადადების დასაწყისში, ახალი ინფორმაცია კი – ბოლოში

11.1.6 შეარჩიეთ ზმნები მოქმედებით ან ვნებით გვარში მანამდე მოხსენიებული პრინციპების ასახვის მიზნით

11.1.7 სათანადოდ გამოიყენეთ პირველი პირის ნაცვალსახელი

11.2 გააანალიზეთ წაკითხული მასალა

11.3 შეარჩიეთ სწორი სიტყვა

11.4 გააშალაშინეთ

11.5 დაასრულეთ და ამობეჭდეთ

ბოლო დიდი ამოცანა, რომელიც თქვენს წინაშე დგას – ესაა წინადადებების მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოყალიბება, იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას თქვენი იდეები გაძლევთ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება, იცოდეთ, რომ ნაწერი დახვეწას მოითხოვს, განსაკუთრებით, თუ პრეტენზიულ მკითხველს უცნობ და კომპლექსურ თემას აცნობთ. შეიძლება, იფიქროთ, რომ საერთოდ დაგავიწყდათ გარკვევით წერა. იმ წინადადებების დასამუშავებლად, რომლებიც, თქვენი აზრით, ამას საჭიროებს, გეგმა დაგჭირდებათ; გარდა ამისა, უნდა გამონახოთ გზა, რომ, პირველ რიგში, განსაზღვროთ ის წინადადებები, რომლებიც თქვენ მოგწონთ, მაგრამ შესაძლოა, მკითხველს არ მოეწონოს.

ვერ გირჩევთ, როგორ გამოასწოროთ თითოეული პრობლემა ყოველ წინადადებაში, მაგრამ შეგვიძლია, გირჩიოთ, როგორ გადაჭრათ ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ყველაზე ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ავტორი, რომელიც ცდილობს, დატოვოს „სერიოზული მკვლევრის" შთაბეჭდილება; ეს ის სტილია, რომელსაც გამოცდილი მკითხველების უმრავლესობა ხელოვნურად მიიჩნევს. აი, მოკლე მაგალითი:

1ა. ტერორისტების აზროვნების შესწავლის შედეგად შესაძლებელი იქნება საზოგადოების დაცვის გაუმჯობესება.

რაც არ უნდა შთამბეჭდავად ჟღერდეს, სტუდენტი, რომელმაც ეს დაწერა, მხოლოდ შემდეგს გულისხმობდა:

1ბ. თუ გავიგებთ, როგორ აზროვნებენ ტერორისტები, შევძლებთ საზოგადოების უკეთ დაცვას.

თუმცა, (1ა)-ს ხარვეზები რომ აღმოაჩინოთ და ის (1ბ)-დ გარდაქმნათ, უნდა იცოდეთ რამდენიმე გრამატიკული ტერმინი: არსებითი სახელი, ზმნა მოქმედებით გვარში, ზმნა ვნებით გვარში, შედგენილი ქვემდებარე, მარტივი ქვემდებარე, მთავარი წინადადება, დამოკიდებული წინადადება. თუ ისინი ბუნდოვნად გახსოვთ, დაწყებამდე თვალი გადაავლეთ გრამატიკის სახელმძღვანელოს.

## 11.1 გააკეთეთ აქცენტი წინადადების პირველ შვიდ ან რვა სიტყვაზე

ისე, როგორც გარკვევით დაწერილ ნაშრომში, ნაწილში ან აბზაცში თხზულების არსი პირველ რამდენიმე წინადადებაშია წარმოდგენილი, მკაფიოდ დაწერილი წინადადების არსსაც მისი პირველი რამდენიმე სიტყვა გამოხატავს. როდესაც მკითხველი იოლად აღიქვამს პირველ შვიდ ან რვა სიტყვას, უფრო სწრაფად წაიკითხავს დარჩენილ ტექსტს, უკეთ გაიგებს და დიდხანს დაამახსოვრდება. ამ ორ წინადადებას შორის არის განსხვავება:

2ა. ფედერალისტების არგუმენტი სახალხო დემოკრატიის მიერ მთავრობის დესტაბილიზაციის შესახებ აღმოცენდა მათი რწმენიდან, რომ ფრაქციები საკუთარი ინტერესების გატარებას საზოგადოებრივი სიკეთის ხარჯზე ახდენდნენ.

2ბ. ფედერალისტები აცხადებდნენ, რომ სახალხო დემოკრატია ახდენდა მთავრობის დესტაბილიზაციას, ვინაიდან მათ სჯეროდათ, რომ ფრაქციები საკუთარ ინტერესებს საზოგადოებრივი სიკეთის ხარჯზე ატარებდნენ.

(2ბ)-ის მსგავსი წინადადების დასაწერად ან (2ა)-ის შესაცვლელად და (2ბ)-დ გარდასაქმნელად, გაითვალისწინეთ შემდეგი შვიდი პრინციპი:

- ეცადეთ, შესავალში მხოლოდ რამდენიმე გრძელი ფრაზა და წინადადება გამოიყენოთ; წინადადების ქვემდებარეზე სწრაფად გადადით.
- ქვემდებარე უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული, საუკეთესო შემთხვევაში უნდა დაასახელოთ პირი, რომელიც ახორციელებს მოქმედებას, რომელიც გამოხატულია ზმნით, რომელიც მას მოსდევს.
- მოერიდეთ ქვემდებარეს და ზმნას შორის ერთ ან ორ სიტყვაზე მეტის ჩართვას.
- ძირითადი მოქმედებები გამოხატეთ ზმნებით და არა სახელზმნებით.
- მკითხველისთვის ნაცნობი ინფორმაცია ჩასვით წინადადების დასაწყისში, ახალი ინფორმაცია – ბოლოსკენ.
- აარჩიეთ ზმნები მოქმედებით ან ვნებით გვარში მანამდე მოხსენიებული პრინციპების ასასახავად.
- სათანადოდ გამოიყენეთ პირველი პირის ნაცვალსახელი.

ეს პრინციპები ნიშნავს შემდეგს: მკითველს სურს, სწრაფად და იოლად გადავიდეს მოკლე, კონკრეტული, ნაცნობი ქვემდებარიდან ზმნაზე, რომელიც გამოხატავს კონკრეტულ მოქმედებას. ამას თუ უზრუნველყოფთ, წინადადების დანარჩენი ნაწილი, ჩვეულებრივ, თავისთავად აეწყობა. საკუთარი ნაწერი რომ შეაფასოთ, მოძებნეთ ნაწერში ეს მახასიათებლები. გადაავლეთ თვალი თითოეული წინადადების შვიდ ან რვა სიტყვას. დაკვირვებით შეამოწმეთ

წინადადებები, რომლებიც არ შეესაბამება ამ კრიტერიუმებს, შემდეგ გადაამუშავეთ ისინი შემდეგნაირად:

11.1.1 მოერიდეთ გრძელი შესავალი ფრაზების და წინადადებების გამოყენებას

შეადარეთ ეს ორი წინადადება (შესავალი ფრაზები მსხვილი შრიფტით არის გამოყოფილი; შედგენილი ქვემდებარეები გამოყოფილია დახრილი შრიფტით):

3ა. უმაღლესი განათლების მკვლევრები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მიერ სპეციალობის სულ მცირე ერთხელ მაინც შეცვლასთან დაკავშირებით აცხადებენ, *რომ პირველკურსელმა სტუდენტებმა, სავარაუდოდ,* კარგად არ იციან, რა აირჩიონ ძირითად სპეციალობად.

3ბ. *უმაღლესი განათლების მკვლევრები* ამტკიცებენ, რომ *სტუდენტების უმრავლესობა* ერთხელ მაინც იცვლის ძირითად სპეციალობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას. თუ ასეა, მაშინ, როგორც ჩანს, *პირველკურსელები* ძირითად სპეციალობას არასრულყოფილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირჩევენ.

მკითხველების უმრავლესობას მიაჩნია, რომ (3ა) უფრო რთული წასაკითხია, ვიდრე (3ბ), ვინაიდან მასში უწევთ თხუთმეტი სიტყვისგან შემდგარი ფრაზის წაკითხვა, ვიდრე ქვემდებარემდე (პირველკურსელები) მიაღწევენ. (3ბ)-ში ორი წინადადების მეშვეობით მკითხველი კითხვას იწყებს ქვემდებარით – *მკვლევრები* ან გადავლენ ქვემდებარეზე ძალიან მოკლე ფრაზის შემდეგ – *თუ ასეა.*

აქ მოქმედებს შემდეგი პრინციპი: წინადადებების უმრავლესობა დაიწყეთ პირდაპირ ქვემდებარით. დაახლოებით, ათზე მეტი სიტყვისგან შემდგარი შესავალი ფრაზებით დაიწყეთ მხოლოდ რამდენიმე წინადადება. ჩვეულებრივ, შეგიძლიათ, გადაამუშაოთ გრძელი შესავალი ფრაზები და დამოკიდებული წინადადებები და აქციოთ ისინი დამოუკიდებელ წინადადებებად, როგორც (3ბ)-შია ნაჩვენები.

11.1.2 ქვემდებარეები მოკლე და კონკრეტული უნდა იყოს

მკითხველმა მარტივად უნდა აღიქვას წინადადების ქვემდებარე, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს, თუ ქვემდებარე არის შედგენილი, კომპლექსური და აბსტრაქტული. შეადარეთ ეს ორი წინადადება (შედგენილი ქვემდებარეები თითოეულ მათგანში გამოყოფილია დახრილი შრიფტით; ერთსიტყვიანი მარტივი ქვემდებარე გამოყოფილია მსხვილი შრიფტით):

4ა. *სასკოლო სისტემის მიერ დაწყებითი სკოლისთვის კითხვის ახალი სასწავლო გეგმის წარმატებით* დანერგვა დამოკიდებულია თითოეულ სკოლაში დირექტორის დაინტერესების დემონსტრირებაზე და, გონივრული მიზნების დასახვის მხრივ, მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობაზე.

4ბ. სასკოლო სისტემა წარმატებით დანერგავს კითხვის ახალ სასწავლო გეგმას დაწყებითი სკოლებისთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული დირექტორი წარმოაჩენს, რომ ის დაინტერესებულია ამით, ხოლო მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ გონივრული მიზნების დასახვაზე.

(4ა)-ში შედგენილი ქვემდებარე თერთმეტი სიტყვისგან შედგება, მარტივი ქვემდებარე კი აბსტრაქციაა – დანერგვა. (4ბ)-ში, რომელიც უფრო მკაფიო ვარიანტია, თითოეული შედგენილი ქვემდებარე მოკლეა და თითოეული მარტივი ქვემდებარეც მეტ-ნაკლებად კონკრეტულია: სასკოლო სისტემა, თითოეული დირექტორი, ის, მასწავლებლები. ამას გარდა, თითოეული ქვემდებარე მოქმედებას ახორციელებს ზმნით: სისტემა დანერგავს, დირექტორი წარმოაჩენს, ის დაინტერესებულია, მასწავლებლები თანამშრომლობენ.

პრინციპი შემდეგია: მკითხველი, ჩვეულებრივ, წინადადებას ადვილად აღიქვამს, თუ ქვემდებარეს მთავარი ფიგურა მოცემულია რამდენიმე კონკრეტული სიტყვით, იდეალურ ვარიანტში ესაა პირი, რომელიც, იმავდროულად, არის იმ ზმნით გამოხატული ქმედების „მოქმედი", რომელიც ქვემდებარეს მოსდევს.

თუმცა, საქმე ასე მარტივად არ არის: ხშირად შესაძლებელია მკაფიო ისტორიების მოყოლა აბსტრაქტულ ფიგურებზე;

5. პროფესიულ საქმიანობაში არცერთი უნარი არ ფასობს ისე, როგორც პრობლემების გადაჭრის უნარი. პრობლემების სწრაფად გადაჭრისთვის ჩვენ სხვადასხვა კუთხით უნდა განვიხილოთ სიტუაცია და უნდა ვიპოვოთ ერთზე მეტი გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, პრობლემების ეფექტიანმა გადაჭრამ შეიძლება, წარმოაჩინოს ზოგადი ინტელექტუალური შესაძლებლობები.

მკითხველთა მცირე ნაწილს თუ გაუჭირდება ამ აბსტრაქტული ქვემდებარეების გაგება, ვინაიდან ისინი არის მოკლე და ნაცნობი: არც ერთი უნარი, პრობლემების სწრაფად გადაჭრის უნარი და პრობლემების ეფექტიანად გადაჭრა. მკითხველი იბნევა გრძელი და უცნობი აბსტრაქტული ქვემდებარის წაკითხვისას.

გრძელი, აბსტრაქტული ქვემდებარეების შემცველი წინადადებება სამ საფეხურად შეასწორეთ:

- წინადადებაში გამოავლინეთ მთავარი ფიგურა.
- იპოვეთ მისი ძირითადი მოქმედება და თუ ის აბსტრაქტული არსებითი სახელითაა გამოხატურლი, აქციეთ ზმნად.
- მთავარი ფიგურა აქციეთ ამ ახალი ზმნის ქვემდებარედ.

მაგალითად, შეადარეთ (6ა) და (6ბ) (მოქმედებები გამოყოფილია მსხვილი შრიფტით; ზმნები გამოყოფილია დახრილი შრიფტით).

6ა. დასაქმების მეტი შესაძლებლობის შექმნის თვალსაზრისით, სოციალურ კლასს და განათლებას შორის ურთიერთკავშირის გაანალიზების გარეშე, სრულყოფილად ვერ *შევისწავლით* ეკონომიკურ მობილურობას.

6ბ. ეკონომისტებს სრულყოფილად არ *აქვთ შესწავლილი* ეკონომიკური მობილურობა, ვინაიდან ისინი ვერ *აანალიზებენ*, როგორ *ურთიერთქმედებს* სოციალური კლასი და განათლება, რომ *შექმნას* დასაქმების მეტი შესაძლებლობა.

ორივე წინადადებაში მთავარი ფიგურა არის ეკონომისტები, მაგრამ (6ა)-ში, ეს ფიგურა არ არის რომელიმე ზმნის ქვემდებარე; ის წინადადებაში საერთოდაც არ არის: ჩვენ ის უნდა დავასკვნათ იმ მოქმედებებიდან, რომლებიც ჩამალულია არსებით სახელებში: ანალიზი და შესწავლა (რას აკეთებენ ეკონომისტები). ჩვენ შევცვლით (6ა)-ს და ჩამოვაყალიბებთ (6ბ)-ს სახით, გადავაქცევთ რა მთავარ ფიგურებს, ეკონომისტებს, სოციალურ კლასს და განათლებას მკაფიო ზმნების - - შესწავლა, ანალიზი, ურთიერთქმედება და შექმნა -- ქვემდებარეებად.

მკითხველისთვის სასურველია, რომ ქვემდებარეები წარმოადგენდნენ მთავარ ფიგურებს თხზულებაში. საუკეთესო შემთხვევაში ისინი უნდა იყოს რეალური ფიგურები, ხოლო კონკრეტული ზმნებით კი მთავარი მოქმედებები უნდა გამოიხატოს.

11.1.3 მოერიდეთ ქვემდებარეს და ზმნას შორის ერთ ან ორ სიტყვაზე მეტის ჩართვას

მას შემდეგ, რაც მოკლე ქვემდებარეს წაიკითხავს, მკითხველს ურჩევნია, სწრაფად გადავიდეს ზმნაზე, ამდენად, მოერიდეთ ზმნის ქვემდებარისგან გამოყოფას გრძელი ფრაზებით და წინადადებებით:

7ა. ზოგიერთ ეკონომისტს, იმის გამო, რომ წერენ უპიროვნო და ობიექტური სტილით, იოლად არ გამოსდის რიგით ადამიანებთან კომუნიკაცია.

(7ა)-ში, იმის გამო, რომ ქვემდებარე – ზოგიერთი ეკონომისტი – გამოყოფილია ზმნისგან – არ გამოსდის – იძულებულნი ვართ, შევაჩეროთ აზროვნების ნაკადი. წინადადების შესაცვლელად გადაიტანეთ წინადადება, რომელიც აზრის გაწყვეტას იწვევს, წინადადების დასაწყისში ან ბოლოში, გამომდინარე იქიდან, ეს წინადადება უფრო მჭიდროდ წინას უკავშირდება თუ მომდევნოს. როცა

დარწმუნებული არ ხართ, ჩასვით ბოლოს (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. 11.1.5).

7ბ. იმის გამო, რომ ზოგიერთი ეკონომისტი წერს უპიროვნო და ობიექტური სტილით, მათ იოლად არ გამოსდით კომუნიკაცია რიგით ადამიანებთან. ეს ფაქტორი...

7გ. ზოგიერთ ეკონომისტს იოლად არ გამოსდის კომუნიკაცია რიგით ადამიანებთან, ვინაიდან ისინი წერენ უპიროვნო და ობიექტური სტილით. ისინი იყენებენ ზმნებს ვნებით გვარში და..

მკითხველისთვის ნაკლებ უხერხულობას ქმნის მოკლე ჩართული ფრაზები:

8. ზოგიერთი ეკონომისტი *განგებ* წერს უპიროვნო და ობიექტურ სტილში.

11.1.4 ძირითადი მოქმედებები გამოხატეთ ზმნებით და არა სახელზმნით

მკითხველს სწრაფად სურს ზმნაზე გადასვლა. თუმცა, ამავდროულად, უნდა, რომ ზმნა გამოხატავდეს ძირითად მოქმედებას. ამდენად, მოერიდეთ დამხმარე ზმნების: *აქვს, აკეთებს, ქმნის* ან *არის* გამოყენებას ისეთი მოქმედების გამოსახატავად, რომელიც აბსტრაქტულ სახელზმნაშია ჩამალული. სახელზმნა გარდაქმენით ზმნად.

შეადარეთ ეს ორი წინადადება (მოქმედებების გამომხატველი არსებითი სახელები/სახელზმნები გამოყოფილია მსხვილი შრიფტით; მოქმედებების გამომხატველი ზმნები – ასომთავრულით; დამხმარე ზმნები გამოყოფილია დახრილი შრიფტით):

9ა. სამოქალაქო ომის ადრეულ წლებში სამხრეთის მცდელობა, დიდი ბრიტანეთის გადაბირებისა წარუმატებელი *იყო.*

9ბ. სამოქალაქო ომის პირველ წლებში სამხრეთმა *სცადა, გადაებირებინა* დიდი ბრიტანეთი, მაგრამ მარცხი განიცადა.

(9ა)-ში სამი მნიშვნელოვანი მოქმედება ზმნა კი არ არის, არამედ სახელზმნები და ზედსართავი: მცდელობა, გადაბირება, წარუმატებელი. (9ბ) კი უფრო პირდაპირ გამოხატავს აზრს, რადგან ის მოქმედებებს ზმნებით აღწერს, *სცადა, გადაებირებინა, განიცადა.*

### 11.1.5 მკითხველისთვის ნაცნობი ინფორმაცია ჩასვით წინადადების დასაწყისში, ახალი ინფორმაცია – ბოლოში

მკითხველი წინადადებას ყველაზე უკეთ იგებს მაშინ, როდესაც ადვილად შეუძლია ქვემდებარის აღქმა, ხოლო უმარტივესად აღსაქმელი ქვემდებარე უბრალოდ მოკლე და კონკრეტული კი არ არის, არამედ ნაცნობიც. ქვემოთ წარმოდგენილ თითოეულ ნაწყვეტში შეადარეთ მეორე წინადადება როგორ უწყობს ან არ უწყობს ხელს „დინების" შეგრძნებას:

10ა. მეცნიერებმა, რომლებიც კოსმოსში არსებულ შავ ხვრელებს იკვლევენ, წამოჭრეს ახალი საკითხები კოსმოსის შესახებ. მკვდარი ვარსკვლავის ჩავარდნა ისეთ მცირე წერტილში, რომელიც, ალბათ, მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ არის, ქმნის შავ ხვრელს. მსგავსი დიდი ზომის საგნის ასეთ მცირე მოცულობაში გავლის შედეგად, კოსმოსის სტრუქტურა უცნაურად იცვლება.

10ბ. მეცნიერებმა, რომლებიც იკვლევენ შავ ხვრელებს კოსმოსში, წამოჭრეს ახალი საკითხები კოსმოსის შესახებ. შავი ხვრელი იქმნება მკვდარი ვარსკვლავის ისეთ მცირე წერტილში ჩავარდნით, რომელიც მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ არის. ასეთი დიდი ზომის საგნის ასეთ მცირე მოცულობაში გავლის შედეგად, კოსმოსის სტრუქტურა უცნაურად იცვლება.

მკითხველების უმრავლესობას მიაჩნია, რომ (10ბ) უკეთ იკითხება, ვიდრე (10ა), ნაწილობრივ, იმის გამო, რომ მეორე წინადადების ქვემდებარე – შავი ხვრელი – უფრო მოკლე და კონკრეტულია, ვიდრე ქვემდებარე (10ა)-ში: მკვდარი

ვარსკვლავის ჩავარდნა. თუმცა, (10ბ) კიდევ იმიტომ იკითხება უკეთ, რომ მისი იდეების თანმიმდევრობა განსხვავებულია.

(10ა)-ში მეორე წინადადების პირველი სიტყვები გამოხატავს ახალ ინფორმაციას: 10ა... შავი ხვრელები კოსმოსში... მკვდარი ვარკვლავის ჩავარდნა წერტილში, რომელიც ალბათ მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ იქნება, ქმნის...

თითქოს გაურკვეველია, საიდან მოდის ეს სიტყვები ვარსკვლავების ჩამოვარდნის შესახებ. თუმცა (10ბ)-ში, პირველი სიტყვები შავი ხვრელი იქმნება... ეხმაურება წინა წინადადების ბოლოს: ... შავ ხვრელებს კოსმოსში.

ამას გარდა, მას შემდეგ, რაც ამ ცვლილებას შევიტანთ, ამ მეორე წინადადების ბოლო ნაწილი უფრო ლოგიკურად თანმიმდევრულად წარმოადგენს მესამე წინადადებას:

10ბ ...მკვდარი ვარსკვლავის ჩავარდნით ისეთ მცირე წერტილში, რომელიც მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ არის. ასეთი დიდი საგნის ასეთ მცირე მოცულობაში გავლის შედეგად იცვლება....

შეადარეთ (10ა); მისი მეორე წინადადების ბოლოდან მესამე წინადადების დასაწყისზე ისე ბუნებრივად არ გადავდივართ:

10ა. მკვდარი ვარსკვლავის ჩავარდნა ისეთ მცირე წერტილში, რომელიც, ალბათ, მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ არის, ქმნის შავ ხვრელს. ასეთი დიდი საგნის მცირე მოცულობაში გავლის შედეგად კოსმოსის სტრუქტურა უცნაურად იცვლება.

სწორედ ამიტომ, მკითხველს მიაჩნია, რომ (10ა) ნაწყვეტი უფრო დანაწევრებულია, ვიდრე (10ბ): წინა წინადადების ბოლო ნაწილი ბუნებრივად არ გადადის მომდევნო წინადადების დასაწყისზე.

პრინციპი – ძველი ინფორმაცია პირველ რიგში – ნიშნავს ახალი ინფორმაციის ბოლოს ჩართვას, განსაკუთრებით, როცა საუბარია ახალ ტექნიკურ ტერმინებზე. ამდენად, ახალი ტექნიკური ტერმინის შემოტანისას მოათავსეთ ის წინადადების ბოლოში. შეადარეთ:

11ა. კალციუმის ინჰიბიტორს  შეუძლია კუნთის სპაზმების მართვა. სარკომერები – კუნთოვანი ბოჭკოების მცირე ელემენტებია, სადაც ეს პრეპარატი მოქმედებს. თითოეული სარკომერი შედგება ორი ბოჭკოსგან, რომელთაგან ერთი მსხვილია, მეორე კი წვრილი.  წვრილი ბოჭკო შეიცავს ცილებს – აქტინს და მიოზინს. აქტინის და მიოზინის ურთიერთქმედებისას გული იკუმშება.

11ბ. კუნთოვანი სპაზმების მართვა შეიძლება პრეპარატით, რომელიც ცნობილია კალციუმის ინჰიბიტორის სახელით. ის მოქმედებს სარკომერებად წოდებულ კუნთოვანი ბოჭკოების მცირე ელემენტებში. თითოეულ სარკომერს აქვს ორი ბოჭკო, ერთი მსხვილი და ერთი წვრილი. წვრილი ბოჭკო შეიცავს ორ ცილას, აქტინს და მიოზინს. აქტინის და მიოზინის ურთიერთქმედებისას გული იკუმშება.

ახალი ტექნიკური ტერმინებია *კალციუმის ინჰიბიტორი, სარკომერები, ბოჭკოები და ცილები – აქტინი და მიოზინი,* თუმცა, (11ა)-ში ისინი პირველად ჩნდება წინადადებების დასაწყისში. (11ბ)-ში კი, პირიქით, ეს ახალი ტერმინები პირველად ჩნდება წინადადებების ბოლოს. ამის შემდგომ ეს უკვე ნაცნობი ინფორმაციაა და შეიძლება მომდევნო წინადადებების დასაწყისში ჩაისვას.

წერის ყველა პრინციპზე მნიშვნელოვანი ეს უკანასკნელია: ნაცნობი ინფორმაცია ახლის წინ, ნაცნობი ინფორმაციის შემდეგ უცნობი ინფორმაცია.

11.1.6 შეარჩიეთ ზმნები მოქმედებით ან ვნებით გვარში, მანამდე მოხსენიებული პრინციპების ასახვის მიზნით

ალბათ, გახსოვთ რჩევა, რომ უნდა მოერიდოთ ზმნების ვნებით გვარში გამოყენებას – კარგი რჩევაა, რადგან ვნებითი გვარის გამოყენების გამო

იძულებული ხდებით დაწეროთ წინადადება, რომელიც ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ. მაგალითისთვის, იხილეთ მეორე წინადადება:

12ა. გლობალურ დათბობას შეიძლება, მრავალი კატასტროფული შედეგი მოჰყვეს. , შესაძლებელია, ტროპიკული დაავადებების და მავნე მწერების რაოდენობის ზრდა კანადის საზღვრის ჩრდილოეთშიც კი იქნას გამოწვეული ზმნა ვნებით გვარში კლიმატის ასეთი ცვლილებით.

მეორე წინადადება იწყება თერთმეტი სიტყვისგან შემდგარი ქვემდებარით, რომელიც გადმოსცემს ახალ ინფორმაციას: ტროპიკული დაავადებები... კანადის საზღვრის ჩრდილოეთშიც კი. ეს არის ვნებით გვარში მოცემული ზმნის – იქნას გამოწვეული - შესაბამისი ქვემდებარე; ამ ზმნას მოსდევს მოკლე, ნაცნობი ინფორმაცია წინა წინადადებიდან: კლიმატის ასეთი ცვლილებით. ეს წინადადება უფრო მკაფიო იქნებოდა ეს ზმნა მოქმედებით გვარში რომ ყოფილიყო:

12ბ. გლობალურ დათბობას შეიძლება, მრავალი კატასტროფული შედეგი მოჰყვეს. კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა, გამოიწვიოს ზმნა მოქმედებით გვარში ტროპიკული დაავადებების და მავნე მწერების მომრავლება კანადის საზღვრის ჩრდილოეთშიც კი.

ახლა ქვემდებარე ნაცნობია და ახალი ინფორმაცია უფრო გრძელი ფრაზით არის წარმოდგენილი ბოლოში. ამ შემთხვევაში მოქმედებით გვარში მოცემული ზმნის გამოყენებაა მართებული.

თუმცა, თუ არასოდეს ჩასვამთ ზმნას ვნებით გვარში, დაწერთ წინადადებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ძველი-ახლის პრინციპს. ჩვენ ვიხილეთ ამის მაგალითი
(10ა)-ში:

10ა. მეცნიერებმა, რომლებიც კოსმოსში არსებულ შავ ხვრელებს იკვლევენ, წამოჭრეს ახალი შეკითხვები კოსმოსის შესახებ. შავ ხვრელს ქმნის ზმნა მოქმედებით გვარში მკვდარი

ვარსკვლავის ისეთ მცირე ზომის წერტილში ჩამოვარდნა, რომელიც, ალბათ, მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ იქნება. ასეთი დიდი ზომის საგნის ასეთ მცირე მოცულობაში გავლის შედეგად კოსმოსის სტრუქტურა უცნაურად იცვლება.

მეორე წინადადებაში ზმნა არის მოქმედებით გვარში, თუმცა, ნაწყვეტი უკეთ იკითხება, როდესაც ზმნა ვნებით გვარშია:

10ბ. მეცნიერებმა, რომლებიც იკვლევენ შავ ხვრელებს კოსმოსში, წამოჭრეს ახალი შეკითხვები კოსმოსის შესახებ. შავი ხვრელი იქმნება ზმნა ვნებით გვარში მკვდარი ვარსკვლავის ჩავარდნით ისეთ მცირე წერტილში, რომელიც მარმარილოს ბურთულაზე მეტი ზომის არ არის. ასეთი დიდი ზომის საგნის ასეთ მცირე მოცულობაში გავლის შედეგად კოსმოსის სტრუქტურა უცნაურად იცვლება.

კითხვისას უკეთ აღიქმება უფრო მოკლე, კონკრეტული და ნაცნობი ქვემდებარე, განურჩევლად იმისა, რა ზმნა მოსდევს მას. ამდენად, აარჩიეთ მოქმედებითი ან ვნებითი გვარი იმის მიხედვით, რომელი გაძლევთ სასურველი სახის ქვემდებარეს: მოკლეს, კონკრეტულსა და ნაცნობს. შეგიძლიათ, საუკეთესოდ განსაზღვროთ, როგორ შეაფასებს მკითხველი ნაწერს, თუ ვინმეს ხმამაღლა წააკითხებთ მას. თუ ეს ადამიანი ბორძიკობს ან, თითქოს, მონოტონურად ლაპარაკობს, შეგიძლიათ, ივარაუდოთ, რომ მკითხველს ნაკლებად მოეწონება ნაწერი.

11.1.7 სათანადოდ გამოიყენეთ პირველი პირის ნაცვალსახელი

თითქმის ყველას გაუგია რჩევა, რომ უნდა მოერიდოს სამეცნიერო ნაშრომის წერისას ნაცვალსახელების -- მე ან ჩვენ გამოყენებას. სინამდვილეში, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვანაირი შეხედულებები არსებობს. ზოგიერთი მასწავლებელი ურჩევს სტუდენტებს, არასოდეს გამოიყენონ *მე*, ვინაიდან ეს მათ ნაწერს „სუბიექტურობის" ელფერს სძენს. სხვები ურჩევენ *მე*-ს გამოყენებას, რათა ნაწერი უფრო ხალისიანი გახადონ და პიროვნულობა შესძინონ.

პროფესორთა უმეტესობა და რედაქტორები თანხმდებიან იმაზე, რომ ავტორები უნდა მოერიდონ *მე*-ს გამოყენებას ორ შემთხვევაში:

- ავტორი, რომელიც არ არის თავდაჯერებული, ძალიან ბევრ წინადადებას იწყებს ფრაზით *მე ვფიქრობ* ან *მე მიმაჩნია* (ან მათი ეკვივალენტით, ჩემი აზრით). მკითხველი ისედაც თვლის, რომ ფიქრობთ და გჯერათ იმის, რასაც წერთ. ამდენად, არ არის აუცილებელი ამის ხაზგასმა.

- გამოუცდელი ავტორები ძალიან ხშირად მოგვითხრობენ საკუთარი კვლევის შესახებ: თავდაპირველად, მივმართე.. შემდეგ შევამოწმე... და ა.შ. მკითხველს ნაკლებ აინტერესებს კვლევის ისტორია, მას სურს შედეგების შესახებ შეიტყოს.

თუმცა, გვჯერა და სამეცნიერო ჟურნალების უმეტესობა თანხმდება, რომ პირველი პირის გამოყენება მართებულია ორ შემთხვევში. ამ ბოლო წინადადებაში წარმოდგენილია ერთ-ერთი შემთხვევის ილუსტრაცია: ჩვენ... გვჯერა, რომ პირველი პირი...

- დროდადრო შესავლის სახით ფრაზის მე (ან ჩვენ) გვჯერა გამოყენებით შეიძლება, დოგმატური განცხადების შერბილება. შეადარეთ ეს ნაკლებ ხარისხიანი ვარიანტი:

13. პირველი პირის გამოყენება მართებულია ორ შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, ისე ხშირად არ გამოიყენოთ ეს ფრაზები, რომ თავდაუჯერებლობის შთაბეჭდილება შექმნათ და არც ისე იშვიათად, რომ მეტისმეტად თავდაჯერებული გამოჩნდეთ.

- პირველი პირის ნაცვალსახელების, მე ან ჩვენ, გამოყენება მართებულია, აგრეთვე, როდესაც ის არის ისეთი ზმნის ქვემდებარე, რომელიც ასახელებს მოქმედებას, რომელიც კონკრეტულად დამახასიათებელია თქვენთვის, არგუმენტის ავტორისთვის: ასეთი მოქმედების გამომხატველი

ზმნები, როგორც წესი, შესავალში გამოიყენება: მე გიჩვენებთ/დავამტკიცებ/განვაც-ხადებ, რომ X. . . და დასკვნებში: მე წარმოვადგინე/ვაჩვენე/დავასკვენი, რომ Y. . . იმის გამო, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აჩვენოთ, დაამტკიცოთ ან განაცხადოთ ის, რაც თქვენს არგუმენტშია, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ პირის ნაცვალსახელი მე:

14. ამ ნაშრომში მე გიჩვენებთ, რომ ამ უნივერსიტეტში სოციალური განსხვავებები...

მეორეს მხრივ, მკვლევრები იშვიათად იყენებენ პირველ პირს იმ მოქმედებისთვის, რომელიც სხვებმა უნდა გაიმეორონ. ეს სიტყვებია: *გაყოფა, გაზომვა, აწონ-დაწონა, შემოწმება და ა.შ.* მკვლევრები იშვიათად წერენ წინადადებებს მოქმედებით გვარში ჩასმული ზმნებით, როგორიცაა:

15ა. მე გამოვთვალე X-ის კოეფიციენტი.

ამის ნაცვლად, ისინი, სავარაუდოდ, დაწერენ ვნებით გვარში, ვინაიდან ნებისმიერს შეუძლია ამისი გაკეთება:

15ბ. გამოთვლილი იქნა X-ის კოეფიციენტი.

ანალოგიური პრინციპები ვრცელდება ნაცვალსახელზე ჩვენ, თუ თქვენ ორ ან მეტ ავტორთაგან ერთ-ერთი ხართ. თუმცა, მრავალი პროფესორი და რედაქტორი ეწინააღმდეგება მის ორგვარ გამოყენებას:

- *ჩვენ* (როგორც ჩვენი უდიდებულესობა) გამოიყენება მწერლის მიერ საკუთარ თავზე მითითების გასაკეთებლად
- ჩვენ, გამოყენებული ყველა მიზნით მიანიშნებს ზოგადად ადამიანებზე

არასწორია:

16. ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ წყაროების ციტირებისას, როდესაც ვიყენებთ მონაცემებს ამ წყაროებიდან. როდესაც ვკითხულობთ იმ ავტორების ნაშრომებს,

რომლებმაც ეს მოსაზრება არ გაითვალისწინეს, უნდობლობით ვიმსჭვალებით მათ მიმართ.

თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება თქვენმა ხელმძღვანელმა უნდა მიიღოს. თუ ის ერთმნიშვნელოვნად გიკრძალავთ ნაცვალსახელების მე ან ჩვენ გამოყენებას, დაუჯერეთ მას.

## 11.2 გააანალიზეთ წაკითხული მასალა

მას შემდეგ, რაც გაიგებთ, მკითხველი როგორ შეაფასებს ნაშრომს, იცით, როგორ დაწეროთ მკაფიოდ, თუმცა, ამავდროულად იცით, რატომ ჩანს ასე კომპაქტური ის, რაც უნდა წაიკითხოთ. მკითხველს შეიძლება, გაუჭირდეს ტექსტის გაგება რთული შინაარსის გამო. თუმცა, სირთულე შეიძლება, შეიძლება შექმნას იმანაც, თუ ავტორი გაურკვევლად წერს. მომდევნო ნაწყვეტი, მაგალითად, არ არის სრულყოფილად დაწერილი:

15ა. იმ ფაქტის აღიარება, რომ სხვადასხვა ენის გრამატიკა განსხვავდება, შეიძლება, გახდეს იმ პრობლემების სერიოზული განხილვის საფუძველი, რომელთა წინაშეც დგანან მთარგმნელები მსოფლიო ლიტერატურული შედევრებისა, რომლებიც დაწერილი იყო სხვა ენაზე გარდა ინგლისურისა.

თუმცა, ზემოთ გამოყენებული სიტყვების ნახევრით რომ გადმოვცეთ, ეს ნაწყვეტი, მხოლოდ შემდეგს ნიშნავს:

15ბ. როცა გვეცოდინება, რომ ენებს განსხვავებული გრამატიკა აქვს, შეგვიძლია, გავითვალისწინოთ იმ სპეციალისტთა პრობლემები, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს ინგლისურ ენაზე თარგმნიან.

ამდენად, როდესაც გიჭირთ ზოგიერთი სამეცნიერო ნაწერის გაგება (და ასეც იქნება), ნუ დააბრალებთ თავს, ყოველ შემთხვევაში, თავიდანვე. გააანალიზეთ ნაშრომის წინადადებები. თუ მათში არის გრძელი ქვემდებარეები, სადაც ბევრი აბსტრაქტული არსებითი სახელია და გამოხატავს ახალ ინფორმაციას,

პრობლემა არის, სავარაუდოდ, არა ის, რომ თქვენ ვერ კითხულობთ მარტივად, არამედ ის, რომ ავტორმა ვერ შეძლო, გარკვევით დაეწერა. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, რაც მეტ გამოცდილებას მიიღებთ აკადემიურ წერაში, მით დიდია რისკი ასეთი მანერის იმიტაციისა. ფაქტობრივად, პროფესიული წერის პრობლემა დგას აკადემიური მეცნიერებების ყველა სფეროში.

## 11.3 შეარჩიეთ სწორი სიტყვა

სტანდარტული რჩევის კიდევ ერთი ნაწილი -- სწორი სიტყვის შერჩევა:

1. შეარჩიეთ სიტყვა სწორი მნიშვნელობით. აფექტი არ ნიშნავს ეფექტს; მრავალ ცნობარში ჩამოთვლილია სიტყვები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერევათ ხოლმე. თუ გამოუცდელი ავტორი ხართ, გირჩევთ, შეიძინოთ ასეთი წიგნი.
2. სიტყვა შეარჩიეთ სათანადო გამოყენების მიხედვით. თუ შავ ნაწერს სწრაფად ქმნით, არსებობს იმისი რისკი, რომ შეარჩიოთ სიტყვები, რომლებიც შეიძლება, ნიშნავდეს იმას, რასაც გულისხმობთ, თუმცა, იყოს მეტისმეტად ფამილარული კვლევითი ნაშრომისთვის. ადამიანს შეუძლია, გააკრიტიკოს მეორე ავტორი ან დაამარცხოს ის; რისკი შეიძლება, ჩანდეს საშიში ან შემზარავი. ზემოთ მოყვანილ სიტყვათა წყვილებს მსგავსი მნიშვნელობები აქვთ, თუმცა მკითხველების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მეორე ნაკლებ აკადემიურია.

მეორეს მხრივ, თუ ძალიან შეეცდებით, რომ თქვენი ნაშრომი მართლაც „აკადემიურ" ნაშრომად გამოიყურებოდეს, დგება იმის საშიშროება, რომ გამოიყენებთ ძალიან ოფიციალურ სიტყვებს. შეგიძლიათ იხმაროთ სიტყვები: *ფიქრი* ან *ღრმად დაფიქრება*, *დალევა* ან *შეთვისება*. ეს წყვილები ახლოს დგას მნიშვნელობით, მაგრამ თითოეულ მათგანში მეორე ძალიან მაღალფარდოვანია იმ ნაშრომისთვის, რომელიც ჩვეულებრივი ენით არის დაწერილი. დაძლიეთ სურვილი, გამოიყენოთ სიტყვა, რომელიც, თქვენი აზრით, განსაკუთრებით მაღალფარდოვანია და მოძებნეთ, სხვა, მისი უფრო სადა სინონიმი.

ჩალსახად გირჩევთ, მოძებნოთ ლექსიკონში სიტყვები, რომლებშიც დარწმუნებული არ ხართ. თუმცა, ისინი კი არ არის პრობლემა, არამედ ის სიტყვები, რომლებშიც დარწმუნებული ხართ. უფრო უარესი, ვერცერთი ლექსიკონი ვერ გეტყვით, რომელი სიტყვაა მაღალფარდოვანი ამა თუ იმ კონტექსტისთვის. ამ საკითხს სწრაფად გადაჭრით, თუ სთხოვთ ვინმეს, წაიკითხოს თქვენი ნაშრომი წარდგენამდე (თუმცა, ფრთხილად იყავით, ვიდრე ძალიან ბევრ რჩევას დაიჯერებთ; იხ. 7.10). ამ პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა არის ბევრი კითხვა, ბევრი წერა, ბევრი კრიტიკული შენიშვნის მოსმენა და მათ საფუძველზე სწავლა.

## 11.4 გააშალაშინეთ

ამობეჭდვამდე ნაშრომი კიდევ ერთხელ წაიკითხეთ, რათა შეასწოროთ გრამატიკული შეცდომები, მართლწერა და პუნქტუაცია. მრავალი გამოცდილი ავტორი იწყებს ბოლო წინადადებით და ასე მიყვება ნაშრომის დასაწყისამდე, რათა აზრებზე არ გადაიტანოს ყურადღება და არ გამორჩეს სიტყვები. ნუ დაეყრდნობით მხოლოდ კომპიუტერის მართლწერის შემოწმების ფუნქციას. ის ვერ გამოავლენს ისეთ სიტყვებს, რომლებიც დაწერილია სწორად, მაგრამ არასწორად არის გამოყენებული: their/there/they’re, it’s/its, too/to, accept/except, affect/effect, already/all ready, complement/compliment, principal, principle, discrete/discreet ა.შ. თუ ამ სახის პრობლემასთან შეხება გქონიათ, საფუძვლიანად გადაამოწმეთ თქვენი ნაშრომი, რათა შეამოწმოთ ასეთი სიტყვები. მართლწერის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მე-20 თავი.

თუ ბევრი უცხო სიტყვა, ციფრი, აბრევიატურა და ა.შ. გაქვთ გამოყენებული, გადახედეთ შესაბამის თავებს წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-3 ნაწილში.

დაბოლოს, თუ თქვენს ნაშრომს აქვს სარჩევი, სადაც მოცემულია თავების და ნაწილების სათაურები და ნომრები, დარწმუნდით, რომ ისინი ზუსტად შეესაბამება შესაბამის ფორმულირებას და ნუმერაციას ნაშრომის ძირითად

ნაწილში. თუ ტექსტში მიუთითებთ ნაწერის  სხვადასხვა ნაწილებზე და თავებზე, დარწმუნდით მითითებების სიზუსტეში.

ზოგიერთ სტუდენტს მიაჩნია, რომ ნაშრომის ხარისხზე მხოლოდ მაშინ უნდა იზრუნონ, როცა ინგლისურის საგნისთვის ამზადებენ მას. მართალია, ლექტორები ინგლისურის გარდა სხვა კურსებზე, სავარაუდოდ, უფრო მეტ ყურადღებას ნაშრომის შინაარსს მიაქცევენ, ვიდრე სტილს. თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ ისინი ყურადღების მიღმა დატოვებენ ნაწერის მკაფიოობას და ლოგიკურ თანმიმდევრულობას. თუ ისტორიის ან ხელოვნების ლექტორი აკრიტიკებს თქვენს ნაშრომს, ცუდად დაწერილიაო, ნუ დაიცავთ თავს, *ეს ხომ ენის კურსი არ არის.* თითოეული კურსი, რომელიც საჭიროებს წერას, არის შესაძლებლობა, გაივარჯიშოთ მკაფიო, დამაჯერებელ, ლოგიკური თანმიმდევრობით წერაში. ეს არის უნარი, რომელიც ძალიან გამოგადგებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

## 11.5 დაასრულეთ და ამობეჭდეთ

წერის დაწყებაზე უფრო რთული შეიძლება, დასრულება იყოს. ყველას გვსურს, კიდევ ერთი დღე წყობის დასახვეწად, კიდევ ერთი საათი საწყისი აბზაცისთვის, კიდევ ერთი წუთი, რომ... თქვენი იდეა. გამოცდილმა მკვლევრებმა იციან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ კვლევის და ნაშრომების შექმნის შესახებ: ის არასოდეს არის სრულყოფილი. ასე რომ, როგორც წესი, არ ღირს ბოლო 1 პროცენტის ან 5 პროცენტის გასწორება. სტუდენტები, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომს წერენ, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სრულყოფილების სტანდარტის მიღწევას. ის კი, ძირითადად, მხოლოდ მათ გონებაში არსებობს. არცერთი თეზისი ან სადისერტაციო ნაშრომი არ უნდა იყოს აბსოლუტურად სრულყოფილი;  რაც არის, ეს არის. რაღაც ეტაპზე უნდა დაასრულოთ მასზე მუშაობა. შეეშვით წერას და ამობეჭდეთ. (თუმცა, ვიდრე წარადგენთ, გადაფურცლეთ ბოლოჯერ, რათა დარწმუნდეთ, რომ გამოიყურება ისე, როგორც გსურთ: შეხედეთ გვერდების გაყოფას, კიდეების საზღვრებს, ცხრილების და ნახატების განლაგებას და ა.შ.)

ახლა შეიძლება, იფიქროთ, რომ დასრულებულია ნაშრომზე მუშაობა. ფაქტობრივად, ერთი ბოლო ამოცანა გრჩებათ: ჩაბარებული ნაშრომის შესახებ კომენტარების მოპოვება და მათი გათვალისწინება.

## 12 შეფასებული თხზულების შესახებ გამოთქმული კომენტარების გათვალისწინება

### 12.1 მოძებნეთ ზოგადი პრინციპები კონკრეტულ კომენტარებში

### 12.2. გაესაუბრეთ ხელმძღვანელს

პედაგოგებს არ მოსწონთ, როდესაც სტუდენტი მხოლოდ ნაშრომში დაწერილი ნიშნით ინტერესდება და ყურადღებას არ აქცევს შინაარსობრივ კომენტარებს ან, უფრო მეტი, თავსაც კი არ იწუხებს ნაშრომის წასაღებად. სამეცნიერო და პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში არაერთი ნაშრომის დაწერა მოგიწევთ; ამდენად, მიზანშეწონილი იქნება, თუ გეცოდინებათ, როგორ აფასებს მკითხველი ნაშრომს და მომდევნო ნაშრომზე მუშაობისას, რისი გაუმჯობესება შეგიძლიათ უკეთესი შეფასების მისაღებად. ამისთვის კიდევ ერთი გეგმა იქნება საჭირო.

### 12.1 მოძებნეთ ზოგადი პრინციპები კონკრეტულ კომენტარებში

პედაგოგის კომენტარების წაკითხვის შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ იმ კომენტარებზე, რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ შემდგომი ნაშრომისთვის:

- მოძებნეთ, ხომ არ შეიცავს თხზულება მართლწერის პუნქტუაციის და გრამატიკული ხასიათის შეცდომებს. თუ შეცდომებს გამოავლენთ, გეცოდინებათ, რის გაუმჯობესებაზე უნდა იმუშაოთ.
- თუ პედაგოგი ამბობს, რომ დაშვებული გაქვთ ფაქტობრივი შეცდომები, გადაამოწმეთ, უხარისხო ჩანაწერები გააკეთეთ ნაშრომში, თუ ფაქტები გადაიტანეთ არასწორად? არასანდო წყარომ ხომ არ შეგიყვანათ შეცდომაში? რაც არ უნდა აღმოაჩინოთ, გეცოდინებათ, როგორ უნდა მოიქცეთ მომდევნო ნაშრომზე მუშაობისას.
- თუ პედაგოგი ნაწერს აფასებს მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისით, მოძებნეთ და დააკვირდით შესაბამის ასპექტებს. თუ პედაგოგს მიაჩნია,

რომ ნაწერი დანაწევრებულია, ძალიან მოკლეა, ან დაუხვეწავია, გადაამოწმეთ წინადადებები მე-11 თავში წარმოდგენილი საფეხურების მიხედვით. თუ პედაგოგს მიაჩნია, რომ ნაწერი არ არის კარგად ორგანიზებული ან გაუმართავია, გადაამოწმეთ თხზულება მე-9 თავში წარმოდგენილი პრინციპების მიხედვით. პედაგოგის მიერ გამოთქმული შენიშვნების საფუძველს ყოველთვის ვერ იპოვით. თუმცა, როდესაც აღმოაჩენთ, გეცოდინებათ, მომავალში რა გამოასწოროთ.

## 12.2 გაესაუბრეთ ხელმძღვანელს

თუ პედაგოგის კომენტარები მოიცავს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა არაორგანიზებული, ალოგიკური ან დაუსაბუთებელი და ვერ პოულობთ მათ საფუძველს, დანიშნეთ შეხვედრა ხელმძღვანელთან. როგორც ნაშრომზე მუშაობის ყველა სხვა საფეხურის შემთხვევაში, ეს შეხვედრაც უკეთ წარიმართება, თუ დაგეგმავთ და გაივარჯიშებთ კიდეც მასში:

- თუ მასწავლებლის შენიშვნები ეხება მართლწერის, პუნქტუაციის საკითხებს და გრამატიკულ შეცდომებს, ეს შეცდომები მსხვილი შრიფტით გაასწორეთ მასწავლებელთან შეხვედრამდე, რათა დაანახოთ, რომ გაითვალისწინეთ მისი კომენტარები.
- ნუ გამოთქვამთ უკმაყოფილებას ნიშნის გამო. გარკვევით გააგებინეთ, რომ, უბრალოდ, გსურთ გაიგოთ, რას ემყარება კომენტარები, რათა მომავალში შეძლოთ მსგავსი შეცდომების თავიდან აცილება.
- ყურადღება გაამახვილეთ მხოლოდ რამდენიმე კომენტარზე. გაივარჯიშეთ შეკითხვების დასმაში, რათა მიმართვა თავაზიანი გამოგივიდეთ: ასე კი არ მიმართოთ „თქვენ ბრძანებთ, რომ ნაშრომი არაორგანიზებულია, თუმცა, არ ამბობთ, რატომ,"; ამის ნაცვლად, უთხარით: „შეგიძლიათ, დამეხმაროთ, ვნახო, რა არის არასწორი ნაშრომის წყობაში, რათა შემდგომში გავითვალისწინო?"
- სთხოვეთ პედაგოგს, მიგანიშნოთ, რა არის მისი შეფასების საფუძველი და გითხრათ, როგორი უნდა ყოფილიყო ესა თუ ის მონაკვეთები. ასე კი არ

ჰკითხოთ: „რა არ მოგეწონათ?" არამედ ჰკითხეთ, „კონკრეტულად სად დავუშვი შეცდომა და როგორ შემიძლია მისი გამოსწორება?"

თუ პედაგოგი შეფასების საფუძველს გარკვევით ვერ გიხსნით, შეიძლება, ნაშრომი შეაფასა კომპლექსურად და არა დეტალურად. თუ ასეა, მასთან შეხვედრა ბევრს ვერაფერს შეგძენთ.

პედაგოგთან შეხვედრის გამართვა მაშინაც შეგიძლიათ, თუ უმაღლესი შეფასება მიიღეთ. მნიშვნელოვანია, გაიგოთ, როგორ დაიმსახურეთ ეს შეფასება, ვინაიდან შემდგომი პროექტი, სავარაუდოდ, უფრო რთული იქნება და შეიძლება, მასზე მუშაობისას კვლავ გამოუცდელ მკვლევარად იგრძნოთ თავი. მართლაც, ნუ გაგიკვირდებათ, თუ თითოეულ ახალ ნაშრომზე მუშაობისას ასეთი გრძობა დაგეუფლებათ. ეს უცხო არავისთვის არის. თუმცა, გეგმის არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი, ამ სირთულეს თავს ვართმევთ ხოლმე; მერწმუნეთ, თქვენც გამოგივათ.

# 13 კვლევის წარდგენა სხვადასხვა ფორმით

13.1 დაგეგმეთ ზეპირი მოხსენება

13.1.1 დაავიწროეთ წარსადგენი საკითხი

13.1.2 გაიაზრეთ მსმენელს და მკითხველს შორის არსებული განსხვავებები

13.2 მოამზადეთ თქვენი პრეზენტაცია

13.2.1 გააკეთეთ შესავლის მონახაზი

13.2.2 შექმენით ჩანაწერები მოხსენების ძირითადი ნაწილისთვის, რათა თვალის შევლებით შეგეძლოთ მათი გაგება

13.2.3 შეიმუშავეთ დასკვნა შესავლის მიხედვით

13.2.4 მოემზადეთ შეკითხვებისთვის

13.2.5 მოამზადეთ დასარიგებელი მასალა

13.3 დაგეგმეთ სტენდზე წარმოდგენილი მოხსენების პრეზენტაცია

13.4 დაგეგმეთ თქვენი საკონფერენციო განაცხადი

შესაძლოა, ჯერ ძალიან გამოუცდელი ხართ საიმისოდ, რომ იფიქროთ თქვენი ნაშრომის გამოქვეყნებაზე. თუმცა, სავარაუდოდ, მის რომელიღაც ნაწილს წარადგენთ ზეპირი მოხსენების სახით აუდიტორიის წინაშე. ზეპირი მოხსენების მომზადება უფრო იოლია, ვიდრე წერითისა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საჭიროა გეგმა და მოხსენების წარდგენაში გავარჯიშება. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორიის წინაშე საკუთარი ნაშრომის შესახებ მკაფიოდ და დამაჯერებლად საუბრის უნარი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერ სპეციალობაში. თუ სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობთ, სავარაუდოდ, აპირებთ მომავალში ნაშრომის დაბეჭდვას, მაგრამ ვიდრე პროფესიულ ჟურნალში გაგზავნიდეთ, უნდა სცადოთ მისი ზეპირი მოხსენების სახით წარდგენა.

ამ თავში წარმოგიდგენთ, როგორ გამოიყენოთ გეგმა ზეპირი მოხსენების მოსამზადებელი ტექსტის დასაწერად. განვიხილავთ, აგრეთვე, მოხსენების სხვადასხვა ელემენტებისგან შემდგარ ფორმას, რომელსაც ეწოდება სტენდზე წარმოსადგენი მოხსენება, სადაც შერწყმულია წერითი ნაშრომის და ზეპირი მოხსენების ელემენტები. დაბოლოს, განვიხილავთ, როგორ მზადდება საკონფერენციო განაცხადი.

## 13.1 დაგეგმეთ ზეპირი მოხსენება

ზეპირ მოხსენებას წერასთან შედარებით რამდენიმე უპირატესობა აქვს. მოხსენების წარდგენის შემდეგ კითხვა-პასუხის დროს მყისიერ უკუკავშირს იღებთ; მსმენელი გამოხატავს რეაქციას, რომელიც შეიძლება, იყოს ნაკლებად კრიტიკული, ვიდრე ეს წერითი ნაშრომის შემთხვევაში იქნებოდა, განსაკუთრებით, თუ პრეზენტაციას მისცემთ მხოლოდ ახალი იდეების მოსმენის ან ახალი მონაცემების გამოცდის სახეს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს რეაქცია გამოსადეგი იყოს, ისეთივე დაკვირვებით უნდა დაგეგმოთ ზეპირი მოხსენება, როგორც წერით მოხსენებას დაგეგმავდით.

### 13.1.1 დაავიწროეთ წარსადგენი საკითხი

სავარაუდოდ, მოხსენების წარსადგენად მხოლოდ ოციოდე წუთი გექნებათ. (თუ ნაშრომს კითხულობთ, რაც ნაკლებ რეკომენდებულია, ეს ნიშნავს სტრიქონებს შორის ორინტერვალიანი დაშორების მქონე არაუმეტეს შვიდ-ათ გვერდიანი თხზულების წაკითხვას.) ამდენად, ნაშრომი უნდა დაიყვანოთ მის ძირითად არსამდე ან აქცენტი გააკეთოთ მხოლოდ მის რომელიმე ნაწილზე. აი, სამი გავრცელებული ვარიანტი:

- პრობლემის და არგუმენტის მონახაზის გაცნობა. თუ პრობლემა ახალია, ხაზი გაუსვით მის ორიგინალურობას. დაიწყეთ მოკლე შესავლით: ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა + შეკითხვა + რას იწვევს პასუხის არცოდნა + დებულება (გადახედეთ 9.1); შემდეგ განმარტეთ მიზეზები და შეაჯამეთ თითოეული მათგანის მტკიცებულებები .
- ქვეარგუმენტის რეზიუმე. თუ არგუმენტი ძალიან დიდია, აქცენტი გაკეთეთ ძირითად ქვეარგუმენტზე. აღნიშნეთ უფრო მასშტაბური პრობლემა შესავალში და დასკვნაში. თუმცა, ხაზი გაუსვით, რომ მხოლოდ მის ნაწილზე შეჩერდებით.
- მეთოდოლოგია ან მონაცემების შესახებ ანგარიში. თუ წარმოადგენთ ახალ მეთოდოლოგიას ან მონაცემების წყაროს, ახსენით, რატომ არის ის მნიშვნელოვანი. თავდაპირველად მოკლედ წარმოადგინეთ პრობლემა, შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემების გადაჭრა თქვენს მიერ გამოკვლეული ახალი მეთოდების ან მონაცემების გამოყენებით.

### 13.1.2 გაიაზრეთ მსმენელს და მკითხველს შორის არსებული განსხვავებები

მომხსენებლებს მსმენელის გაღიზიანების ამოუწურავი მეთოდები აქვთ. ზოგი მათგანი რობოტის მსგავსად იმეორებს დაზეპირებულ წინადადებებს ან ჩაჰყურებს ნაწერს და თითოეულ გვერდს კითხულობს, იშვიათად აიხედავს ზემოთ, რათა

ვიზუალური კონტაქტი დაამყაროს აუდიტორიასთან. სხვები წარმოადგენენ მონაცემებით სავსე სლაიდებს, რომელთა სტრუქტურა შემოიფარგლება მსგავსი ფრაზებით: და ახლა ამ სლაიდში წარმოდგენილია... ასეთ მომხსენებლებს მიაჩნიათ, რომ პასიური მსმენელი აქტიურ მკითხველს ან დაინტერესებულ მოსაუბრეს ჰგავს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს:

- როცა ვკითხულობთ, შეგვიძლია, შევყოვნდეთ, რათა დავფიქრდეთ და გავაანალიზოთ რთული მონაკვეთები. წყობაზე დაკვირვებისთვის შეგვიძლია, ჩავხედოთ ქვესათაურებს, აბზაცების დასაწყისებსაც კი. თუ გონება გაგვეფანტება, ხელახლა წავიკითხოთ.
- საუბრისას შეკითხვები შეგვიძლია, დავსვათ მაშინვე, როცა მოგვაფიქრდება და ვთხოვოთ სხვა პირს, განმარტოს მსჯელობა ან, უბრალოდ, გაიმეოროს ნათქვამი.

ზეპირი მოხსენების მსმენელს არც ერთი ზემოთ აღნიშნულის გაკეთება არ შეუძლია. მას სჭირდება მოტივაცია, რომ მოისმინოს მოხსენება, ასევე, დახმარებაც, რომ ადვილად მისდიოს მომხსენებლის აზროვნების ნაკადს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, მსმენელს გონება გაეფანტოს და ფიქრებში წავიდეს. ამდენად, საუბრისას ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოხატოთ მიზანი და, თუ ნაშრომს კითხულობთ, წინადადებების სტრუქტურა გაცილებით მარტივი უნდა იყოს, ვიდრე წერით მოხსენებაში. ამდენად, გამოიყენეთ შედარებით მოკლე წინადადებები, უფრო შესაბამისი ქვემდებარეებით (იხ. 11.1.2). ხშირად გამოიყენეთ „მე", „ჩვენ," და „თქვენ". ის, რაც დაუხვეწავ განმეორებად ეჩვენება მკითხველს, ჩვეულებრივ, მისაღებია მსმენელისთვის.

## 13.2 მოამზადეთ თქვენი პრეზენტაცია

მსმენელის ყურადღების შენარჩუნება რომ შეძლოთ, მოხსენება წაიკითხეთ არა ლექციის მსგავსად, არამედ მეგობრული საუბრის ტონით; ამ უნარის გამომუშავება მარტივი არ არის, ვინაიდან ცოტა ჩვენგანს შეუძლია, ისე წეროს, როგორც საუბრობს და ვინაიდან უმეტეს ჩვენგანს თანმიმდევრული მოხსენების წარსადგენად ჩანაწერები სჭირდება. თუ მოხსენება უნდა წაიკითხოთ, ნუ წაიკითხავთ ორი წუთში ერთ გვერდზე მეტს (დაახლოებით, სამასი სიტყვა გვერდზე). დაინიშნეთ დრო და იკითხეთ უფრო ნელა, ვიდრე, ჩვეულებრივ, საუბრობთ ხოლმე. დროდადრო საგანგებოდ ასწიეთ თავი და ვიზუალური კონტაქტი დაამყარეთ აუდიტორიასთან, განსაკუთრებით, როცა რამე მნიშვნელოვანს ამბობთ. ერთი გვერდის წაკითხვისას ასე მოიქეცით სულ მცირე ერთხელ ან ორჯერ მაინც.

გაცილებით სჯობს მოხსენების წაკითხვა ჩანაწერების მიხედვით. თუმცა, ამისთვის დაგჭირდებათ ჩანაწერების მომზადება.

13.2.1 გააკეთეთ შესავლის მონახაზი

ოცწუთიანი ზეპირი მოხსენებისთვის, თავიდანვე უნდა შეძლოთ აუდიტორიის ინტერესის გაღვივება. ამდენად, შესავალი მოამზადეთ უფრო დაკვირვებით, ვიდრე მოხსენების ნებისმიერი სხვა ნაწილი. შესავალი შექმენით ოთხი ნაწილისგან შემდგარი პრობლემის გაცნობაზე დაფუძნებით, რომელიც 10.1 ნაწილშია აღწერილი, გამოიყენეთ, აგრეთვე, გეგმა (ფრჩხილებში მოცემულია მიახლოებითი ხანგრძლივობა.)

გამოიყენეთ ჩანაწერები მხოლოდ იმისთვის, რომ გაიხსენოთ ოთხი ნაწილი; ის არ უნდა იყოს მოხსენების წარდგენის ზედმიწევნითი სცენარი. თუ შინაარსი არ გახსოვთ, მზად არ ხართ მოხსენების გასაკეთებლად. ჩანაწერები საკმარისად სრული უნდა იყოს საიმისოდ, რომ გაიხსენოთ შემდეგი:

1. კვლევა, რომელსაც განავრცობთ, ცვლით ან ასწორებთ (არაუმეტეს ერთი წუთისა).
2. კვლევის შეკითხვის წარმოდგენა – რისი არცოდნის ან რა შეუსწავლელი საკითხის შესახებ ისაუბრებთ (ოცდაათი წამი ან ნაკლები).
3. პასუხი შეკითხვაზე: მერე რა? (ოცდაათი წამი)

ეს სამი საფეხური ძალიან მნიშვნელოვანია მსმენელის დაინტერესებისთვის. თუ შეკითხვა ახალი ან სადავოა, მეტი დრო დაუთმეთ მას. თუ მკითხველმა იცის მისი მნიშვნელოვნება, სწრაფად აღნიშნეთ ის და განაგრძეთ.

4. დებულება, პასუხი საკვლევ შეკითხვაზე (ოცდაათი წამი ან ნაკლები).

მსმენელს იმთავითვე უნდა გააგებინოთ პასუხი; ეს უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როცა წარადგენთ ზეპირ მოხსენებას. ამდენად, მისი არსი მაინც აღნიშნეთ მაშინაც, როდესაც სერიოზული საფუძველი გაქვთ მის ბოლოში წარსადგენად. თუ მაშინვე არ წარმოადგენთ პასუხს, მინიშნება მაინც გააკეთეთ მასზე.

5. წარმოადგინეთ მოხსენების სტრუქტურა (ათი ან ოცი წამი). ამისთვის ყველაზე გამოსადეგი გზაა სარჩევის ზეპირად წარმოდგენა: „პირველ რიგში განვიხილავ...”

წერითი მოხსენების შემთხვევაში, მსგავსი მეთოდის გამოყენებამ შეიძლება, დაუხვეწავი ნაშრომის შთაბეჭდილება შექმნას; მაგრამ, როცა ზეპირ მოხსენებას აკეთებთ, უფრო დეტალურად ახსნაა საჭირო. მოხსენების ძირითად ნაწილზე გადასვლისას განმეორებით წარმოადგინეთ იგივე სტრუქტურა.

გადაიმეორეთ შესავლი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სწორად წარმოდგენა შეძლოთ, არამედ, აგრეთვე, იმისთვის, რომ შეძლოთ აუდიტორიასთან ვიზუალური კონტაქტის დამყარება. მოგვიანებით შეგიძლიათ, ჩაიხედოთ ჩანაწერებში.

გაითვალისწინეთ, აგრეთვე, რომ სასურველია, შესავალზე დაახლოებით სამ წუთზე მეტ ხანს არ შეჩერდეთ.

13.2.2 შექმენით ჩანაწერები მოხსენების ძირითადი ნაწილისთვის, რათა თვალის შევლებით შეგეძლოთ მათი გაგება

ნუ დაწერთ ჩანაწერებს დასრულებული წინადადებების ფორმით (მით უმეტეს, აბზაცებს), რომლებსაც ხმამაღლა წაიკითხავთ; ჩანაწერები უნდა დაგეხმაროთ, რომ უცბად გადახედოთ მოხსენების სტრუქტურას და მნიშვნელოვან მონაკვეთებში სათქმელ პუნქტებს. ამდენად, ჩანაწერები არ უნდა წარმოადგენდეს წერითი მოხსენებიდან გადმოტანილ წინადადებებს; ჩანაწერები შექმენით თავიდან.

თითოეული ძირითადი იდეისთვის გამოიყენეთ ცალკე გვერდი. თითოეულ გვერდზე დაწერეთ მთავარი საკითხები, არა თემების, არამედ დებულებების სახით, შემოკლებული ფორმით ან (მხოლოდ მაშინ, თუ ასე უნდა მოიქცეთ) დასრულებული წინადადებების სახით. მის ზემოთ შეგიძლიათ, დაამატოთ მკაფიო გადასვლა, ქვესათაურის ზეპირი მოხსენების მსგავსად: „პირველი საკითხია...”

თვალსაჩინოდ მონიშნეთ ძირითადი საკითხები, რათა ადვილად შეძლოთ მათი ცნობა. მათ ქვეშ, თემების სახით, ჩამოთვალეთ შესაბამისი ფაქტები. თუ თქვენს მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი ფაქტი მოიცავს რიცხვებს ან ციტატებს, ალბათ, მოგიწევთ მათი ამოწერა. სხვა შემთხვევაში, თქვენს მიერ მოყვანილ ფაქტობრივ მტკიცებულებას საკმარისად კარგად უნდა იცნობდეთ, რათა შეძლოთ მის შესახებ აუდიტორიის წინაშე საუბარი.

საკითხები ისე დაალაგეთ, რომ პირველ რიგში ისაუბროთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. თუ საუბარი გაგრძელდებათ (ძირითადად, ასეა ხოლმე), შეგიძლიათ გადახვიდეთ მომდევნო ნაწილზე ან, თუნდაც, დასკვნაზე და არ გამოტოვოთ არგუმენტის მნიშვნელოვანი ასპექტი. არასოდეს მოამზადოთ ისეთი კულმინაციური წერტილი, რომლის მიღწევაც არ შეგიძლიათ. თუ რაიმე უნდა გამოტოვოთ, კითხვა-პასუხის ნაწილის დროს დაუბრუნდით ამ საკითხს.

13.2.3 შეიმუშავეთ დასკვნა შესავლის მიხედვით

დასკვნა შექმენით ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი დამახსოვრება, ვინაიდან მსმენელი გაიმეორებს მას, როდესაც დაუსვამენ შეკითხვას, რა თქვა ჯონსმა? საკმაოდ კარგად დაისწავლეთ დასკვნა, რათა შეძლოთ მისი წარდგენისას აუდიტორიასთან ვიზუალური კონტაქტის შენარჩუნება და არ მოგიწიოთ ჩანაწერებში ჩახედვა და იქიდან ამოკითხვა. დასკვნა უნდა შედგებოდეს შემდეგი სამი ნაწილისგან:

- დებულება, უფრო დეტალური, ვიდრე შესავალში
- თუ მსმენელს უფრო აინტერესებს ვარაუდი ან მონაცემები, ისინიც შეაჯამეთ.
- თქვენი პასუხი შეკითხვაზე მერე რა?
- შეგიძლიათ, ხელახლა წარმოადგინოთ პასუხი შესავლიდან. თუმცა, შეეცადეთ, დაამატოთ ახალი პასუხი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ჰიპოთეზურია.
- რჩევები შემდგომი კვლევისთვის, რა არის კიდევ გასაკეთებელი?

გაიმეორეთ დასკვნა, რათა ზუსტად იცოდეთ, რამდენი ხანი გჭირდებათ მის წარმოსადგენად (არ უნდა აღემატებოდეს ერთ ან ორ წუთს). შემდეგ, როდესაც ეს დრო დაგრჩებათ, წარმოადგინეთ დასკვნა, მაშინაც კი, თუ არ დაგისრულებიათ ბოლო (შედარებით უმნიშვნელო) საკითხების შესახებ საუბარი. თუ რამდენიმე საკითხი უნდა გამოტოვოთ, ისაუბრეთ მათ შესახებ კითხვა-პასუხის დროს. თუ დროზე ადრე ამთავრებთ, მოერიდეთ იმპროვიზაციას და დროის გაწელვას. თუ თქვენს შემდეგ სხვა გამოდის, თქვენს მიერ გამოუყენებელი დრო მას დაუთმეთ.

13.2.4 მოემზადეთ შეკითხვებისთვის

თუ გაგიმართლათ, მოხსენების შემდეგ შეკითხვებს დაგისვამენ. ამდენად, მოამზადეთ პასუხები მოსალოდნელი შეკითხვებისთვის. იცოდეთ, რომ დაგისვამენ შეკითხვებს მონაცემების და წყაროების შესახებ, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ მოხსენების დროს არ შეეხეთ მათ. თუ ისეთ საკითხებზე საუბრობთ, რომლებიც უკავშირდება

გამოჩენილ მკვლევრებს ან კვლევით ინსტიტუტებს, მოემზადეთ იმის შესახებ ვრცლად სასაუბროდ, თუ როგორ უკავშირდება თქვენი ნაშრომი მათ, განსაკუთრებით, თუ აღნიშნული მკვლევარების ან ინსტიტუტების შედეგების ან მიდგომის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოხატავთ ან უარყოფთ მათ. მზად იყავით, აგრეთვე, იმისთვის, რომ შეიძლება, მოგიწიოთ ისეთი წყაროს შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომლებზეც არასოდეს გსმენიათ. საუკეთესო პოლიტიკაა აღიარება, რომ ეს წყარო არ გინახავთ, მაგრამ გადაამოწმებთ. თუ შეკითხვა კეთილგანწყობილი ტონით არის დასმული, შეეკითხეთ, რატომ არის წყარო შესაბამისი. ნუ მოემზადებით მხოლოდ თავდაცვითი პასუხების გასაცემად. გამოიყენეთ შეკითხვები, რათა ხელახლა გაუსვათ ხაზი მთავარ საკითხებს ან ისაუბროთ საკითხებზე, რომლებიც, შესაძლოა, გამოგრჩათ.

დაკვირვებით მოუსმინეთ თითოეულ შეკითხვას. შემდეგ დარწმუნდით, რომ გესმით ის, გააკეთეთ პაუზა და ერთი წუთით დაფიქრდით პასუხზე. თუ შეკითხვა ვერ გაიგეთ, სთხოვეთ ავტორს, თავიდან ჩამოაყალიბოს ის. პასუხს უნებლიედ და თავდაცვითი ფორმით ნუ გასცემთ. ფასდაუდებელია კარგი შეკითხვები, მაშინაც კი, თუ არაკეთილგანწყობილი ჩანს. გამოიყენეთ ისინი საკუთარი თვალსაზრისის დასახვეწად.

13.2.5 მოამზადეთ დასარიგებელი მასალა

მოხსენების წარდგენისას შეგიძლიათ, წაიკითხოთ მცირე ციტატები ან მნიშვნელოვანი მონაცემები. თუმცა, თუ ბევრი ციტატა ან მნიშვნელოვანი მონაცემი გაქვთ, მოამზადეთ დასარიგებელი მასალა. თუ მოხსენებას სლაიდების მიხედვით აკეთებთ, დაარიგეთ მათი ნაბეჭდი ასლები. შეგიძლიათ, მსმენელს დაურიგოთ, აგრეთვე, ძირითადი საკითხების მონახაზი, სადაც დატოვებულია ცარიელი ადგილები შენიშვნების გასაკეთებლად.

## 13.3 დაგეგმეთ სტენდზე წარმოდგენილი მოხსენება

სტენდზე წარმოდგენილი მოხსენება -- ეს არის ფართო დაფა, რომელზეც წარმოადგენთ კვლევის რეზიუმეს, ყველაზე შესაფერის დამამტკიცებელ ფაქტებთან ერთად. სტენდზე წარმოდგენილი მოხსენების პრეზენტაცია, როგორც წესი, იმართება დერეფნებში ან დიდ ოთახში, სადაც ბევრი სხვა მომხსენებელია. ადამიანები გადაინაცვლებენ ერთი სტენდიდან მომდევნოზე და მომხსენებლებს უსვამენ შეკითხვებს. სტენდზე

წარმოდგენილი მოხსენების გამოყენებით, ხდება წერითი და ზეპირი მოხსენების დადებითი ასპექტების გაერთიანება. ისინი, ვინც კითხულობენ სტენდზე წარმოდგენილ მოხსენებას, უფრო უკეთ დააკვირდებიან მას, ვიდრე მსმენელი, მათ შეუძლიათ დაეყრდნონ თვალსაჩინო ვიზუალურ სიგნალებს, რომლებიც გამოყენებული გაქვთ მასალის ორგანიზებისთვის – უჯრები, ხაზები, ფერები და სხვადასხვა ზომის შრიფტით დაწერილი სათაურები.

შეგიძლიათ სტენდზე წარმოდგენილი მოხსენება ააწყოთ არსებული კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტ საიტების გამოყენებით, რომელთა დახმარებითაც ხარისხიან პროდუქტს შექმნით. თუმცა, რაც შეეხება თავად ტექსტს, მისი მომზადებისას უნდა გაითვალისწინოთ სახელმძღვანელო პრინციპები, რომ ნაშრომის ხმამაღლა წაკითხვა შეძლოთ. მნიშვნელოვანია კიდევ რამდენიმე საკითხის გათვალისწინება:

1. არგუმენტი დაყავით დონეებად. არგუმენტი ვიზუალურად წარმოადგინეთ სამ დონეზე:
   - გამოყავით მოკლე მიმოხილვა ან პრობლემის აღწერა და რეზიუმე სტენდზე წარმოდგენილი მოხსენების ზედა ნაწილში (ჩასვით უჯრაში, გამოიყენეთ დიდი შრიფტი, დ ა.შ.).
   - მის ქვეშ ჩამოთვალეთ ვარაუდები, როგორც ქვესათაურები ნაწილში, სადაც მოცემულია არგუმენტის შეჯამება.
   - ამ ნაწილის ქვეშ ხელახლა განაცხადეთ ვარაუდები და მათ ქვეშ დააჯგუფეთ დამტკიცებელი ფაქტები.

2. განმარტეთ ყველა გრაფიკი და ცხრილი. თითოეულ გრაფიკთან, წარწერის გარდა, დაამატეთ რამდენიმე წინადადება, სადაც ახსნილი იქნება, რა არის მნიშვნელოვანი მონაცემებში და როგორ ამყარებს ისინი ვარაუდს და დებულებას (გადახედეთ 7.7 და 8.3.1).

## 13.4 დაგეგმეთ საკონფერენციო შეთავაზება

კონფერენციებზე სიტყვით გამოსვლა კარგი საშუალებაა ნაშრომის გასაცნობად. თუმცა, იმისთვის, რომ მიგიწვიონ მოხსენებით გამოსასვლელად, ჩვეულებრივ, უნდა წარადგინოთ განაცხადი. ეს წინადადება ნაშრომის სიტყვასიტყვით შეჯამება კი არ

უნდა იყოს, არამედ ინფორმაცია, რომელსაც „ლიფტში ნახევარ წუთში მოუყვებით" ადამიანს – რასაც ეტყოდით ვინმეს, რომელიც ლიფტში შეგხვდებოდათ და ვინც დაინტერესდებოდა და გკითხავდათ: რა სიტყვით გამოდიხართ დღეს? (ფაქტობრივად, დაკვირვებით მომზადებული და გავარჯიშებული „ლიფტში მოყოლილი ამბავი" განსაკუთრებით გამოსადეგია ნაშრომის გარშემო ნებისმიერი საუბრისთვის, განსაკუთრებით ინტერვიუების დროს).

„ლიფტში მოყოლილი ამბავი" შედგება სამი ნაწილისგან:

- პრობლემის განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია პასუხი შეკითხვაზე მერე რა?
- დებულების და ძირითადი ვარაუდების მონახაზი.
- ყველაზე მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი ფაქტების შეჯამება.

კონფერენციაზე მსმენელს ნაკლებად აინტერესებს, რა სიტყვებს იყენებთ; მათთვის უფრო მნიშვნელოვანია გაიგონ, რატომ უნდა მოისმინონ მოხსენება. თქვენი მიზანია, დააყენოთ კვლევის შეკითხვა და პასუხი გასცეთ ოპონენტების შეკითხვაზე: მერე რა? ამდენად, აქცენტი გააკეთეთ იმაზე, რა წვლილი შეაქვს დებულებას საკვლევ სფეროში, განსაკუთრებით, რა არის მასში ნოვატორული ან სადავო. თუ განიხილავთ მანამდე განხორციელებული კვლევის ფარგლებში შესწავლილ საკითხს, აღნიშნეთ ის. შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ თქვენს ახალ მონაცემებზე ან ახალ დებულებაზე, გამომდინარე იქიდან, რომელია უფრო ორიგინალური.

იცოდეთ, რომ ოპონენტებმა ხშირად თქვენზე ნაკლები იციან თემის შესახებ და შეიძლება, დასჭირდეთ დახმარება თქვენი საკითხის მნიშვნელოვნების დანახვისთვის. ამდენად, მას შემდეგაც კი, რაც პასუხს გასცემთ პირველ მერე რა? შეკითხვაზე, კვლავ დასვით და გაეცით მას პასუხი და, თუ შეგიძლიათ, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ იგივე. კონფერენციაზე ისაუბრებთ თუ მხოლოდ მოსმენა მოგიწევთ, დამოკიდებულია არა მხოლოდ კვლევის ხარისხზე, არამედ შეკითხვის მნიშვნელოვნებაზეც.

# 14 კვლევის არსის შესახებ

როგორც აღვნიშნეთ, ჯეროვანი დასკვნის მიღება კვლევის გარდა მრავალი სხვა გზით არის შესაძლებელი: შეგვიძლია, დავეყრდნოთ ინტუიციას, გრძნობას, შინაგან გამჭრიახობასაც კი. თუმცა, ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ამ საშუალებების გამოყენებით დავადგენთ, სუბიექტურია. როდესაც სხვებს ვთხოვთ, ირწმუნონ ჩვენი შეხედულება და იმოქმედონ მის მიხედვით, ჩვენს გრძნობებს ვერ შევთავაზებთ დამამტკიცებელ ფაქტებად; მხოლოდ ის შეგვიძლია, ვთხოვოთ, ენდონ ჩვენს შინაგან გამოცდილებას და დებულებებს.

თუმცა, მეცნიერული ჭეშმარიტებანი და მათი აღმოჩენის გზები საჯარო შესწავლისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. დებულებებს ვაფუძნებთ ყველასთვის ხელმისაწვდომ ფაქტებზე და ლოგიკური მსჯელობის პრინციპებზე, რომლებსაც, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მკითხველი გონივრულად მიიჩნევს. შემდგომ მკითხველი ამ ყოველივეს გამოცდის ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით. შეიძლება, ეს მაღალ სტანდარტს ნიშნავს, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს, თუკი მოველით, რომ სხვები საკუთარ ცოდნას და მოქმედებებს, საკუთარ ცხოვრებასაც კი, დააყრდნობენ იმას, რის დაჯერებასაც ვთხოვთ.

როდესაც აღიარებთ პრინციპებს, რომლებიც აყალიბებს საზოგადოებრივ, ფაქტებზე დაფუძნებულ რწმენას, აღიარებთ კიდევ ორ პრინციპს, რომლებსაც ძნელად თუ ავუვლით გვერდს. პირველი შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას ავტორიტეტულ წყაროსთან. სულ რაღაც ხუთი საუკუნის წინ ცოდნის გაუმჯობესების მიზნით ფაქტობრივი მტკიცებულებების საფუძველზე კვლევის წარმოება ხშირად საფრთხედ აღიქმებოდა. გავლენიან პირთა შორის მრავალს სჯეროდა, რომ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი ცნობილი იყო და რომ მეცნიერის საქმეს მათი შენარჩუნება და გადაცემა წარმოადგენდა და არავითარ შემთხვევაში – მათი ეჭვქვეშ დაყენება. თუ ახალი ფაქტები ეჭვქვეშ აყენებდა დამკვიდრებულ შეხედულებას, როგორც წესი, შეხედულება გადაწონიდა ხოლმე ფაქტებს. მრავალმა, ვინც გაბედა, რომ ფაქტების საფუძველზე მისულიყო ისეთ დასკვნებამდე, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა დამკვიდრებულ აზრს, გადაასახლეს, დააპატიმრეს, რიგ შემთხვევებში, სიკვდილითაც კი დასაჯეს.

დღესაც კი, ადამიანმა, რომელიც ფაქტების საფუძველზე მსჯელობს, შეიძლება, გააღიზიანოს ის, ვინც დამკვიდრებულ შეხედულებას იზიარებს. მაგალითად, ზოგიერთი ისტორიკოსი აცხადებს, რომ არსებული ფაქტების ერთობლიობის საფუძველზე, სავარაუდოდ, თომას ჯეფერსონი თავისი მონის, სალი ჰემინგის შვილებიდან ერთის მამა მაინც იყო. სხვები არ იზიარებენ ამ მოსაზრებას, არა იმიტომ, რომ უკეთესი შემხვედრი ფაქტი გააჩნიათ, არამედ ძლიერად დამკვიდრებული შეხედულების გამო: ჯეფერსონის დონის ადამიანი ასეთ რამეს არ გააკეთებდა (იხ. 5.5). თუმცა, კვლევის სფეროში, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ კვლევაში, კარგი ფაქტობრივი მტკიცებულებები და გონივრული მსჯელობა ყოველთვის გადაწონის დამკვიდრებულ რწმენას, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს.

მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში ჯერ ისევ უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ დამკვიდრებული შეხედულებების დაცვა, ვიდრე მათი შემოწმება. თუმცა, სხვაგვარად ვფიქრობთ ისინი, ვისაც გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია კვლევა: ჩვენ მიგვაჩნია, რომ არათუ შეგვიძლია, არამედ უნდა დავაყენოთ კიდეც კითხვის ნიშნის ქვეშ დამკვიდრებული აზრი, განურჩევლად იმისა, რამდენად ავტორიტეტულ პირს სჯერა მისი – იმ პირობით, რომ პასუხებს დავაფუძნებთ სარწმუნო ვარაუდებზე, რომლებიც, თავის მხრივ, სანდო ფაქტებზე იქნება დამყარებული.

თუმცა, მხოლოდ ეს პრინციპი არ არის საკმარისი. როცა დებულებას წარმოვადგენთ, არათუ უნდა მოველოდეთ, არამედ უნდა ვურჩიოთ კიდეც სხვებს,

ეჭვქვეშ დააყენონ არა მხოლოდ დებულება, ის გზაც კი, რომლის გამოყენებითაც მივედით ამ დებულებამდე, რათა მათ დაგვისვან შეკითხვა: რატომ ფიქრობთ ასე? ასეთი შეკითხვების მოსმენა იშვიათად არის სასიამოვნო. თუმცა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, კეთილგანწყობით მოვისმინოთ საწინააღმდეგო აზრი, ეჭვი და თავშეკავებული შენიშვნა, რომლებიც ერთიანობაში გულისხმობს შემდეგს: *არ ვეთანხმები, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ მჯერა.* რაც უფრო მეტად დავაყენებთ ეჭვქვეშ დამკვიდრებულ შეხედულებებს, მით უფრო მზად უნდა ვიყოთ ასეთი შეკითხვების მისაღებად და მათზე საპასუხოდ, ვინაიდან შეიძლება, ამ კითხვა-პასუხის შედეგად ადამიანებმა უარი თქვან იმ შეხედულებებზე, რისაც ძლიერ სჯერათ.

როდესაც ზოგიერთი სტუდენტი ასეთ წინააღმდეგობებს ხვდება, უჭირს მათთან გამკლავება. ზოგს მიაჩნია, რომ ეჭვქვეშ დაყენება იმისა, რისიც სჯერა, არ არის ჭეშმარიტების აქტიური ძიება, არამედ პირდაპირი თავდასხმაა მათში მყარად ფესვგადგმულ დირებულებებზე. სხვებს ცინიკური სკეპტიციზმი იპყრობს, ეჭვქვეშ აყენებენ ყველაფერს და არაფრის სჯერათ. ადამიანების ნაწილი უაზრო ფარდობითობაში ეშვებიან: „თითოეულ ჩვენგანს აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი შეხედულება. ამდენად, ყველა შეხედულება სწორია მათთვის, ვისაც მისი სჯერა!" მრავალი საერთოდ უარყოფს არა მხოლოდ პასუხებს, რომლებმაც შეიძლება, ეჭვქვეშ დააყენოს მათი შეხედულება, არამედ იმ შეკითხვებსაც, რომლებმაც ეს პასუხი გამოიწვია.

მაგრამ პროფესიულ, სამეცნიერო და სამოქალაქო სფეროებსა და პოლიტიკაშიც კი, გამოცდილების შედეგად მიღებულ ცოდნას და დიდი ძალისხმევით მოპოვებულ შეხედულებას ვერ შეცვლის პირადი მოსაზრება, რელატივისტური შეხედულება ჭეშმარიტების შესახებ, ან მოსახერხებელი, დამკვიდრებული შეხედულება.

ეს არ ნიშნავს, რომ ნაჩქარევად უნდა ვთქვათ უარი დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ და დროის მიერ გამოცდილ შეხედულებებზე. ჩვენ მათ შევცვლით მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვექნება საიმედო არგუმენტები, რომლებიც ემყარება გონივრულ ვარაუდებს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ემყარება საუკეთესო ფაქტებს და კეთილგანწყობილ, იმავდროულად საგულდაგულო აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რომლის დროსაც მაქსიმალურად კრიტიკულად გამოიცდება არგუმენტები. ანუ, მაშინ გავხდებით *პასუხისმგებლობით აღსავსე* დამცველი, როდესაც შეგვეძლება, შევქმნათ საკუთარი გონივრული არგუმენტები, რომელთა გამოყენებითაც გამოიცდება და შეფასდება სხვების დებულებები.

ამ ყველაფრის პრაქტიკული გამოყენება შეიძლება, საკურსო ნაშრომში ვერ იხილოთ. თუმცა, მიუხედავად მშრალი ხასიათისა, ნებისმიერი აუდიტორიისთვის გამიზნული კვლევითი თხზულება არის დიალოგი, რომელიც უნდა იყოს სარწმუნო, ერთობლივი, მაგრამ დეტალური შესწავლა იმისა, რისი უნდა გვჯეროდეს და რისი - არა.

# ნაწილი მეორე

# წყაროების მითითება

## 15. ზოგადი შესავალი წყაროს დამოწმების წესების შესახებ

15.1 რატომ მივუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას
15.2 წყაროს მითითებასთან დაკავშირებული მოთხოვნები
15.2.1 როდის უნდა მივუთითოთ წყარო
15.2.2 რა ინფორმაცია უნდა ჩაირთოს ციტირებაში

15.3 წყაროს დამოწმების ორი სტილი
15.3.1 სქოლიოში მითითების სტილი
15.3.2 ტექსტური მითითების სტილი

15.4 ელექტრონული წყაროების დამოწმება
15.4.1 ინტერნეტწყაროები
15.4.2 სხვა ელექტრონული მატარებლები

15.5 მითითების მომზადება
15.6 მითითების პროგრამების შესახებ

მკვლევრის უპირველესი მოვალეობაა სწორად მოიყვანოს ფაქტები, მერე კი უთხრას მკითხველს, სად მოიპოვა ისინი. ამისათვის მკვლევარმა უნდა მიუთითოს ის წყაროები, საიდანაც მოიპოვა ფაქტები, იდეები ან სიტყვები, რომლებსაც იყენებს ნაშრომში.

### 15.1 რატომ მივუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას

წყაროს დამოწმებას ვახდენთ, სულ ცოტა, ოთხი მიზეზის გამო:

1. *ჯეროვნად დაფასების მიზნით.* კვლევა არ არის მარტივი საქმე. ის, ვინც კარგად ახორციელებს კვლევას, იღებს კონკრეტულ ჯილდოს – თანხას, დაწინაურებას, კარგ ნიშანს, დიპლომს და ა.შ. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია აღიარება, კმაყოფილება და ავტორიტეტი, როდესაც ვინმეს სახელი ასოცირდება ცოდნასთან, რომელსაც სხვები აფასებენ და იყენებენ. ზოგიერთი მკვლევრისთვის ეს ერთადერთი გასამრჯელოა. ამდენად, სხვისი ნაშრომის დამოწმებისას ავტორის მიმართ გამოხატავთ პატივისცემას, რომელიც მან დაიმსახურა. (აგრეთვე, თავს იცავთ პლაგიატის ბრალდებისგან; იხ. 7.9.)

2. *მკითხველის დასარწმუნებლად ფაქტების სიზუსტეში.* მკვლევრები წყაროების ციტირებას ახდენენ, რათა სხვა მკვლევრებს სამართლიანად მოექცნენ, აგრეთვე, რათა მოიპოვონ მკითხველის ნდობა. მხოლოდ ფაქტების სწორად მოყვანა არ არის საკმარისი. მკითხველს უნდა აცნობოთ იმ წყაროს შესახებაც, საიდანაც ეს ფაქტები მოიყვანეთ, რათა მათ შეძლონ ფაქტების სანდოობის შეფასება, თუნდაც, გადამოწმება, თუ ამის სურვილი გაუჩნდებათ. მკითხველი არ ენდობა წყაროს, რომელიც მისთვის უცნობია და რომელსაც ვერ მოძებნის. თუ მკითხველი არ ენდობა თქვენს მიერ დამოწმებულ წყაროს, არ ირწმუნებს არც თქვენს მიერ მოყვანილ ფაქტებს; და თუ ფაქტებს არ ირწმუნებს, არ დაიჯერებს თქვენს არგუმენტს. წყაროების სრულად, ზუსტად და სათანადოდ დამოწმება პირველი ნაბიჯია მკითხველის ნდობის მოპოვებისკენ.
3. *მკითხველისთვის კვლევის იმ ტრადიციის საჩვენებლად, რომელსაც ემყარება თქვენი ნაშრომი.* მკვლევრები იმ წყაროებს მიუთითებენ, რომლის მონაცემებსაც იყენებენ; ამას გარდა, ისინი მიუთითებენ იმ ნაშრომს, რომელსაც ავრცობენ, ამყარებენ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ან ასწორებენ. ეს მითითება ეხმარება მკითხველს არა მხოლოდ თქვენი, კონკრეტული ნაშრომის გაგებაში, არამედ მის დაკავშირებაში შესაბამისი სფეროს სხვა კვლევებთან.
4. *რათა მკითხველს შეუწყოთ ხელი, რომ მისდიოს ან განავრცოს თქვენი კვლევა.* ბევრი მკითხველი კვლევით ნაშრომში მითითებულ წყაროებს იყენებს არა ნაშრომის სანდოობის შესამოწმებლად, არამედ საკუთარი პროექტის განსახორციელებლად. ამდენად, თქვენი ციტირებები დაეხმარება სხვებს არა მხოლოდ თქვენი გზის გაგრძელებაში, არამედ კვლევების ახალი მიმართულებით განხორციელებაშიც.

## 15.2 წყაროს მითითებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

წყაროს დამოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოთ, უნდა იცოდეთ, როდის უნდა ჩართოთ ნაშრომში წყაროს შესახებ მითითება და წყაროს შესახებ რა ინფორმაცია შეიტანოთ მასში.

### 15.2.1 როდის უნდა მივუთითოთ წყარო

მეშვიდე თავში, კერძოდ, 7.9 პუნქტში, დეტალურად არის განხილული, როდის უნდა გააკეთოთ ციტირება სხვა წყაროებიდან გამოყენებული მასალებისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ციტირება აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც წყაროდან *ციტატა სიტყვასიტყვით* მოგყავთ (იხ., აგრეთვე, 25-ე თავი ციტატების შესახებ).
- როდესაც აკეთებთ იდეების პერიფრაზს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ წყაროსთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზუსტად წყაროში გამოყენებულ სიტყვებს არ იყენებთ.
- როდესაც იყენებთ ნებისმიერ იდეას, მონაცემს ან მეთოდს, რომელიც შეიძლება, მიეკუთვნოს ნებისმიერ წყაროს, რომელსაც გაეცანით.

როგორც 15.1 პუნქტში აღვნიშნეთ, ციტირება შეგიძლიათ, გამოიყენოთ, აგრეთვე, იმისათვის, რომ მკითხველის ყურადღება მიაპყროთ წყაროებს, რომლებიც შეესაბამება თქვენი არგუმენტის კონკრეტულ ნაწილს, მაგრამ როდესაც არ მოგყავთ ციტატა ან პერიფრაზი ამ წყაროდან. ასეთი მითითებები მიანიშნებს იმაზე, რომ იცნობთ ამ წყაროებს, მიუხედავად იმისა, რომ მათში მოცემულია დებულებები, რომლებიც არ ემთხვევა თქვენსას.

15.2.2 რა ინფორმაცია უნდა ჩაირთოს ციტირებაში

წყაროების დამოწმების ხანგრძლივი ტრადიციის განმავლობაში, როდესაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკვლევრებმა დაიწყეს სხვადასხვანაირად წერა, მათ შეიმუშავეს, აგრეთვე, წყაროების მითითების და დოკუმენტირების თავისებური გზები. მას შემდეგ, რაც მოხდა წყაროს მითითების მეთოდების სტანდარტიზაცია, მკვლევრებს უწევთ არა მხოლოდ ერთი ან ორი სტანდარტიდან, არამედ სხვადასხვა სტანდარტებიდან მათთვის შესაფერისი მეთოდის ამორჩევა.

წყაროს დამოწმების სტილები განსხვავდება მათში ჩართული ელემენტებით და ამ ელემენტების ფორმატით. თუმცა, მათ ერთი მიზანი აერთიანებს: მკითხველისთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სჭირდებათ წყაროს ამოსაცნობად და მოსაძიებლად. წყაროების უდიდესი ნაწილის, მათ შორის, წიგნების, სტატიების, გამოუქვეყნებელი დოკუმენტების, ინტერნეტში განთავსებული წყაროების და სხვა წერილობითი მასალების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს პასუხებს შემდეგ შეკითხვებზე:

- ვინ დაწერა თხზულება, ვინ ჩაუტარა რედაქტირება ან თარგმნა ტექსტი (ზოგჯერ, ვინ გააკეთა ეს ყველაფერი)?
- რა მონაცემებით შეიძლება ტექსტის ამოცნობა? ეს მოიცავს თხზულების სათაურს და ქვესათაურს; ჟურნალის, კრებულის ან იმ სერიების სათაურს, სადაც ის არის შეტანილი, აგრეთვე, ტომის ნომერს, გამოცემის ნომერს ან სხვა ინფორმაციას, რომლის მიხედვით შესაძლებელია მისი დადგენა; ასევე, გვერდის ნომრებს, ინტერნეტ მისამართს ან სხვა ინფორმაციას ადგილის შესახებ, თუ მითითება კეთდება შედარებით ვრცელი ტექსტის კონკრეტულ ნაწილზე.
- ვინ და როდის გამოაქვეყნა ტექსტი? ეს მოიცავს გამომცემლობის დასახელებას, პუბლიკაციის ადგილსა და თარიღს ან მითითებას, რომ დოკუმენტი არ არის გამოქვეყნებული.

სხვა წყაროებისთვის, როგორიცაა აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, განსხვავებული დეტალების მითითებაა საჭირო. თუმცა, ინფორმაცია მათ შესახებაც უნდა გვაძლევდეს პასუხს იმავე შეკითხვებზე: ვინ დაწერა, ვინ ჩაუტარა რედაქტირება, თარგმნა ან შეადგინა წყარო? რა მონაცემებით შეიძლება წყაროს პოვნა? ვინ გამოაქვეყნა და როდის?

მკითხველი მოელის, რომ გამოიყენებთ წყაროს დამოწმების იმ სტილს, რომელიც შეესაბამება მათ კონკრეტულ სფეროს არა, უბრალოდ, იმიტომ, რომ

მათთვის ეს სტილი ნაცნობია, არამედ იმის გამო, რომ მისი გამოყენებით, აჩვენებთ მკითხველს, რომ იცნობთ მათ ღირებულებებს და წესებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დეტალები მარტივი არ არის: როდის უნდა გამოიყენოთ ასომთავრული, წერტილები, მძიმე, როდის უნდა გამოტოვოთ ადგილი. თუმცა, თუ ამ მცირე ელემენტებს სწორად არ ასახავთ, მკითხველთა დიდ ნაწილს გაუჩნდება ეჭვი, რამდენად შეიძლება თქვენი ნდობა უფრო მასშტაბურ საკითხებში. მკვლევრების უმრავლესობა არ ცდილობს ამ დეტალების დაზეპირებას. ისინი, უბრალოდ, სწავლობენ წყაროს დამოწმების იმ ფორმას, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ, რათა გამუდმებით არ მოუწიოთ შესაბამისი წესების მოძებნა. ხოლო იმ წყაროების მითითების დროს, რომლებიც ნაკლებ გავრცელებულია ან უჩვეულო ელემენტებს შეიცავს, ხელმძღვანელობენ ამ წიგნის მსგავსი სახელმძღვანელოთი.

## 15.3 წყაროს მითითების ორი სტილი

წინამდებარე წიგნში განხილულია წყაროს მითითების ორი ყველაზე გავრცელებული ფორმა. ერთ მათგანს ეწოდება სქოლიოში მითითების სტილი (რომელიც ფართოდ გამოიყენება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ზოგჯერ სოციალურ მეცნიერებებში) და მეორეს – ტექსტური მითითების სტილი (რომელიც, ძირითადად, გამოიყენება სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში). თუ დარწმუნებული არ ხართ, რომელი სტილი გამოიყენოთ ნაშრომში, რჩევისთვის მიმართეთ ინსტრუქტორს.

შესაძლოა, სხვადასხვა შემთხვევაში (მაგალითად, ხელოვნების ისტორიის კურსსა და პოლიტიკურ მეცნიერებათა კურსში) სხვადასხვა სტილის გამოყენება მოგთხოვონ. თუმცა, კონკრეტულ ნაშრომში თანმიმდევრულობა დაიცავით და ერთი სტილი გამოიყენეთ.

თუ კვლევით სფეროში მოღვაწეობა ახალი დაწყებული გაქვთ, გაეცანით ამ ნაწილს, სადაც მოკლედ არის აღწერილი წყაროს მითითების ორი სტილის გამოყენების პრინციპები. შემდეგ, თუ სქოლიოში მითითების სტილს იყენებთ, გაეცანით მე-16 თავს, სადაც იხილავთ ამ სტილის მიმოხილვას და გაეცანით მე-17 თავს, სადაც იხილავთ დეტალურ სახელმძღვანელო პრინციპებსა და მაგალითებს, როგორ გააკეთოთ წყაროების უმეტესი სახეობების ციტირება. თუ სქოლიოში მითითების სტილს იყენებთ, ამ სტილის მიმოხილვა და დეტალური განხილვა, შესაბამისად, წარმოდგენილია მე-18 და მე-19 თავებში.

### 15.3.1 სქოლიოში მითითების სტილი

როდესაც სქოლიოში მითითების სტილით აკეთებთ ციტირებას, წყაროს მიანიშნებთ იმ წინადადების ბოლოში ინდექსის დასმით, რომელშიც მოიხსენიებთ წყაროს:

ის აცხადებს, რომ „გაურკვევლობებით მოცულ სამყაროში ნაბეჭდი მასალების მძლავრი ინსტრუმენტის სახით გამოყენება შეიძლება.”[1]

შემდეგ სათანადოდ დანომრილ შენიშვნაში მიუთითებთ ამ ციტატის წყაროს. მითითებაში მოცემულია ინფორმაცია წყაროს შესახებ (ავტორი,

სათაური და ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ), აგრეთვე, მიუთითებთ შესაბამისი გვერდის ნომრებს. შენიშვნები იბეჭდება გვერდის ქვედა ნაწილში (ეწოდება სქოლიოები) ან ნაშრომის ბოლოში, სიის სახით (ეწოდება შენიშვნები). ყველა შენიშვნას ერთიდაიგივე ზოგადი ფორმა აქვს:

N: 1. Adrian Johns, *The Nature of The book: Print and Knowledge in Making* (Chicago: University of Chicago Press, 1998), 623.
N: 1. ადრიან ჯონსი, *წიგნის ბუნება: გამომცემლობა და ცოდნის შექმნის პროცესი* (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998), 623.

თუ იმავე ტექსტს ისევ მიუთითებთ, შეგიძლიათ, შემდგომი შენიშვნები შეამოკლოთ:

N: 5. Johns, *Nature of The book, 384-385.*
N: 5. ჯონსი*, წიგნის ბუნება*, 384-385

უმეტეს შემთხვევებში წყაროებს მიუთითებთ, აგრეთვე, ნაშრომის ბოლოში, ბიბლიოგრაფიის ნაწილში. ეს ჩამონათვალი, ჩვეულებრივ, მოიცავს თითოეულ წყაროს, რომელიც მითითებული გაქვთ შენიშვნაში და ზოგჯერ სხვა წყაროებს, რომლებსაც გაეცანით, მაგრამ არ მიუთითეთ. ბიბლიოგრაფიაში მითითებული თითოეული ერთეული მოიცავს იგივე ინფორმაციას, რასაც სრული შენიშვნა, თუმცა, ის ოდნავ განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი:

N: Johns, Adrian, *The Nature of The book: Print and Knowledge in Making*. Chicago: University of Chicago Press, 1988.
N: ჯონსი, დრიან, *წიგნის ბუნება: გამომცემლობა და ცოდნის შექმნის პროცესი*. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

### 15.3.2 ტექსტური მითითების სტილი

ტექქტსტური მითითების სტილის გამოყენებისას წყაროს გამოყენების შესახებ მინიშნებას აკეთებთ ჩართული ციტირებით (ავტორი, თარიღი და შესაბამისი გვერდის ნომრები). ჩართულ ციტირებას ურთავთ ციტატის შემდგომ.

ის აცხადებს, რომ „გაურკვევლობებით მოცულ სამყაროში, ნაბეჭდი მასალების მძლავრი ინსტრუმენტის სახით გამოყენება შეიძლება." (Johns, 1998, 623).

ნაშრომის ბოლოს, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში აღნიშნავთ ყველა წყაროს. ეს ჩამონათვალი, როგორც წესი, მოიცავს ნებისმიერ წყაროს, რომელიც მითითებული გაქვთ ფრჩხილებში ჩასმულ ციტირებაში და ზოგჯერ სხვა წყაროებსაც, რომლებსაც გაეცანით, მაგრამ ციტირება არ მოგიხდენიათ. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის თითოეული სტატია მოიცავს სრულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას წყაროს შესახებ, ვინაიდან ეს

ინფორმაცია არ არის ჩართულ ციტირებაში. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის ყველა ერთეულს ერთი და იგივე ზოგადი ფორმა აქვს:

N: Johns, Adrian. 1998. *The Nature of The book: Print and Knowledge in Making*. Chicago: Univ. of Chicago Press.
N: ჯონსი, დრიან. 1998. *წიგნის ბუნება: გამომცემლობა და ცოდნის შექმნის პროცესი.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივ. გამომც.

## 15.4 ელექტრონული წყაროების დამოწმება

ბეჭდვით ეპოქაში განვითარდა ციტირების სტანდარტული ფორმები. თუმცა, მკვლევრები ახლა სულ უფრო მეტად ეყრდნობიან წყაროებს, რომლებიც ინტერნეტში ან სხვა ელექტრობულ წყაროზეა განთავსებული. წყაროების ეს ახალი ფორმა უკვე საკმარისად დიდი ხანია არსებობს საიმისოდ, რომ მკვლევრებს შეექმნათ სტანდარტული ციტირების ფორმები, რომლებიც მისადაგებულია მათ სპეციალურ მახასიათებლებზე, განსაკუთრებით, მათ დროებით და ცვალებად ხასიათზე.

### 15.4.1 ინტერნეტში განთავსებული წყაროები

წყაროები, რომლებიც ინტერნეტშია განთავსებული, თავისთავად, ნაკლებად მდგრადია, ვიდრე ნაბეჭდი წყაროები.

- ინტერნეტში განთავსებული მასალების შეცვლა ძალიან იოლია, ხშირად არც იმას მიუთითებენ, რომ მასალაში ცვლილებები შეიტანეს. ზოგიერთ საიტზე მითითებულია ცვლილების შეტანის თარიღი, თუმცა, ბევრი ამას არ მიანიშნებს. არ არსებობს სტანდარტები იმის განსასაზღვრად, თუ რა მოცულობის ცვლილება ითვლება შესწორებად, ამდენად, ცვლილებების შეტანის თარიღი ერთ ვებსაიტზე შეიძლება, გულისხმობდეს მართლწერის შეცდომის გასწორებას, მეორეში კი, ფაქტობრივი მონაცემების ან დებულებების ცვლილებას.
- მრავალ ვებსაიტზე არ არის მითითებული ავტორი, გამომცემელი ან სპონსორი. ამის გამო ასეთი წყაროები უთანაბრდება სხვა ანონიმურ წყაროებს და სერიოზული დაკონკრეტების გარეშე ნაკლებ სავარაუდოა, სერიოზული გამოყენებისთვის რომ სანდო იყოს (იხ. 3.4.3).
- ინტერნეტში განთავსებული მასალა შეიძლება, იმავდროულად ხელმისაწვდომი იყოს ერთზე მეტი საიტიდან, ზოგი მათგანი უფრო საიმედოა, ვიდრე სხვა.
- ინტერნეტში განთავსებული წყაროების უმეტესობა განთავსებულია URL-ზე (რესურსის სტანდარტული ლოკატორი). თუმცა URL-ები ცვალებადია. არ არსებობს იმის გარანტია, რომ URL არ შეიცვლება თვეების, კვირების ან, თუნდაც, დღეების შემდეგ. ეს კი ართულებს ან შეუძლებელს ხდის, რომ თქვენ ან მკითხველმა მოიძიოთ მასალა, რომელსაც თავდაპირველად გაეცანით.

კვლევაში გამოსაყენებლად დაკვირვებით შეარჩიეთ ინტერნეტში განთავსებული წყაროები. როდესაც ინფორმაცია განთავსებულია რამდენიმე ვებსაიტზე ან ონლაინ რეჟიმში, ან კიდევ ბეჭდურ გამოცემაში, არჩევანი გააკეთეთ ყველაზე მდგრად და სანდო ვარიანტზე, რომელზეც მიგიწვდებათ ხელი და ყოველთვის მიუთითეთ, რომელი ვერსია გამოიყენეთ.

წყაროების ორი კატეგორია. ამ წიგნში განხილული ციტირების ორივე სტილისთვის ინტერნეტში განთავსებული წყაროები ორ კატეგორიად იყოფა.

1. ინტერნეტში განთავსებული მრავალი წყარო არაფრით განსხვავდება ნაბეჭდი წყაროსგან, გარდა გამოქვეყნების ადგილისა – მაგალითად, ინერნეტ-ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ნაბეჭდ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისგან. ამ სახის სხვა წყაროებს შორის არის ინტერნეტში განთავსებული წიგნები, გაზეთები და საჟურნალო სტატიები და საჯარო დოკუმენტები. ინტერნეტში განთავსებულ წყაროზე მითითება გააკეთეთ ამ სახის ნაბეჭდი წყაროს მსგავსად – თავდაპირველად მიუთითეთ სტანდარტული მონაცემები პუბლიკაციის შესახებ (ავტორის სახელი, სახელწოდება, თარიღი და ა.შ.). მითითების ბოლოს დაამატეთ URL მისამართი და თარიღი, როდესაც მასალას გაეცანით (იხ. ქვემოთ). მე-17 თავში (სქოლიოში მითითების სტილისთვის) და მე-19 თავში (ტექსტური მითითების სტილისთვის) შეგიძლიათ, იხილოთ მაგალითები შესაბამისი სახის წყაროსთვის მსგავსი დეტალების მითითების შესახებ.

2. ინტერნეტში განთავსებული სხვა სახის წყაროები, ორგანიზაციის ან კერძო ვებსაიტები და ელექტრონული ფოსტის ადრესატების სიები, მხოლოდ ამ მატარებლისთვის არის დამახასიათებელი. იმის გამო, რომ ამ წყაროების შესახებ არ მოიპოვება პუბლიკაციის სტანდარტული მონაცემების უმეტესობა, ისინი მიიჩნევა „არაოფიციალურად გამოქვეყნებულად." ასეთი წყაროს ციტირებისთვის უნდა წარმოადგინოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია წყაროს შესახებ, URL მისამართსა და წვდომის თარიღთან ერთად (იხ. ქვემოთ). ამ ინფორმაციის ციტირების მაგალითები მოცემულია 17.7 პუნქტში (სქოლიოში მითითების სტილისთვის) და 19.7 (ტექსტური მითითების სტილისთვის).

URL მისამართები, წყაროს მუდმივი ატრიბუტები და წვდომის თარიღები. მიუხედავად იმისა, რომ URL მისამართი არ გამოირჩევა მდგრადობით, ის ინტერნეტში განთავსებული მასალის ძირითადი მისამართია. ინტერნეტში განთავსებული თითოეული წყაროს ციტირება, რომლის პოვნა URL მისამართით შეიძლება, უნდა მოიცავდეს URL მისამართს, მას შემდეგ, რაც მიეთითება ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ. თუ წყაროში გამოყენებულია ციფრული ობიექტის ატრიბუტის (DOIs) ან მუდმივი ატრიბუტის სხვა სისტემა, ნაცვლად URL მისამართისა, გამოიყენეთ შესაბამისი მისამართი თქვენს ციტირებაში. URL მისამართების ან სხვა ატრიბუტების მითითების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ 17.1.7 პუნქტს (სქოლიოში მითითების სტილისთვის) ან 19.1.8 (ტექსტური მითითების სტილისათვის) პუნქტს.

გარდა ამისა, თითოეული მითითება ინტერნეტში განთავსებული წყაროს შესახებ უნდა მოიცავდეს თარიღს, როდესაც ბოლოს გახსენით მასალა. თუ წყარო შეცვლილი ან ამოღებულია ინტერნეტიდან, ეს თარიღი უფრო ზუსტად ასახავს იმ ვარიანტს, რომელიც თქვენ გამოიყენეთ, ვიდრე URL მისამართი ან მხოლოდ სხვა ატრიბუტი. აგრეთვე, შეგიძლიათ, ინტერნეტში განთავსებული წყარო, რომლის ციტირებასაც აპირებთ, ჩაწეროთ მყარ დისკზე ან კომპაქტურ დისკზე, რათა გქონდეთ საიმედო ასლი, რომლიც ნახვაც თქვენ ან თქვენს მკითხველს მოგვიანებით შეეძლება. მე-17 და მე-19 თავებში წარმოდგენილია ციტირებებში წვდომის თარიღების მითითების არა ერთი მაგალითი.

საიტები, რომლებიც საჭიროებს ხელმოწერას ან რომლებზე წვდომაც შეზღუდულია. ინტერნეტში განთავსებულ მრავალ მონაცემთა ბაზაზე, ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებზე წვდომა მხოლოდ ხელმოწერის გზით არის შესაძლებელი. ანალოგიურად, ზოგიერთ ვებსაიტზე და ვებლოგებზე წვდომა ეძლევა მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც დარეგისტრირებულია ან სხვაგვარად მოიპოვა წვდომის უფლება. ასეთი წყაროების ციტირებისას არ არის საჭირო, მიუთითოთ „საჭიროებს ხელმოწერას" ან „შეზღუდული წვდომა"; უბრალოდ, მიუთითეთ URL მისამართი და წვდომის თარიღი, როგორც ნებისმიერი სხვა ინტერნეტ წყაროს შემთხვევაში მოიქცეოდით.

15.4.2 სხვა ელექტრონული მატარებლები

სხვა ელექტრონულ მატარებელზე, როგორიცაა CD-ROM-ები, ჩაწერილი წყაროები ინტერნეტში განთავსებულ წყაროებზე უფრო მდგრადია. იმ წყაროების ციტირება, რომლებიც ტირაჟირდება და ვრცელდება, გამოქვეყნებული წიგნების მსგავსად უნდა მოხდეს, მხოლოდ უნდა დაემატოს ინფორმაცია მატარებლის შესახებ; იხ. 17.5.8 (ბიბლიოგრაფიის სტილისთვის) ან 19.5.8 (გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის სტილისთვის).

თუ წყარო განთავსებულია ერთზე მეტ ელექტრონულ მატარებელზე (მაგ., ინტერნეტში და CD-ROM-ზე) ან არსებობს როგორც ელექტრონული, ისე ნაბეჭდი სახით, გამოიყენეთ ყველაზე მდგრადი ვარიანტი და ყოველთვის გააკეთეთ მითითება გამოყენებულ ვარიანტზე.

## 15.5 წყაროს მითითების მომზადება

მითითების მომზადების და შემოწმების პროცესი შეგიძლიათ, გაიმარტივოთ, თუ გეცოდინებათ, რა დაგჭირდებათ.

- გამოიყენეთ ყველაზე სანდო წყაროები, მათი ყველაზე სანდო ვერსია. თუ იპოვით მეორე ან მესამე რიგის ინფორმაციას, მოიძიეთ წყაროს ორიგინალი.
- თუ წყაროს მრავალი ვარიანტი არებობს, ყოველთვის მიუთითეთ ის, რომელიც გამოიყენეთ. ვარიანტებს შორის შეიძლება, იყოს მცირე, თუმცა,

მნიშვნელოვანი განსხვავება, რამაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ციტატების სიზუსტეზე ან სხვა მითითებებზე.

- ჩაინიშნეთ ყველა ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, ვიდრე ჩანაწერებს გააკეთებდეთ. იხ. სურათი 16.1 (სქოლიოში მითითების სტილისთვის) ან ნახატში 18.1 (ტექსტური მითითების სტილისთვის) წარმოდგენილი ნიმუშები, სადაც ნაჩვენებია, რა ინფორმაცია არის საჭირო რამდენიმე გავრცელებული სახის წყაროებისთვის.
- თითოეული ციტატის ან პერიფრაზისთვის ჩაიწერეთ გვერდების ნომრები.
- შავი ნაწერის შექმნისას გარკვევით გამოყავით თითოეული ადგილი, სადაც შეიძლება, დაგჭირდეთ წყაროდან ციტირება. გაცილებით მარტივია არასაჭირო ციტატის ამოშლა შესწორებისას, ვიდრე იმის გახსენება, სად გამოიყენეთ სხვისი აზრი.
- როდესაც შავ ნაწერს საბოლოო სახით ჩამოაყალიბებთ, გადახედეთ მე-17 და მე-19 თავებს, რათა უზრუნველყოთ, რომ თითოეული ციტირება სწორი ფორმით იყოს წარმოდგენილი. ყურადღება მიაქციეთ პუნქტუაციას და ინტერვალებს.
- ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის შეკრება შეგიძლიათ ან წყაროების გამოყენებისას, ან შავი ნაწერის შექმნის და შესწორების დროს. აუცილებლად ყურადღებით შეამოწმეთ თითოეული დეტალი.

თითოეული ციტატის მითითების სწორად ჩამოყალიბება შეიძლება, მოსაწყენი სამუშაო იყოს. თუმცა, კვლევის ყოველი სხვა ფაზის მსგავსად, თუ იცით, რა გჭირდებათ და თავიდანვე მართავთ პროცესს, შეძლებთ კვლევის ამ ყველაზე ნაკლებ სახალისო ნაწილის სწრაფად, მარტივად და საიმედოდ დასრულებას.

## 15.6 მითითების პროგრამების შესახებ

კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი კომპანიები გვთავაზობენ სხვადასხვა პროგრამას, რომლებიც აკაბადონებს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას წყაროს მითითების კონკრეტული სტილის მიხედვით. მათ შორისაა სტილები, რომლებიც მომდევნო თავებშია განხილული. თუ ასეთ პროგრამას გამოიყენებთ, შეიძლება, დრო დაზოგოთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტილის ძირითადი პრინციპები არ უნდა იცოდეთ. ამას გარდა, წყაროების მითითებისა და ბიბლიოგრაფიის მართვის პროგრამები სხვადასხვა ხარისხისაა და შესაძლოა, არ შეიცავდეს იმ მცირე ცვლილებებს ციტირების სტილებში, რომლებიც დროთა განმავლობაში შემოდის (მაგ., განსხვავებული ელექტრონული წყაროების დამატება). თუ ასეთ პროგრამას იყენებთ, ყოველთვის უნდა შეამოწმოთ პროგრამის მიერ დაკაბადონებული ციტირებების სიზუსტე და სრულყოფილება.

# 16 სქოლიოში მითითების სტილი:

სტანდარტული ფორმატი

**16.1 სტანდარტული სისტემა**

16.1.1 ელემენტების თანმიმდევრობა

16.1.2 პუნქტუაცია

16.1.3 მთავრული ასოების გამოყენება

16.1.4 სათაურების გაფორმება

16.1.5 რიცხვები

16.1.6 აბრევიატურები

16.1.7 აბზაცის შეწევა

**16.2 ბიბლიოგრაფიები**

16.2.1 ბიბლიოგრაფიების სახეები

16.2.2 მუხლების დალაგება

16.2.3 **წყაროები, რომელთა გამოტოვება შეიძლება**

**16.3 შენიშვნები**

16.3.2 სქოლიოები და ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები

16.3.3 შენიშვნების დანომვრა

16.3.4 შენიშვნების დაფორმატება

16.3.5 კომპლექსური შენიშვნები

**16.4 შენიშვნების შემოკლებული ფორმები**

16.4.1 შემოკლებული შენიშვნები

16.4.2 იქვე (Ibid.)

16.4.3 ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები

ჰუმანიტარულ და ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებაში გამოიყენება სქოლიოში მითითების სტილი. ამ თავში მიმოხილულია სქოლიოში მითითების სტილში მითითების სტანდარტული სისტემა, მათ შორის ბიბლიოგრაფიის მუხლები, სრული შენიშვნები, შემოკლებული შენიშვნები და ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები. შენიშვნების

მაგალითები აღნიშნულია „შ:”-თი; ბიბლიოგრაფიის მუხლების მაგალითები აღნიშნულია „ბ”-თი.

სქოლიოში მითითების სტილის გამოყენებისას წყაროს შესახებ მინიშნებას აკეთებთ ზედა ინდექსის დასმით იმ წინადადების ბოლოს, რომელშიც მითითებული გაქვთ აღნიშნული წყარო:

ერთი მეცნიერის თქმით, „რკინიგზის გაყვანის შედეგად, ჩიკაგო აღმოსავლელებისა და დასავლელების შეხვედრების უმნიშვნელოვანესი ადგილი გახდა.”[4]

შემდეგ აკეთებთ მითითებას შესაბამისი ციტატის წყაროზე სათანადოდ დანომრილი შენიშვნის მეშვეობით, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია წყაროს შესახებ (ავტორი, სათაური და ინფორმაცია პუბლიკაციაზე), აგრეთვე, შესაბამისი გვერდის ნომრები. შენიშვნები იბეჭდება გვერდის ბოლოს (ეწოდება სქოლიო) ან ჩამონათვალში, რომელიც ჩატანილია ნაშრომის ბოლოს (ეწოდება ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები). ყველა შენიშვნას აქვს ერთნაირი ზოგადი ფორმა:

შ: 4. უილიამ ქრონონი, *ბუნების მეგაპოლისი: ჩიკაგო და დიდი დასავლეთი* [ნიუ-იორკი: გამომცემლობა ნორტონი და კომპანია, 1991], 92-93

თუ კვლავ აკეთებთ მითითებას იმავე ტექსტზე, შეგიძლიათ მომდევნო შენიშვნების შემოკლება:

შ: 8. ქრონონი, *ბუნების მეგაპოლისი,* 383.

უმეტეს შემთხვევაში, ნაშრომის ბოლოს, ბიბლიოგრაფიაში წარმოადგენთ, აგრეთვე, წყაროების ჩამონათვალს. ეს ჩამონათვალი, როგორც წესი, მოიცავს თითოეულ წყაროს, რომელიც მითითებული გაქვთ შენიშვნაში, ზოგჯერ სხვა წყაროებსაც, რომლებსაც გაეცანით, თუმცა, მითითებული არ გაქვთ. ბიბლიოგრაფიის თითოეული მუხლი მოიცავს იგივე ინფორმაციას, რომელიც ჩართულია სრულ შენიშვნაში, თუმცა, წარმოდგენილია ოდნავ განსხვავებული ფორმით:

შ: ქრონონი, უილიამ. *ბუნების მეგაპოლისი: ჩიკაგო და დიდი დასავლეთი.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა ნორტონი და კომპანია, 1991.

მკითხველი ელის, რომ ზედმიწევნით დაიცავთ ციტირების ამ წესებს. ისინი შეეხება არა მხოლოდ ჩასართავ ინფორმაციას და ამ მონაცემების თანმიმდევრობას, არამედ, აგრეთვე, პუნქტუაციას, მთავრული ასოების გამოყენებას, დახრილი შრიფტის გამოყენებას და ა.შ. წყაროს მითითება რომ სწორად გააფორმოთ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ წვრილმან დეტალებს, რომლებიც მკვლევართა დიდი ნაწილისთვის იოლად დასამახსოვრებელი არ არის. მომდევნო თავში მოცემულია მზა გზამკვლევი ამ დეტალებთან დაკავშირებით.

## 16.1 სტანდარტული სისტემები

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს წყაროების და მათი მითითების უამრავი ფორმა, სავარაუდოდ, მხოლოდ რამდენიმე სახის გამოყენება მოგიწევთ. უჩვეულო წყაროების ციტირებისას შეიძლება, დაგჭირდეთ მითითებასთან დაკავშირებული დეტალების მოძიება. თუმცა, ციტირების იმ სახეებისთვის, რომლებსაც ყველაზე ხშირად გამოიყენებთ, იოლად შეგიძლიათ, ისწავლოთ სტანდარტული სისტემები. შემდეგ შეძლებთ შაბლონების შექმნას, რომელთა დახმარებითაც მოახერხებთ კითხვის პროცესში ბიბლიოგრაფიული მონაცემების სწრაფად და საიმედოდ ჩაწერას.

ამ ქვეთავის დანარჩენ ნაწილში აღწერილია სტანდარტული სისტემები. 16.1 ნახატში კი წარმოდგენილია ნიმუშები და მაგალითები ფართოდ გავრცელებული სახის წყაროებისთვის. მე-17 თავში მოცემულია მთელი რიგი წყაროების მაგალითებისა, მათ შორის, გამონაკლისები აქ განხილული სისტემებიდან.

## ნახატი 16.1 შენიშვნების და ბიბლიოგრაფიის მუხლების ნიმუშები

ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში ნაჩვენებია, რომელი ელემენტები უნდა ჩაირთოს შენიშვნებში (შ) და ბიბლიოგრაფიებში (ბ) წყაროების რამდენიმე გავრცელებული სახის ციტირებისას; ნაჩვენებია, აგრეთვე, მათი თანმიმდევრობა. ასევე, ნაჩვენებია პუნქტუაცია და ელემენტების გაფორმება. რუხი ფერით დაჩრდილული ტექსტი აღნიშნავს შემოკლებას (ან მათ განმარტებას) და სხვა ტერმინებს. XX აღნიშნავს ციტირებული

ტექსტის გვერდის ნომრებს, YY აღნიშნავს სტატიის ან თავის გვერდების სრულ დიაპაზონს.

მაგალითები, განმარტებები და ვარიანტები დამატებით იხ. მე-17 თავში. შემოკლებული შენიშვნების ფორმების ნიმუშები იხ. 16.2 ნახატში.

წიგნები

**1. ერთი ავტორი ან რედაქტორი**

**შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური* (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის დასახელება, გამოცემის თარიღი), XX-XX.**

1. ჯარედ დაიამონდი, *იარაღი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანების ბედისწერა* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა "ნორტონი და კომპანია", 1997), 47-48.

**ბ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.**

დაიამონდ, ჯარედ. *იარაღი, ბაქტერიები, და ფოლადი: ადამიანების ბედისწერა.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა "ნორტონი და კომპანია", 1997.

იმ წიგნის მითითებისას, რომელსაც ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს, სქემა ასე შეცვალეთ:

**შ: შენიშვნის ნომერი. რედაქტორის სახელი და გვარი, რედ. *წიგნის სათაური...***

7. მარკ ე. ნოლი, რედ., *რელიგია და ამერიკის პოლიტიკა...*

**ბ: რედაქტორის გვარი, რედაქტორის სახელი, რედ. *წიგნის სათაური...***

ნოლი, მარკ ე., რედ., *რელიგია და ამერიკის პოლიტიკა...*

**2. რამდენიმე ავტორი**

წიგნის შემთხვევაში, რომელსაც ორი ავტორი ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი სქემა:

**შ: შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის სახელი და გვარი და მეორე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური* (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი), XX-XX.**

2. კაი ბერდი, კაი და მარტინ ჯ. შერვინი, ამერიკელი პრომეთე: ჯ. *რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია* (ნიუ-იორკი: ალფრედ ა. კნოპფი, 2005), 52.

**ბ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, და მეორე ავტორის სახელი და გვარი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.**

ბერდი, კაი და მარტინ ჯ. შერვინი. *ამერიკელი პრომეთე: ჯ. რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია.* ნიუ-იორკი: ალფრედ ა. კნოპფი, 2005.

თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს, სტრუქტურა შეცვალეთ შემდეგნაირად:

**შ: შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის სახელი და გვარი, მეორე ავტორის სახელი და გვარი და მესამე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური...***

5. ჯოის ეფელბაი, ლინ ჰანტი და მარგარეტ ჯეიქობი. *სიმართლე ისტორიის შესახებ...*

ნახატი 16.1 შენიშვნების და ბიბლიოგრაფიის მუხლების ნიმუშები

(გაგრელება)

**ბ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი და მესამე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური...***

ეფელბაი, ჯოისი, ლინ ჰანტი და მარგარეტ ჯეიქობი. *სიმართლე ისტორიის შესახებ...*

**თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, შენიშვნის სტრუქტურა მხოლოდ ასეთი სახით შეცვალეთ:**

**შ: შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის სახელი და გვარი და სხვები, *წიგნის სათაური...***

15. ჟაკლინ დაუდ ჰოლი და სხვ., *ოჯახივით...*

3. ავტორ(ებ)ი, აგრეთვე, რედაქტორი ან მთარგმნელი

თუ წიგნს ავტორის გარდა რედაქტორიც ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი სტრუქტურა:

**შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური,* რედ. რედაქტორის სახელი და გვარი (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი), XX-XX.**

9. ჯ.ბ. ჰარლი, *რუკების ახალი სახეობა: ესეები კარტოგრაფიის ისტორიაში, რედ. პოლ ლექსტონი (ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002), 132-33.*

ბ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური.* რედაქტირებულია რედაქტორის სახელი და გვარი მიერ. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.

ჰარლი, ჯ.ბ., *რუკების ახალი სახეობა: ესეები კარტოგრაფიის ისტორიაში.* რედაქტირებულია პოლ ლექსტონის მიერ. ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.

თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს, რედაქტორის შესახებ ინფორმაციის ნაცვლად ჩასვით სიტყვები *თარგმ.* და *თარგმნილია* და მთარგმნელის სახელი და გვარი მიერ.

4. გამოცემის ნომერი

შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური,* გამოცემის ნომერი გამოც. (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის დასახელება, გამოცემის თარიღი), XX-XX.

11. როჯერ დენიელსი: *ამერიკაში ჩამოსვლა: იმიგრაციის ისტორია და ეთნიკური ფაქტორი ამერიკის ცხოვრებაში, მე-2 გამოც. (ნიუ-იორკი: გამომცემლობა ჰარპერ პერენიალი*, 2002), 84.

ბ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი, *წიგნის სათაური: წიგნი ქვესათაური.* გამოცემის ნომერი გამოც. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.

დენიელსი, როჯერ. *ამერიკაში ჩამოსვლა: იმიგრაციის ისტორია და ეთნიკური ფაქტორი ამერიკის ცხოვრებაში. მე-2 გამოც.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა ჰარპერ პერენიალი, 2002.

5. ერთი თავი რედაქტირებულ წიგნში

შ: შენიშვნის ნომერი. თავის ავტორის სახელი და გვარი, „თავის სათაური: თავის ქვესათაური," წიგნში – *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური,* რედ. რედაქტორის

**სახელი და გვარი (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი), XX-XX.**

15. ენ უინსტონ სპირნი, „ბუნების განაშენიანება: ფრედერიკ ლო ოლმსტედის მემკვიდრეობა, წიგნში *„უჩვეულო პოზიცია: ბუნებაში ადამიანის ადგილის ხელახლა გააზრება"*, რედ. უილიამ ქრონონი (ნიუ-იორკი: გამომცემლობა ნორტონი და კომპანია, 1996), 101.

**ბ: თავის ავტორის გვარი, თავის ავტორის სახელი. „თავის სათაური: თავის ქვესათაური." წიგნში –** ***წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური,*** **რედაქტირებულია რედაქტორის სახელი და გვარი მიერ, - . გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.**

სპირნი, ენ უინსტონ, „ბუნების განაშენიანება: ფრედერიკ ლო ოლმსტედის მემკვიდრეობა." წიგნში *„უჩვეულო პოზიცია: ბუნებაში ადამიანის ადგილის ხელახლა გააზრება"*, რედაქტირებულია უილიამ ქრონონის მიერ, 91-113, ნიუ-იორკი: გამომცემლობა ნორტონი და კომპანია, 1996

**საჟურნალო სტატიები**

**6. საჟურნალო სტატიის ბეჭდური ვარიანტი**

**შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, „სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური,"** ***ჟურნალის სახელწოდება,*** **გამოცემის ნომერი (გამოცემის თარიღი): XX-XX.**

4. ფრემოდ კ, ნაიარი, „საოცარი თავგადასავლები: ინგლისელთა სათავგადასავლო წიგნები და ინდოეთი, 1680-1727", *ბრიტანეთმცოდნეობის ჟურნალი* 44, №2 (2005 წლის აპრილი): 213

**ბ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. „სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური."** ***ჟურნალის სახელწოდება*** **გამოცემის ნომერი (გამოცემის თარიღი): YYYY-YY.**

ნაიარი, ფრემოდ კ. „საოცარი თავგადასავლები: ინგისელთა სათავგადასავლო წიგნები და ინდოეთი, 1680-1727", *ბრიტანეთმცოდნეობის ჟურნალი* 44, №2 (2005 წლის აპრილი): 213-38.

თუ სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, იხელმძღვანელეთ მეორე ნიმუში წარმოდგენილი ავტორების სახელების შესაბამისი სქემით.

7. ინტერნეტში გამოქვეყნებული ჟურნალის სტატიები

**შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, „სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური," *ჟურნალის სახელწოდება* გამოცემის ნომერი (გამოცემის თარიღი), „მდებარეობა"-ის ქვეშ, ღ -ის მისამართი (წვდომა მასალაზე, წვდომის თარიღი).**

4. დენიელ ა. მაკფარლანდი, „წინააღმდეგობა როგორც სოციალური დრამა: ცვლილებაზე ორიენტირებული შემთხვევების შესწავლა," *ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი 109, ნო.6 (2004 წლის მაისი),* განყოფილებაში "Settings", http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html [ბოლოს შესვლის თარიღი: 2006 წლის 3 მაისი].

**: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. „სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური." *ჟურნალის სახელწოდება* გამოცემის ნომერი (გამოცემის თარიღი). ღ –ის მისამართი (წვდომა მასალაზე, წვდომის თარიღი).**

მაკფარლანდი, დენიელ, ე. „წინააღმდეგობა, როგორც სოციალური დრამა: ცვლილებაზე ორიენტირებული შემთხვევების შესწავლა." *ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი 109, ნო.6 (2004 წლის მაისი),* http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html [ბოლოს შესვლის თარიღი: 2006 წლის 3 მაისი].

### 16.1.1 ელემენტების თანმიმდევრობა

შენიშვნებში და ბიბლიოგრაფიის მუხლებში ყველა სახის წყაროებისთვის ელემენტების თანმიმდევრობის ერთი და იგივე სტანდარტული სტრუქტურა გამოიყენება: ავტორი, სათაური, ინფორმაცია გამოცემის შესახებ. თუმცა, შენიშვნებში ავტორების სახელები სტანდარტული თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი (პირველად სახელი), ხოლო ბიბლიოგრაფიის მუხლებში -- პირიქით (ჯერ გვარი), ანბანური თანმიმდევრობით. შენიშვნები, რომლებშიც კონკრეტული მონაკვეთებია ციტირებული, ჩვეულებრივ, მოიცავს გვერდის ნომრებს ან სხვა ინფორმაციას ადგილის შესახებ; ბიბლიოგრაფიის მუხლებში ასე არ არის, თუმცა, იქ მიეთითება გვერდის ნომრების სრული დიაპაზონი ისეთი წყაროსთვის, რომელიც წარმოადგენს უფრო დიდი ნაწილის შემადგენელს, მაგ., სტატიის ან თავის.

### 16.1.2 პუნქტუაცია

შენიშვნებში ელემენტების უმეტესობა გამოყავით მძიმეებით; ბიბლიოგრაფიის მუხლებში ელემენტების გამოსაყოფად წერტილები გამოიყენეთ. შენიშვნებში ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ ჩასვით ფრჩხილებში; ბიბლიოგრაფიის მუხლებში ასე არ გააკეთოთ. გამოიყენება განსხვავებული სტილები, ვინაიდან განსაზღვრულია, რომ შენიშვნა უნდა იკითხებოდეს ტექსტის მსგავსად, სადაც წერტილის დასმა ნიშნავს ციტატის დასრულებას. ბიბლიოგრაფია კი შედგენილია, როგორც ჩამონათვალი, რომელშიც თითოეულ წყაროს აქვს ცალკე მუხლი, ამდენად, წერტილების გამოყენება თავისუფლად შეიძლება ავტორის, სათაურის და პუბლიკაციის შესახებ ინფორმაციის გამოსაყოფად.

### 16.1.3 მთავრული ასოების გამოყენება

უცხოენოვანი წყაროების მითითებისას სათაურების უმეტესობა დაიწყეთ მთავრული ასოებით სათაურის სტილში, თუმცა, სათაურები უცხო ენებზე დაიწყეთ მთავრული ასოებით წინადადების სტილში. (ორივე სტილის შესახებ იხ. 22.3.1.) მთავრული ასოებით, ჩვეულებისამებრ, დაწერეთ საკუთარი არსებითი სახელები (იხ. 22-ე თავი).

### 16.1.4 სათაურების გაფორმება

შედარებით მოცულობითი ნაწარმოებების (წიგნების, ჟურნალების) სათაურები იბეჭდება დახრილი შრიფტით; შედარებით მცირე ნაწილების (თავები, სტატიები) სათაურები იბეჭდება სწორი შრიფტით და თავსდება ბრჭყალებში. გამოუქვეყნებული ნაშრომების (მაგ., დისერტაციები) სათაურები იბეჭდება სწორი შრიფტით და თავსდება ბრჭყალებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი წიგნის მოცულობისაა.

### 16.1.5 რიცხვები

სათაურებში რიცხვები სიტყვიერად გადმოიცემა ან რიცხვებით იწერება ზუსტად ისე, როგორც ორიგინალშია. გვერდის ნომრები, რომლებიც ორიგინალში რომაული ციფრებით არის გამოხატული, მიეთითება პატარა რომაული ციფრებით. ყველა სხვა რიცხვი (თავის ნომრები ან ნახატების ნომრები) წარმოდგენილია არაბული ციფრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორიგინალში ისინი რომაული ციფრებით არის აღნიშნული ან სიტყვიერად გადმოცემული.

### 16.1.6 აბრევიატურები

შენიშვნებში შეამოკლეთ ტერმინები: *რედაქტორი, მთარგმნელი* და *ტომი* (*რედ., მთარგმ., ტ.*). ბიბლიოგრაფიის მუხლებში ეს ტერმინები ხშირად გაშიფრულია, როდესაც ისინი გამოიყენება ინფორმაციის წარსადგენად (რედაქტირებულია ...-ის მიერ), ხოლო შემოკლებული სახით გამოიყენება, როდესაც ინფორმაციის დასასრულს არის წარმოდგენილი (რედ.).

### 16.1.7 შეწეული აბზაცი

ტექსტში შენიშვნების შეწევა სხვა აბზაცების მსგავსად ხდება; ყველა მომდევნო ხაზი სწორდება მარცხნივ. ბიბლიოგრაფიის მუხლების შეწევა პირიქით ხდება: პირველი ხაზი სწორდება მარცხნივ და ყველა მომდევნო სტრიქონი შეწეულია აბზაცის ზომის ბიჯით.

## 16.2 ბიბლიოგრაფიები

ნაშრომებში, რომლებშიც გამოყენებული ლიტერატურის მითითებისთვის გამოიყენება სქოლიოში მითითების სტილი, ჩვეულებრივ, ჩართულია შენიშვნები და, აგრეთვე, შენიშვნებში მითითებული ყველა წყაროს ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი. მიუხედავად იმისა, რომ შენიშვნებში და ბიბლიოგრაფიებში ირთვება ერთი და იგივე ინფორმაცია, საჭიროა მკითხველმა ეს ინფორმაცია ორივე ადგილას ნახოს, ვინაიდან შენიშვნები და ბიბლიოგრაფია განსხვავებულად გამოიყენება. შენიშვნების დახმარებით მკითხველს შეუძლია, სწრაფად ნახოს კონკრეტული მითითების შესაბამისი წყარო, კითხვის შეწყვეტის გარეშე, ბიბლიოგრაფიაში კი იხილოს კვლევის მასშტაბი და მისი კავშირი მანამდე მომზადებულ ნაშრომებთან. ბიბლიოგრაფიის დახმარებით მკითხველს, აგრეთვე, შეუძლია წყაროების გამოყენება საკუთარ კვლევაში. ამდენად, ნაშრომში ყოველთვის გამოიყენეთ როგორც შენიშვნები, ისე, ბიბლიოგრაფია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც წყარო ბევრია ან თუ ინსტრუქტორი გაძლევთ სხვაგვარ მითითებას. თუ ბიბლიოგრაფიას არ ჩართავთ, დარწმუნდით, რომ შენიშვნებში სრულყოფილად არის მოცემული ინფორმაცია თითოეულ წყაროზე, პირველად მითითებისას მაინც.

### 16.2.1 ბიბლიოგრაფიის სახეები

ძირითადად ბიბლიოგრაფიაში უნდა ჩაირთოს თითოეული ნაშრომი, რომელიც მითითებული გაქვთ ტექსტში (გარდა რამდენიმე განსაკუთრებული სახის წყაროსა; იხ. 16.2.3). შეგიძლიათ, ჩართოთ ის ნაშრომები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მსჯელობისთვის, მაგრამ მათზე ტექსტში კონკრეტული მითითება არ გაგიკეთებიათ. ამ

სახის წყაროები დაასათაურეთ ასე: ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული წყაროები. იხ. დანართში ნახატი .15, სადაც წარმოდგენილია ბიბლიოგრაფიის ნიმუში.

არებობს სხვა ვარიანტებიც:

- შერჩეული ბიბლიოგრაფია. ზოგიერთი ბიბლიოგრაფია არ მოიცავს შენიშვნებში მითითებულ ყველა ნაშრომს; ეს კეთდება სივრცის დაზოგვის ან უმნიშვნელო მითითებების გამოტოვების მიზნით, რომლებიც, სავარაუდოდ, არ იქნება მკითხველისთვის საინტერესო. შეგიძლიათ, გამოიყენოთ შერჩეული ბიბლიოგრაფია, თუ გაქვთ საფუძვლიანი მიზეზები საამისოდ და თქვენი ინსტრუქტორი ან მრჩეველი გამართლებულად მიიჩნევს ამას. დაასათაურეთ ეს მასალა შემდეგნაირად: *შერჩეული ბიბლიოგრაფია* და ზემოთ დაამატეთ შენიშვნა, სადაც აღწერილი იქნება შერჩევის პრინციპი.
- ბიბლიოგრაფია ერთი ავტორის მიხედვით. ზოგიერთი ავტორი ერთი ავტორის ნაშრომებს ცალკე ჩამოწერს სტანდარტულ ბიბლიოგრაფიასთან ერთად. თუმცა, ხანდახან, შეიძლება, მხოლოდ ასეთი სახით წარმოადგინოს ბიბლიოგრაფია, ერთ ავტორს ეხება ნაშრომი და იქვე მიუთითოს რამდენიმე სხვა წყარო. ასეთი ჩამონათვალი შემდეგნაირად დაასათაურეთ: ..... *–ის [ავტორის სახელი და გვარი] თხზულებები/ნაშრომები* ან რაიმე სათანადო აღწერილობითი სათაური *(გამოქვეყნებული ნაშრომები, ნაშრომები,* და ა.შ.). შეგიძლიათ, დაალაგოთ ქრონოლოგიური ან ანბანური თანმიმდევრობით სათაურის მიხედვით. თუ ქრონოლოგიურად ალაგებთ, ერთსა და იმავე წელს გამოქვეყნებული ნარომების სათაურები ანბანური თანმიმდევრობით ჩამოწერეთ.
- *ანოტირებული ბიბლიოგრაფია.* ზოგიერთი მწერალი ბიბლიოგრაფიის თითოეულ მუხლს ურთავს ნაშრომის შინაარსის მოკლე აღწერას ან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა კავშირშია მასალა კვლევასთან. ძირითად შემთხვევებში, თუ ერთ მუხლს ურთავთ ანოტაციას, უნდა დაურთოთ ყველას. თუმცა, მკვლევრები ზოგჯერ ანოტაციას ურთავენ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომებს ან იმ ნაშრომებს, რომელთა კვლევასთან შესაბამისობა შეიძლება, არ იყოს თვალსაჩინო. თუ ანოტაციები მოკლე ფრაზებია, ჩასვით ფრჩხილებში და მიუთითეთ პუბლიკაციის შესახებ ინფორმაციის შემდეგ (გაითვალისწინეთ, რომ ფრჩხილებში ჩასმულ მუხლში ან მის შემდეგ წერტილი არ დაისმის):

ბ: თულმინი, სტივენ. *არგუმენტის გამოყენება.* კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958. (გარდამტეხი ტექსტი, სტრუქტურის არასიმბოლური ენით აღწერილი არგუმენტით).

შეგიძლიათ, აგრეთვე, დაამატოთ ანოტაცია სრული წინადადების სახით ახალ სტრიქონზე შეწეული აბზაცის გამოყენებით:

**ბ:** თულმინი, სტივენ. *არგუმენტის გამოყენება.* კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, *1958.*

ეს არის გარდამტეხი ტექსტი, რომელშიც არგუმენტი აღწერილია სტრუქტურის არასიმბოლური ენით.

### 16.2.2 მუხლების დალაგება

ანბანური თანმიმდევრობით ავტორის მიხედვით. ბიბლიოგრაფია, როგორც წესი, წარმოადგენს ყველა წყაროს ერთიან ჩამონათვალს; წყაროები დალაგებულია ანბანის მიხედვით ავტორის, რედაქტორის ან თითოეულ მუხლში პირველ ადგილზე მითითებული პირის გვარის მიხედვით. (უცხო სახელების, შედგენილი სახელების და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისას ანბანის მიხედვით დალაგების შესახებ იხ. 17.1.1) ტექსტის რედაქტირების პროგრამების უმრავლესობას აქვს ანბანის მიხედვით დალაგების ფუნქცია; თუ ამ ფუნქციას იყენებთ, თითოეულ მუხლს უნდა მოსდევდეს მყარი გადატანა. თუ საკურსო ან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობთ, შესაძლოა, ფაკულტეტმა ან უნივერსიტეტმა მიგითითოთ, რომ მუხლებში ინფორმაცია ანბანის მიხედვით უნდა დაალაგოთ ასოების ან სიტყვების მიხედვით; იხ. „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელო", 18.56 -59, მე-15 გამოცემა (2003 წ.), სადაც მოცემულია ამ ორი სისტემის განმარტება.

თუ ბიბლიოგრაფია მოიცავს ორ ან მეტ ნაშრომს, რომლებიც დაწერილი, რედაქტირებული ან ნათარგმნია ერთი და იმავე პირის მიერ, დაალაგეთ მუხლები ანბანურად სათაურის მიხედვით (არტიკლებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ). პირველის გარდა, ყველა მუხლში შეცვალეთ პირის სახელი გრძელი ტირეთი, რომელსაც ეწოდება სამი -ის სიგრძის ტირე (იხ. 21.7.3). რედაქტირების ან თარგმნის მითითებისას (*რედ., თარგმ.* და ა.შ.) ტირეს შემდეგ დასვით მძიმე და სათანადო აღნიშვნა. ჩამოწერეთ

ყველა ასეთი ნაშრომი იმ ნაშრომებამდე, რომელთა შემთხვევაშიც პირი იყო თანაავტორი ან თანარედაქტორი.

ბ: გეითს, ჰენრი ლუის უმცრ. *ამერიკა და ფერი: დიალოგი აფროამერიკელებთან.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა *უორენ ბუქსი, 2004*

----------, რედ. *მონების კლასიკური მონაყოლი.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა ფენგვინ პეტმანი, 2002.

----------. *გამორჩეული მაიმუნი: აფროამერიკული ლიტერატურული კრიტიკის თეორია.* ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

გეითს, ჰენრი ლუის უმცრ., და კორნელ ვესტი. *აფროამერიკული საუკუნე: როგორ შეცვალეს შავკანიანმა ამერიკელებმა ჩვენი ქვეყანა.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა, ფრი პრესი, 2000.

იგივე პრინციპი გამოიყენება ისეთი ნაშრომებისთვის, რომლებიც დაწერილია ავტორების ერთი ჯგუფის მიერ, რომლებიც მითითებულია ერთი და იგივე თანმიმდევრობით.

**ბ:** მარტი, მარტინ ე., და რ. სკოთ ეფლბაი, რედ.-ები. *ფუნდამენტალიზმის შესახებ.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.

--------. *დიდება და ძალაუფლება: ფუნდამენტალისტური გამოწვევა თანამედროვე მსოფლიოს.* ბოსტონი: გამომცემლობა ბიკონ პრესი , 1992.

მარტი, მარტინ ი., და მიკა მარტი. *როდესაც ჭეშმარიტი სიმარტივეს ვპოულობთ: რთულ სამყაროში სულიერი სიწმინდის პოვნა.* გრანდ რაპოდს, მიჩიგანი: გამომცემლობა უილიან ერმანის გამომცემლობა, 1998.

თუ წყაროში არ არის მითითებული ავტორი ან რედაქტორი, ანბანურად დაალაგეთ მითითების პირველი ელემენტი, ჩვეულებრივ, სათაურის მიხედვით. ნუ მიაქცევთ ყურადღებას არტიკლებს.

**ბ:** *მოხსენება ინდოეთის დიდი ტრიგონომეტრული შეფასების შესახებ.* 22 ტომი. დერა დანი: ინდოეთის კვლევა, 1870-1910.

„ინდოეთის დიდი ტრიგონომეტრიული შეფასება." *კალკუტა რივიუ* 38 [1863]: 26-62.

„სახელმწიფო და აზიის სამომავლო პერსპექტივა". *ქუორტერლი რივიუ 63,* ნო. 126 (1839 წლის მარტი): 369-402.

არაანბანური თანმიმდევრობით დალაგება. დროდადრო მკითხველისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ანბანურის გარდა, სხვა თანმიმდევრობის გამოყენება. როგორც

წესი, უფრო მოსახერხებელია, ქრონოლოგიურად დალაგდეს ერთი ავტორის ბიბლიოგრაფიები, აგრეთვე, ინფორმაცია სპეციალური ჩამონათვლების – საგაზეთო სტატიების, საარქივო მასალების შესახებ და ა.შ. შეიძლება, აგრეთვე, მოსახერხებელი იყოს თანმიმდევრობის შემობრუნება კონკრეტული მიზნით – მაგალითად, ტოპოგრაფიული რუკების ჩამონათვლის დროს, როცა რუკები დალაგებულია შტატის ან რეგიონის მიხედვით. თუ ანბანურის ან ქრონოლოგიურის გარდა სხვა თანმიმდევრობას იყენებთ, დასაწყისში წარმოდგენილ შენიშვნაში განმარტეთ, რატომ გადაწყვიტეთ ამ პრინციპის გამოყენება.

კატეგორიებად დალაგებული ჩამონათვლები. შედარებით ვრცელი ბიბლიოგრაფია შეგიძლიათ, დაალაგოთ კატეგორიებად, ეს მკითხველს დაეხმარება, ჯგუფის სახით დაინახოს დაკავშირებული წყაროები. შედარებით ვრცელი ბიბლიოგრაფიების სექციებად კატეგორიზაციის გავრცელებული გზები მოიცავს შემდეგი პრინციპებს:

- *წყაროების დალაგება წყაროს ფორმის მიხედვით.* შეგიძლიათ, შექმნათ ხელნაწერების, საარქივო კოლექციების, ჩანაწერების და ა.შ. ცალკე სიები.
- *წყაროების დალაგება რიგის მიხედვით.* შეგიძლიათ, ერთი ავტორის ბიბლიოგრაფიის მსგავსად, ცალ-ცალკე დაალაგოთ პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი წყაროები.
- *წყაროების დალაგება სფეროს მიხედვით.* წყაროების დაჯგუფება შეგიძლიათ სფეროს მიხედვით ან მკითხველის ინტერესების მიხედვით (როგორც ამ წიგნის ბიბლიოგრაფიაშია). მაგალითად, კომედიური ლიტერატურის თეორიის და ფსიქოლოგიის შესახებ გამოყენებული ნაშრომების მითითებისას, შეიძლება წყაროების კატეგორიზაცია: *კომედიის თეორია, ფსიქოლოგიური კვლევები, ლიტერატურული კრიტიკა, კომედიური ჟანრის ნაწარმოებები.*

თუ ახდენთ წყაროების კატეგორიზაციას, წარმოადგინეთ ისინი ცალკეული ან ერთიანი ბიბლიოგრაფიით, რომელიც სექციებად იქნება დაყოფილი. ცალკეული ბიბლიოგრაფია ან სექცია წარმოადგინეთ ქვესათაურით ან, თუ საჭიროა, დასაწყისში მოცემული შენიშვნით. ერთიანი ბიბლიოგრაფიის თითოეულ სექციაში გამოიყენეთ თანმიმდევრობის ერთი და იგივე პრინციპი (ჩვეულებრივ, ანბანის მიხედვით). ნუ მიუთითებთ წყაროს ერთზე მეტ სექციაში, თუ მისი გარკვევით კატეგორიზაცია არ შეიძლება ორი ან რამდენიმე სხვა ხერხით. თუ თანმიმდევრობის განსხვავებულ პრინციპებს იყენებთ,

ბიბლიოგრაფიები შექმენით ცალ-ცალკე და თითოეულს დაურთეთ საკუთარი განმარტებითი სათაური.

### 16.2.3 წყაროები, რომელთა გამოტოვება შეიძლება

როგორც წესი, შეგიძლიათ ბიბლიოგრაფიაში არ მიუთითოთ შემდეგი სახის წყაროები:

- საგაზეთო სტატიები (იხ. 17.4)
- კლასიკური, შუასაუკუნეების და არქაული ინგლისურით დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოებები (17.5.1) და (ზოგიერთ შემთხვევაში) ცნობილი ინგლისურენოვანი პიესები (17.8.7)
- ბიბლია და სხვა წმინდა წერილები (17.5.2)
- ცნობილი საცნობარო ლიტერატურა, როგორიცაა დიდი ლექსიკონები და ენციკლოპედიები (17.5.3)
- მოკლე გამოქვეყნებული მასალა, როგორიცაა გამოქვეყნებული ნაშრომების ან წარმოდგენების რეცენზიები (17.5.4), მოკლე მიმოხილვები (17.5.5), ბროშურები და ანგარიშები (17.5.6)
- გამოუქვეყნებელი ინტერვიუები და პირადი მიმოწერა (17.6.3), ვებლოგის ინფორმაცია და კომენტარები (17.7.2) და ელექტრონული ფოსტის ადრესატების სიები (17.7.3)
- კონკრეტული დოკუმენტები გამოუქვეყნებელი ხელნაწერების კრებულებიდან (17.6.4)
- სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების მრავალი წყარო, მათ შორის, მხატვრული ხელოვნების ნიმუშები და სხვა მსგავსი წყაროები (17.8.1), ცოცხალი შესრულება (17.8.2), სატელევიზიო და სხვა სამაუწყებლო პროგრამები (17.8.3)
- აშშ-ის კონსტიტუცია (17.9.5), სასამართლო საქმეები (17.9.7) და ზოგიერთი სხვა საჯარო დოკუმენტი (17.9)

შეიძლება, ბიბლიოგრაფიაში ჩართოთ კონკრეტული ნაშრომი რომელიმე ამ კატეგორიიდან, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან ხშირად გაქვთ მითითებული.

თუ ერთი უფრო დიდი ნაწილიდან იყენებთ მრავალ ასეთ წყაროს -- მაგალითად, რამდენიმე დოკუმენტს ხელნაწერთა ერთი კრებულიდან – შეგიძლიათ, მიუთითოთ უფრო დიდი ნაწილი, როგორც ეს მე-17 თავის შესაბამის პუნქტებშია განხილული.

## 16.3 შენიშვნები

ავტორები შენიშვნის რამდენიმე სხვადასხვა სახეს იყენებენ; შენიშვნის სახის არჩევა დამოკიდებულია სფეროზე, მკითხველზე და ნაშრომის ტიპზე. ამ ნაწილში ახსნილია შენიშვნების სახეები და მათი შერჩევის პრინციპი.

### 16.3.1 სქოლიოები და ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები

თქვენს ფაკულტეტზე შესაძლოა, კონკრეტულად იყოს განსაზღვრული, სქოლიოები უნდა გამოიყენოთ თუ ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები, განსაკუთრებით, თეზისის ან სადისერტაციო ნაშრომისთვის. თუ კონკრეტული მითითება არ არსებობს, ჩვეულებრივ, უნდა არჩიოთ სქოლიოები, რომლებიც უფრო ადვილი წასაკითხია. ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნების გამოყენებისას მკითხველს უწევს ნაშრომის ბოლომდე გადაფურცვლა თითოეული ციტირების შესამოწმებლად. თუ შინაარსობრივ შენიშვნებს ტექსტის ბოლოს ჩატანილ შენიშვნებში ჩართავთ (იხ. 16.3.5), მკითხველმა შეიძლება, ყურადღება არ მიაქციოს მათ, ვინაიდან ტექსტის ბოლოს შენიშვნების ნახვის გარეშე ვერ მიხვდება, რომელი შენიშვნაა არსებითი და რომელში მხოლოდ წყაროებია ციტირებული.

მეორეს მხრივ, აარჩიეთ ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები, როდესაც სქოლიოები იმდენად გრძელი ან ბევრია, რომ გვერდზე ძალიან დიდ ადგილს იკავებს, ნაშრომი კარგავს ვიზუალურ მიმზიდველობას და რთული წასაკითხი ხდება. ამასთანავე, ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნებში უფრო მოსახერხებელია ცხრილების, პოეტური ციტატების და სხვა მასალის ჩართვა, რომელიც სპეციალურ გაფორმებას მოითხოვს.

ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნების გამოყენებისას, თუ წყაროს მითითებებისგან გამოაცალკევებთ შინაარსობრივ შენიშვნებს, შეძლებთ, შეამციროთ რისკი, რომ მკითხველს გამორჩება მნიშვნელოვანი კომენტარები. დანომრეთ წყაროს მითითებები და მოათავსეთ ისინი ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნებში. არსებითი შენიშვნები აღნიშნეთ ვარსკვლავით და სხვა სიმბოლოებით (იხ. 16.3.3) და დაბეჭდეთ როგორც სქოლიოები. ასე ნუ მოიქცევით, თუ რამდენიმე ან მეტი შინაარსობრივი შენიშვნა გაქვთ გამოყენებული.

### 16.3.2 შენიშვნების მითითება ტექსტში

როდესაც მიუთითებთ ან სხვაგვარად იყენებთ წყაროს მასალას, ტექსტში უნდა ჩართოთ ზედა ინდექსით ნომერი, რომელიც მიუთითებს მკითხველს იმ შენიშვნაზე, რომელშიც ამ წყაროს შესახებ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციაა მოცემული. ციტატების უმეტესობისთვის, ჩასვით უშუალოდ მომდევნო ნომერი, განურჩევლად იმისა, ციტატა ტექსტშია ჩართული თუ ბლოკური ციტატის სახით არის გამოყოფილი (იხ. 25.2). ზოგიერთი ციტატისთვის და სტანდარტული ციტირებებისთვის, მითითების ნომერი მოათავსეთ წინადადების ბოლოს, ბოლო სასვენი ნიშნის, ბრჭყალების ან ფრჩხილის დახურვის შემდეგ.

კინაჰანის შარმს ძირითადად მაგია განაპირობებდა.[1]

„აი", წერდა ჯორჯ თემპელტონ სტრონგი, „ამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს მკერავებს."
(მანამდე გამოცემულ წიგნში მან თითქმის საპირისპირო რამ თქვა.)[3]

თუმცა, თუ შენიშვნა შეეხება ტირემდე არსებულ ტექსტს, მითითების ნომერი ჩასვით ტირეს წინ:

შოთუელის სერიებში გამოჩნდა მიკერძოებულობის ელემენტები[4] – თუმცა, არა თვალში საცემად.

არ ჩასვათ ერთდროულად ერთზე მეტი ინდექსი (მაგ., [5, 6]). ამის ნაცვლად გამოიყენეთ ერთი ნომერი და ჩართეთ ყველა მითითება ან კომენტარი ერთ შენიშვნაში (იხ. 16.3.5).

ესთეტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნუ ჩართავთ შენიშვნების ნომრებს სათაურის, ქვესათაურის ან ქვეთავის შიგნით ან ბოლოს. თუ შენიშვნა შეეხება მთლიან თავს, გამოტოვეთ ნომერი და ჩასვით ნომრის გარეშე სქოლიო პირველი გვერდის ბოლოს, დანომრილ შენიშვნებამდე. თუ შენიშვნა შეეხება ნაწილს, რომელიც მოსდევს ქვეთავის სათაურს, ჩასვით მითითების ნომერი მოცემული ნაწილის პირველი წინადადების შემდეგ.

### 16.3.3 შენიშვნების დანომვრა

შენიშვნები დანომრეთ თანმიმდევრობის მიხედვით, დაიწყეთ 1-ით. თუ ნაშრომს ცალკე თავები აქვს, თითოეულ თავში ხელახლა დაიწყეთ დანომვრა პირველი შენიშვნით. ნუ გამოტოვებთ ნომერს და ნუ გამოიყენებთ ისეთ ნომრებს, როგორიცაა, მაგალითად, 5ა.

თუ წყაროს ციტირებისთვის გამოიყენებთ ტექსტის ბოლოს ჩატანილ შენიშვნას, შინაარსობრივი შენიშვნებისთვის (იხ. 16.3.1) კი სქოლიოებს, არ დანომროთ სქოლიოები. ამის ნაცვლად, აღნიშნეთ ის პირველი სქოლიოს გვერდზე ვარსკვლავით (*). თუ გვერდზე ერთზე მეტი სქოლიო გაქვთ გამოყენებული, ინდექსის სიმბოლოები შემდეგი თანმიმდევრობით გამოიყენეთ * † ‡ §

ცხრილებისთვის გამოყენებული შენიშვნების შესახებ იხ. 26.2.7.

### 16.3.4 შენიშვნების დაფორმატება

სქოლიოები და ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები შეწიეთ აბზაცის მსგავსად. თითოეული შენიშვნის დასაწყისში აღნიშნეთ მითითების ნომერი, სასურველია დაიბეჭდოს არა როგორც ზედა ინდექსი, არამედ როგორც ჩვეულებრივი ტექსტი. რიცხვს და შენიშვნის ტექსტს შორის დასვით წერტილი და გამოტოვეთ ინტერვალი.

თუ ნებადართულია დეპარტამენტის ან უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მითითებებით, შეგიძლიათ, ამის ნაცვლად შენიშვნებში მითითების ნომრებისთვის გამოიყენოთ ქვედა ინდექსი. ასეთ შემთხვევაში, თითოეული შენიშვნის ტექსტი წერტილის და ინტერვალის გარეშე უნდა დაიწყოთ. ეს მეთოდი გამოიყენეთ იმ შენიშვნებისთვის, რომლებიც აღნიშნულია სიმბოლოებით (იხ. 16.3.3.).

სქოლიოები. თითოეული სქოლიო დაიწყეთ გვერდზე, რომელზეც კეთდება სქოლიოზე მითითება. ჩასვით მოკლე ხაზი ტექსტის ბოლო სტრიქონსა და პირველ სქოლიოს შორის თითოეულ გვერდზე, მათ შორის, იმ შენიშვნებს შორისაც, რომლებიც წინა გვერდებიდან არის გადმოსული, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი ტექსტური დამუშავების პროგრამას ამის ავტომატურად დამუშავების ფუნქცია არ აქვს. თუ სქოლიო მომდევნო გვერდზე გადადის, გაყავით ის შუა წინადადებაში, რათა

მკითხველმა არ იფიქროს, რომ შენიშვნა დასრულდა და აღარ წაიკითხონ მომდევნო გვერდზე მოთავსებული ნაწილი. თუ ერთზე მეტი სქოლიოა, გვერდზე დაიწყეთ თითოეული მომდევნო შენიშვნა ცალკე სტრიქონიდან, მის წინ დატოვეთ ცარიელი სტრიქონი. იხ. ნახატი A.10, სადაც მოცემულია სანიმუშო გვერდი სქოლიოების ტექსტებით.

ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები. ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები უნდა ჩამოიწეროს ერთად ტექსტის და დანართების დასრულების შემდეგ, ბიბლიოგრაფიის ჩამონათვლის დაწყებამდე. დაიწყეთ თითოეული შენიშვნა ახალ სტრიქონზე, გამოტოვეთ ცარიელი სტრიქონი შენიშვნებს შორის. ჩამონათვალს გაუკეთეთ სათაური *შენიშვნები.* თუ ხელახლა იწყებთ დანომვრას თითოეული თავისთვის, დაამატეთ ქვესათაურები, რათა გამიჯნოთ შენიშვნები თავების მიხედვით: „თავი 1" და ა.შ. იხ. ნახატი 14, სადაც მოცემულია ტექსტის ბოლოს გამოტანილი შენიშვნების გვერდის ნიმუში.

**16.3.5 კომპლექსური შენიშვნები**

ციტირებები. თუ რამდენიმე წყაროს ციტირებას ახდენთ ერთი თვალსაზრისის გასამყარებლად, მოერიდეთ ტექსტის დატვირთვას მითითების ნომრების ერთ შენიშვნაში დაჯგუფებით. ჩამოთვალეთ ციტირებები იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც მითითება ჩნდება ტექსტში; გამოყავით ციტირებები წერტილ-მძიმეებით.

უითმანის ფორმების მასშტაბი და დამახასიათებელი ნიშნები ჩვენთის გასაგები ხდება მხოლოდ რამდენიმე მეცნიერის ნაშრომების ერთად გააზრების შემთხვევაში – უოლტერ სათონის მიერ უითმენის ლექსების განმარტებები; პოლ ფასელის მიერ „აკვანში" სტრუქტურის საგულდაგულო შესწავლა; ს.ქ. ქოფმანის მიერ „ბრუკლინის ბორანით მგზავრობისა" და "ინდური პასაჟის" გარჩევა.[1]

**შ:** 1. სათონი, „ლექსის თავისუფალი ფორმის ანალიზი, ილუსტრირებულია უაითმანის ანალიზით", ესთეთიკისა და ხელოვნების კრიტიკის ჟურნალი 18 (1959 წლის დეკემბერი): 241-54; ფასელი, „უითმენის საინტერესო გალობა: მოგონება და შეჯერება", რ.უ.ბ. ლიუისის მიერ რედაქტირებულ ნაშრომში „უითმანის სიახლოვე", 28-51; ქოფმანი, „ბრუკლინის ბორანით მგზავრობისა": „შენიშვნა უიტმანის პოეზიაში კატალოგის ტექნიკაზე", თანამედროვე ფილოლოგია 51 (1954 წლის მაისი): 225-32; ქოფმანი, „უიტმანის "ინდური პასაჟის" ფორმა და შინაარსი" PMLA 70 (1995 წლის ივნისი): 337-49.

როდესაც მთელ რიგ დამატებით წყაროებს მიუთითებთ, მოსახერხებელია, აგრეთვე, ციტირებების დაჯგუფება და მას ჯაჭვურ ციტირებებს უწოდებენ.

**შ:** 2. ფსიქოლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური, და ფილოსოფიური თვალსაზრისით თვითშეგნების თანამიმდევრულობის პროცესების შესახებ იხ. ბერნარ ჯ. ბაარსი, *თვითშეგნების შემეცნებითი თეორია* (ნიუ-იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988); ჯერალდ ედელმენი, *მსუბუქი ჰაერი, ბრწყინვალე ცეცხლი: აზრის შესახებ* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა ბეისქი ბუქსი, 1992); და დენიელ დენეთი, *თვითშეგნების ანალიზი* (ბოსტონი: გამომცემლობა იტტლე როწნ, 1991).

ციტირებები და კომენტარები. თუ შენიშვნა იმავდროულად მოიცავს ციტირებას და შინაარსობრივ კომენტარს, პირველ რიგში, ჩასვით ციტირება, მის შემდეგ დასვით წერტილი, შემდეგ კი ცალკე წინადადებაში ჩასვით კომენტარი.

პარიზში სტუმრობა, იმავდროულად, იყო ტკბობა საუკეთესო თანამედროვე და ყველაზე ცოცხალი ხელოვნების ცენტრით.[9]

**შ:** 2. ნეთი, „პარიზის სახელოვნებო სასწავლებლები", 269. „ოქროს ხანის" ამერიკელმა მხატვრებმა იმოგზაურეს ევროპული ხელოვნების სხვა ცენტრებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მიუნხენი, თუმცა პარიზმა ყველას გადააჭარბა მასშტაბითა და მნიშვნელობით.

როდესაც შენიშვნაში ციტატას რთავთ, მითითება მოათავსეთ ციტატის ბოლო სასვენი ნიშნის შემდეგ.

**შ:** 33. „ნაფიცი მსაჯულები შეისწავლიან წარდგენილ საჩივრებს და ბრალდებებს და შტატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოსცემენ საბრალდებო დასკვნას." ქერმ ჰოლი, მაგიურგი სარკე: კანონი ამერიკის ისტორიაში (ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989), 172.

შენიშვნებში არსებითი კომენტარები ზომიერად გამოიყენეთ. თუ თვალსაზრისი მნიშვნელოვანია არგუმენტისთვის, ჩართეთ ტექსტში. თუ ნაკლებად მნიშვნელოვანია,

კარგად მოიფიქრეთ, არის თუ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩაისვას ცალკე შენიშვნის სახით.

## 16.4 მოკლე ფორმები შენიშვნებისთვის

ზოგიერთ სფეროში ინსტრუქტორი შეიძლება, მოელოდეს თქვენგან, რომ თითოეულ შენიშვნაში ჩართავთ სრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს. თუმცა, უმეტეს სფეროებში შეგიძლიათ, ნაშრომის პირველად მითითებისას წარმოადგინოთ სრული ციტირება, შემდგომ ციტირებებში კი – შემოკლებული. რამდენიმე სფეროში ავტორებმა დაიწყეს შემოკლებული ფორმების გამოყენება ყველა ციტირებისთვის, სრულ მონაცემებს კი მხოლოდ ბიბლიოგრაფიაში მიუთითებენ.

თუ არ იცით, თქვენს სფეროში როგორი მეთოდია გავრცელებული, გაეცანით თქვენი დეპარტამენტის ან უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მითითებებს.

### 16.4.1 შემოკლებული შენიშვნები

შემოკლებული შენიშვნა უნდა მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ მკითხველმა მოძებნოს სრული ციტირება ბიბლიოგრაფიაში ან წინა შენიშვნაში. შენიშვნების ორი ძირითადი ვარიანტია: *მხოლოდ ავტორი* და *ავტორი-სათაური.* მთელ რიგ სფეროებში, ყველა შემოკლებული შენიშვნისთვის, მწერლები იყენებენ შენიშვნის ფორმას – ავტორი-სათაური; სხვა სფეროებში, უმეტესად, შემოკლებული შენიშვნებისთვის ავტორები იყენებენ ფორმას – *მხოლოდ ავტორი*, ხოლო *ავტორი-სათაურის* ფორმას, როდესაც ახდენენ ერთი და იგივე ავტორის ერთზე მეტი ნაშრომის ციტირებას. თუ წყაროს არ ჰყავს ავტორი (ან რედაქტორი), შეგიძლიათ, გამოიყენოთ *მხოლოდ სათაური* შენიშვნა. ნახატში 16.2 წარმოდგენილია ნიმუშები თითოეული სახის შემოკლებული შენიშვნისთვის.

შენიშვნა მხოლოდ ავტორის მითითებით შეიცავს ავტორის გვარს და გვერდის ნომრებს (ან ადგილის განმსაზღვრელ სხვა მახასიათებელს), გამოყოფილია მძიმით და მის შემდეგ დაისმება წერტილი. თუ ნაშრომს ავტორის გარდა ჰყავს რედაქტორი, მიუთითეთ რედაქტორის გვარი, თუმცა, არ დაურთოთ *რედ.*. *ავტორი-სათაურის* შენიშვნის შემთხვევაში, ემატება შემოკლებული სათაური, რომელიც შედგება სრული სათაურიდან მოყვანილი ოთხამდე სიტყვისგან. ავტორი და შემოკლებული სათაური ერთმანეთისგან

გამოყავით მძიმით, ხოლო სათაური დაბეჭდეთ დახრილი შრიფტით ან ჩასვით ბრჭყალებში, როგორც სრული შენიშვნის შემთხვევაში მოიქცეოდით.

შ: 1. ფილიპ ბოლი, *კაშკაშა დედამიწა: ხელოვნება და ფერი* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა ფარარი, სტრაუსი და ჟირო, 2001), 140.

4. ბოლი, 204.

ან

4. ბოლი, კაშკაშა დედამიწა, 204.

12. ნენსი ლ. გრინი, „გასვლის პოლიტიკა: იმიგრაციის მოდელის შემობრუნება", *თანამედროვე ისტორიის ჟურნალი* 77 (2005 წლის ივნისი): 275.

17. გრინი, 276.

*ან*

17. გრინი, „გასვლის პოლიტიკა", 276.

20. ჯონ დემოსი, „ნამდვილი ამბები და სხვა თხზულებები: ", ნაშრომში უახლესი ისტორია: ისტორიკოსები და რომანისტები უპირისპირდებიან ამერიკის წარსულს (და ერთმანეთს), რედ. მარკ ს. კარნსი (ნიუ-იორკი: გამომცემლობა საიმონი და შუსტერი, 2001), 135.

22. დემოსი, 138.

*ან*

22. დემოსი, "ნამდვილი ამბები," 138.

როდესაც ნაშრომს მრავალი ავტორი ან რედაქტორი ჰყავს, ჩამოთვალეთ გვარები იგივე თანმიმდევრობით, როგორც სრულ შენიშვნაშია მოცემული.

შ: 5. იან ჰ. კალიცკი და დევიდ ლ. გოლდვინი, რედ.-ები, ენერგეტიკა და უსაფრთხოება: საგარეო პოლიტიკის ახალი სტრატეგიის შემუშავება (ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), 195-96.

8. კალიცკი და გოლდვინი, 204.

*ან*

8. კალიცკი და გოლდვინი, ენერგეტიკა და უსაფრთხოება, 204.

### 16.4.2 Ibid.

იყო დრო, როდესაც ავტორები ამოკლებდნენ ციტირებებს შენიშვნებში ლათინური ტერმინების და აბრევიატურების გამოყენებით: იდემ - „იგივე", ოპ. ციტ., ოპერე ციტატო - „ციტირებულ ნაშრომში"; და ლოც.ციტ. - „ციტირებულ ადგილას." ეს წესი აღარ მიიჩნევა მიზანშეწონილად. ამდენად, მოერიდეთ ლათინური ციტირების ტერმინების გამოყენებას. ეს არ ეხება იბიდ., რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან *იბიდემ* ანუ „იქვე." ზოგიერთი ავტორი ჯერ ისევ იყენებს იბიდ.-ს ციტირების შემოკლებისთვის იმ ნაშრომის მისათითებლად, რომლის ბიბლიოგრაფიული მონაცემები უშუალოდ წინა შენიშვნაშია მოცემული.

შ: 30. ბუხანი, *რჩევები დედებს*, 71.

31. ibid., 95.

32. ibid.

ნახატი 16.2 შემოკლებული შენიშვნების ნიმუშები

ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშები გვიჩვენებს, რომელი ელემენტები და რა თანმიმდევრობით უნდა ჩაირთოს სამი სახის შემოკლებულ შენიშვნებში (იხ. 16.4.1 იმისათვის, თუ როდის გამოიყენოთ თითოეული ფორმა). აქ, აგრეთვე, ნაჩვენებია პუნქტუაცია, სათაურების მთავრული ასოებით დაწყება უცხოენოვან წყაროებში და ელემენტების გაფორმება. რუხი დაჩრდილვა მიუთითებს ტერმინებზე, როგორც ისინი ფაქტობრივად არის ციტირებაში. XX აღნიშნავს ციტირებული გვერდების ნომრებს.

*მხოლოდ ავტორი* შენიშვნები

**1. ერთი ავტორი**

შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის გვარი, XX-XX.

2. დაიამონდი, 85-90.

ნაშრომისთვის, რომლის ციტირებაც ხდება რედაქტორის ან მთარგმნელის მიხედვით, ავტორის ნაცვლად (იხ. 17.1.1) მიუთითეთ რედაქტორი ან მთარგმნელი. არ დამატოთ რედ. ან თარგმნ., როგორც სრული შენიშვნისას გააკეთებდით.

შ: შენიშვნის ნომერი. რედაქტორის ან მთარგმნელის გვარი, XX-XX.

9. ნოლი, 15.

თუ ერთზე მეტ ავტორს აქვს ერთი და იგივე გვარი, გამოყავით ისინი სახელების მითითებით.

შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარები, XX-XX.

12. ფილიპ სმითი, 212-13.

**2. ორი ან სამი ავტორი**

შ: შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის გვარი და მეორე ავტორის გვარი, XX-XX.

შ: შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის გვარი, მეორე ავტორის გვარი და მესამე ავტორის გვარი, XX-XX.

15. ეფლბაი, ჰანთი და ჯეიქობი, 140.

**3. ოთხი ან მეტი ავტორი**

შ: შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის გვარი და სხვები, XX-XX.

10. ჰოლი და სხვ., 91-93.

*ავტორი-სათაური* შენიშვნები

**4. წიგნები**

შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური, XX-XX.

2. დაიამონდი, იარაღი, ბაქტერიები და ფოლადი, 85-90.

იმ წიგნების ციტირებისას, რომლებსაც ერთზე მეტი ავტორი ჰყავს, იხელმძღვანელეთ მე-2 და მე-3 ნიმუშებში ავტორების სახელებისთვის მოცემული სქემით.

ნახატი 16.2 შემოკლებული შენიშვნების ნიმუშები (გაგრძელება)

**5. სტატიები**

შ: შენიშვნის ნომერი. ავტორის გვარი, „შემოკლებული სათაური", XX-XX.

8. ნაიარი, „საოცარი თავგადასავლები", 225.

იმ სტატიებისთვის, რომელსაც ერთზე მეტი ავტორი ჰყავს, გამოიყენეთ ავტორების სახელების სქემა, რომელიც მოცემულია მე-2 და მე-3 ნიმუშებში.

შენიშვნები მხოლოდ სათაურის მითითებით

**6. წიგნები ავტორის გარეშე**

შ: შენიშვნის ნომერი. შემოკლებული სათაური, XX-XX.

11. ანგარიში საქმიანობის შესახებ, 252

**7. სტატიები ავტორის გარეშე**

შ: შენიშვნის ნომერი „შემოკლებული სათაური", XX-XX.

17. „დიდი ტრიგონომეტრიული კვლევა", 26-27.

შენიშვნებში ibid არ უნდა დაწეროთ დახრილი შრიფტით და მის შემდეგ უნდა დასვათ წერტილი. თუ ციტირება მოიცავს გვერდის ნომერს, დაუსვით მძიმე *იქვე-ს* შემდეგ. თუ მითითების გვერდის ნომერი იგივეა, როგორც წინა შენიშვნაში, ნუ ჩართავთ გვერდის ნომერს ibid-*ის* შემდეგ. ნუ გამოიყენებთ ibid-*ს* შენიშვნის შემდეგ, რომელიც შეიცავს ერთზე მეტ ციტირებას, აგრეთვე, მოერიდეთ ibid-*ის* გამოყენებას იმ სქოლიოებზე მინიშნების გასაკეთებლად, რომლებიც არ არის მოთავსებული იმავე გვერდზე.

### 6.4.3 ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები

ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები, სქოლიოები და ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები. ზოგიერთ შემთხვევაში წყარო, ფრჩხილებში ჩასმული, შეიძლება, ტექსტშივე მიუთითოთ და არა სქოლიოში ან ტექსტის ბოლოს ჩატანილ შენიშვნებში. ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნით მკითხველს სთავაზობთ უფრო გასაგებ, ადვილად წასაკითხ ტექსტს, განსაკუთრებით, თუ ბევრია მითითება რამდენიმე წყაროზე.

ერთი მეცნიერის აზრით, „რკინიგზის გამო ჩიკაგო გახდა აღმოსავლელებისა და დასავლელების შეხვედრის უმნიშვნელოვანესი ადგილი" (ქრონონი, *ბუნების მეგაპოლისი, 92-93)*

შეგიძლიათ, გამუდმებით გამოიყენოთ ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები გარკვეული სახის წყაროებისთვის, რომელთა მოძიება მკითხველს იოლად შეუძლია მხოლოდ რამდენიმე ელემენტით. ასეთი წყაროებია: საგაზეთო სტატია (იხ. 17.4), სასამართლო საქმე (17.9.7), უფრო ადრეული ლიტერატურული ნაწარმოები (17.5.1), ბიბლია ან სხვა წმინდა წერილი (17.5.2), ან წყარო სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების სფეროდან (17.8). მათი უმეტესობისთვის ბიბლიოგრაფიაში უნდა წარმოადგინოთ სრული ინფორმაცია.

მრავალ სფეროში შეგიძლიათ, გამოიყენოთ ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები, თუ განიხილავთ კონკრეტულ ნაშრომს ვრცლად და გჭირდებათ მასზე მითითების ხშირად გაკეთება. პირველად, როდესაც ნაშრომზე აკეთებთ მითითებას, მიუთითეთ სრული ბიბლიოგრაფიული მონაცემები სქოლიოში ან ტექსტის ბოლოს ჩატანილ შენიშვნაში; შემდგომი მითითებებისთვის, შემოკლებული შენიშვნების ნაცვლად გამოიყენეთ ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები (იხ. 16.4.1). იმის გამო, რომ ეს ახალი მეთოდია ზოგიერთ სფეროში, გადაამოწმეთ ინსტრუქტორთან ან მრჩეველთან, ვიდრე ასეთი მეთოდით მიუთითებდეთ წყაროებს.

ენისა და ლიტერატურის შემსწავლელ სფეროებში ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნების ნაცვლად, როგორც წესი, უკვე გამოიყენება სქოლიოები ან ტექსტის ბოლოს ჩატანილი შენიშვნები წყაროების ციტირების უმეტესობისთვის, მათ შორის, თითოეულ ნაშრომზე პირველად მითითებისას.

ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნის ფორმატირება. ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა დასვით იქ, სადაც ჩასვამდით მითითების ნომერს შენიშვნისთვის: ციტატის, წინადადების ან წინადადების ნაწილის ბოლოს. შენიშვნა უნდა დაისვას მძიმის, წერტილის ან სხვა სასვენი ნიშნის წინ და არა მის შემდეგ, როდესაც ციტატა ტექსტშია ჩართული. ხოლო ბლოკის სახით გამოყოფილი ციტატის შემთხვევაში, შენიშვნა მოსდევს ბოლო პუნქტუაციის ნიშანს (მაგალითისთვის იხ. 25.2.2).

ყველაზე სრული ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა შეიცავს იგივე ინფორმაციას, რასაც შემოკლებული შენიშვნის ფორმა – *ავტორი-სათაური*, სადაც ელემენტები გამოყოფილია მძიმეებით. (გაითვალისწინეთ, რომ ელემენტებიც და პუნქტუაციაც ოდნავ განსხვავებულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის სტილის მიხედვით ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნების სტილისგან, რომელიც აღწერილია მე-18 და მე-19 თავებში; ნუ აურევთ ან ნუ გააერთიანებთ ამ ორ სტილს.)

„ის, რაც ინტროსპექციისას გვეჩვენება, რომ მოხდება მაშინვე და ძალისხმევის გარეშე, ხშირად წარმოადგენს პროცესების კომპლექსურ ერთობლიობას, რომელთა დასრულებასაც დრო სჭირდება" (ლედუ, სინეპტიკური უჯრედი, 116).

ექსპერტის აზრით, სამუშაო ადგილზე მეგობრობის განსხვავებული ნორმები მოქმედებს (ლითლი, "კოლეგიალობის ნორმები," 330).

ზოგიერთ სფეროში ავტორებისგან მოელიან სრული ფორმის გამოყენებას ყველა ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნისთვის; სხვა სფეროებში მათ შეუძლიათ, შეამოკლონ შენიშვნები, ვინაიდან სრული შენიშვნები არღვევს ტექსტის დინებას. თუ თქვენს სფეროში დასაშვებია შემოკლება, წყაროების უმეტესობისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ ერთ-ერთი სამი ვარიანტიდან:

- *მხოლოდ გვერდების ნომრები.* შეგიძლიათ, ფრჩხილებში ჩასვათ მხოლოდ გვერდის ნომერი (ნომრები) ან ადგილის მიმანიშნებელი სხვა ელემენტი, თუ მკითხველს შეუძლია, იოლად ტექსტიდან ამოიცნოს კონკრეტული წყარო ან თუ ის არის თქვენი კვლევის ძირითადი საგანი (როგორც ქვემოთ, პირველ მაგალითში, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს *ბიძია თომას ქოხის* შესახებ), ან თუ აღნიშნავთ ავტორს ან სათაურს ტექსტში.

საწყალი ჯონი! მოგვითხრობს სტოუ. „ეს საკმაოდ ბუნებრივი იყო; და ცრემლები, რომლებიც გადმოსცვივდა ლაპარაკისას, ისევე ბუნებრივად წამოვიდა, თითქოს ის თეთრკანიანს ეკუთვნოდა” (169).

ერნსტ კასირერის აღნიშნავს ამას “ენა და მითში” (59-60).

- *ავტორი და გვერდის ნომერი.* უნდა მიუთითოთ ავტორი და გვერდის ნომერი (ნომრები) ან ადგილის აღმნიშვნელი სხვა მონაცემი, თუ მკითხველი იოლად ვერ ამოიცნობს წყაროს ტექსტიდან და თუ მოცემული ავტორის მხოლოდ ერთ ნაშრომს მიუთითებთ.

  ერთი სწავლების მიხედვით, „მატერიალური კულტურა შეიძლება, იყოს ინფორმაციის ყველაზე ობიექტური წყარო, რომელიც გაგვაჩნია ამერიკის წარსულის შესახებ” (დითზი, 259), სხვები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას.

- *სათაური და გვერდის ნომერი.* უნდა ჩასვათ შემოკლებული სათაური და გვერდის ნომერი (ნომრები) ან ადგილის აღმნიშვნელი სხვა მონაცემი, თუ მკითხველს იოლად შეუძლია ავტორის ამოცნობა ტექსტიდან და თუ მოცემული ავტორის ერთზე მეტ ნაშრომს მიუთითებთ.

ფიურეს აზრით, „მეორე მსოფლიო ომმა დაასრულა ის, რაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომით – დიდი პოლიტიკური რელიგიების დომინირება ევროპის საზოგადოებრივ აზრზე” (პასინგი, 360).

თუ ნაშრომი ხშირად გაქვთ მითითებული, სათაური უნდა შეამოკლოთ. თუ აბრევიატურა არ არის თვალსაჩინო, უნდა დააკონკრეტოთ ის, შენიშვნაში პირველი ციტირებისთვის. (თუ იყენებთ ხუთზე მეტ ასეთ აბრევიატურას ციტირებებში, ჩამოთვალეთ ისინი თქვენი ნაშრომის ცალკე ნაწილში; იხ. A.2.1.)

შ: 2. ფრანსუა ფიურე, *ილუზიის გაქრობა: კომუნიზმის იდეა მეოცე საუკუნეში,* მარგმ. დებორა ფიურე (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 19990, 368 (ციტირებულია ტექსტში როგორც *PI*).

ფიურეს თქმით, „მეორე მსოფლიო ომით დასრულდა ის, რითაც დაიწყო პირველი -- დიდი პოლიტიკური რელიგიების დომინირება ევროპის საზოგადოებრივ აზრზე” (Pl, 360).

საგაზეთო სტატიებისთვის და სხვა სახის წყაროებისთვის, რომლებშიც ავტორი, სათაური და გვერდის ნომერი არ არის ძირითადი ამოსაცნობი ელემენტი (იხ. მე-17 თავის შესაბამისი ნაწილები), საჭიროებისამებრ შეცვალეთ ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნის სტილი.

ნიუ იორკ თაიმსის სტატიაში უზენაეს სასამართლოში გარდაქმნების შესახებ (2005 წლის 30 სექტემბერი) ლინდა გრინჰაუზი წარმოადგენს მსჯელობას ამ ტენდენციების გარშემო.

## 17 სქოლიოში მითითების სტილი: სპეციფიკური სახის წყაროების მითითება

### 17.1 წიგნები

17.1.1 ავტორის სახელი და გვარი

17.1.2 სათაური

17.1.3 გამოცემა

17.1.4 ტომი

17.1.5 სერია

17.1.6. მონაცემები გამოცემის შესახებ

17.1.7 გვერდის ნომრები და ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია

17.1.8 თავები და წიგნის სხვა დასათაურებული ნაწილები

17.1.9 წერილები და სხვა კორესპონდენცია გამოქვეყნებულ კრებულებში

17.1.10 ინტერნეტში განთავსებული და სხვა ელექტრონული წიგნები

### 17.2 საჟურნალო სტატიები

17.2.1 ავტორის სახელი და გვარი

17.2.2 სტატიის სათაური

17.2.3 ჟურნალის სახელწოდება

17.2.4 ინფორმაცია გამოცემის შესახებ

17.2.5 გვერდის ნომრები და ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია

17.2.6 სპეციალური გამოცემები და დამატებები

17.2.7 ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიები

### 17.3 პოპულარული ჟურნალების სტატიები

### 17.4 საგაზეთო სტატიები

17.4.1 ფორმატთან დაკავშირებული განსაკუთრებული საკითხები

17.4.2 სპეციალური ტიპის საგაზეთო მითითებები

### 17.5 გამოქვეყნებული წყაროების დამატებითი სახეები

17.5.1 კლასიკური, შუასაუკუნეების და ადრეული პერიოდის ინგლისური ლიტერატურული თხზულებები

17.5.2 ბიბლია და სხვა წმინდა წერილები

17.5.3 საცნობარო ლიტერატურა

17.5.4 რეცენზიები, კრიტიკული სტატიები

17.5.5 რეზიუმეები, მიმოხილვები

17.5.6 ბუკლეტები და ანგარიშები

17.5.7 მიკროფორმის გამოცემები

17.5.8 CD-ROM-ები ან DVD-ROM-ები

17.5.9 ონლაინ მონაცემთა ბაზები

### 17.6 გამოუქვეყნებელი წყაროები

17.6.1 საკურსო და სადისერტაციო ნაშრომები

17.6.2 შეხვედრებზე წაკითხული ლექციები და მოხსენებები

17.6.3 ინტერვიუები და პირადი მიმოწერები

17.6.4 ხელნაწერთა კოლექციები

### 17.7 არაოფიციალურად გამოქვეყნებული ელექტრონული წყაროები

17.7.1 ვებგვერდები

17.7.2 ვებლოგებზე გამოქვეყნებული ჩანაწერები და კომენტარები

17.7.3 ადრესატთა ელექტრონული მისამართების სიები

### 17.8 წყაროები სახვით და საშემსრულებლო ხელოვნებაში

17.8.1 ვიზუალური წყაროები

17.8.2 ცოცხალი შესრულება

17.8.3 სატელევიზიო პროგრამები და სხვა სამაუწყებლო წყაროები

17.8.4 აუდიოჩანაწერები

17.8.5 ვიდეოჩანაწერები

17.8.6 ონლაინმულტიმედიური ფაილები

17.8.7 ტექსტები ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებაში

### 17.9 საჯარო დოკუმენტები

17.9.1 შესატანი ელემენტები, მათი თანმიმდევრობა და დაფორმატების წესი

17.9.2 კონგრესის პუბლიკაციები

17.9.3 საპრეზიდენტო პუბლიკაციები

17.9.4 სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სააგენტოების პუბლიკაციები

17.9.5 აშშ-ის კონსტიტუცია

17.9.6 შეთანხმებები, კონვენციები

17.9.7 სასამართლო საქმეები

17.9.8 სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების დოკუმენტები

17.9.9 კანადის მთავრობის დოკუმენტები

17.9.10 ბრიტანეთის მთავრობის დოკუმენტები

17.9.11 საერთაშორისო ორგანოების პუბლიკაციები

17.9.12 გამოუქვეყნებელი სახელმწიფო დოკუმენტები

17.9.13 ონლაინ საჯარო დოკუმენტები

### 17.10 ერთი წყარო, მითითებული მეორეში

მეთექვსმეტე თავში წარმოდგენილია სქოლიოში მითითების სიტლის გამოყენებით შენიშვნების მითითების ნიმუში; აგრეთვე, ბიბლიოგრაფიის მუხლები, სრული შენიშვნები, მოკლე შენიშვნები და ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნები. თუ თქვენთვის უცნობია ციტირების ეს სტილი, გაეცანით ამ საკითხისადმი მიძღვნილ თავს, ვიდრე შეუდგებოდეთ წინამდებარე თავის წაკითხვას.

ამ თავშიკი დეტალურადააგანხილული, როგორ უნდა შეადგინოთ შენიშვნები და ბიბლიოგრაფიის მუხლები მრავალი ტიპის წყაროსთვის. თავი ორგანიზებულია წყაროთა ტიპების მიხედვით, იწყება ყველაზე გავრცელებული წყაროებით -- წიგნებით და საჟურნალო სტატიებით, ხოლო შემდეგ განიხილულია სხვა გამოქვეყნებული, გამოუქვეყნებელი და ჩაწერილი წყაროები. წიგნებისადმი (17.1)

და საჟურნალო სტატიებისადმი (17.2) მიძღვნილ ნაწილებში უფრო სიღრმისეულად განიხილება ვარიაციები ისეთ ელემენტებში, როგორიცაა ავტორის სახელი და გვარი, სათაურები/სახელწოდებები და URL-მისამართები, ვიდრე ნაკლებად გავრცელებული წყაროების შემცველ ნაწილებში.

ონლაინ და სხვა ელექტრონული წყაროები, რომლებიც ნაბეჭდი წყაროების (მაგალითად, ონლაინ საჟურნალო სტატიები) ანალოგიურია, მიეკუთვნება შესაბამისი ტიპის წყაროს. „არაოფიციალურად გამოქვეყნებულ" (იხ. 15.4.1) წყაროებად ჩათვლილი სხვა ონლაინ წყაროები განიხილება 17.7-ში.

ნაწილების უმრავლესობაშეიცავს სრული შენიშვნებისთვის (აღინიშნება „შ"-თი) და ბიბლიოგრაფიის მუხლებისთვის (ბ) განკუთვნილ სახელმძღვანელო მითითებებს და მაგალითებს. ზოგიერთ შემთხვევაში მაგალითებში წარმოდგენილია ერთი და იმავე ნაშრომის მითითება ორივე ფორმით, რათა წარმოჩინდეს მსგავსებები და განსხვავებები მათ შორის; სხვა შემთხვევებში ნაჩვენებია განსხვავებული ნაშრომები, რათა წარმოჩინდეს ვარიაციები ელემენტებში, კონკრეტული სახის წყაროშიც კი.

იმ ტიპის წყაროს მითითებისთვის, რომელიც არ არის ამ თავში განხილული, იხილეთ„ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს" მე-15 გამოცემის (2003) მე-17 თავი. შეგიძლიათ, შექმნათ ქვემოთ მოყვანილ პრინციპებთან და მაგალითებთან მისადაგებული საკუთარი სტილი. პედაგოგების, განყოფილებების და უნივერსიტეტების უმრავლესობა ეთანხმება ამგვარ ადაპტაციებს, თუმათ ამ უკანასკნელებთან შეთანხმებით გამოიყენებთ.

## 17.1 წიგნები

წიგნები ასახავსელემენტების უფრო ფართო დიაპაზონს, ვიდრე სხვა ტიპის გამოქვეყნებული წყაროების უმეტესობა. ელემენტებში არსებული მრავალი ვარიაცია, რომელიც წინამდებარე ნაწილშია განხილული, სხვა ტიპის წყაროებსაც შეესაბამება.

### 17.1.1 ავტორის სახელი და გვარი

თითოეული ავტორის სახელი და გვარი ზუსტად ისე მიუთითეთ, როგორც სატიტულო ფურცელზეა წარმოდგენილი. თუ სახელი და გვარი მოიცავს ერთზე მეტ ინიციალს, დატოვეთ მათ შორის სივრცეები (იხ. 24.2.1).

შენიშვნებში ავტორების სახელები და გვარები ჩამოთვალეთ სტანდარტული რიგითობით (პირველ რიგში, მიუთითეთ სახელი):

**შ:** 1. ფილიპ ბოლი, *დედამიწა ხასხასა ფერებში: ხელოვნება და ფერის გამოგონება*(ნიუ-იორკი: ფარარი, შტრაუსი და ჟირო, 2001), 140.

6. თ. ჰ. ბრინი, *რევოლუციის ფორუმი: სამომხმარებლო პოლიტიკისროლი ამერიკის დამოუკიდებლობაში* (ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004),48.

8. ელიზაბეტ ა., *ნაშრომების კრებული,* რედ. ლი ს. მარკუსი, ჯენელ მიულერი, და მერი ბეთ როუზი (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000), 102-4.

ბიბლიოგრაფიისმუხლებში ავტორების სახელები და გვარები ჩამოწერეთ შებრუნებული თანმიმდევრობით (პირველ რიგში, მიუთითეთ გვარი), ზოგიერთი არაინგლისური სახელების და გვარებისა და სხვა შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ მითითებულ პარაგრაფში „სპეციალური ტიპის სახელები და გვარები"

**ბ:**ბოლი, ფილიპ. *დედამიწა ხასხასა ფერებში: ხელოვნება და ფერის გამოგონება.* ნიუ-იორკი: ფარარი, შტრაუსი და ჟირო, 2001.

ბრინი, თ. ჰ. *რევოლუციის ფორუმი: სამომხმარებლო პოლიტიკის როლი ამერიკის დამოუკიდებლობაში.*ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.

ელიზაბეტ ა.*ნაშრომების კრებული.*რედაქტირებულია ლი ს. მარკუსის, ჯენელ მიულერის, და მერი ბეთ როუზის მიერ. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ.თუ წიგნს ერთზე მეტი ავტორი ჰყავს,შენიშვნაში მიუთითეთ ყველა სახელი და გვარი სტანდარტული თანმიმდევრობით. სამი ან მეტი ავტორის შემთხვევაში „და"-ს წინ დაუსვით მძიმე. თუ ოთხი ან მეტი ავტორია,

მიუთითეთ მხოლოდ პირველი ავტორის სახელი და გვარი, შემდეგ კი და სხვები.(მძიმის წამძღვარების გარეშე).

**შ:** 2. კაი ბერდი და მარტინ ჯ. შერვინი, *ამერიკის პრომეთე: ჯ. რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია*(ნიუ-იორკი: ალფრედ ა. კნოფი, 2005). 52.

3. ჯოის ეფლბაი, ლინ ჰანტი, და მარგარეტ ჯეიქობი,*სიმართლე ისტორიის შესახებ*(ნიუ-იორკი: უ. უ. ნორტონი&კომპანია, 1994), 135-36.

8. ჟაკლინ დაუდ ჰოლი და სხვები. *ოჯახის მსგავსად: სამხრეთის ბამბის სამყაროს შექმნა* (ჩეფელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987), 114-15.

ბიბლიოგრაფიის მუხლშიმიუთითეთ პირველი ავტორის სახელი და გვარი შებრუნებული თანმიმდევრობით, დაურთეთ მძიმე და ჩამოთვალეთ დანარჩენი ავტორები სტანდარტული თანმიმდევრობით. მიუთითეთ ყველა ავტორი, მათი რაოდენობის მიუხედავად; არ გამოიყენოთდა *სხვები.*

**ბ:** ბერდი, კაი, და მარტინ ჯ. შერვინი.*ამერიკის პრომეთე: ჯ. რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია*.ნიუ-იორკი: ალფრედ ა. კნოფი, 2005.

ეფლბაი, ჯოის, ლინ ჰანტი, და მარგარეტ ჯეიქობი. *სიმართლე ისტორიის შესახებ*.ნიუ-იორკი: უ. უ. ნორტონი& კომპანია, 1994.

ჰოლი, ჟაკლინ დაუდი, ჯეიმს ლელოუდისი, რობერტ კორსტადი, მერი მერფი, ლუ ენ ჯოუნსი, და კრისტოფერ ბ. დეილი. *ოჯახის მსგავსად: სამხრეთის ბამბის სამყაროს შექმნა*.ჩეფელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინასუნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲜ ᲛᲗᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. თუ სატიტულო გვერდზე,ავტორის გარდა, მითითებულია რედაქტორი ან მთარგმნელი, მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი ისე, როგორც აღწერილია ზემოთ. რედაქტორის ან მთარგმნელის სახელი და გვარი დაუმატეთ წიგნის სახელწოდების შემდეგ. თუ წიგნს მთარგმნელიც ჰყავს და რედაქტორიც, მიუთითეთ მათი სახელები და გვარები იმავე თანმიმდევრობით, როგორც ორიგინალის სატიტულო გვერდზეა. შენიშვნებში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით აბრევიატურა რედ. (და არასდროს რედ-ები., ვინაიდან ამ კონტექსტში იგი აღნიშნავს „რედაქტირებულია ... X—ის მიერ" და არა „რედაქტორი") ან მთარგ.

**შ:** 6. ივ ბონიფოი, *ახალი და რჩეული ლექსები,*რედ. ჯონ ნოთონი და ენთონი რუდოლფი (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995), 35.

7. რიგობერტა მენჩუ, *საზღვრის გადალახვა, მთარგ. და რედ. ენ ვრაითი*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა“ვერსო”, 1999), 50-51.

10. თეოდორ უ. ადორნო და ვოლტერ ბენჯამინი. *სრული მიმოწერა, 1928-1940, რედ. ჰენრი ლონიცი, მთარგ. ნიკოლას უოქერი* (კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999), 212.

ბიბლიოგრაფიის სტატიებში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით ფრაზა რედაქტირებულია ... მიერ ან თარგმნილია ... მიერ.

**ბ:**ბონეფოი, ივ. *ახალი და რჩეული ლექსები.რედაქტირებულია ჯონ ნოთონის და ენთონი რუდოლფის მიერ. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1995.

მენჩუ, რიგობერტა. *საზღვრების გადალახვა. თარგმნილი და რედაქტირებულიაენ ვრაითის მიერ*. ნიუ-იორკი: “ვერსო”. 1999.

ადორნო, თეოდორ უ., და უოლტერ ბენჯამინი. *სრული მიმოწერა, 1928-1940 რედაქტირებულია ჰენრი ლონიცის მიერ. თარგმნილია ნიკოლას უოქერის მიერ.კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა,*1999.

როდესაც სატიტულო ფურცელზე რედაქტორი ან მთარგმნელი მითითებულია რთული აღწერით, მაგალითად, „რედაქტირებულია, შესავლით და შენიშვნებით, ... X-ის მიერ” ან „თარგმნილია, წინასიტყვაობით ...X-ის მიერ”, შეგიძლიათ ამ ფრაზის გამარტივება და მხოლოდ „რედაქტირებულია...X-ის მიერ” ან „თარგმნილია ...X-ის” მიერ გამოყენება, შემდგომ კი ზემოთ მოყვანილინიმუშების მიხედვით დაწერა. საზოგადოდ, თუ წინასიტყვაობა ან შესავალი დაწერილია არა ავტორის, არამედ სხვა რომელიმე პირის მიერ, არ არის აუცილებელი ამ პიროვნების მითითება, თუ სპეციალურად არ მოიხსენიებთ ამ ნაწილს (იხ. 17.1.8). იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ავტორის სახელი და გვარი მითითებულია წიგნის სახელწოდებაში,ხოლო რედაქტორის სახელი და გვარი – სატიტულო ფურცელზე, იხილეთ ქვემოთ მოცემული „ავტორთან დაკავშირებული დამატებითი სიტუაციები”.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲜ ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ. როდესაც რედაქტორი ან მთარგმნელი მითითებულია წიგნის სატიტულო ფურცელზე ავტორის ნაცვლად, ჩაწერეთ ამ პიროვნების სახელი და გვარი ავტორისთვის განკუთვნილ ადგილას.დაწერეთ ისევე, როგორც დაწერდით ავტორის სახელს და გვარს (იხ. ზემოთ), თუმცა, დაუმატეთ აბრევიატურა რედ. ed. (მრავლობითში რედ.-ები) ან მთარგ.(მრავლობითში მთარგ.-ები) გვარის და სახელის შემდეგ. თუ რედაქტორი ან მთარგმნელი რამდენიმეა, იხელმძღვანელეთ„რამდენიმე ავტორში" ჩამოყალიბებული პრინციპებით.

**შ:** 3. თეოდორ სილვერშტაინი, მთარგმ., *სერ გევეინი და მწვანე რაინდი*(ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974), 34.

4. ტიმოთი ე. ფულოპი და ალბერტ ჯ. რაბოტო, რედ.-ები,*აფროამერიკული რელიგია: განმარტებითი ესეები ისტორიისა და კულტურის თემებზე*(ნიუ-იორკი:გამომცემლობა „რუთლეჯი", 1997), 412-14.

**ბ:**სილვერშტაინი, თეოდორ, მთარგმ. *სერ გევეინი და მწვანე რაინდი*.ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.

ფულოპ, ტიმოთი, ე., და ალბერტ ჯ. რაბოტო, რედ.-ები. *აფროამერიკული რელიგია: განმარტებითი ესეები ისტორიისა და კულტურის თემებზე*.ნიუ-იორკი: გამომცემლობა „რუთლეჯი",1997

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ქვემოთ წარმოგიდგენთწყაროებში ავტორების მითითების ზოგიერთ დამატებით საშუალებას. თუ წააწყდებით შემთხვევებს, რომლებსაც აქ არ შევხებივართ, მიმართეთ მოდელს, რომელიც მიგაჩნიათ მასთან ყველაზე ახლოს.

- ავტორის სახელი და გვარი სათაურში. თუ ავტორის სახელი და გვარი მითითებულია ისეთი წიგნის სათაურში ან ქვესათაურში, როგორიცაა ავტობიოგრაფია, შენიშვნაში გამოტოვეთ ავტორის სახელი და გვარი და დაიწყეთ სათაურით. ხოლო ბიბლიოგრაფიის მუხლში ჩასვით ავტორის სახელი და გვარი,გამეორების მიუხედავად. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ მსგავს ნაშრომებს რედაქტორებიც ჰყავს, ნუ მიუთითებთ მათ სახელსა და გვარს რედაქტორის სახელის ქვეშ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (მაგალითად, ამ პიროვნების მიერ რედაქტირებული ნაშრომების შესწავლისას).

**შ:** 12. *გენერალ უ. თ. შერმანის მემუარები, რედ. ჩარლზ როისტერი* (ნიუ-იორკი: ამერიკის ბიბლიოთეკა, 1990), 836.

15. *სინათლე და ღამის ელვარება: ქარსონ მაკქულერსის დაუმთავრებელი ავტობიოგრაფია, რედ. კარლოს ლ. დიუსი* (მედისონი: ვისკონსინის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999), 54.

**ბ:**შერმანი, უ. თ. *გენერალ უ. თ. შერმანის მემუარები. რედაქტირებულია ჩარლზ როისტერის მიერ.* ნიუ-იორკი: ამერიკის ბიბლიოთეკა, 1990.

მაკულერს, კარსონ. *განათება და ღამის ელვარება: ქარსონ მაქქულერსისდაუმთავრებელი ავტობიოგრაფია. რედაქტირებულია კარლოს ლ. დიუსის მიერ.* მედისონი: ვისკონსინის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.

- ორგანიზაცია, როგორც ავტორი. თუ ორგანიზაციის, ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო ფურცელზე არ არის მითითებული ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია, როგორც გამომცემელი.

**შ:**9. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, *ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ორგანიზაცია*(ჟენევა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2003), 50.

**ბ:** შეერთებულ შტატებზე ტერორისტული თავდასხმების ეროვნული კომისია.*11 სექტემბრის კომისიის ანგარიში.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა უ. უ. ნორტონი დაკომპანია, 2004.

- ფსევდონიმი.იხმარეთ ფართოდ გამოყენებული ფსევდონიმი, როგორც ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი. თუ ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია,კვადრატულ ფრჩხილებში, ფსევდონიმის შემდეგ დაურთეთ *ფსევდ.*

**შ:**16.მარკ ტვენი,*უფლისწული და მათხოვარი: ნაწარმოები ნებისმიერი ასაკის ახალგაზრდისათვის*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა“ჰარპერ ენ ბრაზერსი”, 1899). 34.

ბ:სენტინელი (ფსევდ.). „წერილები".ნაშრომში *აბსოლუტური ანტიფედერალისტი, რედაქტირებულია ჰერბერტ ჯ. სტორინგის მიერ.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1981.

- ანონიმი ავტორი. თუ ავტორი ცნობილია ან ხვდებიან ავტორის ვინაობას, მაგრამიგი არ მოიხსენიება წიგნის სატიტულო ფურცელზე, დაურთეთ სახელი და გვარი ფრჩხილებში (კითხვის ნიშნით, რათა აღნიშნოთ, რომ დარწმუნებული არა ხართ). თუ ავტორი ან რედაქტორი უცნობია, მოერიდეთ სიტყვის „ანონიმი" ხმარებას სახელის და გვარის ადგილას და შენიშვნა ან ბიბლიოგრაფიის მუხლი სათაურით დაიწყეთ.

**შ:** 22. [ებენეზერ კუკი?],*პლანტატორის სარკე*(ანაპოლისი, 17301,5-6.
31. *ვირჯინიაში დაწყებული პლანტაციის მიზნების და შედეგების ნამდვილი და გულწრფელი განცხადება, რა დონეზე იქნა მიღწეული და რა საშუალებებით მოხდა მათი ხელშეწყობა* (1610),17.

ბ:[ებენეზერ კუკი?], *პლანტატორის სარკე*.ანაპოლისი. 1730.*ვირჯინიაში დაწყებული პლანტაციის მიზნების და შედეგების ნამდვილი და გულწრფელი განცხადება, რა დონეზე იქნა მიღწეული და რა საშუალებებით მოხდა მათი ხელშეწყობა*. 1610.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ.ზოგჯერ ადვილი არ არის, გავარჩიოთ, რომელია ავტორის სახელი და რომელი – გვარი. ცნობილი ისტორიული ავტორების ვინაობა დააზუსტეთ მერიამ ვებსტერის ბიოგრაფიულ ლექსიკონში (*Merriam-Webster's Biographical Dictionary*); თანამედროვე ავტორების ვინაობის დასაზუსტებლად ჩაიხედეთ თქვენი ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგში. ქვემოთ მოცემულია ამგვარი, რთულად ამოსაცნობი სახელების და გვარების ანბანის მიხედვით დაწყობის ზოგადი პრინციპები. შემოკლებულ ან ფრჩხილებში ჩასმულ შენიშვნებში ჩასვით გვარი(last name) ზუსტად შებრუნებული ფორმით (როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები მსხვილი შრიფტით).

- შედგენილი გვარები. შედგენილი გვარები, დეფისიანი გვარების ჩათვლით,დააწყვეთ ანბანური წესით, კომპოზიტის პირველი ნაწილის მიხედვით. თუ გათხოვილი ქალი იყენებს როგორც საკუთარ, ისე მეუღლის გვარს, დეფისის გარეშე დააწყვეთ ანბანური წესით მეორე გვარის მიხედვით. მრავალ უცხო ენაშიადვილი ამოსაცნობია კომპოზიტური

სახელები (იხ. ქვემოთ), თუმცა არის ისეთი ენები, მაგალითად, ფრანგული და გერმანული, სადაც ასე არ ხდება.

**კესლერ-ჰარისი**, ალის **მიეს ვან დერ როჰე,**ლუდვიგი

**ჰინე,** დარლინკლარკი **ტეილარ დე შარდენი,** პიერ

- ნაწილაკიანი სახელები. ამა თუ იმ ენიდან გამომდინარე, ისეთი ნაწილაკები, როგორიცაა დე, დი, დ' და ვან, შეიძლება ან არ შეიძლება, ჩაითვალოს გვარის პირველ ნაწილად ანბანური წესით დაწყობისას. ჩაიხედეთ ზემოთ მითითებულ ერთ-ერთ წყაროში, თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ უნდა მოიქცეთ კონკრეტული სახელის დაწერის დროს. გაითვალისწინეთ, რომ ნაწილაკები შეიძლება,დაწერილიიყოს ნუსხური ან მთავრული ასოებით, ზოგ მათგანს კი მოსდევდეს აპოსტროფი.

**დე გოლი,** ჩარლზ **ბოვუარი,** სიმონ დე

**დი ლეონარდო,** მიქაელა **კუნინგი,** უილემ დე

**ვან რენსელერი,** სტეფან **მედიჩი,** ლორენცო დე'

-*„მაკ"-ით, „სენტ"-ით ან „ო"-თი* ***დაწყებული გვარები.*** *„მაკ"-ით, „სენტ"-ით ან „ო"-თი*დაწყებულ გვარებს შეიძლება. დაალაგეთ ყველა ეს გვარი ანბანური წესით ფაქტობრივად არსებული ასოების საფუძველზე; ნუ დააჯგუფებთ მათ იმის გამო, რომ ისინი მსგავსია.

- სახელები და გვარები ენებში, გარდა ინგლისურისა. მრავალ ენაშისახელების დარქმევის პირობითობები განსხვავდება ინგლისურ ენაში არსებულთაგან. თუ თქვენი ნაშრომი შეიცავს რომელიმე კონკრეტული ენის ბევრ სახელსა და გვარს, შეისწავლეთ ამ ენის პირობითობები.

მრავალი ესპანური გვარი შედგენილია და შეიცავს პიროვნების მამის და დედის გვარებს, რომლებიც, როგორც წესი, დაკავშირებულია კავშირით „ი". დაალაგეთ ასეთი გვარები ანბანური წესით პირველი ნაწილის მიხედვით.

**ორტეგა ი გასეტი,** ხოსე **სანჩეზ მენდოზა,** ხუანა

*„ალ-"* ან *„ელ-"* ნაწილაკებით დაწყებული არაბული გვარები დააწყვეთ ანბანური წესით,ნაწილაკის მომდევნო ელემენტის მიხედვით. გვარები, რომლებიც იწყება ნაწილაკებით *„აბუ", „აბდ" და „იბნ"* მსგავსია ინგლისური

გვარებისა, რომლებიც იწყება *„მაკ”-ით ან „სენტ”-ით* და უნდა დააწყოთ ანბანური წესით ამ ელემენტების მიხედვით.

**ჰაკიმ,** ტავფიქ ალ- **აბუ ზაფარ ნადვი,** სიედ

**ჟამალ,** მუჰამედ ჰამიდ ალ- **იბნ საუდ,** აზიზ

თუ ავტორი, რომელიც ჩინურ ან იაპონურ გვარს ატარებს, ხელმძღვანელობს ტრადიციული წესით (გვარი, რომელსაც მოსდევს დარქმეული სახელი –family name followed by given name),ნუ დასვამთ სახელს გვარის წინ ან მძიმეს სახელსა და გვარს შორის. თუ ავტორი ხელმძღვანელობს დასავლური წესით (სახელს მოსდევს გვარი), დაწერეთ, როგორც გვარ-სახელი.

*ტრადიციული წესი* *დასავლური წესი*

**ჩაოვუ-ჩი** **ცოუ,** თანგ

**იოშიდა** შიგერუ **კუროსავა,** ნორიაკი

### 17.1.2 სათაური

ჩამოთვალეთ წიგნების სრული სათაურები და ქვესათაურები. დაწერეთ ორივე დახრილი შრიფტით და გამოყავით სათაური ქვესათაურისგან ორწერტილით. თუ ორი ქვესათაურია, პირველისწინ დასვით ორწერტილი, მეორეს წინ კი – წერტილმძიმე.

**შ:5**. იან ჰ. კალიცკი და დევიდ ლ. გოლდვინი, რედ.-ები,*ენერგეტიკა და უსაფრთხოება: საგარეო პოლიტიკაში ახალი სტრატეგიისკენ*(ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), 195-96.

**ბ:**აჰმედ,ლეილა. *საზღვარგარეთ მოგზაურობა: კაიროდან ამერიკაში: ერთი ქალის მოგზაურობის ისტორია.* ნიუ-იორკი:ფარერი, სტრაუსი და ჟირო, 1999.

დატოვეთ უცვლელად ორიგინალი სათაურისდამწერლობა, დეფისების განლაგება და პუნქტუაცია, ორი გამონაკლისის გარდა: შეცვალეთ სიტყვები,რომლებიც მთლიანად მთავრული ასოებით არის დაწერილი (გარდა ინიციალური აბრევიატურების ან აქრონიმებისა; იხ. თავი 24) დიდი და პატარა ასოებით და შეცვალეთ ამპერსანდი (&) და-თი. რიცხვები დაწერეთ სიტყვიერად

ანციფრებით, ორიგინალის შესაბამისად (მეთორმეტე საუკუნე ან მე-12 საუკუნე), თუ უმჯობესი არ იქნა მათი სიის სხვა სათაურებთან შესაბამისობაში მოყვანა. წიგნის თავების და სხვა ნაწილების სათაურებთან დაკავშირებით იხ. 17.1.8.

სათაურებში არსებული სპეციალური ელემენტები. სპეციალურ გაფორმებას საჭიროებს სათაურებში არსებული რამდენიმე ელემენტი.

- თარიღები. გამოიყენეთ მძიმესათაურში ან ქვესათაურში თარიღების გამოსაყოფად, ორიგინალ წყაროში პუნქტუაციის არარსებობის შემთხვევაშიც. თუ წყაროში მითითებულ თარიღებს ახლავს აფიქსი (1920-იდან 1945-მდე) ან ორწერტილი, იხელმძღვანელეთ წყაროში გამოყენებული წესით.

**შ:** 5. უოლტერ ა. მაკდუგალი, *თავისუფლება ძალიან ახლოს არის: ამერიკის ახალი ისტორია, 1525-1828* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა“ჰარპერ კოლინსი”, 2004), 333-34.

**ბ:**ჯელიკო, ჯეფრი, და სიუზან ჯელიკო. *ლანდშაფტი: ბუნების განაშენიანება პრეისტორიული ხანიდან თანამედროვე პერიოდამდე. მე-3 გამ.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა “თემსი და ჰუდსონი”, 1995.

- სათაურები და მითითებები სათაურებში. როდესაც ერთი ნაშრომის სათაური, რომელიც, როგორც წესი, დახრილი შრიფტით იწერება,მითითებულია სხვა ნაშრომის დახრილი შრიფტით წარმოდგენილ სათაურში, ჩასვით მითითებული სათაური ბრჭყალებში. თუ ის სათაურში ჩვეულებრივად ბრჭყალებშია ჩასმული, დატოვეთ ბრჭყალები.

**შ:** 22. ცელიაეფლგეითი, *ბახი ბერლინში: ქვეყანა და კულტურა მენდელსონის "წმ. მათეს ვნებაში "* (Ithaca: კორნელის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), 25.

**ბ:** მაკჰიუ, როლანდ. *„ფინეგანის სამძიმრის” შენიშვნები. მე-2 გამ.*ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

თუმცა, როდესაც მითითება გამოიყენება წიგნის სრულ მთავარ სათაურად, ნუღარ ჩასვამთ მას ბრჭყალებში.

**შ:** 8. სემ სვოუფი. *მე ვარ ფანქარი: მასწავლებელი, მოსწავლეები და მათი ისტორიები*(ნიუ-იორკი: ჰენრი ჰოლტი და კომპანია. 2004), 108-9.

**ბ:**ჩერნოფი,ჯონ მ. *თაღლითობა არ არის ქურდობა: აფრიკელი მეძავი გოგონას თავგადასავალი.*ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

- დახრილი შრიფტით მოცემული ტერმინები. დახრილი შრიფტითდაბეჭდილ სათაურში შემავალიისეთიტერმინები, როგორიცაა სახეობების სახელწოდებები ან გემების სახელები, რომლებიც ტექსტში ჩვეულებრივად დახრილი შრიფტით არის მოცემული, წარმოადგინეთ სწორი შრიფტით.

**შ:** 7. თ. ჰიუპენინგტონი, *როდესაც საკვები სიკვდილს იწვევს: ძროხის ცოფი,* ე. კოლი, *დაკატასტროფების რაობა*(ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003), 15.

**ბ:**ლეხ, რაიმონდ ბ. შეერთებული შტატების ხომალდის -- ინდიანაპოლისის*ტრაგიკული ხვედრი.შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტის ყველაზე ცუდი კატასტროფა.* ნიუ-იორკი: გამომცემლობა "კუპერ სქუეარის გამომცემლობა", 2001.

- კითხვის და ძახილის ნიშნები. როდესაც სათაური ან ქვესათაური მთავრდება კითხვის ან ძახილის ნიშნით, მას არანაირი სხვა სასვენი ნიშანი არ მოსდევს.

**შ:** 26. თომას ფრანკი, *რა ხდება კანზასში? როგორ მოიგეს კონსერვატორებმა ამერიკელების გული*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა „Metropolitan Books", 2004), 250-51.

**ბ:**აარონ, ჰენრი. *რატომ არის ასე რთული დახმარებების რეფორმის განხორციელება?* ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: გამომცემლობა ბრუქინგს ინსტიტუსენის გამომცემლობა", 1973.

ძველი სათაურები.მეთვრამეტე საუკუნეში ან უფრო ადრინდელ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომების სათაურებშიშეინარჩუნეთ ორიგინალში არსებული პუნქტუაცია და დამწერლობა. აგრეთვე, შეინარჩუნეთ ორიგინალი ნაწარმოების მთავრული ასოებით დამწერლობა მაშინაც კი, თუ არ შეესაბამება სათაურების სტილს. თუმცა, სიტყვები, რომლებიც მთლიანად მთავრული ასოებით არის

დაწერილი, უნდა შეიცვალოს და მთავრულით მხოლოდ საწყისი ასოები დაიწეროს. თუ სათაური ძალიან გრძელია, შეგიძლიათ, შეამოკლოთ და, იმავდროულად, მიაწოდოთ მკითხველებს საკმარისი ინფორმაცია, რათა მათ მოძებნონ სრული სათაური ბიბლიოთეკაში ან გამომცემლის კატალოგში. მიანიშნეთ სათაურებში გამოტოვებული ადგილები სამი წერტილის ჩასმით. თუ გამოტოვებული ადგილი ბიბლიოგრაფიის მუხლში სათაურის ბოლოშია, გამოიყენეთ ოთხი წერტილი (სამწერტილი და წერტილი; იხ. 25.3.2).

**შ:** 19. ჯონ რეი, *ტოპოგრაფიული, ზნეობრივი და ფიზიოლოგიური დაკვირვებები: ბენელუქსის ქვეყნების ნაწილში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში მოგზაურობის შედეგად: იმ მცენარეების კატალოგით, რომლებიც ინგლისის ადგილობრივ სახეობებს არ მიეკუთვნება... რასაც ერთვის „ბატონ ფრანსის უილუგბის მოკლე მონათხრობი, მისი მოგზაურობა ესპანეთში*([ლონდონი], 1673), 15.

**ბ:** ესკალანტე, ბერნარდინო. *პორტუგალიელების მიერ მსოფლიოს აღმოსავლეთში მდებარე სახელმწიფოებსა და პროვინციებში მოგზაურობის ისტორია.....* თარგმნილია ჯონ ფრემფთონის მიერ. ლონდონი, 1579.

ᲐᲠᲐᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘ. არაინგლისური სათაურების შემთხვევაში იხელმძღვანელეთ შესაბამის ენაში საკუთარი არსებითი სახელების და ზედსართავი სახელების მთავრული ასოებით დაწერის არსებული პრინციპებით. თუ არ იცნობთ ამ პრინციპებს, მიმართეთ სანდო წყაროს.

**შ:** 3. დანიელ მაისონევი, ჟან-ფრანსუალამარშიდაივ სეინთ-ამანი,*Les relationspubliques: Dans unesociete en mouvance*(Sainte-Foy, QC: Presses de l'Universite de Quebec, 1998), 15.

6. ლილიანა პილეტიჩსტოიანოვიჩი, რედ. *Gutfreund i ceski kubizam* (Belgrade: Muzej savremene umetnosti, 1971), 54-55.

**ბ:**კროუნ-შმალცი, გებრიელ. *ნაწარმოებში:“Wahrheitsind wir starker: Frauenalltag inder Sowjetunion.”*Frankfurt am Main: Fischer Taschenbuch Verlag, 1992.

თუ სათაურს ქართულ თარგმანს დაურთავთ, მოათავსეთ იგიორიგინალის შემდეგ. ჩასვით ფრჩხილებში, დახრილი შრიფტის ან ბრჭყალების გარეშე, დაწერეთ მთავრული ასოებით წინადადების სტილის მიხედვით.

**შ:** 7. ჰენრიკ ვერეზიცკი, *Koniec sojuszu trzech cesarzy* [სამი იმპერატორის ლიგის დასასრული] (ვარშავა: PWN, 1977), 5.

**ბ:** *Zhongguo renkou tongji nianjian 1996* [ჩინეთის მოსახლეობის სტატისტიკური წელიწდეული, 1996წ.]. პეკინი: Zhongguo tongji chubanshe, 1996.

თუ გესაჭიროებათ როგორც ორიგინალის, ისე, მისი თარგმანის მითითება, გამოიყენეთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი ფორმა, იმის მიხედვით, რაზე გსურთ მკითხველის ყურადღების გამახვილება – ორიგინალზე თუ თარგმანზე.

**ბ:** ფურე, ფრანსუა. *Le passe d'une illusion.* პარიზი: გამომცემლობა „Editions Robert Laffont",1995. თარგმნილია დებორა ფურეს მიერ, როგორც *ილუზიის გაქრობა* (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999).

*ან*

ფურე, ფრანსუა. *The Passing of an Illusion. თარგმნილია დებორა ფურეს მიერ.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999. თავდაპირველად გამოქვეყნებულია სათაურით *Le passe d'une illusion* (პარიზი: გამომცემლობა „Editions Robert Laffont", 1995).

### 17.1.3 გამოცემა

ტერმინ გამოცემას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა და ყველა მათგანი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ზოგი ნაშრომი არაერთხელ გამოიცემა, მათ შინაარსში ან/და ფორმატში შეტანილი ცვლილებებით. თუ მიუთითებთ წიგნს, რომელიც გამოქვეყნდა არაერთი გამოცემის სახით, ყოველთვის მიუთითეთ, რომელიგამოცემით ისარგებლეთ, ვინაიდან გამოცემები შეიძლება, განსხვავებული იყოს. (თუ ქვემოთ აღწერილი ნიშნებიდან არც ერთი არ მიესადაგება წიგნს, შეგიძლიათ,ჩათვალოთ, რომ იგი პირველი გამოცემაა, რის მითითებაც არ ხდება).

განახლებული გამოცემები. როდესაც წიგნი ხელახლა გამოიცემა შინაარსში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებებით, მას შეიძლება,ვუწოდოთ „განახლებული” ან „შემდგომი”გამოცემა. ეს ინფორმაცია, როგორც წესი,განთავსებულია წიგნის სატიტულო ფურცელზე და მეორდება, გამოცემის თარიღთან ერთად, საავტორო უფლებების გვერდზე.

პირველის გარდა სხვა გამოცემის მითითებისას, სათაურის შემდეგ მიუთითეთ გამოცემის რიგითი ნომერი ან აღწერა. შეამოკლეთ ისეთი ფორმულირება, როგორიცაა „მეორე გამოცემა, განახლებული და გავრცობილი”, როგორც „მე-2 გამოც.” შეამოკლეთ „განახლებული გამოცემა” როგორც „განახ. გამოც.”; აღწერას დაურთეთ მხოლოდ მითითებული გამოცემის და არა სხვა ნებისმიერი წინა გამოცემის გამოქვეყნების თარიღი (იხ. 17.1.6).

**შ:** 1. პოლ ჯ. ბოლთი, დეიმონვ. კოლეტა, დაკოლინზ ჯ. შეკელფორდი უმცრ., *ამერიკის თავდაცვის პოლიტიკა,მე-8 გამ.* (ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2005), 157-58.

**ბ:**დენიელს, როჯერ. *ამერიკაში ჩამოსახლება: ამერიკის ცხოვრებაში იმიგრაციის და ეთნიკური ფაქტორის ისტორია.* მე-2 გამ.ნიუ-იორკი: გამომცემლობა “ჰარპერ პერენიალი”, 2002.

ბაბი, ფლორენც. *მინდვრიდან სამზარეულომდე: მეწარმე ქალების პოლიტიკური ეკონომიკა პერუში.* განახ. გამ.ოსტინი: ტეხასის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

გადაბეჭდილი გამოცემები. შესაძლებელია, აგრეთვე, წიგნის ხელახლა გამოცემა ახალ ფორმატში, როგორიცაა, მაგალითად, რბილყდინი გამოცემა (გამოქვეყნებული თავდაპირველი ან სხვა გამომცემლის მიერ) ან ელექტრონული ფორმა (იხ. 17.1.10). მაშინაც კი, როცა წიგნის შინაარსი შესაძლოა, მინიმალურად იყოსშეცვლილი ორიგინალთან შედარებით, მიუთითეთ გადაბეჭდილი გამოცემა, თუ მას ეყრდნობოდით. შეიძლება,ისურვოთ, მიუთითოთ, რომ ეს გადაბეჭდილი გამოცემაა, განსაკუთრებით, თუ იგი გამოქვეყნდა თავდაპირველი გამოცემიდან ერთ ან ორზე მეტი წლის შემდეგ ან კლასიკური ნაწარმოების თანამედროვე ნაბეჭდი გამოცემაა. ამ შემთხვევაში მიუთითეთ

როგორც ორიგინალი გამოცემის, ისე, იმ გამოცემის პუბლიკაციის თარიღები, რომელიც თქვენ გამოიყენეთ (იხ. 17.1.6).

**შ:** 23. პიტერ ვარდ ფეი. *ოპიუმის ომი, 1840-1842* (1975; გადაბეჭ., ჩეფელ ჰილი:ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997), 67-68.

**ბ:**ემერსონ, რალფ ვალდო. *ბუნება.* 1836. გადაბეჭ., ბოსტონი: გამომცემლობა "ბიკონი", 1985.

### 17.1.4 ტომი

თუ წიგნი მრავალტომიანი ნაშრომის ნაწილია, ჩართეთ ეს ინფორმაცია მითითებებში.

კონკრეტული ტომი. ის, თუ როგორ მიუთითებთ მრავალტომიანი ნაშრომის კონკრეტულ ტომს, დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა ტომს მთელი ნაშრომისგან განსხვავებული სათაური. თუ ასეა, მიუთითეთ კონკრეტული ტომის სათაური, მის შემდეგ კი როგორც ტომის ნომერი, ისე, ზოგადი სათაური. შეამოკლეთ ტომი (ტ.) და ტომის ნომრებისთვის გამოიყენეთ არაბული ციფრები.

**შ:** 10. იაროსლავ პელიკანი. *ქრისტიანული დოქტრინა და თანამედროვე კულტურა (1700 წლიდან), ქრისტიანული ტრადიცია: დოქტრინის განვითარების ისტორია,ტ.* 5(ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989). 16.

**ბ:**პელიკანი, იაროსლავ. *ქრისტიანული დოქტრინა და თანამედროვე კულტურა (1700 წლიდან). ქრისტიანული ტრადიცია: დოქტრინის განვითარების ისტორია,* ტ. 5.ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

თუ ტომებს არ აქვს ინდივიდუალური სათაურები და თქვენ მიუთითებთ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, ბიბლიოგრაფიის მუხლს დაუმატეთ ტომის ნომერი. (იხ. ქვემოთ, როგორ უნდა მიუთითოთ მთლიანად მრავალტომიანი ნაშრომი). შენიშვნაში ჩასვით ტომის ნომერი (ტ.-ს გარეშე) უშუალოდ გვერდის ნომრის წინ და განაცალკევეთ ისინი ორწერტილითშუალედური ინტერვალის გარეშე.

**შ:** 36. მურიელ სთ. კლერ ბირნი, რედ.,ლისლის წერილები (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981), 4:243.

**ბ:**ბირნი, მურიელ სთ. კლერ, რედ. *ლისლის წერილები.* ტ. 4. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა,1981.

ზოგმრავალტომეულ ნაშრომს ჰყავს როგორც საერთო რედაქტორი, ისე ყოველი ტომის რედაქტორი ან ავტორი. ასეთი ნაშრომების ნაწილების მითითებისას, დაურთეთ ინფორმაცია რედაქტორის ან ავტორის შესახებ (იხ. 17.1.1) კონკრეტული ტომის სათურის შემდეგ და ტომის ნომრის და საერთო სათაურის წინ. ქვემოთ წარმოდგენილი პირველი მაგალითი გვიჩვენებს,აგრეთვე, როგორ უნდა მივუთითოთ ერთზე მეტ ფიზიკურ ნაწილად გამოქვეყნებული ტომი (ტ. 2, წ. 3).

**შ:** 40.ბარბარა ე. მუნდი, „ცენტრალური ამერიკის კარტოგრაფია".ნაშრომში*კარტოგრაფია აფრიკის, ამერიკის, არქტიკის, ავსტრალიის და წყნარი ოკეანის აუზის ტრადიციულ საზოგადოებებში,* რედ. დევიდ ვუდვორდი და ჯ. მალკოლმ ლუისი, „კარტოგრაფიის ისტორია" ტ. 2, წ. 3, რედ. ჯ. ბრაიან ჰარლი და დევიდ ვუდვორდი (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998), 233.

**ბ:**დონი, ჯონ. *"იუბილეები"*რედაქტირებულია გერი ა. სტრინჯერის და თედ ლარი პებვორთის მიერ. *ჯონ დონის პოეზიის გამოცემა სხვადასხვა ტექსტით,* ტ. 6, რედაქტირებულია გერი ა. სთრინჯერის მიერ. ბლუმინგთონი: ინდიანას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.

მთლიანი მრავალტომეული ნაშრომი. თუ შენიშვნებში მიუთითებთ მრავალტომეული ნაშრომის ერთზე მეტ ტომს, ბიბლიოგრაფიაში შეგიძლიათ მთლიანი ნაშრომის მითითება. (თუ ნაშრომი შეიცავს როგორც მთლიანი ნაშრომის, ასევე, კონკრეტული ტომების სათაურებს ან რედაქტორებს, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, მეტი სიზუსტისთვისსაჭიროა ტომების სათითაოდ მითითება).მიუთითეთ სათაური და ტომების საერთო რაოდენობა, ხოლო, თუ ტომები გამოიცემოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, მიუთითეთგამოქვეყნების თარიღების სრული პერიოდი.

ბ:არისტოტელე. *არისტოტელეს ნაშრომების სრული კრებული: ოქსფორდის განახლებული თარგმანი. რედაქტირებულია ჯ. ბარნსის მიერ. 2 ტომი. პრინსტონი, ნიუ-ჯერსი:* პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983.

თილტიჩი, პოლ. *სისტემატური თეოლოგია. 3 ტომი.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1951-63.

### 17.1.5 სერია

თუ მითითებული წიგნი არის ოფიციალური სერიის ნაწილი, არ გევალებათ სერიის შესახებ ინფორმაციის მითითება, მაგრამ შეგიძლიათ ამის თაობაზე გარკვეული ან სრული ინფორმაციის დართვა, რათა დაეხმაროთ მკითხველებს წყაროს ადგილის ან მისი სანდოობის დადგენაში. მოათავსეთ ეს ინფორმაცია სათაურის შემდეგ (და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოცემის და ტომის შესახებ ინფორმაციის შემდეგ) და პუბლიკაციის მონაცემების წინ.

ყველაზე სასარგებლო ინფორმაციას სერიის შესახებ შეიცავს მისი სათაური. წარმოადგინეთ იგი სწორი შრიფტით, სათაურის მთავრული ასოებით დაწერის სტილში. თუ სერიის ტომები დანომრილია, შეგიძლიათ,დაურთოთ მითითებული ნაშრომის ნომერი სერიის სათაურის შემდეგ. სერიის რედაქტორის სახელი და გვარი ხშირად გამოტოვებულია, მაგრამ შეგიძლიათ მისი მითითება სერიის სათაურის შემდეგ.

**შ:** 7.გერშონ დევიდ ჰუნდერტი, *ებრაელები პოლონეთის ქალაქში: ოტაპოვის ისტორია მეთვრამეტე საუკუნეში, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის იუდაისტიკის ფაკულტეტი* (ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992), 113.

ბ:მარკმანი, ჩარლზუ. *ჩიკაგო წინაისტორიულ პერიოდში: თანამედროვე ქალაქების პრეისტორიული პერიოდის არქეოლოგია.* ილინოისის არქეოლოგიური კვლევები 7. სპრინგფილდი: ილინოისისისტორიული მემკვიდრეობის დაცვისსააგენტო, 1991.

ისენბერგი, ნენსი. *სქესიდამოქალაქეობასამოქალაქო ომის წინადროინდელამერიკაში.* გენდერი და ამერიკული კულტურა, რედაქტირებულია ლინდა ქერბერის და ნელ ირვინ ფეინთერის მიერ. ჩაფელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

ზოგი დანომრილი სერია იმდენი ხანია არსებობს, რომ დანომვრა თავიდან იწყება. ახალი სერიისწიგნები მითითებულიაახ. სერ. *(ახალი სერიოები), მე-2 სერ. (მე-2 სერიები)* ან სხვა მსგავსი აღნიშვნით, რომელიც, როგორც წესი, მოთავსებულია სერიის ნომრის წინ და გამოყოფილია მძიმეებით. ძველი სერიისწიგნები ასე აღინიშნება, ძვ. სერ. *(ძველი სერიები), პირ. სერ. (პირელი სერიები) და ა.შ.*

**შ:** 3. ჩარლზრ. ბოქსერი, რედ. *სამხრეთ ჩინეთი მეთექვსმეტე საუკუნეში,* "ჰაკლუტის საზოგადოების გამომცემლობა. მე-2 სერ. 106 (ლონდონი, 1953), 44.

**ბ:**პალმატარი, ელენ ს. *ბრაზილიის კუნძულ მარაიოს კერამიკის ნაწარმი.* ამერიკის ფილოსოფოსთა საზოგადოების ნაშრომები, ახ. სერ. 39. ნაწ. 3. ფილადელფია, 1950.

### 17.1.6 მონაცემები გამოცემის შესახებ

მონაცემები გამოცემის შესახებ, ჩვეულებრივ, მოიცავს სამ ელემენტს: გამოცემის ადგილს (ქალაქი), გამომცემლის სახელწოდებას და გამოცემის თარიღს (წელი). შენიშვნებში ეს ელემენტები თავსდება ფრჩხილებში; ბიბლიოგრაფიის სტატიებში არა.

**შ:** 1. ჯარედ დაიამონდი,*იარაღი, ბაქტერიებიდაფოლადი: ადამიანთა ხვედრი*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა "ნორტონი და კომპანია", 1997), 47.

**ბ:** დაიამონდი, ჯარედ. *იარაღი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანთა ხვედრი.*ნიუ-იორკი: გამომცემლობა ნ"ორტონი და კომპანი", 1997.

ისეთ წიგნების მითითებისას, რომლებიც გამოქვეყნდა მეოცე საუკუნემდე ან რომელთა შესახებაც ინფორმაცია საკუთრივ ნაშრომში არ ჩნდება, შეგიძლიათ გამოტოვოთ და არ მიუთითოთგამომცემლობის სახელწოდება, აგრეთვე, გამოცემის ადგილები.

**შ:** 32. ჩარლზ ლემბი, *ელიას ესეები*(1823), 5-6.

**ბ:** ლემბი, ჩარლზ. *ელიას ესეები.* 1823.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ.გამოცემის ადგილი არის ქალაქი, სადაც გამომცემლობის მთავარი რედაქცია მდებარეობს; იგი, როგორც წესი, მიეთითება სატიტულო გვერდზე, ზოგჯერ კი საავტორო უფლებების შემცველ გვერდზე. იქ, სადაც ორი ან ორზე მეტი ქალაქია მითითებული (მაგალითად, „ჩიკაგო და ლონდონი"), მიუთითეთ მხოლოდ პირველი ქალაქი.

ლოს-ანჟელესი: "პოლ გეთის ფონდის გამომცემლობა"

ნიუ-იორკი: კოლუმბიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

მკითხველისთვის შესაძლოა, უცნობი იყოს გამოცემის ქალაქიან აერიოს იმავე სახელის მატარებელ სხვა ქალაქში, ამიტომ დაუმატეთ მას შტატის (იხ. 24.3.1), მხარის ან (თუ საჭიროა) ქვეყნის აბრევიტურა. როდესაც გამომცემლობის სახელწოდება შეიცავს შტატის (ქვეყნის) სახელს, აღარ არის საჭირო შტატის (ქვეყნის) აბრევიატურის დართვა.

ჩეშაირი, კონექტიკუტი:გრაფიქს გამომცემლობა

ჰარმონდსვორთი, გაერთიანებული სამეფო:პენგუინ ბუქსის გამომცემლობა

კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ემ-აი-თი პრესის გამომცემლობა

ჩეფელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამოიყენეთ უცხო ქვეყნების ქალაქების თანამედროვე, ფართოდ ხმარებული ინგლისური სახელები.

ვაშინგტონი და არა უოშინგტონიჩიკაგო და არა შიქაგო

როდესაც პუბლიკაციის ადგილი უცნობია, შეგიძლიათ,გამოიყენოთ აბრევიატურა *უცნ. (უცნობი)* გამომცემლის სახელის წინ. თუ იცით ადგილი, მაგრამ არ ხართ დარწმუნებული სიზუსტეში, ჩასვით ის კვადრატულ ფრჩხილებში კითხვის ნიშნით.

უცნ.: უინძორი.

[ლეიქ ბლაფი, ილინოისი?]: ვლიეტი და ედუარდსი.

გამომცემლობის სახელწოდება მიუთითეთ ზუსტად ისე, როგორც მოცემულია წიგნის სატიტულო ფურცელზე, მაშინაც, როდესაც თქვენთვის ცნობილია, რომ

სახელწოდება შემდეგ შეიცვალა ან თქვენს ბიბლიოგრაფიაში შეტანილ სხვა წიგნებში სხვადასხვაგვარად სახელდება.

ჰარკოტ ბრეის ენდ უოლდი

ჰარკოტ ბრეი იოვანოვიჩი

ჰარკოტ, ბრეისი

თუმცა, ადგილის დაზოგვის მიზნით, შეგიძლიათ,ისეთი აბრევიატურების გამოტოვება, როგორიცაა კორპ. (კორპორაცია), *შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), კომპ. (კომპანია) და საგამომც. კომპ. (საგამომცემლო კომპანია).*

ჰაფტონ მიფინი და არა ჰაფტონ მიფინის კორპ.

ლიტლ, ბრაუნ *და არა ლიტლ, ბრაუნ და კომპ.*

თუ გამომცემლობაუცხოურია, ნუ გადათარგმნით ან ნუ შეამოკლებთ გამომცემლობის სახელწოდების რაიმე ნაწილს, მიუთითეთ ქალაქის სახელი ინგლისურში გავრცელებული ფორმით (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული). თუ გამომცემელიუცნობია, დაურთეთ მხოლოდ გამოქვეყნების ადგილი (თუ ცნობილია) და გამოცემის თარიღი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ.წიგნის გამოცემის თარიღი შეიცავს მხოლოდ წელს, არა თვეს ან დღეს და,როგორც წესი, საავტორო უფლებების განცხადების თარიღის იდენტურია. ის,ჩვეულებრივ, მიეთითება საავტორო უფლებების შემცველ გვერდზე ზოგჯერ კი — სატიტულო ფურცელზე.

განახლებულ და გადაბეჭდილ გამოცემებს შეიძლება,ჰქონდეს საავტორო უფლებების განცხადების ერთზე მეტი თარიღი. ასეთ შემთხვევაში ყველაზე უახლესი მიუთითებს გამოცემის თარიღს. მაგალითად: © 1982, 1992, 2003, აქ 2003 გამოცემის თარიღია.ასეთ ნაშრომებში პუბლიკაციის თარიღების ციტირების შესახებ იხ. 17.1.3.

თუ ვერ ადგენთ ნაბეჭდი ნაწარმოების გამოცემის თარიღს, ჩასვით აბრევიატურა ვერ დადგ. (n.d), წლის ნაცვლად. თუ თარიღი არ არის მითითებული, მაგრამმიგაჩნიათ, რომ იცით, შეგიძლიათ, დაუმატოთ ფრჩხილებში კითხვის ნიშნით, რაც მიანიშნებს, რომ თარიღის სისწორეში დარწმუნებული არ ხართ.

**ბ:** სმითი, ჯონ. *წიგნი ღირსებების შესახებ.* ედინბურგი, ვერ დადგ.

მილერი, სამუელ. *კიდევ ერთი წიგნი ღირსებების შესახებ.* ბოსტონი, [1750?].

თუ წიგნზე გამომცემლობაში მუშაობა მიმდინარეობს და უკვე დასათაურებულია, თუმცა, გამოცემის თარიღი ჯერ არ არის ცნობილი, თარიღისთვის განკუთვნილ ადგილას მიუთითეთ *გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში.* თუ წიგნი ჯერ არ არის გადაცემული გამომცემლობისთვის დასაბეჭდად, მიუთითეთ ის, როგორც გამოუქვეყნებელი ხელნაწერი (იხ. 17.6).

**შ:** 91. *ჯეინ ქ. ავტორი, წიგნის სათაური (გამოქვეყნების ადგილი: გამომცემლობისსახელწოდება, გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში).*

**17.1.7 გვერდის ნომრები და ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია**

გვერდის ნომრები და ის სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება მითითებული ამონარიდის ან ელემენტის ადგილმდებარეობის დასადგენად, ჩვეულებრივ,გვხვდება შენიშვნებში და არა ბიბლიოგრაფიაში.

ნომრების დიაპაზონის საჩვენებლად საჭირო სახელმძღვანელო მითითებები იხილეთ 23.2.4-ში.

გვერდი, თავი და გამყოფი ნომრები.შენიშვნებში გვერდის ნომრები, ჩვეულებრივ,წიგნის მითითების ბოლო ელემენტია. ნუ დაურთავთ სიტყვას *გვერდი* ან აბრევიატურებს გვ. ან გვ.-ები; გამოიყენეთ არაბული ციფრები, გარდა იმ გვერდებისა, რომლებიც ორიგინალში რომაული ციფრებით არის დანომრილი.

**შ:**14. ენ ს. როუზი, *ვიქტორიანული ეპოქის ამერიკა და სამოქალაქო ომი*(ნიუ-იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992), 145-46.
17. ჯერომ კაგანი, „მეათე საიუბილეო გამოცემის შესავალი". წიგნში *„ბავშვის ბუნება"*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა „Basic Books", 1994),xxii-xxiv.

ზოგჯერ მითითება შეეხება მთლიან თავს (შემოკლებით თ., ნაწილს (ნაწ.), წიგნს (წ.),ან სექციას (სექ.) და არა გვერდის ნომრების დიაპაზონს.

**შ:** 22. დონალდ ლ. მილერი. *საუკუნის ქალაქი: ჩიკაგოს ეპოპეა და ამერიკის შექმნა*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა "საიმონი და შუსტერი", 1996), ნაწ. 2.

მდებარეობის მანიშნებელი სპეციალური ტიპის ინფორმაცია. წიგნის ზოგიერთ ნაწილს აქვს სპეციალური ტიპისმდებარეობის მანიშნებელი ინფორმაცია, რომლებიც გამოიყენება მითითებებში.

- შენიშვნების ნომრები. შენიშვნების მითითებისთვის გამოიყენეთ აბრევიატურა შენ. (შენიშვნა), მრავლობითში შენ.-ები. თუ მითითებული შენიშვნა არის ერთადერთი სქოლიო თავის გვერდზე ან დაუნომრავი სქოლიო, დაუმატეთ შენ. გვერდის ნომრის შემდეგ (შუალედური ინტერვალის ან სასვენი ნიშნის გარეშე). თუ მითითებული შენიშვნისგვერდზე სხვა შენიშვნებიც არის, მიუთითეთ გვერდის ნომერი და შემდეგ შენ., ან (თუ თანმიმდევრობით მითითებულია ორი ან მეტი შენიშვნა) – შენ.-ები და შენიშვნის ნომერი (ნომრები).

**შ:** 45. ენტონი გრეფტონი, *სქოლიო: საინტერესო ისტორია* (კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997), 72შენ.

46. დვაითბოლინგერი, *ენა: დატენილი იარაღი* (ლონდონი: გამომცემლობა "ლონგმენი", 1980), 192შენ.23,192შენ.30, 199შენ.14, 201შენ.-ები16-17.

- ილუსტრაციებისა და ცხრილის ნომრები. გამოიყენეთ აბრევიატურა ნახ. ნახატის აღსანიშნად, მაგრამ სრულად დაწერეთ ცხრილი, რუკა, დაფა და სხვა ტიპის ილუსტრაციების დასახელებები. მიუთითეთ გვერდის ნომერი ილუსტრაციის ნომრის წინ.

**შ:** 50. რიჩარდ სობელი. *საზოგადოების აზრი შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში: აზრთა სხვადასხვაობა დახმარების წინააღმდეგ არსებული პოზიციის გარშემო* (ბოსტონი: გამომცემლები – როუმენ ენ ლითლფილდი. 1993), 87, ცხრილი 5.3.

თაბახის, ფურცლებისა და ფორმატების ნომრები.ზოგიერთ წიგნს, რომელიც დაიბეჭდა 1800 წლამდე, არა აქვს გვერდების ნომრები და დაყოფილია თაბახებად, შემდეგ ფურცლებად ან ფორმატებად,ყოველ მათგანს აქვს წინა (*recto* ანr) და უკანა მხარე (*verso* ანv). ამ ნაშრომების ლოკატორები უნდა შედგებოდეს შესაბამისი ციფრებისა და იდენტიფიკატორების ჯაჭვისგან, ინტერვალების ან დახრილი შრიფტით დაწერილი ნიშნების გარეშე: მაგალითად, G6v, 176r, 232r-v ან(თუ მიუთითებთ მთლიან ფორმატებად) fol. 49.

URL-მისამართები, მუდმივი წყაროს იდენტიფიკატორები, შესვლის თარიღები, და აღწერილობითი მაჩვენებლები. ინტერნეტში გამოქვეყნებული წიგნს (იხ. 17.1.10)

URL-ი დაურთეთ შენიშვნაშიც და ბიბლიოგრაფიის მუხლშიც. ყოველი URL-ი იწყება იმ პროტოკოლის ნუსხური ასოებით შედგენილი აბრევიატურით, რომელიც გამოიყენება მკითხველებისთვის ელექტრონული მასალის მისაწოდებლად, ყველაზე ხშირად *http* და *ftp*. ამ აბრევიატურას მუდმივად მოსდევს ორწერტილი და ორი დახრილი ხაზი, რის შემდეგაც მოდის გამომცემლის დომენის სახელი, მას მერე კი – რესურსის მისამართი. დომენის სახელის მომდევნო კომპონენტები განცალკევებულია მისგან და ერთმანეთისგან ერთი დახრილი ხაზით.

http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six

მთავრული ასოების დასმა URL-ის შიდა კომპონენტებში ხდება ზუსტად ისე, როგორც ისინი წარმოგვიდგება ეკრანზე. თუ URL-ს „დამასრულებელი დახრილი ხაზი“ აქვს ბოლოში, ჩართეთ იგი. ნუ ჩასვამთ URL-ს კვადრატულ ფრჩხილებში, სასურველია, რომ URL-ის უწყვეტობა არ დაირღვეს სტრიქონის ბოლოს, მაგრამ თუ ამის გაკეთება საჭიროა, სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხილეთ 20.4.2.

ზოგ ინტერნეტ წყაროს,URLმისამართების გარდა, სხვა მუდმივი იდენტიფიკატორებიც აქვს. თუ წყარო იყენებს ობიექტის ციფრულ იდენტიფიკატორებსან მსგავს სისტემას, დაურთეთ ინფორმაცია, რომლის შედარება შესაძლებელი იქნება თქვენს მითითებაში არსებულ URL-მისამართთან.

doi: 10. 1006/jeth.2000.2694

ნებისმიერი ინტერნეტწყაროს მითითებისას დაურთეთ ამ წყაროში უკანასკნელად შესვლის თარიღი, თუ ისე მოხდა, რომ მას შემდეგ შინაარსი შეიცვალა ან ამოღებულია ინტერნეტიდან (იხ. 15.4.1). შეღწევის თარიღი ჩასვით ფრჩხილებში URLმისამართის ან მუდმივი იდენტიფიკატორის შემდეგ.

(შესვლის თარიღი: 2006 წლის 17 მაისი)

ინტერნეტში გამოქვეყნებული წიგნები შეიძლება, არ შეიცავდეს გვერდების ნომრებს, რომლებიც გვეხმარება ფრჩხილებში ჩასმულ მითითებებში ნაჩვენები ამონარიდის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ, URLმისამართის და შესვლის თარიღის წინ დაუმატოთ აღწერილობითი მაჩვენებელი, როგორიცაა, მაგალითად, წინა ქვესათაური (იხ., მაგალითად,

19.1.10). აუცილებელი არ არის ამგვარი მაჩვენებლის ჩართვა ბიბლიოგრაფიის მუხლში.

**17.1.8 თავები და წიგნის სხვა დასათაურებული ნაწილები**

უმეტეს შემთხვევაში, უნდა მიუთითოთ მთავარი სათაური ნებისმიერი წიგნისა, რომელშიც წარმოდგენილიაერთი, უწყვეტი არგუმენტი ან თხრობა, მაშინაც, როცა თქვენ, ფაქტობრივად, მის მხოლოდ ერთ რომელიმე ნაწილს იყენებთ. თუ ხელმძღვანელობთ იმ წიგნის მხოლოდ ერთი ნაწილით, რომელიც ერთი ან რამდენიმე ავტორის მიერ სხვადასხვა თემაზე დაწერილი დამოუკიდებელი ნაშრომების კრებულია, შეგიძლიათ, მიუთითოთ მხოლოდ ის ერთი თავი ან ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს კვლევას. ამით დაეხმარებით მკითხველს, დაინახოს, რამდენად მიესადაგება წყარო თქვენს პროექტს.

**ბ:**დემოსი, ჯონ. „ნამდვილი ცხოვრება და სხვა ფიქცია: უოლის სტეგნერის 'წონასწორობის კუთხის' ხელახლა გააზრება." წიგნში„*რომანის ისტორია: ისტორიკოსები და ნოველისტები უპირისპირდებიან ამერიკის წარსულს (და ერთმანეთს),* რედაქტირებულია მარკ ს. კარნსის მიერ, 132-45. ნიუ-იორკი: გამომცემლობა "საიმონი და შუსტერი", 2001.

და არა

კარნსი, მარკ ს., რედ. „*რომანის ისტორია: ისტორიკოსები და ნოველისტები უპირისპირდებიან ამერიკის წარსულს (და ერთმანეთს).* ნიუ-იორკი: გამომცემლობა "საიმონი და შუსტერი", 2001.

ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნების ნაწილები. თუ მიუთითებთ ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნის დასათაურებულ ნაწილს, პირველ რიგში მიუთითეთ ამ ნაწილის სათაური სწორი შრიფტით, მოათავსეთ ბრჭყალებში. აღნიშვნის „წიგნში ---..." შემდეგ მიუთითეთ წიგნის სათაური. ბიბლიოგრაფიის მუხლში, წიგნის სათაურის შემდეგ მიუთითეთ ამ ნაწილის გვერდების სრული ინტერვალი; შენიშვნაში მიუთითეთ გვერდის ნომერი (ნომრები) კონკრეტული მითითებისთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ციტატის შემთხვევაში.

**შ:** 1. ჯონ ჩარლზ ჩესტინი, „ნეოკოლონიალიზმი",წიგნში ---„*სისხლსა და ცეცხლში დაბადებული: ლათინური ამერიკის მოკლე ისტორია*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა "ნორტონი და კომპანია", 2001), 190-91.

**ბ:**ჩესტინი, ჯონ ჩარლზ. „ნეოკოლონიალიზმი".წიგნში --- „*სისხლსა და ცეცხლში დაბადებული: ლათინური ამერიკის მოკლე ისტორია,* 179-206. ნიუ-იორკი: გამომცემლობა "ნორტონი და კომპანია", 2001.

თუ მიუთითებთ ნაწილს საერთო სათაურით, როგორიცაა შესავალი, წინასიტყვაობა ან ბოლოსიტყვაობა,ჩასვით ეს ტერმინი წიგნის სათაურის წინ. მიუთითეთ საერთო სათაური სწორი შრიფტით ბრჭყალების გარეშე და პირველი სიტყვა მთავრული ასოთი დაწერეთ მხოლოდ ბიბლიოგრაფიის მუხლში. თუ ეს ნაწილი დაწერილია სხვა და არა წიგნის ძირითადი ავტორის მიერ, სათაურის შემდეგ თავდაპირველად მიუთითეთ ნაწილის ავტორის სახელი და გვარი, შემდეგკი --წიგნის ავტორის სახელი და გვარი.

**შ:** 7.ალფრედ უ. ქროსბი, შესავალი წიგნის „*ეკოლოგიური იმპერიალიზმი: ევროპის ბიოლოგიური ექსპანსია" ახალი გამოცემისთვის, 900-1900,* ახალი გამოც. (ნიუ-იორკი, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004), xv.

16. ქრეგ ქალჰუნი, წინასიტყვაობა წიგნისა --„*მრავალკულტურული პოლიტიკა: რასიზმი, ეთნიკურობა და მუსულმანები ბრიტანეთში",* წინასიტყვაობის ავტორი – ტარიქ მოდუდი (მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), xvi.

**ბ:**ქროსბი, ალფრედ უ. შესავალიწიგნის „*ეკოლოგიური იმპერიალიზმი: ევროპის ბიოლოგიური ექსპანსია" ახალი გამოცემისთვის, 900-1900.* ახალი გამოც.ნიუ-იორკი, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.

ქალჰუნი, ქრეგ. წინასიტყვაობა წიგნისა -- „*მრავალკულტურული პოლიტიკა: რასიზმი, ეთნიკურობა, და მუსულმანები ბრიტანეთში",* წინასიტყვაობის ავტორი – ტარიქ მოდუდი. მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

რედაქტირებული კრებულების ნაწილები. თუ მიუთითებთ რედაქტირებული კრებულის ნაწილს, რომელიც მოიცავს მრავალი ავტორის ნაშრომს, პირველ რიგში, მიუთითეთ ნაწილის ავტორი და სათაური (სწორი შრიფტით,

ბრჭყალებში ჩასმული). სიტყვის „წიგნში ...” შემდეგ მიუთითეთ წიგნის სათაური და რედაქტორის სახელი და გვარი. ბიბლიოგრაფიის მუხლში წიგნის სათაურის შემდეგ მიუთითეთამ ნაწილის გვერდების სრული ინტერვალი; შენიშვნაში მიუთითეთ გვერდის ნომერი (ნომრები) კონკრეტული ლიტერატურისთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ციტატის შემთხვევაში.

**შ:** 3. ენ ქარი და დაგლას ჯ. შურმანი, „რელიგია და ფემინიზმი: რეფორმისტული ქრისტიანული ანალიზი”, წიგნში *„რელიგია, ფემინიზმი, და ოჯახი”, რედ. ან ქარი და მერი სტიუარტ ფონ ლიუენი* (ლუისვილი, კენტუკი: გამომცემლობა “უესტმინსტერ ჯონ ნოხ პრესი”, 1996), 13-14.

**ბ:** ქარი, ენდა დაგლას შურმანი. „რელიგია და ფემინიზმი: რეფორმისტული ქრისტიანული ანალიზი”, წიგნში *„რელიგია, ფემინიზმი და ოჯახი”, რედაქტირებულია ენ ქარისა და მერი სტიუარტ ფონ ლიუენის მიერ,* 11-32. ლუისვილი, კენტუკი: გამომცემლობა “უესტმინსტერ ჯონ ნოხ პრესი”, 1996.

თუ მიუთითებთ ერთსა და იმავე რედაქტირებულ კრებულში შემავალ ორ ან მეტ ნაშრომს, შეგიძლიათ,მიიჩნიოთ ისინი ცალკეულ წყაროებად ან სივრცის დაზოგვის მიზნით შეგიძლიათ, გამოიყენოთ შემოკლებული ფორმა, რომელიც განხილულია 16.4.1-ში. როდესაც შენიშვნაში პირველად მიუთითებთ წიგნის რომელიმე ნაწილს, ჩასვით სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ნაწილის შესახებ და,ზოგადად,წიგნის შესახებ. შემდეგ, თუ მითითებას აკეთებთ წიგნის სხვა ნაწილზე, სრულად მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი და ნაწილის სათაური, წიგნის შესახებ ინფორმაცია კი ჩაწერეთ შემოკლებული ფორმით. შემდგომი შენიშვნები ცალკეული ნაწილებისთვის სტანდარტული შემოკლებული შენიშვნების ფორმის მიხედვით უნდა ჩაირთოს.

**შ:** 4. უილიამ ჰ. კითინგი, „ფორტი დიარბორნი და ჩიკაგო”,ნაწილში*„დაბლობებიანი შტატი: ილინოისის შესახებ”, 1673-1967, მოგზაურებისა და სხვა პირების მონათხრობის მიხედვით, რედ. პოლ მ. ენგლი* (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967), 84.

12. სარა კლარკლიპინკოტი, „ჩიკაგო”, “Angle”-ში, 362.

14. კითინგი, 85.

15. ლიპინკოტი, 365.

ბიბლიოგრაფიაში ჩართეთ სრული მითითება მთლიან წიგნზე და შემოკლებული შენიშვნის ერთ-ერთი ვარიანტი ცალკეული ნაწილების მითითებისთვის.

**ბ:ენგლი. პოლ მ., რედ.** *„დაბლობებიანი შტატი: ილინოისის შესახებ", 1673-1967, მოგზაურებისა და სხვა პირების მონათხრობის მიხედვით.* (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967).

კითინგი, უილიამ ჰ.„ფორტი დიარბორნი და ჩიკაგო". "Angle"-ში, 84-87.

ლიპინკოტი, სარა კლარკ. „ჩიკაგო". "ენგლში", 362-70.

ანთოლოგიებში მოთავსებული ნაშრომები. მიუთითეთ ანთოლოგიაში დაბეჭდილი მოკლე მოთხრობა, ლექსი, ესე ან სხვა ნაშრომი ისევე, როგორც მიუთითებდით მრავალი რედაქტორის მიერ რედაქტირებულკრებულში შემავალ ნაშრომს. ანთოლოგიებში გამოქვეყნებული უმეტესი ნაშრომების სათაურები დაწერეთსწორი შრიფტით, მოათავსეთ ბრჭყალებში. გამონაკლისს წარმოადგენს ამონარიდის სათაური დიდი მოცულობის მქონე პოემიდან ან პროზაული ნაწარმოებიდან, რომელიც უნდა დაიწეროს დახრილი შრიფტით (იხ. 22.3.2).

**შ:***7.*იზაბელ ალენდე, „სულებს ასე სურდათ",კრებულში*ლათინური ამერიკის ესეების ოქსფორდის კრებული, რედ. ლიონ სტავანსი* (ნიუ-იორკი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997),463-64.

**ბ:**უიგლესვორთი, მაიკლ. ამონარიდიწიგნიდან „განკითხვის დღე". ანთოლოგიაში*ამერიკის პოეზიის ახალი ანთოლოგია: ტრადიციები და რევოლუციები, დასაწყისიდან 1900 წლამდე, რედაქტირებულია სტივენ გაულდ აქელროდის, კამილ რომანის და თომას ტრავისანოს მიერ,*68-74. ნიუ ბრუნშვიკი, ნიუ-ჯერსი: რუტგერსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

თუ ნაწარმოების თავდაპირველი პუბლიკაციის თარიღი მნიშვნელოვანია ნაშრომის კონტექსტიდან გამომდინარე, მიუთითეთ ის ნაშრომის სათაურის შემდეგ და ანთოლოგიის სათაურის წინ, როგორც შენიშვნებში, ისე, ბიბლიოგრაფიაში.

**შ:** 2. იზაბელ ალენდე, „სულებს ასე სურდათ" (1984), კრებულში*ოქსფორდის წიგნი...*

**ბ:**უიგლესვორთი, მაიკლ. ამონარიდიწიგნიდან „განკითხვის დღე". 1662. ანთოლოგიაში*ახალი ანთოლოგია...*

### 17.1.9 წერილები და სხვა კორესპონდენცია გამოქვეყნებულ კრებულებში

შეგიძლიათ,მიუთითოთ იმ წიგნების კონკრეტული ნაწილები, რომლებშიც შესულია წერილები, მემორანდუმები და სხვა კორესპონდენცია, ვინაიდან კონკრეტული მითითება შეიცავს ინფორმაციას, რომელიც არ არის აღნიშნული მთლიანი წიგნის მითითებაში, მაგალითად თარიღს და კონკრეტული კომუნიკაციის მონაწილეებს. (გამოუქვეყნებელი პირადი კომუნიკაციებისთვის იხ. 17.6.3; გამოუქვეყნებელი წერილების ხელნაწერების კრებულებისთვის იხ. 17.6.4.) ასეთი მასალის მითითებისთვის აღნიშნეთ გამგზავნის და მიმღების სახელები და გვარები, შემდეგ თარიღი და (ასეთის არსებობის და მიზანშეწონილობის შემთხვევაში) ადგილი, სადაც კომუნიკაცია მომზადდა. სიტყვა წერილი არ არის აუცილებელი, მაგრამ დაასათაურეთ სხვა ფორმები, როგორიცაა ანგარიში ან მემორანდუმი. კრებულის სათაური და სხვა მონაცემები მიუთითეთ ისეთივე ფორმით, როგორც რედაქტირებული წიგნის შემთხვევაში. ყურადღება მიაქციეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმას, რომელიც განსხვავებულია ელემენტების ჩვეული სქემისგან.

**შ:**1. ადამსის წერილები ჩარლზ მილნეს გასკელს, ლონდონი, 1896 წლის 30 მარტი, წერილებში „ჰენრის წერილები ადამსის მისამართით", *1858-1891, რედ. ვორთინგთონ ჩონსი ფორდი (ბოსტონი: გამომცემლობა "ჰაფტონ მიფინი"*, 1930), 141,

2. ადამსის წერილები გასკელს, 142.

5. ი-ბი-ემისა და ჰეროლდ როსსის მემორანდუმი 1946 წლის 2 მაისი, *ი. ბ. უაითის წერილებში,* რედ. დოროთი ლობრანო გუთი (ნიუ-იორკი: გამომცემლობა "ჰარპერი და რო", 1976), 273.

ბ:ჯექსონი, პაულინა. პაულინა ჯექსონის წერილები ჯონ პეპის უმცროსის მისამართით, 1676 წ. 3 ოქტომბერი. ნაშრომში „სემუელ პეპისის და მისი ოჯახის წერილები", *რედაქტირებული ჰელენ თრუსდელ ჰითის მიერ*, no. 42. ოქსფორდი: გამომცემლობა "კლარენდონ პრესი", 1955.

თუ შენიშვნებში მიუთითებთ ერთი წიგნიდან რამდენიმე წერილზე ან სხვა კომუნიკაციებზე, ბიბლიოგრაფიაში აღნიშნეთ მხოლოდ წიგნი და არა კონკრეტული ნაწილები.

ბ: ჩერჩილი, უინსტონ და დვაით დ. ეიზენჰაუერი.*ჩერჩილის და ეიზენჰაუერის მიმოწერა, 1953-1955,რედაქტირებულია პიტერ ჯ. ბოილის მიერ.*ჩეპელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

### 17.1.10 ონლაინ და სხვა ელექტრონული წიგნები

ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის იხელმძღვანელეთ ნაბეჭდი წიგნებისთვის არსებული მითებებით. სტანდარტული ელემენტების გარდა,მიუთითეთ URL მისამართი და თარიღი, როდესაც გახსენით მასალა (იხ. 15.4.1, 17.1.7). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL მისამართი არ არის საკმარისი; მაქსიმალურად უნდა მიუთითოთ სრული ფაქტები გამოცემის შესახებ, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძებნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ URL მისამართი შეიცვლება. თუ გვერდის ნომრები არ არის აღნიშნული,შენიშვნაში ციტირებული მონაკვეთის ადგილმდებარეობა მიუთითეთ აღწერილობითი ლოკატორის (როგორიცაა წამძღვარებული ქვესათაური) დამატებით და თავად გამოცემის სახელწოდების წინ სიტყვა „წიგნში" ჩამატებით,URLმისამართისა და გახსნის თარიღამდე.

შ: 1. ჟულიან სამორა და პატრიცია ვანდელ სიმონი, *მექსიკელი და ამერიკელი ხალხის ისტორია, განახ. რედ.* (ისთ ლანსინგი, მიჩიგანი: ჟულიან სამორასკვლევითი ინსტიტუტი, მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტი, 2000), ნაწილში„სამოქალაქო ომი მექსიკაში",http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapterU.html#six (გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

ბ: სამორა, ჟულიან დაპატრიცია ვანდელ სიმონი. *მექსიკელი და ამერიკელი ხალხების ისტორია. განახ. რედ.* ისთ ლანსინგი, მიჩიგანი: ჟულიან

სამორას კვლევითი ინსტიტუტი, მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტი, 2000. http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapterU .html#six (გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

როდესაც მიუთითებთ წიგნებს, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვა ელექტრონულ ფორმატში, როგორიცაა ინტერნეტიდან ჩამოსატვირთი წიგნებიან წიგნები, რომლებიც წიგნის მაღაზიაში ან ბიბლიოთეკაში სხვა ტიპის მატარებელზეა ხელმისაწვდომი, მიუთითეთ ფორმატი (CD-ROM, Microsoft Reader e-book).

**შ:** 1. თომას ჰ. დევენპორტი და ჯონ ს. ბეკი. *სიფხიზლე ეკონომიკაში: ბიზნესის ახალი ვალუტა*(კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის გამომცემლობა, 2001), TK3 „მკითხველის ელექტრონული წიგნი”.

**ბ:**ჰელმანი, ჰელ. *დიდი ანტაგონიზმი ტექნოლოგიების სფეროში: ათი ყველაზე აქტიური დავა.* ნიუ-იორკი: ჯონ უილი. 2004. Rocket ელექტრონული წიგნი.

## 17.2 საჟურნალო სტატიები

პერიოდული გამოცემების უმრავლესობა, რითაც იხელმძღვანელებთ ნაშრომის მომზადებისას, კლასიფიცირდება როგორც ჟურნალები - სამეცნიერო ან პროფესიული პერიოდული გამოცემები, რომლებიც ხელმისაწვდომია, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო ბიბლიოთეკებში და გამოწერით. ჟურნალები ხშირად, თუმცა, არა ყოველთვის (*მაგ.:საინსი),* სათაურებში შეიცავს სიტყვას „ჟურნალი”. თანამედროვე ისტორიის ჟურნალი,პოპულარულიჟურნალები,როგორც წესი, არ არის სამეცნიერო გამოცემები; ისინი უფრო ხელმისაწვდომია მკითხველებისთვის, ვიდრე სამეცნიერო ჟურნალები, როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე, მათი სამეცნიერო წრეებს ფარგლებს გარეთ გავრცელების გამო. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამეცნიერო ჟურნალების სტატიებისა და მასებზე გათვლილი პოპულარული ჟურნალებისსტატიების მითითება სხვადასხვანაირად ხდება. თუ არა ხართ დარწმუნებული, რა პერიოდულ გამოცემასთან გაქვთ საქმე – სამეცნიერო თუ მასობრივ-

პოპულარულ ჟურნალთან, ნახეთ, ხომ არ შეიცავს ჟურნალის სტატიები მითითებებს; თუ პასუხი დადებითია, მიიჩნიეთ იგი სამეცნიეროდ.

### 17.2.1 ავტორის სახელი და გვარი

მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი ზუსტად ისე, როგორც სტატიების სათაურებშია. იხელმძღვანელეთ 17.1.1-ში მოცემული წიგნის ავტორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით.

### 17.2.2 სტატიის სათაური

ჩამოთვალეთ სტატიის სრული სათაურები და ქვესათაურები. გამოიყენეთ სწორი შრიფტი, გამოყავით სათაური ქვესათაურისგან ორწერტილით და სათაურებიც და ქვესათაურებიც მოათავსეთ ბრჭყალებში. დასვით მთავრული ასოები სათაურის სტილის დაცვით (იხ. 22.3.1).

**შ:** 12. ნენსი ლ. გრინი, „გასვლის პოლიტიკა: იმიგრაციის მოდელის შემობრუნება",*თანამედროვე ისტორიის ჟურნალი 77*(2005 წლის ივნისი): 275.

**ბ:** გრინი, ნენსი ლ. „გასვლის პოლიტიკა: იმიგრაციის მოდელის შემობრუნება".*თანამედროვე ისტორიის ჟურნალი77*(2005 წლის ივნისი): 263-89.

ტერმინები, როგორიცაა სახეობების სახელწოდებები და წიგნების სათაურები, რომლებიც, როგორც წესი, დახრილი შრიფტით იწერება ტექსტში, კვლავ დახრილი შრიფტით დაიწერება სტატიის სათაურში; ტერმინები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ციტირებულია ტექსტში, კვლავ რჩება ერთმაგ ბრჭყალებში, ვინაიდან თავად სათაურია ჩასმული ორმაგ ბრჭყალებში. ნუ დასვამთ მძიმეს ან წერტილს სტატიის იმ სათაურის ან ქვესათაურის შემდეგ, რომელიც სრულდება კითხვის ან ძახილის ნიშნით.

**შ:** 23. ჯუდით ლუისი, „'Tis a Misfortune to Be a Great Ladie' დედათა სიკვდილიანობა ბრიტანეთის არისტოკრატიაში, 1558-1959," *ბრიტანეთმცოდნეობის ჟურნალი37* (1998): 26.

**ბ:** ლოფტენი, პიტერ. „გამოძახილი სიტყვების თამაშსა და ხმლის ტრიალს შორის ჰამლეტში" *აელინური კვლევები2* (1989): 12-29.

უილიამსონი, ჯორჯ ს. „რამ მოკლა ავგუს ფონ კოცებიუ? ღირსების ცდუნება და გერმანული ნაციონალიზმის პოლიტიკური თეოლოგია, 1789-1819." *თანამედროვე ისტორიის ჟურნალი*12 (2000 წლის დეკემბერი): 890-943.

უცხოენოვან სათაურებში მთავრული ასოების გამოყენება საჭიროა კონკრეტული ენის ტრადიციების შესაბამისად „წინადადების სტილის" (იხ. 22.3.1) დაცვით. თუ დაურთავთ ინგლისურ თარგმანს, ჩასვით იგი კვადრატულ ფრჩხილებში, ბრჭყალების გარეშე.

**შ:** 22. ჟერარ ბუშარი, "Un essai d'anthropologie regionale: L'histoire sociale du Saguenay aux XIXe et XXe siecles," *Annales: Economies, societes, civilisations* 34 (1979 წლის იანვარი): 118.

**ბ:**კერნი, უ. "Waar verzamelde Pigafetta zijn Maleise woorden?" [სად შეაგროვა პიგაფელტამ მალაიზიური სიტყვები?] *Tijdschrift voor Indische taal-, land- en volkenkundo* 78(19381:271-73.

### 17.2.3 სამეცნიეროჟურნალის სახელწოდება

სტატიის სათაურის შემდეგ მიუთითეთ ჟურნალის სათაური დახრილი შრიფტით, მთავრული ასოების დასმით „სათაურის სტილში" (იხ. 22.3.1). მიუთითეთ სათაური ზუსტად ისე, როგორც ჟურნალის სატიტულო ფურცელზე ან სარჩევისდასაწყისშია; ნუ გამოიყენებთ აბრევიატურებს. თუ ოფიციალური სათაური არის აბრევიატურა, მაგალითად, "სმკ", ნუ გაშიფრავთ მას. უცხოენოვანი ჟურნალებისთვის მთავრული ასოები შეგიძლიათ დასვათ როგორც სათაურის, ასევე, წინადადების სტილში, თუმცა, უნდა დატოვოთ ყველა არტიკლი, რომელიც ორიგინალ ტექსტშია მოცემული*(Der Spiegel).*

### 17.2.4 ინფორმაცია გამოცემის შესახებ

სამეცნიერო ჟურნალების მითითებების დიდი ნაწილიშეიცავს ტომის ნომერს, გამოცემის ნომერს ან თვეს და წელს. მკითხველს შეიძლება, არ დასჭირდეს ყველა ეს ელემენტი სტატიის მოსაძებნად, თუმცა ყველა მათგანის მითითებით თავიდან ვიცილებთ ერთ-ერთში შეცდომის გაპარვის რისკს.

ᲢᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ. ტომის ნომერი მოსდევს ჟურნალის სათაურს შუალედური სასვენი ნიშნის გარეშე და არ იწერება დახრილი შრიფტით. გამოიყენეთ არაბული ციფრები მაშინაც, როცა თავად ჟურნალი იყენებს რომაულს. თუ გამოცემას აქვს ნომერი, ის მოსდევს ტომის ნომერს, გამოყოფილია მძიმით და წინ უძღვის ნომ.

**შ:** 2. კრისტოფერ ს. მაკაი, „ლაკტანტიუსიდან დიოკლეტიანეს მემკვიდრეობამდე”, *კლასიკური ფილოლოგია*94, ნომ.2 (1999): 205.

**ბ:** კუმარი, რაჰულ. „გონივრული მიზეზები კონტრაქტუალისტურ ზნეობრივ არგუმენტში”. *ეთიკა*114 (2003წლის ოქტომბერი): 6-37.

როდესაც ჟურნალში აღნიშნულია მხოლოდ გამოცემის ნომერი და არ არის მითითებული ტომის ნომრები, ჟურნალის სახელწოდების შემდეგ დაისმის მძიმე.

**ბ:** ბითი, ჯ. მ. „დანაშაულის მოდელი ინგლისში, 1660-1800”. *წარსული და თანამედროვე პერიოდში,* ნომ. 62 (1974): 47-95.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ. პუბლიკაციის თარიღი ბრჭყალებში არის ჩასმული ტომის ნომრის (ან გამოცემის ნომრის შემდეგ, თუ მითითებულია). თარიღის ფორმატთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ ჟურნალში გამოყენებული ფორმატით; ის უნდა შეიცავდეს თარიღს და შეიძლება, შეიცავდეს სეზონს, თვეს ან ზუსტ დღეს. ჟურნალის მითითებაში სეზონის სახელები მთავრული ასოთი დაიწყეთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტექსტში მთავრული ასოებით არ იწყება.

**შ:** 27. სარა ბერნსი, „მხატვრის სხეულის შეკვეთა:თომას იკინსის ავტოპორტრეტები”, *ამერიკული ხელოვნების ჟურნალი*19, no. 1 (2005წლის გაზაფხული): 95.

**ბ:** ჯენკინსი, ჯ. ქრეგი, დევიდ ჯეიქობსი და ჯონ აგნონე. „პოლიტიკური შესაძლებლობები და აფროამერიკული პროტესტი, 1948-1997”. *ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი*109, ნომ. 2 (2003 წლის სექტემბერი): 277-303.

თუ სტატია მიღებულია გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ჯერ არ გამოქვეყნებულა, იხმარეთ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა: გამოქვეყნდება ახლო მომავალში, თარიღის (და გვერდების ნომრების) ნაცვლად. ნებისმიერი სტატია, რომელიც ჯერ არ არის მიღებული გამოსაცემად, ჩათვალეთ გამოუქვეყნებელ ხელნაწერად (იხ. 17.6).

**შ:** 4. მარგარეტ მ. ავტორი, „სტატიის სათაური",*ჟურნალის სახელწოდება* 98 (გამოქვეყნდება ახლო მომავალში).

**ბ:**ავტორი, მარგარეტ მ. „სტატიის სათაური".*ჟურნალის სახელწოდება* 98 (გამოქვეყნდება ახლო მომავალში)

### 17.2.5 გვერდის ნომრები და ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია

თუ შენიშვნაში მიუთითებთ კონკრეტულ მონაკვეთს, მიუთითეთ მხოლოდ კონკრეტული ციტირებული გვერდ(ებ)ი. ბიბლიოგრაფიის მუხლის ან შენიშვნის შემთხვევაში, რომელშიც მთლიანი სტატია არის მითითებული, ჩაწერეთ სტატიის გვერდის ნომრების სრული ინტერვალი (იხ. 23.2.4). როგორც წესი, სამეცნიერო ჟურნალების სტატიების გვერდის ნომრები მიეთითება ორწერტილის დასმით გვერდების წინ და არა მძიმეების გამოყენებით.

**შ:** 4. თიმ ჰიჩკოკი, „„მათხოვრობა მეთვრამეტე საუკუნის ლონდონის ქუჩებში" *ბრიტანეთმცოდნეობის ჟურნალი*44 (2005 წლის ივლისი): 478.

**ბ:** გოლდი, ენ გროძინსი. „სიმართლის მარცვლები: საკვების და მოწყალების ცვალებადი იერარქია რაჯასთანის სამ მოთხრობაში". *რელიგიების ისტორია*38, № 2 (1998): 150-71.

ინტერნეტში გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალების სტატიების მითითებისას დაურთეთ გვერდების ნომრები (თუ არის) და URL-ი (ან მუდმივი იდენტიფიკატორი)და, ასევე, სტატიის მოპოვების თარიღი. დეტალების და მაგალითების გასაცნობად იხილეთ 17.2.7. URL-ებში პუნქტუაციისა და მთავრული ასოების დასმის ზოგადი პრინციპების გასაცნობად იხილეთ 17.1.7.

### 17.2.6 სპეციალური გამოცემები და დამატებები

*სპეციალური გამოცემა* არის ერთი თემისადმი მიძღვნილი ჟურნალის გამოცემა. მას აქვს ტომის და გამოცემის ჩვეულებრივი ნომრები. თუ სპეციალურ გამოცემას აქვს საკუთარი სათაური და ჰყავს რედაქტორი, მითითებაში აღნიშნეთ ორივე მათგანი. სათაური მოცემულია სწორი შრიფტით და ჩასმულია ბრჭყალებში.

**შ:** 67. მეთიუ ლ. ჯოუნსი, „დეკარტეს გეომეტრია, როგორც სულიერი ვარჯიში", ჟურნალში "Things", რედ. ბილ ბრაუნი, სპეციალური გამოცემა, *კრიტიკული ძიება*28, № 1 (2001 წლის შემოდგომა): 43-44.

**ბ:**ჯოუნს, მეთიუ ლ. „დეკარტეს გეომეტრია როგორც სულიერი სავარჯიშო"ჟურნალში "საგნები," რედ. ბილ ბრაუნი. სპეციალური გამოცემა,*Critical Inquiry* 28, ნომ. 1 (2001 წლის შემოდგომა): 40-71.

თუ გესაჭიროებათ მთელი გამოცემის მითითება, გამოტოვეთ სტატიასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

**ბ:**ბრაუნი, ბილ, " საგნების" რედ. სპეციალური გამოცემა, კრიტიკული ძიება28, ნომ. 1 (2001წლის შემოდგომა).

ჟურნალის *დამატებას,* ასევე, შეიძლება, ჰქონდეს საკუთარი სათაური და ჰყავდეს ავტორი ან რედაქტორი. სპეციალური გამოცემისგან განსხვავებით, იგი ჟურნალის ჩვეულებრივი გამოცემებისგან ცალკე ინომრება, ხშირად მისი გვერდების ნომრების ნაწილია ასო *S.* დასვით მძიმე ტომის ნომერსა და დამატების ნომერს შორის.

**შ:** 4.ივარ ეკელენდი, ჯეიმს ჯ. ჰეკმანი და ლარს ნეშაიმი, „ჰედონისტურიმოდელების გამოვლენა და განსაზღვრა" ნაშრომში „შირვინ როუზენის საპატივსაცემოდ"*პოლიტიკური ეკონომიკის ჟურნალი*112, S1 (2004წლის თებერვალი): S72.

**ბ:**ეკლენდი, ივარ, ჯეიმს ჯ. ჰეკმენი და ლარს ნეშაიმი. „ჰედონისტური მოდელების გამოვლენა და განსაზღვრა" დამატებაში„ირვინ როუზენის საპატივსაცემოდ",*პოლიტიკური ეკონომიკის ჟურნალი*112, S1 (2004წლის თებერვალი): S60-S109.

### 17.2.7 ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიები

ონლაინ ჟურნალებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ ბეჭდვითი ჟურნალების სტატიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, დაურთეთ URL-ი და თქვენს ბიბლიოგრაფიაში შეტანილი მასალის მოპოვების თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი არ არის საკმარისი; თქვენ უნდა მიუთითოთ პუბლიკაციის ყველა ფაქტი, რამდენადაც შესაძლებელია მათი დადგენა, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. ონლაინ ჟურნალებში განთავსებულ სტატიებში შეიძლება, არ მოიპოვებოდეს გვერდების ნომრები, განსაკუთრებით, თუ ისინი არ ქვეყნდება ბეჭდვითი ჟურნალების პარალელურად. თუ გვერდების ნომრები არ არსებობს, ფრჩხილებში ჩასმულ მითითებებში მოცემული ნაწყვეტის ადგილის იდენტიფიცირება შეგიძლიათ აღწერილობითი მაჩვენებლის (როგორიცაა წინა ქვესათაური) შემდეგ უნდა დაემატოს სიტყვა *ქვეშURL* მისამართის და მასალის გახსნის თარიღის წინ.

**შ:** 4. ბრაიან უზი და ჯარეთ შპირო, „ურთიერთთანამშრომლობა და შემოქმედებითობა: მცირე სამყაროს საკითხი".*ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი*111, ნომ. 2 (2005წლის სექტემბერი),ნაწილის„მილგრამისთეორია პატარა სამყაროს შესახებ",ქვეშhttp://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html (გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

**ბ:**უზი, ბრაიანდა ჯარეთ შპირო. „ურთიერთთანამშრომლობა და შემოქმედებითობა: მცირე სამყაროს საკითხი". *ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი*111, ნომ. 2 (2005 წლის სექტემბერი).http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html(გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

სტატიების ონლაინ მონაცემთა ბაზები ზოგადად შეიცავს მითითებებისთვის საჭირო ყველა ელემენტის ჩამონათვალს. დაურთეთ მითითებული მდგრადიURL-ი, რომელიც, ასევე, აღნიშნავს იმ მონაცემთა ბაზას, რომლითაც იხელმძღვანელეთ სტატიის მითითებისას.

**შ:** 6.ლორენს ა. შაპირო„მრავალმხრივი გააზრება".*ფილოსოფიის ჟურნალი*97. ნომ.12 (2000 წლის დეკემბერი): 642. http://links.jstor.org/sici?sici=0022-362X%28200012%2997%3A12%3C635%3AMR%3E2.0.CO%3B2-Q (გახსნილია 2006 წლის 27 ივნისს).

**ბ:**შაპირო, ლორენს ა. „მრავალმხრივი გააზრება",*ფილოსოფიის ჟურნალი*97.ნომ.12 (2000 წლის დეკემბერი): 635-54. http://tinks.jstor.org/sici?sici=0022-362X%28200012%2997% 3A12%3C635%3AMR%3E2.0.CO%3B2-Q (გახსნილია 2006 წლის 27 ივნისს)).

## 17.3 პოპულარული ჟურნალების სტატიები

სამეცნიერო ჟურნალების მითითებისთვის განსაზღვრული მრავალი სახელმძღვანელო პრინციპი (იხ. 17.2) თანაბრად ვრცელდება პოპულარული ჟურნალების მითითებაზე.

უმეტეს შემთხვევაში, ყოველკვირეული ან ყოველთვიური ჟურნალების მითითებისას მიუთითეთ მხოლოდ თარიღი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დანომრილია ტომებისა და გამოცემების მიხედვით. თარიღი ფრჩხილებში არ მოათავსოთ. თუ შენიშვნაში მითითებას აკეთებთ კონკრეტულ ნაწყვეტზე, დაურთეთ მისი გვერდის ნომერი. ბიბლიოგრაფიის მუხლში კი შეგიძლიათ, გამოტოვოთ სტატიის გვერდის ნომრები, ვინაიდან პუპულარული ჟურნალების სტატიები ხშირად მოიცავს მრავალ გვერდს, რომლებზეც განთავსებულია გარეშე მასალები. თუ დაურთავთ გვერდის ნომრებს, გამოცემის თარიღისგან მათ გამოსაყოფად ორწერტილის ნაცვლად იხმარეთ მძიმე.

**შ:** 11.მარკ შაპირო, „'ძველი ევროპის'ახალი ძალა",ჟურნალი *ერი, 2004 წლის 27*დეკემბერი, 12-13

**ბ:**შაპირო, მარკ. „'ძველი ევროპის'ახალიძალა", ჟურნალი *ერი,2004 წლის 27*დეკემბერი.

თუ მიუთითებთ განყოფილებას ან სვეტს, რომელიც რეგულარულადგამოდის, დაუსვით მთავრული ასოები სათაურის სტილში და ნუ ჩასვამთ ბრჭყალებში. თუ მათ არ ჰყავთ ავტორი,მისი გვარის ნაცვლად ბიბლიოგრაფიის მუხლში ჩასვითჟურნალის სახელწოდება.

**შ:** 2. ბარბარა ვალრაფი,მსოფლიო სასამართლო, ჟურნალი “ატლანტიკ მანსლი”,*2005 წლის ივნისი*. 128.

**ბ:***ჟურნალი “ნიუ იორკერი”.* ქალაქის აქტუალური თემა.2000 წლის აპრილი

პოპულარული ონლაინ ჟურნალების მითითებისას იხელმძღვანელეთ პოპულარული ბეჭდვითი ჟურნალების სტატიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, დაურთეთ URL-ი და თქვენს ბიბლიოგრაფიაში შეყვანილი მასალის მოპოვების თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი საკმარისი არ არის; თქვენ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი უნდა წარმოადგინოთ რამდენადაც შესაძლებელია, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება იმ შემთხვევაშიც, თუ შეიცვლება URL-ი. პოპულარულ ონლაინ ჟურნალებში განთავსებულ სტატიებში შეიძლება, არ იყოს მითითებული გვერდების ნომრები, მაგრამ მითითებული ნაწყვეტის ადგილის იდენტიფიცირება შეგიძლიათ ფრჩხილებში ჩასმულ მითითებებში სიტყვის *ქვეშ*შემდეგ აღწერილობითი მაჩვენებლის (როგორიცაა წინა ქვესათაური) დამატებით, URL-მისამართის და შესვლის თარიღის მითითებით.

**შ:**7. შტეფან ფარისი, ჟურნალში „”Freedom': დოკუმენტი არ იქნა ნაპოვნი." *5alon.com*, 2005წლის 16 დეკემბერი,სტატიის ქვეშ „ჩინეთში ინტერნეტს მეხსიერება არ აქვს”, http://www.salon.com/tech/ feature/2005/12/16/censorship/index1.html [ბოლო შესვლა 2005 წლის 19 დეკემბერს].

**ბ:**ფარისი, შტეფან. ჟურნალი „”Freedom: დოკუმენტი არ იქნა ნაპოვნი”. *Salon.com*, 2005 წლის 16 დეკემბერი.http://www.salon.eom/tech/feature/2005/12/16/censorship/in'dex1.html (ბოლო შესვლა 2005 წლის 19 დეკემბერს).

### 17.4 საგაზეთო სტატიები

უმეტეს შემთხვევებში მხოლოდ შენიშვნებში მიუთითეთ ყოველდღიურ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და სხვა მასალა. როგორც წესი,აუცილებელი არ არის მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა, თუმცა,შეიძლება, გადაწყვიტოთ რომელიმე კონკრეტული სტატიის მითითება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან ხშირად არის ციტირებული.

იხელმძღვანელეთ პოპულარულ ჟურნალებში სტატიების მითითების ზოგადი მოდელით (იხ. 17.3). გამოტოვეთ გვერდის ნომრები, ვინაიდან გაზეთს შეიძლება, ჰქონდეს რამდენიმე გამოცემა, რომელშიც მასალა შეიძლება გამოჩნდეს სხვადასხვა გვერდებზე ან ამოიღონ კიდეც. შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, რომელი გამოცემით იხელმძღვანელეთ და დაუმატოთ ფრაზები ბოლო გამოშვება, შუა დასავლეთის გამოშვება, ან სხვა მსგავსი იდენტიფიკატორი.

**შ:** 4. სარედაქციო სტატია, *მილვოკის ჟურნალი,* 1998 წლის 1 ივნისი.

6. ჟაკ დერიდას ნეკროლოგი.*ნიუ იორკ თაიმსი,*2004წლის 10 ოქტომბერი,ეროვნული გამოცემა.

თუ სტატიას მიუთითებთ სათაურის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ სათაურის სტილის ან წინადადების სტილის მთავრული ასოების გამოყენების მეთოდი (იხ. 22.3.1), ოღონდ შერჩეული სტილი თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოთ. გაზეთები იყენებენ ორივესტილს, ამდენად, ყველა სათაური შეცვალეთ იმ სტილის შესაბამისად, რომლის გამოყენებასაც გადაწყვეტთ.

**შ:** 9.ბლერ კამინი, „ვრიგლი მართლაც ისტორიული მნიშვნელობის შენობას აგებს". გაზეთი „*შიკაგო ტრიბუნი*", 2005 წლის 1 ივლისი.

ან

9. ბლერ კამინი, „ვრიგლი მართლაც ისტორიული მნიშვნელობის შენობას აგებს". გაზეთი" *შიკაგო ტრიბუნი*", 2005 წლის 1 ივლისი.

შენიშვნის გამოყენების ნაცვლად ზოგ შემთხვევაში შეგიძლიათ, სტატიების მითითება ტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტის ჩასმით; სულ მცირე,

მიუთითეთ გაზეთის სახელწოდება, გამოცემის თარიღი და სტატიის ავტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი. ამ ინფორმაციიდან ზოგი ელემენტი შეიძლება,მოთავსდეს ფრჩხილებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ შეესაბამება ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნების ფორმას, რომელიც აღწერილია 16.4.3-ში.

*"ნიუ იორკ თაიმსის" სტატიაში უზენაეს სასამართლოში გარდაქმნების შესახებ (2005 წლის 30 სექტემბერი) ლინდა გრინჰაუზს განხილული აქვს ეს ტენდენციები.*

ან

*2005 წლის 30 სექტემბერს "ნიუ იორკ თაიმსში"გამოქვეყნებულ სტატიაში ლინდა გრინჰაუზი განიხილავს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე გარდაქმნებს.*

**17.4.1 ფორმატთან დაკავშირებული განსაკუთრებული საკითხები**

ინგლისურენოვანი გაზეთების სახელწოდებაში გამოტოვეთ არტიკლი*The*. თუ გაზეთის სახელწოდება არ შეიცავს ქალაქს, დაუმატეთ იგი ოფიციალურ სათაურს, გარდა ისეთი კარგად ცნობილი ეროვნული გაზეთებისა, როგორიცაა the *Wall Street Journal* ან the *Christian Science Monitor*. თუ ასეთი სახელწოდების გაზეთი მრავალ ქალაქში გამოდის ან სახელწოდება ბუნდოვანია, შეგიძლიათ, ფრჩხილებში დაუმატოთ შტატი ან მხარე (ჩვეულებრივ, შემოკლებული ფორმით; იხ. 24.3.1). სხვა უცხოური გაზეთის მითითების შემთხვევაში, დატოვეთ შეუცვლელად გაზეთის სახელწოდებაში არსებული არტიკლები და სათაურების შემდეგ დაურთეთ ქალაქების სახელები.

| | |
|---|---|
| *Chicago Tribune* | *Le Monde* |
| *Saint Paul* (*Alberta* or *AB*) *Journal* | *Times* (London) |

ინგლისურ ენაზე საინფორმაციო სააგენტოების სახელწოდებებში მთავრული ასოები უნდა განლაგდეს სათაურის სტილის დაცვით, თუმცა, დაუხრელი შრიფტით, როდესაც იგი სტატიის ავტორის მაგივრად არის მითითებული.

**შ:**6. „Associated Press", „ერაყის კონსტიტუცია თავდასხმების ფონზე", გაზეთში*Los Angeles Times,* 2005წლის 6 ოქტომბერი.

### 17.4.2 სპეციალური ტიპის საგაზეთო მითითებები

გაზეთებში, გარდა ცალკეული ხელმოწერილი სტატიებისა, განთავსებულია, აგრეთვე, მრავალი სხვა ტიპის მასალა და ზოგიერთი მათგანის ციტირებისას საჭიროა სპეციალური წესების დაცვა.

- ***რეგულარული სვეტები.***მრავალ ჩვეულებრივ სვეტს ახლავს ჰედლაინებად წოდებული სათაურები და სვეტის სათაურები. თქვენ ორივეს გამოყენება შეგიძლიათ, სივრცის დაზოგვის მიზნით იხმარეთ მხოლოდ სვეტის სათაური (სწორი შრიფტით, უბრჭყალებოდ).

**შ:** 5.გრეტჰენ მორგენსონი, "„ბაზრის მონიტორინი: ფასდაკლება და გაუმჯობესებული შემოსავლები", გაზეთი *„ნიუ იორკ თაიმსი",* 2000 წლის 23 აპრილი.

ან

5. გრეტჰენ მორგენსონი, *ბაზრის მონიტორინგი,*გაზეთი *„ნიუ იორკ თაიმსი"*, 2000 წლის 23 აპრილი.

-***წერილები რედაქტორს.*** მიუთითეთ ისინი ზოგადად, სათაურების გარეშე.

**შ:** 6. ვირჯინია ჯ. დევისი, წერილი რედაქტორს, გაზეთი *„შიკაგო ტრიბუნი"*, 2005 წლის 29 ივლისი.

- ***დანართებში განთავსებული სტატიები.*** სტატიები საკვირაო „ჟურნალის" დამატებებიდან ან სხვა სპეციალური ნაწილებიდან მიუთითეთ პოპულარული ჟურნალის სტატიების მსგავსად (იხ. 17.3).

- ***ონლაინ რეჟიმში გამოქვეყნებული სტატიები.*** ონლაინ გაზეთებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ ბეჭდვით გაზეთებში განთავსებული სტატიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, დაურთეთ URL-მისამართი და თქვენს მიერ მასალის მოპოვების თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მარტო URL-ის მითითება საკმარისი არ არის; თქვენ უნდა წარმოადგინოთ პუბლიკაციის ყველა ფაქტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია), რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. შეგიძლიათ შენიშვნაში ციტირებული ნაწყვეტის

ადგილმდებარეობის მინიშნება აღწერილობითი მანიშნებლის დამატებით (როგორიცაა წინა ქვესათაური) *ქვესათაურის* შემდეგ.

შ: 12. დეივ ჰოეკსტრა, „მემკვიდრეობის აღდგენა", გაზეთი*"Siqago sun-Taimsi"*, 2005წლის 19 დეკემბერი, ქვესათაურში„სახლი შინიდან შორს",http://www.suntimes.com/output/hurricane/ cst-ftr-nola19.html (გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

## 17.5 დამატებითი ტიპის გამოქვეყნებული წყაროები

არსებობს რამდენიმე დამატებითი ტიპის გამოქვეყნებული მასალა, რომლებზეც ვრცელდება მითითების სპეციალური მოთხოვნები.

### 17.5.1 კლასიკური, შუასაუკუნეებისა და ადრეული პერიოდის ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოებები

ძველ საბერძნეთში და რომში, შუა საუკუნეების ევროპაში და რენესანსის პერიოდის ინგლისში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების მითითება თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებების ციტირებისგან განსხვავებულად ხდება. ეს წყაროები ხშირად დაჯგუფებულია დანომრილ სექციებად (წიგნები, სტრიქონები, სტროფები და ა.შ.), რომლებიც,როგორც წესი, მითითებულია გვერდების ნომრების ნაცვლად. იმის გამო, რომ საუკუნეების განმავლობაში გამოქვეყნდა ამ ნაწარმოებების უამრავი ვერსია და თარგმანი, თანამედროვე გამოცემებისთვის მათი გამოქვეყნების თარიღი და სხვა ფაქტები, ჩვეულებრივ, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ტიპის მითითებებში.

ამის გამო კლასიკური, შუა საუკუნეების და ადრეული პერიოდის ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოებების ციტირება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს სქოლიოებში ან თუნდაც ფრჩხილებში ჩასმული მითითებების ფორმით. (იხ. 16.4.3), როგორც ქვემოთ მოცემულ პირველ მაგალითშია ნაჩვენები. მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი, სახელწოდება და სექციის ნომერი (არაბული ციფრებით). იხილეთ ქვემოთ სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებების მითითების პრინციპებს შორის არსებული განსხვავებები პუნქტუაციაში, შემოკლებებში და ნომრებში.

ტუციდიდეს მიერ გადმოცემულიპელოპონეზიის ფლოტის უმოქმედობის ოთხმოცი დღე როდიში(8.44.4), რომელიც დასრულდა ზამთრის დასრულებამდე(8.60.2-3), მიანიშნებს...

შ: 3.ოვიდ ამორესი1.7.27.

*8.ბეოვულფი,* სტრიქონები 24017.

11. სპენსერი,*დედოფლის ფერია*,წ. 2, ლექსი 8, სტ. 14.

თუ თქვენი ნაშრომი ეხება ლიტერატურულ გამოკვლევებსან სხვა რაიმე სფეროს, რომელიც მოიცავს ტექსტების დეტალურ ანალიზს ან თუ მნიშვნელოვანი სხვაობაა თარგმანებს შორის, მიუთითეთ ასეთი ნაწარმოებები თქვენს ბიბლიოგრაფიაში. იხელმძღვანელეთ 17.1.1-ში მოყვანილი სხვა ნათარგმნი და რედაქტირებული წიგნებისთვის განკუთვნილი წესებით.

შ:35. პროპერტიუსი, ელეგიესი, *რედ. და მთარგმ.*ჯ.ფ. გოლდი, ლოების კლასიკური ნაშრომების ბიბლიოთეკა 18 (კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990), 45.

ბ: არისტოტელე. *არისტოტელეს ნაშრომების სრული კრებული: განახლებული ოქსფორდის თარგმანი.* რედაქტირებულია ჯეიმს ჯ. ბარნის მიერ. 2 ტ. პრინსტონი, ნიუ-ჯერსი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

კლასიკური ნაწარმოებები.ზემოთ მოყვანილ ზოგად პრინციპებთან ერთად დამატებით წარმოგიდგენთ წესებს, რომლებიც ვრცელდება კლასიკური ნაწარმოებების ციტირებაზე.

ავტორსა და ნაწარმოების სათაურს ან სათაურსა და სექციის ნომერს შორის არ გამოიყენოთ სასვენი ნიშნები. ციფრობრივი დანაყოფები გამოყოფილია წერტილებით ინტერვალების გარეშე. სექციების ნომრებისთვის იხმარეთ არაბული ციფრები (და, სადაც საჭიროა, ნუსხური ასოები). დასვით მძიმეები ერთი და იმავე წყაროს ორ ან მეტ მითითებას შორის, ხოლო წერტილ-მძიმე – სხვადასხვა წყაროს ციტირებებს შორის.

შ:5. არისტოფანე*ბაყაყები*1019-30.

6. ციცერონი*Verr.* 1.3.21. 2.3.120; ტაციტუსი*ჩანასახი.* 10.2-3. 10არისტოტელე*მეტაფიზიკა*3.2.996b5-8; პლატონი*რესპუბლიკა*360e-361b.

შეგიძლიათ, აგრეთვე, ავტორების, ნაწარმოებების, კრებულების და ა.შ. სახელების შემოკლება. ყველაზე ფართოდ აღიარებულ აბრევიატურებს შეიცავს ოქსფორდის კლასიკური ლექსიკონი. ისარგებლეთ ამ აბრევიატურებით, ნაცვლად სიტყვისა *ibid.* ერთი და იმავე ნაშრომის თანმიმდევრულად მოხსენიების დროს.

შ:9. თუკ. 2.40.2-3.

14 . პინდარი*ისთმ.*7.43-45.

შუასაუკუნეების ნაწარმოებები. კლასიკური ნაშრომების მითითების ფორმა თანაბრად მისაღებია შუა საუკუნეების ნაწარმოებებისთვის, რომლებიც დაწერილია სხვა ენებზე, გარდა ინგლისურისა.

შ:27. ავგუსტინე*De civitate Dei* 20.2.

31. აბელარდი*Epistle 17 to Heloise* (Migne *PL* 180.375c-378a).

ადრეული ინგლისური ნაწარმოებები.ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი პრინციპების გარდა,ადრეული ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოებების მითითებებზე შემდეგი წესები ვრცელდება:

პოემების და პიესების მითითებისას მოიხსენიეთ წიგნი, თავი და სტროფი; სტროფი და სტრიქონი; მოქმედება, სცენა და სტრიქონი ან მსგავსი დანაყოფები.

შ:1. ჩოსერი, „ბათის მეუღლის პროლოგი", *კენტერბერის მოთხრობები,* სტრიქონები 105-14.

3. მილტონი, *დაკარგული სამოთხე,*წიგნი 1, სტრიქონები 83-86.

შეგიძლიათ, შეამოკლოთ დანომრილი დანაყოფები *მოქმედება, სტრიქონი* და სხვა მსგავსი სიტყვების გამოტოვებით და კლასიკურ მითითებებში არსებულის მსგავსი სისტემის გამოყენებით (იხ. ზემოთ). აუცილებლად განმარტეთ შენიშვნაში თქვენი სისტემა.

**შ:**3. მილტონი. *დაკარგული სამოთხე.* 1.83-86.

თუ გამოცემები განსხვავდება რედაქციით, სტრიქონების დანომვრით და სცენებად დაყოფითაც კი, განსაკუთრებით, ეს ეხება შექსპირის ნაწარმოებებს, ჩასვით ეს ნაწარმოები ბიბლიოგრაფიაში და მიუთითეთ კონკრეტული გამოცემა. თუ ბიბლიოგრაფია არ გაქვთ, პირველ შენიშვნაში დააკონკრეტეთ დეტალები გამოცემის შესახებ.

**ბ:** შექსპირი, უილიამ. *ჰამლეტი. არდენის გამოცემა.* რედაქტირებულია ჰეროლდ ჯენკინსის მიერ. ლონდონი: გამომცემლობა "მეთუენი", 1982.

### 17.5.2 ბიბლია და სხვა წმინდა წერილები

მიუთითეთ ბიბლია და სხვა რელიგიური შინაარსის წმინდა წერილები სქოლიოებში, ტექსტის ბოლოს ჩატანილ ან ფრჩხილებში ჩასმულ შენიშვნებში (იხ. 16.4.3). არ არის საჭირო მათი ჩართვა ბიბლიოგრაფიაში.

ბიბლიიდან ციტირების შემთხვევაში დაურთეთ წიგნის შემოკლებული სახელწოდება, თავის ნომერი და სტროფის ნომერი – გვერდის ნომრის გარეშე. კონტექსტიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, გამოიყენოთ წიგნების სახელწოდებების ტრადიციული ან უფრო მოკლე აბრევიატურები (იხ. 24.6); მიმართეთ რჩევისთვის თქვენს პედაგოგს, თუ არ ხართ დარწმუნებული, რომელი ფორმაა მისაღები. გამოიყენეთ არაბული ციფრები თავების, სტროფების ნომრებისა (მათ შორის, ორწერტილით)და დანომრილი წიგნების მითითებისას.

ვინაიდან წიგნები განსხვავებულია წმინდა წერილების ვერსიების მიხედვით, განსხვავებულია დანომვრაც, ამიტომ თქვენს პირველ მითითებაში ფრჩხილებში ჩაწერეთ იმ ვერსიის სახელწოდება, რომლითაც სარგებლობთ, სიტყვიერად ან მიღებული აბრევიატურით (იხ. 24.6.4).

**შ:** 6. 2 Kings 11:8 (ახალი განახლებული სტანდარტული ვერსია). 7. 1 Cor. 6:1-10 (NAB).

სხვა რელიგიის წმინდა წერილებიდან ციტირების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენეთ ბიბლიიდან ციტირების ზოგადი პრინციპები (იხ. 24.6.5)

### 17.5.3 საცნობარო ლიტერატურა

საყოველთაოდ ცნობილი საცნობარო ლიტერატურა, როგორიცაა მთავარი ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ჩვეულებრივ, მოიხსენიება მხოლოდ შენიშვნებში. როგორც წესი,არ არის საჭირო მათი ჩასმა ბიბლიოგრაფიაში, თუმცა, შეგიძლიათ იმ კონკრეტული ნაშრომის ჩართვა, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის დასაბუთებისთვის ან, რომელიც ხშირად არის მითითებული. შენიშვნაში შეგიძლიათ, გამოტოვოთ ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ, მაგრამ დააკონკრეტეთ გამოცემა (თუ ეს არ არის პირველი გამოცემა). ანბანური წესით აწყობილი ნაშრომის, მაგალითად, ენციკლოპედიის, შემთხვევაში მიუთითეთ მუხლი (და არა ტომი ან გვერდის ნომერი), რომელსაც წინ უსწრებს *იხ. - იხილეთ* (s.v.- sub verbo).

შ:1. *ენციკლოპედია ბრიტანიკა, მე-15 გამ., იხ.* „ხსნა".

2. ამერიკის ბიოგრაფიული ლექსიკონი, *იხ. „ვადსვორთი, იერემია*".

ნაკლებად ცნობილი საცნობარო ლიტერატურის მითითებისასშენიშვებში აღნიშნეთინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ და ნაშრომი ბიბლიოგრაფიაში შეიტანეთ.

შ:3. *ჟურნალი თაიმსის ზამკვლევი ინგლისური ენის სტილის და გამოყენების საკითხებში, განახ. გამ.* (ლონდონი: გამომცემლობა „თაიმზ ბუქსი", 1999), იხ. „პოლიციის მაღალჩინოსნები", „საფოსტო მისამართები".

ბ:აულესტია, გორკა. *ბასკურ-ინგლისური ლექსიკონი.* რენო: ნევადას უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989.

ენციკლოპედიების ონლაინ ვერსიები ექვემდებარება რეგულარულ განახლებას, ამიტომ ჩართეთ როგორც URL-მისამართი, ისე, მასალის მოპოვების თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი საცნობარო ნაშრომი მიუთითებს კონკრეტული მუხლის ციტირებისთვის შესაფერის URL-ს; სასურველია მისი გამოყენება ნაცვლად საძიებო სისტემების მიერ გამოტანილი ნაკლებად სანდო URL-ისა.

**შ:**1. *Encyclopaedia Britannica ონლაინ ვარიანტი,* იხ. „სიბელიუსი, ჯინ",http://www.britannica .com/ebc/article?tocId=9378608 (გახსნილია 2005 წლის 1 ივნისს).

### 17.5.4 რეცენზიები, კრიტიკული სტატიები

წიგნების, წარმოდგენების და ა.შ. ნაშრომების რეცენზია შეიძლება, დაიბეჭდოს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და, როგორც წესი, მათზე მითითება მხოლოდ შენიშვნაში უნდა ჩაირთოს. ჩვეულებრივ, აუცილებელი არ არის მათი ბიბლიოგრაფიაში ჩასმა, თუმცა, შესაძლოა,გადაწყვიტოთ კონკრეტული რეცენზიის მითითება, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან ხშირად არის ნახსენები.

მიუთითეთ მიმომხილველის გვარი და სახელი, სიტყვა *(რეცენზია),* რომელსაც მოსდევს მიმოხილული ნაშრომის სახელწოდება და ავტორი (ან კომპოზიტორი, რეჟისორი და ა.შ.); ადგილი და თარიღი (იმ შემთხვევაში, თუ საუბარია სპექტაკლზე) და ბოლოს ის პერიოდული გამოცემა, რომელშიც დაიბეჭდა მიმოხილვა.

**შ:** 7.რიჩარდ პ. თაუბი, შემდეგი სტატიის *რეცენზია–საზოგადოებრივი საბინაო მშენებლობის დაბრუნება: ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა სამ რაიონში, ავტორი ლორენს ჯ. ვეილი, ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი*110. no. 3 (2004წლის ნოემბერი): 797.

15. ჩარლზ იშერვუდი. შემდეგი დადგმის რეცენზია –*ცისფერი ჩიტი, ავტორი:* შერილ ვესტი,რეჟისორი – სერეტ სკოტი, თეატრი სექონგ სთეიჯი, ნიუ-იორკი, გაზეთი *„New York Times",* 2005წლის 24 ივნისი.

**ბ:**კოზინი, ალან. ტიმოთი ფეინის (ვიოლინო) და სტივენ ბეკის (ფორტეპიანო) საკონცერტო გამოსვლის მიმოხილვა, 92nd Street Y, New York. *New York Times,* 2000წლის 21 აპრილი.

### 17.5.5 რეზიუმეები, მიმოხილვები

სამეცნიერო სტატიების, საკონფერენციო ნაშრომების, დისერტაციების და ა.შ. რეზიუმეები შეიძლება, გამოქვეყნდეს საკუთრივ ნაშრომთან ერთად ან სპეციალურ გამოცემებში (ჩვეულებრივ, ჟურნალებში), რომლებიც შედგება

მხოლოდ და მხოლოდ რეზიუმეებისგან. ნებისმიერ შემთხვევაში, რეზიუმეები, ჩვეულებრივ, მხოლოდ შენიშვნით უნდა მიეთითოს. როგორც წესი, მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა არ არის აუცილებელი, თუმცა, შესაძლოა, გადაწყვიტოთ კონკრეტული რეცენზიის მითითება, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან ხშირად არის მითითებული.

დაურთეთ საკუთრივ ნაშრომის სრული მითითება. თუ რეზიუმე იბეჭდება ნაშრომთან ერთად, მითითებაში სიტყვა *რეზიუმე* ჩასვით სათაურის შემდეგ. თუ რეზიუმე იბეჭდება სხვა გამოცემაში, სიტყვები *რეზიუმე . . . –შ*ჩასვით საწყისი მითითების შემდეგ და მიუთითეთ რეზიუმეს ადგილმდებარეობა.

**შ:** 13. ჯოზეფ ლუდერსი, „გადაადგილების ეკონომიკის წარმატება: ბიზნესის რეაგირება სამოქალაქო უფლებების მობილიზაციაზე", რეზიუმე, *ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი*111, ნომ. *A* (2006წლის იანვარი): 963.

18. სესილია ალბინი, „მოლაპარაკებების წარმოება საერთაშორისო თანამშრომლობის თაობაზე: საერთაშორისო საზოგადოებრივი საქონელი და სამართლიანობა", "*საერთაშორისო კვლევების მიმოხილვა'*29 (2003წლის ივლისი): 365-85, რეზიუმე ჟურნალში"*მშვიდობის კვლევის რეზიუმეები"***A2, პუბლიკ. ნომერი** 236625 (2005წლის თებერვალი): 6.

## 17.5.6 ბუკლეტები და ანგარიშები

მიუთითეთ ბუკლეტები, კორპორაციული ანგარიშები, ბროშურები და სხვა დამოუკიდებელი პუბლიკაციები ისევე, როგორც მიუთითებდით წიგნს. თუ არ გაქვთ საკმარისი ინფორმაცია ზოგიერთი სტანდარტული ელემენტის ჩასართავად, როგორიცაა ავტორი და გამომცემელი, დოკუმენტების მოძიება რომ გაადვილდეს, მიუთითეთ საკმარისი ოდენობის სხვა ინფორმაცია.ასეთი წყაროების მითითება, ჩვეულებრივ, მხოლოდ შენიშვნებში უნდა გაკეთდეს. როგორც წესი, არ არის საჭირო მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა, თუმცა, შესაძლოა, გადაწყვიტოთ კონკრეტული რეცენზიის მითითება, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან ხშირად არის ნახსენები.

**შ:** 34.ჰეიზელ ვ. კლარკი, *მესოპოტამია: ორ მდინარეს შუა*(მესოპოტამია, ოჰაიო: გამომცემლობა "ჯენერალ სთორი", 1957).35. TIAA-CREF,*2005 ყოველწლიური*

*ანგარიში: კოლეჯის საპენსიო ფონდი*(ნიუ-იორკი: გამომცემლობა: „თიაა-კრეფი”, 2005), 62.

### 17.5.7 მიკროფორმის გამოცემები

მიკროფორმის სახით გამოცემული ნაშრომები, რომლითაც ხელმძღვანელობდით, მათ შორის დისერტაცია, მიუთითეთ წიგნის მსგავსად. (ნაბეჭდი ფორმით ან ინტერნეტში მოძიებული დისერტაციების მისათითებლად (იხ. 17.6.1.) დაურთეთ პუბლიკაციის ფორმა (მიკროფიშა, მიკროფილმი და ა.შ.), პუბლიკაციის შესახებ მონაცემების შემდეგ. შენიშვნაში, თუ შესაძლებელია, ჩართეთ ადგილის განმსაზღვრელი ელემენტი. ქვემოთ, პირველ მაგალითში გვერდის ნომერი (რომელიც სიცხადისთვის გამოყოფილია აბრევიატურით გვ.) მიკროფიშაზე ნაბეჭდ ტექსტში გვხვდება; დანარჩენიციფრებიაღნიშნავენმიკროფიშასდა კადრს, ხოლო ასო აღნიშნავს სტრიქონს.

**შ:**5.ბეატრის ფარველი, *საფრანგეთის პოპულარული ლითოგრაფიული ნამუშევრები,* ტ. 12, *ლითოგრაფია ხელოვნებასა და ვაჭრობაში*(ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995), ტექსტი-ფიშა, გვ. 67, 3C12.

**ბ:** თაუბერი, აბრაამ. *დამწერლობის რეფორმა შეერთებულ შტატებში.* ენ არბორი. MI: უნივერსიტეტის მიკროფილმები. 1958. მიკროფილმი.

### 17.5.8 CD-ROM-ები ან DVD-ROM-ები

მიუთითეთCD-**ROM-ზე** ან DVD-ROM-ზე ჩაწერილინაშრომები, როგორც მიუთითებდით ანალოგიურ ნაბეჭდ ნაშრომებს, უფრო ხშირად, წიგნებს.

**შ:**11. *ნეიშენალ ჯეოგრაფიკის ჩანაწერები: 110 წელინეიშენალ ჯეოგრაფიკისდაარსებიდან,* CD-ROM (Mindscape, 2000).

**ბ:***ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი. მე-2 გამ.* CD-ROM. ვერსია 2.0. ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1999.

### 17.5.9 ონლაინ მონაცემთა ბაზები

ონლაინ მონაცემთა ბაზებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალების სტატიების ციტირებასთან დაკავშირებით, იხილეთ 17.2.7. სხვა ტიპის ონლაინ

მონაცემთა ბაზების დოკუმენტებს ან ჩანაწერებს შენიშვნაში მითითებისასდაურთეთდოკუმენტის ავტორის სახელი და გვარი და დოკუმენტის სახელწოდება (თუ აქვს), მონაცემთა ბაზა (სწორი შრიფტით), URL მისამართი და თარიღი, როდესაც მასალა მოიპოვეთ. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ URL-ი საკმარისი არ არის; უნდა წარმოადგინოთ სრული ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. ონლაინ მონაცემთა ბაზებში განთავსებული დისერტაციების მითითების შესახებ იხ. 17.6.1.

**შ:** 1. ფლინი უფროსი,*ბუნებრივი ისტორია,* რედ. ჯონ ბოსტოკი და ჰ. თ. რილი, პერსეუსის ციფრულ ბიბლიოთეკაში, http://www.perseus.tufts.edu/cgi-bin/ptext?lookup = Plin.+ Nat.+1.dedication (გახსნილია 2006 წლის 31 მარტს).

**ბ:**პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა, http://www.perseus.tufts.edu/

## 17.6 გამოუქვეყნებელი წყაროები

წყაროები, რომლებიც არასდროს გამოქვეყნებულა, შეიძლება, უფრო რთული მოსაძებნი იყოს მკითხველისთვის, ვიდრე გამოქვეყნებული, ვინაიდან ისინი ინახება მხოლოდ ერთ ადგილას და არ არსებობს ოფიციალური ცნობები მათი პუბლიკაციის შესახებ. მსგავსი წყაროების მითითებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი *სრული* ინფორმაციის დართვას, რათა მაქსიმალურად სრულყოფილი მონაცემები მივაწოდოთ მკითხველს.

გამოუქვეყნებელი ნაშრომების სათაურები მოცემულია სწორი შრიფტით, უბრჭყალებოდ. ეს განსხვავებული ფორმატი გამოარჩევს მათ მსგავსი, მაგრამ გამოქვეყნებული ნაშრომებისგან. სათაურები მთავრული ასოებით დაწერეთ სათაურის სტილის მიხედვით.

### 17.6.1 თეზისები და დისერტაციები

თუ ხელმძღვანელობთ გამოუქვეყნებელი დისერტაციის ნაბეჭდი ფორმით, ჩათვალეთ იგი გამოუქვეყნებელ ხელნაწერად. ავტორის და სახელწოდების შემდეგ მიუთითეთ დისერტაციის ტიპი და სამეცნიერო დაწესებულება, შემდეგ თარიღი. წიგნის პუბლიკაციის მონაცემების მსგავსად, ეს ელემენტები შენიშვნაში ფრჩხილებში თავსდება, ბიბლიოგრაფიაში კი – არა. გამოიყენეთ *დისერტაციის* შემოკლებული ვარიანტი *დის.*სიტყვის *გამოუქვეყნებელი*ხმარება საჭირო არ არის.

**შ:** 1. კარენ ლეი ჩულკასი, „ქურთისტანის კარტოგრაფიული წარმოჩენა ბეჭდვით მედიაში"(თეზისი მაგისტრის ხარისხის დასაცავად, სირაკუსის უნივერსიტეტი, 2003), 15.

**ბ:**მერფი, პრისცილა ქოით. „რა შეუძლია წიგნს: *ჩუმი წყარო*დასაჯარო დებატები მედიასაშუალებებში". სადოქტორო დისერტაცია., ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი, 2000.

იმისათვის, რომ მიუთითოთ დისერტაცია, რომელსაც გაეცანით ონლაინ მონაცემთა ბაზაში,დაურთეთ მონაცემთა ბაზის სახელი, URL-ი და მონაცემთა ბაზაში შესვლის თარიღი ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის შემდეგ (მიკროფორმის სახით გამოშვებული გამოცემების შესახებ იხილეთ 17.5.7.)

**ბ:** მერფი, პრისცილა, ქოითი. „რა შეუძლია წიგნს: *ჩუმი წყარო* და საჯარო დებატები მედიასაშუალებებში".სად. დის.., ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი. 2000. ProQuest Dissertationsand Theses-ში, http://proquest.umi.com/pqdweb?did = 727710781 &sid-2&Fmt^2& clientId=13392&RQT=309&VName=PQD (გახსნილია 2006 წლის 1 აპრილს).

### 17.6.2 ლექციები და შეხვედრებზე წაკითხული მოხსენებები

გამოსვლის ან მოხსენების ავტორის და სათაურის შემდეგ მიუთითეთ სპონსორი, ადგილმდებარეობა და თათბირის ჩატარების კონკრეტული დღე. შენიშვნაში ეს ინფორმაცია ფრჩხილებში მოათავსეთ, ბიბლიოგრაფიაში – არა. სიტყვა *გამოუქვეყნებელი* საჭირო არ არის.

**შ:**2.ჯონ თრუმანი„ინდიელთა ბლუზი: ამერიკელი ინდიელები და მუსიკის პოლიტიკა,1890-1935" (ლექცია, წაკითხული ბიბლიოთეკაში „Newberry Library", ჩიკაგო, ილინოისი, 2005წლის 2 თებერვალი).

7. კარენ გრადი, „როდესაც მაღალი კულტურა პოპულარული კულტურა იყო" (ამერიკის ისტორიკოსთა ორგანიზაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე წარმოდგენილი მოხსენება. 2004წლის 26 მარტი).

**ბ:**სკოკპოლი, თედა. „ხმა და უთანასწორობა: ამერიკის სამოქალაქო დემოკრატიის გარდაქმნა".პრეზიდენტის მიმართვა, ამერიკის პოლიტოლოგთა ასოციაციის ყოველწლიური შეხვედრა, ფილადელფია, პენსილვანია,2003წლის 28 აგვისტო.

### 17.6.3 ინტერვიუები და პირადი ურთიერთობა

გამოუქვეყნებელი ინტერვიუ (მათ შორის, ინტერვიუ, რომელიც თავად წარმართეთ),როგორც წესი, მხოლოდ შენიშვნაში უნდა მიუთითოთ. ჩვეულებრივ, არ არის საჭირო მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა, თუმცა, შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ცალკეული ინტერვიუს ჩართვა ბიბლიოგრაფიაში, თუ ის მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან ხშირად არის მითითებული. შენიშვნა დაიწყეთ იმ პირის გვარით და სახელით, რომელსაც ჩამოერთვა ინტერვიუ და ინტერვიუერის სახელით და გვარით; დაურთეთ, აგრეთვე, ინტერვიუს ჩატარების ადგილი და თარიღი (თუ ცნობილია) და ნებისმიერი ფირისა თუ წერილობითი ასლის (თუ არის ხელმისაწვდომი) ადგილმდებარეობა. (რადიო- ან ტელემაუწყებლობით გადაცემული ინტერვიუების შესახებ იხილეთ 17.8.3)

**შ:**7. ენდრიუ მაკმილანი, ავტორის ინტერვიუ,სან დიეგო, კალიფორნია,2007 წლის 2 მარტი.

14. ბენჯამინ შპოკი, ჯ.ე. სენის ინტერვიუ, 1974 წლის 20 ნოემბერი, ინტერვიუ 67ა, წერილობითი ასლი,სენის ზეპირი ისტორიის კოლექცია, მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბეთეზდა, MD. 17.
მაკმილანი,ინტერვიუ; სპოკი, ინტერვიუ.

თუ არ შეგიძლიათ იმ პირის ვინაობის გამჟღავნება, რომელსაც ინტერვიუ ჩამოართვეს, მიუთითეთ ის კონტექსტის შესაბამისი ფორმით. განმარტეთ, რატომ

არ არის მითითებული ვინაობა („ყველა ინტერვიუ იყო კონფიდენციალური; იმ პირთა ვინაობას, ვისაც ჩამოვართვით ინტერვიუები, არ ვასახელებთ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე") შენიშვნაში ან წინასიტყვაობაში.

**შ:10.** ინტერვიუ ჯანდაცვის სფეროს მუშაკთან 2006 წლის 10 აგვისტო.

მიუთითეთ საუბრები, წერილები, ელექტრონული წერილები და ა.შ. მხოლოდ შენიშვნებში. როგორც წესი, არ არის საჭირო მათი მითითება ბიბლიოგრაფიაში, მაგრამ შეიძლება, მოისურვოთ, მიუთითოთ კონკრეტული კომუნიკაცია, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის გასამყარებლად ან რომელიც ხშირად არის ციტირებული. ძირითადი ელემენტებია სხვა ადამიანის სახელი და გვარი, კომუნიკაციის ტიპი და კომუნიკაციის თარიღი. ბევრ შემთხვევაში შესაძლოა, მოახერხოთ ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნის გამოყენება (იხ. 16.4.3) ან ამ ინფორმაციის ნაწილობრივ ან სრულად ჩართვა ტექსტში. გამოტოვეთ ელექტრონული ფოსტის მისამართები. ელექტრონულ მისამართებზე გაგზავნილი შეტყობინებების მითითების შესახებ იხილეთ იხ. 17.7.3.

**შ:2.** მაქსინ გრინი, ელექტრონული ფოსტის გზავნილი ავტორს, 2005 წლის 29 სექტემბერი.

2006 წლის 12 ოქტომბერს ავტორთან სატელეფონო საუბრისას პოლკოვნიკმა უილიამ რიჩიმ გაამჟღავნა, რომ...

### 17.6.4 ხელნაწერთა კოლექციები

გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა კოლექციებში დაცული დოკუმენტები შეიცავს გამოქვეყნებულ წყაროებზე უფრო რთულ და მრავალფეროვან ელემენტებს. მითითებაში ჩართეთ, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია, თანმიმდევრულად დააფორმატეთ ელემენტები და საჭიროებისამებრ მიუსადაგეთაქ მოყვანილი ზოგადი მოდელები.

შესატანი ელემენტები და მათი თანმიმდევრობა. თუ შესაძლებელია, მიუთითეთ ავტორი და თითოეული ელემენტის სახელწოდება ან ტიპი, კოლექციის სახელწოდება და არქივის დასახელება. შენიშვნაში, პირველ რიგში, მიუთითეთ

ავტორის სახელი და გვარი; თუ დოკუმენტს აქვს სახელწოდება, ავტორი კი – არა, ან თუ სახელწოდება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტორი, თავდაპირველად სახელწოდება მიუთითეთ.

**შ:**5. ჯორჯ ქრილის წერილები პოლკოვნიკ ჰაუზის მისამართით, 1918 წლის სექტემბერი, ედუარდ მ. ჰაუზის დოკუმენტები, იელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი.

23. ჯეიმს ოგლეთორფის წერილები რწმუნებულებს, 1733 წლის 13 იანვარი, ეგმონტის ხელნაწერების ფილიპსის კოლექცია, 14200:13, ჯორჯიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ათენი (შემდგომში მითითებულია როგორც Egmont MSS).

24. ბარტონის წერილები მერიამის მისამართით, ტელეგრამა, 1923 წლის 26 იანვარი, ჩარლზ ი. მერიამის დოკუმენტები, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

31. თავისუფალ შავკანიანთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხების კომიტეტის შეხვედრის ოქმი, პენსილვანიის მონობის გაუქმების საზოგადოება, 1790-1803, მონობის გაუქმების პენსილვანიის საზოგადოების დოკუმენტები, პენსილვანიის ისტორიული საზოგადოება, ფილადელფია (შემდგომ მითითებებში – პენსილვანიის საზოგადოების ოქმები).

44. ალვინ ჯონსონის მემორანდუმი, 1937, სწრაფჩამკერი 36, ჰორას კალენის დოკუმენტები, ინსტიტუტი YIVO, ნიუ-იორკი

45. ჯოზეფ ფურსელი, „ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ინდიელთა ოლქის რუკა" [ca. 1772]. MS 228, ეივერის კოლექცია, ბიბლიოთეკა"Newberry Library", ჩიკაგო.

შემოკლებული შენიშვნებშიშეცვალეთ ელემენტების ჩვეული სქემა (იხ. 16.4.1), რათა ასახოთ არსებული ინფორმაცია და მკაფიოდ მიუთითოთ ინფორმაცია დოკუმენტის შესახებ.

**შ:**46. რ.ს. ბეიკერის წერილი ჰაუზს, 1919 წლის 1 ნოემბერი, ჰაუზის დოკუმენტები.

47. ოქმები. 1795 წლის 15 აპრილი, პენსილვანიის საზოგადოება.

თუ კოლექციიდან მხოლოდ ერთ დოკუმენტს უთითებთ და ის მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის დასაბუთებისთვის ან ხშირად გაქვთ ნაშრომში მითითებული, შეიძლება, არჩიოთ მისი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა.მუხლში,პირველ რიგში, მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი; თუ დოკუმენტს აქვს სახელწოდება, ხოლო ავტორი არ ჰყავს ან თუ სახელწოდება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტორი, პირველად მიუთითეთ სახელწოდება.

**ბ:** დინკელი, ჯოზეფ. ლუის აგასის დახასიათება, დაწერილი ელიზაბეთ ქერი აგასის თხოვნით. აგასის დოკუმენტები. ჰოუთონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდის უნივერსიტეტი, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი.

თუ კოლექციიდან მრავალი დოკუმენტის ციტირებას ახდენთ, ბიბლიოგრაფიაში „კოლექციის'' სახელით მიუთითეთ მთელი კოლექცია, მასში შემავალი დოკუმენტების ავტორ(ებ)ი ან არქივი. მსგავსი ტიპის გამოუქვეყნებელი მასალისთვის, რომელიც არქივებში არ ინახება, შეცვალეთ კოლექციასთან დაკავშირებული ინფორმაცია ფრაზებით „ავტორის მფლობელობაშია“ან „კერძო კოლექცია'' და ნუ ახსენებთ ადგილს.

**ბ:**ეგმონტის ხელნაწერები. ფილიპსის კოლექცია. ჯორჯიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ათენი.

ჰაუზი, ედვარდ მ., დოკუმენტები. იელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ნიუ ჰეივენი, კონექტიკუტი.

პენსილვანიის მონობის გაუქმების საზოგადოება. დოკუმენტები. პენსილვანიის ისტორიული საზოგადოება, ფილადელფია.

სტროთერი, ფრენჩი და ედვარდ ლორი. დაუთარიღებელი მიმოწერა. ჰერბერტ ჰუვერის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა, ვესთ ბრენჩი, აიოვა.

ეროვნული მშრალი კანონის რეფორმის მომხრე ქალთა ორგანიზაციის დოკუმენტები. ალის ბელინ დიუპონის ფაილები. პიერ ს. დიუპონის დოკუმენტები,ელუტერიან მილსის ისტორიული ბიბლიოთეკა,უილმინგტონი, დელევერი.

ელემენტების დაფორმატების წესი. წარმოგიდგენთ რამდენიმე რეკომენდაციას ხელნაწერთა კოლექციებში არსებული დოკუმენტების სპეციალურ დაფორმატებასთან დაკავშირებით.

- ***კონკრეტული სათაურები განზოგადებული სათაურების ნაცვლად.***მიუთითეთ როგორც კონკრეტული, ისე, განზოგადებული სათაურები, როგორიცაა

*ანგარიში* ან *ოქმი,* სწორი შრიფტით, უბრჭყალებოდ.დასვით მთავრული ასოები ამ ტიპის განზოგადებულ სახელებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელნაწერის ოფიციალური სათაურის ნაწილია და არა მაშინ, როცა მათ მხოლოდ აღწერილობითი ფუნქცია აკისრია.

-ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ. ზოგიერთი ხელნაწერი შესაძლოა, შეიცავდეს გვერდების ნომრებს, რომლებიც შეიძლება, მოთავსდეს შენიშვნებში; მიუხედავად ამისა, მრავალ ხელნაწერს ექნება ადგილმდებარეობის მანიშნებელი სხვა ტიპის ელემენტი ან საერთოდ არ ექნება ის. უფრო ძველი ხელნაწერების დანომვრა, როგორც წესი, ხდება მხოლოდ თაბახით ან ფორმატით, ნაცვლად გვერდებისა. ხელნაწერების ზოგიერთ კოლექციას აქვს სერიები ან ფაილების ნომრები, რომლებიც შეიძლება, დაურთოთ მითითებას.

-ნაშრომები და ხელნაწერები. ხელნაწერთა კოლექციების სათაურებში ტერმინები *ნაშრომი* და *ხელნაწერები* სინონიმებია. ორივე ტერმინი მისაღებია, ისევე, როგორც აბრევიატურები *MS* და*MSS* (მრავლობითი რიცხვი).

-წერილები. შენიშვნებში წერილის ციტირებისას, პირველ რიგში, მიუთითეთ წერილის ავტორის სახელი და გვარი, შემდეგ დაურთეთ *ადრესატი,* შემდეგ კი წერილის მიმღების გვარი. შეგიძლიათ, არ მიუთითოთ სახელები, თუ ტექსტიდან თვალსაჩინოა გამგზავნის და ადრესატის ვინაობა. გამოტოვეთ სიტყვა *წერილი,* რომელიც იგულისხმება, თუმცა, თუ სხვა ფორმის კომუნიკაციას უთითებთ, დააკონკრეტეთ კომუნიკაციის ტიპი (დეპეშა, მემორანდუმი).

## 17.7 არაოფიციალურად გამოქვეყნებული ელექტრონული წყაროები

მასალას, რომელიც არაოფიციალურად ქვეყნდება ინტერნეტში, ხშირად არ ექნება პუბლიკაციის სტანდარტული მონაცემები, როგორიცაა ავტორი, სათაური, გამომცემელი ან თარიღი. მაშინაც კი, როდესაც შეგიძლიათ პუბლიკაციის შესახებ მხოლოდ ძალიან მწირი მონაცემების მოპოვება ან საერთოდ ვერ ადგენთ მათ, მაინც უნდა მიუთითოთ უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრეURLმისამართია. თუ მიუთითებთ მხოლოდ URL-ს და ის შეიცვლება ან მოძველდება, მითითება გამოუსადეგარი ხდება მკითხველისთვის. URL-ი მიუთითებს, სად იყო განთავსებული მასალა, როდესაც თქვენ გაეცანით

მას;სრული მითითება, ასევე, უნდა უჩვენებდეს წყაროს და თქვენს მიერ მისი უკანასკნელად მონახულების თარიღს (იხ. 15.4.1).

### 17.7.1 ვებგვერდები

წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გარდა ონლაინ წყაროებიდან მიღებულ სხვა ორიგინალ მასალასთან დაკავშირებით მიუთითეთ, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია შემდეგი ჩამონათვლიდან: ავტორი, გვერდის სათაური (სწორი შრიფტით, ბრჭყალებში), ვებგვერდის სახელწოდება ან მფლობელი (სწორი შრიფტით), URL-ი და ვებგვერდზე შესვლის თარიღი.

**შ:**14. ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკის სამეურვეო საბჭო, „ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკის სტრატეგიული გეგმა, 2000-2010: საქმიანობის დეკადა", ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკა, http://www.epl .org/library/strategic-plan-OO.html (გახსნილია 2005 წლის 1 ივნისს).

**ბ:**ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკის სამეურვეო საბჭო. „ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკის სტრატეგიული გეგმა, 2000-2010: საქმიანობის დეკადა". ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკა.http://www.epl.org/ library/strategic-plan-OO.html (გახსნილია 2005 წლის 1 ივნისს).

თუ ავტორი არ არის დასახელებული, მიუთითეთვებგვერდის მფლობელის სახელი.

**შ:**19. ბაჰაიზმი შეერთებულ შტატებში, „განათლება", ბაჰაიზმი, http://www .bahai.us/content/section/7/36/ (გახსნილია 2006 წლის 28 მარტს).

25. ამერიკის მეცნიერთა ფედერაცია, „რეზოლუციის შედარება: სანომრე ნიშნების და სათაურების კითხვა"http://www.fas.org/irp/imint/resolve5.html (გახსნილია 2005 წლის 1 ივნისს).

**ბ:**ბაჰაიზმი შეერთებულ შტატებში, „განათლება", ბაჰაიზმი, http://www.bahai.us/ content/section/7/36/ (გახსნილია 2006 წლის 28 მარტს).

არაოფიციალურ საიტებზე, როგორიცაა მთავარი გვერდები და თაყვანისმცემელთა საიტები, რომლებსაც შეიძლება, არც ჰქონდეთ სათაურები, გამოქვეყნებული მასალებისთვის გამოიყენეთ აღწერილობითი ფრაზები.

**შ:1.** “თაქონიკის ბანაკის” კურსდამთავრებულები, 1955 ფოტოგალერეა, http://www.taconicalumni.org/1955 .html (გახსნილია 2005 წლის 1 ივნისს).

## 17.7.2 ვებლოგზე გამოქვეყნებული ჩანაწერები და კომენტარები

თუ მიუთითებთ ვებლოგზე (ან ბლოგზე) გამოქვეყნებულ ინფორმაციას საიტის ავტორის მიხედვით, იხელმძღვანელეთ ვებსაიტებისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდელით. მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი და განთავსების თარიღი. ასეთი ინფორმაცია, როგორც წესი, მხოლოდ შენიშვნაში უნდა მიეთითოს. ჩვეულებრივ, არ არის მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა საჭირო, თუმცა, შეიძლება, გადაწყვიტოთ კონკრეტული ინფორმაციის ჩართვა, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის დასაბუთებისთვის ან ხშირად არის მითითებული.

**შ:7.**გერი ბეკერი, „ამერიკის ახალი დილემა: არალეგალური იმიგრაცია”, ბეკერ-პოზნერის ვებჟურნალი,სტატია განთავსებულია 2006 წლის 6 მარტს http://www.becker-posner-blog.com/ archives/2006/03/the_new_america.html (გახსნილია 2006 წლის 28 მარტს).

ვებლოგზე საიტის ავტორის გარდა, სხვა პირის მიერ განთავსებული კომენტარის მისათითებლად იხელმძღვანელეთ ვებლოგზე განთავსებული ინფორმაციისთვის განსაზღვრული ზოგადი პრინციპებით. მასალა მოიხსენიეთ, როგორც კომენტარი და მიუთითეთ კომენტარის განთავსების თარიღი (და არა თავად კომენტარი). თუ კომენტარის ავტორის სახელი და გვარი არასრულია ან ფსევდონიმია, კვადრატულ ფრჩხილებში, სახელის შემდეგ დაამატეთ ფსევდ.

**შ:8.** პიტერ პიერსონი, კომენტარი სტატიისა „ამერიკის ახალი დილემა: არალეგალური იმიგრაცია”, ბეკერ-პოზნერის ვებჟურნალი, კომენტარი განთავსდა 2006 წლის 6 მარტს,http://www.becker-posner-

blog.com/archives/2006/03/the_new_america.html#c080052 (გახსნილია 2006 წლის 28 მარტს).

11. ბილი [ფსევდ.], კომენტარი სტატიისა „ამერიკის ახალი დილემა: არალეგალური იმიგრაცია", ბეკერ-პოზნერის ვებჟურნალი,კომენტარი განთავსდა 2006 წლის 10 მარტს, httpV/www.becker-posner-blog.com/archives/2006/03/the_new_america. html#c080U9 (გახსნილია 2006 წლის 28 მარტს).

### 17.7.3 ადრესატთაელექტრონული მისამართების სიები

ადრესატთა ელექტრონული მისამართების სიიდან მასალის ციტირებისას დაურთეთ ავტორის სახელი და გვარი, სიის სახელწოდება და გაგზავნის თარიღი. გამოტოვეთ ელექტრონული ფოსტის მისამართები. თუ სტატია უნდა დაარქივდეს მიუთითეთ, აგრეთვე,URL მისამართი და თარიღი, როდესაც ინტერნეტში გამოიყენეთ მასალა. მსგავსი ინფორმაციის ციტირება, როგორც წესი, ხდება მხოლოდ შენიშვნაში. ჩვეულებრივ, საჭირო არ არის მათი ჩართვა თქვენს ბიბლიოგრაფიაში, თუმცა, შეიძლება, გადაწყვიტოთ კონკრეტული ელემენტის ჩართვა, თუ ის მნიშვნელოვანია არგუმენტის გამყარების თვალსაზრისით ან ხშირად არის მითითებული.

შ:17. ჯონ პაუელი, ელფოსტის წერილი Grapevine-ადრესატთა სიის წევრებისთვის, 2004 წლის 30 ოქტომბერი,http://www .electriceditors.net/grapevine/issues/83.txt (გახსნილია 2005 წლის 12 ოქტომბერს).

## 17.8 ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების წყაროები

ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება გვთავაზობს მრავალფეროვან წყაროებს: ვიზუალურ გამოსახულებებს, ცოცხალ წარმოდგენებს, ტელე- და რადიოგადაცემებს, ჩანაწერებს სხვადასხვა მატარებელზე და ტექსტებს. ზოგიერთი ასეთი წყაროს ციტირება შეიძლება, რთულიც იყოს, თუ მათ არ ახლავს გამოქვეყნებული წყაროებისთვის დამახასიათებელი მოსაძიებელი ინფორმაცია. ასეთი წყაროების მითითებას დაურთეთ, შეძლებისდაგვარად, ბევრი

ინფორმაცია, თანმიმდევრულად დააფორმატეთ ელემენტები და მითითებებსსაჭიროებისამებრ მიუსადაგეთ წინამდებარე ნაწილში მოცემული ზოგადი მოდელები.

ამ ნაწილში ჩამოთვლილი წყაროების უმეტესობა მხოლოდ შენიშვნებში უნდა აღნიშნოთ ან, სულაც, ტექსტში ჩართოთ მისი ძირითადი ელემენტები. თუ სხვაგვარი რამ არ არის მითითებული, როგორც წესი, საჭირო არ არის ამ წყაროების ბიბლიოგრაფიაში ჩართვა, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება, ჩართოთ კონკრეტული ელემენტი, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის დასაბუთების თვალსაზრისით ან რომელიც ხშირად არის მითითებული. თუ ნაშრომს ისეთი დისციპლინებისთვის წერთ, როგორიცაა ხელოვნება, მედიის კვლევები ან სხვა მსგავსი სფერო, რჩევისთვის თქვენს პედაგოგს მიმართეთ.

### 17.8.1 ვიზუალური წყაროები

ფერწერული ნამუშევრები, ქანდაკებები, ფოტოები და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები.ფერწერული ნახატები, ქანდაკებები, ფოტოსურათები და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები აღინიშნება მხოლოდ შენიშვნებში.დაურთეთ,აგრეთვე,მხატვრის სახელი და გვარი, ნაწარმოების სახელწოდება და შექმნის თარიღი (რომელსაც წინ უსწრებს ca. [circa],თუ თარიღი მიახლოებითია), ასევე, იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა (თუასეთი არსებობს), რომელშიც იგი ინახება. ფერწერული ნამუშევრებისა და ქანდაკებებისსახელწოდებები დახრილი შრიფტით დაწერეთ, ხოლო ფოტოსურათების სახელწოდებები სწორი შრიფტით მიუთითეთ და ბრჭყალებში ჩასვით.

**შ:7**. ჯორჯია ოკიფი, ალბური ბუხრები, 1938, მილვოკის ხელოვნების მუზეუმი.

11. მიქელანჯელო, *დავითი,* 1501-4, სამხატვრო აკადემიის გალერეა, ფლორენცია.

შენიშვნის გამოყენების ნაცვლად, ზოგჯერ ხელოვნების ნიმუშების მითითება ელემენტების ტექსტში ჩართვითაც შეგიძლიათ. ამ ელემენტებიდან ზოგი შეიძლება, ფრჩხილებში ჩაისვას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ შეესაბამება ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნების ფორმატს, რომელიც აღწერილია 16.4.3-ში.

**შ:7**. ჯორჯია ოკიფი, *ალპური ბუხრები,* 1938, ბარბარა ბულერ ლინის, ლესლი პოლინ-კემპესის და ფრიდრიხ უ. ტერნერის ნაშრომში – *ჯორჯია ოკიფი და ნიუ-მექსიკო: ადგილის შეგრძნება* (პრინსტონი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004), 25.

თუ ხელოვნების ნაწარმოები გამოქვეყნებულ წყაროში ნახეთ და ადგილობრივი წესებით განსაზღვრულია შესაბამისი წყაროს იდენტიფიკაცია, ორგანიზაციის სახელწოდების და ადგილმდებარეობის ნაცვლად,შეიყვანეთ ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ. ონლაინ სურათების (online images)შესახებ იხ.17.8.6.

**შ:12**.ოჯახის წიგნიერების ეროვნული ცენტრი, „ვინაიდან მე შემიძლია კითხვა", რეკლამა ჟურნალში„ატლანტიქ მანსლი", 2006 წლის აპრილი, 59.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ.შეიძლება, დაგჭირდეთ ისეთი გრაფიკული წყაროების ციტირება, როგორიცაა სარეკლამო განცხადებები პრესაში, რუკები, კარიკატურები და ა.შ. აღნიშნეთ ასეთი წყაროები მხოლოდ შენიშვნებში, მიუსადაგეთ მათ ხელოვნების ნიმუშებისთვის განკუთვნილი საბაზისო მოდელები და დაურთეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. მიუთითეთ სახელწოდებები სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმით და აღნიშნეთ გამოსახულების ტიპი, თუ ის სახელწოდებიდანცხადი არ არის. ონლაინ გრაფიკული გამოსახულების შესახებ იხ. 17.8.6.

### 17.8.2 ცოცხალი შესრულება

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲙᲕᲐ.აღნიშნეთ ცოცხალი თეატრალური, მუსიკალური ან საცეკვაო შესრულება მხოლოდ შენიშვნებში. აღნიშვნას დაურთეთ შესრულებული ნაწარმოების სახელწოდება, ყველა წამყვანი შემსრულებლის სახელი და გვარი და მათ მიერ შესრულებული როლები, რომელ თეატრში, დარბაზში და ა.შ გაიმართა წარმოდგენა, წარმოდგენის გეოგრაფიული მდებარეობა და თარიღი. პიესების და დიდი მუსიკალური კომპოზიციების სათაურები დაწერეთ დახრილი შრიფტით, ხოლო უფრო მცირე ნამუშევრების სათაურები – სწორი შრიფტით, ბრჭყალებში. თუ ციტატა ხაზს უსვამს კონკრეტული პიროვნების შესრულებას, შემსრულებლის სახელი და გვარი მიუთითეთ ნაწარმოების სათაურის წინ.

**შ:***ცისფერი ჩიტი,შემსრულებელი შერილ ლ. ვესტი, რეჟისორი სერეთ სკოტი,* Second Stage Theater, ნიუ-იორკი, 2005წლის 22 ივნისი.

16. იუჯა ვანგი, ფორტეპიანო, "La Valse," კომპ. მორის რაველი, საორკესტრო დარბაზი, ჩიკაგო, 2006 წლის 26 მარტი.

შენიშვნის გამოყენების ნაცვლად, ზოგჯერ, მითითება ცოცხალი შესრულების შესახებ ელემენტების ტექსტში ჩართვითაც შეგიძლიათ. ამ ელემენტებიდან ზოგი მათგანი შეიძლება, ფრჩხილებში ჩაისვას, მაშინაც კი, თუ ისინი არ შეესაბამება ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნებისფორმატს, რომელიც აღწერილია 16.4.3-ში.

იუჯა ვანგმა მორის რაველის ,,ლა ვალსის" შესრულებით (2006 წლის 26 მარტს, ჩიკაგოს საორკესტრო დარბაზში) გვიჩვენა, რომ მას ესმის...

თუ ცოცხალი შესრულება ჩანაწერში იხილეთ ან მოისმინეთ, მიუთითეთ ეს ჩანაწერი. აუდიოჩანაწერის შესახებ იხ. 17.8.4; ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით – 17.8.5; ონლაინ ფაილების (online files) შესახებ – 17.8.6

კინოფილმები.თუ ფილმი კინოთეატრში ნახეთ, ცოცხალი შესრულების მითითების მსგავსად, შენიშვნაში აღნიშნეთ ან ჩართეთ ელემენტები ტექსტში. (ვიდეოჩანაწერებით ნანახი ფილმების შესახებ იხ. 17.8.5; ინტერნეტში ნანახი ფილმების შესახებ იხ. 17.8.6.).მიუთითეთ კინოფილმის სახელწოდება, რეჟისორი, მწარმოებელი კომპანიის ან დისტრიბუტორის სახელწოდება და ფილმის გამოშვების წელი. თუ საჭიროა, აღწერეთ თქვენს მიერ ციტირებული ეპიზოდის მოქმედების ადგილი.

**შ:**3. *Capote, რეჟისორი ბენეტ მილერი*, Sony Pictures Classics, 2005, საწყისი ეპიზოდი

### 17.8.3 სატელევიზიო პროგრამები და სხვა სამაუწყებლო წყაროები

პროგრამები.მიუთითეთ ტელეპროგრამები, რადიოპროგრამები და სხვა სამაუწყებლოწყაროები მხოლოდ შენიშვნებში. დაურთეთ პროგრამის სახელი და თარიღი, როდესაც ნახეთ ან მოისმინეთ გადაცემა. შეგიძლიათ, აგრეთვე, აღნიშნოთ ეპიზოდის სათაური და ნომერი (თუ ხელმისაწვდომია), ყველა

წამყვანი შემსრულებლის სახელი და გვარი (თუ თქვენს მსჯელობას შეესაბამება), ადგილი, საიდანაც ხდება მაუწყებლობა და თავდაპირველი მაუწყებლობის თარიღი (თუ განსხვავდება იმ თარიღისგან, როდესაც თქვენ ნახეთ ან მოისმინეთ გადაცემა). პროგრამების სახელები დაწერეთ დახრილი შრიფტით, ხოლო ეპიზოდების ან სეგმენტების სათაურები – სწორი შრიფტით, ბრჭყალებში.

**შ:16**. *ზაინფილდი*„საპირისპირო",ეპიზოდი 86,2005 წლის 22 სექტემბერი (თავდაპირველად გადაიცა 1994 წლის 19 მაისს)

ხშირად, შენიშვნის ნაცვლად,შეგიძლიათ, ასეთი პროგრამები აღნიშნოთ ძირითადი ელემენტების ტექსტში ჩართვის მეშვეობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზოგიერთი ან ყველა დამატებითი ელემენტი არ არის ხელმისაწვდომი ან არ შეესაბამება ციტირებას.

*საინფილდის ეპიზოდი სათაურით* "საპირიპირო"(ეთერში გადაიცა 2005 წლის 22 სექტემბერს) შესანიშნავად წარმოაჩენს ამ ნაწარმოების სტრუქტურას.

თუ პროგრამა ჩანაწერში ნახეთ ან მოისმინეთ, მიუთითეთ ჩანაწერი. ვიდეოჩანაწერის შესახებ იხ. 17.8.5; ონლაინ ფაილების შესახებიხ. 17.8.6.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲔᲑᲘ.მიუთითეთ მაუწყებლის მეშვეობით გადმოცემული ინტერვიუები მხოლოდ შენიშვნებშიან ტექსტში, მასშიჩართული ელემენტებით. მიიჩნიეთ რესპონდენტი ავტორად და ციტირების კონტექსტში მიუთითეთ ინტერვიუერის ვინაობა. დაურთეთ, აგრეთვე, მაუწყებლობის ადგილი და თარიღი. გამოუქვეყნებელი ინტერვიუების შესახებ იხ. 17.6.3.

**შ:10**. ჯიმ ლერერის ინტერვიუ კონდოლიზა რაისთან. *ნიუზ აუერ,* პი-ბი-ესი, 2005 წლის 28 ივლისი.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲔᲑᲘ.მიუთითეთ მაუწყებლობის საშუალებებით გადმოცემული რეკლამები მხოლოდ შენიშვნებშიან ტექსტში, მასშიჩართული ელემენტებით. დაურთეთ, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია.

**შ:**18. ფედერალ ექსპრესი, *"გამოქვაბულის კაცის"* რეკლამა, ეთერში გადაიცა 2006 წლის 5 თებერვალს, *სუპერბოლოულ იქს-ელის მსვლელობისას.*

.

### 17.8.4 აუდიოჩანაწერები

თუ აუდიოჩანაწერში მოისმინეთ მუსიკალური შესრულება ან დეკლამაცია (spoken performance), მიუთითეთ ჩანაწერი. გამოქვეყნებული ნაწარმოებების მსგავსად, ასეთ ჩანაწერებს, როგორც წესი, უცვლელი და ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და საჭირო იქნება მათი აღნიშვნა ბიბლიოგრაფიაში.

აღნიშნეთ ჩანაწერი მისი სახელწოდების ქვეშ, ან კომპოზიტორის, ან შემსრულებლის სახელის ქვეშ, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო შეესაბამება თქვენს მსჯელობას. იმისათვის, რომ სხვა მსგავსი ჩანაწერებისგან განასხვავოთ, დაურთეთ, შეძლებისდაგვარად, მეტი ინფორმაცია: ჩამწერი კომპანიის სახელი, ჩანაწერის საიდენტიფიკაციო ნომერი, ჩანაწერის ფორმა (ფირი, კომპაქტდისკი) და საავტორო უფლების მინიჭების ან ჩანაწერის დამზადების თარიღი (ან ორივე). გამოიყენეთ კომპაქტდისკის *(compact disc)*შემოკლებული ვარიანტი: CD.

**შ:**11. *ხალხური სიმღერების საგანძური,* ტ. 1, ორკესტრი და გუნდი, დირ. მიჩ მილერი,ოქტროს ჩანაწერი A198:17A-B, 33 rpm, 1972.

14. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, *სონატა ფორტეპიანოსთვის № 29 "Hammerklavier,"* რუდოლფ სერკინი, ProArte ციფრული CDD 270, 1992.

**ბ:** ანდერსონი, დაგ.*Frostwork.* OAR 1001, Dolby HX PRO. აუდიოკასეტა. 2001.

ბერნშტაინი, ლეონარდ, დირ.*მე-5 სიმფონია, დიმიტრი შოსტაკოვიჩი.* ნიუ-იორკის ფილარმონია. სი-ბი-ეს აი-ემ 35854. 1985.

მუსიკალური ჩანაწერის მსგავსად მიუთითეთ დრამატული პიესების, პროზისა და პოეზიის, ლექციებისა და ამგვარი საჯაროდ წაკითხული მასალების ჩანაწერები.

**შ:**6.დილან თომასი, *რძის ხის ქვეშ,დილან თომასის და სხვების შესრულება,* Caed-mon TC-2005 (აუდიოკასეტა), CDLS-2005 (CD), 1950.

**ბ:**ოდენი, უ. ჰ. *ლექსები. კითხულობს ავტორი.* საუბრები ხელოვნებაზე7137. CD. 1955.

### 17.8.5 ვიდეოჩანაწერები

თუ ცოცხალი შესრულება, კინოფილმი ან სატელევიზიო პროგრამა, ან სხვა სამაუწყებლო მასალა ვიდეოჩანაწერში ნახეთ, მიუთითეთ ჩანაწერი. გამოქვეყნებული ნაშრომების მსგავსად, ასეთ ჩანაწერებს, როგორც წესი, უცვლელი და ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და ბიბლიოგრაფიაში უნდა მიუთითოთ.

ვიდეოჩანაწერების მითითებისას, ჩვეულებრივ,უნდა იხელმძღვანელოთ წიგნებისთვის განკუთვნილი ნიმუშებით, ჩანაწერის ფორმის დამატებით (VHS, DVD). გაითვალისწინეთ, რომ მეორე მაგალითში მითითებულია 2001 წლის გამოშვების მასალა, ამიტომ ფილმის თავდაპირველი გამოსვლის თარიღი გამოტოვებულია.

**შ:**7. ჯორჯ ფრიდრიხ ჰენდელი, *მესია*, VHS, ატლანტას სიმფონიური ორკესტრი და კამერული გუნდი, რობერტ შოს დირიჟორობით (ბატავია, ოჰაიო: Video Treasures, 1988).

**ბ:**ქლისი, ჯო, ტერი გილიამი, ერიკ აიდლი, ტერი ჯოუნსი და მაიკლ პალინი „ქრონიკები".* მეორე დისკი. *Monty Python and the Holy Grail (წმინდა გრაალი), სპეციალური გამ.*. DVD. რეჟისორები ტერი გილიამი და ტერი ჯოუნსი. ქალვერ სითი, კალიფორნია:ქალამბია ტრაისტარ ჰოუმ ენტერტეიმენტი,2001.

### 17.8.6 ონლაინ მულტიმედიური ფაილები

თუ ონლაინ ნახეთ გამოსახულება, ცოცხალი შესრულება, კინოფილმი ან სატელევიზიო პროგრამა, ან სხვა სამაუწყებლო წყარო (პოდკასტების (podcasts) ჩათვლით), მიუთითეთ ონლაინ ფაილი. ისევე, როგორც გამოქვეყნებული ნაშრომებს, ონლაინ მულტიმედიურ ფაილებს, როგორც წესი, უცვლელი და ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და საჭიროა მათი ბიბლიოგრაფიაში შეყვანა.

ციტირებისას იხელმძღვანელეთ ზემოთ აღწერილი შესაბამისი ტიპის წყაროსთვის განკუთვნილი პრინციპებით. ზოგიერთი ელემენტის განსაზღვრა,

როგორიცაა ფაილების თარიღები, შეიძლება, რთული იყოს; მაინც მიუთითეთ მაქსიმალურად ვრცელი ინფორმაცია. ამასთან, მიუთითეთ ონლაინ საიტის სახელი და ფაილის ტიპი და (შენიშვნებში, თუ მიზანშეწონილია) დრო, როდესაც მითითებული მასალა ჩნდება ფაილში. დაურთეთ URL-ი და საიტზე შესვლის თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი არ არის საკმარისი; უნდა წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URLმისამართის შეცვლისგან დამოუკიდებლად. თუ ფაილს არ აქვს ცალკეURL-ი (როგორც ქვემოთ მოყვანილ მეორე მაგალითში), მიუთითეთ მთელი საიტი.

**შ:**12. BBC,„ბლერი აკეთებს განცხადებას აფრიკაზე მომუშავე ახალი ჯგუფის შექმნის თაობაზე",BBC-ის ახალი ამბების ვებსაიტი, Windows Media Player-ის ვიდეოფაილი, 3:43, http://news.bbc.co.uk/nolavconsole/ifs_news/hi/ newsid_5110000/newsid_5119200/nb_wm_5119262.stm (გახსნილია 2006 წლის 27 ივნისს).

16. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, "Allegro Moderato", *სონატა №10 ფორტეპიანოსთვის, C Major* (1778), Kunst der Fuge, MIDI ფაილი, 1:02, http://www.kunstderfuge.com/mozart.htm (გახსნილია 2005 წლის 19 ნოემბერს).

**ბ:**BBC. „ბლერი აკეთებს განცხადებას აფრიკაზე მომუშავე ახალი ჯგუფის შექმნის თაობაზე".BBC-ის ახალი ამბების ვებსაიტი. Windows Media Player –ის ვიდეოფაილი.http://news.bbc.co.uk/nolavconsole/ifs_news/hi/newsid_5110000/ newsid_5119200/nb_wm_5119262.stm (გახსნილია 2006 წლის 27 ივნისს).

მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუს. "Allegro Moderato", *სონატა № 10 ფორტეპიანოსთვის, C Major*. 1778. Kunst der Fuge. MIDI ფაილი, http://www.kunstderfuge.com/mozart.htm (გახსნილია 2005 წლის 19 ნოემბერს).

### 17.8.7 ტექსტები ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებაში

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ.მიუთითეთ გამოფენის კატალოგი, როგორც მიუთითებდით წიგნს. მხოლოდ ბიბლიოგრაფიის მუხლში პუბლიკაციის მონაცემების შემდეგ ჩაწერეთ გამოფენის სახელწოდება და ადგილმდებარეობა(ები).

**შ:**6. ჯუდით ა. ბარტერი, რედ., *მერი კასატი: თანამედროვე ქალი*(ჩიკაგო: ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი, ჰარი ნ. აბრამსთან თანამშრომლობით, 1998), 5.

ბ:ბარტერ, ჯუდით, რედ. *მერი კასატი: თანამედროვე ქალი.* ჩიკაგო: ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი, ჰარი ნ. აბრამსთან თანამშრომლობით, 1998. გამოქვეყნებულია შემდეგ გამოფენასთან კავშირში – „მერი კასატი: თანამედროვე ქალი", რომელიც წარმოდგენილი იყო ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ვაშინგტონის კოლუმბიის ოლქის ეროვნულ გალერეასა და ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში.

პიესები.ზოგიერთ შემთხვევაში განთქმული ინგლისურენოვანი პიესები შეგიძლიათ, აღნიშნოთ მხოლოდ შენიშვნებში. (იხ., აგრეთვე, 17.5.1.) გამოტოვეთ პუბლიკაციის შესახებ მონაცემები და მიუთითეთ ნაწყვეტები მოქმედებისა და სცენის (ან სხვა დაყოფის) და არა გვერდის ნომრის მიხედვით.

შ:22. ეუჯინ ონილი, *ხანგრძლივი მოგზაურობა ღამით,* მოქმ. 2, სცენა 1.

თუ თქვენი ნაშრომი ეხება ლიტერატურულ კვლევას ან ტექსტების ღრმა ანალიზს, ან თუ ბუნდოვანი ნაწარმოების თარგმანის ციტირებას აკეთებთ, ყველა პიესა მიუთითეთ ისე, როგორც მიუთითებდით წიგნს და აღნიშნეთ ის ბიბლიოგრაფიაში. ნაწყვეტები მიუთითეთ დანაყოფების ან გვერდების მიხედვით, ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

შ: 25. ენიდ ბეგნოლდი, *ცარცის ბაღი* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა „რენდამ ჰოუზი", 1953], 8-9.

ბ:ანუილი, ჟან. *ბეკეტი ანუ ღმერთის პატივი. თარგმნილია ლუსიენ ჰილის მიერ.*ნიუ-იორკი: გამომცემლობა „რივერჰედს ბუქსი", 1996.

პარტიტურები. მიუთითეთ გამოქვეყნებული პარტიტურა წიგნის მითითების ანალოგიურად.

შ:1. ჯუზეპე ვერდი,*Ilcorsaro [melodramma tragico* სამ მოქმედებად), ლიბრეტოს ავტორი – ფრანჩესკო მარია პიავი, რედ. ელიზაბეთ ჰადსონი, 2 ტ., (2 vols.), ჯუზეპე ვერდის ნაწარმოებები, სერ. 1, ოპერები (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა; ქ. მილანი: „გამომცემლობა „ჯი რიკორდი":, 1998).

**ბ:მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუს.***სონატები და ფანტაზიები ფორტეპიანოსთვის. მომზადებულია ნათან ბროდერის ავტოგრაფების და ძველი ნაბეჭდი წყაროების გამოყენებით. განახ. გამ. რედ. ბრინ მორი*, PA: Theodore Presser, 1960.

მიუთითეთ გამოუქვეყნებელი პარტიტურა ისე, როგორც მიუთითებდით გამოუქვეყნებელ მასალას ხელნაწერთა კოლექციებიდან.

**შ:2**. რალფ შეიფი, „პარტიტურა ვიოლინოსა და ცამეტი შემსრულებლისთვის", პარტიტურა, 1966, სპეციალური კრებული, ჯოზეფ რეგენშტაინის სახ. ბიბლიოთეკა, ჩიკაგოს უნივერსიტეტი.

## 17.9 საჯარო დოკუმენტები

საჯარო დოკუმენტები მოიცავს მსოფლიოს მთავრობების ყველა დონის მიერ გამოშვებული წყაროების ერთობლიობას. წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია გავრცელებული ტიპის ინგლისურენოვანი საჯარო დოკუმენტებისთვის განკუთვნილი ზოგადი პრინციპები; თუ დაგჭირდებათ სხვა ტიპის დოკუმენტების მითითება, იხელმძღვანელეთ ყველაზე მიახლოებული, საჭიროებისამებრ ადაპტირებული მოდელით.

საჯარო დოკუმენტები შეიცავს უფრო რთულ და მრავალფეროვან ელემენტებს, ვიდრე გამოქვეყნებული წყაროები. მითითებებში დაურთეთ, შეძლებისდაგვარად, მეტი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, თანმიმდევრულად დააფორმატეთ ელემენტები და საჭიროებისამებრ მიუსადაგეთ მითითებებს აქ განხილული ზოგადი მოდელები.

ამ ნაწილის უმეტესობა ეხება დოკუმენტებს, რომლებიც გამოაქვეყნეს აშშ-ის სამთავრობო ორგანოებმა და სააგენტოებმა. კანადისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებისა და, ასევე, საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების შესახებ იხ. 17.9.9-17.9.11. გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების შესახებ იხ.17.9.12.

### 17.9.1 შესატანი ელემენტები, მათი თანმიმდევრობა და დაფორმატების წესი

მითითებებში შეიტანეთ, რაც შეიძლება, მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

- მთავრობის (ქვეყნის, შტატის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ერთეულის) და ხელისუფლების ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელწოდება, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;

-დოკუმენტის ან კრებულის სათაური, თუ ასეთი არსებობს (როგორც წესი, დახრილი შრიფტით).

- ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;

-ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია.

- მონაცემები პუბლიკაციის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის სახელწოდება, თუ ეს უკანასკნელი განსხვავდება გამომცემელი ორგანოსგან (17.9.2-17.9.4-ში განხილული აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული ყველა პუბლიკაციისთვის, შესაბამისად,გამოიყენეთ აღნიშვნები *Washington, DC, და Government Printing Office)*; გამოქვეყნების თარიღი.

- გვერდის ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა მონაცემები, თუ საჭიროა.

ჩამოთვალეთ შესაბამისი ელემენტები ზემოთ ნაჩვენები თანმიმდევრობით. ზოგიერთი ტიპის დოკუმენტთან დაკავშირებით დაშვებული გამონაკლისები განხილულია 17.9-ის მომდევნო ნაწილებში.

**შ:1**. სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, *1956 წლის კანონი ერთობლივი უშიშროების შესახებ,* 84-ე მოწვევის კონგ., მე-2 სეს., 1956, სენ. 2273, 9-10.

**ბ:** აშშ-ის კონგრესი. სენატი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. *1956 წლის კანონი ერთობლივი უშიშროების შესახებ.* 84-ე მოწვევის კონგ. მე-2 სეს.,1956. სენ. 2273.

### 19.9.2 კონგრესის პუბლიკაციები

კონგრესის პუბლიკაციების შემთხვევაში ბიბლიოგრაფიის მუხლები, ჩვეულებრივ, იწყება აღნიშვნით *აშშ-ის კონგრესი* (*U.S. Congress),* რომელსაც მოსდევს *სენატი* (*Senate)* ან *წარმომადგენელთა პალატა (House).* (გამარტივების მიზნით, შეგიძლიათ, გამოიყენოთ, უბრალოდ,*აშშ-ისსენატი* (*U.S. Senate)* ან *აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა (U.S. House)*). შენიშვნებში, როგორც წესი, აშშ არ მიეთითება. სხვა გავრცელებული ელემენტებია კომიტეტი და ქვეკომიტეტი; გამოქვეყნების თარიღი; დოკუმენტის სათაური; კონგრესისა და სხდომის ნომერი (ასეთი შემოკლებით: *კონგრ.* (*Cong.)* და *სეს.* (*sess)*).პუბლიკაციის თარიღი; დოკუმენტის ნომერი და აღწერა (მაგალითად, H. Doc. 487), თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

დებატები. 1873 წლიდან კონგრესში გამართულ დებატებს მთავრობა აქვეყნებდა კონგრესის ოფიციალურ გამოცემაში „*Congressional Record”*(*კონგრესის რეესტრი*). ყველგან, სადაც შესაძლებელია, მიუთითეთ გამოცემის ტომები, რომლებშიც ხშირად აისახება ცვლილებები*რეესტრის* ყოველდღიური გამოშვებების მიხედვით.

**შ:**16. *კონგრესის რეესტრი,* 71-ე მოწვევის კონგ., მე-2 სეს, 72. ნაწ. 10: 10828-30.

**ბ:** ა.შ.შ. კონგრესი. *კონგრესის რეესტრი.* 71-ე მოწვევის კონგ., მე-2 სეს. 1930. ტ. 72. ნაწ. 10.

ზოგჯერ შეიძლება, დაგჭირდეთ შენიშვნაში დებატებში გამომსვლელის ვინაობის, თემის და თარიღის მითითება.

**შ:**4. მასაჩუსეტსის შტატის სენატორი კენედი, გამოსვლა ბირთვული იარაღის შეწყვეტისა და შემცირების ერთობლივი რეზოლუციის შესახებ, 1982 წლის 10 მარტს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წინაშე. S.J. Res. 163, 97-ე მოწვევის კონგ., 1-ლი სეს.. *კონგ. რეესტრ.*128, ნაწ. 3: 3832-34.

1874 წლამდე კონგრესში გამართული დებატები ქვეყნდებოდა გამოცემაში „შეერთებული შტატების კონგრესის ისტორია“ (*Annals of the Congress of the United States*) (რომელიც, ასევე, ცნობილია სხვა სახელწოდებებით და მოიცავს 1789-1824 წლების პერიოდს, “*Congressional Debates”, (კოგრესის დებატები*)(1824-37) და “*Congressional Globe” (კონგრესის სამყარო*)(1833-73)). მიუთითეთ ეს დოკუმენტები ისევე, როგორც მიუთითებდით *‘Congressional Record”*-ს.

ანგარიშები და დოკუმენტები.სენატის (შემოკლებით *სენ. (S.)*), ასევე, წარმომადგენელთა პალატის (შემოკლებით *წარ. პალ. (H.)*) ანგარიშებისა და დოკუმენტების ციტირებისას დაურთეთ როგორც კონგრესის, ასევე, სესიების ნომრები და, თუ შესაძლებელია, სერიის ნომერიც.გაითვალისწინეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმა, რომელიც განსხვავდება ჩვეული მოდელისგან (იხ. 16.4.1).

**შ:**9. სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, *1956 წლის კანონი ორმხრივი უშიშროების შესახებ, 84-ე* მოწვევის *კონგ., მე-2 სეს.,* 1956, სენ. წარმ. პალ.(Rep.) 2273, 9-10.

14. *იაპონიასთან, გერმანიასა და იტალიასთან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, 77-ე* მოწვევის *კონგ., 1-ლი სესია, 1941,*სენ. დოკ. 148, სერიული 10575, 2-5.

15. სენატის კომიტეტი, *კანონი ორმხრივი უშიშროების შესახებ,* 9.

22. *ფედერალური სასამართლოების რეორგანიზაცია, 75-ე*მოწვევის *კონგ., 1-ლი სესია,* 1937. სენ.წარმ. პალ. (Rep.) 711.

**ბ:**შეერთებული შტატების კონგრესი. წარმ. პალ. (House). *საერთაშორისო ფულადი და ფინანსური პრობლემების საკითხებზე ეროვნული საკონსულტაციო საბჭოს 1947 წლის 31 მარტის ანგარიში.*80-ე მოწვ. კონგრ. 1-ლი სეს. წარმ. პალ. დოკ. 365.

სხდომები.კონკრესის კომისიებისთვის მიცემული ჩვენებების ჩანაწერები, ჩვეულებრივ, ქვეყნდება სათაურებით, რომლებიც უნდა აღინიშნოს მითითებებში. ავტორად მიუთითეთ შესაბამისი კომიტეტი. გაითვალისწინეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმა, რომელიც განსხვავდება ჩვეული მოდელისგან (იხ. 16.4.1).

**შ:**13. პალატის საბანკო და სავალუტო კომიტეტი, „ბრეთონ ვუდსის" ხელშეკრულებების აქტი: *წარმ. პალ.(H.R.)*სხდომები *3314, 79-ე*მოწვევის *კონგ., 1-ლი სესია*, 1945, 12-14.

14. პალატის კომიტეტი, *Bretton Woods*, 13.

**ბ:**აშშ-ის კონგრესი. სენატი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. *შიმშილობა აფრიკაში: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მოსმენა.99-ე* მოწვევის*კონგ., 1-ლი სესია, 1985 წლის 17 იანვარი.*

კონგრესის კანონპროექტები (საკანონმდებლო ინიციატივები) და რეზოლუციები ქვეყნდება ბუკლეტის ფორმით. მითითებებში წარმომადგენელთა პალატაში წარდგენილი კანონპროექტების და რეზოლუციების შემოკლებად გამოიყენება *წარ. პალ. (HR),*ხოლო სენატში წარდგენილი კანონპროექტებისა და რეზოლუციების შემოკლებად *სენ. (S).* დაურთეთ *"Congressional Record"*-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციის დეტალები (თუ ხელმისაწვდომია).

**შ:16**. *1985 წლის აქტი სურსათისუსაფრთხოების შესახებ, წარმომადგენელთა პალატა* (HR) 2100, 99-ე მოწვევის კონგრ., 1-ლი სეს., *კონგრესის რეესტრი*131. no. 132, ყოველდღიური გამ.(1985 წლის 8 ოქტომბერი): H 8461

.

**ბ**:აშშ-ის კონგრესი. პალატა. *1985 აქტი სურსათისუსაფრთხოებისშესახებ.* წარმომადგენელთა პალატა (HR) 2100. 99-ე მოწვევის კონგ., 1-ლი სესია. *კონგრესის რეესტრი*131, no. 132, ყოველდღიური გამ.(1985 წლის 8 ოქტომბერი): H 8353-8486.

კანონმდებლობა.კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტები ან რეზოლუციებიჯერ ცალკე იბეჭდება, შემდეგ კი იკრიბება და იკინძება ყოველწლიურ ტომებად სახელწოდებით: „შეერთებული შტატების კანონების კრებული"(the *United States Statutes at Large*). ამ კრებულის გამოქვეყნება დაიწყო 1874 წელს. მოგვიანებით, ამ ტომებს აერთიანებენ შეერთებული შტატების კოდექსში (*United States Code*). მიუთითეთ *აშშ-ის საკანონმდებლო აქტი, აშშ-ის კოდექსი* (*U.S. Statutes,U.S. Code)* ან ორივე; განსაკუთრებული დებულებები მიუთითეთ ნაწილის მიხედვით (რომელსაც წინ უსწრებს ნაწილის სიმბოლო და ინტერვალი), ხოლო აქტები – გვერდების მიხედვით.
კანონმდებლობის დოკუმენტები მხოლოდ შენიშვნებში მიუთითეთ; არ არის აუცილებელი ბიბლიოგრაფიაში მათი ჩართვა. ყურადღება მიაქციეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმას, რომელიც განსხვავდება ჩვეული მოდელისგან. (16.4.1).

**შ:18**. *1946 წლისაქტი ატომური ენერგიის შესახებ,* სახელმწიფო კანონი 585, 79-ე მოწვევის კონგ., მე-2 სესია (1946 წლის 1 აგვისტო), 12, 19.
19. *1996 წლის აქტი ტელეკომუნიკაციების შესახებ,* სახელმწიფო კანონი 104-104. *შეერთებული შტატების კანონების კრებული* 110 (1996):56.
25. *1969 წლის აქტი ეროვნული გარემოსდაცვის პოლიტიკის შესახებ,* სახელმწიფო კანონი 91-190. § 102, *შეერთებული შტატების კანონების კრებული*83 (1970): 853, კოდიფიცირებულია როგორც*U.S. Code* 42 (2000), § 4332.
27. *აქტი ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესახებ,* § 103.

1874 წლამდე კანონები ქვეყნდებოდა ჩვიდმეტტომიან „ამერიკის შეერთებული შტატების კანონების კრებულში" (*Statutes at Large of the United States of America),*

*1789-1873.* ამ კრებულის მითითებები შეიცავს ტომის ნომერს და მისი გამოქვეყნების თარიღს.

**17.9.3 საპრეზიდენტო გამოცემები**

საპრეზიდენტო გამოცემები, ბრძანებულებები, ვეტოები, მიმართვები და ა.შ. ქვეყნდება „საპრეზიდენტო დოკუმენტების ყოველკვირეულ კრებულში"(the *Weekly Compilation of Presidential Documents*) და „შეერთებული შტატების პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტებში" (*Public Papers of the Presidents of the United States*). მოწოდებები და ბრძანებულებები თავსდება, აგრეთვე, ყოველდღიურ „ფედერალურ რეესტრში" (*Federal Register*), შემდეგ კი ქვეყნდება „ფედერალური ნორმატიული აქტების კრებულის" (the *Code of Federal Regulations*) მე-3 ტომში. საპრეზიდენტო გამოცემები წყაროდ გამოიყენეთ „კრებულში" გამოქვეყნების შემდეგ.

**შ:2.** პრეზიდენტი, ბრძანებულება,„კარიბის ზღვის აუზის ეკონომიკური აღდგენის შესახებ კანონი, ბრძანებულება 5142, ცვლილება 5133 ბრძანებულებაში", *ფედერალური რეესტრი*49,ნომ. 2 (1984 წლის 4 იანვარი): 341.

21. ბრძანება ნომ.11,609, *ფედერალური* ნორმატიული აქტების კრებული, ტომი 3, გვ. 586 (1971-75).

**ბ:აშშ პრეზიდენტი. ბრძანებულება. „კანონი კარიბის ზღვის აუზის ეკონომიკური აღდგენის შესახებ, ბრძანებულება 5142, ცვლილება 5133 ბრძანებულებაში."ფედერალური რეესტრი 49,**ნომ.2 (4იანვარი, 1984):341.

აშშ-ის პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტები იკრიბება ორ მრავალტომეულ ნაშრომში: „პრეზიდენტების მიმართვების და დოკუმენტების კრებული" (*Compilation of the Messages and Papers of the Presidents*), *1789-1897)*და „შეერთებული შტატების პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტები" (*Public Papers of the Presidents of the United States*). ყურადღება მიაქციეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმას, რომელიც განსხვავდება ჩვეული მოდელისგან (იხ. 16.4.1).

**შ:27. პალატის სხვადასხვა დოკუმენტი**ნომ**. *210*, *53-ე*** მოწვევის ***კონგ*., *მე-2 სეს*.,*პრეზიდენტების მიმართვების და დოკუმენტების კრებულში*, 1789-1897, *რედ. ჯ.დ. რიჩარდსონი* (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მთავრობის გამომცემლობა, 1907). 4:16.**

**32.** ***წარმ. პალ. დოკ.*** ნომ.***210*, 17.**

**ბჰუვერი, ჰერბერტ.** *შეერთებული შტატების პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტები:**ჰერბერტ ჰუვერი, 1929-33.*****4 ტომი. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მთავრობის გამომცემლობა, 1974-77.**

### 17.9.4 სახელმწიფო დეპარტამენტების და სააგენტოებისგამოცემები

სამინისტროები, სამმართველოები და სააგენტოები გამოსცემენ ანგარიშებს, ბიულეტენებს, ცირკულარებსა და სხვა მასალებს. სათაურის შემდეგ დაურთეთ მითითებული ავტორის სახელი და გვარი.

**შ:შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრო, ფინანსთა მინისტრის ანგარიში შეერთებული შტატების ხაზინის ვაჭრობისა და ნავიგაციის რეესტრიდან 1850 წლის 30 ივნისის მდგომარეობით,31-ე** მოწვევის **კონგ., მე-2 სეს., წარმ. პალ. აღმასრულებელი დოკუმენტი 8 (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 1850-51).**

**ბ:შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა სამინისტროსმინერალების მართვის სამსახური.***კალიფორნიის ყურეში (1984 წლის აპრილი) და მექსიკის დასავლეთ ყურეში (1984 წლის ივლისი)ნავთობის გაჟონვის რისკის ანალიზი, ავტორი – რობერტ პ. ლაბელი. ღია ფაილის ანგარიში, შეერთებული შტატების გეოლოგიური კვლევა. დენვერი,* **1984.**

**შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიურო.მედიანური საერთო ქირა შეერთებული შტატების ადმინისტრაციული ერთეულების (საგრაფოების) მიხედვით, 1970წ. მომზადებულია გეოგრაფიული სამმართველოს მიერ, ბინათმშენებლობის სამმართველოსთან თანამშრომლობით, მოსახლეობის აღწერის ბიურო. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1975წ.**

სამთავრობო კომისიების, მაგალითად, კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის ან ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის მიერ გამოცემული ბიულეტენების, ცირკულარების, ანგარიშებისა და კვლევების ციტირება ხდება ზუსტად ისევე, როგორც საკანონმდებლო ანგარიშებისა (legislative reports). ისინი ხშირად კლასიფიცირდება, როგორც წარმომადგენელთა პალატის *(წარ. პალ.)* (House (*H*)) ან სენატის *(სენ.)* (Senate (*S*)) დოკუმენტები.

**შ:32. სენატი, კომუნალური მომსახურების კორპორაციების შესახებ ვაჭრობის ფედერალური კომისიისადმი ანგარიში,** ***70-ე მოწვევის კონგრ., 1-ლი სესია, 1935*** **, სენ. დოკ. 91, ნაწ. 71 A.**

**ბ:შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდების და ბირჟის კომისია.ფასიანი ქაღალდების და ბირჟის კომისიის ყოველწლიური ანგარიში ფისკალური წლისთვის. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მთავრობის გამომცემლობა, 1983წ.**

### 17.9.5 აშშ-ის კონსტიტუცია

აშშ-ის კონსტიტუცია უნდა მიეთითოს მხოლოდ შენიშვნებში; არ არის აუცილებელი მისი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა. დაურთეთ მუხლი ან შესწორება, ნაწილი და, თუ საჭიროა, პუნქტიც. ისეთი ტერმინებისთვის, როგორიცაა *ცვლილებადა ნაწილი და, თუ საჭიროა, მუხლი,*გამოიყენეთ არაბული ციფრები და, თუ მოისურვებთ, აბრევიატურები ისეთი ტერმინებისთვის, როგორიცაა ცვლილება და ნაწილი.

შ:32. შეერთებული შტატების კონსტიტუცია, მუხლი 2, ნაწ. 1, პუნქტი 3.

33. შეერთებული შტატების კონსტიტუცია, ცვლილება 14, სექ.2.

ხშირ შემთხვევაში, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ფრჩხილებში ჩართული შენიშვნა (parenthetical note) (იხ. 16.4.3) ან ტექსტში მიუთითოთ დამაზუსტებელი ინფორმაცია. ასეთ დროს ნაწილების სახელები დაწერეთ სიტყვიერად. თუ ცვლილებების ნომრებს ციფრების ნაცვლად სიტყვიერად წერთ, სიტყვების პირველი ასოები მთავრულით დაწერეთ.

შეერთებული შტატების კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით აკრძალულია სასამართლო ბრძანების შეჩერება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც „აჯანყების ან შემოსევის შემთხვევაში ამას საზოგადოების უსაფრთხოების მიზნები მოითხოვს."

პირველი ცვლილება იცავს თავისუფალი სიტყვის უფლებას.

### 17.9.6 ხელშეკრულებები

1949 წლამდე ხელმოწერილი ხელშეკრულებების ტექსტები ქვეყნდება „შეერთებული შტატების კანონების კრებულში" (*United States Statutes at Large*);

არაოფიციალურ მითითებაში გამოიყენება ტერმინები „ხელშეკრულებების სერია“ (the *Treaty Series*) ან„საპრეზიდენტო შეთანხმებების სერია“ (the *Executive Agreement Series*).1949 წელს ან მას შემდეგ ხელმოწერილი ხელშეკრულებები თავმოყრილია დოკუმენტში „შეერთებული შტატების ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები“ (*United States Treaties and Other International Agreements*)(*UST*, 1950-) ან „ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო აქტების სერიები“ (*Treaties and Other International Acts Series*)(*TIAS*, 1946-). ორზე მეტი სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები შეიძლება, მოიძებნოს დოკუმენტში „გაერთიანებული ერების ხელშეკრულებების სერია: გაერთიანებული ერების სამდივნოში დარეგისტრირებული ან დაარქივებული, ან აღრიცხვაში გატარებული ხელშეკრულებები და საერთაშორისო შეთანხმებები“ (the United Nations *Treaty Series: Treaties and International Agreements Registered or Filed or Recorded with the Secretariat of the United Nations*). 1920-1946 წლებში დადებული მსგავსი ხელშეკრულებები თავმოყრილია „ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერიაში“(the League of Nations *Treaty Series*).

მიუთითეთ ხელშეკრულებების სახელები სწორი შრიფტით, მოათავსეთ ბრჭყალებში. დაწერეთ დახრილი შრიფტით გამოცემების სახელები, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი მრავალტომეული ნაშრომები ან სერიებია. ზუსტი თარიღი აღნიშნავს დოკუმენტზე ხელმოწერის თარიღს, ამდენად, უმჯობესია, ზუსტი თარიღის მითითება, ვიდრე მხოლოდ წლის, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ხელშეკრულების გამოქვეყნების წლისგან.ყურადღება მიაქციეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმას, რომელიც განსხვავდება ჩვეული მოდელისგან (იხ. 16.4.1.)

**შ:**4.„ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა“, 1963წლის 5 აგვისტო, *შეერთებული შტატების ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები* 14, ნაწ. 2.

15. „დანია და იტალია: სამხედრო სამსახურის შესახებ კონვენცია",1954 წლის 15 ივლისი, შეთანხმებები და სხვა საერთაშორისო აქტები, სერია250, ნომ.. 3516 (1956): 45.

39.„ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა“.

**ბ:შეერთებული შტატები. „საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმება".** 1922 წლის 26 თებერვალი. *შეერთებული შტატების კანონების კრებული* 43, ნაწ. 2(1922).

### 17.9.7 სასამართლო საქმეები

ყველა ინსტანციის სასამართლოს საქმეების მითითება ერთნაირად ხდება. შენიშვნებში სწორი შრიფტით მიუთითეთ საქმის სრული სახელი. დაურთეთ ტომის ნომერი (არაბული ციფრებით), სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულისსახელი (შემოკლებით; იხ. ქვემოთ), სერიის რიგითი ნომერი (თუ საჭიროა), სასამართლოს შემოკლებული სახელი და თარიღი (ერთად, ფრჩხილებში) და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, მაგალითად, ამკინძავი სამსახურის (the publisher for a loose-leaf service), შტატის, ან ადგილობრივი სასამართლოს სახელი (თუ მითითებული არ არის სერიის სახელწოდებაში). გვერდის ნომერიაღნიშნავს გადაწყვეტილების საწყის გვერდს; დამატებითი ნომერი აღნიშნავს უშუალოდ მითითებული გვერდის ნომერს.

კანონები მხოლოდ შენიშვნებში მიუთითეთ; არ არის აუცილებელი მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა.

**შ:**18. United States v. Christmas. (შეერთებული შტატები ქრისტეშობის წინააღმდეგ) 222 F.3d U1, 145 (4th Cir. 2000].
21. Profit Sharing Plan v. MBank Dallas. N.A. 683 F. Supp. 592 (N.D. Tex. 1988).

შემოკლებული შენიშვნა შეიძლება მოიცავდეს საქმის სახელწოდებას და, საჭიროების შემთხვევაში, გვერდის ნომერს.

**შ:**35. შეერთებული შტატები ქრისტეშობის წინააღმდეგ, 146.
42. ჯორჯია ბრაილსფორდის წინააღმდეგ, 2.

ერთადერთი განსხვავებული ელემენტი სასამართლო გადაწყვეტილებათა მითითებისას სხვადასხვა სასამართლი ინსტანციის სახელწოდებებია. ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე გავრცელებული სახელები.

- ***აშშ-ს უზენაესი სასამართლო.*** უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებისას მიუთითეთ „შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ანგარიშები" (*United States Supreme Court Reports*)(შემოკლებით *U.S.*) ან „აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული" (*Supreme Court*

*Reporter*) (შემოკლებით *S. Ct.*), თუ ის ჯერ არ არის ასახული პირველ დოკუმენტში.

**შ:**21. კორპორაცია AT&T "Iowa Utilities Bd."-ის წინააღმდეგ, 525 შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ანგარიშები. 366 (1999).
39. შპს ართურ ანდერსენი შეერთებული შტატების წინააღმდეგ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული125 2129 (2005).

- ***ქვედა ინსტანციის ფედერალური სასამართლოები.*** უფრო ქვედა ინსტანციის ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებების ციტირებისას მიუთითეთ „ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებების კრებული" (*Federal Reporter*)(F.) ან „აშშ-ს საოლქო სასამართლოებისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული" (*Federal Supplement*)(F. Supp.).

**შ:**3. შეერთებული შტატების დენისის წინააღმდეგ. 183 ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული. 201 (2d Cir. 1950).
15. ითონი კორპორაციის „ IBM Corp" წინააღმდეგ,აშშ-ის 925 საოლქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული 487 (S.D. Tex. 1996).

- ***შტატისა და ადგილობრივი სასამართლოები.*** შტატის და ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილების ციტირებისას, სადაც შესაძლებელია, მიუთითეთ სასამართლო გადაწყვეტილებების ოფიციალური სახელმწიფო კრებულები. თუ კერძო კრებულს იყენებთ (commercial reporter), მიუთითეთ იგი, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ მეორე მაგალითში. თუ სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულში არ არის მითითებული სასამართლოს სახელწოდება, მიუთითეთ ის ფრჩხილებში, თარიღის წინ.

**შ:**6. უილიამსი დეივისის წინააღმდეგ, 27 Cal. 2d 746 (1946).
8. ბივენსი მობლის წინააღმდეგ, 724 So. 2d 458. 465 (Miss. Ct. App. 1998).

### 17.9.8 შტატის და ადგილობრივი მთავრობის დოკუმენტები

შტატის და ადგილობრივი მთავრობის დოკუმენტების ციტირება გააკეთეთ ისევე, როგორც ფედერალური დოკუმენტებისა. იხმარეთ სწორი შრიფტი (ბრჭყალების გარეშე) შტატის კანონებისა და მუნიციპალური დადგენილებებისთვის; იხმარეთ დახრილი შრიფტი კოდექსებისთვის (კრებულებისთვის). სადაც საჭიროა, დაურთეთ სახელი, რათა აღნიშნოთ კოდექსის რომელი ვერსიიდანაა ციტატა მოყვანილი. შემდეგ ფრჩხილებში მიუთითეთ კოდექსის გამოცემის თარიღი.

შ:39. ილინოისის გენერალური ასამბლეა, კანონში ცვლილების შეტანის კომისია, *ანგარიში ილინოისის შტატის 80-ე მოწვევის გენერალური ასამბლეის წინაშე (ჩიკაგო, 1977წ).* 14-18.

41. ნიუ მექსიკოს კონსტიტუცია, მუხლი 4, სექ. 7.

44. ოჰაიოს შტატის განახლებული კოდექსი, ანოტაციებით, სექ.3599.01 (West 2000).

52. მეთამპეტამინის კონტროლის და საზოგადოების დაცვის შესახებ აქტი, ილინოისის საკანონმდებლო დოკუმენტების კრებული, თავი.720,ნაწ. 646/10 (2005).

ბ:ილინოისის გარემოსდაცვითი ხარისხის ინსტიტუტი (IIEQ). გოგირდის ორჟანგის და ნაწილაკების გამობოლქვის მიმოხილვა და რეზიუმე, ავტორი – სიდნი მ. მარდერი. ილინოისის გარემოსდაცვითი ხარისხის ინსტიტუტის დოკუმენტისნომ. 77/21. ქ, ჩიკაგო, 1977.

### 17.9.9 კანადის მთვრობის დოკუმენტები

კანადის მთავრობის დოკუმენტები მიუთითეთ აშშ-ის საჯარო დოკუმენტების მსგავსად. მითითებები დაიწყეთ სიტყვით *კანადის*, თუ იგი ცალსახად არ არის გასაგები კონტექსტიდან. შეამოკლეთ სიტყვები თავი *(თ.)* (*chapter - c.)* და ნაწილი *(ნაწ.)* (*section - s).*, მაგრამ თუ მიუთითებთ მხოლოდ რამდენიმე კანადურ დოკუმენტს, იხმარეთ შემოკლებები *chap.* და*sec.*

კანადისმთავრობის დოკუმენტებს გამოსცემენ ფედერალური პარლამენტის ორივე პალატა (სენატი და თემთა პალატა), პროვინციებისა და ტერიტორიების საკანონმდებლო დაწესებულებები და სხვადასხვა აღმასრულებელი უწყებები.

საპარლამენტო დებატები გამოიცემა ცალკე სერიებად: „თემთა პალატის დებატები“ (*House of Commons Debates*) და „სენატის დებატები“ (*Senate Debates*). სადაც საჭიროა, დაურთეთ გამომსვლელის სახელი და გვარი. პროვინციებისა და ტერიტორიების საკანონმდებლო ორგანოები გამოსცემენ საკუთარ დებატებს.

შ:2. კანადა, თემთა პალატის დებატები (2000 წლის 3 ივნისი), გვ. 7904 (ქ-ნი ლალონდი, პარლამენტის წევრი).

ბ:კანადა. მანიტობა. საკანონმდებლო ასამბლეა. დებატები და განხილვები. 2000 წლის 17 აგვისტო.

საპარლამენტო კანონპროექტების მითითებისას დაურთეთ მისი ნომერი, სათაური, სესიის ნომერი, პარლამენტის ნომერი და, საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაცია.

**შ:3. კანონპროექტი C-40, ექსტრადიციის შესახებ აქტი მე-2 სესია, 36-ე მოწვევის პარლამენტი,1998, cl. 1 (მიღებულია 17 ივნისს,1999).** ***კანადის კანონმდებლობა*****1999, c. 18.**

კანადის კანონმდებლობა პირველად ყოველწლიურ „კანადის კანონმდებლობაში" (*Statues of Canada*) გამოქვეყნდა, 1985 წელს კი ის გააერთიანეს დოკუმენტში „კანადის გადამუშავებული კანონმდებლობა" (the *Revised Statutes of Canada*). სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ ბოლო წყარო და დაასახელეთ საკანონმდებლო დოკუმენტის სახელწოდება, კრებული, შედგენის წელი, თავი და ნაწილი.

**შ:** 4. *კანადის კანონი ცოცხალი ბუნების შესახებ, კანადის გადამუშავებული კანონმდებლობა* 1985, c. W-9, s.1.

5. კანონი ადამიანთა რეპროდუქციის ხელშეწყობის შესახებ, კანადის კანონმდებლობა 2004, c. 2, s. 2.

**17.9.10 ბრიტანეთის მთავრობის დოკუმენტები**

ბრიტანეთის მთავრობის დოკუმენტები მიუთითეთ აშშ-ის საჯარო დოკუმენტების მსგავსად. ციტირებები დაიწყეთ ფრაზით „გაერთიანებული სამეფო" (*United Kingdom*), თუ ეს კონტექსტიდან ცალსახად ცხადი არ არის. ბრიტანეთის სახელმწიფო დოკუმენტების უმეტესობას მისი უდიდებულესობის (მეფის ან დედოფლის) სახელმწიფო კანცელარია(Her (of His) Majesty's Stationery Office) (HMSO) გამოსცემს ლონდონში.

საპარლამენტო დებატები გამოიცემოდა რამდენიმე სერიად, ხოლო 1909 წლიდან – გამოიცემა ცალკე-ცალკე სერიებად ლორდთა და თემთა პალატებისთვის. მითითებები შეიცავს თარიღს, სერიას, ტომის ნომერს და (თუ საჭიროა) სვეტს ან, ხანდახან, გვერდის ნომერს. ზოგ შემთხვევაში შეგიძლიათ, მიუთითოთ ტომის კონკრეტული დოკუმენტი.ყურადღება მიაქციეთ შემოკლებული შენიშვნის ფორმას, რომელიც განსხვავდება სტანდარტული მოდელისგან (იხ. 16.4.1).

**შ:1. საპარლამენტო დებატების ოფიციალური ანგარიში, მე-3 სერ.,ტ. 249 (1879), cols. 611-27.**

**5.** ***საპარლამენტო სხდომების ოფიციალური ანგარიში,*** **მე-3 სერ., ტ. 249, col. 628.**
**21. ჩერჩილი, გამოსვლა თემთა პალატის წინაშე, 1945 წ. 18 იანვარი, საპარლამენტო დებატები, თემთა პალატა,მე-5 სერ., ტ. 407 (1944-45), cols. 425-46.**

**ბ: გაერთიანებული სამეფო. საპარლამენტო დებატების ოფიციალური ანგარიში, მე-3 სერ., ტ. 249 (1879).**
**ჩერჩილი, უინსტონ. გამოსვლა თემთა პალატაში, 1945 წ. 18 იანვარი. საპარლამენტო დებატები, თემთა პალატა, მე-5 სერ. ტ. 407 (1944-45), cols. 425-46.**

კანონპროექტები, ანგარიშები და პარლამენტის მიერ ცალკე გამოცემული დოკუმენტები ყოველი სესიის დასასრულს ერთად გამოიცემა ტომებად. ამ ტომებს „სესიის დოკუმენტები“ (*Sessional Papers*) ეწოდება. ყოველი ტომი შეიცავს ნაწილის სახელს (a divisional title).

**შ: 8. თემთა პალატა, „საერთო საგანმანათლებლო სამსახურის ხელმძღვანელის თანაშემწის ამჟამინდელი და მომავალი ფუნქცია”,** ***სესიის დოკუმენტები, 1982-83, პატიმართა განათლება,*** **1983 წლის 25 აპრილი, ტ.2, პარ. 9.14. გვ. 102.**

**ბ:გაერთიანებული სამეფო. თემთა პალატა. „საერთო საგანმანათლებლო სამსახურის ხელმძღვანელის თანაშემწის ამჟამინდელი და მომავალი ფუნქცია”.** ***სესიის დოკუმენტები, 1982-83, პატიმართა განათლება,*** **1983 წლის 25 აპრილი,ტ. 2, პარ. 9.14. გვ. 102.**

პარლამენტის აქტები, როგორც წესი, აღინიშნება მხოლოდ შენიშვნაში.აუცილებელი არ არის მათი ბიბლიოგრაფიაში ჩართვა, თუმცა, შეგიძლიათ მიუთითოთ ნაშრომი, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის გასამყარებლად ან, რომელიც ხშირად გაქვთ გამოყენებული. აქტების ციტირებისას მიუთითეთ სახელწოდება (სწორი შრიფტით, უბრჭყალებოდ), თარიღი და თავის ნომერი (*თ.*თავისთვის; არაბული ციფრი სახელმწიფო ნომრისთვის, ნუსხური რომაული ციფრები ადგილობრივი ნომრისთვის). 1963

წლამდე გამოშვებული აქტების აღნიშვნისას მიუთითეთ მონარქის მეფობის წელი, მონარქის სახელი (შემოკლებით) და რიგითობა (არაბული ციფრებით).

**შ:8. აქტი განსახლების შესახებ, 1701,12 & 13 Will. 3, c. 2.**
**15. აქტი ერთიანი ფონდის შესახებ, 1963, c. 1.**
**16. აქტი მანჩესტერის დაფუძნების შესახებ, 1967, c. xl.**

ბრიტანეთის ისტორიული ჩანაწერების მრავალი კრებული არსებობს, ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო არქივში შენახული დოკუმენტების ასლია. შენიშვნებში ხშირად მითითებული მასალები შემოკლებული ფორმით მიუთითეთ.

**შ:**19. *Rot. pari,* ტ. 2 (1341) (n.p., n.d.).

**ბ:**გაერთიანებული სამეფო. *ინგლისის საიდუმლო საბჭოს აქტები.*რედაქტორი ჯ.რ. დეისენთი. 32 ტომი.ლონდონი, 1890-1907.
გაერთიანებული სამეფო. *Rotuliparliamentorum* ... (1278-1504). 6 ტ. N.p., n.d.
გაერთიანებული სამეფო. სამეფოს კანონმდებლობა.*რედაქტირებულია ა. ლუდერსის და სხვების მიერ. 11 ტ.* ლონდონი, 1810-28.

### 17.9.11 საერთაშორისო ორგანოების გამოცემები

საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგალითად, გაერთიანებული ერების დოკუმენტების ციტირებისას, მიუთითეთ უფლებამოსილი ორგანო (და, სადაც საჭიროა, ავტორი და რედაქტორი), თარიღი და დოკუმენტის თემა ან სახელი. დაურთეთ, აგრეთვე, სერიის და გამოცემის ნომრები, გამოცემის ადგილი და გამომცემელი. საყოველთაოდ ცნობილი მთავარი ორგანოების ციტირებისას შეგიძლიათ, გამოიყენოთ აბრევიატურები (*გაერო* – გაერთიანებული ერები(UN - *United Nations*), *მსო* – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (*WTO - World Trade Organization*) და ა.შ.).

**შ:**1. ერთა ლიგა, *შორეულ აღმოსავლეთში რუსული წარმომავლობის ქალების მდგომარეობა, სერ.* LoNP (ჟენევა, 1935), IV.3.
3. გაეროს გენერალური ასამბლეა, მეცხრე სესია, ოფიციალური დოკუმენტები.მე-19 დამატება,*გაეროს სპეციალური ფონდი ეკონომიკური განვითარებისთვის: საბოლოო ანგარიში,* მომზადებულია რეიმონდ შეივენის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის 724B (VIII), A/2728,1954რეზოლუციის შესაბამისად.

ბ:გენერალური ხელშეკრულება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ. *მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის შედეგები: იურიდიული ტექსტები.* ჟენევა: ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური ხელშეკრულების (GATT) სამდივნო, 1994.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო). *საერთაშორისო ვაჭრობა: ტენდენციები და სტატისტიკა.* ჟენევა: მსო, 1995.

**17.9.12 გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტები.**

გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების ციტირებისას იხელმძღვანელეთ 17.6.4-ში აღწერილი მოდელებით.

აშშ-ის მთავრობის გამოუქვეყნებელი დოკუმენტების უმრავლესობა ინახება ეროვნულ არქივებში (the National Archives and Records Administration (NARA), ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში ან მის ფილიალებში. ყველა ამ მასალის, მათ შორის, ფილმების, ფოტოსურათების და აუდიოჩანაწერების, ასევე, ტექსტური მასალების ციტირება ხდება ჩანაწერის ჯგუფის record group (RG) ნომრის მიხედვით.

კანადის გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტები ინახება კანადის ეროვნულ არქივში (the National Archives of Canada) (NAC), ონტარიოს პროვინციაში, ოტავაში. გაერთიანებულ სამეფოში გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების რამდენიმე საცავია, კერძოდ, სახელმწიფო არქივი (the Public Record Office) (PRO) და ბრიტანეთის მუზეუმი (the British Library) (BL), ორივე მათგანი მდებარეობს ლონდონში.

**17.9.13 ინტერნეტში განთავსებული საჯარო დოკუმენტები**

ინტერნეტში განთავსებული საჯარო დოკუმენტების ციტირებისას იხელმძღვანელეთ 17.9-ში წარმოდგენილი შესაბამისი მაგალითებით. ამასთან, დაურთეთ URL-ის მისამართი და მასალის გახსნის თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-მისამართის მითითება არ არის საკმარისი; შეძლებისდაგვარად, უნდა მიუთითოთ წყაროს ყველა მონაცემი, რათა მკითხველმა შეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. თუ გვერდების ნომრები ხელმისაწვდომი არ არის, მითითებული ნაწყვეტის

ადგილმდებარეობის აღნიშვნა შენიშვნაში აღწერილობითი ინფორმაციის დამატებით შეგიძლიათ (როგორიცაა წინა ქვესათაური).

**შ:**39. შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიურო, „შემოსავლები, სიღარიბის დონე და ჯანმრთელობის დაზღვევა შეერთებული შტატებში, 2004",სექციაში„შემოსავლის სიღარიბის დონესთან შეფარდება",http://www.census.gov/prod/2005pubs/p60-229.pdf (გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

**ბ:**შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიურო. „შემოსავლები, სიღარიბის დონე, და ჯანმრთელობის დაზღვევა შეერთებული შტატებში, 2004". ]http://www.census.gov/prod/2005pubs/p60-229.pdf (გახსნილია 2005 წლის 19 დეკემბერს).

## 17.10 ერთი წყარო, მითითებული მეორეში

პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მკვლევრებიერიდებიან იმ ციტატების მოყვანას, რომლებიც მათ ორიგინალში არ უნახავთ. თუ ერთი წყარო მიუთითებს სხვა სასარგებლო წყაროზე, სავარაუდოდ, მკითხველი ამჯობინებს, რომ მოიძიოთ ორგინალი, რათა გადაამოწმოთ როგორც მითითების სიზუსტე, ისე, ის, თუ რამდენად სწორად გადმოსცემს ციტატა ორიგინალის აზრს.

ამასთან, თუ პირველწყარო ხელმისაწვდომი არ არის, შენიშვნაში აღნიშნეთ ის ამგვარად: „მითითებული მეორად წყაროში". ბიბლიოგრაფიის მუხლშიფორმატი -- „მითითებული ...ში" შეცვალეთ საჭიროებისამებრ.

**შ:**8.ლუის ჟუკოვსკი, „გულწრფელობა და ობიექტივაცია",*პოეზია*37 (1931 წლის თებერვალი): 269. ციტატა მოყვანილია ბონი კოსტელოს ნაშრომში*მარიანა მური: წარმოსახვითი თვისებები*(კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა,1981), 78.

**ბ:**ჟუკოვსკი, ლუის. „გულწრფელობა და ობიექტივაცია".*პოეზია*37 (1931 წლის თებერვალი): 269. ციტატა მოყვანილია ბონი კოსტელოს ნაშრომში *მარიანა მური: წარმოსახვითი თვისებები.* კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981.

მსგავსი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როდესაც უთითებთ ციტატას, რომელიც მეორად წყაროში იპოვეთ, ხოლო ამ მეორად წყაროზე კი პირველწყაროს მითითებით გადახვედით. (იხ. 3.1.1). ხშირად ვერ შეძლებთ, გაეცნოთ პირველწყაროს, განსაკუთრებით, თუ ის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების კრებულია. ამ შემთხვევაში იხელმძღვანელეთ ზემოთ მოცემული პრინციპებით.

# 18 ტექსტობრივი მითითების სტილი:

**სტანდარტული ფორმატი**

**18.1 სტანდარტული სისტემა**
**18.1.1 ელემენტების თანმიმდევრობა**
**18.1.2 პუნქტუაცია**
**18.1.3 მთავრული ასოების გამოყენება**
**18.1.4 სათაურების გაფორმება**
**18.1.5 რიცხვები**
**18.1.6 აბრევიატურები**
**18.1.7 აბზაცის შეწევა**

**18.2 ბიბლიოგრაფია**
**18.2.1 მუხლების დალაგება**
**18.2.3 წყაროები, რომლებიც შეგიძლიათ, არ მიუთითოთ**

**18.3 ტექსტობრივი მითითებები**
**18.3.2 განსაკუთრებული ელემენტები და ფორმატთან დაკავშირებული საკითხები**
**18.3.3 გვერდობლივი შენიშვნები და ტექსტობრივი მითითებები**

სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ძირითადად *ტექსტობრივი მითითებების სტილი* გამოიყენება. ეს სტილი, აგრეთვე, ცნობილია *ავტორი-თარიღის სტილის* სახელით, ვინაიდან წყაროების მითითებისას ავტორის სახელი, გვარი და გამოცემის თარიღი მნიშვნელოვანი ელემენტებია. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ციტირების სტანდარტული სისტემის მიმოხილვა ტექსტობრივი მითითების სტილის გამოყენებით, მათ შორისა, როგორც ბიბლიოგრაფიის მუხლები, ისე, ტექსტობრივი მითითებები. ტექსტობრივი მითითებების მაგალითები აღნიშნულია „P”-თი; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის მუხლების მაგალითები აღნიშნულია „R”-თი.

ტექსტობრივი მითითების სტილის გამოყენებისას წყაროს შესახებ მინიშნებას აკეთებთ ამ წყაროს მითითების გასწვრივ ტექსტობრივი მითითების მოთავსებით (მოიცავს ავტორს, თარიღს და შესაბამისი გვერდის ნომრებს):

ერთი მეცნიერის თქმით, რკინიგზის გაყვანის შედეგად, ჩიკაგო აღმოსავლელებისა და დასავლელების შეხვედრების უმნიშვნელოვანესი წერტილი გახდა. [Cronon 1991, 92-93].

ნაშრომის ბოლოს ყველა წყაროს ჩამოწერთ *ბიბლიოგრაფიაში.* ბიბლიოგრაფია, როგორც წესი, მოიცავს ტექსტობრივ მითითებაში აღნიშნულ თითოეულ წყაროს, ზოგჯერ სხვა წყაროებსაც, რომლებსაც გაეცანით, მაგრამ არ მიგითითებიათ. ვინაიდან ტექსტობრივი მითითება არ შეიცავს სრულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას წყაროს შესახებ, ეს ინფორმაცია უნდა მიუთითოთ ბიბლიოგრაფიაში. ბიბლიოგრაფიის ყველა მუხლს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ზოგადი ფორმა:

R: Cronon, William. 1991. *Nature’s metropolis:* Chicago and the Great West. New York: W.W. Norton & Company.

მკითხველი თქვენგან სწორად წყაროს მითითების წესების ზედმიწევნით დაცვას მოელის. ეს წესები შეეხება არა მხოლოდ ჩასართავ ინფორმაციას და ამ მონაცემების თანმიმდევრობას, არამედ. აგრეთვე, პუნქტუაციას, მთავრული ასოების გამოყენებას (ინგლისურ ენაზე წერისას. მთარგ. შენიშვნა), დახრილი შრიფტის გამოყენებას და სხვა. წყარო რომ სწორად მიუთითოთ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ წვრილმან დეტალებს, რომელიც მკვლევართა დიდი ნაწილისთვის ადვილად დასამახსოვრებელი არ არის. მომდევნო თავში მოცემულია მზა გზამკვლევი ამ დეტალებთან დაკავშირებით.

## 18.1 სტანდარტული მოდელები

მიუხედავად იმისა, რომ წყაროების და მათზე მითითების უამრავი ფორმა არსებობს, სავარაუდოდ, მხოლოდ რამდენიმე სახის გამოყენება მოგიწევთ. უჩვეულო წყაროების ციტირებისას შეიძლება, დაგჭირდეთ მითითებასთან დაკავშირებული დეტალების მოძიება, ხოლო ციტირების იმ სახეებისთვის, რომლებსაც ყველაზე ხშირად გამოიყენებთ, იოლად შეგიძლიათ სტანდარტული სისტემების დამახსოვრება. შემდეგ შეძლებთ შაბლონების შექმნას, რომელთა დახმარებითაც მოახერხებთ კითხვის პროცესში ბიბლიოგრაფიული მონაცემების სწრაფად და საიმედოდ ჩაწერას.

ამ ქვეთავის დარჩენილ ნაწილში აღწერილია სტანდარტული სისტემები, 18.1 ნახატზე კი წარმოდგენილია შაბლონები და მაგალითები ფართოდ გავრცელებული სახის წყაროებისთვის. მე-19 თავში მოცემულია მთელი რიგი წყაროების მაგალითები, მათ შორის, გამონაკლისები აქ განხილული სისტემებიდან.

### 18.1.1 ელემენტების თანმიმდევრობა

ბიბლიოგრაფიის მუხლებში ელემენტების თანმიმდევრობა ყველა სახის წყაროსთვის ერთნაირია: ავტორი, გამოცემის თარიღი (წელი), სათაური, სხვა ინფორმაცია გამოცემის შესახებ. ტექსტობრივ მითითებებში ამ ელემენტებიდან მხოლოდ პირველი ორი მიეთითება. თუ ისინი კონკრეტულ ნაწყვეტებს შეეხება, შესაძლოა, გვერდის ნომრებს ან ადგილის განმსაზღვრელ სხვა ინფორმაციასაც შეიცავდეს; ბიბლიოგრაფიის მუხლების შემთხვევაში ასე არ არის. თუმცა, იქ მიეთითება გვერდის ნომრების სრული დიაპაზონი ისეთი წყაროსთვის, რომელიც წარმოადგენს უფრო დიდი ნაწილის, მაგ., სტატიის ან თავის შემადგენელს.

### 18.1.2 პუნქტუაცია

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის მუხლებში ელემენტების უმეტესობა გამოყავით წერტილებით; ტექსტობრივ მითითებებში ავტორს და თარიღს შორის სასვენი ნიშანი არ დასვათ, თარიღი გვერდის ნომრისგან მძიმით გამოყავით.

### 18.1.3 მთავრული ასოების გამოყენება

სათაურების უმეტესობა მთავრული ასოებით დაიწყეთ წინადადების სტილის მიხედვით, ხოლო სამეცნიერო ჟურნალების, პოპულარული ჟურნალების და გაზეთების სახელწოდებები სათაურის სტილის მიხედვით დაწერეთ მთავრული ასოებით. (ორივე სტილის შესახებ იხ. 22.3.1.) (წესი ეხება ინგლისურ ენაზე წყაროს მითითების შემთხვევას. მთარგ. შენიშვნა).

ნახატი 18.1 ბიბლიოგრაფიის მუხლებისა და ტექსტობრივი მითითებების ნიმუშები

ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში გიჩვენებთ, რომელი ელემენტები უნდა ჩაირთოს ბიბლიოგრაფიაში (R) და ტექსტობრივ მითითებებში (P) წყაროების რამდენიმე

გავრცელებული სახის ციტირებისას. ნაჩვენებია, აგრეთვე, პუნქტუაცია, სათაურების მთავრული ასოებით დაწყება და ელემენტების გაფორმება. რუხი ფერით დაჩრდილული ტექსტი აღნიშნავს აბრევიატურებს და სხვა ტერმინებს, როგორც ისინი მითითებაში დაიწერებოდა. XX აღნიშნავს ციტირებული ტექსტის გვერდის ნომრებს, YY აღნიშნავს სტატიის ან თავის გვერდების სრულ დიაპაზონს.

მაგალითები, განმარტებები, და ვარიანტები დამატებით იხ. მე-19 თავში.

წიგნები

**1. ერთი ავტორი ან რედაქტორი**

**R: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი.** ***წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური.*** **გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.**

Diamond, Jared. 1997. Guns, germs, and steel: The fates of human societies. New York: W. W. Norton and Company.

თუ წიგნს ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს, სქემა ასე შეცვალეთ:

**R: რედაქტორის გვარი, რედაქტორის სახელი, რედ. გამოცემის თარიღი …**

Noll, Mark A., რედ. 1990...

**P: (რედაქტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX)**

**2. რამდენიმე ავტორი**

თუ წიგნს ორი ავტორი ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი სქემა:

**R: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი და მეორე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი.** ***წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური.*** **გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.**

Bird, Kai & Martin J. Sherwin. 2005. American Prometheus: *The triumph and tragedy of J. Robert Oppenheimer*. New York: Alfred A. Knopf.

**P: (პირველი ავტორის გვარი და მეორე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)**

[Bird & Sherwin 2005, 52]

თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს, სტრუქტურა შეცვალეთ ასე:

**R: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, და მესამე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი...**

Appleby, Joyce, Lynn Hunt,& Margaret Jacob. 1994...

ნახატი 16.1 გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის და ტექსტობრივი მითითებების ნიმუშები

(გაგრძელება)

**P: (პირველი ავტორის გვარი, მეორე ავტორის გვარი, და მესამე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)**

[Appleby, Hunt,& Jacob. 1994, 135-36]

თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, შენიშვნის სტრუქტურა მხოლოდ ასეთი სახით შეცვალეთ:
**P: (პირველი ავტორის სახელი და სხვები. გამოცემის თარიღი, XX-XX)**
[Hall და სხვები. 1987, 114-15]
3. ავტორ(ებ)ი, აგრეთვე, რედაქტორი ან მთარგმნელი
თუ წიგნს ავტორის გარდა, რედაქტორიც ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი სტრუქტურა:
**R: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური*, რედ. რედაქტორის სახელი და გვარი. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.**
Harley, J.B. 2002. *The new nature of maps: Essays in the history of cartography*. რედ. Paul Laxton. Baltimore: Johns Hopkins University Press.
**P: (ავტორის გვარი გამოცემის თარიღი, XX-XX)**
(Harley 2002, 132-33)

**თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს, რედაქტორის შესახებ ინფორმაციის ნაცვლად, ბიბლიოგრაფიის მუხლში ჩასვით სიტყვები *თარგმ.* და *თარგმნილია* და მიუთითეთ მთარგმნელის სახელი და გვარი.**

**4. გამოცემის ნომერი**
**R: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური*, გამოცემის ნომერი გამ. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.**
Daniels, Roger. 1002. *Coming to America: A history of immigration and ethnicity in American life.* მე-2 გამ. New York: Harper Perennial.

**P: (ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)**

(Daniels 2002, 84)

**5. ერთი თავი რედაქტირებულ წიგნში**
**R: თავის ავტორის გვარი, თავის ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. თავის სათაური: თავის ქვესათაური. წიგნში – *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური*, რედ. რედაქტორის სახელი და გვარი, YY-YY. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.**
Spirn, Anne Whiston. 1996. Constructing nature: The legacy of Frederick Law Olmsted. წიგნში "*Uncommon ground: Rethinking the human place in nature", რედ.* William Cronon, 91-113. New York: W.W. Nortorn and Company.
**P: (თავის ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)**
ბიბლიოგრაფია

**საჟურნალო სტატიები**
**6. საჟურნალო სტატიის ბეჭდური გამოცემა**
**R: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური. *ჟურნალის სახელწოდება* ტომის ნომერი (თარიღთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია): YY-YY.**
ბიბლიოგრაფია

**P: (ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)**
ბიბლიოგრაფია
თუ სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, იხელმძღვანელეთ ავტორების სახელების მითითების მეორე ნიმუშში წარმოდგენილი შესაბამისი სქემით.

**7. ინტერნეტში გამოქვეყნებული საჟურნალო სტატიები**

**R: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური. *ჟურნალის სახელწოდება* ტომის ნომერი (თარიღთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია). URL-ის მისამართი (გახსნილია/მონახულებულია მასალაზე წვდომის თარიღი).**
McFarland, Daniel A. 2004. Resistance as a social drama: A study of change-oriented encounters. *American Journal of Sociology 109, no. 6* (მაისი). http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html [გახსნილია/მონახულებულია 2006 წლის 3 მაისს]

**P: (ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი).**
ბიბლიოგრაფია

საკუთარი სახელები, ჩვეულებისამებრ, მთავრული ასოებით დაწერეთ (იხ. 22-ე თავი). ზოგიერთ დარგში ბიბლიოგრაფიაში შეიძლება, ითხოვდნენ მთავრული ასოების სათაურის სტილში დასმას; ადგილობრივ სახელმძღვანელო მითითებებში გადაამოწმეთ, რომელი მეთოდის გამოყენებაა განსაზღვრული.

### 18.1.4 სათაურების გაფორმება
შედარებით მოცულობითი ნაწარმოებების (წიგნების, ჟურნალების) სათაურები იბეჭდება დახრილი შრიფტით; უფრო მცირე ნაწილების (თავები, სტატიები) სათაურები იბეჭდება სწორი შრიფტით და არ თავსდება ბრჭყალებში. გამოუქვეყნებელი ნაშრომების (მაგ., დისერტაციები) სათაურები იბეჭდება სწორი შრიფტით და არ თავსდება ბრჭყალებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი წიგნის მოცულობისაა.

### 18.1.5 რიცხვები
სათაურებში რიცხვები სიტყვიერად გადმოიცემა ან ციფრებით იწერება ზუსტად ისე, როგორც წყაროშია. გვერდის ნომრები, რომლებიც წყაროში რომაული ციფრებით არის წარმოდგენილი, მიეთითება პატარა რომაული ციფრებით. ყველა სხვა რიცხვი (როგორიცაა თავის ნომრები ან ნახატების ნომრები) წარმოდგენილია არაბული ციფრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორიგინალში ისინი რომაული ციფრებით არის წარმოდგენილი ან სიტყვიერად არის გადმოცემული.

### 18.1.6 აბრევიატურები
შენიშვნებში შეამოკლეთ ტერმინები, როგორიცაა *რედაქტორი, მთარგმნელი,* და *ტომი* (*რედ., მთარგმ.,* და *ტ.*). მრავლობითი ფორმა, ჩვეულებრივ, იწარმოება „ები"-ს დამატებით (რედ.-ები). ადგილობრივი სახელმძღვანელო პრინციპებით შესაძლოა, ნებადართული იყოს დამატებითი აბრევიატურების გამოყენება, როგორიცაა უნივ. – უნივერსიტეტის შემოკლება.

#### 18.1.7 შეწეული აბზაცი

გამოყენებული ლიტერატურის მითითების მუხლების შეწევა შებრუნებულად ხდება; პირველი ხაზი სწორდება მარცხნივ, ხოლო ყველა მომდევნო სტრიქონი შეწეულია აბზაცის იდენტური ინტერვალით. ტექსტობრივი მითითებები ტექსტში თავსდება და მათი შეწევა არ ხდება.

## 18.2 ბიბლიოგრაფია

ნაშრომებში, რომლებშიც გამოყენებული ლიტერატურის მითითებისთვის გამოიყენება ტექსტობრივი მითითებების – გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის სტილი, ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ტექსტობრივ მითითებებში აღნიშნულ წყაროებზე (რამდენიმე განსაკუთრებული ტიპის წყაროს გარდა; იხ. 18.2.2). შეგიძლიათ, აგრეთვე, მიუთითოთ ნაშრომები, რომლებიც მნიშვნელოვნი იყო თქვენი აზროვნების პროცესში, მაგრამ ტექსტში კონკრეტულად არ მიგითითებიათ. ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის წარმოდგენის გარდა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლიდან მკითხველი ხედავს თქვენს მიერ განხორციელებული კვლევის მასშტაბს და ამ კვლევის კავშირს მანამდე მომზადებულ ნაშრომებთან. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის დახმარებით მკითხველს, აგრეთვე, შეუძლია წყაროების საკუთარ კვლევაში გამოყენება. თუ წყაროს მითითების ამ სტილს გამოიყენებთ, ნაშრომში აუცილებლად უნდა ჩართოთ ბიბლიოგრაფია.

ჩამონათვალი დაასათაურეთ ასე: ბიბლიოგრაფია (ან *გამოყენებული ლიტერატურა).* იხ. ნახატი A.16 დანართში, სადაც მოცემულია ბიბლიოგრაფია.

#### 18.2.1 მუხლების დალაგება

ანბანური თანმიმდევრობით და ქრონოლოგიურად ავტორის მიხედვით. ბიბლიოგრაფია, როგორც წესი, წარმოადგენს ყველა წყაროს ერთიან ჩამონათვალს; წყაროები დალაგებულია ანბანის მიხედვით ავტორის, რედაქტორის ან თითოეულ მუხლში პირველ ადგილზე მითითებული პირის გვარის მიხედვით. (უცხო სახელების, შედგენილი სახელების და სხვა განსაკუთრებული სახელების ანბანის მიხედვით დალაგების შესახებ იხ. 19.1.1) ტექსტის რედაქტირების პროგრამების უმრავლესობას აქვს ჩამონათვლის ანბანის მიხედვით დალაგების ფუნქცია; თუ ამ ფუნქციას იყენებთ, თითოეულ მუხლს უნდა მოსდევდეს მყარი გადატანა. თუ სადიპლომო ან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობთ, შესაძლოა, თქვენს კათედრაზე ან უნივერსიტეტში მოგცენ მითითება, რომ ინფორმაცია მუხლებში ანბანის მიხედვით უნდა დაალაგოთ ასოების ან სიტყვების მიხედვით. *იხ. „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელო",* 18.56 -59, მე-15 გამოცემა (2003 წ.), სადაც მოცემულია ამ ორი სისტემის განმარტება.

თუ ბიბლიოგრაფია მოიცავს ორ ან მეტ ნაშრომს, რომლებიც დაწერილი, რედაქტირებული ან ნათარგმნია ერთი და იგივე პირის მიერ, დაალაგეთ მუხლები ქრონოლოგიურად გამოცემის თარიღის მიხედვით. პირველის შემდეგ ყველა მუხლში პირის სახელი შეცვალეთ გრძელი ტირეთი, რომელსაც ეწოდება სამი M-ის სიგრძის ტირე (იხ. 21.7.3). რედაქტირებული ან თარგმნილი ნაშრომების შემთხვევაში, დასვით მძიმე და სათანადო აღნიშვნა (*რედ., მთარგმნ.,* და ა.შ.) ტირეს შემდეგ. ჩამოწერეთ ყველა ასეთი ნაშრომი იმ ნაშრომებამდე, რომელთა შემთხვევაშიც პირი იყო თანაავტორი ან თანარედაქტორი.

**R**: Gates, Henry Louis Jr. 1989. *The signifying monkey: A theory of African-American Literary critisism.* New York: Oxford University Press.
-------------, რედ. 2002. *The classic slave narratives.* New York: Penguin Putnam.

------------. 2004. *America behind the color line: Dialogues with African Americans.* New York: Warner Books.
Gates, Henry Louis Jr., და Cornel West. 2000. *The African American century: How black Americans have shaped our country.* New York: Free Press.

იგივე პრინციპი გამოიყენება ავტორთა ერთი ჯგუფის მიერ დაწერილი ისეთი ნაშრომებისთვის, რომლებიც მითითებულია ერთი და იმავე თანმიმდევრობით.

**R**: Marty, Martin E., და R. Scott Appleby. 1992. *The glory and the power: The fundamentalist challenge to the modern world*. Boston: Beacon Press.
----------, რედ.-ები. 2004. *Accounting for fundamentalisms.* Chicago: University of Chicago Press.
Marty, Martin E., და Micah Marty. 1998 *When true simplicity is gained: Finding spiritual clarity in a complex world. Grand Rapids,* Ml: William B. Eerdmans Publishing Company.

თუ ბიბლიოგრაფიაში შესულია ერთზე მეტი ნაშრომი, რომელიც გამოცემულია ერთსა და იმავე წელს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მიერ, რომელთა გვარებიც ერთი და იგივე თანმიმდევრობით არის დალაგებული, მუხლები დაალაგეთ ანბანური თანმიმდევრობით სათაურის მიხედვით (ინგლისურ ენაზე წერისას. მთარგ. შენიშვნა). წელს დაამატეთ ასოები ა, ბ, გ და ა.შ., სწორი შრიფტით, ინტერვალის გარეშე. ამ ნაშრომების მითითების შემცველი ტექსტობრივი მითითებები ასოებს უნდა შეიცავდეს (იხ. 18.3.2).

**R**: Davis, Natalie Zemon. 1983ა. Beyond the market: Books as gifts in the sixteenth-century France. Transactions of the Royal Historical Society 33: 69-88.
---------. 1983ბ. The return of Martin Guerre. Cambridge, MA: Harvard University Press.

თუ წიგნს ან საჟურნალო სტატიას ავტორი ან რედაქტორი არ ჰყავს (ან სხვა დასახელებული შემდგენელი, მაგ., მთარგმნელი), ბიბლიოგრაფიაში, პირველ რიგში, მიუთითეთ სათაური და სათაურის მიხედვით დაალაგეთ ანბანურად, (ინგლისურ ენაზე წერისას. მთარგ. შენიშვნა).

**R**: ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ჟურნალებისა და საგაზეთო სტატიებისთვის, რომელთა ავტორიც არ არის მითითებული, ავტორისთვის განკუთვნილ ადგილზე ჩასვით ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება (იხ. 19.3 და 19.4). სხვა ტიპის წყაროებისთვის იხ. მე-19 თავის შესაბამისი ნაწილი, სადაც წარმოდგენილია სახელმძღვანელო პრინციპები; თუ სხვაგვარი მითითება არ არის მოცემული, სათაური ამ პრინციპის მიხედვით მიუთითეთ.

ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘ. ტექსტობრივი მითითების შემთხვევაში მკითხველს მხოლოდ ავტორის და თარიღის შესახებ მონაცემები აქვს ბიბლიოგრაფიის შესაბამისი მუხლის მოსაძიებლად. ამდენად, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ჩამონათვალი დაალაგეთ ზემოთ აღწერილი ნიმუშის მიხედვით. ქვემოთ მოყვანილის მსგავს შემთხვევებში შეგიძლიათ ჩამონათვლის დაყოფა ცალკეულ კატეგორიებად:

- თუ სპეციალური ტიპის წყაროსთვის, მაგ., ხელნაწერის, საარქივო კოლექციების, ჩანაწერების და ა.შ. სამ ან ოთხ მუხლზე მეტი გაქვთ, ისინი დანარჩენი მუხლებისგან განცალკევებით მიუთითეთ.

- თუ მნიშვნელოვანია პირველწყაროების გამოყოფა მეორადი და მესამეხარისხოვანი წყაროებისგან, მუხლები ცალკე ნაწილებში ჩამოწერეთ.

თუ ახდენთ წყაროების კატეგორიზაციას, წარმოადგინეთ თითოეული ნაწილი ქვესათაურით და, თუ აუცილებელია, დასაწყისში განთავსებული შენიშვნით. მუხლები თითოეულ სექციაში დაალაგეთ ზემოთ აღწერილი პრინციპების მიხედვით, წყარო არ მიუთითოთ ერთზე მეტ სექციაში, თუ ცალსახად არ შეიძლება მისი კატეგორიზაცია ორი ან მეტი სახით.

### 18.2.3 წყაროები, რომლებიც შეგიძლიათ, გამოტოვოთ

როგორც წესი, შეგიძლიათ, ბიბლიოგრაფიაში არ მიუთითოთ შემდეგი სახის წყაროები:

- კლასიკური, შუა საუკუნეების და ადრეული ლიტერატურული ნაწარმოებები (19.5.1) და (ზოგიერთ შემთხვევაში) ცნობილი პიესები (19.8.7)
- ბიბლია და სხვა წმინდა წიგნები (19.5.2)
- ფართოდ გავრცელებული საცნობარო ლიტერატურა, როგორიცაა დიდი ლექსიკონები და ენციკლოპედიები (19.5.3)
- ანონიმური გამოუქვეყნებელი ინტერვიუები და პირადი მიმოწერა/კომუნიკაცია (19.6.3), ვებლოგის ინფორმაცია და კომენტარები (19.7.2) და ელექტრონული ფოსტის ადრესატების სიები (19.7.3)
- სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების მრავალი წყარო, მათ შორის, მხატვრული ხელოვნების ნამუშევრები და სხვა ვიზუალური წყაროები (19.8.1), ცოცხალი შესრულება (19.8.2), სატელევიზიო და სხვა სამაუწყებლო პროგრამები (19.8.3)
- აშშ-ის კონსტიტუცია (19.9.5) და ზოგიერთი სხვა საჯარო დოკუმენტი (19.9)

შეიძლება, არჩიოთ, რომ ბიბლიოგრაფიაში მიუთითოთ ამ კატეგორიიდან რომელიმე კონკრეტული ნაშრომი, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან რომელიც ხშირად გაქვთ მითითებული.

## 18.3 ტექსტობრივი მითითებები

ტექსტობრივი მითითება საკმარის ინფორმაციას შეიცავს იმისათვის, რომ მკითხველმა იპოვოს სრული მითითება ბიბლიოგრაფიაში; ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია მოიცავს ავტორის სახელს და გვარს, გამოცემის თარიღს და (თუ კონკრეტულ ნაწყვეტს უთითებთ) გვერდის ნომერს ან ადგილის ამსახველ სხვა ინფორმაციას. სახელი, გვარი და თარიღი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოგრაფიის მუხლის შესაბამის ელემენტებს. (გაითვალისწინეთ, რომ ტექსტობრივ მითითებებში ელემენტების დალაგებასა და პუნქტუაციასთან დაკავშირებული მოდელი ოდნავ განსხვავდება იმ მეთოდისგან, რომელიც გამოიყენება სქოლიოს სტილის მითითებებში, რომლებიც 16.4.3-შია აღწერილი; ნუ აგერევათ ან ნუ გააერთიანებთ ამ ორ სტილს).

### 18.3.1 ტექსტში განთავსება

როდესაც მიუთითებთ ან სხვაგვარად იყენებთ მასალას წყაროდან, ტექსტში უნდა მოათავსოთ ტექსტობრივი მითითება შესაბამისი წყაროს შესახებ ძირითადი ინფორმაციით. ციტატის შემთხვევაში, ტექსტობრივი მითითება უშუალოდ ციტატის შემდეგ ჩასვით, განურჩევლად იმისა, ციტატა ტექსტშია ჩართული თუ ბლოკის სახით არის გამოყოფილი (იხ. 25.2.2). სხვა შემთხვევაში, ტექსტობრივი მითითებები წინადადების ან წინადადების ნაწილის ბოლოში მოათავსეთ. როდესაც ტექსტში

ციტატას რთავთ, ფრჩხილი უნდა დახუროთ მძიმის, წერტილის და სხვა სასვენი ნიშნის წინ.

თუმცა, ბლოკური ციტატის შემთხვევაში ტექსტობრივი მითითება საბოლოო სასვენი ნიშნის შემდეგ თავსდება.
იხ. ნახატი A.11, სადაც წარმოდგენილია ტექსტობრივი მითითებების მაგალითი.

**18.3.2 სპეციალური ელემენტები და ფორმატთან დაკავშირებული საკითხები**

ტექსტობრივი მითითებების ძირითადი მოდელი აღწერილია 18.1-ში, 18.1 ნახატზე კი წარმოდგენილია ნიმუშები წყაროების რამდენიმე ფართოდ გავრცელებული ტიპისთვის. ამ ნაწილში განხილულია სპეციალური ელემენტები, რომელთა ჩართვაც შესაძლოა, საჭირო იყოს, აგრეთვე, ფორმატთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც შეიძლება, წამოიჭრას ყველა სახის ტექსტობრივ მითითებებთან დაკავშირებით.

შემდეგ შემთხვევებში ნაშრომის რედაქტორის, მთარგმნელის ან სხვა შემდგენელის სახელი და გვარი განიხილეთ, როგორც ავტორის სახელი და გვარი, თუ სხვაგვარი მითითება არ არსებობს.

ავტორები ერთი და იგივე გვარით. თუ უთითებთ ნაშრომებს ერთზე მეტი ავტორით, რომლებსაც ერთი და იგივე გვარი აქვთ, თითოეულ ტექსტობრივ მითითებაში დაუმატეთ ავტორის პირველი ინიციალი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თარიღები განსხვავებულია. თუ ინიციალები ერთნაირია, სახელები სიტყვიერად დაწერეთ.
[J. Smith 2001, 140] [Adele Gottfried 1988, 15]
[T. Smith 1998, 25-26] [Allen Gottfried 1994, 270]

ერთი და იმავე ავტორის ნაშრომები და თარიღი. თუ უთითებთ ერთზე მეტ ნაშრომს, რომელიც ერთსა და იმავე წელს გამოსცა ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა და ისინი ერთნაირადაა მითითებული, ბიბლიოგრაფიაში მუხლები ანბანურად დაალაგეთ სათაურების მიხედვით, წელს კი დაურთეთ ასოები ა, ბ, გ და ა.შ. (იხ. 18.2.1). იგივე პრინციპით დაწერეთ ტექსტობრივი მითითებებიც (ასოები იწერება სწორი შრიფტით, თარიღის შემდეგ ინტერვალი არ უნდა იყოს).
[Davis 1983a, 74]
[Davis 1983b, 59-60]

ავტორი არ არის მითითებული. როდესაც უთითებთ წიგნს ან საჟურნალო სტატიას, რომელშიც ავტორი არ არის მითითებული, ბიბლიოგრაფიაში ავტორის ნაცვლად სათაური მიუთითეთ (იხ. 18.2.1). ტექსტობრივ მითითებებში გამოიყენეთ შემოკლებული სათაური, რომელიც უნდა შეიცავდეს სრული სათაურის ოთხამდე ამოსაცნობ სიტყვას; სათაური დაბეჭდეთ დახრილი ან სწორი შრიფტით, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის ანალოგიურად.
[Account of operations 1870-1910]
[Great Trigonometrical Survey 1863, 26]

სამეცნიერო ჟურნალების და საგაზეთო სტატიების შემთხვევაში, რომელთა ავტორებიც არ არის მითითებული, ორივე ადგილზე ავტორის ნაცვლად ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება მიუთითეთ (იხ. 19.3 და 19.4). სახელმძღვანელო პრინციპები სხვა ტიპის წყაროების შესახებ იხილეთ მე-19 თავის შესაბამის ნაწილში; თუ სხვაგვარი მითითება არ არის წარმოდგენილი, გამოიყენეთ შემოკლებული სათაური.

თარიღი არ არის მითითებული. თუ უთითებთ გამოქვეყნებულ ნაშრომს, რომელზეც არ არის მითითებული თარიღი, თარიღის ადგილას დასვით თ.ა.მ. („თარიღი არ არის მითითებული"), როგორც ბიბლიოგრაფიაში, ისე, ტექსტობრივ მითითებებში. გამოიყენეთ სწორი შრიფტი და პატარა ასოები.
[Smith თ.ა.მ., 5]
სხვა ტიპის წყაროების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები შეგიძლიათ, იხილოთ მე-19 თავის შესაბამის ნაწილში.

ტექსტში მითითებულია ავტორი. თუ ტექსტში ავტორის სახელია მითითებული, შეგიძლიათ, ტექსტობრივ მითითებაში ეს ელემენტი არ ჩართოთ. თუ სიცხადისთვის აუცილებელია, მითითება უშუალოდ ავტორის სახელის შემდეგ მოათავსეთ, თუ ის მთელი წინადადების ან მისი ნაწილის ბოლოში არ არის.

ამის შემდგომ, ჩანგი საკმაოდ დეტალურად აღწერს ნანკინის ოკუპაციას [1997, 159-67]. არიესის [1965] მიერ წარმოდგენილი არგუმენტები შეიცვალა შემდგომი კვლევების შედეგად.

ერთზე მეტი ნაშრომის მითითება. თუ ერთი თვალსაზრისის დასაბუთებისთვის უთითებთ რამდენიმე წყაროს, დააჯგუფეთ ისინი ტექსტობრივ ერთ მითითებაში. დაალაგეთ ანბანის მიხედვით, ქრონოლოგიურად ან მნიშვნელოვნების მიხედვით (კონტექსტიდან გამომდინარე), წყაროები ერთმანეთისგან წერტილ-მძიმით გამოყავით.

რამდენიმე თეორეტიკოსი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ამ პოზიციას [Armstrong and Malacinski 1989; Pickett and White 1995; Beigl 2004].

### 18.3.3 გვერდობლივი შენიშვნები და ტექსტობრივი მითითებები

თუ გსურთ, ტექსტს დაურთოთ მნიშვნელოვანი კომენტარები, ტექსტობრივი მითითებების ნაცვლად მიმართეთ გვერდობლივ შენიშვნებს. შენიშვნის განთავსების, დანომვრის და დაფორმატების შესახებ იხილეთ 16.3.2-16.3.4. სქოლიოში წყაროს მითითებისთვის გამოიყენეთ ტექსტობრივი მითითების ჩვეული ფორმა.

N: 10. ჯეიმს უილსონი აღნიშნავს, რომ „არც ერთ პოლიტიკოსს არასდროს დაუკარგავს ხმები ბიუროკრატიის დაგმობის გამო." [1989, 235].

# 19. ტექსტობრივი მითითების სტილი: სპეციფიკური ტიპის წყაროების მითითება

**19.1 წიგნები**

19.1.1 ავტორის სახელი და გვარი

19.1.2 გამოცემის თარიღი

19.1.3 სახელწოდება

19.1.4 გამოცემა

19.1.5 ტომი

19.1.6 სერიები

19.1.7 მონაცემები გამოცემაზე

19.1.8 გვერდების ნომრები და ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია

19.1.9 თავები და წიგნის სახელწოდების მქონე სხვა ნაწილები

19.1.10 ონლაინ და სხვა ელექტრონული წიგნები

**19.2 სამეცნიერო ჟურნალებისსტატიები**

19.2.1 ავტორის სახელი და გვარი

19.2.2 გამოქვეყნების თარიღი

19.2.3 სტატიის სათაური

19.2.4 სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება

19.2.5 ინფორმაცია გამოცემის შესახებ

19.2.6 გვერდების ნომრები და ადგილთანდაკავშირებულისხვა ინფორმაცია

19.2.7 სპეციალური გამოცემები და დამატებები

19.2.8 ინტერნეტშიგამოქვეყნებული სტატიები

**19.3 არასამეცნიეროჟურნალებისსტატიები**

**19.4 საგაზეთო სტატიები**

19.4.1 ფორმატთან დაკავშირებული განსაკუთრებული საკითხები

19.4.2 სპეციალური ტიპის საგაზეთო მითითებები

**19.5გამოქვეყნებული წყაროებისდამატებითიტიპები**

19.5.1 კლასიკური, შუასაუკუნეების და ადრეული პერიოდის ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოებები

19.5.2 ბიბლია და სხვა წმინდა წერილები

19.5.3 საცნობარო ლიტერატურა

19.5.4 რეცენზიები, კრიტიკული სტატიები

19.5.5 რეზიუმეები, მიმოხილვები

19.5.6 ბუკლეტები და ანგარიშები

19.5.7 გამოცემები მიკროფორმის სახით

19.5.8 CD-ROM-ები ანDVD-ROM-ები

19.5.9 ინტერნეტში განთავსებულიმონაცემთა ბაზები

**19.6 გამოუქვეყნებელი წყაროები**

19.6.1 სადიპლომო თემები და დისერტაციები

19.6.2 შეხვედრებზე წაკითხულილექციები და მოხსენებები

19.6.3 ინტერვიუები და პირადი საუბრები

19.6.4 ხელნაწერთა კოლექციები

**19.7 არაოფიციალურად გამოქვეყნებული ელექტრონული წყაროები**

19.7.1 ვებგვერდები

19.7.2 ვებლოგებზე გამოქვეყნებული ჩანაწერები და კომენტარები

19.7.3 ადრესატთა ელექტრონული მისამართების სიები

**19.8 წყაროები სახვით და საშემსრულებლო ხელოვნებაში**

19.8.1 ვიზუალური წყაროები

19.8.2 ცოცხალი შესრულება

19.8.3 სატელევიზიო პროგრამები და სხვა სამაუწყებლო წყაროები

19.8.4 აუდიო ჩანაწერები

19.8.5 ვიდეოჩანაწერები

19.8.6 ონლაინ მულტიმედიური ფაილები

19.8.7 ტექსტები ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებაში

**19.9 საჯარო დოკუმენტები**

19.9.1 შესატანი ელემენტები, მათი რიგი და დაფორმატების წესი

19.9.2 კონგრესის პუბლიკაციები

19.9.3 საპრეზიდენტო პუბლიკაციები

19.9.4 სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სააგენტოების პუბლიკაციები

19.9.5 აშშ-ის კონსტიტუცია

19.9.6 შეთანხმებები, კონვენციები

19.9.7 სასამართლო საქმეები

19.9.8 სახელმწიფოდა ადგილობრივი მთავრობის დოკუმენტები

19.9.9 კანადის მთავრობის დოკუმენტები

19.9.10 ბრიტანეთის მთავრობის დოკუმენტები

19.9.11 საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციები

19.9.12 გამოუქვეყნებელი სახელმწიფო დოკუმენტები

19.9.13 ონლაინ საჯარო დოკუმენტები

## 19.10 ერთ წყაროში, მითითებული მეორე წყარო

მე-18 თავში წარმოდგენილია ტექსობტივი მითითების სტილის მიხედვით წყაროების ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში დამოწმების ძირითადი წესები. თუ თქვენთვის უცნობიამითითების ეს სტილი,გაეცანით ამ საკითხისადმი მიძღვნილ თავს, ვიდრე შეუდგებოდეთ წინამდებარე თავის წაკითხვას.

ამ თავში დეტალურადაა განხილული, როგორ უნდა შეადგინოთ ბიბლიოგრაფიისმუხლებისხვადასხვატიპის წყაროსთვის.შედარებით ნაკლებადაა განხილულიტექსტში მითითების წესები.თავი ორგანიზებულია წყაროთა ტიპების მიხედვით,იწყება ყველაზე გავრცელებული წყაროებით – წიგნებით და ჟურნალის სტატიებით, ხოლო შემდეგ განიხილავს სხვა გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებელ და ჩაწერილ წყაროებს. წიგნებისადმი (19.1) და ჟურნალის სტატიებისადმი (19.2) მიძღვნილ ნაწილებში უფრო სიღრმისეულად განიხილება ვარიაციები ისეთ ელემენტებში, როგორიცაა ავტორის სახელი და გვარი, სახელწოდებები და ინტერნეტმისამართები, ვიდრე ნაკლებად გავრცელებული წყაროების შემცველ ნაწილებში.

ინტერნეტდა სხვა ელექტრონული წყაროები, რომლებიც ნაბეჭდი წყაროების (მაგალითად, ონლაინ-ჟურნალის სტატიები) ანალოგიურია,მიეკუთვნება შესაფერისი ტიპის წყაროს. „არაოფიციალურად გამოქვეყნებულ“ წყაროებად ჩათვლილი სხვა ონლაინ წყაროები (იხ. 15.4.1) განიხილება 19.7-ში.

ამ თავის ნაწილების უმრავლესობა შეიცავს ტექსტობრივი მითითების სტილისთვის (რომლებიც იდენტიფიცირებულია ასო R-ით) განკუთვნილ სახელმძღვანელო მითითებებს და მაგალითებს. ვინაიდან უმრავლესობა ექვემდებარება მე-18 თავში მოყვანილ ნიმუშს, ისინი აქ (P) განიხილება მხოლოდ დაზუსტების მიზნით ან იმ შემთხვევებისთვის, როდესაც უჩვეულო ელემენტებმა შეიძლება, ტექსტობრივი მითითების მომზადებისას დაბნეულობა გამოიწვიოს (მაგალითად, როდესაც ნაშრომს ჰყავს როგორც ავტორი, ისე რედაქტორი).

იმ ტიპის წყაროს მითითებისთვის, რომელიც არ არის ნახსენები ამ თავში, იხილეთ *„ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს“*მე-15 გამოცემის (2003) მე-17 თავი.

აგრეთვე, შეგიძლიათ, შექმნათ ქვემოთ მოყვანილ პრინციპებთან და მაგალითებთან მისადაგებული საკუთარი სტილი. პედაგოგების, განყოფილებების და უნივერსიტეტების უმრავლესობა ეთანხმება ამგვარ ადაპტაციებს, თუ მათ ამ უკანასკნელებთან შეთანხმებით გამოიყენებთ.

## 19.1 წიგნები

წიგნები ასახავს ელემენტების უფრო ფართო დიაპაზონს, ვიდრე სხვა ტიპის გამოქვეყნებული წყაროების უმეტესობა. ელემენტებში არსებული მრავალი ვარიაცია, რომელიც წინამდებარე ნაწილშია განხილული, სხვა ტიპის წყაროებსაც შეესაბამება.

### 19.1.1 ავტორის სახელი და გვარი

თქვენს ბიბლიოგრაფიაშიყოველი ავტორის სახელი და გვარი წარმოადგინეთ ზუსტად ისევე, როგორც სატიტულო ფურცელზეა წარმოდგენილი. თუ სახელი და გვარი მოიცავს ერთზე მეტ ინიციალს, დატოვეთ მათ შორის სივრცეები (იხ. 24.2.1). ჩამოწერეთ ავტორების სახელები და გვარები შებრუნებული თანმიმდევრობით (პირველ რიგში, მიუთითეთ გვარი), ზოგიერთი უცხოენოვანი სახელების და გვარებისა და სხვა შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ მითითებულ პარაგრაფში „სპეციალური ტიპის სახელები და გვარები“ (გვ. –––).

**R:** ბოლი, ფილიპი. 2001. *ბრწყინვალე დედამიწა: ხელოვნება და ფერის გამოგონება.* ნიუ იორკი: ფარარი, შტრაუსი და ჟირუ.

ბრინი, ტ. გ. *რევოლუციის ბაზარი: როგორ ჩამოაყალიბა მომხმარებელთა პოლიტიკამ ამერიკის დამოუკიდებლობა.* ნიუ იუორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ელიზაბეტ ი. 2000. *ნამუშევრების კრებული.* გამომც. ლი ს. მარკუსი, ჯენეთ მიულერი და მერი ბეთ როუზი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტექსტობრივ მითითებებში ჩაწერეთ მხოლოდ ავტორის გვარი, ზუსტად ისე, როგორც მითითებულია ბიბლიოგრაფიაში. თუ ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ ავტორის სახელი, გამოიყენეთ იგი გვარის ნაცვლად.

**P:** (ბოლ 2001, 140)

(ბრინ 2004, 48)

(ელიზაბეტ I 2000, 102-4)

**მრავალი ავტორი.** ისეთი წიგნის ბიბლიოგრაფიის მუხლში მითითიებისას,რომელშიც ერთზე მეტი ავტორია, მიუთითეთ პირველი ავტორის სახელი და გვარი შებრუნებული თანმიმდევრობით, დაურთეთ მძიმე და ჩამოთვალეთ დანარჩენი ავტორები სტანდარტული თანმიმდევრობით. დაურთეთ ყველა ავტორი მათი რაოდენობის მიუხედავად; ნუ გამოიყენებთ*სხვები-ს.*

**R:** ბერდი, კაი და მარტინ ჯ. შერვინი. 2005. *ამერიკელი პრომეთე: ჯ. რობერტ ოპენგეიმერის ტრიუმფი და ტრაგედია.* ნიუ იორკი: ალფრედ ა. კნოპფი.

ეპლბი, ჯოისი, ლინ ჰანტი და მარგარეტ ჯეიკობი. 1994. *სიმართლე ისტორიის შესახებ.* ნიუ იორკი: უ. უ. ნორტონი და კომპანია.

ჰოლი, ჟაკლინ დაუდი, ჯეიმს ლელუდისი, რობერტ კორსტედი, მერი მერფი, ლუ ენ ჯოუნსი და კრისტოფერ ბ. დეილი. 1987. *ოჯახივით: სამხრეთის ბამბის სართავი ფაბრიკის სამყაროს შექმნა.* ჩეპელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტექსტობრივ მითითებებში ჩაწერეთავტორთა გვარები ზუსტად ისევე, როგორ მოცემულია ბიბლიოგრაფიაში. ოთხი ან მეტი ავტორის არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ მხოლოდ პირველი ავტორის გვარი, შემდეგ კი დაურთეთ *სხვები.*

**P:** (ბირდი და შერვინი 2005, 52)

(აპლეტი, ჰანტი და ჯაკობი 1994, 135-36)

(ჰალი და სხვები 1987, 114-15)

**რედაქტორი ან მთარგმნელი ავტორთან დამატებით.** თუ სატიტულო გვერდზე ავტორთან ერთად მითითებულია რედაქტორი ან მთარგმნელი, მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი ისე, როგორც აღწერილია ზემოთ.რედაქტორის ან მთარგმნელის სახელი და გვარი დაუმატეთ წიგნის სახელწოდების შემდეგ. მთარგმნელის და რედაქტორის არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთმათი სახელები და გვარები იმავე თანმიმდევრობით, როგორც ორიგინალის სატიტულო ფურცელზეა.

ბიბლიოგრაფიისმუხლებში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით აბრევიატურა რედ.ან მთარგ.

**R:** ბონეფოი, ივი. 1995. *ახალი და ნაკრები პოემები (ლექსები).* გამომც. ჯონი ნოტონი და ენტონი რუდოლფი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მენჩუ, რიგობერტა. 1999. *საზღვრების გადაკვეთისას.* მთარგ. და გამომც. ენ რაიტი. ნიუ იორკი: ვერსო.
ადორნო, თეოდორი ვ. და უოლტერ ბენჯამინი. 1999. *კორესპონდენციის სრული კრებული. 1928-1940.* გამომც. ანრი ლონიცი. მთარგმ. ნიკოლას უოკერი. კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

როდესაც სატიტულო ფურცელზე რედაქტორი ან მთარგმნელი მითითებულია რთული აღწერილობით, მაგალითად, „რედაქტირებულია შესავლით და შენიშვნებითX–ის მიერ“ ან „თარგმნილია წინასიტყვაობითX–ის მიერ“, შეგიძლიათ ამ ფრაზის გამარტივება და მხოლოდ აბრევიატურების *რედ. და მთარგ.* გამოყენება ზემოთ ხსენებული მაგალითების მიხედვით. ზოგადად, თუ წინასიტყვაობა ან შესავალი დაწერილია არა ავტორის, არამედ სხვა რომელიმე პირის მიერ, არ არის აუცილებელი ამ პიროვნების მითითება, თუ სპეციალურად არ მოიხსენიებთ ამ ნაწილს (იხ. 19.1.9). იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ავტორის სახელი და გვარი მითითებულია წიგნის სახელწოდებაში, ხოლო რედაქტორის სახელი და გვარი – სატიტულო ფურცელზე, იხილეთ ქვემოთ მოცემული „დამატებითი საავტორო სიტუაციები“.

თუ ნაშრომი თქვენს ბიბლიოგრაფიაში შეტანილია ავტორის სახელისა და გვარის მითითებით, ტექსტობრივ მითითებებში არ უნდა შევიდეს რედაქტორის ან მთარგმნელის სახელი და გვარი,

**R:** (ბონელოი 1995, 35)
(მენჩუ 1999, 50-51)
(ადორნო და ნეჯამინი 1999, 212)

**რედაქტორი ან მთარგმნელი ავტორის ნაცვლად.** როდესაც რედაქტორი ან მთარგმნელი მითითებულია წიგნის სატიტულო ფურცელზე ავტორის ნაცვლად, ჩაწერეთ ამ პიროვნების სახელი და გვარი ავტორისთვის განკუთვნილ ადგილას. დაწერეთ ისევე,როგორც დაწერდით ავტორის სახელს და გვარს (იხ. ზემოთ), ხოლო ბიბლიოგრაფიაში დაუმატეთ აბრევიატურა *რედ.* (მრავლობითში*რედ.-ები*) ან *მთარგ.* (მრავლობითში*მთარგ.-ები)* გვარის და სახელის შემდეგ. თუ რედაქტორი ან მთარგმნელი რამდენიმეა, იხელმძღვანელეთ „რამდენიმე ავტორში“ ჩამოყალიბებული პრინციპებით (იხ. გვ. 230 ზემოთ).

**R:** სილვერსტეინი, თეოდორი, თარგმ. 1974. *სერ გავეინი და მწვანე რაინდი.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ფულოპი, ტიმოთი ე. და ალბერტ ჯ. რაბოტო, გამომცემლები 1997. *აფრიკულ-ამერიკული რელიგია: განმარტებითი ესეები ისტორიასა და კულტურაში.* ნიუ იორკი: რაუტლეჯი.

**P:** **(**სილვერსტეინი 1974, 34)

(ფულოპი და რაბოტო1997, 412-14)

**დამატებითი საავტორო სიტუაციები**წარმოგიდგენთ თქვენს წყაროებში ავტორების იდენტიფიცირების ზოგიერთ დამატებით საშუალებას. თუ წააწყდებით შემთხვევებს, რომლებსაც აქ არ შევხებივართ, მიმართეთ მოდელს, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს მდგომი მიგაჩნიათ.

- *ავტორის სახელი და გვარი სათაურში.* თუ ავტორის სახელი და გვარი მითითებულია ისეთი წიგნის სათაურში ან ქვესათაურში, როგორიცაა ავტობიოგრაფია, ჩასვით იგი ბიბლიოგრაფიის მუხლისმისთვის განკუთვნილ ადგილას (გამეორების მიუხედავად) და ასევე, ტექსტობრივ მითითებაში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ მსგავს ნაშრომს რედაქტორებიც ჰყავს, ნუ მიუთითებთმათ სახელსა და გვარს გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (მაგალითად, ამ პიროვნების მიერ რედაქტირებული ნაშრომების შესწავლისას).

**R:** შერმანი, უ. ტ. 1990. *გენერალ უ. ტ. შერმანის მემუარები.* გამომც. ჩარლზ როისტერი. ნიუ იორკი: ამერიკის ბიბლიოთეკა.

მაკკალერსი, კარსონი, 1999. *გაბრწყინება და ღამის ციებ-ცხელება: კარსონ მაკკალერსის დაუმთავრებელი ავტობიოგრაფია.* გამომც. კარლოს ლ. დიუსი. მედისონი: ვისკონსინის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** **(**შერმანი 1990, 836)

(მაქკულერსი 1999, 54)

- *ორგანიზაცია, როგორც ავტორი.* თუ ორგანიზაციის, ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო ფურცელზე არ არის მითითებული ინდივიდუალური ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია, როგორც გამომცემელი.

**R:** ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. 2003. *ფსიქიატრიული სამსახურების ორგანიზება.* ჟენევის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

**P:** **(**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2003, 50)

- *ფსევდონიმი.* იხმარეთ ფართოდ გამოყენებული ფსევდონიმი, როგორც ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი. თუ ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია, ბიბლიოგრაფიის მუხლში, მაგრამარატექსტობრივ მითითებაში, დაურთეთ *ფსევდ.* კვადრატულ ფრჩხილებში.

**R:** ტვენი, მარკი. 1899. უფლისწული და მათხოვარი: ისტორია ყველა ასაკის ახალგაზრდისთვის. ნიუ იორკი: ჰარპერი და ძმები.

სენტინელი [ფსევდ.]. 1981. წერილები. წიგნში სრული ანტიფედერალისტი, გამომც. ჰერბერტ ჯ. სტორინგი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** **(**ტვენი 1899, 34)

(სენტინელი 1981, 2)

- *ანონიმური ავტორი.* თუ ავტორი ცნობილია ან ხვდებიან ავტორის ვინაობას, მაგრამ იგი არ მოიხსენიება წიგნის სატიტულო ფურცელზე, დაურთეთ სახელი ფრჩხილებში (კითხვის ნიშნით, რათა აღნიშნოთ, რომ დარწმუნებული არ ხართ). თუ ავტორი ან რედაქტორი უცნობია, მოერიდეთ სახელის და გვარის ნაცვლადსიტყვის „ანონიმურია" ხმარებას და დაიწყეთ ბიბლიოგრაფიის მუხლი სათაურით. ტექსტობრივ მითითებებში იხმარეთ შემოკლებული სათაური (იხ.18.3.2).

**R:** [კუკი, ებენიზერი?]. 1730. ***მცენარე*** *სოტვიდ რედივივუსი ანუ პლანტატორის სარკე.* ანაპოლისი. *ვირჯინიაში დაწყებული* ***მცენარეების გაშენების (პლანტაციის გაშენების)*** *მიზნისა და შედეგების, მის მიერ მიღებული ხარისხისა* ***(მიღწეული დონისა)*** *და მისი წინსვლის საშუალებების მართალი და გულახდილი გაცხადება*,. 1610.

**P:** **(**[ებენიზერი კუკი?] 1730. 5-6)

(*ჭეშმარიტი და გულწრფელი აღიარება*1610, 17)

**განსაკუთრებულიტიპის სახელები.**ზოგჯერ ადვილი არ არის, გავარჩიოთ, რომელია ავტორის სახელი და რომელი – გვარი.ცნობილი ისტორიული ავტორების ვინაობა დააზუსტეთ მერიამ ვებსტერის ბიოგრაფიულ ლექსიკონში; თანამედროვე ავტორების ვინაობის დასაზუსტებლად, ჩაიხედეთ თქვენი ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგში. ქვემოთ მოცემულია ამგვარი, რთულად ამოსაცნობი სახელების და გვარების ანბანის მიხედვით დაწყობის ზოგადი პრინციპები. ტექსტობრივ მითითებებში ჩასვით სახელი და გვარი ზუსტად შებრუნებული ფორმით (როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები გამუქებული შრიფტით).

- *შედგენილი სახელები და გვარები.*შედგენილი გვარები,დეფისიანი გვარების ჩათვლით, დაალაგეთ ანბანური წესით,კომპოზიტის პირველი ნაწილის მიხედვით. თუ გათხოვილი ქალი ხმარობს როგორც საკუთარ, ისე, ქმრის გვარს დეფისის გარეშე, დაალაგეთ ანბანური წესითმეორე გვარის მიხედვით. მრავალ უცხო ენაში ადვილად ამოსაცნობია კომპოზიტური სახელები (ნაჩვენებია ქვემოთ გამუქებული შრიფტით), თუმცა,არის ისეთი ენები, მაგალითად, ფრანგული და გერმანული, სადაც ასე არ ხდება.

| | |
|---|---|
| კესლერ-ჰარისი ელის | ლუდვიგ მის ვან დერ როჰე |
| ჰაინი დარლინ კლარკ | პიერ ტაილჰარდ შარდენი |

***ნაწილაკიანი სახელები***. უცხოენოვანი წყაროების ორიგინალის ენაზე მოყვანისას,ამა თუ იმ ენიდან გამომდინარე, ისეთი ნაწილაკები, როგორიცაა *დე, დი, დ' და ვან,* შეიძლება ან არ შეიძლება, ჩაითვალოს გვარის პირველ ნაწილად ანბანური წესით დაწყობისას. ჩაიხედეთ ზემოთ მითითებულ ერთ-ერთ წყაროში, თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ უნდა მოიქცეთ კონკრეტული სახელის შემთხვევაში.

| | |
|---|---|
| **de Gaulle,** Charles | **Beauvoir,** Simone de |
| **di Leonardo,** Micaela | **Kooning,** Willem de |
| **Van Rensselaer,** Stephen | **Medici,** Lorenzo de' |

- *„მაკ"-ით,„სენტ"-ით ან „ო"-თი* ***დაწყებული გვარები.*** დაალაგეთ ყველა ეს გვარი ანბანური წესით ფაქტიურად არსებული ასოების საფუძველზე; ნუ დააჯგუფებთ მათ იმის გამო, რომ ისინი ერთნაირია.

- ***სახელები და გვარები სხვა ენებში, გარდა ინგლისურისა.*** მრავალ ენაში სახელების დარქმევის პირობითობები განსხვავდება ინგლისურ ენაში არსებულთაგან. თუ თქვენი ნაშრომი შეიცავს რომელიმე კონკრეტული ენის ბევრ სახელსა და გვარს, შეისწავლეთ ამ ენის პირობითობები.

მრავალი ესპანური გვარი შედგენილიადა შეიცავს ინდივიდის მამის და დედის გვარებს, რომლებიც როგორც წესი, დაკავშირებულია კავშირით *y*.დაალაგეთ გვარები ანბანური წესით პირველი ნაწილის მიხედვით.

| | |
|---|---|
| Ortega y Gasset, José | Sanchez Mendoza, Juana |

*„ალ-"* ან *„ელ-"*ნაწილაკებით დაწყებულიარაბული გვარები დაალაგეთ ანბანური წესით,ნაწილაკის მომდევნო ელემენტის მიხედვით. გვარები, რომლებიც იწყება ნაწილაკებით *„აბუ", „აბდ" და „იბნ"* მსგავსია ინგლისური გვარებისა, რომლებიც იწყება*„მაკ"-ით ან „სენტ"-ით* და უნდა დაალაგოთ ანბანური წესით ამ ელემენტების მიხედვით.

ჰაკიმი ტოფიკ ალ- აბუ ზაფარ, სიედი

ჯამალ, მუჰამედ ჰამიდ ალ- იბნ შაუდი, აზიზი

თუ ავტორი, რომელიც ჩინურ ან იაპონურ გვარს ატარებს, ხელმძღვანელობს ტრადიციული წესით (გვარი მოსდევს სახელს), ნუ დასვამთ სახელს გვარის წინ ან მძიმეს სახელსა და გვარს შორის. თუ ავტორი ხელმძღვანელობს დასავლური წესით (სახელი მოსდევს გვარს).

*ტრადიციული წესი* *დასავლური წესი*

ჩაო ვუ-ჩი ცოუ, ტანგი

იოშიდა შიგერო კუროსავა, ნორიაკი

**19.1.2 გამოცემის თარიღი**

წიგნის გამოცემის თარიღი შეიცავს მხოლოდ წელს და არა თვესა და დღეს.ის, როგორც წესი, იდენტურია საავტორო უფლების თარიღისა, რომელიც, ზოგადად, მითითებულია საავტორო უფლების გვერდზე და ზოგჯერ სატიტულო ფურცელზე.

ბიბლიოგრაფიის მუხლში გამოყავით თარიღი წერტილებით, როგორც ცალკე ელემენტი. ტექსტობრივ მითითებებში დასვით იგი ავტორის გვარის შემდეგ შუალედური პუნქტუაციის გარეშე.

**R:** გინსბორგი, პოლი. 2005. *ყოველდღიური ცხოვრების პოლიტიკა: არჩევანის გაკეთება, ცხოვრების შეცვლა.* ნიუ ჰეივენი: იელის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (გინსბორგი 2005, 53)

გადამუშავებული გამოცემები და ხელახალი გამოცემები შეიძლება, შეიცავდესსაავტორო უფლების ერთზე მეტ თარიღს. ასეთ შემთხვევაში, უახლესი თარიღი მიუთითებს გამოცემის თარიღზე – მაგალითად, 2003 “© 1982, 1992, 2003.” იხილეთ 19.1.4 ასეთ ნაშრომებშიგამოცემის თარიღების მისათითებლად.

თუ არ შეგიძლიათ ნაბეჭდი ნაშრომის გამოცემის თარიღის განსაზღვრა, მის ნაცვლად გამოიყენეთ შემოკლება *დაუდგ.* (*დაუდგენელი).* თუ თარიღი არ არის მოწოდებული, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ იცით მის შესახებ, შეგიძლიათ, ჩასვათ იგიკვადრატულ ფრჩხილებში და დაურთოთ კითხვის ნიშანი იმის საჩვენებლად, რომ არა ხართ დარწმუნებული).

**R:** სმითი, ჯონი. დაუდგ. *სათნოებათა წიგნი.* ედინბურგი..

მილერი, სემუელი. [1750?]. *კიდევ ერთი სათნოებათა წიგნი.* ბოსტონი.

**P:** (სმითი დაუდგ, 5)

(მილერი[1750?], 5)

თუ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით დადებულია კონტრაქტი გამომცემელთან და მას უკვე აქვს სათაური, მაგრამ გამოქვეყნების თარიღი ჯერ ცნობილიარ არის, ჩასვით *„გამოქვეყნდება ახლო მომავალში"*თარიღის ნაცვლად. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამ ტიპის ტექსტობრივ მითითებაში დასვით მძიმე ავტორის გვარის შემდეგ. გამოუქვეყნებელ ხელნაწერად მიიჩნიეთ ნებისმიერი წიგნი, რომლის გამოცემაზეც კონტრაქტი ჯერ არ არის დადებული(იხ. 19.6).

**R:** ავტორი, ჯეინ ქ. გამოქვეყნდება ახლო მომავალში. *წიგნის სახელწოდება.* გამოცემის ადგილი: გამომცემლის სახელი.

**P:** (ავტორი,გამოქვეყნდება ახლო მომავალში, 16)

### 19.1.3 სათაური

ბიბლიოგრაფიის მუხლებში ჩამოთვალეთ წიგნების სრული სათაურები და ქვესათაურები. დაწერეთ ორივე დახრილი შრიფტით და გამოყავით სათაური ქვესათაურისგან ორი წერტილით. ორი ქვესათაურის არსებობის შემთხვევაში,პირველის წინ დასვით ორი წერტილი, მეორის წინ კი – წერტილ-მძიმე.

**R:** კალიკი, იანი გ. და დევიდ ლ. გოლდვინი, გამომც., 2005. *ენერგია და უსაფრთხოება: საგარეო პოლიტიკის ახალი სტრატეგიისკენ.* ბალტიმორი: ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

აჰმედ, ლეილა. 1999. *საზღვრის გადაკვეთის ადგილი: კაიროდან ამერიკაში; ქალის მოგზაურობა.* ნიუ იორკი: შტრაუსი და ჟირუ.

დატოვეთ უცვლელად ორიგინალური სათაურის დამწერლობა, დეფისების განლაგება და პუნქტუაცია, მაგრამ შეგიძლიათ, შეცვალოთ ამპერსანდი (&) *და*-თი. ციფრები დაწერეთ სიტყვიერად ან წარმოადგინეთ ციფრების სახით, ორიგინალის შესაბამისად *(მეთორმეტე საუკუნე ან მე-12 საუკუნე),* თუ უმჯობესი არ იქნა მათი სიის სხვა სათაურებთანშესაბამისობაში მოყვანა.

წიგნის თავების და სხვა ნაწილების სათაურებთან დაკავშირებით იხილეთ 19.1.9.

**სათაურებში არსებული სპეციალური ელემენტები.**სპეციალურ გაფორმებას საჭიროებს სათაურებში არსებული რამდენიმე ელემენტი.

- ***თარიღები.*** იხმარეთ მძიმე სათაურში და ქვესათაურში თარიღების გამოსაყოფად, ორიგინალურ წყაროში პუნქტუაციის არარსებობის შემთხვევაშიც. თუ წყაროში მითითებულ თარიღებს ახლავს აფიქსი(„1920-დან 1945-მდე”)ან ორი წერტილი, იხელმძღვანელეთ წყაროში გამოყენებული წესით.

**R:** მაკდუგალი, უოლტერი ა. 2004. *თავისუფლება სულ ახლოსაა: ამერიკის ახალი ისტორია, 1525-1828.* ნიუ იორკი: ჰარპერკოლინსი.

ჯელიკო, ჯეფრი და სიუზენ ჯელიკო. 1995. *ადამიანის პეიზაჟი: გარემოს ფორმირება წინაისტორიიდან დღემდე.*მე-3 გამოც. ნიუ იორკი: ტეიმზი და ჰადსონი.

- ***სათაურები და მითითებები სათაურებში.*** როდესაც ერთი ნაშრომის სათაური, რომელიც, როგორც წესი, დახრილი შრიფტით იწერება, მითითებულია სხვა ნაშრომის დახრილი შრიფტით წარმოდგენილ სათაურში, ჩასვით მითითებული სათაური ბრჭყალებში. თუ ის სათაურში ჩვეულებრივად ბრჭყალებშია ჩასმული, დატოვეთ ბრჭყალები. მითითებულ სათაურებში განალაგეთ მთავრული ასოები წინადადების სტილის მიხედვით (იხ. ზემოთ).

**R:** აპლგეიტი, ცელია. 2005. *ბახი ბერლინში: ერი და კულტურა „წმინდა მათეს* ***ვნებათა” აღორძინებაში*** *მენდელსონის მიერ.* იტაკა: კორნელის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაკჰიუ, როლანდი. 1991. *„ფინეგანის გამოფხიზლების“ კომენტარები.* მე-2 გამოც. ბალტიმორი: ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ამასთან, თუ მითითება გამოიყენება წიგნის სრულ მთავარ სათაურად, ნუღარ ჩასვამთ მას ბრჭყალებში.

**R:** სვოუპი, სემი. 2004. *მე ვარ ფანქარი: მასწავლებელი, მისი მოწაფეები და მათი ისტორიების სამყარო.* ნიუ იორკი: გენრი ჰოლტი და კომპანია.

ჩერნოვი, ჯონი მ. 2003. *პროსტიტუცია არ არის ქურდობა: აფრიკელი* ***მეძავის*** *ისტორიები.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- ***დახრილი შრიფტით მოცემული ტერმინები.*** როდესაც დახრილი შრიფტით მოცემული სათაური შეიცავს ისეთ ტერმინებს,როგორიცაა სახეობების სახელწოდებები ან გემების სახელები, რომლებიც ტექსტში ჩვეულებრივად დახრილი შრიფტით არის მოცემული, წარმოადგინეთ ტერმინები სწორი შრიფტით.

**R:** პენინგრონი, ტ. ჰიუ. 2003. როდესაც საკვები კლავს: *საქონლის ღრუბლოვანი ენცეფალიტი,* ბაქტერიები E. coli *და სტიქიურ უბედურებათა მეცნიერება.* ნიუ იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლეკი, რაიმონდი ბ. 2001. კრეისერ ინდიანაპოლისის *ტრაგიკული ბედი: აშშ-ს საზღვაო ფლოტის უდიდესი უბედურება ოკეანეში.* ნიუ იორკი: კოპერ სკვერის გამომცემლობა.

- ***კითხვის და ძახილის ნიშნები.*** როდესაც სათაური ან ქვესათაური მთავრდება კითხვის ან ძახილის ნიშნით, მას არანაირი სხვა სასვენი ნიშანი არ მოსდევს.

**R:** ფრენკი, ტომასი. 2004. *რა ემართება კანზასს?როგორ დაიპყრეს კონსერვატორებმა ამერიკის გული.*. ნიუ იორკი: მეტროპოლიტენ ბუქს.

აარონი, გენრი. 1973. *რატომ არის ასეთი კეთილდღეობის რეფორმირება?* ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: ბრუკინგსის ინსტიტუტის გამომცემლობა.

**ძველი სათაურები.** მეთვრამეტე ან უფრო ადრინდელ საუკუნეებში გამოცემული ნაშრომების სათაურების შემთხვევაში, შეინარჩუნეთ ორიგინალური პუნქტუაცია და დამწერლობა, მაგრამ შეცვალეთ მთავრული ასოების განლაგება წინადადების სტილით (იხ. ზემოთ). თუ სათაური ძალიან გრძელია, შეგიძლიათ,შეამოკლოთ და, იმავდროულად, მიაწოდოთ მკითხველებს საკმარისი ინფორმაცია, რათა მათ მოძებნონ სრული სათაური ბიბლიოთეკაში ან გამომცემლის კატალოგში. მიანიშნეთსათაურებში გამოტოვებული ადგილები სამი წერტილის ჩასმით. თუ გამოტოვებული ადგილი სათაურის ბოლოშია, იხმარეთ ოთხი წერტილი (სამწერტილიანი ელიფსისი და წერტილი; იხილეთ 25.3.2).

**R:**რეი, ჯონი. 1673. *ტოპოგრაფიული, მორალური და ფიზიოლოგიური დაკვირვებები:გაკეთებული ნიდერლანდების, ბელგიის, ლუქსემბურგის ნაწილში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში მოგზაურობის დროს; ინგლისისთვის არადამახასიათებელი მცენარეების კატალოგითურთ ..., რასაც ერთვის ფრენსის უილეგბის, ესკვაირის, მოკლე ანგარიში ესპანეთის დიდ ნაწილში მისი მოგზაურობის შესახებ.* (ლონდონი).

ესკალანტე, ბერნარდინო. 1579. *ტრაქტატი იმ პორტუგალიელების მოგზაურობაზე მსოფლიოს აღმოსავლეთი ნაწილის სახელმწიფოებსა და ტერიტორიებზე . . .* მთარგმ. ჯონ ფრემპტონი. ლონდონი.

**სათაურები სხვა ენებზე.**სხვა ენებზე მოცემული სათაურების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ შესაბამის ენაში საკუთარი არსებითი სახელებისთვის და ზედსართავი სახელებისთვის არსებული მთავრული ასოების განლაგების პრინციპებით. თუ არ იცნობთ ამ პრინციპებს, მიმართეთ სანდო წყაროს.

**R:** Maisonneuve, Danielle, Jean-François Lamarche, and Yves St-Amand. 1998. *Les relations publiques: Dans une société en mouvance.* Sainte-Foy, QC: Presses de l'Universitკ de Quკbec. (ფრანგული)

Stojanovic, Ljiljana Piletic, ed. 1971. *Gutfreund i ceski kubizam.* Belgrade: Muzej savremene umetnosti. (სერბული?)

Krone-Schmalz, Gabriele. 1992. *In Wahrheit sind wir stärker: Frauenalltag in der Sowjetunion.* Frankfurt am Main: Fischer Taschenbuch Verlag. (გერმანული)

თუ სათაურს თარგმანს დაურთავთ, მოათავსეთ იგი ორიგინალის შემდეგ. ჩასვით ფრჩხილებში, დახრილი შრიფტის ან ბრჭყალების გარეშე.

**R:** Wereszycki, Henryk. 1977. *Koniec sojuszu trzech cesarzy* [The end of the Three Emperors' League]. Warsaw: PWN. (პოლონური)

*Zhongguo renkou tongji nianjian 1996* [China population statistics yearbook 1996 – ჩინეთის მოსახლეობის სტატისტიკის ყოველწლიური ანგარიში 1996]. 1996. Beijing: Zhongguo tongji chubanshe.

თუ გესაჭიროებათ როგორც ორიგინალის, ისე მისი თარგმანის მითითება, იხმარეთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი ფორმა იმისდა მიხედვით, რაზეგსურთ მკითხველის ყურადღების გამახვილება– ორიგინალზე თუ თარგმანზე.

**R:** Furet, François. 1995. *Le passé d'une illusion.* Paris: Éditions Robert Laffont. (ფრანგული) თარგმ. დებორა **ფიურეს** მიერ, როგორც *ილუზიის **გაქრობა***(ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999).

*ან*

ფიურე, ფრანსუა. 1999. *ილუზიის **გაქრობა**.* მთარგმ. დებორა ფიურე. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თავდაპირველად გამოიცა, როგორც *Le passé d'une illusion* (Paris: Éditions Robert Laffont, 1995).

### 19.1.4 გამოცემა

ტერმინ*გამოცემას*აქვს რამდენიმე მნიშვნელობა და ყველა მათგანი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ზოგი ნაშრომი არაერთხელ გამოიცემა მათ შინაარსში და/ან ფორმატში შეტანილი ცვლილებებით. თუ მიუთითებთ წიგნს, რომელიც გამოქვეყნდა არაერთი გამოცემის სახით, თქვენს ბიბლიოგრაფიაში ყოველთვის მიანიშნეთ, რომელი გამოცემით ისარგებლეთ, ვინაიდან შეიძლება,გამოცემები განსხვავებული იყოს (თუ ქვემოთ აღწერილი მარკერებიდან არცერთი არ მიესადაგება წიგნს, შეგიძლიათ ჩათვლოთ, რომ იგი პირველი გამოცემაა – ფაქტი, რომლის მითითებაც არ ხდება).

**განახლებულიგამოცემები.** როდესაც წიგნი ხელახლა გამოიცემა შინაარსში შესულიმნიშვნელოვანი ცვლილებებით, მას შეიძლება, ვუწოდოთ „განახლებული“ ან „შემდგომი“ გამოცემა. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, განთავსებულია წიგნის სატიტულო ფურცელზე და მეორდება, გამოცემის თარიღთან ერთად, საავტორო უფლების გვერდზე.

პირველის გარდა სხვა გამოცემის მითითებისას, სათაურის შემდეგ მიუთითეთ გამოცემის რიგითი ნომერი ან აღწერა. შეამოკლეთ ისეთი ფორმულირება, როგორიცაა „მეორე გამოცემა, განახლებული და გავრცობილი“, როგორც *„მე-2 გამოც.“.*შეამოკლეთ „განახლებული გამოცემა“ როგორც*„განახ. გამოც.“*აღწერას დაურთეთ მხოლოდ მითითებული გამოცემის და არა სხვა ნებისმიერი წინა გამოცემის გამოქვეყნების თარიღი (იხ.19.1.2.).

**R:** დანიელსი, როჯერი: 2002. *ამერიკაში ჩასვლა: იმიგრაციისა და ეთნიკური წარმომავლობის ისტორია ამერიკის ცხოვრებაში.* მე-2 გამოც. ნიუ იორკი: ჰარპერ პერენიალი.

ბები, ფლორენსი. 1989. *ყანას და ქვაბს შორის: გამყიდველი ქალების პოლიტეკონომიკა პერუში.* გადახედ. გამოც. ოსტინი: ტეხასის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**გადაბეჭდილი გამოცემები.** შესაძლებელია, აგრეთვე, წიგნის ხელახალი გამოცემა ახალ ფორმატში, როგორიცაა, მაგალითად, ქაღალდის ყდიანი გამოცემა (გამოქვეყნებული თავდაპირველი ან სხვა გამომცემლის მიერ) ან ელექტრონული ფორმა (იხ.19.1.10).მაშინაც, როცა წიგნის შინაარსი შესაძლოა, მინიმალურად იყოს შეცვლილი ორიგინალთან შედარებით, მიუთითეთ გადაბეჭდილი გამოცემა, თუ მას ეყრდნობოდით. შეიძლება, ისურვოთ, მიუთითოთ თქვენს ბიბლიოგრაფიაში, რომ ეს გადაბეჭდილი გამოცემაა, განსაკუთრებით, თუ იგი გამოქვეყნდა ორიგინალური გამოცემიდან ერთი ან ორზე მეტი წლის შემდეგ. ამ შემთხვევაში, მიიჩნიეთ ხელახალი გამოცემის თარიღი გამოცემის თარიღად, ხოლო ბიბლიოგრაფიის მუხლში ფრჩხილებში დაურთეთ ორიგინალის თარიღი (იხ.19.1.2).

**R:** ფეი, პიტერ ვოდი. 1997. *ოპიუმის ომი, 1840-1842.* ჩეპელ ჰილი: ჩრდილო კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა. (თავდაპირ. გამოც. 1975 წ.).

**P:** (ფეი 1997, 67-68)

თუ გადაბეჭდილი გამოცემა კლასიკური ნაშრომის თანამედროვე ნაბეჭდი გამოცემაა, მაინც უნდა მიუთითოთ, რომ ეს არის გადაბეჭდილი გამოცემა; მაგრამ

თუ თქვენი ნაშრომის კონტექსტი მოითხოვს ორიგინალური გამოცემის თარიღის მითითებას, დაურთეთ იგი ფრჩხილებშიახალი გამოცემის თარიღის წინ როგორც ბიბლიოგრაფიაში, ისე,ტექსტობრივ მითითებებში.

**R:** ემერსონი, რალფ ვოლდო. 1997. *ნეიჩე.* ბოსტონი: ბიკონი. (თავდაპირ. გამოც. 1836 წ.).

**P:** (ემერსონი 1985, 10)

*ან*

**R:** ემერსონი, რალფ ვოლდო. [1836] 1985. *ნეიჩე.* ბოსტონი: ბიკონი.

**P:** (ემერსონი [1836] 1985, 10)

### 19.1.5 ტომი

თუ წიგნი მრავალტომეული ნაშრომის ნაწილია, ჩართეთ ეს ინფორმაცია თქვენს მითითებებში.

**კონკრეტული ტომი.** ის, თუ როგორ მიუთითებთ მრავალტომიანი ნაშრომის კონკრეტულ ტომს, დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა ტომს მთელი ნაშრომისგან განსხვავებული სათაური. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ კონკრეტული ტომის სათაური, რომელსაც მოსდევს როგორც ტომის ნომერი, ასევე ზოგადი სათაური. შეამოკლეთ ტომი (ტ.) და ტომების ნომრებისთვის იხმარეთ არაბული ციფრები.

**R:** პელიკანი, იაროსლავი. 1989. *ქრისტიანული დოქტრინა და თანამედროვე კულტურა (1700 წლიდან). გამოცემის ქრისტიანული ტრადიცია: დოქტრინის განვითარების ისტორია* მე-5 ტ. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თუ ტომებს არ აქვს ინდივიდუალური სათაურები და თქვენ მიუთითებთ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, ბიბლიოგრაფიის მუხლს დაუმატეთ ტომის ნომერი (იხ. ქვემოთ, როგორ უნდა მიუთითოთ მთლიანად მრავალტომეული ნაშრომი).ტექსტობრივ მითითებაში ჩასვით ტომის ნომერი უშუალოდ გვერდის ნომრის წინ და განაცალკევეთ ისინი ორი წერტილით შუალედური ინტერვალების გარეშე.

**R:** ბირნი, მიურიელ სენტ-კლერი, გამომც. 1981. *ლაილის წერილები.* ტ. 4. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (ბირნი 1981, 4:243)

ზოგ მრავალტომეულ ნაშრომს ჰყავს როგორც საერთო რედაქტორი, ისე ყოველი ტომის ინდივიდუალური რედაქტორი ან ავტორი. ამგვარი ნაშრომების ნაწილების მითითებისას ბიბლიოგრაფიის მუხლში დაურთეთ ინფორმაცია ტომის ინდივიდუალური გამომცემლის ან ავტორის შესახებ (იხ. 19.1.1) ინდივიდუალური

ტომის სათაურის შემდეგ და ტომის ნომრის და საერთო სათაურის წინ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, აგრეთვე, როგორ უნდა მივუთითოთ ერთზე მეტ ფიზიკურ ნაწილში გამოქვეყნებული ტომი –*ტ.2, წ. 3.* ტექსტობრივ მითითებებში ჩაწერეთ მხოლოდ მითითებული ნაწილის ავტორი.

**R:** მუნდი, ბარბარა ე. 1998. მეზოამერიკული კარტოგრაფია. გამოცემაში *კარტოგრაფია ტრადიციულ აფრიკულ, ამერიკულ, არქტიკულ, ავსტრალიურ და წყნარი ოკეანეს საზოგადოებებში.* გამომც. დევიდ ვუდვორდი და ჯ. მალკოლმ ლიუისი, გამოცემის *კარტოგრაფიის ისტორია* ტ. 2, წ. 3, გამომც. ჯ. ბრაიან ჰარლი და დევიდ ვუდვორდი, 183-256. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (მუნდი 1998, 233)

**მთლიანი მრავალტომეული ნაშრომი.** თუ თქვენს ბიბლიოგრაფიაში მიუთითებთ მრავალტომეული ნაშრომის ერთზე მეტ ტომს, ბიბლიოგრაფიაში მიუთითეთ მთლიანი ნაშრომი (თუ ნაშრომი შეიცავს როგორც მთლიანი ნაშრომის, ასევე,კონკრეტული ტომების სათაურებს ან რედაქტორებს, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, მეტი სიზუსტისთვის საჭიროა ტომების სათითაოდ მითითება). თუ ტომები გამოიცემოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, მიუთითეთ სათაური და ტომების საერთო რაოდენობა.როგორც ბიბლიოგრაფიაში, ასევე,ტექსტობრივ მითითებებში დაურთეთ გამოქვეყნების თარიღების სრული პერიოდი.

**R:** არისტოტელე. 1983. *არისტოტელეს სრული ნაშრომები: გადახედული ოქსფორდის თარგმანი.* გამომც. ჯ. ბარნსი, 2 ტ. პრინსტონი, ნიუ ჯერსი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტილიჩი, პოლი. 1951-63. *მეთოდიკური* ***(სისტემატური)*** *თეოლოგია.* 3 ტ. ჩკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (ტილიჩი 1951-63, 2:41)

### 19.1.6 სერია

თუ მითითებული წიგნი არის ფორმალური სერიის ნაწილი, არ გევალებათ, დაურთოთ ინფორმაცია სერიის შესახებ, მაგრამ შეგიძლიათ ამის თაობაზე გარკვეული ან სრული ინფორმაციის დართვა, რათა დაეხმაროთ მკითხველებს წყაროს ადგილმდებარეობის ან მისი საიმედოობის დადგენაში. ჩასვით ეს ინფორმაცია სათაურის (და თუ ასეთი არსებობს, გამოცემის და ტომის შესახებ ინფორმაციის) შემდეგ და პუბლიკაციაზე მონაცემებისწინ.

ყველაზე სასარგებლო ინფორმაციას სერიის შესახებ შეიცავს მისი სათაური. წარმოადგინეთ იგი სწორი შრიფტით (იხ.22.3.1). თუ სერიის ტომები დანომრილია, შეგიძლიათ დაურთოთ მითითებული ნაშრომის ნომერი სერიის სათაურის შემდეგ.სერიის რედაქტორის გვარი ხშირად გამოტოვებულია, მაგრამ შეგიძლიათ მისი მითითება სერიის სათაურის შემდეგ.

**R:** მარკმენი, ჩარლზი ვ. 1991. *ისტორიამდელი ჩიკაგო: თანამედროვე დიდი ქალაქის რაიონის ისტორიამდელი არქეოლოგია.* ილინოისის არქეოლოგიური გამოკვლევები 7. სპრინგფილდი: ილინოისის ისტორიის დაცვის სააგენტო.

აიზენბერგი, ნენსი. 1998. *სექსი და მოქალაქეობრიობა ომამდელ ამერიკაში.* სქესი და ამერიკული კულტურა, გამომც. ლინდა კ. ქერბერი და ნელ ირვინ პეინტერი. ჩეპელ ჰილი: ჩრდილო კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზოგი დანომრილი სერია იმდენი ხანია არსებობს, რომ დანომვრა თავიდან იწყება. ახალი სერიის წიგნები მითითებულია ახ. სერ. (ახალი სერიები), მე-2 სერ. (მე-2 სერიები)ან სხვა მსგავსი აღნიშვნით, რომელიც, როგორც წესი, გამოყოფილია მძიმეებით, სერიის ნომრის წინ. ძველი სერიის წიგნების იდენტიფიცირება ხდება აღნიშვნით ძვ. შერ (ძველი სერიები), პირ. სერ. (პირველი სერია)*და ა.შ.*

**R:** ბოქსერი, ჩარლზი რ., გამომც. 1953. *სამხრეთი ჩინეთი მეთექვსმეტე საუკუნეში.* **ჰაკლუიტ** საზოგადოების პუბლიკაციები, მე-2 სერ., 106. ლონდონი.

პალმატარი, ელენ კ., 1950. *მარაჟოს კუნძულის კერამიკა, ბრაზილია.* ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების შრომები, **ახ. სერ.**,39, **ნაწ.** 3. ფილადელფია.

### 19.1.7 მონაცემები გამოცემაზე

მონაცემებიგამოცემაზე,ჩვეულებრივ, შეიცავს ორ ელემენტს: გამოცემის ადგილს (ქალაქს) და გამომცემლის სახელწოდებას. (გამოცემის მესამე მონაცემი – თარიღი – მითითების ამ სტილში ირთვება, როგორც ცალკე ელემენტი, ავტორის სახელის და გვარის შემდეგ; იხ.19.1.2.)

**R:** დაიამონდი, ჯარედი. 1997. *ქვემეხები, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანური საზოგადოებების ბედ-იღბალი. ნიუ იორკი:* ვ. ვ. ნორტონი და კომპანია.

წიგნებს, რომლებიც გამოქვეყნდა მეოცე საუკუნემდე ან რომელთა შესახებაც ინფორმაცია საკუთრივ ნაშრომშიარ ჩნდება, შესაძლოა, არ ჰქონდეს ზემოაღნიშნული მონაცემები პუბლიკაციაზე.

**R:** ლემი, ჩარლზი. 1823. *ელიას ესეები.*

**გამოქვეყნების ადგილი.** გამოქვეყნების ადგილი არის ქალაქი, სადაც მდებარეობს გამომცემლის მთავარი რედაქციები; იგი ჩვეულებრივად თავსდება სატიტულო ფურცელზე, ზოგჯერ კი საავტორო უფლების შემცველ გვერდზე. იქ, სადაც ორი ან მეტი ქალაქია მითითებული (მაგალითად, „ჩიკაგო და ლონდონი"), მიუთითეთ მხოლოდ პირველი ქალაქი.

ლოს ანჟელესი: ჯ. პოლ გეტი ტრასტის პუბლიკაციები

ნიუ იორკი: კოლუმბიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

მკითხველმა შესაძლოა, არ იცოდეს გამოცემის ქალაქი ან აერიოს იმავე სახელის მატარებელ სხვა ქალაქში, ამიტომდაუმატეთ მას (შტატის) (იხ. 24.3.1), პროვინციის ან (საჭიროების შემთხვევაში) ქვეყნის აბრევიატურა. როდესაც გამომცემლის სახელწოდება შეიცავს შტატის (ქვეყნის) სახელს, აღარ არის საჭირო შტატის (ქვეყნის) აბრევიატურის დართვა.

ჩეშირი, კონექტიკუტი: გრაფიკს პრესი

ჰარმონდსვორთი, გაერთიანებული სამეფო: პენგვინ ბუქს

კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა

ჩაპელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამოიყენეთ უცხო ქვეყნების ქალაქების თანამედროვე, ფართოდხმარებულისახელები.

ვაშინგტონი და არა უოშინგტონი პეკინი და არა ბეიჯინი

თუ გამოქვეყნების ადგილი არ არის ცნობილი, შეგიძლიათ იხმაროთ აბრევიატურა *უცნ. (უცნობი)*გამომცემლის სახელწოდების წინ.თუ იცით ადგილი, მაგრამ არ ხართ დარწმუნებული სიზუსტეში, ჩასვით ფრჩხილებში კითხვის ნიშნით.

უცნ.: ვინდზორი..

[ლეიკ ბლაფი, ილინოისი?): ვლიეტი და ედვარდსი

**გამომცემლის სახელწოდება.** ყოველი წიგნისთვის მიუთითეთ გამომცემლის სახელწოდება, ზუსტად ისე, როგორც მოცემულია სატიტულო ფურცელზე, მაშინაც, როდესაც თქვენთვის ცნობილია, რომ სახელწოდება მას შემდეგ შეიცვალა ან თქვენს ბიბლიოგრაფიაში მოცემულ წიგნებშისხვადასხვაგვარად იბეჭდება.

არკურ ბრეისი და ველდი

არკურ ბრეისი იოვანოვიჩი

არკურ, ბრეისი

უცხო ქვეყნების გამომცემლების შემთხვევაში, ნუ გადათარგმნით ან შეამოკლებთ გამომცემლის სახელწოდების ნებისმიერ ნაწილს. თუ გამომცემელი უცნობია, დაურთეთ მხოლოდ გამოქვეყნების ადგილი (თუ ცნობილია) და თარიღი.

### 19.1.8 გვერდების ნომრები და ადგილმდებარეობის დასადგენი სხვა ინფორმაცია

გვერდების ნომრები და ის სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება მითითებული ამონარიდის ან ელემენტის ადგილმდებარეობის დასადგენად, ჩვეულებრივ, გვხვდება ტექსტობრივ მითითებებში და არა ბიბლიოგრაფიაში.

ნომრების დიაპაზონის საჩვენებლად საჭირო სახელმძღვანელო მითითებები იხილეთ 23.2.4.

**გვერდი, თავი და გამყოფი ნომრები.** ტექსტობრივ მითითებებში გვერდების ნომრები, როგორც წესი, წიგნის მითითების ბოლო ელემენტია. ნუ დაურთავთ სიტყვას *გვერდი*ან აბრევიატურებს გვ. ან გვ.-ები;იხმარეთ არაბული ციფრები, გარდა ორიგინალში რომაული ციფრებით დანომრილი გვერდებისა.

**P:** (როუზი 1992, 145-46)

(კეიგანი1994, xxii-xxiv)

ზოგჯერ მითითება შეეხება მთლიან თავს (შემოკლებით თ.), ნაწილს (ნაწ.),წიგნს (წ.)ან სექციას (სექ.) გვერდების ნომრების დიაპაზონის სანაცვლოდ.

**P:** (მილერი 1996, ნაწ. 2)

**სპეციალური ტიპის ლოკატორები.** წიგნის ზოგიერთ ნაწილს აქვს სპეციალური ტიპის ლოკატორები, რომლებიც გამოიყენება მითითებებში.

- ***შენიშვნების ნომრები.*** შენიშვნების მითითებისთვის გამოიყენეთ აბრევიატურა *შენ. (შენიშვნა),* მრავლობითში *შენ.-ები.*თუ მითითებული შენიშვნა არის ერთადერთი სქოლიო თავის გვერდზე ან დაუნომრავი სქოლიო, დაუმატეთ *შენ.*გვერდის ნომრის შემდეგ (შუალედური ინტერვალის ან პუნქტუაციის გარეშე). თუ მითითებული შენიშვნის გვერდზე სხვა შენიშვნებიც არის, მიუთითეთ გვერდის ნომერი და შემდეგ *შენ.*ან (თუ თანმიმდევრობით მითითებულია ორი ან მეტი შენიშვნა) - *შენ.-ები*და შენიშვნის ნომერი (ნომრები).

**P:** (გრაფტონი 1997, 72 შენ.)

(ბოლინგერი 1980, 192 შენ.23, 192შენ.30, 199შენ.14, 201შენ.-ები16-17)

- ***ილუსტრაციებისა და ცხრილების ნომრები.*** იხმარეთ აბრევიატურა*ნახ.ნახატისთვის,* მაგრამ სრულად დაწერეთ *ცხრილი,რუკა,*დაფადა სხვა ტიპის ილუსტრაციების დასახელებები.მიუთითეთ გვერდის ნომერი ილუსტრაციის ნომრის წინ.

**P:** (სობელი 1993, 87, ცხრილი 5.3)

- ***სტრიქონების ნომრები.*** სტრიქონების ნომრებით იდენტიფიცირებული პოეტური და სხვა ნაშრომებისთვის მორიდეთ აბრევიატურების *სტრ.(სტრიქონი)*და სტრ.-ებიგამოყენებას; ისინი ძალზე ადვილად შეიძლება აგვერიოს ციფრებში 1 და 11. იხმარეთ სტრ. ან სტრ-ები, ან იხმარეთ მხოლოდ ციფრები იქ, სადაც ნათლად აღნიშნეთ, რომ მხედველობაში გაქვთ სტრიქონები.

**P:** (ნეში 1945, სტრიქონები 1-4)

- ***თაბახის, ფურცლებისა და ფორმატების ნომრები.*** ზოგიერთ წიგნს, რომელიც დაიბეჭდა 1800 წლამდე, არა აქვს გვერდების ნომრები და დაყოფილია თაბახებად, შემდეგ ფურცლებადან ფორმატებად.ყოველ მათგანს აქვს წინა მხარე (*recto* ან *r*) და უკანა მხარე (*verso ან v*). ამ ნაშრომების ლოკატორები უნდა შედგებოდეს შესაბამისი ციფრებისა და იდენტიფიკატორების ჯაჭვისგან, ინტერვალების ან დახრილი შრიფტით დაწერილი ნიშნების გარეშე: მაგალითად, G6v, 176r, 232r-v.

**URL-ები, მუდმივი წყაროს იდენტიფიკატორები, შესვლის თარიღები და აღწერილობითი მაჩვენებლები.** ინტერნეტში გამოქვეყნებული წიგნს (იხ.19.10) URL-ი დაურთეთ მხოლოდ ბიბლიოგრაფიის მუხლში. ყოველი URL-ი იწყება იმ პროტოკოლის ნუსხური ასოებით შედგენილი აბრევიატურით, რომელიც გამოიყენება მკითხველებისთვის ელექტრონული მასალის მისაწოდებლად, ყველაზე ხშირად *http* და *ftp*. ამ აბრევიატურას მუდმივად მოსდევს ორი წერტილი და ორი დახრილი ხაზი, რის შემდეგაც მოდის გამომცემლის დომეინური სახელი, რომელსაც მოსდევს რესურსის მისამართი. დომენური სახელის მომდევნო კომპონენტები განცალკევებულია მისგან და ერთმანეთისგან ერთი დახრილი ხაზით.

http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six

მთავრული ასოების დასმა URL-ის შიდა კომპონენტებში ხდება ზუსტად ისე, როგორც ისინი წარმოგვიდგება ეკრანზე. თუ URL-ს „დამასრულებელი დახრილი ხაზი“ აქვს ბოლოში, ჩართეთ იგი. თუ ჩასვამთ URL-ს ფრჩხილებში,სასურველია, რომ URL-ი არ დაირღვეს სტრიქონის ბოლოს, მაგრამ თუ ამის გაკეთებასაჭიროა, იხილეთ 20.4.2 სახელმძღვანელო მითითებების მოსაპოვებლად.

ზოგ ინტერნეტ წყაროს URL-ების გარდა სხვა მუდმივი იდენტიფიკატორებიც აქვს. თუ წყარო იყენებს ციფრული ობიექტის

იდენტიფიკატორებსან მსგავს სისტემას, დაურთეთ ინფორმაცია, რომლის შედარება შესაძლებელი იქნება თქვენს მითითებაში არსებულ URL-თან.

doi: 10. 1006/jeth.2000.2694

ნებისმიერი ინტერნეტ წყაროს მითითებისას დაურთეთ ამ წყაროში უკანასკნელად შესვლის თარიღი, თუ ისე მოხდა, რომ მას შემდეგ შინაარსი შეიცვალა ან ამოღებულია ინტერნეტიდან (იხ.15.4.1). შეღწევის თარიღი ჩასვით ფრჩხილებში URL-ის ან მუდმივი იდენტიფიკატორის შემდეგ.

(ბოლოშესვლის თარიღი: 17 მაისი, 2006)

ინტერნეტში გამოქვეყნებული წიგნები შეიძლება, არ შეიცავდეს გვერდების ნომრებს, რომლებიც გვეხმარებატექსტობრივ მითითებებში ნაჩვენები ამონარიდის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებაში. ასეთ შემთხვევაში, შეგიძლიათ,URL-ის და შესვლისთარიღის წინ დაუმატოთ აღწერილობითი მაჩვენებელი,როგორიცაა, მაგალითად, წინა ქვესათაური (იხ., მაგალითად, 19.1.10). აუცილებელი არ არის ამგვარი მაჩვენებლის ჩართვა ბიბლიოგრაფიის მუხლში.

**19.1.9 თავები და წიგნის სხვა დასათაურებული ნაწილები**

უმეტეს შემთხვევაში,უნდა მიუთითოთ ნებისმიერი იმ წიგნის მთავარი სათაური, რომელშიც შემოთავაზებულია ცალკეული, უწყვეტი არგუმენტი ან თხრობა, მაშინაც, როცა თქვენ, ფაქტობრივად,მის მხოლოდ ერთ რომელიმე ნაწილსიყენებთ. თუ ხელმძღვანელობთ იმ წიგნის მხოლოდ ერთი ნაწილით, რომელიც წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე ავტორის მიერ სხვადასხვა თემაზე დაწერილი დამოუკიდებელი ნაშრომების კრებულს, შეგიძლიათ, მიუთითოთ მხოლოდ ის ერთი თავი ან ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს გამოკვლევას. ამითდაეხმარებით მკითხველს,დაინახოს, რამდენად მიესადაგება წყარო თქვენს პროექტს.

**R:** დემოსი, ჯონი. 2001. რეალური ცხოვრების ისტორიები და სხვა მოკლე მოთხრობები (**ნოველები**): უოლას სტეგნერის „საუკუნო განსვენების ანგელოზის“ ხელახალი განხილვა. გამოცემაში ***რომანის*** *ისტორია: ისტორიკოსები და რომანისტები უპირისპირდებიან ამერიკის წარსულს (და ერთმანეთს),* გამომც. მარკ კ. კარნესი, 132-45. ნიუ იორკი: საიმონი და შუსტერი

**P:** (დემოს 2001, 137)

*ნაცვლად შემდეგისა:*

**R:** კარნესი, მარკი კ., გამომც. 2001. ***რომანის** ისტორია: ისტორიკოსები და რომანისტები უპირისპირდებიან ამერიკის წარსულს (და ერთმანეთს).* ნიუ იორკი: საიმონი და შუსტერი.

**P:** (კარნესი 2001, 131)

**ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნების ნაწილები.** თუ მიუთითებთ ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნის დასათაურებულ ნაწილს, ბიბლიოგრაფიაში უნდა შევიდეს, პირველ რიგში, ამ ნაწილის სათაური, სწორი შრიფტით, ბრჭყალების გარეშე, შემდეგ წერტილი. აღნიშვნის„*წიგნში*" შემდეგ მიუთითეთ წიგნის სათაური, შემდეგ ამ ნაწილის გვერდების ნომრები სრული ინტერვალით.

**R:** ჩესტინი, ჯონი ჩარლზი. 2001. ნეოკოლონიალიზმი. გამოცემაში *სისხლში და ცეცხლში დაბადებულნი: ლათინური ამერიკის მოკლე ისტორია, 179-206.* ნიუ იორკი: ვ. ვ. ნორტონი და კომპანია

თუ მიუთითებთ ნაწილს საერთო სათაურით, როგორიცაა,*შესავალი, წინასიტყვაობა* ან *ბოლოსიტყვაობა,* ჩასვით ეს ტერმინი წიგნის სათაურის წინ. მიუთითეთ საერთო სათაური სწორი შრიფტით ბრჭყალების გარეშე და დაიწყეთ მთავრული ასოთი მხოლოდ პირველი სიტყვა.

თუ ეს ნაწილი დაწერილია სხვა და არა წიგნის ძირითადი ავტორის მიერ, მიუთითეთ მისიდა წიგნის ავტორის გვარი სათაურის შემდეგ; ტექსტობრივ მითითებებში მოხსენიებულია მხოლოდ ნაწილის ავტორის გვარი.

**R:** კროსბი, ალფრედი ვ. 2004. *წიგნის ეკოლოგიური იმპერიალიზმი: ევროპის ბიოლოგიური ექსპანსია, 900-1900* ახალი გამოცემისწინასიტყვაობა. ახალი გამოც. ნიუ იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კალხუნი, კრეიგი. 2005. წიგნის *მრავალკულტურული პოლიტიკა: რასიზმი, ეთნიკური კუთვნილება და მუსულმანები ბრიტანეთში* წინასიტყვაობა, ავტორი ტარიკ მოდუდი. მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (კალხუნი 2005, xv)

**რედაქტირებული კრებულების ნაწილები.** თუ ბიბლიოგრაფიაში მიუთითებთ რედაქტირებული კრებულის ნაწილს, რომელიც მოიცავს მრავალი ავტორის ნაშრომს, პირველ რიგში, მიუთითეთ ნაწილის ავტორი, თარიღი და ნაწილის სათაური (სწორი შრიფტით, ბრჭყალების გარეშე). შიტყვის„*წიგნში*" შემდეგ მიუთითეთ წიგნის სათაური, რედაქტორის გვარი და ამ ნაწილის გვერდების ნომრები სრული ინტერვალით. ტექსტობრივ მითითებებში მოიხსენიება მხოლოდ ნაწილის ავტორის გვარი.

**R;** კარი, ენი და დუგლას ჯ. შუურმანი. 1996. რელიგია და ფემინიზმი: რეფორმისტი ქრისტიანის ანალიზი. გამოცემაში: *რელიგია, ფემინიზმი და ოჯახი,* გამომც. ენ ქარი და მერი სტიუარტ ვან ლევე, 11-32. ლუისვილი, კენტუკი: ვესტმინსტერის ჯონ ნოქსის გამომცემლობა.

**P:** (კარიდა შუურმანი 1996, 13-14)

თუ მიუთითებთ ერთსა და იმავე რედაქტირებულ კრებულში შემავალ ორ ან მეტ ნაშრომს, შეგიძლიათ მიიჩნიოთ ისინი ცალკეულ წყაროებად ან, სივრცის დაზოგვის მიზნით, შეგიძლიათ, გამოიყენოთ შემოკლებული ფორმა. ბიბლიოგრაფიაშისრულად მიუთითეთ მთლიანი წიგნი და შემოკლებით – ყოველი ინდივიდუალური ნაწილი. მუკანასკნელს დაურთეთ ავტორის სახელი და გვარი, გამოქვეყნების თარიღი და ნაწილის სრული სათაური; სიტყვის*„წიგნში”* შემდეგ დაურთეთ წიგნის რედაქტორის არასრულისახელი (მხოლოდ გვარი), გამოქვეყნების თარიღი და ამ ნაწილის გვერდების ნომრები სრული ინტერვალით.

**R:** ენგლი, პოლი მ., გამომც. 1967. *პრერიების შტატი: შთაბეჭდილებები ილინოისიდან, 1673-1967, შედგენილი მოგზაურების და სხვა დამკვირვებლების მიერ.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიტინგი, ვილიამი ჰ. 1967. ფორტი დიებორნი და ჩიკაგო. ჟურნალი ენგლი 1967, 84-87.

ლიპინკოტი, სარა კლარკი. 1967. ჩიკაგო. ჟურნალი ენგლი 1967, 362-70.

ამ ფორმის გამოყენების შემთხვევაში,ტექსტობრივი მითითებები უნდა ეხებოდეს მხოლოდ ნაწილებს და არა მთლიანად წიგნს.

**P:** (კიტინგი 1967, 84), ***არასწორია*** (ენგლი 1967, 84)

(ლიპინკოტი 1967, 362), ***არასწორია*** (ენგლი 1967, 362)

**ანთოლოგიებში მოქცეული ნაშრომები.** მიუთითეთ ანთოლოგიაში დაბეჭდილი მოკლე მოთხრობა, პოემა, ლექსი ან ნაკვევი, ესე ან სხვა ნაშრომი ისევე, როგორც მიუთითებდით მრავალი ავტორის მიერ რედაქტირებულ კრებულში შემავალ ნაშრომს. ანთოლოგიებში გამოქვეყნებული უმეტესი ნაშრომების სათაურები დაწერეთ სწორი შრიფტით. ამონაკლისიაამონარიდის სათაურიდიდი მოცულობის პოემიდან ან პროზაული ნაწარმოებიდან, რომელიც უნდა დაიწეროს დახრილი შრიფტით (იხ.22.3.2).

**R:** ალენდე, იზაბელი. 1997. სულებს სურდათ. *ლათინურ-ამერიკული ესეების ოქსფორდის წიგნში,* გამომც. ილან სტავანსი, 461-67. ნიუ იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვიგლსვორთი, მაიკლი, 2003. ამონარიდი *ბედისწერის დღიდან.* გამოცემაში *ამერიკული პოეზიის ახალი ანთოლოგია: ტრადიციები და რევოლუციები, **საწყისები დათარიღებული 1900 წლით,*** გამომც. სტივენ გულდ აქსელროდი, კამილ რომენი და თომას ტრავისანო,68-74. ნიუ ბრანსუიკი, ნიუ ჯერსი: რატჯერსის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (ალენდე 1997, 463-64)

(ვიგლსვორთი 2003, 68)

თუ ნაწარმოების ორიგინალური გამოცემის თარიღი მნიშვნელოვანია თქვენი ნაშრომის კონტექსტიდან გამომდინარე, დაურთეთ იგი ფრჩხილებში ანთოლოგიის გამოქვეყნების თარიღის წინ როგორც ბიბლიოგრაფიაში, ისე,ტექსტობრივ მითითებებში.

**R:** ვიგლსვორთი, მაიკლი. [1662] 2003. ამონარიდი … დან

**P:** (ვიგლსვორთი [1662] 2003, 68)

**19.1.10ონლაინ და სხვა ელექტრონული წიგნები**

ონლაინ წიგნების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ ნაბეჭდი წიგნებისთვის გათვალისწინებული სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ჩვეულებრივი ელემენტებისა, დაურთეთ URL-ი და თქვენს მიერ მასალის ბიბლიოგრაფიაში შეტანის თარიღი (იხ, 15.4.1, 19.1.8). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი საკმარისი არ არის; უნდა წარმოადგინოთ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი, რამდენადაც შესაძლებელი იქნება მათი დადგენა, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მიგნება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება URL-ი. თუ არ არის გვერდების ნომრები, მითითებული ამონარიდის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება შეგიძლიათ ტექსტობრივ მითითებებში აღწერილობითი მაჩვენებლის დამატებით (როგორიცაა წინა ქვესათაური) სიტყვის*ქვე*შემდეგ.

**R:** სამორა, ჯულიანი და პატრიცია ვანდელ საიმონი. 2000. *მექსიკელ-ამერიკელი ხალხის ისტორია.* გადახედ. გამოც. ისტ ლანსინგი, მიჩიგანი: ჯულიან სამორას კვლევითი ინსტიტუტი, მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტი.http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six (ბოლოს შესვლის თარიღი: 2005 წლის 19 დეკემბერი).

**P:** (სამორა და ვანდელ საიმონი 2000, გამოცემაში „სამოქალაქო ომი მექსიკაში")

*ან*

(სამორა და ვანდელ საიმონი 2000)

როდესაცმიუთითებთ სხვა ელექტრონულ ფორმატებში გამოცემულ ისეთ წიგნებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად წიგნების გამყიდველისგან ან ბიბლიოთეკიდან, მიუთითეთ ფორმატი (CD-ROM, მაიკროსოფტის ელ-წიგნების წამკითხველი).

**R:** დავენპორტი, თომასი ჯონ ბეკი, 2001. *სასიგნალო ეკონომიკა: ბიზნესში ფულის მიმოქცევის ახალი საშუალებების გაგება (ბიზნესის ახალი გავრცობილობის გაგება)* კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის ბიზნესის სკოლის გამომცემლობა. პროგრამის TK3 რიდერის ელექტრონული წიგნი.

ჰელმანი, ჰელი. 2004. *დიდი შინაბრძოლები ტექნოლოგიაში: ათი დავა ყველაზე გაცხოველებული დავებიდან.*ნიუ იორკი: ჯონ უაილი. ელექტრონული წიგნი.

## 19.2 სამეცნიერო ჟურნალების სტატიები

პერიოდული გამოცემების უმრავლესობა, რითაციხელმძღვანელებთ ნაშრომის მომზადებისას, კლასიფიცირდება როგორც ჟურნალები - სამეცნიერო ან პროფესიული პერიოდული გამოცემები, რომლებიც ხელმისაწვდომია, უპირველეს ყოვლისა, აკადემიურ ბიბლიოთეკებში და გამოწერით. ჟურნალები ხშირად,თუმცა, არა ყოველთვის (*მაგ.Signs),*სათაურებში შეიცავს სიტყვას„ჟურნალი" (თანამედროვე ისტორიის ჟურნალი).პოპულარულიჟურნალები, როგორც წესი, არ არის სამეცნიერო გამოცემები; ისინი უფრო ხელმისაწვდომია მკითხველებისთვის, ვიდრე სამეცნიერო ჟურნალები როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე მათი აკადემიური გარემოს ფარგლებს გარეთ გავრცელების გამო. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამეცნიერო ჟურნალების სტატიებისა და მასებზე გათვლილი პოპულარული ჟურნალების სტატიების მითითება სხვადასხვანაირად ხდება. თუ არა ხართ დარწმუნებული, რა პერიოდულ გამოცემასთან გაქვთ საქმე – სამეცნიერო თუ მასობრივ-პოპულარულ ჟურნალთან - ნახეთ, ხომ არ შეიცავს ჟურნალის სტატიები მითითებებს; თუ პასუხი დადებითია, მიიჩნიეთ იგი სამეცნიეროდ.

**19.2.1 ავტორის სახელი და გვარი**

მიუთითეთ ავტორების სახელი და გვარი ზუსტად ისე, როგორც ესსტატიების სათაურებშია გაკეთებული. იხელმძღვანელეთ19.1.1-ში მოცემული წიგნების ავტორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით.

**19.2.2 გამოქვეყნების თარიღი**

სამეცნიერო ჟურნალისსტატიის გამოქვეყნების ძირითადი თარიღი მხოლოდ წელია. ბიბლიოგრაფიის მუხლში გამოყავით ის, როგორც მისი საკუთარი ელემენტი, ხოლო ავტორის სახელის და გვარის შემდეგ დასვით წერტილი. ტექსტობრივ მითითებებში დასვით იგი ავტორის გვარის შემდეგ შუალედული პუნქტუაციის გარეშე.

**R:** ბერნსი, სარა. 2005. მხატვრის სხეულის შეკვეთა: თომას იკინსის მიერ ავტოპორტრეტების შექმნის მცდელობები. *ამერიკული ხელოვნება.* 19, № 1 (გაზაფხული): 82-107.

ჯენკინსი, ჯ. კრეიგი, დევიდ ჯეკობსი და ჯოუნ ანიონი. 2003. პოლიტიკური შესაძლებლობები და აფრიკულ-ამერიკული პროტესტი, 1948-1997. *ამერიკის სოციოლოგიური ჟურნალი*109, №. 2 (სექტემბერი): 277-303.

**P:** (ბერნსი 2005, 95)

(ჯენკინსი, ჯეკობსი, დაანიონი2003, 298-99)

მიაქციეთ ყურადღება, რომ დამატებითი ინფორმაცია თარიღის შესახებ,შესაძლებელია, მოგვიანებით გამოჩნდეს ფრჩხილებში ბიბლიოგრაფიის მუხლში, ტომის ნომრის შემდეგ (ან გამოშვების ნომრის შემდეგ, თუ იქნება; იხ. 19.2.5)

თუ სტატია მიღებულია გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ჯერ არ გამოქვეყნებულა, იხმარეთ ფრაზა(გამოვა ახლო მომავალში) თარიღის (და გვერდების ნომრების) სანაცვლოდ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამ ტიპის ტექსტობრივ მითითებებში დასვით მძიმე ავტორის გვარის შემდეგ. ნებისმიერი სტატია, რომელიც ჯერ არ არის მიღებული გამოსაცემად, ჩათვალეთ გამოუქვეყნებელ ხელნაწერად (იხ. 19.6).

**R:** ავტორი, მარგარეტ მ. გამოვა ახლო მომავალში. სტატიის სათაური. *ჟურნალის სახელწოდება* 98.

**P:** (ავტორი, გამოდის ახლო მომავალში)

### 19.2.3 სტატიის სათაური

ჩამოთვალეთ სტატიის სრული სათაურები და ქვესათაურები.გამოიყენეთ სწორი შრიფტი, გამოყავით სათაური ქვესათაურისგან ორი წერტილით და ნუ იხმართ ბრჭყალებს. დასვით მთავრული ასოები წინადადების სტილის დაცვით (იხ. 22.3.1).

**R:** გრინი, ნენსი ლ. 2005. გამოსვლის პოლიტიკა: იმიგრაციის პარადიგმის მკვეთრი შეცვლა. *თანამედროვე ისტორიის ჟურნალი*77 (ივნისი): 263-89.

ისეთი ტერმინები, როგორიცაა სახეობების სახელწოდებები და წიგნების სათაურები, რომლებიც, როგორც წესი, დახრილი შრიფტით იწერება ტექსტში, კვლავ დახრილი შრიფტით დაიწერება სტატიის სათაურში; ტერმინები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ციტირებულია ტექსტში, კვლავ რჩება ორმაგ ბრჭყალებში. ნუ დასვამთ მძიმეს ან წერტილს სტატიის იმ სათაურის ან ქვესათაურის შემდეგ, რომელიც სრულდება კითხვის ან ძახილის ნიშნით.

**R:** ლიუისი, ჯუდითი. 1998. „უბედურებაა დიდგვაროვან მანდილოსნად ყოფნა": დედათა სიკვდილიანობა ბრიტანეთის არისტოკრატიაში, 1558-1959. *ბრიტანული გამოკვლევების ჟურნალი* 37:26-40.

ლოფტენი, პიტერი.ექო (გამოხმაურებები) კალამბურსა და მახვილგონიერებას (ფარიკაობას) შორის *ჰალმეტ შიაელიანური კვლევები.* 2:12-29.

ვილიამსონი, ჯორჯი ს. რამ მოკლა ავგუსტ ფონ კოცებუ? სათნოების ცდუნებები და გერმანული ნაციონალიზმის პოლიტიკური თეოლოგია, 1789-1819. *თანამედროვე ისტორიის ჟურნალი* 72 (დეკემბერი): 890-943.

უცხოენოვან სათაურებში მთავრული ასოების გამოყენება საჭიროა კონკრეტული ენის ტრადიციების შესაბამისად „წინადადების სტილის" დაცვით. ნუ დაურთავთ თარგმანს, ჩასვით იგი ფრჩხილებში, ბრჭყალების გარეშე.

**R:** Bouchard, Gკrard. 1979. Un essair d'anthropologie rკgionale: L'histoire sociale du Saguenay aux XIXe et XXe sièсles. Annales: Économies, sociètés, civilisations 34 (იანვარი): 118-34. (ფრანგული)

Kern, W. 1938.Waar verzamelde Pigafetta zijn Maleise woorden? [სად შეაგროვა პიგაფერამ მისი მალაზიური სიტყვები?] Tijdschrift voor indische taal-, land- en volkenkunde 78:271-73. (ჰოლანდიური?)

### 19.2.4 სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება

სტატიის სათაურის შემდეგ მიუთითეთ ჟურნალის სათაური დახრილი შრიფტით, „სათაურის სტილში" (იხ. 22.3.1). მიუთითეთ სათაური ზუსტად ისე, როგორც ჟურნალის სატიტულო ფურცელზე ან შინაარსის თავზეა; ნუ იხმართ

აბრევიატურებს.თუ ოფიციალური სათაური არის აბრევიატურა, ნუ გაშიფრავთ მას.უცხოენოვანი ჟურნალებისთვის მთავრული ასოები შეგიძლიათ დასვათ როგორც სათაურის, ასევე, წინადადების სტილში.თუმცა, უნდა დატოვოთ ყველა საწყისი არტიკლი *(Der Spiegel)*.

**19.2.5 ინფორმაცია გამოცემის შესახებ**

გარდა პუბლიკაციის თარიღისა, ბიბლიოგრაფიის მუხლების უმრავლესობა შეიცავს ტომის ნომერს და გამოცემის ნომერს. მკითხველებს შეიძლება, არ დასჭირდეთ ყველა ეს ელემენტი სტატიის მოსაძებნად, მაგრამ ყველა მათგანის მითითებით თავიდან ვიცილებთ ერთ-ერთ მათგანში შეცდომის გაპარვის შესაძლებლობას.

ტომის ნომერი მოსდევს ჟურნალის სათაურს შუალედური სასვენი ნიშნის გარეშე და არ იწერება დახრილი შრიფტით. იხმარეთ არაბული ციფრები მაშინაც, როცა თავად ჟურნალი იყენებს რომაულ ციფრებს. გამოცემის ნომრის არსებობის შემთხვევაში, იგი მოსდევს ტომის ნომერს, გამოყოფილია მძიმით და მას წინ უსწრებს *ნომ.* თუ გარდა გამოქვეყნების წლისა, თარიღთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია გაქვთ (იხ.19.2.2), დაურთეთ იგი ფრჩხილებში ტომის და გამოცემის ნომრების შემდეგ.ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ ჟურნალის წესებით; ინფორმაციამ შეიძლება, მოიცვას წელიწადის დრო, თვე ან ზუსტი დღე. დაიწყეთ ჟურნალებში მითითებული წელიწადის დროების სახელები მთავრული ასოთი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტექსტში არ წერია მთავრულით.

**R:** მეკაი, კრისტოფერი, ს. 1999. ლაქტანციუსი და დიოკლეტიანეს ტახტის მემკვიდრე. *კლასიკური ფილოლოგია* 94, № 2:198-209.

კუმარ, რაჰული. 2003. გონივრული საფუძვლები კონტრაქტუალისტურ მორალურ არგუმენტში.*ეთიკა* 114 (ოქტომბერი): 6-37.

როდესაც ჟურნალი იყენებს მხოლოდ გამოცემების ნომრებს ტომების ნომრების გარეშე, ჟურნალის სათაურს მოსდევს მძიმე.

**R:** ბიტი, ჯ. მ. 1974. დანაშაულის ხასიათი (სურათი, მოდელი, სქემა) ინგლისში, 1660-1800. წარსული და აწმყო, № 62:47-95.

**19.2.6 გვერდების ნომრები და ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია**

ბიბლიოგრაფიის მუხლებში მიუთითეთ სტატიის გვერდების ნომრები სრული ინტერვალით (იხ.23.2.4). ტრადიციისამებრ, ბიბლიოგრაფიებში ჟურნალის სტატიების გვერდების ნომრები მოსდევს ორ წერტილს და არა მძიმეს. როდესაც

ფრჩხილებში მოქცეული დამატებითი ინფორმაცია თარიღზე უშუალოდ წინ უსწრებს ორ წერტილს, დატოვეთ ინტერვალი ორი წერტილის შემდეგ; როდესაც ტომის ან გამოცემის ნომერი უშუალოდ წინ უსწრებს ორ წერტილს, ნუ დატოვებთ ინტერვალს ორი წერტილის შემდეგ.

**R:** ჰიჩკოკი, ტიმი. 2005. მათხოვრობა მეთვრამეტე საუკუნის ლონდონის ქუჩებში. *ჟურნალი ბრიტანული გამოკვლევები* 44, № 3 (ივლისი): 478-98.

გოულდი, ანა გროძინსი. 1998. სიმართლის მარცვლები: პურისა და მოწყალების ცვალებადი იერარქიები სამ რაჯასტანულ ზღაპარში. გამოცემა *რელიგიების ისტორია* 38, № 2:150-71.

თუ ტექსტობრივ მითითებებში მიუთითებთ კონკრეტულ ნაწყვეტს, დაურთეთ მხოლოდ მითითებული კონკრეტული გვერდი (გვერდები), რომელსაც(რომლებსაც) წინ უსწრებს მძიმე (და არა ორი წერტილი).

**P:** (ჰიჩკოკი 2005, 478)

(გოულდი 1998, 152-53)

ინტერნეტში გამოქვეყნებული ჟურნალის სტატიების მითითებისას, დაურთეთ გვერდების ნომრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და URL-ი (ან მუდმივი იდენტიფიკატორი)და, ასევე, სტატიის მოპოვების თარიღი. დეტალების და მაგალითების გასაცნობად, იხილეთ 19.2.8. URL-ებში პუნქტუაციის გამოყენების ზოგადი პრინციპების გასაცნობად, იხილეთ 19.1.8.

### 19.2.7 სპეციალური გამოცემები და დამატებები

*სპეციალური გამოცემა* არის ერთი თემისადმი მიძღვნილი ჟურნალის გამოცემა. იგი ატარებს ტომის და გამოცემის ჩვეულებრივ ნომრებს. თუ სპეციალურ გამოცემას აქვს საკუთარი სათაური და ჰყავს რედაქტორი, დაურთეთ ორივე ბიბლიოგრაფიის მუხლს.სათაური მოცემულია სწორი შრიფტით და ჩასმულია ბრჭყალებში. ტექსტობრივ მითითებებში დაურთეთ მხოლოდ მითითებული ნაწილის ავტორი.

**R:** ჯოუნსი, მეთიუ ლ. დეკარტის გეომეტრია, როგორც სულიერი ვარჯიში (სწავლება, მომზადება) 2001. ნაშრომში „საგნები“, გამომც. ბილ ბრაუნი. სპეციალური გამოცემა, *კრიტიკული ძიებების ჟურნალი*28, № 1 (შემოდგომა): 40-71.

**P:** (ჯოუნსი 2001, 43-44)

თუ გესაჭიროებათ მთლიანად გამოცემის მითითება, გამოტოვეთ სტატიასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

**R:** ბრაუნი, ბილი, გამოც. 2001. „საგნები“. სპეციალური გამოშვება, *კრიტიკული ძიებების ჟურნალი*28, № 1 (შემოდგომა).

ჟურნალის *დამატებას*,ასევე, შეიძლება,ჰქონდეს საკუთარი სათაური და ჰყავდეს ავტორი ან რედაქტორი. სპეციალური გამოცემისგან განსხვავებით, იგი ჟურნალის ჩვეულებრივი გამოცემებისგანცალკე ინომრება; ხშირად მისი გვერდების ნომრების ნაწილია ასო *S*. დასვით მძიმე ტომის ნომერსა და დამატების ნომერს შორის.

**R:** იკლენდი, ივარი, ჯეიმს ჯ. ჰეკმანი და ლარსი ნეშეიმი. 2004. **ჰედონისტური** მოდელების გამოვლენა და შეფასება. სტატიაში „გამოკვლევები შერვინ როზენის პატივსაცემად“, *პოლიტიკური ეკონომიკის ჟურნალი*112, S1 (თებერვალი): S60-S109.

### 19.2.8 ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიები

ონლაინ ჟურნალებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ ბეჭდვითი ჟურნალების სტატიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, დაურთეთ URL-ი და თქვენს ბიბლიოგრაფიაში შეყვანილი მასალის მოპოვების თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი არ არის საკმარისი; თქვენ უნდა მიუთითოთ პუბლიკაციის ყველა ფაქტი, რამდენადაც შესაძლებელია მათი დადგენა, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. ონლაინ ჟურნალებში განთავსებულ სტატიებში შეიძლება, არ მოიპოვებოდეს გვერდების ნომრები, განსაკუთრებით, თუ ისინი არ ქვეყნდება ბეჭდვითი ჟურნალების პარალელურად. თუ გვერდების ნომრები არარსებობს, ტექსტობრივ მითითებებში მოცემული ნაწყვეტის ადგილის იდენტიფიცირება შეგიძლიათ აღწერილობითი მაჩვენებლის (როგორიცაა წინა ქვესათაური) დამატებითსიტყვის*ქვეშ* შემდეგ.

**R:** უზი, ბრაიანი და ჯარეტ სპაირო. 2005. თანამშრომლობა და შემოქმედება: პატარა სამყაროს პრობლემა. ჟურნალი *American Journal of Sociology* 111, №2 (სექტემბერი).http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html (ბოლოს შესვლის თარიღი 2005 წლის 19 დეკემბერი).

**P:** (უზი და სპაირო 2005, სათაურის „მილგრემის პატარა სამყაროს თეორია“ ქვეშ)
*ან*
(უზი და სპაირო 2005)

სტატიების ონლაინ მონაცემთა ბაზები, როგორც წესი, შეიცავს მითითებებისთვის საჭირო ყველა ელემენტის ჩამონათვალს. დაურთეთ

მითითებული სტაბილური URL-ი, რომელიც, ასევე, ახდენს იმ მონაცემთა ბაზის იდენტიფიცირებას, რომლითაც თქვენ იხელმძღვანელეთ სტატიის მითითებისას.

**R:** შაპირო, ლორენსი ა. 2000. მრავალჯერადი რეალიზაციები. *ფილოსოფიის ჟურნალი* 97, № 12 (დეკემბერი): 635-54. http://links.jstor.org/sici?sici=0022-362X%28200012%2997%3A12%3C635%3AMR%3E2.0.CO%3B2-Q(ბოლო შესვლის თარიღი 27, 2006).

**P:** (შაპირო 2000, 642)

## 19.3 პოპულარული ჟურნალების სტატიები

სამეცნიერო ჟურნალების მითითებისთვის საჭირო ყველა სახელმძღვანელო მითითება (იხ.19.2) თანაბრად ვრცელდება პოპულარულ ჟურნალებზე. დაწერეთ სტატიების სათაურები სწორი შრიფტით, ბრჭყალების გარეშე და მთავრული ასოების დასმით წინადადების სტილში; დაწერეთ ჟურნალის სათაურები დახრილი შრიფტით, ხოლო მთავრული ასოები დასვით სათაურის სტილში (იხ.22.3.1).

უმეტეს შემთხვევაში, მიუთითეთ მხოლოდ ყოველკვირეული ან ყოველთვიური ჟურნალების თარიღი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დანომრილიატომებისა და გამოცემების მიხედვით. ბიბლიოგრაფიის მუხლებში დაურთეთ წელი თავის ჩვეულ ადგილზე, ხოლო ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია თარიღთან დაკავშირებით (როგორიცაა თვე ან ზუსტი დღე) – ჟურნალის სათაურის შემდეგ, თუმცა არა ფრჩხილებში. თუ ტექსტობრივ მითითებებში მიუთითებთ კონკრეტულ ნაწყვეტს, დაურთეთ მისი გვერდის ნომერი.ბიბლიოგრაფიის მუხლში კი შეგიძლიათ, გამოტოვოთ სტატიის გვერდების ნომრები, ვინაიდან პოპულარული ჟურნალების სტატიები მოიცავს მრავალ გვერდს, რომლებზეც განთავსებულია გარეშე მასალები. თუ ბიბლიოგრაფიის მუხლს დაურთავთ გვერდების ნომრებს, იხმარეთ მძიმე ორი წერტილის ნაცვლად, რათა გამოყოთ ისინი გამოცემის თარიღისგან.

**R:** შაპირო, მარკი. 2004. ახალი ძალაუფლება „ძველი ევროპისთვის“. *ნეიშენ*, 27 დეკემბერი.

**P:** (შაპირო2004, 12-13)

თუ მიუთითებთ განყოფილებას ან სვეტს, რომელიც რეგულარულად გამოდის, დაუსვით მთავრული ასოები სათაურის სტილში და ნუ ჩასვამთ

ბრჭყალებში. დასახელებული ავტორის არმქონე განყოფილების შემთხვევაში, ავტორის ნაცვლად, გამოიყენეთ ჟურნალის სახელწოდება.

**R:** უოლრეფი, ბარბარა. 2005. სიტყვის სასამართლო, ჟურნალი *ატლანთიქ მანსლი,*ივნისი, 128.

*ნიუ იორკერი.* 2000. ყველა ცნობილი ადამიანი. 10 აპრილი.

**P:** **(**უოლრეფი 2005, 128)

(*ნიუ იორკერი*2000, 15)

პოპულარული ონლაინ ჟურნალების მითითების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ პოპულარული ბეჭდვითი ჟურნალების სტატიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, დაურთეთ URL-ი და თქვენს ბიბლიოგრაფიაში შეყვანილი მასალის მოპოვების თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი საკმარისი არ არის; თქვენ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყველა ფაქტიუნდაწარმოადგინოთ სრულად, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება იმ შემთხვევაშიც, თუ შეიცვლება URL-ი. პოპულარულ ონლაინ ჟურნალებში განთავსებულ სტატიებში შეიძლება, არ იყოს მითითებული გვერდების ნომრები, მაგრამ მითითებული ნაწყვეტის ადგილის იდენტიფიცირება შეგიძლიათ ტექსტობრივ მითითებებში სიტყვის *ქვე*შემდეგაღწერილობითი მაჩვენებლის (როგორიცაა წინა ქვესათაური)დამატებით.

**R:** ფერისი, სტეფანი, 2005. „თავისუფლება“: არ არის აღმოჩენილი არცერთი დოკუმენტი. ონლაინ ჟურნალი *Salon.com,* 16 დეკემბერი.http://www.salon.com/tech/feature/2005/12/16/censorship/index1.html (ბოლოს შესვლის თარიღი 2005 წლის 19 დეკემბერი).

**P:** (ფერისი 2005, სათაურის „ინტერნეტს არ გააჩნია მეხსიერება ჩინეთში“ ქვეშ)

*ან*

(ფერისი2005)

## 19.4 საგაზეთო სტატიები

ზოგადად, თქვენს ბიბლიოგრაფიაში მიუთითეთ ყოველდღიურგაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და სხვა მასალა ისე, როგორც მიუთითებდით პოპულარულ ჟურნალებში განთავსებულ სტატიებს (იხ.19.3). ხელმოუწერელი სტატიის შემთხვევაში, ავტორის ნაცვლად გამოიყენეთ გაზეთის სახელწოდება.

ვინაიდან გაზეთს შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე ოდნავ განსხვავებული შინაარსის გამოცემა, შეგიძლიათ, დააზუსტოთ, რომელი გამოცემით იხელმძღვანელეთ და დაუმატოთ ფრაზები *ბოლო გამოცემა, შუა დასავლეთის გამოშვება*ან სხვა მსგავსი იდენტიფიკატორი.

**R:** კამინი, ბლერი. 2005. რიგლის შენობა – აშკარა ღირსშესანიშნაობა. *ჩიკაგო ტრიბუნი.* 1 ივლისი.

*მილუოკი ჯორნალ-სენტინელი.* 1998. მოწინავე. 1 ივნისი.

*ნიუ იორკ თაიმსი,* ეროვნული გამოცემა.2004. ჟაკ დერიდას ნეკროლოგი. 10 ოქტომბერი.

ტექსტობრივ მითითებებში გამოტოვეთ გვერდების ნომრები, ვინაიდან სტატია შეიძლება, გამოჩნდეს სხვადასხვა გვერდზე ან ამოღებულიც კი იყოს გაზეთის სხვადასხვა გამოშვებაში. ამასთან, გაზეთის სახელწოდებაში გამოტოვეთ გამოშვების აღწერილობა, თუ ავტორის ნაცვლად გაზეთს უთითებთ.

**P:** (კამინი 2005)

(*მილუოკი ჯორნალ-სენტინელი*1998)

(*ნიუ იორკ თაიმსი*2004)

ტექსტობრივი მითითების გამოყენების ნაცვლად, შეგიძლიათ მითითების ზოგი ელემენტის თქვენს ტექსტში ჩასმა. თუმცა, ბიბლიოგრაფიაში საჭიროა სტატიის სრულად მითითება.

გაზეთ *ნიუ იორკ ტაიმსში* უზენაეს სასამართლოში მიმდინარე გადაადგილებებისადმი მიძღვენილ სტატიაში (2005) გრინჰაუსი განიხილავს ამ ტენდენციებს.

*ან*

2005 წლის 30 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში, გაზეთი *ნიუ იორკ ტაიმსი,* ლინდა გრინჰაუსი განიხილავსუზენაეს სასამართლოში მიმდინარე გადაადგილებებს.

### 19.4.1 ფორმატთან დაკავშირებული განსაკუთრებული საკითხები

ამერიკული გაზეთების მითითებისას, სახელწოდებაში გამოტოვეთ საწყისი არტიკლი *The.* თუ გაზეთის სახელწოდება არ შეიცავს ქალაქს, დაუმატეთ იგი ოფიციალურ სათაურს, გარდა ისეთი კარგად ცნობილი ეროვნული გაზეთებისა, როგორიცაა the *Wall Street Journal* ან the *Christian Science Monitor.* თუ ასეთი სახელწოდების გაზეთიქალაქშია ან სახელი ბუნდოვანია, შეგიძლიათ, ფრჩხილებში დაუმატოთ შტატი ან პროვინცია (ჩვეულებრივ, შემოკლებული

ფორმით; იხ. 24.3.1). სხვა უცხოური გაზეთის მითითების შემთხვევაში, დატოვეთ შეუცვლელად საწყისი არტიკლები და სათაურების შემდეგ დაურთეთ ქალაქების სახელები.

*Chicago Tribune* — *Le Monde*

*Saint Paul* (*Alberta* or *AB*) *Journal* — *Times* (London)

### 19.4.2 სპეციალური ტიპის საგაზეთო მითითებები

გაზეთებში, გარდა ცალკეული ხელმოწერილი სტატიებისა, განთავსებულია, აგრეთვე, მრავალი სხვა ტიპის მასალა და ზოგიერთი მათგანის ციტირებისას საჭიროა სპეციალური წესების დაცვა.

- ***რეგულარული სვეტები.*** რავალჩვეულებრივ სვეტს ახლავს ჰედლაინებად წოდებული სათაურები და სვეტის სათაურები.თქვენ ორივეს გამოყენება შეგიძლიათ ან სივრცის დაზოგვის მიზნით, იხმარეთ მხოლოდ სვეტის სათაური (სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმის გარეშე და მთავრული ასოების დასმით სათაურის სტილში).

**R:** მორგენსონი, გრეტჰენი. 2000. ფასდაკლების სიახლეებზე კარგი მოგების შესახებ. შოუ მარქეთ უოტჩი. *ნიუ იორკ თაიმსი.* 23 აპრილი.

*ან*

მორგენსონი, გრეტჰენი. 2000. შოუ შოუ მარქეთ უოტჩი. *ნიუ იორკ თაიმსი.* 23 აპრილი.

- ***წერილები რედაქტორს.*** მიუთითეთ ისინი ზოგადად, ჰედლაინების გარეშე.

**R:** დევისი, ვირჯინია ჯ. 2005. წერილი რედაქტორს. *შიკაგო ტრიბუნი.* 29 ივლისი.

- ***დანართებში განთავსებული სტატიები.***სტატიებიჟურნალებისდამატებებიდან ან სხვა სპეციალური ნაწილებიდანმიუთითეთ პოპულარული ჟურნალის სტატიების მსგავსად (იხ.19.3).

- ***ინტერნეტ სტატიები.***ონლაინ გაზეთებთან დაკავშირებით, იხელმძღვანელეთ ბეჭდვით გაზეთებში განთავსებული სტატიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, დაურთეთ URL-ი და თქვენს მიერ მასალის მოპოვების თარიღი (იხ.15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მარტო URL-ი საკმარისი არ არის; თქვენ უნდა წარმოადგინოთ პუბლიკაციის ყველა ფაქტი სრულად, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც.

**R:** ჰექსტრა, დეივი. 2005. მემკვიდრეობის აღდგენა. გაზეთი *Chicago Sun-Times.* 19 დეკემბერი. http://www.suntimes.com/output/hurricane/cst-ftr-nola_19.html (ბოლო შესვლის თარიღი 2005 წლის 19 დეკემბერი).

## 19.5 არსებობს რამდენიმე დამატებითი ტიპის გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ მოთხოვნებს მათი მითითებისას.

### 19.5.1 კლასიკური, შუასაუკუნეებისა და ადრეული პერიოდის ლიტერატურული ნაწარმოებები

კლასიკურ საბერძნეთში და რომში, შუასაუკუნეების ევროპაში და რენესანსის პერიოდისშექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების მითითება თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებების ციტირებისგან განსხვავებულადხდება. ეს წყაროები ხშირად დაჯგუფებულია დანომრილ სექციებად (წიგნები, სტრიქონები, სტროფები და ა.შ.), რომლებიც, ზოგადად, მითითებულია გვერდების ნომრების ნაცვლად. იმის გამო, რომ საუკუნეების განმავლობაში გამოქვეყნდა ამ ნაწარმოებების უამრავი ვერსია და თარგმანი, თანამედროვე გამოცემებისთვის მათი გამოქვეყნების თარიღი და სხვა ფაქტები, ზოგადად, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ტიპის მითითებებში.

ამის გამო, კლასიკური, შუა საუკუნეების და ადრინდელი პერიოდისლიტერატურული ნაწარმოებების ციტირება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს მხოლოდ ტექსტობრივი მითითებების ფორმით. თუ ავტორის გვარი და სათაური უკვე არ არის ნახსენები ტექსტში, პირველად მოხსენიებისთანავე დაურთეთ ისინი სექციის ნომერთან ერთად.თუ შემდგომი მითითებები ცალსახად შეეხება იმავე ნაწარმოებს, დაურთეთ მხოლოდ სექციის ნომერი.იხილეთ ქვემოთ სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებებს შორის არსებული სხვაობები პუნქტუაციაში, შემოკლებებში და ნომრებში.

პელოპონესის ფლოტის ოთხმოცდღიანი უმოქმედობა როდოსთან (ფუკიდიდე, *პელოპონესის ომის ისტორია*8.44.4), შეწყვეტილი ზამთრის დასრულებამდე (8.60.2-3), ვარაუდობს (გულისხმობს) ...

*ან*

როდოსთან პელოპონესის ფლოტის ოთხმოცდღიანი უმოქმედობა, რომლის შესახებაც იუწყება ტუციდიდე (*პელოპონესის ომის ისტორია*8.44.4), შეწყვეტილი ზამთრის დასრულებამდე (8.60.2-3), ვარაუდობს (გულისხმობს) ...

თუ თქვენი ნაშრომი ეხება ლიტერატურულ გამოკვლევებს ან სხვა რაიმე სფეროს, რომელიც მოიცავს ტექსტების დეტალურ ანალიზს ან თუ მნიშვნელოვანია სხვაობები თარგმანებს შორის, მიუთითეთ ასეთი ნაწარმოებები თქვენს ბიბლიოგრაფიაში. იხელმძღვანელეთ 19.1.1-ში მოყვანილი სხვა ნათარგმნი და რედაქტირებული წიგნებისთვის განკუთვნილი წესებით.

**R:** პროპერციუსი. 1990. ელეგიები. გამომც. და მთარგნ. ჯ. პ. გულდი. ლების კლასიკური ბიბლიოთეკა 18. კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

არისტოტელე. 1983. *არისტოტელეს ნაშრომების სრული კრებული: ოქსფორდის გადახედული თარგმანი.* გამომც. ჯ. ბარნესი. 2 ტ. პრინსტონი, ნიუ ჯერსი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**კლასიკური ნაწარმოებები.**ზემოთ მოყვანილ ზოგად პრინციპებთან ერთადდამატებით წარმოგიდგენთ წესებს, რომლებიც ვრცელდება კლასიკური ნაწარმოებების ციტირებაზე.

ავტორსა და ნაწარმოების სათაურს ან სათაურსა და სექციის ნომერს შორის გამოიყენეთ სასვენი ნიშანი, ციფრობრივი დანაყოფები გამოყოფილია წერტილებით ინტერვალების გარეშე. სექციების ნომრებისთვის იხმარეთ არაბული ციფრები. დასვით მძიმეები ერთი და იგივე წყაროს ციტირებებს შორის და წერტილ-მძიმე – სხვადასხვა წყაროს ციტირებებს შორის.

**P:** (არისტოფანე *ბაყაყები* 1019-30)

(ციცერონი *ვერ.* 1.3.21, 2.3.120; ტაციტუსი *გერმ.* 10.2-3)

(არისტოტელე *მეტაფიზიკა*3.2.996b5-8; პლატონი *რესპუბლიკა* 360e-361b)

შეგიძლიათ, აგრეთვე, ავტორების, ნაწარმოებების, კრებულების და ა.შ. სახელების შემოკლება. ყველაზე ფართოდ აღიარებულ აბრევიატურებს შეიცავს ოქსფორდის კლასიკური ლექსიკონი. ისარგებლეთ ამ აბრევიატურებით, ნაცვლად სიტყვისა *ibid.* ერთი და იგივე ნაშრომის თანმიმდევრული მოხსენიების დროს.

**P:** (Thuc. 2.40.2-3)

(Pindar *Isthm.* 7.43-45)

**შუა საუკუნეების ნაწარმოებები.**კლასიკური ნაშრომების მითითების ფორმა თანაბრად მისაღებია შუა საუკუნეების ნაწარმოებებისთვის, რომლებიც დაწერილია

უცხო ენებზე. თუ სექციის ნომერს წინ უსწრებს აღწერილობითი ტერმინი, მეტი სიცხადისთვის გამოყავით იგი მძიმით ნაშრომის სათაურისგან.

**P:** (ავგუსტინი *ღვთის ქალაქი*20.2) (ლათინური)

(აბელარი *ეპისტოლე 17 ელოიზას,* მინი *Pl*180 375c - 378a)

**ადრინდელინაწარმოებები.** ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი პრინციპების გარდა, ადრინდელი ლიტერატურული ნაწარმოებების მითითებებზე შემდეგი წესები ვრცელდება:

პოემების და პიესების მითითებისას მოიხსენიეთ წიგნი, თავი და სტროფი; სტროფი და სტრიქონი; აქტი, სცენა და სტრიქონი ან მსგავსი დანაყოფები. მეტი სიცხადისთვის, ელემენტები გამოყავით მძიმეებით.

**P:** (ჩოსერი, ბათის პეიქრის ცოლის მოთხრობის პროლოგი, *კენტერბერის მოთხრობები,* სტრიქონები 105-14)

(მილტონი, *დაკარგული სამოთხე, წიგნი 1,* სტრიქონები83-86)

შეგიძლიათ, შეამოკლოთ დანომრილი დანაყოფები *აქტი, სტრიქონი*და სხვა მსგავსი სიტყვების გამოტოვებით და კლასიკურ ბიბლიოგრაფიებში არსებულისმსგავსი სისტემის გამოყენებით (იხ. ზემოთ). აუცილებლად განმარტეთ სქოლიოში თქვენი სისტემა.

**P:** (მილტონი, *დაკარგული სამოთხე,* 1.83-86)

თუ გამოცემები განსხვავდება რედაქციით, სტრიქონების დანომვრით და სცენებად დაყოფითაც კი, ჩასვით ეს ნაწარმოები თქვენს ბიბლიოგრაფიაში და მიუთითეთ კონკრეტული გამოცემა.

**P:** შექსპირი, უილიამი. 1982. *ჰამლეტი.* არდენის გამოცემა. გამომც. ჰაროლდ ჯენკინსი. ლონდონი: მეთუენი.

### 19.5.2 ბიბლია და სხვა წმინდა წერილები

მიუთითეთ ბიბლია და სხვა რელიგიური შინაარსის წმინდა წერილები ტექსტობრივ მითითებებში. არ არის საჭირო მათი ჩართვა თქვენს ბიბლიოგრაფიაში.

ბიბლიიდან ციტირების შემთხვევაში, დაურთეთ წიგნის შემოკლებული სახელწოდება, თავის ნომერი და სტროფის ნომერი – გვერდის ნომრის გარეშე. კონტექსტიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, გამოიყენოთ წიგნების სახელწოდებების ტრადიციული ან უფრო მოკლე აბრევიატურები (იხ.24.6); მიმართეთ რჩევისთვის თქვენს პედაგოგს, თუ არ ხართ დარწმუნებული, რომელი ფორმაა მისაღები. ისარგებლეთ არაბული ციფრებით თავების, სტროფების ნომრებისა (მათ შორისორი წერტილით) და წიგნების ნომრების ბიბლიოგრაფიაში მითითებისას..

ტრადიციული აბრევიატურები:

**P:** (1თს. 4:11, 5:2-5, 5:14)

უფრო მოკლე აბრევიატურები:

**P:** (2სმ. 11:1-17, 11:26-27; 1მტ. 10:13-14)

ვინაიდან წიგნები და დანომვრა განსხვავდება წმინდა წერილების ვერსიების მიხედვით, თქვენს პირველ მითითებაში მიუთითეთ ფრჩხილებში ის ვერსია, რომლითაც სარგებლობთ, სახელწოდების სიტყვიერად ან მიღებული აბრევიატურის სახით წარმოდგენის მეშვეობით (იხ.24.6.4).

**P:** (2 მეფეები 11:8 [ახალი გასწორებული სტანდარტული ვერსია])

(1კრ. 6:1-10 [ახალი ამერიკული ბიბლია NAB])

სხვარელიგიის წმინდა წერილებიდან ციტირების შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენეთ ბიბლიიდან ციტირების ზოგადი პრინციპები (იხ. 24.6.5)

### 19.5.3 საცნობარო ლიტერატურა

საყოველთაოდ ცნობილი საცნობარო ლიტერატურა, როგორიცაა, მთავარი ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ჩვეულებრივ, მოხსენიებული უნდა იქნეს მხოლოდ ტექსტობრივ მითითებებში. ზოგადად, არ არის საჭირო მათი ჩასმა თქვენს ბიბლიოგრაფიაში, მაგრამ შეგიძლიათ იმ კონკრეტული ნაშრომის ჩართვა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თქვენი არგუმენტაციის დასაბუთებისთვის ან რომელსაც ხშირად ციტირებენ. გამოტოვეთ თარიღი, მაგრამ დააკონკრეტეთ გამოცემა (თუ ეს არ არის პირველი გამოცემა). ანბანური წესით აწყობილი ნაშრომის, მაგალითად, ენციკლოპედიის, შემთხვევაში, მიუთითეთ მუხლი (და არა ტომი ან გვერდის ნომერი), რომელსაც წინ უსწრებს *იხ.იხილეთ.* .

**P:** (ენციკლოპედია ბრიტანიკა მე-15 გამოც., იხ. „ხსნა“)

(*ამერიკული ბიოგრაფიული ლექსიკონი,* (იხ. „უოდსუორტი, ჯერემაია“)

ნაკლებად ცნობილი საცნობარო ლიტერატურის წყაროდ გამოყენების შემთხვევაში, მიუთითეთ იგი წიგნის მსგავსად (იხ.19.1).

**R:** *ტაიმსის ინგლისური ენის სტილისა და გამოყენების სახელმძღვანელო.* 1999. გადახ. (შესწორ.) გამოც. ლონდონი: თაიმს ბუქსი.

აულესცია, გორკა. 1989. *ბასკურ-ინგლისური ლექსიკონი.* რენო: ნევადას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (*ტაიმსის სახელმძღვანელო 1999,* იხ. „პლოციის წოდებები“, „საფოსტო მისამართები“)

(აულესცია1989, 509)

ენციკლოპედიების ონლაინ ვერსიები ექვემდებარება რეგულარულ განახლებას.ამიტომ ჩართეთ როგორც URL-ი, ისე მასალის მოპოვების თარიღი (იხ.15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი საცნობარო ნაშრომი მიუთითებს კონკრეტული მუხლის ციტირებისთვის შესაფერის URL-ს; სასურველია მისი გამოყენება ნაცვლად საძიებო სისტემების მიერ გენერირებული ნაკლებად სანდო URL-ისა.

**P:** (*ონლაინენციკლოპედია ბრიტანიკა,* იხ.„სიბელიუსი, ჯინი“, http://www.britannica.com/ebc/article?tocld=9378608 [ბოლო შესვლის თარიღი 2005 წლის 1 ივნისი])

### 19.5.4 რეცენზიები, კრიტიკული სტატიები

წიგნების, სპექტაკლების და ა.შ. ნაშრომების რეცენზია შეიძლება, დაიბეჭდოს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. თქვენს ბიბლიოგრაფიაში ჩასვით მიმომხილველის გვარი და სახელი, სიტყვა(*რეცენზია),* რომელსაც მოსდევს მიმოხილული ნაშრომის სახელწოდება და ავტორი (ან კომპოზიტორი, რეჟისორი და ა.შ.); ადგილი და თარიღი (იმ შემთხვევაში, თუ საუბარია სპექტაკლზე) და ბოლოს ის პერიოდული გამოცემა, რომელშიც დაიბეჭდა მიმოხილვა.

**R:** ტაუბი, რიჩარდი პ. 2004. ნაშრომის *საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საცხოვრებელი ბინების აღდგენა: ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა სამ საზოგადოებრივ რაიონში* მიმოხილვა ლორენს ჯ. ვეილის ავტორობით. *სოციოლოგიის ამერიკული ჟურნალი*110, № 3 (ნოემბერი): 797-99.

იშევუდი, ჩარლზი. 2005. *ცისფერი ჩიტუნას* მიმოხილვა, ავტორი - ჩერილ ლ. ვესტი, რეჟისორი – სერეტ სკოტი. სექანდ სთეიჯის თეატრი, ნიუ იორკი. *ნიუ იორკ თაიმსი.* 24 ივნისი.

კოზინი, ალენი. 2000. ტიმოთი ფეინის (ვიოლინო) და სტივენ ბეკის (ფორტეპიანო) მიერ შესრულებული კონცერტის მიმოხილვა. ნიუ იუორკი, 92-ე ქუჩა Y, ნიუ იორკი. *ნიუ იორკ თაიმსი.* 21 აპრილი.

### 19.5.5 რეზიუმეები, მიმოხილვები

სამეცნიერო სტატიების, საკონფერენციო ნაშრომების, დისერტაციების და ა.შ. რეზიუმეები შეიძლება, გამოქვეყნდეს საკუთრივ ნაშრომთან ერთად ან სპეციალურ გამოცემებში (ჩვეულებრივ, ჟურნალებში), რომლებიც შედგება მხოლოდ და მხოლოდ რეზიუმეებისგან.

დაურთეთ საკუთრივ ნაშრომის სრული მითითება. თუ რეზიუმე იბეჭდება ნაშრომთან ერთად, მითითებაში სიტყვა *რეზიუმე*ჩასვით სათაურის შემდეგ.თუ რეზიუმე იბეჭდება სხვა გამოცემაში, სიტყვები *რეზიუმე . . . –ში*ჩასვით საწყისი მითითების შემდეგ და მიუთითეთ რეზიუმეს ადგილმდებარეობა.დასვით საკუთრივ ნაშრომის თარიღი, ნაცვლად რეზიუმეს თარიღისა, ავტორის გვარისა და სახელის შემდეგ.

**R:** ლუდერსი, ჯოზეფი. 2006. მოძრაობის წარმატების ეკონომიკა: ბიზნესის რეაგირება სამოქალაქო უფლებების მობილიზაციაზე. რეზიუმე. *ამერიკული სოციოლოგიის ჟურნალი*111, № 4 (იანვარი): 963.

ალბინი, სესილია. 2003. მოლაპარაკებები საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე: გლობალური საზოგადოებრივი საქონელი და სამართლიანობა. *საერთაშორისო გამოკვლევების მიმოხილვა*29 (ივლისი): 365-85. რეზიუმე მშვიდობის კვლევის რეფერატების ჟურნალში 42, პუბლიკ. ნომ. 236625 (2005 წლის თებერვალი): 6.

### 19.5.6 ბუკლეტები და ანგარიშები

მიუთითეთ ბუკლეტები, კორპორაციული ანგარიშები, ბროშურები და სხვა ავტონომიური პუბლიკაციები ისევე, როგორც მიუთითებდით წიგნს. თუ გაკლიათ ინფორმაცია ზოგიერთი სტანდარტული ელემენტისთვის, როგორიცაა ავტორი და გამომცემელი, დოკუმენტების იდენტიფიცირების მიზნით, მიუთითეთ საკმარისი ოდენობის სხვა ინფორმაცია.

**R:** კლარკი, ჰეიზელი ვ. 1957. მესოპოტამია: ორ მდინარეს შორის. მესოპოტამია, ოჰაიო: მოქალაქეების უნივერსალური მაღაზიის დასასრული.

TIAA-CREF. 2005. *2005 წლის წლიური ანგარიში: კოლეჯის პედაგოგების საპენსიო აქციების ფონდი.* ნიუ იორკი TIAA-CREF.

### 19.5.7 გამოცემები მიკროფორმის სახით

მიკროფორმის სახით გამოცემული ნაშრომები, რომლებითაც ხელმძღვანელობდით, მათ შორის დისერტაციები, თქვენს ბიბლიოგრაფიაში მიუთითეთ წიგნის მსგავსად.ნაბეჭდი ფორმით ან ინტერნეტით ნასარგებლევიდისერტაციების მისათითებლად(იხ.19.6.1.),დაურთეთ პუბლიკაციის ფორმა (მიკროფიშა, მიკროფილმი და ა.შ.) პუბლიკაციის ფაქტების შემდეგ.

**R:** ფარველი, ბეატრისა, 1995. ფრანგული პოპულარული ლითოგრაფიული გამოსახულებების მიღების ხერხები. ტ. 12, *ლითოგრაფია ხელოვნებასა და ვაჭრობაში.* ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. მიკროფიშა.

ტაუბერი, აბრაჰამი. 1958. *დამწერლობის რეფორმა შეერთებულ შტატებში.* ენ არბორი, მიჩიგანი: უნივერსიტეტის მიკროფილმები. მიკროფილმი.

თუ შესაძლებელია, ტექსტობრივ მითითებებში ჩასვით ადგილის განმსაზღვრელი ელემენტი. შემდეგ მაგალითში გვერდის ნომერი,რომელიც თვალსაჩინოებისთვის იდენტიფიცირებულია აბრევიატურით გვ. გვხვდება ნაბეჭდ ტექსტში მიკროფიშაზე; დანარჩენი ციფრები აღნიშნავენ მიკროფიშას და კადრს, ხოლო ასო აღნიშნავს რიგს.

**P:** (ფარველი 1995, გვ. 67, 3C12)

### 19.5.8 CD-ROM-ები ან DVD-ROM-ები

მიუთითეთCD- ან DVD-ROM-ზე ჩაწერილი ნაშრომები, როგორც მიუთითებდით ანალოგიურ ნაბეჭდ ნაშრომებს, უფრო ხშირად, წიგნებს.

**R:** *"ნეიშენალ ჯეოგრაფიკი" ნომრების სრული კრებული: ჟურნალის „National Geographic" 110 წელი.* 2000. CD-ROM. კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის გამომცემელი კომპანია მაინსქეიპი.

*ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი. 1999. მე-2 გამოც.* CD-ROM, ვერსია 2.0. ნიუ იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

### 19.5.9 ონლაინ მონაცემთა ბაზები

ონლაინმონაცემთა ბაზებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალების სტატიების ციტირებასთან დაკავშირებით, იხილეთ 19.2.8. სხვა ტიპის ონლაინ მონაცემთა ბაზების შემთხვევაში, თქვენს ბიბლიოგრაფიაშისრულად მიუთითეთ მონაცემთა ბაზა, თუ ახდენთ მისგან მრავალი დოკუმენტის ან ჩანაწერების ციტირებას. (მიუთითეთ მონაცემთა ბაზის სახელი, (სწორი შრიფტით), URL-ი მთავარი გვერდისთვის და თქვენს მიერ მასალის მოპოვების თარიღი (ან თარიღების დიაპაზონი). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ URL-ი საკმარისი არ არის; უნდა წარმოადგინოთ სრული ინფორმაციაპუბლიკაციის შესახებ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც.

**R:** პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა. http://www.perseus.tufts.edu/ (ბოლოს შესვლის თარიღი 1 თებერვალი-31 მარტი, 2006)

თუ მიუთითებთ მსგავსი მონაცემთა ბაზიდან მხოლოდ ერთ დოკუმენტს ან ჩანაწერს, თქვენს ბიბლიოგრაფიაში იგი ჩაწერეთ ცალ-ცალკე. დაურთეთ დოკუმენტის ავტორი და სათაური (თუ ხელმისაწვდომია), მონაცემთა ბაზის სახელი (სწორი შრიფტით), URL-ი კონკრეტული გვერდისთვის და თქვენს მიერ მასალის

მოპოვების თარიღი. ონლაინ მონაცემთა ბაზებში არსებულ დისერტაციებთან დაკავშირებით იხილეთ 19.6.1.

**R:** პლინი უფროსი. *ბუნებრივი ისტორია,* გამომც. ჯონ ბოსტოკი და გ. ტ. რაილი. პერსეუსის ციფრულ ბიბლიოთეკაში, http://www.perseus.tufts.edu/cgi-bin/ptext?lookup=Plin.+Nat.+1.dedication (ბოლო შესვლის თარიღი 2006 წლის 31 მარტი).

თქვენს ტექსტში დოკუმენტის თუ ჩანაწერის დამოწმებისთვის,მიუთითეთ შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაცია, რათა ციტატა ბიბლიოგრაფიის მუხლში მოყვანილ ინფორმაციასთან დააკავშიროთ. ჩასვით ეს ინფორმაცია ტექსტობრივ მითითებებში (რომლის ელემენტები გამიჯნულია მძიმეებით)ან ტექსტში.

**P:** (პლინი უფროსი, პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა)

. . . როგორც მითითებულია პლინი უფროსის სამეცნიერო ნაშრომში *ბუნებრივი ისტორია* (პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა).

## 19.6 გამოუქვეყნებელი წყაროები

წყაროები, რომლებიც არასდროს გამოქვეყნებულა, შეიძლება, უფრო რთული მოსაძებნი იყოს მკითხველისთვის, ვიდრე გამოქვეყნებული, ვინაიდან ისინი ინახება მხოლოდ ერთ ადგილას და არ არსებობს ოფიციალური ფაქტები მათი გამოცემის შესახებ. თქვენს ბიბლიოგრაფიაში მსგავსი წყაროების მითითების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი *სრული* ინფორმაციის დართვას, რათა მაქსიმალურად დავეხმაროთ მკითხველს.

გამოუქვეყნებელი ნაშრომების სათაურები მოცემულია სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩაუსმელადდა დაუხრელად. ეს განსხვავებული ფორმატი გამოარჩევს მათ მსგავსი, მაგრამ გამოქვეყნებული ნაშრომებისაგან.

### 19.6.1 სადიპლომო თემები და დისერტაციები

თუ ხელმძღვანელობთ გამოუქვეყნებელი დისერტაციის ნაბეჭდი ფორმით,ჩათვალეთ იგი გამოუქვეყნებელ ხელნაწერად.ავტორის, თარიღის (თუ არის ხელმისაწვდომი) და სათაურის შემდეგ დაურთეთ დისერტაციის ტიპი და სამეცნიერო დაწესებულება. გამოიყენეთ*დისერტაციის*შემოკლებული ვარიანტი*დის.*შიტყვის*გამოუქვეყნებელი*ხმარება საჭიროარ არის.

**R:** მერფი, პრისცილა კოიტი. 2000. რისი გაკეთება შეუძლია წიგნს: *ჩუმი გაზაფხული* და მედია-საშუალებებში მოწყობილი საჯარო დისკუსია. დის. ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი.

კულკესი, კარენ ლეი. 2003. კურდისტანის კარტოგრაფიული გამოსახულებები ბეჭდვით მედიაში. დისერტაცია მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სირაკიუსის უნივერსიტეტი.

იმისათვის, რომ მიუთითოთ დისერტაცია, რომელსაც გაეცანით ონლაინ მონაცემთა ბაზაში, დაურთეთ მონაცემთა ბაზის სახელი, URL-ი და მონაცემთა ბაზაში შეღწევის თარიღიბიბლიოგრაფიის საწყისი ინფორმაციის შემდეგ (მიკროფორმის სახით გამოშვებული გამოცემების შესახებ იხილეთ 19.5.7.)

**R:** მერფი, პრისცილა კოიტი. 2000. რისი გაკეთება შეუძლია წიგნს: *ჩუმი გაზაფხული* და მედია-საშუალებებში მოწყობილი საჯარო დისკუსია. დის. ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი. ლინკზე: ProQuest Disserations and Theses, http://proquest.umi.com/pqdweb?did=727710781&sid=2&Fmt=2&clientId=13392&RQT=309&VName=PQD (ბოლო შესვლის თარიღი 2006 წლის 1 აპრილი).

**19.6.2 შეხვედრებზე წაკითხული ლექციები და მოხსენებები.** გამოსვლის ან მოხსენების ავტორის, თარიღის და სათაურის შემდეგ მიუთითეთ სპონსორი, ადგილმდებარეობა და (თუ არის ხელმისაწვდომი) თათბირის ჩატარების კონკრეტული დღე. შიტყვაგა*მოუქვეყნებელი* საჭირო არ არის.

**R:** ტრაუტმენი, ჯონი. 2005. ინდური ბლუზი: ამერიკელი ინდიელები და მუსიკის პოლიტიკა, 1890-1935. ლექცია, ნიუბერის ბიბლიოთეკა, ჩიკაგო, ილინოისი. 2 თებერვალი.

გრედი, კარენი. 2004. როდესაც მაღალი კულტურა იყო პოპულარული კულტურა. ამერიკელ ისტორიკოსთა ორგანიზაციის ყოველწლიურ სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენება, ბოსტონი, მასაჩუსეტსი. 26 მარტი.

სკოქპოლი, თედა. 2003. ხმა და უთანასწორობა: ამერიკული სამოქალაქო დემოკრატიის ტრანსფორმაცია. საპრეზიდენტო მიმართვა, პოლიტიკური მეცნიერების ამერიკული ასოციაციის ყოველწლიური სხდომა, ფილადელფია, პენსილვანია. 28 აგვისტო.

**19.6.3 ინტერვიუები და პირადი ურთიერთობები**

იმისათვის, რომ მივუთითოთ გამოუქვეყნებელი ინტერვიუ (მათ შორის, ინტერვიუ, რომელიც თავად ჩაიწერეთ),დაიწყეთ ბიბლიოგრაფიის მუხლი იმ პირის გვარით და

სახელით, რომელსაც ჩამოერთვა ინტერვიუ, და ინტერვიუერის სახელით და გვარით; დაურთეთ, აგრეთვე, ინტერვიუს ჩატარების ადგილი და თარიღი (თუ ცნობილია) და ნებისმიერი ფირისა თუ ტრანსკრიპტის (თუ არის ხელმისაწვდომი) ადგილმდებარეობა. (რადიო- ან ტელემაუწყებლობით გადაცემული ინტერვიუების შესახებ იხილეთ 19.8.3)

**R:** მაკმილანი, ენდრიუ. 2007. ავტორის მიერ ჩამორთმეული ინტერვიუ. სან დიეგო, კალიფორნია. 2 მარტი.

სპოკი, ბენჯამენი. 1974. მილტონ ჯ. ე. სენის მიერ ჩამორთმეული ინტერვიუ. 20 ნოემბერი. ინტერვიუ 67A, ჩანაწერი, სენის ზეპირი ისტორიის კოლექცია, მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბეტესდა, მერილენდი.

ტექსტობრივ მითითებებში მიუთითეთ რესპოდნეტის და არა ინტერვიუერის სახელი.

**P:** (მაკმილანი 2007)

(სპოკი 1974)

თუ არ შეგიძლიათ იმ პირის ვინაობის გამჟღავნება, რომელსაც ინტერვიუ ჩამოართვეს, გამოიყენეთ მხოლოდ ტექსტობრივი მითითებები კონტექსტისთვის შესაფერისი ინფორმაციით. თქვენ, ასევე, შეგიძლიათ ამ ინფორმაციის ზოგიერთი ნაწილის ან სრული ინფორმაციის ტექსტში ჩართვა, მაგრამ არ არის საჭირო ინტერვიუს მითითება ბიბლიოგრაფიაში. განმარტეთ ვინაობის არდასახელების ფაქტი სქოლიოში ან წინასიტყვაობაში („ყველა ინტერვიუ იყო კონფიდენციალური; იმ პირთა ვინაობას, ვისაც ჩამოვართვით ინტერვიუები, არ ვასახელებთ ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე“

**P:** (ინტერვიუ ჯანდაცვის სფეროს მუშაკთან, 2006 წლის 10 აგვისტო)

მიუთითეთ საუბრები, წერილები, ელექტრონული წერილები და ა.შ. მხოლოდტექსტობრივ მითითებებში. ზოგადად არ არის საჭირო მათი მითითება თქვენს ბიბლიოგრაფიაში, მაგრამ შეიძლება, მოისურვოთ, უჩვენოთ კონკრეტული კომუნიკაციის ფაქტი, რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თქვენი არგუმენტაციის გასამყარებლად ან, რომელსაც ხშირად ციტირებენ. ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც მძიმეებითუნდა გამოიყოს, არისსხვაადამიანის სახელი და გვარი, თარიღი და კომუნიკაციის ტიპი. ბევრ შემთხვევაში, შეიძლება, ეს ინფორმაცია ტექსტში ნაწილობრივ ან სრულადჩართოთ. გამოტოვეთ ელექტრონული ფოსტის მისამართები. ლექტრონულმისამართებზე გაგზავნილი შეტყობინებების მითითების შესახებ იხილეთ 19.7.3-ში.

**P:** (მაქსინ გრინი, 2005 წლის 29 სექტემბერი, ავტორის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული წერილი)

2006 წლის 12 ოქტომბერს ავტორთან გამართულ სატელეფონო საუბარში პოლკოვნიკმა ვილიამ რიჩმა გამოაშკარავა, რომ . . .

### 19.6.4 ხელნაწერთა კოლექციები

გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა კოლექციებში დაცული დოკუმენტები შეიცავს გამოქვეყნებულ წყაროებზე უფრო რთულ და მრავალფეროვან ელემენტებს. თქვენს მითითებას დაურთეთ რაც შეიძლება მეტი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, შესაბამისად დააფორმატეთ ელემენტები და მოარგეთაქ მოყვანილი ზოგადი მოდელები საჭიროების მიხედვით.

**შესატანი ელემენტები და მათი თანმიმდევრობა.**თუ კოლექციიდანმრავალი დოკუმენტის ციტირებას ახდენთ, თქვენს ბიბლიოგრაფიაში „კოლექციის" სახელით მიუთითეთ მთელი კოლექცია, მასში შემავალი დოკუმენტების ავტორ(ებ)ი ან არქივი. ისეთიტიპის გამოუქვეყნებელი მასალისთვის, რომელიც არქივებშიარ ინახება, შეცვალეთ კოლექციასთანდაკავშირებული ინფორმაცია ფრაზებით „ავტორის მფლობელობაშია" ან „კერძო კოლექცია" და ნუ ახსენებთ ადგილს. ნუ დაურთავთ თარიღს, ვინაიდან კოლექციათაუმრავლესობა შეიცავს სხვადასხვა თარიღით დათარიღებულ დოკუმენტებს.

**R:** ეგმონტის ხელნაწერები. ფილიფსის კოლექცია. ჯორჯიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ატენსი.

ჰაუსი, ედვარდი მ., დოკუმენტები. იელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ნიუ ჰეივენი, კონექტიკუტი.

მონობის გაუქმების პენსილვანიის საზოგადოება. დოკუმენტები. პენსილვანიის ჰისტორიული საზოგადოება, ფილადელფია.

სტროტერი, ფრენჩი და ედვარდ ლოური. დაუთარიღებელი კორესპონდენცია. ჰერბერტ ჰუვერის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა, დასავლეთის ფილიალი, აიოვა.

„მშრალი კანონის" შესახებ ეროვნული რეფორმის მომხრე ქალთა ორგანიზაციის დოკუმენტები. ელის ბელინ დიუპონის ფაილები, პიერ ს. დიუპონის დოკუმენტები. ისტორიული ბიბლიოთეკა ელეფტერიან მილზ ჰისტორიკალ ლაიბრერი, ვილმინგტონი, დელავერი.

იმისათვის, რომ მოახდინოთ ამგვარი კოლექციიდან თქვენს ტექსტში ცალკეული დოკუმენტის ციტირება, გამოყენებული ბიბლიოგრაფიის მუხლში მიუთითეთ ავტორი

და თარიღი, დოკუმენტის სათაური ან ტიპი და კოლექციის ან არქივის სახელი.გამოყავით ელემენტები მძიმეებით. ბევრ შემთხვევაში, შეიძლება, ეს ინფორმაცია ნაწილობრივ ან სრულად ჩართოთ ტექსტში.

**P:** (ჯეიმს ოგლთორპი ნდობით აღჭურვილ პირებს, 1733 წლის 13 იანვარი, ეგმონტის ხელნაწერები)

ნდობით აღჭურვილი პირების მისამართით 1733 წლის 13 იანვარს გაგზავნილ წერილში (ეგმონტის ხელნაწერები) ჯაიმს ოგლთორპმა განაცხადა . . .

თუ ახდენთ კოლექციიდან მხოლოდ ერთი დოკუმენტის ციტირებას, იგი ცალკეჩასვით ბიბლიოგრაფიაში და იხელმძღვანელეთ ტექსტობრივი მითითებებისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი მოდელით.

**R:** დინკელი, ჯოზეფი. 1869. ელისაბედ კერი აგასის თხოვნით დაწერილი ლუი აგასის აღწერა. აგასის დოკუმენტები. ჰოუტონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდის უნივერსიტეტი, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი.

**ელემენტების დაფორმატების წესი.**წარმოგიდგენთ რამდენიმე რეკომენდაციას ხელნაწერთა კოლექციებში არსებული დოკუმენტების სპეციალურ დაფორმატებასთან დაკავშირებით.

- ***ინდივიდუალური სათაურები - განზოგადებული სათაურები.*** მიუთითეთ როგორც ინდივიდუალური, ისე, განზოგადებული სათაურები, როგორიცაა *ანგარიში*ან *ოქმი,* სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმის ან დახრილი შრიფტის გარეშე.

- ***ინფორმაციის ლოკალიზება.*** ზოგიერთი ხელნაწერი შესაძლოა, შეიცავდეს გვერდების ნომრებს, რომლებიც შეიძლება, მოთავსდეს ტექსტობრივ მითითებებში.მრავალ ხელნაწერს ექნება სხვა ტიპის ლოკატორი ან საერთოდ არ ექნება ის. უფრო ძველი ფორმატით ნაცვლად გვერდებისა. ზოგიერთ ხელნაწერების კოლექციას გააჩნია საიდენტიფიკაციო სერიები ან ფაილების ნომრები, რომლებიც შეიძლება დაურთოთ მითითებას.

- ***დოკუმენტები და ხელნაწერები.*** ხელნაწერთა კოლექციების სათაურებში ტერმინები *დოკუმენტი* და *ხელნაწერები* სინონიმებია. ორივე ტერმინი მისაღებია, ისევე, როგორც მათი აბრევიატურები.

- ***წერილები.*** იმისათვის, რომ მოახდინოთ წერილის ციტირება ტექსტობრივ მითითებებში, დაიწყეთ წერილის ავტორის გვარით, შემდეგ კი *მიუთითეთ წ*ერილის მიმღების გვარი. გამოტოვეთ სიტყვა *წერილი,*რომელიც იგულისხმება. მაგრამ სხვა ფორმის კომუნიკაციის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ კომუნიკაციის ტიპი (დეპეშა, მემორანდუმი).

## 19.7 არაოფიციალურად გამოქვეყნებული ელექტრონული წყაროები

მასალას, რომელიც არაოფიციალურად ქვეყნდება ინტერნეტში, ხშირად არ ექნება პუბლიკაციის ისეთი სტანდარტულიმონაცემები, როგორიცაა ავტორი, სათაური, გამომცემელი ან თარიღი. მაშინაც კი, როდესაც შეგიძლიათ, პუბლიკაციის შესახებ მხოლოდ ძალიან მწირიმონაცემების მოპოვება ან საერთოდ ვერ ადგენთ მათ, მაინც უნდა მიუთითოთ ბიბლიოგრაფიაში URL-ზე მეტი ინფორმაცია. თუ მიუთითებთ მხოლოდ URL-ს და ისშეიცვლება ან მოძველდება, თქვენი მითითება გამოუსადეგარი ხდება მკითხველებისთვის. URL-ი მიუთითებს, სად იდო მასალა, როდესაც თქვენ მას ეცნობოდით;სრული მითითება,ასევე,უნდა უჩვენებდეს წყაროს და თქვენს მიერ მისი უკანასკნელად მონახულების თარიღს (იხ.15.4.1).

### 19.7.1 ვებგვერდები

წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გარდა, ონლაინ წყაროებიდან მიღებულ სხვა ორიგინალურ მასალასთან დაკავშირებით ბიბლიოგრაფიაში შეიტანეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შემდეგი ჩამონათვლიდან: ავტორი, გვერდის სათაური (სწორი შრიფტით, ბრჭყალების გარეშე), საიტის სახელი ან მფლობელი, URL-ი და საიტზე შესვლის თარიღი (ან საიტზე შესვლის თარიღების დიაპაზონი).

**R:** ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკის მზრუნველთა საბჭო. ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკის სტრატეგიული გეგმა, 2000-2010: საზოგადოებასთან ურთიერთობების ათწლეული. ევანსტონის საჯარო ბიბლიოთეკა. http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html (ბოლოს შესვლის თარიღი 2005 წლის 1 ივნისი-15 აგვისტო).

თუ ავტორი დასახელებული არ არის, მიუთითეთ საიტის მფლობელის სახელი.

**R:** ამერიკელ მეცნიერთა ფედერაცია. რეზოლუციის შედარება: სანომრე ნიშნებისა და სათაურების (ჰედლაინების) წაკითხვა. http://www.fas.org/irp/imint/resolve5.html (ბოლოს შესვლის თარიღი 2005 წლის 1 ივნისი).

არაოფიციალურ საიტებზე, როგორიცაა პერსონალური გვერდები და გასართობი საიტები,რომლებსაც შეიძლება, არც ჰქონდეთ სათაურები, გამოქვეყნებული მასალებისთვის იხმარეთ აღწერილობითი ფრაზები

**R:** კემპ ტაკონიკის გამოშვება. 1955 წლის ფოტოგალერეა. http://www.taconicalumni.org/1955.html (ბოლო შესვლის თარიღი 2005 წლის 1 ივნისი).

იმისათვის, რომ თქვენს ტექსტში მიუთითოთ ვებსაიტი ოფიციალური პუბლიკაციის თარიღის გარეშე, ჩასვით ავტორის ან საიტის მფლობელის სახელი ან ბიბლიოგრაფიის მუხლში გამოყენებული აღწერილობითი ფრაზა. ჩასვით ეს ინფორმაცია ფრჩილებში ან ტექსტში.

როგორც იყო მითითებული ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის ვებსაიტზე . . .

### 19.7.2 ვებლოგზე გამოქვეყნებული ჩანაწერები და კომენტარები

თუ მიუთითებთ ვებლოგზე (ან ბლოგზე) გამოქვეყნებულ ინფორმაციას და კომენტარებს, დაურთეთ ვებლოგი თქვენს ბიბლიოგრაფიას.ამისათვისუნდა იხელმძღვანელოთ ვებსაიტების საბაზო მოდელით. საიტის მთავარი გვერდისთვისმიუთითეთ URL-ი.

**R:** ბეკერ-პოზნერის ბლოგი. http://www.becker-posner-blog.com/ (ბოლოს შესვლის თარიღი 2006 წლის 28 მარტი).

ვებლოგზეგამოქვეყნებული ცალკეული ინფოირმაციისა და კომენტარების ციტირება ხდება მხოლოდ ტექსტობრივ მითითებებში. ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც გამოიყოფა მძიმეებით, არის ავტორის სახელი და გვარი, ვებლოგის სახელი და მინიშნება იმაზე, თუ რომელია ვებლოგზე (საიტის ავტორის მიერ)გამოქვეყნებული ჩანაწერი და რომელი – კომენტარი,(დაწერილი სხვა ადამიანის მიერ) და გამოქვეყნების თარიღი. თუ ავტორის სახელი არასრულია ან ფსევდონიმია, მიუთითეთ იგი, როგორც სახელი.ხშირად შეიძლება, ეს ინფორმაცია ტექსტში სრულად ან ნაწილობრივ ჩართოთ.

**P:** (პიტერ პირსონი, ბეკერ-პოზნერის ბლოგი, კომენტარი, გაგზავნილი 2006 წლის 6 მარტს)

. . . გერი ბეკერის თანახმად (კომენტარი, გაგზავნილი 2006 წლის 6 მარტს, ბეკერ-პოზნერის ბლოგზე). საპასუხო კომენტარები ეკუთვნის პიტერ პირსონს (გაგზავნა 6 მარტს) და ბილს (გაგზავნა 10 მარტს) . . .

### 19.7.3 ადრესატთა ელექტრონული მისამართების სიები

ადრესატთა ელექტრონული მისამართების სიიდანმასალის ციტირების მიზნით დაურთეთ ავტორის სახელი და გვარი, გაგზავნის თარიღი და სიის სახელი. გამოტოვეთ ელექტრონული ფოსტის მისამართები. მსგავსი ინფორმაციის ციტირება, როგორც წესი, ხდება მხოლოდ ტექსტობრივ მითითებებში, სადაც ელემენტები გამოყოფილია მძიმეებით. ზოგადად საჭირო არ არის მათი ჩართვა

თქვენს ბიბლიოგრაფიაში, მაგრამ შეიძლება, მოისურვოთ, ჩართოთ თქვენი არგუმენტაციის გამყარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ან ხშირად მითითებული სპეციალური ინფორმაცია. ხშირად შეიძლება, ეს ინფორმაცია ტექსტში სრულად ან ნაწილობრივ ჩართოთ.

**P:** (ჯონ პაუელი, 2004 წლის 30 ოქტომბერი, ელექტრონული წერილი გრეიპვაინის ელექტრონული ფოსტის მისამართებზე)

გრეიპვაინის ელექტრონული ფოსტის მისამართებზე 2004 წლის 30 ოქტომბერს გაგზავნილ ელექტრონულ წერილში ჯონ პაუელი აცხადებს ..

## 19.8 ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების წყაროები

ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება გვაძლევს მრავალგვარ წყაროს: ვიზუალურ გამოსახულებებს, ცოცხალ წარმოდგენებს, ტელე და რადიოგადაცემებს, ტექსტურ და სხვადასხვა მედიაჩანაწერებს. ზოგიერთი ასეთი წყაროს ციტირება შეიძლება, რთულიც იყოს, თუ მათ თან არ ახლავს გამოქვეყნებული წყაროებისთვის დამახასიათებელი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია. ასეთი წყაროების მითითებას დაურთეთ შეძლებისდაგვარად ბევრი საიდენტიფიკაციო მონაცემი, თანმიმდევრულად დააფორმატეთ ელემენტები და მითითებებს საჭიროებისამებრ მიუსადაგეთ წინამდებარე ნაწილში მოცემული ზოგადი მოდელები.

ამ ნაწილში ჩამოთვლილი წყაროების უმეტესობა მხოლოდ ტექსტურ მითითებებში უნდა აღნიშნოთ ან სულაც, ტექსტში ჩართოთ მისი ძირითადი ელემენტები. ზოგადად, საჭირო არ არის ამ წყაროების მითითებების ჩამონათვალში ჩართვა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება, ამის გაკეთება მოგიწიოთ. შეიძლება, მოისურვოთ, მითითებების ჩამონათვალში ჩართოთ კონკრეტული წყარო, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტაციის დასაბუთებისთვის, ან რომელიც ხშირადაა ციტირებული. თუ ნაშრომს ისეთი დისციპლინისთვის წერთ, როგორიცაა ხელოვნება, მედიაკვლევები ან სხვა მსგავსი საგანი, რჩევისთვის თქვენს პედაგოგს მიმართეთ.

### 19.8.1 ვიზუალური წყაროები

**ფერწერული ნამუშევრები, ქანდაკებები, ფოტოსურათები და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები.** ფერწერული ნახატები, სკულპტურები, ფოტოსურათები და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები აღინიშნება მხოლოდ ტექსტურ მითითებებში. მითითებას დაურთეთ მხატვრის სახელი და გვარი, ნაწარმოების სახელწოდება და შექმნის თარიღი (რომელსაც წინ უსწრებს ca. [circa], თუ თარიღი მიახლოებითია), ასევე იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, რომელშიც იგი ინახება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ფერწერული ნამუშევრებისა და სკულპტურების სახელწოდებები დახრილი შრიფტით დაწერეთ, ხოლო ფოტოსურათების სახელწოდებები სწორი შრიფტით მიუთითეთ და ბრჭყალებში ჩასვით. გამოყავით ელემენტები მძიმეებით.

**P:** (ჯორჯია ო'კიფი, *კლდის საკვამურები,* 1938, მილუოკის ხელოვნების მუზეუმი)

(მიკელანჯელო, დავითი, 1501-4, აკადემიის გალერეა, ფლორენცია)

(ანსელი, ადამსი, „ჩრდილოეთი გუმბათი, კალათისებრი გუმბათი, ჰოფმანის მთა, იოსემიტი", ca. 1935, სმითსონის ამერიკული ხელოვნების მუზეუმი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი)

ტექსტური მითითებების გამოყენების ნაცვლად, ზოგჯერ ხელოვნების ნიმუშების ციტირება ელემენტების ტექსტში ჩართვითაც შეგიძლიათ,

ო'კიფმა პირველად წარმოადგინა ეს ტექნიკა სურათში *კლდის საკვამურები* (1938; მილუოკის ხელოვნების მუზეუმი).

თუ ხელოვნების ნაწარმოები გამოქვეყნებულ წყაროში ნახეთ და ადგილობრივი წესები თქვენგან ამ წყაროს იდენტიფიცირებას მოითხოვს, შეიყვანეთ გამოქვეყნებული წყარო მითითებების ჩამონათვალში . ტექსტურ მითითებებში აღნიშნეთ ავტორი და თარიღი ნაცვლად დაწესებულების სახელისა და ადგილმდებარეობისა. ონლაინ სურათებთან დაკავშირებით იხ. 19.8.6.

**R:** ლინსი, ბარბარა ბულერი, ლესლი პოლინგ-კემპესი და ფრედერიკ ვ. ტერნერი. 2004. ჯორჯია ო'კიფი და ნიუ მექსიკო: *ადგილის შეგრძნება.* პრინსტონი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**P:** (ჯორჯია ო'კიფი, *კლდის საკვამურები*, 1938, ლინსის, პოლინგ-კემპესისა და ტერნერის ნაშრომში 2004, 25)

**სხვა გრაფიკული წყაროები.** შეიძლება, დაგჭირდეთ ისეთი გრაფიკული წყაროების ციტირება, როგორიცაა სარეკლამო განცხადებები პრესაში, რუკები, კარიკატურები და ა.შ. აღნიშნეთ ასეთი წყაროები მხოლოდ ტექსტურ მითითებებში, მიუსადაგეთ მათ ხელოვნების ნიმუშებისთვის განკუთვნილი საბაზისო მოდელები და დაურთეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. მიუთითეთ სახელწოდებები სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმით  და აღნიშნეთ გრაფიკის ტიპი, თუ ის სახელწოდებიდან ცხადი არ არის. ონლაინ გრაფიკის შესახებ იხ. 19.8.6.

**P:** (ოჯახში წერა-კითხვის ცოდნის ეროვნული ცენტრი, „იმიტომ, რომ შემიძლია კითხვა", რეკლამა (განცხადება), ჟურნალი *ატლანტიკ მანსლი,* 2006 წლის აპრილი, 59)

### 19.8.2 ცოცხალი შესრულება

**თეატრი, მუსიკა და ცეკვა.** აღნიშნეთ ცოცხალი თეატრალური, მუსიკალური ან საცეკვაო შესრულება მხოლოდ ფრჩილებში ჩასმულ მითითებებში. აღნიშვნას დაურთეთ შესრულებული ნაწარმოების სახელწოდება, ყველა წამყვანი შემსრულებლის სახელი და გვარი და მათ მიერ შესრულებული როლები, რომელ თეატრში, დარბაზში და ა.შ გაიმართა წარმოდგენა, წარმოდგენის გეოგრაფიული მდებარეობა და თარიღი. პიესების და დიდი მუსიკალური კომპოზიციების სათაურები დაწერეთ დახრილი შრიფტით, ხოლო უფრო მცირე ნამუშევრების სათაურები მიუთითეთ სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმით. სათაურებისთვის გამოიყენეთ მთავრული ასოებით სათაურების წერის სტილი. თუ ციტატა ხაზს უსვამს ინდივიდის შესრულებას, შემსრულებლის სახელი და გვარი მიუთითეთ ნაწარმოების სათაურის წინ. გააცალკევეთ ელემენტები მძიმეებით.

**P:** (*ცისფერი ჩიტუნა,* ავტორი ჩერილ ლ. ვესტი, რეჟისორი სირიტ სკოტი, სექონდ სთეიჯის თეატრი, ნიუ იორკი, 2005 წლის 22 ივნისი)

(იუჯა ვანგი, პიანისტი, „ვალსი“, კომპოზიტორი მორის რაველი, სიმფონიური ცენტრი, ჩიკაგო, 2006 წლის 26 მარტი)

ტექსტური მითითებების გამოყენების ნაცვლად, ხანდახან, ციტირება ცოცხალი შესრულების შესახებ ელემენტების ტექსტში ჩასმითაც შეგიძლიათ.

იუჯა ვანგის მიერ შესრულებულმა მორის რაველის „ვალსმა“ (2006 წლის 26 მარტი, სიმფონიური ცენტრი, ჩიკაგო) წარმოაჩინა მის მიერ . . . გაგება . . .

თუ ცოცხალი შესრულება ჩანაწერში იხილეთ ან მოისმინეთ, მიუთითეთ ეს ჩანაწერი. აუდიო ჩანაწერის შესახებ იხ. 19.8.4; ვიდეო ჩანაწერთან დაკავშირებით – 19.8.5; ინლაინ ფაილების შესახებ – 19.8.6.

**კინოსურათები.** თუ ფილმი კინოთეატრში ნახეთ, ცოცხალი შესრულების მითითების მსგავსად, ტექსტურ მითითებებში აღნიშნეთ ან ჩართეთ ელემენტები ტექსტში. (ვიდეოჩანაწერებში ნანახი ფილმების შესახებ იხ. 19.8.5; ონლაინ ნანახი კინოფილმების შესახებ იხ. 19.8.6.) მიუთითეთ კინოსურათის სახელწოდება, რეჟისორი, მწარმოებელი კომპანიისა ან დისტრიბუტორის სახელწოდება და ფილმის გამოშვების წელი (დახრილი შრიფტით). სათაურებისთვის გამოიყენეთ მთავრული ასოებით სათაურების წერის სტილი. გააცალკევეთ ელემენტები მძიმეებით. თუ საჭიროა, აღწერეთ თქვენს მიერ ციტირებული ეპიზოდის მოქმედების ადგილი.

**P:**

(*კაპოტე,* რეჟისორი ბენეტ მილერი, კინოსტუდია სონი ფიქჩერზ კლასიქსი, 2005, შესავალი სცენა)

### 19.8.3 სატელევიზიო პროგრამები და სხვა სამაუწყებლო წყაროები

**პროგრამები.** მიუთითეთ ტელეპროგრამები, რადიოპროგრამები და სხვა სამაუწყებლო წყაროები მხოლოდ ტექსტურ მითითებებში. დაურთეთ პროგრამის სახელი და თარიღი, როდესაც ნახეთ ან მოისმინეთ გადაცემა. შეგიძლიათ, აგრეთვე, აღნიშნოთ ეპიზოდის სათაური და ნომერი (თუ

ხელმისაწვდომია), ყველა წამყვანი შემსრულებლის სახელი და გვარი (თუ თქვენს დისკუსიას შეესაბამება), ადგილი, საიდანაც ხდება მაუწყებლობა და თავდაპირველი მაუწყებლობის თარიღი (თუ განსხვავდება იმ თარიღისგან, როდესაც თქვენ ნახეთ ან მოისმინეთ გადაცემა). დაწერეთ დახრილი შრიფტით პროგრამების სახელები, ხოლო ეპიზოდების ან სეგმენტების სათაურები – სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმით. გააცალკევეთ ელემენტები მძიმეებით.

**P:** (*საინფელდი,* „საპირისპირო“, ეპიზოდი 86, 2005 წლის 22 სექტემბერი [თავდაპირველად გავიდა ეთერში 1994 წლის 19 მაისი])

(მთავარი საინფორმაციო პროგრამა *ყველაფრის გათვალისწინებით,* ეროვნული საზოგადოებრივი რადიო NPR, 2006 წლის 20 აპრილი)

ხშირად, ტექსტური მითითებების ნაცვლად, შეგიძლიათ, ამგვარი პროგრამები აღნიშნოთ ძირითადი ელემენტების ტექსტში ჩართვით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზოგიერთი ან ყველა დამატებითი ელემენტი არ არის ხელმისაწვდომი ან არ შეესაბამება ციტირებას.

*საინფელდის* ეპიზოდი სათაურით „საპირისპირო“ (ეთერში გავიდა 2005 წლის 22 სექტემბერს) შესანიშნავად გადმოსცემს ამ თხრობის სტრუქტურას.

თუ პროგრამა ჩანაწერში ნახეთ ან მოისმინეთ, მიუთითეთ ჩანაწერი. ვიდეოჩანაწერის შესახებ იხ. 19.8.5; ონლაინ ფაილების შესახებ - 19.8.6.

**ინტერვიუები.** მიუთითეთ მაუწყებლის მეშვეობით გადმოცემული ინტერვიუები მხოლოდ ტექსტურ მითითებებში ან ტექსტში ელემენტების ჩართვით. მიიჩნიეთ რესპოდენტი ავტორად და ციტირების კონტექსტში მიუთითეთ ინტერვიუერის ვინაობა. დაურთეთ, აგრეთვე, მაუწყებლობის ფორუმი და თარიღი. სათაურებისთვის გამოიყენეთ მთავრული ასოებით სათაურების წერის სტილი. გააცალკევეთ ელემენტები მძიმეებით. გამოუქვეყნებელი ინტერვიუების შესახებ იხ. 19.6.3.

**P:** (კონდოლისა რაისი, ჯიმ ლერერის მიერ ჩამორთმეული ინტერვიუ, სატელევიზიო სიანფორმაციო პროგრამა ნიუ აუერზ, საზოგადოებრივი სამაუწყებლო სამსახური, 2005 წლის 28 ივლისი)

**რეკლამები.** მიუთითეთ მაუწყებლობის საშუალებებით გადმოცემული რეკლამები მხოლოდ ტექსტურ მითითებებში ან ტექსტში ელემენტების ჩასმით. დაურთეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.

**P:** (ფედერალ ექსპრესი, „მღვიმის კაცის“ რეკლამა, ეთერში გავიდა სუპერ ბოულის მე-40 მატჩის დროს, 2006 წლის 5 თებერვალი)

**19.8.4 აუდიო ჩანაწერები**

თუ აუდიო ჩანაწერში მოისმინეთ მუსიკალური შესრულება ან დეკლამაცია, მიუთითეთ ჩანაწერი. გამოქვეყნებული ნაშრომების მსგავსად, ასეთ ჩანაწერებს, ზოგადად, უცვლელი და ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და საჭირო იქნება მათი აღნიშვნა მითითებების ჩამონათვალში. ტექსტურ მითითებებში უნდა აღნიშნოთ მხოლოდ ავტორი და თარიღი.

მითითებების ჩამონათვალში ჩანაწერები აღნიშნეთ კომპოზიტორის ან შემსრულებლის სახელის ქვეშ იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო შეესაბამება თქვენს მსჯელობას. იმისათვის, რომ სხვა მსგავსი ჩანაწერებისგან განასხვავოთ, დაურთეთ შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია: კომპანიის სახელი, ჩანაწერის საიდენტიფიკაციო ნომერი, ჩანაწერის ფორმა (კასეტა, კომპაქტდისკი) და საავტორო უფლების მინიჭების ან ჩანაწერის გაკეთების თარიღი (ან ორთავე). შეამოკლეთ კომპაქტდისკი, როგორც CD.

**R:** ბეთხოვენი, ლუდვიგ ვან. 1992. *სონატა № 29 ფორტეპიანოსთვის "ჰემერკლავიერ."* რუდოლფ სერკინი. ProArte Digital CDD 270.

ანდერსონი, დუგი. 2001. ვოკალურ-ინსტრუმენტალური ჯგუფი *Frostwork.* OAR 1001, Dolby HX PRO. აუდიოკასეტა.

ბერნსტაინი, ლეონარდი, დირიჟ. 1985. *სიმფონია № 5,* კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი. ნიუ იორკის ფილარმონიური ორკესტრი. CBS IM 35854.

მუსიკალური ჩანაწერის მსგავსად, მიუთითეთ დრამატული პიესების, პროზისა და პოეზიის, ლექციებისა და ამგვარი საჯაროდ წაკითხული მასალების ჩანაწერები.

**R:** ტომასი, დილანი. 1950. *რადიო პიესა რძის ხის ქვეშ.* შემსრულებლები დილან ტომასი და სხვები. Caedmon TC-2005 (აუდიოკასეტა), CDLS-2005 (CD).

იმისთვის, რომ ტექსტში მიუთითოთ მასალა, რომელსაც არ აქვს ჩაწერის ოფიციალური თარიღი, აღნიშნეთ ის მითითებების ჩამონათვალში და ნაწარმოების სათაურში მიუთითეთ კომპოზიტორის ან შემსრულებლის გვარი და სახელი. ჩასვით ეს ინფორმაცია ფრჩხილებში ან ტექსტში.

**19.8.5 ვიდეოჩანაწერები**

თუ ცოცხალი შესრულება, კინოფილმი, სატელევიზიო პროგრამა, ან სხვა სამაუწყებლო წყარო ვიდეოჩანაწერში ნახეთ, მიუთითეთ ჩანაწერი. გამოქვეყნებული ნაშრომების მსგავსად, ამგვარ ჩანაწერებს, ზოგადად, უცვლელი და ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და ისინი მითითებების ჩამონათვალში უნდა განთავსდეს. ტექსტობრივ მითითებებში აღნიშნეთ მხოლოდ ავტორი და თარიღი.

ვიდეოჩანაწერების მითითებისას, ზოგადად, ვხელმძღვანელობთ წიგნებისთვის განკუთვნილი ნიმუშებით, ჩანაწერის ფორმის დამატებით (VHS, DVD). გაითვალისწინეთ, რომ მეორე მაგალითში მითითებულია 2001 წლის გამოშვების მასალა, ამიტომ ფილმის თავდაპირველი გამოსვლის თარიღი გამოტოვებულია.

**R:** ჰენდელი, გეორგი ფრიდრიხი. 1988. *მესია.* VHS. ატლანტას სიმფონიური ორკესტრი და კამერული გუნდი, დირიჟორი რობერტ შოუ. ბატავია, ოჰაიო: ვიდეო საუნჯე.

კლიზი, ჯონი, ტერი ჯილიამი, ერიკ აიდლი, ტერი ჯონსი და მაიკლ პალინი. 2001. კომენტარები. დისკო 2. *მონტი პითონი და წმინდა გრაალი,* სპეც. გამოც. DVD. დირიჟორი ტერი ჯილიამი და ტერი ჯონსი. კალვერ-სიტი, კალიფორნია: კომპანია კოლამბია ტრისტარ ჰოუმ ენტერტეიმენტი.

**19.8.6 ონლაინ მულტიმედიური ფაილები**

თუ ონლაინ ნახეთ გამოსახულება, ცოცხალი შესრულება, კინოფილმი, სატელევიზიო პროგრამა, ან სხვა სამაუწყებლო წყარო (პოდკასტების ჩათვლით), მიუთითეთ ონლაინ ფაილი. ისევე, როგორც გამოქვეყნებული ნაშრომები, ონლაინ მულტიმედიურ ფაილებს, ზოგადად, უცვლელი და

ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და საჭიროა მათი მითითებების ჩამონათვალში შეყვანა.

ციტირებისას იხელმძღვანელეთ ზემოთ აღწერილი შესაბამისი ტიპის წყაროსთვის განკუთვნილი პრინციპებით. თუ რთულია ფაილის თარიღის განსაზღვრა, იხმარეთ აღნიშვნა *თარიღის გარეშე* ან მიუთითეთ სხვა მხრივ შესაფერისი თარიღი. ამასთან, მიუთითეთ საიტის სახელი და ფაილის ტიპი. დაურთეთ URL-ი და საიტზე შესვლის თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი არ არის საკმარისი; უნდა წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. თუ ფაილს არ აქვს ინდივიდუალური URL-ი (როგორც ქვემოთ მოყვანილ მეორე მაგალითში), მიუთითეთ მთელი საიტი.

**R:** ბი-ბი-სი. თარიღის გარეშე. „ბლერი აკეთებს განცხადებას ახალი აფრიკული კომისიის შესახებ“. ბი-ბი-სის საინფორმაციო ვებსაიტი ბი-ბი-სის ახალი ამბების ვებ გვერდი. ვინდოუსის მედიაპლეერის ვიდეოფაილი. http://news.bbc.uk/nolavconsole/ifs_news/hi/newsid_5110000/newsid_5119200/nb_wm_5119262.stm (ბოლოს შესვლის თარიღი 2006 წლის 27 ივნისი).

მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუსი. 1778. „ალეგრო მოდერატო“, *სონატა № 10 ფორტეპიანოსთვის დო მაჟორში.* კუნსტ დე ფუგი. MIDI ფაილი. http://www.kunstderfuge.com/mozart.htm (ბოლოს შესვლის თარიღი 2005 წლის 19 ნოემბერი).

ოფიციალური თარიღის არმქონე ფაილის ციტირებისას, აღნიშნეთ მითითებების ჩამონათვალში ავტორის სახელი და გვარი და სათაური. დაურთეთ ეს ინფორმაცია ფრჩხილებში ან ტექსტში. თუ საჭიროა, მიუთითეთ, აგრეთვე, ციტირებული მასალის ფაილში გამოჩენის დრო.

**P:** (BBC თარიღის გარეშე, 3:43)

### 19.8.7 ტექსტები ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებაში

ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებაში ტექსტებს, ზოგადად, უცვლელი და ხელმისაწვდომი საიდენტიფიკაციო მონაცემები აქვს და

ისინი მითითებების ჩამონათვალში უნდა შეიყვანოთ. ტექსტობრივ მითითებებში აღნიშნეთ მხოლოდ ავტორი და თარიღი.

**გამოფენების კატალოგები.** მიუთითეთ გამოფენის კატალოგი ისევე, როგორც წიგნს მიუთითებდით. მითითებების ჩამონათვალში, გამოქვეყნების მონაცემების შემდეგ, ჩაწერეთ გამოფენის სახელწოდება და ადგილმდებარეობა(ები).

**R:** ბარტერი, ჯუდითი ა., რედ. 1998. *მერი კესეტი: თანამედროვე ქალი.* ჩიკაგო: ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი, გარი ნ. აბრამსთან თანამშრომლობით. გამოქვეყნდა ერთდროულად გამოფენასთან „მერი კესეტი: თანამედროვე ქალი“, რომელიც მოეწყო ბოსტონის ნატიფი ხელოვნების მუზეუმში, ვაშინგტონის, კოლუმბიის ოლქი, ეროვნულ გალერეაში და ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში.

**პიესები.** ზოგიერთ შემთხვევაში განთქმული პიესები შეგიძლიათ, აღნიშნოთ მხოლოდ ტექსტურ მითითებებში. (იხ., აგრეთვე, 19.5.1.) სათაურებისთვის გამოიყენეთ მთავრული ასოებით სათაურების წერის სტილი. დააშორეთ ელემენტები მძიმეებით. გამოტოვეთ პუბლიკაციის მონაცემები და მიუთითეთ ნაწყვეტები აქტისა და სცენის (ან სხვა დაყოფის) და არა გვერდის ნომრის მიხედვით.

**P:** (იუჯინ ო’ნეილი, *გრძელი მოგზაურობა ღამეში,* აქტი 2, სცენა 1)

თუ თქვენი ნაშრომი ეხება ლიტერატურულ კვლევას ან ტექსტების ღრმა ანალიზს, ან თუ ბუნდოვანი ნაწარმოების ციტირებას აკეთებთ, ყველა პიესა მიუთითეთ ისე, როგორც მიუთითებდით წიგნს და აღნიშნეთ ის მითითებების ჩამონათვალში. პასაჟები მიუთითეთ გვერდებით ან დანაყოფებით ადგილობრივი მოთხოვნების მიხედვით.

**R:** ბაგნოლდი, ინიდი. 1953. *ცარცის ბაღი.* ნიუ იორკი: გამომცემლობა რენდომ ჰაუსი Random House.

ანუი, ჟანი. 1996. *თომას ბეკეტი.* მთარგმ. ლუსიენ ჰილი. ნიუ იორკი: გამომცემლობა რივერჰედ ბუქსი Riverhead Books.

**P:** (ბაგნოლდი 1953, 8-9)

(ანუი 1996, მოქმ. 1, სც. 1)

**პარტიტურები.** მიუთითეთ გამოქვეყნებული პარტიტუტა ისე, როგორც მიუთითებდით წიგნს.

**R:** ვერდი, ჯუზეპე. 1998. *კორსარი* (ტრაგიკული მელოდრამა სამ მოქმედებად). ლიბრეტოს ავტორი ფრანჩესკო მარია პიავე. გამომც. ელისაბედ ჰადსონი. 2 ტ. ჯუზეპე ვერდის ნაშრომები, სერ. 1, ოპერები. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა; მილანი: გამომცემლობა ჯ. რიკორდი G. Ricordi.

მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუსი. 1960. *სონატები და ფანტაზიები ფორტეპიანოსთვის.* მომზადებული ორიგინალებიდან და ყველაზე ადრინდელი ბეჭდვითი წყაროებიდან ნათან ბროდერის მიერ. გადახედ. გამოც. ბრინ მარი, პენსილვანია: გამომცემლობა Theodore Presser.

მიუთითეთ გამოუქვეყნებელი პარტიტურა ისე, როგორც მიუთითებდით გამოუქვეყნებელ მასალას ხელნაწერთა კოლექციებიდან.

**R:** შეიპი, რალფი. 1966. პარტიტა ვიოლინოსთვის და ცამეტი შემსრულებლისთვის. პარტიტურა. სპეციალური კოლექცია, ჯოზეფ რეგენშტეინის ბიბლიოთეკა. ჩიკაგოს უნივერსიტეტი.

## 19.9 საჯარო დოკუმენტები

საჯარო დოკუმენტები მოიცავს მსოფლიოს ყველა დონის მთავრობების მიერ გამოშვებული წყაროების ერთობლიობას. წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია გავრცელებული ტიპის ინგლისურენოვანი საჯარო დოკუმენტებისთვის განკუთვნილი ზოგადი პრინციპები; თუ დაგჭირდებათ სხვა ტიპის დოკუმენტების მითითება, იხელმძღვანელეთ ყველაზე მიახლოებული, საჭიროებისამებრ ადაპტირებული მოდელით.

საჯარო დოკუმენტები შეიცავს უფრო რთულ და მრავალფეროვან ელემენტებს, ვიდრე გამოქვეყნებული წყაროები. მითითებებში დაურთეთ შეძლებისდაგვარად მეტი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, თანმიმდევრულად დააფორმატეთ ელემენტები და, საჭიროების შემთხვევაში, მითითებებს მიუსადაგეთ ზოგადი მოდელები.

ამ ნაწილის უმეტესი ნაწილი ეხება დოკუმენტებს, რომლებიც გამოაქვეყნეს აშშ-ს სამთავრობო ორგანოებმა და სააგენტოებმა. კანადისა

და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებისა და, ასევე, საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების შესახებ იხ. 19.9.9-19.9.11. ზოგადად, გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების შესახებ იხ. 19.9.12.

**19.9.1 შესატანი ელემენტები, მათი თანმიმდევრობა და დაფორმატების წესი**

მითითებების ჩამონათვალში შეიტანეთ რაც შეიძლება მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

- მთავრობის (ქვეყნის, შტატის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ქვედანაყოფის) და სახელისუფლო ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელი, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;
- გამოქვეყნების თარიღი;
- ინდივიდუალური ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;
- ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;
- მონაცემები გამოცემის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის გვარი და სახელი, თუ ეს უკანასკნელი განსხვავდება გამომცემელი ორგანოსგან (19.9.2-19.9.4-ში განხილული აშშ-ს ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული ყველა პუბლიკაციისთვის შესაბამისად გამოიყენეთ აღნიშვნები;
- გვერდის ნომრები ან სხვა ლოკალიზატორები, თუ საჭიროა;

ჩამოთვალეთ შესაბამისი ელემენტები ზემოთ ნაჩვენები თანმიმდევრობით. ზოგიერთი ტიპის დაკუმენტთან დაკავშირებით დაშვებული გამონაკლისები განხილულია 19.9-ის მომდევნო ნაწილებში.

**R:** აშშ-ის კონგრესი. სენატი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. 1956. *1956 წლის ერთობლივი უსაფრთხოების აქტი.* 84-ე კონგრ., მე-2 სეს. სენ. ანგ. 2273.

ტექსტურ მითითებებში ავტორის ადგილზე ჩაწერეთ ის ინფორმაცია, რომელიც მითითებების ჩამონათვალში თარიღის წინ არის მოყვანილი. თუ ეს ინფორმაცია გრძელია, მითითებებში შეგიძლიათ, ის

ლოგიკურად და თანმიმდევრულად შეამოკლოთ. ბევრ შემთხვევაში ტექსტური მითითებების ნაცვლად, შეიძლება, მოახერხოთ ამ ინფორმაციის ტექსტში სრულად ან ნაწილობრივ ჩართვა.

**P:** (აშშ-ის სენატი 1956, 9-10)

. . . როგორც დაადგინა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა თავის ანგარიშში, რომელიც თან ახლავს 1956 წლის *ერთობლივი უსაფრთხოების აქტს* (9-10).

### 19.9.2 კონგრესის პუბლიკაციები

კონგრესის პუბლიკაციების შემთხვევაში, მითითებების ჩამონათვლის მუხლები, ჩვეულებრივ, იწყება აღნიშვნით *აშშ-ის კონგრესი,* რომელსაც მოსდევს *სენატი* ან *წარმომადგენელთა პალატა.* (გამარტივების მიზნით, შეგიძლიათ, გამოიყენოთ, უბრალოდ, *აშშ-ის სენატი* ან *აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა.* სხვა გავრცელებული ელემენტებია კომიტეტი და ქვეკომიტეტი; გამოქვეყნების თარიღი; დოკუმენტის სათაური; კონგრესისა და სხდომის ნომერი (ასეთი შემოკლებით: *კონგრ.* და *სეს.)* და დოკუმენტის ნომერი და აღწერა (მაგალითად, H. Doc. 487), თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

***დებატები.*** 1873 წლიდან კონგრესში გამართულ დებატებს მთავრობა აქვეყნებდა აშშ-ის კონგრესის ოფიციალურ გამოცემაში „კონგრეშენალ რეკორდ“ (*კონგრესის რეესტრი*). ყველგან, სადაც შესაძლებელია, მიუთითეთ გამოცემის ტომები, რომლებშიც ხშირად აისახება ცვლილებები. დაიწყეთ ტექსტური მითითებები აბრევიატურით *კონგრ. რეესტ.* და დაურთეთ ტომის და ნაწილის ნომრები, ასევე გვერდების ნომრები.

**R:** აშშ-ის კონგრესი. *კონგრესის რეესტრი.* 1930. 71-ე კონგრ., მე-2 სეს. ტ. 72, ნაწ. 10.

**P:** (*კონგრ. რეესტ.* 1930, 72, ნაწ. 10: 10828-30)

თუ გესაჭიროებათ მომხსენებლის და განსახილველი საკითხის მითითება, ჩასვით ეს მონაცემები ტექსტში, ხოლო ტექსტურ მითითებებში წარმოადგინეთ მხოლოდ მონაცემები პუბლიკაციის შესახებ.

მასაჩუსეტსის სენატორმა კენედიმ თავის გამოსვლაში ისაუბრა ერთობლივ რეზოლუციაზე ბირთვული იარაღის გაყინვის და შეზღუდვის შესახებ (კონგრ. რეესტ. 1982, 128, ნაწ. 3: 3832-34).

1874 წლამდე კონგრესში გამართული დებატები ქვეყნდებოდა გამოცემაში „შეერთებული შტატების კონგრესის ისტორია" (რომელიც, ასევე ცნობილია სხვა სახელებით) და მოიცავს 1789-1824 წლების პერიოდს, „კონგრეშენალ დიბეიტს" (*კონგრესის დებატები*) (1824-37) და „კონგრეშენალ გლოუბ" (*კონგრესის სამყარო*) (1833-73). მიუთითეთ ეს დოკუმენტები ისევე, როგორც მიუთითებდით *„კონგრეშენალ რეკორდს"*.

**ანგარიშები და დოკუმენტები.** სენატის (შემოკლებით *სენ.*), ასევე წარმომადგენელთა პალატის (შემოკლებით *წარ. პალ.*) ანგარიშებისა და დოკუმენტების ციტირებისას დაურთეთ როგორც კონგრესის, ასევე სესიების ნომრები და, თუ შესაძლებელია, სერიის ნომერიც.

**R:** აშშ-ის კონგრესი. წარმომადგენელთა პალატა. 1947. *საერთაშორისო სავალუტო და ფინანსური საკითხების ეროვნული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის 1947 წლის 31 მარტის ანგარიში.* 80-ე კონგრ., 1-ლი სეს. წარ. პალ. დოკ. 365.

**P:** (აშშ-ის წარ. პალ. 1947, 4)

**მოსმენები.** კონკრესის კომისიებისთვის მიცემული ჩვენებების ჩანაწერები, ჩვეულებრივ, ქვეყნდება სათაურებით, რომლებსაც აღნიშნავენ მითითებებში. ავტორად მიუთითეთ შესაბამისი კომიტეტი.

**R:** აშშ-ის კონგრესი. სენატი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. 1985. *შიმშილი აფრიკაში: მოსმენები საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში.* 99-ე კონგრ., 1-ლი სეს., 17 იანვარი.

**P:** (აშშ-ის სენატი 1985, 53)

**კანონპროექტები და რეზოლუციები.** კონგრესის კანონპროექტები (საკანონმდებლო ინიციატივები) და რეზოლუციები ქვეყნდება ბუკლეტის ფორმით. მითითებებში წარმომადგენელთა პალატაში წარდგენილი კანონპროექტების და რეზოლუციების შემოკლებად გამოიყენება *წარ. პალ.* (*HR),* ხოლო სენატში წარდგენილი კანონპროექტებისა და რეზოლუციების შემოკლებად - *სენ.* დაურთეთ „კონგრეშენალ რეკორდში" გამოქვეყნებული პუბლიკაციის დეტალები (თუ ხელმისაწვდომია).

**R:** აშშ-ის კონგრესი. წარმომადგენელთა პალატა. 1985. *1985 წლის საკვების უსაფრთხოების აქტი.* წარ. პალ. 2100. 99-ე კონგრ., 1-ლი სეს., *კონგრესის რეესტრი* 131, № 132, ყოველდღიური გამოც. (8 ოქტომბერი): წარ. პალ. 8353-8486.

**P:** (აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა 1985, წარ. პალ. (H) 8461)

**საკანონმდებლო აქტები.** კანონპროექტები ან რეზოლუციები, რომლებიც კანონად დამტკიცდა ჯერ ცალკე იბეჭდება, შემდეგ კი იკრიბება და იკინძება ყოველწლიურ ტომებად სახელწოდებით: „შეერთებული შტატების კანონების კრებული". ამ კრებულის გამოქვეყნება დაიწყო 1874 წელს. მოგვიანებით ამ ტომებს აერთიანებენ შეერთებული შტატების კოდექსში. მიუთითეთ *აშშ-ის საკანონმდებლო აქტი, აშშ-ის კოდექსი* ან ორივე; განსაკუთრებული დებულებები მიუთითეთ ნაწილის მიხედვით (რომელსაც წინ უსწრებს ნაწილის სიმბოლო და ინტერვალი), ხოლო აქტები – გვერდების მიხედვით.

ტექსტურ მითითებებში დაურთეთ აქტის მიღების წელი; მითითებების ჩამონათვალში შეიტანეთ აგრეთვე აქტების კრებულის გამოქვეყნების თარიღი. ის შეიძლება, განსხვავდებოდეს კანონის მიღების წლისგან.

**R:** *1946 წლის აქტი ატომური ენერგიის შესახებ.* საჯარო კანონი 585. 79-ე კონგრ., მე-2 სეს. 1 აგვისტო.

*აქტი კრედიტების ზუსტი ანგარიშგების შესახებ.* 1970. *აშშ-ის კოდექსი* 15 (2000), §§ 1681 და შემდგომი.

*1969 წლის აქტი ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესახებ.* საჯარო კანონი 91-190. *აშშ-ის კანონების კრებული* 83 (1970): 852. კოდიფიცირებულია აშშ-ის კოდექსით 42 (2000), §§ 4321 და შემდგომი.

**P:** (*1946 წლის აქტი ატომური ენერგიის შესახებ*)

(*აქტი კრედიტების ზუსტი ანგარიშგების შესახებ 1970*)

(*1969 წლის აქტი ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესახებ.*, პარ. 102)

1874 წლამდე კანონები ქვეყნდებოდა ჩვიდმეტტომიან „ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო აქტების კრებულში“, *1789-1873.* ამ კრებულის მითითებები შეიცავს ტომის ნომერს და მისი გამოქვეყნების თარიღს.

### 19.9.3 საპრეზიდენტო გამოცემები

საპრეზიდენტო გამოცემები, ბრძანებულებები, ვეტოები, მიმართვები და ა.შ. ქვეყნდება „საპრეზიდენტო დოკუმენტების ყოველკვირეულ კრებულში“ და „შეერთებული შტატების პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტებში“. მოწოდებები და ბრძანებულებები თავსდება, აგრეთვე, ყოველდღიურ „ფედერალურ რეესტრში“, შემდეგ კი ქვეყნდება „ფედერალური ნორმატიული აქტების კრებულის“ მე-3 ტიტულში. საპრეზიდენტო გამოცემები წყაროდ გამოიყენეთ „კრებულში“ გამოქვეყნების შემდეგ.

**R:** აშშ-ის პრეზიდენტი. 1984. პროკლამაცია. აქტი კარიბის ზღვის აუზის ეკონომიკური აღდგენის შესახებ, პროკლამაცია 5142, პროკლამაცია შესწორების შეტანის შესახებ 5133. *ფედერალური რეესტრი 49,* № 2, გვ. 341 (4 იანვარი).

აშშ-ის პრეზიდენტი. 1971. პრეზიდენტის ბრძანებულება № 11,609. *ფედერალური ნორმატიული აქტების კრებული,* სათაური 3, გვ. 586 (1971-75).

**P:** (აშშ-ის პრეზიდენტი 1984, 341)

(აშშ-ის პრეზიდენტი 1971)

აშშ-ს პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტები იკრიბება ორ მრავალტომეულ ნაშრომში: „პრეზიდენტების მიმართვების და დაკუმენტების კრებული”, *1789-1897,* –და „შეერთებული შტატების პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტები“. ეს უკანასკნელი განკუთვნილია მომავალი მთავრობებისთვის.

**R:** ჰუვერი, გერბერტი. 1977. *შეერთებული შტატების პრეზიდენტების საჯარო დოკუმენტები: გერბერტ ჰუვერი, 1929-33.* ტ. 4, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: სამთავრობო ბეჭდვის სამმართველო.

**P:** (ჰუვერი 1977, 178-83)

### 19.9.4 სამთავრობო დაწესებულებებისა და სააგენტოების გამოცემები

სამინისტროები, სამმართველოები და სააგენტოები გამოსცემენ ანგარიშებს, ბიულეტენებს, ცირკულარებსა და სხვა მასალებს. სათაურის შემდეგ დაურთეთ მითითებული ავტორის სახელი და გვარი.

**R:** აშშ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სასარგებლო წიაღისეულის მართვის სამსახური. 1984. *ნავთობის დაღვრის რისკის ანალიზი მექსიკის ყურეს ცენტრალური (1984 აპრილი) და დასავლეთი ნაწილებისთვის (1984 ივლისი),* მოამზადა რობერტ პ. ლაბელმა. საჯარო ანგარიში, აშშ-ის გეოლოგიური სამსახური. დენვერი.

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო. 1975. *მთლიანი ბინის ქირის მედიანა შეერთებული შტატების ოლქების მიხედვით, 1970.* მოამზადა გეოგრაფიის განყოფილებამ საბინაო მშენებლობის განყოფილებასთან ერთად, მოსახლეობის აღწერის ბიურო. ვაშინგრონი, კოლუმბიის ოლქი: სამთავრობო ბეჭდვის სამმართველო.

**P:** (აშშ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრო 1984, 3)

(აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო 1975, 15-16)

სამთავრობო კომისიების, მაგალითად, კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის ან ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის მიერ გამოცემული ბიულეტენების, ცირკულარების, ანგარიშებისა და კვლევების ციტირება ხდება ზუსტად ისევე, როგორც საკანონმდებლო

ანგარიშებისა. ისინი ხშირად კლასიფიცირდება, როგორც წარმომადგენელთა პალატის *(წარ. პალ.)* ან სენატის *(სენ.)* დოკუმენტები.

**R:** აშშ-ის კონგრესი. სენატი. 1935. ფედერალური ვაჭრობის კომისიის ანგარიში საზოგადოებრივი სარგებლობის (კომუნალური) კორპორაციების შესახებ. 70-ე კონგრ., 1-ლი სეს., სენ. დოკ. 91, ნაწ. 71A.

აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და საბირჟო ოპერაციების კომისია. 1983. *ფასიანი ქაღალდებისა და საბირჟო ოპერაციების კომისიის წლიური ანგარიში ფინანსური წლისთვის.* ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: სამთავრობო ბეჭდვის სამმართველო.

**P:** (აშშ-ის სენატი 1935, 1)

(აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და საბირჟო ოპერაციების კომისია 1983, 42)

### 19.9.5 აშშ-ს კონსტიტუცია

აშშ-ს კონსტიტუცია აღინიშნება მხოლოდ ტექსტურ მითითებებში; არ არის აუცილებელი მისი ჩართვა მითითებების ჩამონათვალში. დაურთეთ მუხლი ან შესწორება, ნაწილი და, თუ საჭიროა, პუნქტიც. ისეთი ტერმინებისთვის, როგორიცაა *შესწორება* და *ნაწილი,* გამოიყენეთ არაბული ციფრები და, თუ მოისურვებთ, აბრევიატურები.

**P:** (აშშ-ის კონსტიტუცია, მუხ. 2, ნაწ. 1, პუნქ. 3)

(აშშ-ის კონსტიტუცია, შესწორ. 14, ნაწ. 2)

ხშირ შემთხვევაში, შეგიძლიათ, ტექსტში ჩართოთ საიდენტიფიკაციო მონაცემები. ასეთ დროს ნაწილების სახელები დაწერეთ სიტყვიერად. თუ შესწორებების ნომრებს ციფრების ნაცვლად სიტყვიერად წერთ, სიტყვების პირველი ასოები მთავრულით დაწერეთ.

აშშ-ის კონსტიტუცია, 1-ლ მუხლში, მე-9 ნაწილში, კრძალავს სასამართლო ბრძანების შეჩერებას (გადავადებას), „გარდა შემთხვევებისა, როდესაც აჯანყების ან სამხედრო შემოსევის შემთხვევაში ეს შეიძლება, საჭირო იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.

პირველი შესწორებით დაცულია აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება.

### 19.9.6 ხელშეკრულებები

1949 წლამდე ხელმოწერილი ხელშეკრულებების ტექსტები ქვეყნდება „შეერთებული შტატების კანონების კრებულში“; არაოფიციალურ მითითებაში გამოიყენება ტერმინები „ხელშეკრულებების სერია“ ან „საპრეზიდენტო შეთანხმებების სერია“. 1949 წელს ან მას შემდეგ ხელმოწერილი ხელშეკრულებები თავმოყრილია დოკუმენტში „შეერთებული შტატების ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები“, 1950- ან „ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო აქტების სერიები“, 1946-). ორზე მეტი სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები შეიძლება, მოიძებნოს დოკუმენტში „გაერთიანებული ერების ხელშეკრულებების სერია: გაერთიანებული ერების სამდივნოში დარეგისტრირებული ან დაარქივებული, ან აღრიცხვაში გატარებული ხელშეკრულებები და საერთაშორისო შეთანხმებები“. 1920-1946 წლებში დადებული ამგვარი ხელშეკრულებები თავმოყრილია „ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერიაში".

მიუთითეთ ხელშეკრულებების სახელები სწორი შრიფტით, ბრჭყალების გარეშე. დაწერეთ დახრილი შრიფტით გამოცემების სახელები, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი მრავალტომეული ნაშრომებია და არა სერიები. ზუსტი თარიღი აღნიშნავს დოკუმენტზე ხელმოწერის თარიღს და მისი მითითება შეიძლება ხელშეკრულების გამოქვეყნების წელთან ერთად.

**R:** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. 1963. ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა, 5 აგვისტო, 1963. *შეერთებული შტატების ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები* 14, ნაწ. 2.

შეერთებული შტატები. 1922. ხელშეკრულება სამხედრო-საზღვაო შეიარაღებების შეზღუდვის შესახებ. 1922 წლის 26 თებერვალი. *შეერთებული შტატების კანონების კრებული* 43, ნაწ. 2.

**P:** (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 1963)

(შეერთებული შტატები 1922)

### 19.9.7 სასამართლო საქმეები

ყველა ინსტანციის სასამართლოს საქმეების მითითება ერთნაირად ხდება. მითითებების ჩამონათვალში დახრილი შრიფტით მიუთითეთ საქმის სრული სახელი (*v – ლათ., წინააღმდეგ, მთარგ. შენიშვნა)* აბრევიატურის ჩათვლით). დაურთეთ ტომის ნომერი (არაბული ციფრებით), სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულის სახელი (შემოკლებით; იხ. ქვემოთ), სერიის რიგითი ნომერი (თუ საჭიროა), გადაწყვეტილების საწყისი გვერდის ნომერი, სასამართლოს შემოკლებული სახელი და თარიღი, სხვა შესაბამისი ინფორმაცია, მაგალითად, ამკინძავი სამსახური, ან შტატის, ან ადგილობრივი სასამართლოს სახელი (თუ მითითებული არ არის სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის შემდგენის სახელში).

**R:** *შეერთებული შტატები ქრისმასის წინააღმდეგ.* 222 F.3d 141 (4th Cir. 2000).

*მოგებაში მონაწილეობის გეგმა ემბანკ დალასის წინააღმდეგ, N.A.* 683 ფედ. დამ. 592 (N.D. Tex. 1988).

ერთადერთი ელემენტი, რომელიც განსხვავდება სასამართლოს ინსტანციის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის სახელია. ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე გავრცელებული სახელები.

- ***აშშ-ს უზენაესი სასამართლო.*** უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მოყვანისას, მიუთითეთ „შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოხსენებები" (შემოკლებით „აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული", თუ ის ჯერ არ არის ასახული პირველ დოკუმენტში.

**R:** *კორპორაცია ეი-ტი ენდ ტი კორპ. იოვა იუტილიტიზის წინააღმდეგ* 525 ა.შ.შ. 366 (1999).

S.p.p. *artur Andersen ი შეერთებული შტატების წინააღმდეგ.* 125 S. Ct. 2129 (2005).

- ***უფრო დაბალი ინსტანციის ფედერალური სასამართლოები.*** უფრო დაბალი ინსტანციის ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებების მოყვანისას, მიუთითეთ „ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებების კრებული" ან „აშშ-ს საოლქო სასამართლოებისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული".

**R:** *შეერთებული შტატები დენნისის წინააღმდეგ*. 183 F. 201 (2d Cir. 1950).

*იტონი აი-ბი-ემ კორპ.-ის წინააღმდეგ* 925 ფედ. დან. 487 (S.D. Tex. 1996).

- ***შტატისა და ადგილობრივი სასამართლოები.*** შტატის და ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილების ციტირებისას, სადაც შესაძლებელია, მიუთითეთ სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის ოფიციალური სახელმწიფო შემდგენები. თუ კომერციულ კრებულს იყენებთ, მიუთითეთ იგი, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ მეორე მაგალითში. თუ სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული არ ასახელებს სასამართლოს, მიუთითეთ ის ფრჩხილებში თარიღის წინ.

**R:** *ვილიამსი დევისის წინააღმდეგ.* 27 კალიფ. კალ. 2d 746 (1946).

*ბივენს მობლის წინააღმდეგ.* 724 So. 2d 458. (მისისიპის სააპელ. სას. 1998).

სასამართლო საქმის ციტირებისას ტექსტში მიუთითეთ საქმის სახელი და თარიღი (თუ კონკრეტულ ფორმულირებას უთითებთ, დაურთეთ, ასევე, გვერდის ნომერიც). ხშირ შემთხვევაში შეიძლება, ტექსტში ერთ-ერთი ან ორივე ელემენტი შეიტანოთ.

**P:** (*შეერთებული შტატები ქრისმასის წინააღმდეგ 2000*)

. . . მისი პრინციპის საუკეთესო მაგალითი იყო საქმე *შეერთებული შტატები ქრისმასის წინააღმდეგ* (2000).

### 19.9.8 შტატის და ადგილობრივი მთავრობის დოკუმენტები

შტატის და ადგილობრივი მთავრობის დოკუმენტების ციტირება გააკეთეთ ისევე, როგორც ფედერალური დოკუმენტებისა. იხმარეთ სწორი შრიფტი (ბრჭყალების გარეშე) შტატის კანონებისა და მუნიციპალური დადგენილებებისთვის; იხმარეთ დახრილი შრიფტი კოდექსებისთვის (კრებულებისთვის). სადაც საჭიროა, დაურთეთ სახელი, რათა აღნიშნოთ კოდექსის რომელი ვერსიიდანაა ციტატა მოყვანილი. შემდეგ ფრჩხილებში მიუთითეთ კოდექსის გამოცემის თარიღი.

**R:** *კანონი მეტამფეტამინის მოხმარების კონტროლის და საზოგადოების დაცვის შესახებ.* 2005. *ილინოისის საკანონმდებლო აქტების კრებული, თავი* 720, ნაწ. 646/10 (2005).

ილინოისის გარემოს ხარისხის დაცვის ინსტიტუტი (იგხი). 1977. *გოგირდის დიოქსიდის და აეროზოლების და მყარი ნაწილაკების ემისიის წინააღმდეგ*

*ბრძოლაში საზოგადოების ჩართვის მიმოხილვა და რეზიუმე.* მოამზადა სიდნეი მ. მარდერმა. იგხდი-ს დოკუემნტი № 77/21. ჩიკაგო.

**P:** (ნიუ მექსიკოს კონსტიტუცია, მუხ. 4, ნაწ. 7)

(*კანონი მეტამფეტამინის მოხმარების კონტროლის და საზოგადოების დაცვის შესახებ* 2005)

### 19.9.9 კანადის სამთავრობო დოკუმენტები

კანადის სამთავრობო დოკუმენტები მიუთითეთ აშშ-ს საჯარო დოკუმენტების მსგავსად. მითითებები დაიწყეთ სიტყვით *კანადის,* თუ იგი ცალსახად არ არის გასაგები კონტექსტიდან. შეამოკლეთ სიტყვები თავი *(თ.)* და ნაწილი *(ნაწ),*

საპარლამენტო დებატები გამოიცემა ცალკე სერიებად: „თემთა პალატის დებატები" და „სენატის დებატები". სადაც საჭიროა, დაურთეთ გამომსვლელის სახელი და გვარი. პროვინციებისა და ტერიტორიების საკანონმდებლო ორგანოები გამოსცემენ საკუთარ დებატებს.

**R:** კანადა. მანიტობა. საკანონმდებლო ასამბლეა. 2000. *დებატები და პროტოკოლები.* 17 აგვისტო.

**P:** (კანადა 2000, 5326)

საპარლამენტო საკანონმდებლო აქტების მითითებისას დაურთეთ საკანონმდებლო აქტის ნომერი, სახელი, მიღების წელი, სადაც საჭიროა, სესიის ნომერი, პარლამენტის ნომერი და, საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაცია.

**R:** კანონპროექტი C-40. *კანონი ექსტრადიციის შესახებ.* 1999. მე-2 სეს., 36-ე პარლამენტი, 1998, პუნქ. 1. *კანადის სტატუტები,* თ. 18.

**P:** (კანონპროექტი C-40, კანონი ექსტრადიციის შესახებ 1999)

კანადის აქტები პირველად ყოველწლიურ „კანადის სტატუტებში" გამოქვეყნდა, 1985 წელს კი ის გააერთიანეს დოკუმენტში „კანადის გადამუშავებული აქტები". სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ ბოლო წყარო და დაასახელეთ აქტის სახელი, სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის შემდგენი, შედგენის წელი, თავი და ნაწილი.

**R:** *კანონი კანადის ცოცხალი ბუნების შესახებ, კანადის გადამუშავებული აქტები* 1985, თ. W-9, ნაწ. 1.

*კანონი ადამიანის რეპროდუქციის დამხმარე საშუალებების შესახებ, კანადის სტატუტები* 2004, c.2, s. 2.

**P:** (კანონი კანადის ცოცხალი ბუნების შესახებ 1985)

**19.9.10 ბრიტანული სამთავრობო დოკუმენტები**

ბრიტანეთის სამთავრობო დოკუმენტები მიუთითეთ აშშ-ის საჯარო დოკუმენტების მსგავსად. ციტირებები დაიწყეთ ფრაზით „გაერთიანებული სამეფო“, თუ ეს კოტექსტიდან ცალსახად ცხადი არ არის. ბრიტანული სახელმწიფო დოკუმენტების უმეტესობას მისი უდიდებულესობის (მეფის ან დედოფლის) სახელმწიფო კანცელარია გამოსცემს ლონდონში.

საპარლამენტო დებატები გამოიცემოდა რამდენიმე სერიად, ხოლო 1909 წლიდან – გამოიცემა ცალკე-ცალკე სერიებად ლორდთა და თემთა პალატებისთვის. მითითებები შეიცავს თარიღს, სერიას, ტომის ნომერს და (თუ საჭიროა) სვეტს ან ხანდახან გვერდის ნომერს. ზოგ შემთხვევაში შეგიძლიათ, მიუთითოთ ტომის კონკრეტული დოკუმენტი.

**R:** გაერთიანებული სამეფო. 1879. *საპარლამენტო დებატების ოფიციალური ანგარიში.* მე-3 სერ., ტ. 249.

ჩერჩილი, უინსტონი. 1945. თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვა, 18 იანვარი. *საპარლამენტო დებატები,* თემთა პალატა, მე-5 სერ., ტ. 407 (1944-45), სვეტები 425-46.

**P:** (გაერთიანებული სამეფო, სვეტები 611-27)

(ჩერჩილი 1945, სვეტები 425-46)

პარლამენტის მიერ ცალკე გამოცემული საკანონმდებლო აქტები, მოხსენებები და დოკუმენტები ყოველი სესიის დასასრულს ერთად გამოიცემა ტომებად. ამ ტომებს „სესიის დოკუმენტები“ (*Sessional Papers*) ეწოდება. ყოველი ტომი შეიცავს ნაწილის სახელს.

**R:** გაერთიანებული სამეფო. თემთა პალატა. 1983. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მთავარი ადმინისტრატორის თანაშემწის

ამჟამინდელი და მომავალი როლი. *სესიის დოკუმენტები, 1982-83. პატიმრებისთვის პროფესიის სწავლება ციხეებში.* 25 აპრილი. ტ. 2.

**P:** (გაერთიანებული სამეფო 1983, ტ. 2, პარ. 9.14, გვ. 102)

პარლამენტის აქტები, როგორც წესი, აღინიშნება მხოლოდ ტექსტურ მითითებებში ან ტექსტში. აუცილებელი არ არის მათი ჩართვა მითითებების ჩამონათვალში. თუმცა, შეგიძლიათ, ჩამონათვალში ჩართოთ ის ნაშრომი, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტის გასამყარებლად ან რომელიც ხშირად გაქვთ გამოყენებული. აქტების ციტირებისას მიუთითეთ სახელი (სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმის გარეშე), თარიღი და თავის ნომერი (*თ.* თავისთვის; არაბული ციფრი სახელმწიფო ნომრისთვის, ნუსხური რომაული ციფრები ადგილობრივი ნომრისთვის). 1963 წლამდე გამოშვებული აქტების აღნიშვნისას მიუთითეთ მონარქის მეფობის წელი, მონარქის სახელი (შემოკლებით) და რიგითობა (არაბულად).

**P:** (1701 წლის აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, 12 და 13 უილ. 3, თ. 2)
(1963 წლის ქტი კონსოლიდირებული ფონდის შესახებ, თ. 1)
(1967 აქტი მანჩესტერის კორპორაციის შესახებ, თ. xl)

ბრიტანული ისტორიული ჩანაწერების მრავალი კრებული არსებობს. ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო არქივში შენახული დოკუმენტების ასლია.

**R:** გაერთიანებული სამეფო. 1890-1907. *ინგლისის საიდუმლო საბჭოს აქტები.* გამომც. ჯ. რ. დეისენტი. 32 ტომი. ლონდონი.
გაერთიანებული სამეფო. დაუთარიღებელი. *გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ოფიციალური დოკუმენტები* . . . (1278-1504). 6 ტომი. პაგინაციის გარეშე
გაერთიანებული სამეფო. 1810-28. *სამეფო აქტები.* გამომც. ე. ლუდერსი და სხვები. 11 ტომი. ლონდონი.

**P:** (გაერთიანებული სამეფო, 1810-28)

**19.9.11 საერთაშორისო ორგანოების გამოცემები**

საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგალითად, გაერთიანებული ერების, დოკუმენტების ციტირებისას, მიუთითეთ სანქციის გამცემი ორგანო (და, სადაც საჭიროა, ავტორი და რედაქტორი), თარიღი და დოკუმენტის თემა ან სახელი. დაურთეთ, აგრეთვე, სერიის და გამოცემის ნომრები, გამოცემის ადგილი და გამომცემელი. საყოველთაოდ ცნობილი მთავარი ორგანოების ციტირებისას შეგიძლიათ, გამოიყენოთ აბრევიატურები (*გაერო* – გაერთიანებული ერები, *მსო* – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ.).

**R:** ერთა ლიგა. 1935. *რუსული წარმოშობის ქალების მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში.* სერ. LoNP, IV.3. ჟენევა: ერთა ლიგა.

გენერალური შეთანხმება ტარიფების და ვაჭრობის შესახებ (გშტვ). 1994. *მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის შედეგები: ნორმატიული აქტების ტექსტები.* ჟენევა: გშტვ-ის სამდივნო.

**P:** (ერთა ლიგა 1935)

(გშტვ 1994)

**19.9.12 გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტები**

გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების ციტირებისას იხელმძღვანელეთ 19.6.4-ში აღწერილი მოდელებით.

აშშ-ის მთავრობის გამოუქვეყნებელი დოკუმენტების უმრავლესობა ინახება ეროვნულ არქივებში, ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში ან მის ფილიალებში. ყველა ამ მასალის, მათ შორის, ფილმების, ფოტოსურათების და აუდიო ჩანაწერების, ასევე, ტექსტური მასალების ციტირება ხდება ჩანაწერის ჯგუფის ნომრის მიხედვით.

კანადის გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების შესანახი დაწესებულებაა კანადის ეროვნული არქივები ოტავაში, ონტარიო. გაერთიანებულ სამეფოს აქვს გამოუქვეყნებელი სამთავრობო დოკუმენტების რამდენიმე საცავი, კერძოდ, სახელმწიფო არქივი და ბრიტანეთის მუზეუმი, ორივე მათგანი მდებარეობს ლონდონში.

### 19.9.13 საჯარო დოკუმენტები ონლაინ რეჟიმში

საჯარო დოკუმენტების ციტირებისას იხელმძღვანელეთ 19.9-ში წარმოდგენილი შესაბამისი მაგალითებით. ამასთან, დაურთეთ URL-ი და მასალის ინტერნეტით გაცნობის თარიღი (იხ. 15.4.1). გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL-ი არ არის საკმარისი; შეძლებისდაგვარად უნდა მიუთითოთ წყაროს ყველა მონაცემი, რათა მკითხველმა შეძლოს წყაროს მოძიება URL-ის შეცვლის შემთხვევაშიც. თუ გვერდების ნომრები ხელმისაწვდომი არ არის, მითითებული ნაწყვეტის ადგილმდებარეობის აღნიშვნა ტექსტურ მითითებებში აღწერილობითი ლოკალიზატორის დამატებით შეგიძლიათ (როგორიცაა წინა ქვესათაური).

**R:** აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო. 2004. შემოსავალი, სიღარიბე და დაფარვა ჯანმრთელობის დაზღვევით შეერთებულ შტატებში, 2004. http://www.census.gov/prod/2005pubs/p60-229.pdf (ბოლოს შესვლის თარიღი 2005 წლის 19 დეკემბერი).

**P:** (აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო 2004, სათაურის „შემოსავლის და სიღარიბის დონის ფარდობა“ ქვეშ)

*ან*

(აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო 2004)

## 19.10 ერთ წყაროში მითითებული მეორე წყარო

პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მკვლევრები თავს არიდებენ იმ ციტატების მოყვანას, რომლებიც მათ ორიგინალში არ უნახავთ. თუ ერთი წყარო მიუთითებს სხვა სასარგებლო წყაროზე, სავარაუდოდ, თქვენი მკითხველები ამჯობინებენ, რომ მოიძიოთ ორგინალი, რათა გადაამოწმოთ როგორც მითითების სიზუსტე, ისე ის, თუ რამდენად სწორად გადმოსცემს ციტატა ორიგინალის აზრს.

ამასთან, თუ ორიგინალური წყარო ხელმისაწვდომი არ არის, მითითებების ჩამონათვალში აღნიშნეთ ის ამგვარად: „მითითებული

მეორად წყაროში“. ტექსტურ მითითებებში შეიტანეთ მხოლოდ ორიგინალური წყაროს ავტორის გვარი.

**R:** ჟუკოფსკი, ლუი. 1931. გულწრფელობა და ხორცის შესხმა. ჟურნალი *პოეზია* 37 (თებერვალი): 269. ციტირებულია ნაშრომში ბონი კოსტელო, *მარიანა მური: წარმოსახვითი სიმდიდრეები* (კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981).

**P:** (ჟუკოფსკი 1931, 269)

მსგავსი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როდესაც უთითებთ ციტატას, რომელიც მეორად წყაროში იპოვეთ, ხოლო ამ მეორად წყაროზე კი პირველწყაროს მითითებით გადახვედით. (იხ. 3.1.1). ხშირად ვერ შეძლებთ, გაეცნოთ პირველწყაროს, განსაკუთრებით, თუ ის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების კრებულია. ამ შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ ზემოთ მოცემული პრინციპებით.

ნაწილი III

სტილი

## 20 ორთოგრაფია (მართლწერა)

**20.1 მრავლობითი რიცხვი**

20.1.1 ზოგადი წესი

20.1.2 განსაკუთრებული შემთხვევები

**20.2 კუთვნილებითი ბრუნვა**

20.2.1 ზოგადი წესი

20.2.2 განსაკუთრებული შემთხვევები

**20.3 შედგენილი და პრეფიქსებით წარმოებული სიტყვები**

**20.3.1 შედგენილი სიტყვები, რომლებიც გამოიყენება, როგორც ზედსართავი სახელები**

20.3.2 **შედგენილი სიტყვები, რომელიც გამოიყენება როგორც არსებითი და ზედსართავი სახელები**

20.3.3 პრეფიქსებით წარმოებული სიტყვები

**20.4 სტრიქონის გადატანა**

20.4.1 სიტყვების გადატანა

20.4.2 ინტერვალების გადატანა და პუნქტუაცია

წერისას მისდიეთ ამერიკულ წესებს და იყავით თანმიმდევრულნი, ციტირებების შემთხვევების გამოკლებით, სადაც ჩვეულებრივად ზუსტად უნდა მისდიოთ ორიგინალურ დამწერლობას (იხ. 25-ე თავი). თუ გაგიჩნდათ ეჭვი, მიმართეთ ლექსიკონს. თუმცა, უნდა იცოდეთ, რომ ლექსიკონებში ხშირად განსხვავებულად არის მოცემული ერთი და იმავე სიტყვის დამწერლობა და ზოგი ლექსიკონი სხვებთან შედარებით უფრო ზუსტი და თანამედროვეა.

ორთოგრაფიის თვალსაზრისით, ყველაზე სანდო და ავტორიტეტული ლექსიკონია „ვებსტერის მესამე ახალი საერთაშორისო ლექსიკონი“ (*Webster's Third New International Dictionary*) ან მისი შემოკლებული ვარიანტი –„მერიემ-ვებსტერის საუნივერსიტეტო ლექსიკონის“ (*Merriam-Webster's Collegiate Dictionary*)მეთერთმეტე გამოცემა. შემოკლებული ვარიანტი ხელმისაწვდომია წიგნის, CD-ROM-ისა და ვებფორმატის სახით. ადამიანების სახელები და გეოგრაფიული ადგილების დასახელებები იხილეთ„ვებსტერის" ლექსიკონის ბოლოს ან „მერიემ-ვებსტერის ბიოგრაფიული ლექსიკონისა“ (*Merriam-Webster's Biographical Dictionary*)და „მერიემ-ვებსტერის გეოგრაფიული ლექსიკონის“ (*Merriam-Webster's Geographical Dictionary*) ცალკე გამოცემებში.

თუ „ვებსტერის" ლექსიკონში ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა დაწერილობაა მოცემულივარიანტის ამოსარჩევად იხელმძღვანელეთ შემდეგი პრინციპებით: სადაც ვარიანტები გამოყოფილია სიტყვით „ან“ (*or*), აირჩიეთ ერთ-ერთი ვარიანტი და მუდმივად ისგამოიყენეთ; სადაც ვარიანტები გამოყოფილია სიტყვით „ასევე“, იხმარეთ პირველი. თუ „ვებსტერის" ლექსიკონში მოყვანილი სასურველი დაწერილობაგანსხვავდება თქვენს დისციპლინაში მიღებული ვარიანტისგან, იხელმძღვანელეთ თქვენი დისციპლინის დაწერილობით. სხვადასხვა დისციპლინისთვის დამახასიათებელი სტილის სახელმძღვანელოები იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

უმეტესი ტექსტური პროცესორისორთოგრაფიის შემოწმების ფუნქციას შეუძლია ზოგი, მაგრამ არა უკლებლივ ყველა, ორთოგრაფიული შეცდომის დაფიქსირება. მაგალითად, იგი ვერ გამოიცნობს იმას, რომ თქვენ დაბეჭდეთ სიტყვა *and*, მაგრამ გულისხმობდით სიტყვას *an*-ს, ან დაწერეთ სიტყვა *quite* სიტყვის *quiet*-ის ნაცვლად. ის, სავარაუდოდ, ვერ დაგეხმარებათ საკუთარი სახელების ან უცხოური სიტყვების ბეჭდვისას და შეიძლება, ისე მასშტაბურად შეგაცვლევინოთ დამწერლობა, რომ ორთოგრაფია არასწორი გამოვიდეს.

დამწერლობის შემოწმების ფუნქცია ვერ შეცვლის კარგ ლექსიკონს ან საგულდაგულო კორექტურას.

წინამდებარე თავი გთავაზობთ ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს დამწერლობის იმ შემთხვევების შესახებ, რომლებსაც ლექსიკონების უმრავლესობაშივერ ნახავთ. თუ მუშაობთ სადიპლომო ნაშრომზე ან დისერტაციაზე, თქვენს განყოფილებას ან უნივერსიტეტს შეიძლება,დამწერლობის სპეციალური მოთხოვნები ჰქონდეს (სპეციფიკური ლექსიკონების გამოყენების ჩათვლით). ეს მოთხოვნები, როგორც წესი, დისერტაციების განყოფილებაში მოიპოვება. თუ მუშაობთ საკურსო ნაშრომზე, თქვენმა პედაგოგმა შეიძლება, ასევე, მოგთხოვოთ, იხელმძღვანელოთ დამწერლობის გარკვეული პრინციპებით. გაერკვიეთ ამ მოთხოვნებში, სანამ თქვენს ნაშრომსმოამზადებთ. ისინი წინამდებარე თავში შემოთავაზებულ სახელმძღვანელო მითითებებზე უპირატესია.

## 20.1 მრავლობითი რიცხვი

### 20.1.1 ზოგადი წესი

საზოგადო არსებითი სახელებისთვის მრავლობითი რიცხვი აწარმოეთ ასო *s*-ისდამატებით (ან *es*-ის დამატებით სიტყვებისთვის, რომლებიც მთავრდება დაბოლოებით *ch, j, s, sh, x,* ან *z*). ლექსიკონების უმრავლესობა იძლევა მრავლობით ფორმებს მხოლოდ იმ სიტყვებისთვის, რომლებიც არ ემორჩილება ზოგად წესს.

ზოგადი წესი ვრცელდება ადამიანების გვარებზე და სხვა საკუთარ არსებით სახელებზე, მათ შორის, ძირძველი ამერიკული ტომების სახელებზე. თუ ასეთი არსებითი სახელი მთავრდება *y*-ზე, ნუ შეცვლით *y*-ს*ie*-ით, როგორც მოითხოვება საზოგადო არსებითი სახელებისთვის. (ნუ აგერევათ მრავლობითი რიცხვის ფორმები კუთვნილებითი ბრუნვის ფორმებში, რომლებიც აღწერილია 20.2-ში).

| | |
|---|---|
| the Costellos | the two Germanys |
| the Frys (*not* the Fries) | the Hopis of Arizona (*not* the Hopi) |
| the Rodriguezes | |

### 20.1.2 განსაკუთრებული შემთხვევები

**შედგენილი სიტყვები.** ორი არსებითი სახელისგან შემდგარი შედგენილი სიტყვების შემთხვევაში ბოლო არსებით სახელს დაუმატეთ*s*-ი და*es*-ი.

| | | |
|---|---|---|
| bookkeepers | district attorneys | actor-singers |

თუ არსებით სახელს მოჰყვება წინდებულიანი ფრაზაან ზედსართავი სახელი, მთავარ არსებით სახელსდაურთეთ *s*-ი ან*es*-ი.

| | | |
|---|---|---|
| sisters-in-law | attorneys general | men-of-war |

**ასოები და რიცხვითი სახელები.** უმეტეს შემთხვევებში, მთავრული ასოებისა და რიცხვითი სახელების მრავლობითი რიცხვი აწარმოეთ მხოლოდ *s*-ის (და არა *'s*-ის) დართვით.

| | | |
|---|---|---|
| The three Rs | the 1950s | 767s |

ამასთან, ნუსხური ასოების და ზოგიერთი ცალკეული მთავრული ასოს შემთხვევაში,*s*-ს აპოსტროფის გარეშე სხვა სიტყვის (*is, As*) ან აბრევიატურის (*ms*) შთაბეჭდილების შექმნაშეუძლია. თუკი*s*-იგაუგებრობას იწვევს, დაურთეთ აპოსტროფი. აპოსტროფი და *s*-ი სწორი შრიფტით იწერება მაშინაც, როცა ასო დახრილი შტიფრით არის დაწერილი (იხ. 22.2.2).

| | | |
|---|---|---|
| dotting all the i's | *x*'s and *y*'s | three A's and two B's |

**აბრევიატურა.**აბრევიატურების მრავლობითი რიცხვის ფორმები აწარმოეთ შიდა წერტილების გარეშე და მხოლოდ *s*-ის დართვით. თუ აბრევიატურის მხოლობითი რიცხვის ფორმა მთავრდება წერტილით, დაწერეთ *s*-ი წერტილის წინ. (იხ.24.1.3 აბრევიატურების პუნქტუაციის შესახებ).

| | |
|---|---|
| URLs | vols. |
| DVDs | eds. |

დაურთეთ აპოსტროფი *s*-ის წინ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბრევიატურა შეიცავს შიდა წერტილებს ან როგორც მთავრულ, ისე ნუსხურ ასოებს.

PhD’s (or Ph.D.’s; see 24.2.3)

რამდენიმე აბრევიატურას აქვს მრავლობითი რიცხვის არაწესიერი ფორმა (იხ., ასევე,24.7).

pp. (p.-ის მრავლობითი, page)     nn. (n.-ის მრავლობითი, note)

თუ თქვენი ნაშრომი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეხება და იყენებთ საზომი ერთეულების აბრევიატურებს (იხ.24.5), იხმარეთ ერთი და იგივე აბრევიატურა როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი ფორმებისთვის.

6 kg     37 $m^2$

**ტერმინები დახრილი შრიფტით და ბრჭყალებში.** დახრილი შრიფტით დაწერილი ტერმინის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად დაურთეთ მას მხოლოდ*s*-ი(და არა’*s*)სწორი შრიფტით. ნუ აწარმოებთ ბრჭყალებში ჩასმული ტერმინის მრავლობით რიცხვს ‘*s*-ის დართვით; ხელახლა ჩამოაყალიბეთ წინადადება.

two *Chicago Tribune*s

. . . included “To be continued” many times

*და არა*

. . . included many “To be continued’s”

## 20.2 კუთვნილებითი ბრუნვა

### 20.2.1 ზოგადი წესი

საზოგადო და საკუთარი სახელების უმეტესობის, ასევე *s*-ით, *x*-ით ან *z*-ით დაბოლოებული სიტყვების, კუთვნილებითი ფორმა აწარმოეთ აპოსტროფისა და *s*-ის დართვით. ეს წესი. ასევე, მოქმედებს არსებით სახელად გამოყენებული ასოების, რიცხვითი სახელებისა და აბრევიატურების კუთვნილებითი ფორმის წარმოებაზე (ერთმანეთში არ აგერიოთ კუთვნილებითი და მრავლობითი ფორმა, რომელიც 20.1-შია განხილული). განსაკუთრებული შემთხვევებისთვის იხილეთ 20.2.2.

| | | |
|---|---|---|
| An argument’s effects | Steven’s poems | 2009’s economic outlook |
| the phalanx’s advance | Diaz’s revolt | JFK’s speech |

უსულო არსებითი სახელები, გარდა დროის მონაკვეთის აღმნიშვნელისა, იშვიათად იღებს კუთნილებით ფორმას.

| | | |
|---|---|---|
| A day’s length | *მაგრამ არა* | The house’s door |

მრავლობითი რიცხვის საზოგადო და საკუთარი სახელების კუთნილებითი ფორმა აწარმოეთ მხოლოდ აპოსტროფის დასმით. განსაკუთრებული შემთხვევებისთვის იხილეთ 20.2.2.

| | | |
|---|---|---|
| Politicians’ votes | *არა* | Politicians’s votes |
| The Rodriguezes’ house | *არა* | The Rodriguezes’s house |

იმ არსებითი სახელების კუთვნილებითი ფორმა, რომელთაც არაწესიერი მრავლობითი ფორმა აქვს და *s*-ით არ ბოლოვდება, აწარმოეთ აპოსტროფის შემდეგ *s*-ის დართვით.

| | |
|---|---|
| the mice’s nest | children’s literature |

### 20.2.2 განსაკუთრებული შემთხვევები

**S-ით დაბოლოებული მხოლობითი არსებითი სახელები.** შემდეგი ტიპის არსებითი სახელების კუთვნილებითი ბრუნვა აწარმოეთ მხოლოდ აპოსტროფის მეშვეობით:

- არსებითი სახელები, რომლითაც მოიხსენიებენ ჯგუფს ან კოლექტიურ ერთობას, მაგრამგრამატიკაში მიჩნეულია მხოლობითად nouns that name a group or collective entity but are treated as grammatically singular.

  politics’ true meaning — the United States’ role

- არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება მუნჯ *s-ზე.*

  Descartes’ *Discourse on Method* — Albert Camus’ novels

- მრავალმარცვლიანი არსებითი სახელები, უმახვილო დაბოლოებებით, რომელიც წარმოითქმება, როგორც *eez,* მათ შორის, მრავალი ბერძნული და ძველ ბერძნულად ქცეული სახელები hellenized names.

  Aristophanes’ plays — the Ganges’ source — Charles Yerkes’ ideas

- *s*-ზეან ბგერა *s*-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები *For . . . sake*გამოთქმებში

for conscience’ sake

for appearance’ sake

ამის სანაცვლოდ, შეგიძლიათ, ხელახლა ჩამოაყალიბოთ წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისს. (ამ სიტუაციაში *U.S.* აბრევიატურის ხმარების წესის შესახებ იხ.24.3.1.)

the role of the United States *ნაცვლად* the United States’ role

for the sake of appearance ნაცვლად for appearance’ sake

**შედგენილი სიტყვები.** მხოლობითი შედგენილი სიტყვების კუთვნილებითი ბრუნვა აწარმოეთ ბოლო სიტყვისთვის აპოსტროფის და *s*-ის დართვით, მაშინაც, როცა პირველი მთავარი არსებითი სახელია.

his sister-in-law’s business the attorney general’s decision

მოერიდეთ კუთვნილებითი ბრუნვის ხმარებას მრავლობით რიცხვში მყოფ შედგენილ სიტყვებში, რომლებშიც არსებით სახელს მოსდევს წინდებულიანი ფრაზა ან ზედსართავი სახელი; ხელახლა ჩამოაყალიბეთ წინადადება.

decisions of the attorneys general *და არა* attorneys’ general decisions

**რამდენიმე არსებითი სახელი.** თუ კუთვნილებითი ბრუნვა აღნიშნავს, რომ ორი ან მეტი ობიექტიდან თითოეულიცალ-ცალკე ფლობს რაიმეს, ჩასვით ყველა არსებითი სახელი კუთვნილებით ბრუნვაში.

New York’s and Chicago’s teams historians’ and economists’ methods

თუ კუთვნილებითი ბრუნვა აღნიშნავს, რომ ორი ან მეტი ობიექტი ერთობლივად ფლობს რაიმეს, ჩასვით კუთვნილებით ბრუნვაში მხოლოდ ბოლო არსებითი სახელი.

Minneapolis and St. Paul’s teams historians and economicsts’ data

**დახრილი შრიფტით დაბეჭდილი და ბრჭყალებში ჩასმული ტერმინები.** თუ დახრილი შრიფტით დაბეჭდილი ტერმინი კუთვნილებით ბრუნვაშია, როგორც აპოსტროფი, ისევე *s*-ი უნდა დაიბეჭდოს სწორი შრიფტით. ნუ ჩასვამთ კუთვნილებით ბრუნვაში ბრჭყალებში მოქცეულ ტერმინს; ხელახლა ჩამოაყალიბეთ წინადადება.

the *Atlantic Monthly*’s editor admirers of “Ode on a Grecian Urn”

## 20.3 შედგენილი და პრეფიქსებით წარმოებული სიტყვები

ძნელია წინასწარ თქმა, როდის უნდა დაურთოთ შედგენილ სიტყვას ან შედგენილ მოდიფიკატორს დეფისი, დავტოვოთ უდეფისოდ (ინტერვალით და არა დეფისით ელემენტებს შორის) ან უინტერვალოდ(დაწეროთ როგორც ერთი სიტყვა). ამ შემთხვევაში საუკეთესო ავტორიტეტითქვენი ლექსიკონია. თუ ლექსიკონში ვერ მოძებნით შედგენილ სიტყვას, იხელმძღვანელეთ შემდგომ პარაგრაფებში ჩამოყალიბებული პრინციპებით, რათა განსაზღვროთ, უნდა იხმაროთ თუ არა დეფისი. თუ ვერცერთ მაგალითში ვერმოახერხებთ ფორმის მოძებნას, დატოვეთ შედგენილი სიტყვა უდეფისოდ.

ქვემოთ ჩამოყალიბებული მოდელები არ არის უპირობო წესები. კონტექსტიდან, პირადი გემოვნებიდან ან თქვენს დისციპლინაში მიღებული ხმარების წესიდან გამომდინარე,მრავალი ინდივიდუალური შემთხვევის განსაზღვრამოგიხდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ შემოთავაზებული დეფისის დასმის მაგალითები ლოგიკური და წასაკითხად უფრო ადვილია, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციულია.

### 20.3.1 შედგენილი სიტყვები, რომლებიც გამოიყენება, როგორც ზედსართავი სახელები

ზოგი შედგენილი სიტყვა გამოიყენება, როგორც მხოლოდ ზედსართავი სახელი. უმეტეს შემთხვევებში, ასეთი შედგენილი სიტყვა დაწერეთ დეფისით, თუ იგი წინ უსწრებს მის მიერ განსაზღვრულ არსებით სახელს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დატოვეთ იგი უდეფისოდ.

| *არსებითი სახელის წინ* | *არსებითი სახელის შემდეგ* |
|---|---|
| *open-ended* question | most of the questions were *open ended* |
| *full-length* treatment | treatment is *full length* |
| *duty-free goods* | goods brought in *duty free* |
| *thought-provoking* commentary | commentary was *thought provoking* |
| *over-the-counter* drug | drug sold *over the counter* |
| a frequently *referred-to* book | this book is frequently *referred to* |

| | |
|---|---|
| *spelled-out* numbers | numbers that are *spelled out* |

არსებობს რამდენიმე გამონაკლისი:

- თუ შედგენილ სიტყვას, რომელიც, ჩვეულებრივ, დეფისითიწერება, წინ უსწრებს და განსაზღვრავს ზმნისზედა (მაგალითად, *very)*, ამოიღეთ დეფისი, რადგან სიტყვების დაჯგუფება ისედაც გასაგები იქნება მკითხველისთვის.

| *მოდიფიკატორის მქონე არსებითი სახელის წინ* | *მოდიფიკატორის მქონე არსებითი სახელისშემდეგ* |
|---|---|
| a *well-known* author | a very *well known* author |
| an *ill-advised* step | a somewhat *ill advised* step |

- დაწერეთ დეფისით *all*-ით და*cross*-ით დაწყებულიშედგენილი სიტყვები, გარდა რამდენიმე სიტყვისა, რომლებიც ტრადიციულად ერთად იწერება, მაგალითად, *crossover* (თუ გეეჭვებათ, ჩაიხედეთ ლექსიკონში).

| *არსებითი სახელის წინ* | *არსებითი სახელის შემდეგ* |
|---|---|
| *all-encompassing* treatment | text that includes *cross-references* |

- დაწერეთ ერთად ტერმინებით *borne, like* და*wide* დაბოლოებული შედგენილი სიტყვები, თუ შედგენილი სიტყვის პირველ ნაწილს არა აქვს სამი ან სამზე მეტი მარცვალი, თუ იგი არ არის საკუთარი არსებითი სახელი ან თუ არ ბოლოვდება იმავე ასოზე, რომლითაც იწყება შემდეგი ტერმინი.

| *ზოგადი მოდელი* | *გამონაკლისები* |
|---|---|
| foodborne | mosquito-borne |
| childlike | bell-like |
| worldwide | Chicago-wide |

- შედარებითი კონსტრუქციები, დაწყებული ისეთი ტერმინებით, როგორიცაა *more/most, less/least* და*better/best* უნდა დაიწეროს დეფისით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია, გაუგებარი იყოს, შედარებითი ტერმინი განსაზღვრავს ზედსართავ სახელს, რომელიც მას შედგენილი სახელის შიგნითმოსდევს, თუ შედგენილი სიტყვის შემდეგმდგომ არსებით სახელს.

| განსაზღვრავს ზედსართავ სახელს | განსაზღვრავს არსებით სახელს |
|---|---|
| colleges produce *more-skilled* workers | we hired more skilled workers for the holidays |

- კონსტრუქციები, რომლებიც შეიცავს *ly* –ზე დაბოლოებულ ზმნიზედას, რომელსაც მოსდევს ზედსართავი სახელი, არ არის შედგენილი სიტყვები და არ იწერება დეფისით არც ერთ კონტექსტში.

| არსებითი სახელის წინ | არსებითი სახელის შემდეგ |
|---|---|
| *highly developed* species | the species was *highly developed* |
| *widely disseminated* literature | literature has been *widely disseminated* |

### 20.3.2 შედგენილი სიტყვები, რომელიც გამოიყენება როგორც არსებითი და ზედსართავი სახელები

ზოგი შედგენილი სიტყვა თავდაპირველად არსებითი სახელია. თუმცა,მას შეუძლია, ასევე, ზედსართავის სახელის ფუნქციის შესრულება, როდესაც ის წინ უსწრებს და განსაზღვრავს სხვა არსებით სახელს. (20.3.1-ში მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, ეს შედგენილი სიტყვები არსებითი სახელის შემდეგ იშვიათად გამოიყენება ზედსართავ სახელებად და, თანაც, გამოიყენება მხოლოდ ისეთ ზმნასთან, როგორიცაა *was* ან *are,* როგორც ნაჩვენებია ქვემოთ, მესამე მაგალითში). უმეტეს შემთხვევაში დეფისით დაწერეთ შედგენილი სიტყვა, როდესაც იგი წინ უსწრებს არსებით სახელს, რომელსაც იგი განსაზღვრავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწერეთ დეფისის გარეშე.

| ზედსართავი სახელი არსებითის წინ | არსებითი ან ზედსართავი სახელი არსებითის შემდეგ |
|---|---|
| the *decision-making* process | *decision making* became her specialty |
| a *continuing-education* course | a program of *continuing education* |
| a *middle-class* neighborhood | her neighborhood was *middle class* |

არსებობსრამდენიმე გამონაკლისი:

- შედგენილი სიტყვა, რომელიც იწყება *e*-თი (*electronic*-ის შემოკლებული ვარიანტი), *ex*-ით ან*self*-ით, ყველა კონტექსტში დეფისითდაწერეთ. ერთი გამონაკლისი: თუ*self*-ს წინ უსწრებს *un*-ი, შედგენილი სიტყვა იწერება ერთად, (მაგალითად, *unselfconscious).*

| | | |
|---|---|---|
| ex-husband | self-destructive | e-mail |

- შედგენილი სიტყვა, რომელიც ბოლოვდება *elect*-ზე, ყველა კონტექსტში დეფისითდაწერეთ, თუ თანამდებობის სახელწოდება შედგება მხოლოდ ერთი სიტყვისგან, მაგრამ დაწერეთ დეფისის გარეშე, როდესაც თანამდებობის სახელწოდება შედგება ორი ან ორზე მეტი სიტყვისგან.

| | |
|---|---|
| president-elect | district attorney elect |

- ორი შეთანხმებული არსებითი სახელისგან შემდგარი შედგენილი სიტყვა, რომელთა დაკავშირება შესაძლებელია კავშირით *and,* ყველა კონტექსტში დეფისითდაწერეთ.

| | |
|---|---|
| *actor-singer* | *mother-daughter* relationship |
| *city-state* | *parent-teacher* conference |

- მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვებისგან შემდგარი შედგენილი სიტყვა დაწერეთ ერთად, თუ ტერმინი აღწერს ერთ მიმართულებას. თუ შედგენილი სიტყვა შეიცავს შეთანხმებულ არსებით სახელებს, რომელთა დაკავშირება შესაძლებელია კავშირით *and* ანწინდებული *by,* დაწერეთ სიტყვა დეფისით.

| | |
|---|---|
| *northeast* | a street running *north-south* |
| *southwest* | *east-southeast* winds |

- შედგენილი სიტყვები, რომელიც აღწერს ნათესაურ კავშირებს, იწერება როგორც ერთად, ისე, დეფისით. თუ გეპარებათ ეჭვი სიტყვის მართლწერაში, ჩაიხედეთ ლექსიკონში. (ქორწინებითი ნათესაური კავშირების აღმნიშვნელი შედგენილი არსებითი სახელების (*in-laws*)მრავლობითი რიცხვისა და კუთვნილებითი ბრუნვის ფორმების შესახებ იხ., შესაბამისად, 20.1.2 და 20.2.2.)

| | | | |
|---|---|---|---|
| grandfather | stepdaughter | great-grandmother | son-in-law |

- ზოგი ცნობილი ფრაზა ყოველთვის დეფისით იწერება.

| | |
|---|---|
| stick-in-the-mud | jack-of-all-trades |

**ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.**დაწერეთ დეფისის გარეშე იმ შედგენილი სიტყვების უმრავლესობა, რომლებიც შეიცავს საკუთარ არსებით სახელებს, ეთნიკური ჯგუფების სახელების ჩათვლით.

| *ზედსართავი სახელი არსებითის წინ* | *არსებითი სახელი ან ზედსართავი სახელი არსებითის შემდეგ* |
|---|---|
| *African American* culture | an *African American* has written |
| *French Canadian* explorer | the explorer was *French Canadian* |
| *Middle Eastern* geography | the geography of the *Middle East* |
| *State Department* employees | employed by the *State Department* |
| *Korean War* veterans | veterans of the *Korean War* |

მაგრამ, თუ პირველი ტერმინი შემოკლებულია,დაწერეთ დეფისით.

*Afro-American* culture an *Afro-American* has written

თუ შეიძლება შეთანხმებული ტერმინების დაკავშირება კავშირით *and,* დაწერეთ ტერმინები დეფისით.

*Israel-Egypt* peace treaty *Spanish-English* dictionary

**ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.** როდესაცშედგენილი სიტყვა შეიცავს რიცხვს, დაწერეთ იგი დეფისით, თუ რიცხვი წინ უსწრებს არსებით სახელს, რომელსაც იგი განსაზღვრავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწერეთ დეფისის გარეშე. (რიცხვითი სახელებისადა სიტყვებით დაწერილი ციფრების გამოყენების შესახებ იხ. 23-ე თავი)

| *ზედასართავი სახელი არსებითის წინ* | *არსებითი ან ზედსართავი სახელი არსებითის შემდეგ* |
|---|---|
| *fifty-year* project | the project took *fifty years* |
| *four-year-old* child | the child was *four years old* |
| *twentieth-century* literature | studied the literature of the *twentieth century* |
| *third-floor* apartment | she lived on the *third floor* |
| *214-day* standoff | standoff that lasted *214 days* |

არსებობს რამდენიმე გამონაკლისი:

- ყოველთვის დეფისის გარეშე დაწერეთ სიტყვა *percent*-ისშემცველი შედგენილი სიტყვა, ხოლო რიცხვი მიუთითეთ არაბული ციფრებით (იხ.23.1.3).

a *15 percent* increase increased by *15 percent*

- წილადის სიტყვებით დასაწერად ყოველთვის იხმარეთ დეფისი. (რიცხვითი სახელებსა დაწილადებში ციფრების სიტყვიერად დაწერის შესახებ იხ. 23.1.3)

a *two-thirds majority* a majority of *two-thirds*

- წილადში, რომელიც იწყება სიტყვით *half* ან*quarter,* იხმარეთ დეფისი, თუ იგი წინ უსწრებს არსებით სახელს, რომელსაც განსაზღვრავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დატოვეთ დეფისის გარეშე.

| ***ზედსართავი სახელი არსებითის წინ*** | ***არსებითი ან ზედსართავი სახელი არსებითის შემდეგ*** |
|---|---|
| a *half-hour* session | after a *half hour* had passed |
| a *quarter-mile* run | ran a *quarter mile* |

- რიცხვების ინტერვალის შემცველი შედგენილი სიტყვების შემთხვევაში იხმარეთ დეფისი ორივე ტერმინში, მაგრამ პირველ ტერმინში გამოტოვეთ შედგენილი სიტყვის მეორე ნაწილი.

*five- to ten-minute* intervals *eight- to ten-year-olds*

### 20.3.3 პრეფიქსების წარმოებული სიტყვები

პრეფიქსების მეშვეობით წარმოქმნილი სიტყვები, როგორც წესი, იწერება, როგორც ერთი სიტყვა, იქნება ეს არსებითი სახელი (*postmodernism),* ზმნები(*misrepresent*), ზედსართავი სახელი (*anterbellum*) თუ ზმნიზედა(*prematurely*). თუმცა, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში იხმარეთ დეფისი:

- როდესაც პრეფიქსი ერთვის სიტყვას, რომელიც იწყება მთავრული ასოთი

sub-Saharan *მაგრამ* subdivision

pro-Asian *მაგრამ* pronuclear

- როდესაც პრეფიქსი ერთვის რიცხვით სახელს

pre-1950 *მაგრამ* predisposed

mid-80s *მაგრამ* midlife

- იმისათვის, რომ განვაცალკევოთ ორი*i*,ორი *a* ან სიტყვების ან მარცვლებისსხვა კომბინაციები, რომლებსაც შეუძლიათ გაუგებრობის გამოწვევა

anti-intellectual *მაგრამ* antidepressant

semi-invalid *მაგრამ* semiopaque

- როდესაც პრეფიქსი წინ უსწრებს დეფისით ან დეფისის გარეშე დაწერილ შედგენილ სიტყვას

non-coffee-drinking *მაგრამ* nonbelief

post-high school *მაგრამ* postgame

- ორმაგ პრეფიქსში განმეორებითი ტერმინებისგამოსაყოფად

sub-subentry

- როდესაც პრეფიქსი ცალკეა წარმოდგენილი

pre- and postwar macro- and microeconomics

ეს მოდელები ვრცელდება სიტყვებზე, რომლებიც იწარმოება ქვემოთ მოცემული და სხვა პრეფიქსების მეშვეობით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ante | cyber | macro | multi | proto | super |
| anti | extra | mega | neo | pseudo | supra |
| bi | hyper | meta | non | re | trans |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| bio | infra | micro | post | semi | ultra |
| co | inter | mid | pre | socio | un |
| counter | intra | mini | pro | sub | |

ეს მოდელები, ასევე, ვრცელდება ისეთ წინდებულებზე, როგორიცაა *over* და*under*, რომლებიც შეიძლება, დაერთოს სიტყვებს იმავე ადგილზე, სადაც პრეფიქსები.

| | | |
|---|---|---|
| overachiever | underhanded | over- and underused |

## 20.4 სტრიქონის გადატანა

### 20.4.1 სიტყვების გადატანა

უმეტეს ნაშრომებში, სიტყვები, რომლებსაც უნდა დაერთოს დეფისი (გადატანის ნიშანი) სტრიქონის ბოლოს, არის ის სიტყვები, რომლებიც შეგნებულად დაწერეთ დეფისით, მაგალითად, შედგენილი სიტყვები (იხ.20.3). დააყენეთ თქვენი ტექსტური პროცესორი მარცხნივ სწორებაზე („უსწორმასწორო“ მარცხენა მიჯნით) და ნუ გამოიყენებთ დეფისების ავტომატურად დასმის ფუნქციას.

მაგრამ, თუ თქვენგან მოითხოვება როგორც მარცხენა, ასევე, მარჯვენა მიჯნების გათანაბრება, შეიძლება, მოგიხდეთ დეფისების დასმა სტრიქონებში, რათა თავი აარიდოთ სიტყვებს შორისდიდ დაშორებებს. ნუ დააბოლოებთ დეფისებით (გადატანის ნიშნებით) ოთხ ან ოთხზე მეტ თანმიმდევრულ სტრიქონს (რის შედეგადაც მივიღებთ მიჯნის გასწვრივ „დეფისების ბლოკირებას“) და მთლიანად ტექსტური პროცესორის ავტომატურ ფუნქციას ნუ მიანდობთ დეფისების დასმას. ზოგადად, ეს უფრო საიმედო იქნება, თუმცა, არ გამორიცხავს შეცდომების დაშვებას. ამიტომ შეამოწმეთ ტექსტური პროცესორის მიერ გადატანილი სიტყვები. თუ რაიმემ დაგაეჭვათ, ჩაიხედეთ ლექსიკონში, სადაც მთავარი სიტყვის

დასაწყისში ცენტრირებული წერტილებით ან მსგავსი საშუალებებით მითითებულია სიტყვების გადატანის მისაღები ვარიანტები.

ერთ-ერთი სპეციფიკური ტიპის პრობლემა უკავშირდება სიტყვებს, რომლებიც ერთნაირად იწერება, მაგრამ სხვადასხვანაირად გამოითქმის. ასეთი სიტყვები შეიძლება, განსხვავებულად იყოფოდეს მარცვლებად, მაგალითად, *rec-ord* და*re-cord.* თქვენმა ტექსტურმა პროცესორმა შეიძლება,კონტექსტისგან განურჩევლად, ერთნაირად გადაიტანოს ეს სიტყვები,

### 20.4.2 ინტერვალების გადატანა და პუნქტუაცია

თქვენმა ტექსტურმა პროცესორმა შესაძლოა,არასწორად გადაიტანოს ინტერვალები და პუნქტუაციის ნიშნები. ყოველთვის შეამოწმეთ თქვენი ნაშრომი და ნახეთ, ხომ არ არის არასწორად გადატანილი ინტერვალები ან პუნქტუაციის ნიშნები.

***ინიციალები.*** თუ პიროვნების სახელის და მეორე სახელის ნაცვლად გამოიყენება ინიციალები, დატოვეთ ინტერვალი მათ შორის, მაგრამ ნუ გაყოფთ და გადაიტანთ მათ მეორე ხაზზე. თუ საჭიროა, შეგიძლიათ, დატოვოთ ინიციალები და გადაიტანოთ გვარი. იხ., ასევე,24.2.1.

M. F. K. Fusher M. F. K. / Fisher *მაგრამ არა* M. / F. K. Fisher

- ***რიცხვები და თარიღები.*** ნურასდროს გადაიტანთ მეორე სტრიქონზე ციფრებით დაწერილ რიცხვებს (25,000) ან ნებისმიერ ტერმინს, რომელიც შეიცავს ციფრებს,მიმატების სიმბოლოს, აბრევიატურებს ან საზომ ერთეულებს(10%; £6 4s. 6d.; 6:40 p.m.; AD 1895; 245 ml). თარიღებში ნუ გაყოფთ თვის დღეს და თვის სახელს (February 15). დაწვრილებით რიცხვებისა და თარიღების სისტემების შესახებ იხ. 23-ე თავში.
- ***აბრევიატურები.*** ნუ გადაიტანთ აბრევიატურებს მეორე სტრიქონზე, მათში არსებული მთავრული ასოების, პუნქტუაციისა და ინტერვალების მიუხედავად (BA, U.S., NATO, p.m., kg, PhD, Gov. Gen.). ერთადერთი გამონაკლისია, რომ აბრევიატურა, რომელიც უკვე შეიცავს დეფისს,

მაგალითად, AFL-CIO, შეიძლება,გაიყოსდეფისზე. 24-ე თავში იხილეთ მეტი ინფორმაცია აბრევიატურების შესახებ.

- ***პუნქტუაცია.*** ნურასდროს დაიწყებთ სტრიქონს დამამთავრებელი ბრჭყალით, ფრჩხილით ან კვადრატული ფრჩხილით. ნურასდროს დაამთავრებთ სტრიქონს გამხსნელი ბრჭყალით, ფრჩხილით ან კვადრატული ფრჩხილით, ან (a)-ით ან (l)-ით, როგორც ჩამონათვალის დაწყებისას. პუნქტუაციის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ 21-ე თავი და სიების შესახებ – 23.4.2. ნუ გადაიტანთ მეორე სტრიქონზე მრავალწერტილს (იხ.25.3.2); ამ პრობლემის თავიდან არიდების მიზნით გამოიყენეთ თქვენი ტექსტური პროცესორის მრავალწერტილის ფუნქცია.

- ***URL-ები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.*** მოერიდეთ URL-ების და ელექტრონული ფოსტის მისამართების გადატანას მეორე სტრიქონზე. თუ გიხდებათ მათი გადატანა, დასვით გადატანის ნიშანი ორი წერტილის, დახრილი ხაზის (ან ორმაგი დახრილი საზის) ან სიმბოლოს @ შემდეგ, მაგრამ წერტილის ან ნებისმიერი სხვა პუნქტუაციის ან სიმბოლოს წინ. დეფისები ხშირად URL-ის ან ელექტრონული ფოსტის მისამართების ნაწილია, ამიტომ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ნურასდროს დაურთავთ დეფისს გადატანის ნიშნად ან ნუ გადაიტანთ URL-ს ან მისამართს არსებულ დეფისზე.

http://

www.press.uchicago.edu

http://www

.press.uchicago.edu

http://www.press.uchicago.edu/

cgi-bin/hfs.cgi/00/12917.ctl

თუ თქვენი ტექსტური პროცესორი ავტომატურად აფორმატებს URL-ებს და ელექტრონული ფოსტის მისამართებს ჰიპერტექსტური კავშირის სახით, მას შეუძლია ამ ნაწილების დაყოფა ზემოხსენებული სახელმძღვანელო მითითებების დარღვევით. მრავალ დასაყენებელ პარამეტრში ასეთი დაყოფა მისაღებია იმდენად, რამდენადაც მკაფიოდ დგინდება სრული URL-ი ან მისამართი ჰიპერტექსტური კავშირის სახით (ხაზგასმით ან მეორე ფერით) და არ ერთვის ზედმეტი დეფისები სტრიქონის გადატანის საჩვენებლად.

# 21 პუნქტუაცია

**21.1 წერტილი**

**21.2 მძიმე**

21.2.1 დამოუკიდებელი წინადადებები

21.2.2 რიგები

21.2.3არაშემზღუდავი წინადადებები და ფრაზები

21.2.4 მძიმის გამოყენების სხვა შემთხვევები

**21.3 წერტილ-მძიმე**

**21.4 ორი წერტილი**

**21.5 კითხვის ნიშანი**

**21.6 ძახილის ნიშანი**

**21.7 დეფისი და ტირეები**

21.7.1 დეფისი

21.7.2 ტირე

21.7.3 მრავალჯერადი ტირეები

**21.8 ფრჩხილები და კვადრატული ფრჩხილები**

21.8.1 ფრჩხილები

21.8.2 კვადრატული ფრჩხილები

**21.9 დახრილი ხაზები**

**21.10 ბრჭყალები**

**21.11 მრავალჯერადი სასვენი ნიშნები**

21.11.1 სასვენი ნიშნების გამოტოვება

21.11.2 სასვენი ნიშნების თანმიმდევრობა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია პუნქტუაციის ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები თქვენი ნაშრომისთვის. ზოგი წესი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ზოგი კი არა, ამიტომ ხშირად მოგიწევთ საღ აზრს და მახვილ ყურს მიენდოთ.

სპეციალურ ელემენტებს, როგორიცაა აბრევიატურები, ციტირებები და მითითებები, პუნქტუაციის თავისიწესები აქვს, რომლებიც განიხილება წინამდებარე წიგნის შესაბამის თავებში.

თუ წერთ სადიპლომო ნაშრომს ან დისერტაციას, თქვენს განყოფილებას ან უნივერსიტეტს პუნქტუაციასთან დაკავშირებით შეიძლება, სპეციფიკური მოთხოვნებიჰქონდეს. ამ მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას, ჩვეულებრივ, აწოდებს სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების განყოფილება. თუ მუშაობთ საკურსო ნაშრომზე, თქვენმა პედაგოგმა შეიძლება, მოგთხოვოთ, იხელმძღვანელოთ პუნქტუაციის გარკვეული პრინციპებით. გაეცანით ამ მოთხოვნებს, ვიდრე მოამზადებთ ნაშრომს. მათ უპირატესობა აქვთ წინამდებარე თავში შემოთავაზებულ სახელმძღვანელო მითითებებთან შედარებით. სხვადასხვა დისციპლინაში მიღებულ სტილთან დაკავშირებული მითითებები იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

## 21.1 წერტილი

წერტილით ბოლოვდება თხრობითი ან ბრძანებითი წინადადება და ირიბი შეკითხვა. წერტილით, ასევე, შეიძლება, დაბოლოვდეს წინადადების ფრაგმენტი, თუ კონტექსტიდან ნათლად იკვეთება მისი რიტორიკული ფუნქცია. თუმცა,აკადემიურ ნაწერში წერტილის ასე გამოყენება იშვიათია. ყველა ამ შემთხვევაში წერტილი აზრის*დამასრულებელი სიმბოლოა* და მას ერთი ინტერვალიუნდა მოსდევდეს.

Consider the advantages of this method.

The question was whether these differences could be reconciled.

ვერტიკალურ ნუსხაში ჩამოთვლილი პუნქტების ბოლოს წერტილი უნდა დასვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პუნქტები დასრულებული წინადადებებია (იხ.23.4.2). სხვა შემთხვევებში ნუ დასვამთ საბოლოო წერტილებს უკანასკნელი პუნქტის ბოლოშიც კი და ნუ დაიწყებთ პირველ სიტყვებს მთავრული ასოთი.

The report covers three areas:

1. the securities markets

2. the securities industry

3. the securities industryin the economy

ინდივიდუალური წერტილების გამოყენება, ასევე, შეიძლებასხვა კონტექსტში, მათ შორის, აბრევიატურებში (კერძოდ, იხ.24.1.3) და მითითებებში (16.1.2 და18.1.2), ასევე, URL-ებში (20.4.2, 17.1.7 და 19.1.8), სადაც მათ ხშირად უწოდებენ წერტილებს.წერტილების რიგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ციტირებებში (იხ.25.3.2), სადაც მათ უწოდებენ *მრავალწერტილს*, ცხრილებში (26.2.6) და სატიტულო ელემენტების გვერდებზე (A.2.1), სადაც მათ უწოდებენ *პუნქტირს.*

ნუ იხმართ წერტილებს თავის ან ნაწილის სათაურის, უმეტესი ქვესათაურის (იხ. A.2.2) ან ცხრილების სათაურების შემდეგ (26.2.2). სურათების წარწერებში წერტილების ხმარების შესახებ იხილეთ 26.3.2.

## 21.2 მძიმე

მძიმე გამოყოფს კომპონენტებსწინადადების შიგნით, მათ შორის, დამოუკიდებელ და დამოკიდებულ წინადადებებს, ფრაზებსა და ცალკეულ სიტყვებს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც მკითხველი შეიძლება, ვერ გაერკვეს, სად მთავრდება დამოუკიდებელი და დამოკიდებული წინადადება ან ფრაზა და იწყება სხვა წინადადება ან ფრაზა:

Before leaving the members of the committee met in the assembly room.

Before leaving, the members of the committee met in the assembly room.

რიცხვებში მძიმეების ხმარების შესახებ იხილეთ 23.2.2. მითითებებში მძიმეების ხმარების შესახებ იხილეთ 16.1.2 და 18.1.2.

### 21.2.1 დამოუკიდებელი წინადადებები

წინადადებაში, რომელიც შედგება ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი წინადადებისგან, რომლებიც გაერთიანებულიადამაკავშირებელი სიტყვებით(*and, but, or , nor, for, so, yet*), დასვით მძიმე კავშირის წინ. ეს არ არის უპირობო წესი; მძიმის დასმა საჭირო არ არის ორ მოკლე,

დამოუკიდებელ წინადადებას შორის, რომლებსაც არ აქვს შიდა პუნქტუაცია.

Students around the world want to learn English, and many young Americans are eager to teach them.

The senator arrived at noon and the president left at one.

წინადადებაში, რომელიც შეიცავს სამ ან სამზე მეტ მოკლე და მარტივ დამოუკიდებელ წინადადებებს შიდა პუნქტუაციის გარეშე, გამოყავით წინადადებები მძიმეებით და ჩასვით დამაკავშირებელი სიტყვა ბოლო წინადადების წინ. (ყოველთვის ჩასვით მძიმე კავშირის წინ). თუ წინადადებები უფრო გრძელი და უფრო რთულია, გამოყავით ისინი წერტილ-მძიმით (იხ.21.3) ან,უმჯობესი იქნება,სხვაგვარად ჩამოაყალიბოთ წინადადება.

The committee designed the questionnaire, the field workers collected responses, and the statistician analyzed the results.

The committee designed the questionnaire, which was short; the field workers, who did not participate, collected responses; and the statistician analyzed the results, though not until several days later.

ნუ დაწერთ მძიმეს ორი ქვემდებარის ან ორი შემასმენლის დამაკავშირებელი კავშირის წინ.

The agencies that design the surveys and the analysts who evaluate the results should work together. :

They do not condone such practices but attempt to refute them theoretically.

როდესაც წინადადება იწყება ფრაზით ან დამოკიდებული წინადადებით, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო ორ დამოუკიდებელ შეთანხმებულ წინადადებას, დასვით მძიმე შესავალი ელემენტის შემდეგ, მაგრამ არა ორ დამოუკიდებელ წინადადებას შორის.

Within ten years, interest rates surged and the housing market declined.

### 21.2.2 რიგები

სერიაში, რომელიც შედგება სამი ან სამზე მეტი სიტყვისგან, ფრაზისგან ან შიდა პუნქტუაციის არმქონე წინადადებისგან,ელემენტები გამოყავით მძიმეებით. ყოველთვის დასვით მძიმე იმ კავშირის წინ, რომელსაც შემოჰყავსბოლოელემენტი.

The governor wrote his senators, the president, and the vice president.

Attending the conference were Fernandez, Sullivan, and Kendrick.

The public approved, the committee agreed, but the measure failed.

ნუ იხმართ მძიმეებს, თუ რიგის ყველა ელემენტი დაკავშირებულია კავშირებით.

The palette consisted of blue and green and orange.

თუ სამი ან სამზე მეტი სიტყვისგან, ფრაზისგან ან წინადადებისგან შემდგარი რიგი ბოლოვდება გაგრძელების გამომხატველი გამოთქმით (და ა.შ.) (*and so forth, and so on, and the like,* ან*etc.*), ამ ბოლო გამოთქმის პუნქტუაცია იგივეა, რაც რიგის ბოლო ელემენტისა. თუმცა, შეგიძლიათ, მძიმე დაამატოთ გაგრძელების გამომხატველი გამოთქმის შემდეგ, რათა თავიდან აიცილოთ გაუგებრობა გრძელი რიგის შემდეგ.

They discussed movies, books, plays, and the like until late in the night.

Management can improve not just productivity, but hours, working conditions, training, benefits, and so on, without reducing wages.

იხმარეთ წერტილ-მძიმე რიგში ელემენტების გამოსაყოფად, თუ ერთი ან ერთზე მეტი ელემენტი შეიცავს მძიმეებს ან თუ ელემენტები გრძელი და რთულია (იხ.21.3).ამასთან, თუ ასეთი რიგი მოქცეულია წინადადების მთავარი ზმნის წინ, თავიდან ჩამოაყალიბეთ წინადადება.

The three cities that we compare are Hartford, Connecticut; Kalamazoo, Michigan; and Pasadena, California.

*და არა*

Hartford, Connecticut; Kalamazoo, Michigan; and Pasadena, California, are three cities worth comparing.

### 21.2.3 არაშემზღუდველი წინადადებები და ფრაზები

იხმარეთ მძიმეებიარაშემზღუდველი წინადადების ორივე მხრიდან გამოსაყოფად.წინადადებაარაშემზღუდველია, თუ არ არის აუცილებელი მის მიერ განსაზღვრული არსებითი სახელის ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიცირება.

These five books, which are on reserve in the library, are required reading.

აქ ფრაზით შემდგარი არსებითი სახელი *These five books* ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ წიგნებს, რომლებსაც გულისხმობს ავტორი; წიგნების შემდგომი იდენტიფიცირებისთვისსაჭიროარ არის არაშემზღუდველი წინადადება. მეორეს მხრივ, ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება*that are required reading*შემზღუდველია, რადგან მიუთითებს იმ კონკრეტულ წიგნებზე, რომლებიც სავალდებულოდ წასაკითხია. ამიტომ ეს წინადადება არ არის გამოყოფილი მძიმეებით.

The books that are required reading are on reserve in the library.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცვალსახელი*which* ხშირად იხმარება შემზღუდველ წინადადებებთან, ყურადღებიანი ავტორები ცდილობენ, შეინარჩუნონ განსხვავება შემზღუდველ ნაცვალსახელსა *that* (მძიმის გარეშე) და არაშემზღუდველ ნაცვალსახელს *which* (მძიმით) შორის.

იგივე პრინციპები ვრცელდება შემზღუდველ და არაშემზღუდველ ფრაზებზე.

The president, wearing a red dress, attended the conference.

The woman wearing a red dress is the president.

### 21.2.4 მძიმისგამოყენების სხვა შემთხვევები

მძიმეებს იყენებენ სხვა სიტუაციებში. (თარიღებში მძიმეების გამოყენების შესახებ იხილეთ 23.3.1.)

- ***შესავალი სიტყვები და ფრაზები.*** როდესაც იწყებთ წინადადებას მრავალსიტყვიანი შესავლით, მას ბოლოშიდაუსვით მძიმე, განსაკუთრებით, თუ საუბრისას ამ მომენტში ნორმალურია მცირე პაუზა. მძიმის დასმა არ არის აუცილებელი მოკლე წინდებულიანი ფრაზის შემდეგ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მძიმის გარეშე წინადადება შეიძლება, არასწორად იქნეს გაგებული.

If the insurrection is to secceed, the army and police must stand side by side.

Having accomplished her mission, she returned to headquarters.

To Anthony, Blake remained an enigma.

After this week the commission will be able to write its report.

***ორი ან ორზე მეტი ზედსართავი სახელი, რომელიც წინ უსწრებს არსებით სახელს.*** გამოყავით მძიმეებით ორი ან ორზე მეტი ზედასართავი სახელი იქ, სადაც წინადადების აზრის დამახინჯების გარეშე შეიძლება მათი დაკავშირება კავშირით*and*. ნუ იხმართ მძიმეს, თუ პირველი ზედსართავი სახელი განსაზღვრავს მეორეს და მისი ამოღების შედეგად იცვლება წინადადების აზრს.

It was a large, well-placed, beautiful house.

They strolled out into the warm, luminous night.

She refused to be identified with a traditional political label.

- ***განმარტებითი კომენტარები.*** ისეთ სიტყვებს და ფრაზებს, როგორიცაა*namely, that is* ან*for example,* ჩვეულებრივ, შემოყავთ განმარტებითი კომენტარი. ამრიგად, ყველა ამ სიტყვის შემდეგ იწერება მძიმე და შეიძლება,საჭირო გახდესმათ წინ წერტილ-მძიმის ან წერტილის

დასმა. ამასთან, როდესაც იყენებთ კავშირს*or* მნიშვნელობით „სხვა სიტყვებით“, დასვით მძიმე მის წინ. (ეს და სხვა მსგავსი გამოთქმები შეიძლება, ასევე გამოვყოთ ტირეებით ან ფრჩხილებით; იხ.21.7.2 და 21.8.1.)

Many people resent accidents of fate; that is, they look on illness or bereavement as undeserved.

The compass stand, or binnacle, must be visible to the helmsman.

- ***ჩანართები.*** სიტყვა ან ფრაზა ჩანართია, თუ მოსდევს არსებით სახელს და ასრულებს არაშემზღუდველი წინადადების ფუნქციას (იხ.21.2.3). ასეთი ელემენტი გამოიყოფა მძიმეებით. თუმცა, როდესაც დანართი (აპოზიტივი) საჭიროა მის მიერ განსაზღვრული არსებითი სახელის იდენტიფიცირებისთვის, მძიმეები არ იწერება.

Smith, a Reed College graduate, taught at Harvard for several years.

Kierkegaard, the Danish philosopher, asked, “What is anxiety?”

*მაგრამ*

The Danish philosopher Kierkegaard asked, “What is anxiety?”

- ***გეოგრაფიული სახელები.*** გეოგრაფიულ სახელებში მძიმეები დასვით მრავალჯერადი ინდივიდუალური ელემენტების გამოსაყოფად. (მისამართებში მძიმეების გამოყენების შესახებ იხ.23.1.7.)

Cincinnati, Ohio, is on the Ohio River.

The next leg of the trip was to Florence, Italy.

- ***შორისდებულები და მაერთებელი ზმნიზედები.*** გამოყავით შორისდებულები, მაერთებელი ზმნიზედები და ა.შ. აზროვნებაში ან წინადადების რითმში შეფერხების მინიშნების მიზნით. თუმცა, გამოტოვეთ მძიმეები, როდესაც ასეთი ელემენტები არ არღვევს უწყვეტობას და კითხვისას არ მოითხოვს პაუზას.

Nevertheless, it is a matter of great importance.

It is, perhaps, the best that could be expected.

Perhaps it is therefore clear that no deposits were made

- ***დაპირისპირებული ელემენტები.*** გამოყავით მძიმეებით *not, not only* ან მსგავსი გამოთქმით დაწყებული შორისდებული ფრაზამხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გინდათ, რომ მკითხველმა გააკეთოს პაუზა ამ ფრაზის წინ. იხმარეთ მძიმე *the more . . . the more* ტიპის წინადადებებს შორის, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ძალიან მოკლე არ არის ან თუ ისინი, სავარაუდოდ, არასწორად იქნება გაგებული.

The idea, not its expression, is significant.

She was delighted with, but also disturbed by, her new freedom.

The more it stays the same, the less it changes.

- ***ჩართული ელემენტები.*** სუბიექტსა და ზმნას შორის ან ზმნასა და მის ობიექტს შორის ჩართული ელემენტის გამოყოფისას იხმარეთ მძიმეები. თუ აღმოჩნდება, რომ წინადადებაში გამოყოფთ ერთზე მეტ ასეთ ჩართულ ელემენტს, ხელახლა ჩამოაყალიბეთ წინადადება.

The Quinn Report was, to say the least, a bombshell.

Wolinski, after receiving instructions, left for Algiers.

- ***გამეორებული სიტყვები.*** იხმარეთ მძიმეიდენტური სიტყვების გამოსაყოფად. გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა*that.*

They marched in, in twos.

Whatever is, is right.

*მაგრამ*

He gave his life so that that cause might prevail.

## 21.3 წერტილ-მძიმე

წერტილ-მძიმით აღინიშნება იმაზე დიდი პაუზა წინადადებაში ვიდრე ეს მძიმით მიიღწევა.იხმარეთ წერტილ-მძიმე რთულ წინადადებაში იმ

დამოუკიდებელი წინადადებების გამოსაყოფად, რომლებიც არ არის დაკავშირებული მაერთებელი კავშირით(*and, but, or, nor, yet, for, so*).

One hundred communities are in various stages of completion; more are on the drawing board.

თქვენ, ასევე, შეგიძლიათ, იხმაროთ წერტილ-მძიმე მაერთებელ კავშირთან ერთად, თუ წინადადებები გრძელია და მათში მძიმეები ან სხვა სასვენი ნიშნებია. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა, მოგიხდეთ წერტილ-მძიმის წერტილით შეცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მრეწველობაში პროდუქტიულობა ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტია, ვიდრე ჩინეთში, ჩინეთში სულ უფრო იზრდება კარგი განათლების მქონე ახალგაზრდა მუშახელის რაოდენობა; მაგრამ, კიდევ უფრო მთავარი ისაა, რომ, ცოდნა, რომელიც შეიძლება, გადაეცეს ერთი ხალხიდან მეორეს, მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ რესურსად იქცა.

იხმარეთ წერტილ-მძიმე ისეთ სიტყვების წინ, როგორიცაა*then, however, thus, hence, indeed, accordingly, besides,* და*therefore,* როდესაც ამ სიტყვებს ორ დამოუკიდებელ წინადადებას შორის შუალედური (გარდამავალი) ფუნქცია აკისრია.

Some think freedom always comes with democracy; however, many voters in many countries have voted for governments that they know will restrict their rights.

თუ ელემენტებს რიგში შიდა პუნქტუაციააქვს, განაცალკევეთ ისინი წერტილ-მძიმეებით (იხ., ასევე,21.2.2).

Green indicates vegetation that remained stable; red, vegetation that disappeared; yellow, new vegetation.

## 21.4 ორი წერტილი

ორ წერტილს შემოყავს წინადადება, ფრაზა ან ელემენტების რიგი, რომლებიც აფართოებს, განმარტავს ან მაგალითების სახით აჩვენებს მანამდე წარმოდგენილი ელემენტის აზრს. მისი ფუნქცია დამოუკიდებელ წინადადებებს შორის ახლოს არის წერტილ-მძიმის ფუნქციასთან, თუმცა, იგი უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას ბალანსზე ან შედეგზე.

People expect three things of government: peace, prosperity, and respect of civil rights.

Chinese culture is unnrivaled it its depth and antiquity: it is unmatched in its rich artistic and philosophical records.

იხმარეთ ორი წერტილი საილუსტრაციო მასალის ან ჩამონათვლის შემოსაყვანად. ნუ დასვამთ ორი წერტილს უშუალოდ ზმნის შემდეგ; ამის ნაცვლად, გამოიყენეთ შესავალი ელემენტი, როგორიცაა*the following* or *as follows*. (იხ., ასევე, 23.4.2.)

The qualifications are as follows: a doctorate in economics and an ability to communicate statistical data to a lay audience.

*ნაცვლად შემდეგისა:*

The qualifications are: a doctorate in economics . . .

საყურადღებოა, რომ წინადადების შიგნით ორი წერტილის მომდევნო პირველი სიტყვა, როგორც წესი, არ იწყება მთავრული ასოთი, თუ იგი არ არის საკუთარი სახელი. (ორი წერტილით შემოყვანილ ციტირებებში მთავრული ასოების გამოყენების შესახებ იხილეთ 25-ე თავი.)

ორი წერტილი ასევე იწერება სათაურებში (იხ.17.1.2 და 19.1.3), დროის აღნიშვნებში (23.1.5), URL-ებში (17.1.7 და 19.1.8).მითითებებში სხვადასხვა გზით გამოიყენება ორი წერტილი.

## 21.5 კითხვის ნიშანი

დასვით კითხვის ნიშანი შეკითხვის სახით ჩამოყალიბებული სრული წინადადების ბოლოს. თუ კითხვის ნიშანი ბოლო სასვენი ნიშანია, მას შემდეგ საჭიროა ერთი ინტერვალი.

Who would lead the nation in its hour of need?

დასვით კითხვის ნიშანი შეკითხვის ფორმით ჩამოყალიბებული და მთლიანი წინადადების ნაწილის სახით ჩასმული წინადადების შემდეგ. ნუ იხმართ ბრჭყალებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, დანარჩენი წინადადებისგან განსხვავებით, შეკითხვა ციტირება.

Would the union agree? was the critical question.

თუ ჩასმული კითხვა წინადადების ბოლოშია, ნუ დასვამთ წერტილს კითხვის ნიშნის შემდეგ. თქვენგან არ მოითხოვება ჩასმული კითხვის პირველი სიტყვის მთავრული ასოთიდაწყება, თუმცა საწყისი მთავრული ასო ეხმარება მკითხველს შეკითხვის იდენტიფიცირებაში, განსაკუთრებით, თუ იგი შეიცავს შიდა პუნქტუაციას. თუ წინადადება მოუქნელი ხდება, შეგიძლიათ კითხვის ხელახალი ჩამოყალიბება თხრობითი წინადადების ფორმით, რომელსაც წერტილიმოსდევს.

Several legislators raised the question, Can the fund be used in an emergency, or must it remain dedicated to its original purpose?

Several legislators raised the question of using the fund in an emergency, which was not its original purporse.

კითხვის ნიშნით შესაძლებელია, აგრეთვე, დაეჭვების ან გაურკვევლობის გადმოცემა, მაგალითად, თარიღში.

The painter Niccolტ dell'Abbate (1512?-71) assisted in the decorations at Fontainebleau. ფერმწერი

## 21.6 ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი იშვიათად თუ გამოიყენება აკადემიურ ნაწერში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ციტირებული მასალის ნაწილია. ამ შემთხვევაში, თუ ძახილის ნიშანი ბოლო სასვენი ნიშანია წინადადებაში, მას უნდა მოსდევდეს ერთი ინტერვალი.

## 21.7 დეფისი და ტირე

### 21.7.1 დეფისი

დეფისები გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის რთულ სიტყვებში (იხ.20.3) და ჩათვლით რიცხვებში (inclusive numbers)(23.2.4).

### 21.7.2 ტირე

ტირე არის გაგრძელებული დეფისი, რომელიც მძიმეების (იხ. 21.2) და ფრჩხილების (იხ. 21.8.1) მსგავსად, გამოიყენება ტექსტის გამოსაყოფად, თუმცა,ტირე ტექსტს მათზე გამოკვეთილად გამოყოფს. ტექნიკურად მას *ემ-ტირე ეწოდება (*კომპიუტერული ფონტების შემოღებამდე იგი ზუსტად მთავრული ასო *m*-ისსიგანის ტოლი იყო) და ეს სიმბოლო მოიპოვება უმეტეს ტექსტურ პროცესორში.[2]მისი წარმოდგენა შესაძლებელია ორი თანმიმდევრული დეფისის ფორმით, თუმცა,უმეტეს ტექსტურ პროცესორს

---

[2] არსებობს ტირეს მეორე ტიპი, რომელსაც ეწოდება *ენ-ტირე* (ტირე, რომელიც თავის დროზე ზუსტად შეესაბამებოდა მთავრული ასო *n*-ის სიგანეს), რომელიც გამოიყენება გამოქვეყნებულ ნაშრომებში და აღნიშნავს ინტერვალს (“through”), როგორც წესი, რიცხვებთან ან თარიღებთან მიმართებაში (1998-2008). შესაძლებელია, აგრეთვე, მისი სხვა კონტექსტში გამოყენება, ამას ამბობს „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს“ (*Chicago Manual of Style*) მე-15 გამოცემის (2003) ნაწილში 6 83. თუ თქვენი ადგილობრივი სახელმძღვანელო მითითებები მოითხოვს მის გამოყენებას, ნიშანი შეგიძლიათ ნახოთ უმეტეს ტექსტურ პროცესორში; სხვა შემთხვევებში ამ კონტექსტში იხმარეთ დეფისი. გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე წიგნში, სადაც საჭიროა, გამოიყენება ენ ტირეები (en dashes), ისევე, როგორც ადრინდელ მითითებაში „ჩიკაგოს სახელმძღვანელოსთან“ (*Chicago Manual*) დაკავშირებით.

ორმაგი დეფისის ემ-ტირედ ავტომატურად გადაყვანის ფუნქცია აქვს. ნუ დატოვებთ ინტერვალს ტირეს ორივე მხარეზე.

ფრჩხილებში ჩასმული ელემენტის გამოყოფის მიზნით ტირეების გამოყენებისას დააწყვილეთ ისინი, როგორც დააწყვილებდით მძიმეებს ან ფრჩხილებს. თუმცა, იმის გამო, რომ ისინი საკმაოდ თვალშისაცემია, ნუ იხმართ ერთ წინადადებაში ერთზე მეტ წყვილს; ამის ნაცვლად, იხმარეთ ფრჩხილები მათში ჩასმული ინფორმაციის მეორე ფენისთვის.

The influence of three impressionists—Monet (1840-1926), Sisley (1839-99), and Degas (1834-1917)—is obvious in her work.

თქვენ, ასევე, შეგიძლიათ ერთი ტირეს გამოყენება გამაძლიერებელი ან განმმარტებელიელემენტის გამოსაყოფად.

It was a revival of a most potent image—the revolutionary idea.

იხმარეთ ტირე ან ტირეების წყვილი, რომელიც გამოყოფს ფრაზას, რათა გადმოსცეთ აზროვნების ნაკადის მკვეთრი რღვევა, რაც, ასევე, წინადადების სტრუქტურის რღვევასიწვევს.

Rutherford—how could he have misinterpreted the evidence?

Some characters in *Tom Jones* are “flat”—if you do not object ot this borrowing of E. M. Forster’s somewaht discredited term—because they are caricatures of their names.

ტირემ შეიძლება, ასევე, შემოიყვანოს შემაჯამებელი სუბიექტი რამდენიმე ელემენტის ჩამოთვლის შემდეგ.

The statue of the discus thrower, the charioteer of Delphi, the poetry of Pindar — all represent the great ideal.

### 21.7.3 მრავალჯერადი ტირეები

თუ ახდენთ ციტირებას დამახინჯებული ან ძნელად გასარკვევი ტექსტიდან ან წარმოადგენთ უწმაწურ (სალანძღავ) სიტყვას, მიუთითეთ გამოტოვებული სიტყვა ან გამოტოვებული ასო 2-ემ ტირეს (2-em dash) მეშვეობით (რომელიც შედგება ორი თანმიმდევრული ემ-ტირეს ან ოთხი დეფისისგან). გამოტოვებული სიტყვისთვის დატოვეთ ინტერვალი ტირეს ორივე მხარეს; გამოტოვებული ასოებისთვის ნუ დატოვებთ ინტერვალს ტირესა და სიტყვის ნაწილს შორის.

The vessel left the ---- of July.

H----h? [Hirsch?]

It was a d---- shame.

3-ემტირე (რომელიც შეიცავს სამ თანმიმდევრულ ემ ტირეს ან ექვს დეფისს) გამოიყენება ბიბლიოგრაფიაში ავტორის ან რედაქტორის გვარების განმეორებით მისათითებლად (იხ. 16.2.2. და 18.2.1).

## 21.8 ფრჩხილები და კვადრატული ფრჩხილები

### 21.8.1 ფრჩხილები

ფრჩხილები, როგორც წესი, გამოყოფს წინადადებაში განმარტებით ან შეწყვეტის ელემენტებს, დაწყვილებული მძიმეების (იხ.21.2) და ტირეების (21.7.2) მსგავსად. ზოგადად, იხმარეთ მძიმეები მთავარ წინადადებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მასალასთან, ტირეები და ფრჩხილები – ნაკლებად დაკავშირებულ მასალასთან. აბრევიატურები*e.g.* და*i.e.*, რომლებსაც შეუძლიათ განმარტებითი კომენტარის შემოყვანა (იხ. 24.7), გამოიყენება მხოლოდ ფრჩხილებში ან შენიშვნებში.

The conference has (with some malice) divided into four groups.

Each painting depicts a public occasion, in each–a banquet, a parade, a coronation (though the person crowned is obscured)–crowds of people are pictured as swarming ants.

There are tax incentives for “clean cars” (e.g., gasoline-electric hybrids and vehicles powered by compressed natural gas and liquefied propane).

ფრჩხილების გამოყენება შეიძლება, ასევე, მითითებებში (იხ. თავები 16 და 18) და ნუსხაში ან სქემაში ციფრების ან ასოების გამოსაყოფად (იხ. 23.4.2).

### 21.8.2 კვადრატული ფრჩხილები

კვადრატული ფრჩხილები ყველაზე ხშირად გამოიყენება ციტირებულ მონაკვეთში განხორციელებული ცვლილებების საჩვენებლად (იხ.25.3 მაგალითებისთვის). მათი ხმარება შესაძლებელია, ასევე, ფრჩხილებშიჩასმული მასალის მეორე ფენის გამოსაყოფად.

He agrees with the idea that childhood has a history (first advanced by Philippe Ariès [1914-84] in his book *Centuries of Childhood* [1962]).

## 21.9 დახრილიხაზები

მარცხნივ დახრილი ხაზი (‘/’) გამოიყენება წილადებში (იხ.23.1.3) და პოეზიის ციტირებებში (იხ.25.2.1). ერთმაგი და ორმაგი ხაზები, ასევე,მარჯვნივ დახრილი ხაზები (“\”) გვხვდება URL-ებში და სხვა ელექტრონულ პარამეტრებში (იხ. 20.4.2).

## 21.10 ბრჭყალები

ციტირებულ მასალაში ბრჭყალების გამოყენების შესახებ იხილეთ 25.2.1. სათაურებში და სხვა სპეციფიკურ სიტუაციებში მათი ხმარების შესახებ იხილეთ 22.3.2. მითითებებში მათი გამოყენების შესახებ იხილეთ 16.1.4 და 18.1.4.

ზოგიერთი დარგი – მაგალითად, ლინგვისტიკა, ფილოსოფია და თეოლოგია – სიტყვებისა და ცნებების გამოსაყოფად იყენებს ერთმაგ ბრჭყალებსsingle quotation marks. ამ შემთხვევაში დამამთავრებელი ბრჭყალი წინ უნდა უსწრებდეს მძიმეს ან წერტილს (იხ.21.11.1).

*kami* ‘hair, beard’

The variables of quantification, ‘something’, ‘nothing’, . . .

სხვა დანარჩენი დარგების უმეტესობაშიტერმინების განსაზღვრებებში ბრჭყალების და დახრილი ხაზების გამოყენებისას იხელმძღვანელეთ 22.2.2-ისსახელმძღვანელო მითითებებით.

## 21.11 მრავალჯერადი სასვენი ნიშნები

წინამდებარე თავში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები ზოგჯერ ითვალისწინებს ერთად ორი სასვენი ნიშნის ხმარებას – მაგალითად, წერტილისა და დამაბოლოებელი ფრჩხილისა. ქვემოთ მოყვანილი სახელმძღვანელო პრინციპები არეგულირებს ერთ-ერთი სასვენი ნიშნის გამოტოვებას და სასვენი ნიშნების თანმიმდევრობას ორივეს გამოყენების შემთხვევაში.

### 21.11.1 სასვენი ნიშნების გამოტოვება

მრავალწერტილის გამოკლებით, ნურასდროს იხმართ ორ წერტილს ერთად, როგორც ეს ხდება მაშინ, როდესაც აბრევიატურით ბოლოვდება წინადადება. დატოვეთ აბრევიატურის წერტილი, თუ წინადადება სრულდება კითხვის ნიშნით ან ძახილის ნიშნით.

The exchange occurred at 5:30 p.m.

Could anyone match the productivity of Rogers Inc.? \

თუ კონტექსტი მოითხოვს როგორც მძიმის, ასევე, უფრო ძლიერი სასვენი ნიშნის, მაგალითად, კითხვის ნიშნის ან ტირესდასმას, ამოიღეთ მძიმე.

If he had read “What Do Dogs Think?” he would have known the answer.

While the senator couldn’t endorse the proposal – and he certainly had doubts about it – he didn’t condemn it.

### 21.11.2 სასვენი ნიშნების თანმიმდევრობა

მომიჯნავე სასვენი ნიშნების ყველაზე სავარაუდო შემთხვევები მოიცავს დამაბოლოებელ სასვენ ნიშნებს ბრჭყალებთან, ფრჩხილებთან ან კვადრატულ ფრჩხილებთან ერთად. სასვენი ნიშნების ხმარების ამერიკული ვარიანტი ეყრდნობა სასვენი ნიშნების თანმიმდევრობის რამდენიმე სანდო სახელმძღვანელო მითითებას.

**ბრჭყალებთან ერთად**

საბოლოო მძიმე ან წერტილი თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს დამაბოლოებელ ბრჭყალს, მიუხედავად იმისა, არის თუ არ არის იგი ციტირებული მასალის ნაწილი.

In support of the effort "to bring justice to our people," she joined the strike.

She made the argument in an article titled "On 'Managing Public Debt.'"

არის ერთი გამონაკლისი: თუ ერთმაგი ბრჭყალები გამოიყენება სპეციალური ტერმინების გამოსაყოფად გარკვეულ დარგებში, როგორიცაა ლინგვისტიკა, ფილოსოფია და თეოლოგია (იხ.21.10), დასვით წერტილი ან მძიმე დამაბოლოებელი ბრჭყალის შემდეგ.

Some contemporary theologians, who favored 'religionless Christianity', were proclaiming the 'death of God'.

კითხვის ნიშნები და ძახილის ნიშნები წინ უსწრებს დამაბოლოებელ ბრჭყალს, თუ ისინი წარმოადგენს ციტირებული მასალის ნაწილს. ისინი მოსდევს ბრჭყალს, თუ შეეხება მთელ წინადადებას, რომელშიც ჩნდება ციტირება.

Her poem is titled "What Did the Crow Know?"

Do we accept Jefferson's concept of "a natural aristocracy"?

წერტილ-მძიმე და ორი წერტილი ყოველთვის მოსდევს ბრჭყალებს. თუ ციტირება ბოლოვდება წერტილ-მძიმით ან ორი წერტილით, შეცვალეთ ის წერტილით ან მძიმით, რათა მიუსადაგოთ მთავარი წინადადების სტრუქტურას (იხ. 25.3.1).

He claimed that "every choice reflects an attitude toward Everyman"; his speech then enlarged on the point in a telling way.

The Emergency Center is “almost its own city”: it has its own services and governance.

**ფრჩხილებთან და კვადრატულ ფრჩხილებთან ერთად.**მთლიანი წინადადების ფრჩხილებში ჩასმისას დასვით ამ წინადადების დამასრულებელი წერტილი (ან სხვა დამაბოლოებელი სასვენი ნიშანი) ბოლო ფრჩხილის წინ. მაგრამ წერტილი ფრჩხილის გარეთდასვით, თუ ფრჩხილებში ჩასმული მასალა, გრამატიკულად დასრულებული წინადადებაც კი, წინა წინადადებას განმარტავს ან აგრძელებს მის აზრს. იგივე პრინციპები ვრცელდება კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულ მასალაზეც.

We have noted similar motifs in Japan. (They can also be found in Korean folktales.)

Myths have been accepted as allegorically true (by the Stoics) and as priestly lies (by the Enlightenment).

(The director promised completion “on time and *under budget*” [italics mine].)

ფრჩხილებში ჩასმული მითითებების დამაბოლოებელი პუნქტუაციის შესახებ იხილეთ 25.2.

## 22. სახელები, სპეციალური ტერმინები და ნაშრომების სათაურები

### 22.1 სახელები

22.1.1 ხალხები, გეოგრაფიული ადგილები და ორგანიზაციები

22.1.2 ისტორიული მოვლენები, კულტურული ტერმინები და დროის აღნიშვნები

22.1.3 სხვა ტიპის სახელები

### 22.2 სპეციალური ტერმინები

22.2.1 უცხოენოვანი ტერმინები

22.2.2 ტერმინებად განსაზღვრული სიტყვები

### 22.3 ნაშრომების სათაურები

22.3.1 მთავრული ასოების გამოყენება

22.3.2 ტექსტის ტიპოგრაფიული მონიშვნა

22.3.3 პუნქტუაცია

წინამდებარე თავში შემოთავაზებულია სახელების, სპეციალური ტერმინების და ნაშრომების სათაურების წარმოდგენის ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები. ამ თავში, ასევე,განხილულია, თუ რა შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ მთავრული ან ნუსხური ასოები სიტყვების დასაწყისში და როდის უნდა გამოვიყენოთ ბრჭყალები ან დახრილი შრიფტი (განსხვავებით სწორი შრიფტისგან) სიტყვების, ფრაზებისა თუ სათაურების გამოსაყოფად.

ზოგ შემთხვევაში შეიძლება, მოგიხდეთ ამ სახელმძღვანელო პრინციპების მისადაგება შემთხვევებთან, რომლებიც არ არის მოყვანილი წინამდებარე ნაშრომში. თუ ეს ასე მოხდება, იყავით თანმიმდევრულნი. თუ არ შეგიძლიათ დახრილი შრიფტის ხმარება, მიმართეთ ხაზგასმას.

თუმუშაობთ სადიპლომო ნაშრომზე ან დისერტაციაზე, თქვენს განყოფილებას ან უნივერსიტეტს შეიძლება,ჰქონდეს სახელების, სპეციალური ტერმინებისა და სათაურების დაწერის განსაკუთრებული მოთხოვნები. ეს მოთხოვნები, როგორც წესი, მოიპოვება თეზისებისა და დისერტაციების განყოფილებაში. თუ მუშაობთ საკლასო ნაშრომზე,

თქვენმა პედაგოგმა შეიძლება, ასევე, მოგთხოვოთ დაიცვათ მსგავსი ნაშრომების წარსადგენად საჭირო პრინციპები. განიხილეთ ეს მოთხოვნები, სანამ მოამზადებთ თქვენს ნაშრომს. ისინი წინამდებარე თავში შემოთავაზებულ სახელმძღვანელო მითითებებზე უპირატესია. სხვადასხვა დისციპლინაში არსებულ სტილთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებები იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

## 22.1 სახელები

საკუთარი არსებითი სახელები ან სახელები იწერება მთავრული ასოებით, თუმცა ხშირად რთულია, განვასხვავოთ სახელი ზოგადი ტერმინისგან. წინამდებარე ნაწილში განხილულია ყველაზე გავრცელებული შემთხვევები. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს“ 2003 წლის მე-15 გამოცემის მე-8 თავი (*Chicago Manual of Style*, 15th edition (2003)).

ტექსტში სახელები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია სწორი შრიფტით, თუმცა, არის რამდენიმე გამონაკლისი, რომელიც განხილულია 22.1.3-ში.

### 22.1.1 ხალხები, გეოგრაფიული ადგილები და ორგანიზაციები

ზოგადად დაწერეთ მთავრულით კონკრეტული ხალხის, გეოგრაფიული ადგილებისა და ორგანიზაციის დასახელების ყოველი ელემენტის პირველი ასო. ამასთან, საკუთარი სახელები, რომლებიც შეიცავს ნაწილაკებს (მაგალითად, *de* და *van*) ან რთული გვარები შეიძლება, განსხვავდებოდეს მთავრული ასოების გამოყენების თვალსაზრისით. დაეჭვების შემთხვევაში ჩაიხედეთ „ვებსტერის ბიოგრაფიულ ლექსიკონში“ ან სხვა ავტორიტეტულ ლექსიკონში, წინდებულები (*of*) და კავშირები (*and*), რომლებიც სახელების შემადგენელი ნაწილებია, როგორც წესი, ნუსხურით იწერება, როგორც, მაგალითად, არტიკლი *the* სახელის წინ. სახელების კუთვნილებითი ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებით იხილეთ 20.2. აბრევიატურები სახელებთან ერთად იხილეთ 24.2-ში. რიცხვების შემცველი სახელები იხილეთ 23.1.6-ში.

| | |
|---|---|
| Eleanor Roosevelt | the Unived States Congress |
| | |
| W. E.B. Du Bois | the State Department |
| Ludwig van Beethoven | the European Union |
| Victoria Sackville-West | the University of North Carolina |
| Chiang Kai-shek | the Honda Motor Company |
| Sierra Leone | Skidmore, Owings & Merrill |
| Central America | the University of Chicago Press |
| New York City | the National Conference of Christians and Jews |
| the Atlantic Ocean | the Roman Catholic Church |
| the Republic of Lithuania | the Allied Expeditionary Force |

პროფესიის გამომხატველი ტიტული უშუალოდ პირადი სახელის წინ მთავრული ასოთიიწერება, როგორც სახელის ნაწილი. თუ ტიტულს ცალკე ან პირადი სახელის შემდეგ იყენებთ, ის იქცევა ნაწარმოებ ტერმინად და იწერება პატარა ასოთი. იგივე პრინციპი ვრცელდება სხვა საერთო ტერმინებზე, რომლებიც გეოგრაფიული ადგილის ან ორგანიზაციის სახელწოდების ნაწილია.

| | |
|---|---|
| President Harry Truman announced | the president announced |
| Professors Harris and Wilson wrote | the professors wrote |
| next to the Indian Ocean | next to the ocean |
| students at Albion College | students at the college |

მთავრულით იწერება, ასევე, ეთნიკური და ნაციონალური ჯგუფების სახელები, რაც არ ვრცელდება სოციო-ეკონომიკური ფენის აღმნიშვნელ ტერმინებზე. (ორივე ტიპის შედგენილ სიტყვებში დეფისის დასმის შესახებ იხილეთ 20.3.2. ტომების სახელების, მაგალითად, *Hopi,* მრავლობითი რიცხვის შესახებ იხილეთ 20.1.1.)

| | |
|---|---|
| Arab Americans | the middle class |
| Latinos | blue-collar workers |

მთავრულით დაწერეთ არსებითი სახელებისგან წარმოებული ზედსართავი სახელები, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მათ დაკარგეს უშუალო ასოციაცია კონკრეტულ პიროვნებებთან ან გეოგრაფიულ ადგილებთან და გადაიქცნენ ყოველდღიური სალაპარაკო ენის ნაწილად.

| | |
|---|---|
| Machiavellian scheme | french fries |
| Roman and Arabic art | roman and arabic numerals |

### 22.1.2 ისტორიული მოვლენები, კუტურული ტერმინები და დროის აღნიშვნები

მრავალი ისტორიული პერიოდისა და მოვლენის სახელი, ტრადიციისამებრ, მთავრული ასოებით იწერება; უფრო ზოგადი ტერმინები –ჩვეულებრივ,ნუსხურით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიცავს საკუთარ სახელს. დაიცავით თქვენს დისციპლინაში არსებული წესები.

| | |
|---|---|
| the Bronze Age | ancient Rome |
| the Depression | the nineteenth century |
| the Industrial Revolution | the Shang dynasty |
| Prohibition | the colonial period |
| the Seven Years’ War | the baby boom |

კულტურის სტილის, მოძრაობებისა და სკოლების აღმნიშვნელი არსებითი სახელები და ზედსართავი სახელები ზოგადად მთავრულით იწერება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი წარმოებულია საკუთარი სახელებისგან ან როდესაც საჭიროა, განვასხვავოთ ისინი საერთო ტერმინებისგან (მაგალითად,*Stoicism*). ამ შემთხვევაშიც დაიცავით თქვენი დისციპლინის წესები.

| | |
|---|---|
| classical | Aristotelian reasoning |
| impressionism | Dadaism |
| modernism | Hudson River school |
| deconstruction | Romanesque architecture |

კვირის დღეების, თვეებისა და დღესასწაულების სახელები იწერება მთავრული ასოთი, ხოლო წელიწადის დროების – არა. მეტი ინფორმაცია თარიღის სისტემების შესახებ იხილეთ 23.3.

| | | | |
|---|---|---|---|
| Tuesday | September | Independence Day | spring |

### 22.1.3 სხვა ტიპის სახელები

სხვა ტიპის სახელების წერისას, ასევე, ვხელმძღვანელობთ მთავრული ასოების გამოყენების სპეციალური ნიმუშებით, ხოლო ზოგიერთი მათგანი დახრილი შრიფტით უნდა დაიწეროს.

- ***აკადემიური კურსები და საგნები.*** დაწერეთ მთავრულით სპეციალური კურსების სახელები და არა ზოგადი საგნების ან კვლევის სფეროების სახელები, გარდა ენების სახელებისა.

| | |
|---|---|
| Introduction of Asian Art | art history |
| Topics in Victorian Literature | English literature |

- ***აქტები, ხელშეკრულებები და სამთავრობო პროგრამები.*** დაწერეთ მთავრულით აქტების, ხელშეკრულებების, სამთავრობო პროგრამებისა და მსგავსი დოკუმენტებისა თუ ორგანიზაციების ოფიციალური ან მიღებული სახელწოდებები, ხოლო ნუსხურით – არაოფიციალური ან საერთო სახელწოდებები.

| | |
|---|---|
| the United States (or U.S.) Constitution | the due process clause |
| the Treaty of Versailles | the treaty |
| Head Start | „ჰედ სტარტი“ (განმანათლებელი და |

| | |
|---|---|
| | სამედიცინო პროგრამა) |

- ***ბრენდების სახელები.*** დაწერეთ მთავრულით პროდუქტების ბრენდების სახელები, მაგრამ ნუ იხმართ სიმბოლოებს ®ან™სახელების შემდეგ. ამასთან,თუ არ საუბრობთ სპეციფიკურ პროდუქტზე, იხმარეთ საერთო ტერმინი ბრენდის სახელის ნაცვლად.

| | |
|---|---|
| Coca-Cola | cola |
| Xerox | photocopy |

- ***ელექტრონული ტექნოლოგია.*** დაწერეთ მთავრულით კომპიუტერული აპარატურისა და პროგრამების, ქსელების, ბრაუზერების, სისტემებისა და ენების სახელები და ამ სახელების შემოკლებული ფორმები.

| | |
|---|---|
| Windows XP | the Internet; the Net |
| Internet Explorer | the World Wide Web; the Web |

- ***სასამართლო საქმეები.*** დაწერეთ მთავრულით და დახრილი შრიფტით სასამართლო საქმეების სახელწოდებები; დაწერეთ დახრილი შრიფტით ასოv. (versus). შეგიძლიათ, საქმის სახელწოდების შემოკლება მისი სრულად მითითების შემდეგ. სასამართლო საქმეების მითითებების შესახებ იხილეთ 17.9.7. და 19.9.7.

| *პირველი მითითება* | *შემდგომი მითითებები* |
|---|---|
| *Miranda v. Arizona* | *Miranda* |
| *United States v. Carlisle* | *Carlisle* |

- ***გემები, საჰაერო ხომალდები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები.*** დაწერეთ მთავრულით და დახრილი შრიფტით გემების, საჰაერო ხომალდებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების სახელები. თუ სახელების წინ გვხვდება ისეთი აბრევიატურები, როგორიცაა USS (United States ship) ან HMS (Her [or His] Majesty's ship), ნუ დაწერთ დახრილი შრიფტით ამ აბრევიატურებს ან ნუ იხმართ სიტყვას *ship* სახელთან ერთად.

| | |
|---|---|
| USS *Constitution* | *Spirit of St. Louis* |
| HMS*Saranac* | the space shuttle *Endeavor* |

- ***მცენარეები და ცხოველები.*** ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებებისადმი მიძღვნილ ნაშრომებშინუ დაწერთ მთავრულით

მცენარეებისა და ცხოველების სახეობების დასახელებებს.მთავრულით იწერება მხოლოდ მათი წარმოშობის მიმანიშნებელი გეოგრაფიული ადგილის დასახელება. სახეობების ორნაწილიანი ლათინური სახელები იწერება დახრილი შრიფტით, გვარიიწერება მთავრულით, ხოლო სახეობა (ან სპეციფიკური ეპითეტი) ნუსხური ასოებით. ტიპების, რიგების და ა.შ. სახელები იწერება სწორი შრიფტით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში იხელმძღვანელეთ თქვენს დისციპლინაში მიღებული წესებით.

rhesus monkey    Rocky Mountain sheep    *Rosa caroliniana*    Chordata

## 22.2 სპეციალური ტერმინები

ზოგი სპეციალური ტერმინი მოითხოვს დახრილი შრიფტის, ბრჭყალებისა და მთავრული ასოების ხმარებას.

### 22.2.1 უცხოენოვანი ტერმინები

დაწერეთ დახრილი შრიფტით ცალკეული უცხო ენაზე დაწერილი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც, სავარაუდოდ, უცნობი იქნება ინგლისურენოვანი მკითხველისთვის და დასვით მთავრული ასოები ისევე, როგორც მათ ორიგინალისენაზე სვამენ. (თუ არ იცით ამა თუ იმ ენის მთავრული ასოების გამოყენების პრინციპები, ჩაიხედეთ ავტორიტეტულ წყაროში, როგორიცაა „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს“ 2003 წლის მე-15 გამოცემის მე-10 თავი. უცხოენოვანი ნაშრომების სათაურების შესახებ იხილეთ 22.3.1.

This leads to the idea of *bermensch* and to the theory of the *acte gratuit* and surrealism. .

ნუ დაწერთ დახრილი შრიფტით უცხოენოვან სახელებს ან პირად ტიტულებს (წოდებებს), რომლებიც მათ ახლავთ.

Padre Pio

the Académie Française

the Pierto del Sol

თუ თქვენ განსაზღვრავთ უცხოენოვან ტერმინს, ჩასვით განსაზღვრებატერმინის შემდეგ ტექსტში ან შენიშვნაში ფრჩხილებში ან ბრჭყალებში.

The usual phrase was *ena tuainu-iai*, “I wanted to eat.”

According to Sartrean ontology, man is always *de trop* (in excess).

უცხოენოვანი წყაროებიდან მოყვანილი უფრო გრძელი ციტატებისთვის გამოიყენეთ სწორი შრიფტი. დაწერეთ დახრილი შრიფტით მთლიანი ციტატა ან მასში არსებული ნებისმიერი სიტყვა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი დახრილი შრიფტით არის წარმოდგენილი ორიგინალში. ჩასვით ციტატა ბრჭყალებში ტექსტის შიგნით ან გამოიყენეთ ბლოკ-ციტატა 25.2-ში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად.

The confusion of *le pragmatisme* is traced to the supposed failure to distinguish "les proprịẹtẹs de la valeur en gẹnẹral" from the incidental.

### 22.2.2 ტერმინებად განსაზღვრული სიტყვები

თქვენს მიერ განსაზღვრული ძირითადი ტერმინების ხაზგასმის მიზნით, მათი პირველად მოხსენიებისას დაწერეთ ისინი დახრილი შრიფტით, შემდეგ კი იხმარეთ სწორი შრიფტი. შეგიძლიათ, გამოიყენოთ ბრჭყალები (ე.წ. „გამაფრთხილებელი ბრჭყალები"), რათა გააფრთხილოთ მკითხველი, რომ არასტანდარტულად ან ირონიული კუთხით იყენებთ ტერმინს. ზედმეტი ხმარების შემთხვევაში ეს ორი მეთოდი ნაკლებად ეფექტური ხდება.

The two chief tactics of this group, *obstructionism* and *misinformation,* require careful analysis.

Government "effeciency" resulted in a huge deficit.

დაწერეთ ტერმინი დახრილი შრიფტით, თუ მას მოიხსენიებთ, როგორც ტერმინს.

The term *critical mass* is more often used metaphorically than literally.

How did she define the word *existential?*

*მაგრამ*

A critical mass of students took existential philosophy.

დაწერეთ დახრილი ნუსხური შრიფტით ასოები, რომლებიც ცალკე მოიხსენიება. ნიშნების და მაგალითების გამომხატველი სიტყვები იწერება სწორი შრიფტით და მთავრულით. ამგვარად გამოყენებული სიტყვების მრავლობითი რიცხვის ფორმების შესახებ იხილეთ 20.1.2.

Many of the place-names there begin with the letters *h* and *k*.

In her senior year, she received an A and six B's.

Imagine a group of interconnected persons: A knows B, B knows C, and C knows D.

## 22.3 ნაშრომების სათაურები

როდესაც მიუთითებთ წერილობით, მხატვრულ ან სამაუწყებლო ნამუშევარს, წარმოადგინეთ მისი სათაური ზუსტად ისევე, როგორც ის ნაჩვენებია ორიგინალურ ნამუშევარში ან, თუ ორიგინალი ხელმისაწვდომი არ არის, - ავტორიტეტულ წყაროში.

ყოველთვის დაიცავით ასეთ სათაურებში ორიგინალური დამწერლობა (მათ შორის, დასმული დეფისები), მაშინაც, როდესაც იგი არ შეესაბამება მე-20 თავში აღწერილ თანამედროვეამერიკულ წესებს, იხილეთ 17.1.2 სათაურების პუნქტუაციაში ზოგიერთი დასაშვები ცვლილების შესატანად, როგორიცაა ორი წერტილის ხმარება სათაურსა და ქვესათაურს შორის და მძიმის დართვა თარიღების წინ.

აკადემიური ტრადიციისამებრ, სათაურები იწერება მთავრული ასოების გამოყენებისა და ტექსტის მონიშვნის (დახრილი შრიფტი, ბრჭყალები ან არცერთი) სპეციფიკური მოდელებით, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ არის წარმოდგენილი ორიგინალში. ტექსტში და მითითებებში გამოყენებული სათაურებისთვის პრინციპები,გარკვეულწილად, განსხვავებულია.

### 22.3.1 მთავრული ასოების გამოყენება

სათაურებს აქვს მთავრული ასოების გამოყენების ორი მოდელი: სათაურის სტილი (headline style) და წინადადების სტილი(sentence style). წარმოადგინეთ ტექსტში მოხსენიებული სათაურების უმეტესობა სათაურის სტილში. უცხოენოვანი სათაურების შემთხვევაში ისარგებლეთ წინადადების სტილით.

მითითებებში არჩევანი დამოკიდებულია იმ მითითების სტილზე, რომლითაც სარგებლობთ: ზოგადად, სათაურის სტილი გამოიყენება ბიბლიოგრაფიული მითითებებისთვის და წინადადების სტილი –

მითითებების ჩამონათვლისთვის. (არის რამდენიმე გამონაკლისი; იხილეთ, შესაბამისად, მე-17 და მე-19 თავები.)

თქვენი ნაშრომისადა მისი ნებისმიერი ნაწილების ან თავების სათაურებისთვის ისარგებლეთ სათაურის სტილით, თუ თქვენს დისციპლინაში არ არის მიღებული წინადადების სტილი (იხ. A.1.5).

**სათაურის სტილი.** სათაურის სტილის მიზანიატექსტიდან სათაურების მკაფიოდგამოკვეთა. ამ სტილში მთავრულით დაწერეთ სათაურის და ქვესათაურის ყველა სიტყვის პირველი ა,სო გარდა შემდეგი გამონაკლისებისა:

- ნუ დაწერთ მთავრულით არტიკლებს (*a, an, the*),კავშირებს (*and, but, or, nor, for, so, yet*) ან სიტყვებს *to* და*as*, თუ ასეთი სიტყვა არ არის სათაურის ან ქვესათაურის პირველი ან ბოლო სიტყვა.
- ნუ დაწერთ მთავრულით წინდებულებს (*of, in, at, above, under* და ა.შ.), თუმათზე არ კეთდება აქცენტი (*through - A Rover Runs Through It*-ში) თუ ისინი არ გამოიყენება ზმნიზედების (*up - Look Up*), ზედსართავი სახელების (*on - The On Button*) ან კავშირების (*before - Look Before You Leap*) ფუნქციით.
- ნუ დაწერთ მთავრულით დეფისიანი შედგენილი სიტყვის მეორე (ან მომდევნო) ნაწილებს, თუ ისინი არ არის საკუთარი არსებითი სახელები ან ზედსართავი სახელები. (ნუ დაგავიწყდებათ სათაურებში დეფისების დასმის ორიგინალური წესის შენარჩუნება მაშინაც, როცა იგი განსხვავდება 20.3-ში განხილული პრინციპებისგან.)
- ნუ დაწერთ მთავრულით საკუთარი არსებითი სახელების იმ ნაწილებს, რომლებიც,ჩვეულებრივ, ნუსხურით იწერება, როგორც ეს ნაჩვენებია22.1.1-ში( *Ludwig van Beethoven*).

The Economic Effects of the Civil War in the Mid-Atlantic States

To Have and to Hold: A Twenty-first-century View of Marriage

All That Is True: The Life of Vincent van Gogh, 1853-90

Four Readings of the Gospel according to Mathew

Self-government and the Re-establishement of a New World Order ენა

Global Warming: What We Are Doing about It Today

Still Life with Oranges

E-flat Concerto

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოკლე სიტყვა ამ სტილში ნუსხურით იწერება,მთავრული ასოების გამოყენებას სიტყვის სიგრძე არ განსაზღვრავს. საჭიროა მოკლე ზმნების (*is, are*), ზედსართავი სახელების (*new*), პირის ნაცვალსახელების (*it, we*) და ჩვენებითი ნაცვალსახელების (*that*) მთავრული ასოებით დაწერა, ვინაიდან ისინი ზემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისების სიაშია. დაწერეთ ნუხურით გრძელი წინდებულები *(according)*, რადგან ისინი გვხვდება გამონაკლისებს შორის.

დაუშვებელია ორი ტიპის სათაურის სათაურის სტილში წარმოდგენა მაშინაც, თუ ამ სტილს თქვენ იყენებთ ყველა სხვა სათაურისთვის:

- სხვა ენებზე, გარდა ინგლისურისა, დაწერილ სათაურებში იხმარეთ წინადადების სტილის კაპიტალიზაცია (იხილეთ ქვემოთ).
- მეთვრამეტე საუკუნეში და უფრო ადრე გამოქვეყნებული ნაშრომების სათაურებში უცვლელად დატოვეთ ორიგინალური მთავრული ასოების გამოყენების სტილი (და ორთოგრაფია), თუმცა,გაითვალისწინეთ, რომ სიტყვებში, რომელთა ყველა ასოც ორიგინალში მთავრულით არის დაწერილი, მხოლოდ პირველი ასო უნდა დაწეროთ მთავრულით.

A Treatise of morall philosophy Contaynyge the sayings of the wyse

**წინადადების სტილი.** სათაურის სტილისგან განსხვავებით, წინადადების სტილისათაურების წარმოდგენის უფრო მარტივი, მაგრამ ნაკლებად გამორჩეული საშუალებაა. ამ სტილში მთავრულით დაწერეთ მხოლოდ სათაურის და ქვესათაურის პირველი სიტყვის პირველი ასო და ნებისმიერი მომდევნო საკუთარი არსებითი სახელი და საკუთარი ზედსართავი სახელი.

Seeing and selling late-nineteenth-century Japan

Natural crisis: Symbol and imagination in the mid-American farm crisis

Religious feminism: A challenge from the National Organization for Women

The last supper

წინადადების სტილი გამოიყენება, აგრეთვე, უცხოურენოვანი ნაშრომების სათაურებისთვის. უცხო ენების მთავრული ასოებით დაწერის

პრინციპები განსხვავდება ინგლისური ენის პრინციპებისგან, ამიტომ თუ არ ხართ დარწმუნებული კონკრეტული უცხო ენის პრინციპებში, ჩაიხედეთ ავტორიტერულ წყაროში.

Speculum Romanae magnificentiae

Historia de la Orden de San Gerónimo

Reallexikon zur deutschen Kunstgeschichte

Phკnomკnologie et religion. Structures de l'institution chrკtienne

### 22.3.2 ტექსტის ტიპოგრაფიული მონიშვნა

სპეციალური ტიპოგრაფიული მონიშვნა – დახრილი შრიფტი და ბრჭყალები – ასევე,გვეხმარება ნაშრომების სათაურების ტექსტიდან გამოკვეთაში. წინამდებარე პარაგრაფში ჩამოთვლილი სახელმძღვანელო მითითებები ვრცელდება ტექსტში გამოყენებულ სათაურებზე. ისინი ასევე ვრცელდება უმეტეს სათაურზე ბიბლიოგრაფიის სტილის მითითებებში (იხ. მე-17 თავი), რაც არ შეიძლება, ითქვას სქოლიოში მითითების სტილში აღნიშნულ სათაურებზე(იხილეთ მე-19 თავი).

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები წარმოდგენილია სათაურის სტილით. თუმცა, სახელმძღვანელო მითითებები, ასევე, ვრცელდება წინადადების სტილის მქონე სათაურებზე (იხ. 22.3.1).

**დახრილი შრიფტი.** დაწერეთ დახრილი შრიფტით შედარებით გრძელიგამოქვეყნებული (დაბეჭდილი ან ელექტრონული ფორმით მოცემული) ან საზოგადოებისთვის სხვამხრივ ცნობილი ნაშრომების სათაურები, ტექსტში (და არა მითითებებში) სიტყვა *the* სწორი შრიფტით და ნუსხური ასოებით იწერება უმეტესი სათაურის დასაწყისში, მაშინაც, როცა ის ოფიციალური სათაურის ნაწილია. ამ ნაშრომების ნაწილებთან და ამავე ტიპის უფრო მოკლე ნაშრომებთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ.

- წიგნები (*Culture and Anarchy*, the *Chicago Manual of Style*)
- პიესები (*A Winter's Tale*) და ძალიან გრძელი პოემები, განსაკუთრებით წიგნის მოცულობის მქონე პოემები (Dante's *Inferno*)

- სამეცნიერო ჟურნალები (*Signs*), პოპულარული ჟურნალები (*Time*), გაზეთები (the *Washington Post*) და სხვა პერიოდული გამოცემები
- გრძელი მუსიკალური ნაწარმოებები (the *Marriage of Figaro*)
- ფერწერული ნახატები (*Mona Lisa*), ქანდაკებები (Michelangelo's *David*) და სხვა ხელოვნების ნიმუშები, გარდა ფოტოებისა
- კინოფილმები (*Citizen Kane*) და სატელევიზიო (*Sesame Street*) და რადიოპროგრამები (*All Things Considered*)

**ბრჭყალები.** უფრო მოკლე ნაშრომის სათაური, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს უფრო გრძელი ნაშრომის ნაწილი (როგორიცაა ზემოჩამოთვლილი ნაშრომები) ჩასვით ბრჭყალებში, მაგრამ არ დაწეროთ დახრილი შრიფტით:

- თავი ("The Later Years") ან წიგნის სხვა დასათაურებული ნაწილები
- მოკლე მოთხრობები ("The Dead"), მოკლე პოემები ("The Housekeeper") და ნარკვევები ("Of Books")
- სტატიები ან სხვა მასალა სამეცნიერო ჟურნალებში ("The Function of Fashion in Eighteenth-century America"), პოპულარულ ჟურნალებში ("Who Should Lead the Supreme Court?"), გაზეთებში ("Election Comes Down to the Wire") და სხვა პერიოდულ გამოცემებში
- სატელევიზიო პროგრამების ინდივიდუალური ეპიზოდები ("The Opposite")
- მოკლე მუსიკალური ნაწარმოებები ("The Star-Spangled Banner")
- ფოტოსურათები (Ansel Adam's "North Dome")

იხმარეთ, ასევე, ბრჭყალები და სწორი შრიფტი იმ სრული ნაშრომების სათაურებში, რომლებიც არ არის ოფიციალურად გამოქვეყნებული, მათ შორის შემდეგი სახის ნაშრომებისა:

- თეზისები theses და დისერტაციები ("A Study of Kant's Early Works")

- ლექციები და სხდომებზე წაკითხული მოხსენებები (“Voice and Inequality: The Transformation of American Civic Democracy”)

- დასათაურებული დოკუმენტები ხელნაწერების კოლექციებში (“A Map of the Southern Indian District of North America”)

**სპეციალური ტიპოგრაფიული მონიშვნის გარეშე.** დაწერეთ მთავრულით, მაგრამ ნუ გამოიყენებთ დახრილ შრიფტს ან ბრჭყალებს შემდეგი სპეციალური ტიპის სათაურების შემთხვევაში:

- წიგნების სერიები (Studies in Legal History).

- ხელნაწერების კოლექციები (Egmont Manuscripts).

- წმინდა წიგნები (the Bible) და სხვა რელიგიური ნაშრომები (the Upanishads), ასევე, ბიბლიის სხვადასხვა ვერსია(the King James Version) და მისი წიგნები (Genesis; სრული სია იხილეთ 24.6-ში).

- მუსიკალური ნაწარმოებები, მოხსენიებული მათი ჟანრის მიხედვით (Symphony no. 41, Cantata BWV 80), თუმცა, ამ ნაწარმოებების პოპულარული სახელწოდებები იწერება დახრილი შრიფტით (the *Jupiter Symphony*) და ჩასმულია ბრჭყალებში (“Ein feste Burg ist unser Gott”), გამომდინარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი სიგრძიდან.

- ზოგადად მოხსენიებული ვებსაიტები (MSNBC.com), თუმცა, მითითებებში ვებსაიტების სახელები იწერება დახრილი შრიფტით (*Salon.com*), ხოლო ცალკეული სტატიებისა თუ გვერდების სათაურები იწერება სწორი შრიფტით და ჩასმულია ბრჭყალებში (“The Fix’).

მიიჩნიეთ წიგნების ან სხვა ნაშრომების ნაწილების საერთო აღნიშვნები ნებისმიერ სხვა სიტყვად. ნუ დაწერთ მთავრულით და ნუ იხმართ დახრილ შრიფტს ან ბრჭყალებს, გარდა შემთხვევებისა, როდესაც იგივეს იზამდით ჩვეულებრივი სიტყვის დაწერისას (როგორც წინადადების დასაწყისში). თუ ნაწილი შეიცავს ნომერს, მიუთითეთ იგი არაბულ რიცხვებში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის იგი ნაჩვენები ორიგინალურ ნაშრომში (იხილეთ 23.1.8).

in Lionel Trilling’s preface as discussed in chapters 4 and 5

a comprehensive bibliography killed off in act 3, scene 2

### 22.3.3 პუნქტუაცია

დაიცავით ტექსტში სათაურის ბოლოს მძიმის, წერტილის ან სხვა სასვენი ნიშნის დასმის სტანდარტული სახელმძღვანელო წესები. თუ სათაური ბოლოვდება თარიღებით, გამოყავით ისინი დაწყვილებული მძიმეებით, წინადადების დაბოლოების გამოკლებით, სადაც დამაბოლოებელი სასვენი ნიშანი ენაცვლება მეორე მძიმეს (იხ., ასევე,17.1.2). ბრჭყალებში ჩასმული სათაურების შემთხვევაში დასვით მძიმე ან წერტილი ჩამკეტი სასვენი ნიშნის წინ (იხ., ასევე,21.11.2).

Have you ever read The Creation of the American Republic, 1776-1787?

Her article, “Continuity and Change, 1500-1800,” argues in favor of continuity.

## 23. რიცხვები

### 23.1 სიტყვები თუ რიცხვები?

#### 23.1.1 ზოგადი წესი

#### 23.1.2 განსაკუთრებული შემთხვევები

#### 23.1.3 პროცენტები და წილობითი რიცხვითი სახელები

#### 23.1.4 ფული

#### 23.1.5 დრო

#### 23.1.6 სახელები რიცხვებთან ერთად

#### 23.1.7 მისამართები და მაგისტრალები

#### 23.1.8 გამოქვეყნებული ნამუშევრების ნაწილები

#### 23.1.9 განტოლებები და ფორმულები

### 23.2 რიცხვების მრავლობითი ფორმა და პუნქტუაცია

#### 23.2.1 რიცხვები მრავლობითში

#### 23.2.2 მძიმეები რიცხვებში

#### 23.2.3 სხვა პუნქტუაცია რიცხვებში

#### 23.2.4 ჩათვლითი რიცხვები

### 23.3 თარიღთა სისტემები

#### 23.3.1 თვე, დღე და წელი

#### 23.3.2 ათწლეულები, საუკუნეები და ეპოქები

### 23.4 ტექსტის გარეთ გამოყენებული რიცხვები

#### 23.4.1 რიცხვები ცხრილებში, სურათებში და მითითებებში

#### 23.4.2 ჩამონათვლები

#### 23.4.3 ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე თავი გთავაზობთ ზოგად მითითებებს რიცხვების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს სახელმძღვანელო მითითებები ვრცელდება ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების თითქმის ყველა დისციპლინაზე, მაგრამ იმ დისციპლინებს, რომლებიც მთლიანად ეფუძნება რიცხობრივ მონაცემებს, შეიძლება, უფრო კონკრეტული

სახელმძღვანელო მითითებები ჰქონდეს. თუ ამზადებთ ნაშრომს საბუნებისმეტყველო ან ზუსტ მეცნიერებებში, ან რომელიმე სხვა წმინდად ტექნიკურ დარგში, დაცავით ამ კონკრეტულ დისციპლინაში მიღებული წესები. სხვადასხვა დისციპლინისთვის დამახასიათებელი სახელმძღვანელო მითითებები იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

ზოგ შემთხვევაში შეიძლება, მოგიხდეთ ამ სახელმძღვანელო მითითებების მორგება იმ სიტუაციებზე, რომლებიც აქ არ არის მოყვანილი. თუ ეს ასე იქნება, იყავით თანმიმდევრულნი.

თუ მუშაობთ სადიპლომო ნაშრომზე ან დისერტაციაზე, თქვენს განყოფილებას ან უნივერსიტეტს შეიძლება, გააჩნდეს სპეციფიკური მოთხოვნები რიცხვების წარდგენასთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნები, როგორც წესი, მოიპოვება სადიპლომო ნამუშევრებისა და დისერტაციების ოფისში. თუ ამზადებთ საკლასო ნაშრომს, თქვენმა პედაგოგმა შეიძლება, ასევე, მოგთხოვოთ რიცხვების წარდგენის გარკვეული პრინციპების დაცვა. გაერკვიეთ ამ მოთხოვნებში ვიდრე ნაშრომის წერას დაიწყებთ. ისინი წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილ სახელმძღვანელო მითითებებზე უპირატესია.

## 23.1 სიტყვები თუ რიცხვები?

ციფრების წარდგენისას ყველაზე ხშირად დასმული კითხვაა, როგორ უნდა წარვადგინოთ რიცხვები – სიტყვებით (twenty-two) თუ რიცხვებით (22). როდესაც რიცხვს მოსდევს ზომის ერთეული, აქაც უნდა გადაწყვიტოთ, სიტყვებით დაწეროთ ერთეულის (percent), სიმბოლოს (%), თუ აბრევიატურის სახით.

23.1-23.3-ში წარმოდგენილი სახელმძღვანელო მითითებები შეეხება თქვენი ნაშრომის ტექსტში გამოყენებულ რიცხვებს. ცხრილებში, სურათებში, მითითებებში და თქვენი ნაშრომის სტრუქტურაში გამოყენებულ რიცხვებთან დაკავშირებით იხილეთ 23.4.

თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული, *რიცხვები* ამ თავში გულისხმობს არაბულ ციფრებს (1, 2, 3 და ა.შ.). რომაული ციფრების (i, ii, iii და ა.შ.) შესახებ იხილეთ ცხრილი 23.1.

### 23.1.1 ზოგადი წესი

ვიდრე შეადგენთ თქვენი ნაშრომის პროექტს, მიიღეთ გადაწყვეტილება როგორ წარმოადგენთ მასში რიცხვებს და განუხრელად დაიცავით არჩეული წესი. თქვენი არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ რიცხვობრივ მონაცემს წარმოადგენთ და როგორია თქვენს დისციპლინაში მიღებული წესები. იმ შემთხვევების შესახებ, რომლის დროსაც შეიძლება, შეცვალოთ ზემოაღნიშნული წესი, იხილეთ 23.1.2-23.1.8.

**ცხრილი 23.1. რომაული რიცხვები**

| არაბული | რომაული | არაბული | რომაული | არაბული | რომაული |
|---|---|---|---|---|---|
| **1** | **I** | **11** | **XI** | **30** | **XXX** |
| **2** | **II** | **12** | **XII** | **40** | **XL** |
| **3** | **III** | **13** | **XIII** | **50** | **L** |
| **4** | **IV** | **14** | **XIV** | **60** | **LX** |
| **5** | **V** | **15** | **XV** | **70** | **LXX** |
| **6** | **VI** | **16** | **XVI** | **80** | **LXXX** |
| **7** | **VII** | **17** | **XVII** | **90** | **XC** |
| **8** | **VIII** | **18** | **XVIII** | **100** | **C** |
| **9** | **IX** | **19** | **XIX** | **500** | **D** |
| **10** | **X** | **20** | **XX** | **1,000** | **M** |

**შენიშვნა:** რომაული რიცხვები მთავრული ასოებითაა წარმოდგენილი; ციფრების პატარა ასოებით წარმოსადგენად გამოიყენეთ იგივე ფორმები, რაც მთავრულ ასოებში (*i I*-სთვის, *v V*-სთვის და ა.შ.). იმ რიცხვებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის ცხრილში მოცემული, იხელმძღვანელეთ წარმოდგენილი ნიმუშებით.

თუ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში მოგყავთ მხოლოდ რამდენიმე რაოდენობრივი მონაცემი, ერთიდან ასამდე რიცხვები დაწერეთ სიტყვიერად (fifty-five). დაწერეთ, ასევე, სიტყვიერად მრგვალი რიცხვები,

რომლებსაც მოსდევს: thousand, ten thousand, million და ა.შ. ყველა სხვა ციფრისთვის იხმარეთ არაბული რიცხვები. იხელმძღვანელეთ ამ მოდელით, როცა რიცხვი გამოხატავს ფიზიკური სიდიდის საზომის ნაწილს (მანძილი, სიგრძე, ტემპერატურა და ა.შ.) და ნუ იხმართ აბრევიატურებს ამ ერთეულებთან (იხ. 24.5).

After seven years of war came sixty-four years of peace. .

The population of the three states was approximately twelve million. .

He catalogued more than 527 works of art.

Within fifteen minutes the temperature dropped twenty degrees.

თუ თქვენი თემა ძალიან დამოკიდებულია რიცხობრივ მონაცემებზე, დაიცავით სხვა წესი: დაწერეთ სიტყვიერად მხოლოდ მარტივი რიცხვები და იხმარეთ ციფრები ყველა სხვა რიცხვისთვის.

This study of 14 electoral districts over seven years included 142 participants.

He hit the wall at 65 miles per hour, leaving skid marks for nine feet.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ზოგადი წესი შეიძლება, ითვალისწინებდეს ციფრების გამოყენებას ყველა რიცხვისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათით იწყება წინადადება (იხ. 23.1.2). შეგიძლიათ, ასევე, რაოდენობის აღსანიშნავად გამოიყენოთ აბრევიატურები (იხ. 24.5).

როგორც აღმოჩნდა, საშუალო წონამ შეადგინა 7 გრ. – სავარაუდოზე ბევრად ნაკლები.

რიგობით რიცხვით სახელებთანაც იგივე, რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოყენების წესები უნდა დაიცვათ. სადაც საჭიროა, დაურთეთ *st, nd, rd* ან *th*.

On the 122nd and 123rd days of his trip, he received his eighteenth and nineteenth letters from home.

### 23.1.2 განსაკუთრებული შემთხვევები

რამდენიმე გავრცელებულ შემთხვევაში 23.1.1-ში განხილული სიტუაცია მოდიფიკაციას საჭიროებს.

**საწყისი რიცხვები.** ნურასდროს დაიწყებთ წინადადებას რიცხვითი სახელით. დაწერეთ რიცხვი სიტყვიერად ან სხვაგვარად დაწერეთ წინადადება, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მასში სხვა მსგავსი ტიპის რიცხვითი სახელია.

Two hundred fifty soldiers in the unit escaped injury; 175 sustained minor injuries.

ან, უკეთესი ვარიანტია,

Of the soldiers in the unit, 250 escaped injury and 175 sustained minor injuries.

სიტყვიერად დაწერისას გამოტოვეთ ტერმინში არსებული სიტყვა *and* (მიუღებელია *two hundred and fifty).*

**რიცხვების რიგი.** ნუ დაიცავთ ზოგად წესს, როდესაც ერთსა და იმავე წინადადებაში წარმოდგენილია ზღვრული სიდიდის ზემოთ და ქვემოთ არსებული რიცხვების რიგი, განსაკუთრებით, როდესაც ამ რიცხვებს ერთმანეთს ადარებენ. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ყველა რიცხვი ციფრებშია წარმოდგენილი.

Of the group surveyed, 78 students had studied French and 142 had studied Spanish for three years or more.

We analyzed 62 cases; of these, 59 had occurred in adults and 3 in children.

თუ განიხილავთ თემატურად ძალიან დაახლოებულ მონაცემთა ორ რიგს, ნუ დაიცავთ ზოგად წესს და სიცხადისთვის სიტყვიერად დაწერეთ ერთი რიგის ყველა რიცხვი და გამოიყენეთ რიცხვითი სახელები მეორე რიგის ყველა რიცხვისთვის.

პროგრამის ფარგლებში 9 ბავშვს დაეტყო გარკვეული გაუმჯობესება ექვსი თვის შემდეგ, ხოლო 37 ბავშვს დაეტყო მნიშვნელოვანი გაუმჯობესება თვრამეტი თვის შემდეგ.

**მრგვალი რიცხვები.** დაწერეთ ცალკე, სიტყვიერად მრგვალი რიცხვი (მთელი რიცხვი, რომელსაც მოსდევს *hundred, thousand, hundred thousand, million* და ა.შ) (იხ. 23.1.1), ხოლო რამდენიმე მრგვალი რიცხვი – გვერდიგვერდ, ციფრებით. თქვენ, ასევე, შეგიძლიათ, მსხვილი მრგვალი რიცხვები წარმოადგინოთ ციფრებისა და სიტყვების კომბინაციის სახით (იხ., ასევე, 23.1.4).

They sold 1,500 copies in the first year and 8,000 in the second.

These changes will affect about 7.8 million people in New York alone.

### 23.1.3 პროცენტები და წილობითი რიცხვითი სახელები

გამოიყენეთ რიცხვები პროცენტებისა და წილობითი რიცხვითი სახელების საჩვენებლად, გარდა წინადადების დასაწყისისა (იხ. 23.1.2). სიტყვა *პროცენტი* **percent** დაწერეთ სიტყვებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მრავლად გიხდებათ პროცენტული ციფრული მონაცემების ჩვენება და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დისციპლინებისა, სადაც, როგორც წესი, უფრო მისაღებია სიმბოლო % (რიცხვის შემდეგ შუალედური ინტერვალის გარეშე). გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია *percentage* ხმარება რიცხვთან ერთად.

Scores for students who skipped summer school improved only 9 percent. The percentage of students who failed was about 2.4 times the usual rate.

Within this system, the subject scored 3.8, or 95%.

*მაგრამ არა*

The average rose 9 percentage points.

როდესაც ერთი და იმავე ტიპის პუნქტისთვის ერთსა და იმავე წინადადებაში ან პარაგრაფში იყენებთ წილობით რიცხვით სახელებსა და მთელ რიცხვებს, ორივე რიცხვების სახით წარმოადგინეთ.

The average number of children born to college graduates dropped from 2.4 to 2. კოლეჯის კურსდამთავრებულთა შორის შობადობის საშუალო რაოდენობამ იკლო 2.4-დან 2-მდე.

დასვით ნოლი 1.00-ზე ნაკლები წილობითი რიცხვითი სახელის წინ, თუ წარმოდგენილი სიდიდე შეიძლება, გაუტოლდეს ან გადააჭარბოს 1.00-ს; წინააღმდეგ შემთხვევაში გამოტოვეთ საწყისი ნოლი.

a mean of 0.73 a loss of 0.08 $p < .05$

ცალკეული წილობითი რიცხვითი სახელის შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ ნაწილების სიტყვიერად დაწერის ზოგადი წესით (იხ. 23.1.1). ნაწილების სიტყვებით დაწერისას დაწერეთ დეფისი მათ შორის. დაწერეთ ციფრებით და ნაწილებს შორის შუალედური ინტერვალის გარეშე მთელი რიცხვისგან და წილადისგან შედგენილი ერთეული.

Trade and commodity services accounted for nine-tenths of all international receipts and payments.

One year during the Dust Bowl era, the town received only 15/16 of an inch of rain.

ძირითადი საჭრელი იარაღის სიგრძე, რომელსაც საზოგადოებაში იყენებდნენ, შეადგენდა 2½ ფუტს.

## 23.1.4 ფული

**აშშ-ის ვალუტა.** თუ აშშ-ის ვალუტას მხოლოდ დროდადრო მოიხსენიებთ, იხელმძღვანელეთ ზოგადი წესით (იხ. 23.1.1) და დაწერეთ სიტყვებით *dollars* და *cents.* წინააღმდეგ შემთხვევაში, იხმარეთ რიცხვები სიმბოლოებთან $ ან □. გამოტოვეთ ათობითი წერტილი და მომდევნო ნოლები მხოლოდ დოლარებში მითითებული თანხების დაწერისას, თუ ამავდროულად არ აჩვენებთ წილად.

Rarely do they spend more than five dollars a week on recreation.

The report showed $135 collected in fines. .

After peaking at $200.00, shares of the stock plummeted to $36.75.

წარმოადგინეთ მსხვილი მრგვალი რიცხვები ციფრებისა და სიტყვების კომბინაციის სახით.

The deficit that year was $420 billion.

**სხვა ვალუტები.** გარდა შეერთებული შტატების ვალუტისა, სხვა ვალუტების დაწერისას იხელმძღვანელეთ აშშ დოლარის მოდელით. უმეტეს ვალუტებში ფულადი ერთეულის სიმბოლოები წინ უსწრებს რიცხვებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ქვეყნები ათობით წერტილს წარმოადგენენ მძიმეებით წერტილების ნაცვლად, თქვენ შეგიძლიათ, წერტილები გამოიყენოთ, გარდა უშუალოდ წყაროებიდან ამოღებული ციტატების დაწერისას.

When she returned, she had barely fifty euros in her name.

The household records show that it costs only £36.50.

Its current estimated worth is ¥377 m illion.

ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა ამჟამად იყენებს ერთიან ვალუტას, რომელსაც ეწოდება ევრო (□), მაგრამ თუ თქვენი ნაშრომი 2002

წლამდე პერიოდის თემებს ეძღვნება, შეიძლება, შეგხვდეთ ისეთი ვალუტები, როგორიცაა ფრანგული ფრანკი (F), გერმანული დოიჩე მარკა (DM) და იტალიური ლირა (Lit). ბრიტანული ვალუტა კვლავინდებურად გამოსახულია გირვანქა სტერლინგებში (£) და პენსებში (p.). თუმცა, 1971 წელს ათობით სისტემაზე გადასვლამდე, იგი გამოისახებოდა გირვანქა სტერლინგებში, შილინგებში და პენსებში (მაგალითად, £12 17s. 6d.). უნდა გავითვალისწინოთ, რომ *billion* ტრადიციულ ბრიტანულ ხმარებაში აღნიშნავს მილიონ მილიონს და არა მილიარდს; გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ნუ გამოიყენებთ სიტყვას *billion* თანხების ბრიტანულ ვალუტაში დაწერისას.

თუ არ იცნობთ რომელიმე კონკრეტული ვალუტის დაწერის წესებს, ჩაიხედეთ ავტორიტეტულ წყაროში.

### 23.1.5 დრო

დროის მონაკვეთების - საათი, ნახევარი საათი ან მეოთხედი საათი – დაწერისას მიუთითეთ დრო სიტყვიერად, ნაწილებს შორის დეფისით. საჭიროების შემთხვევაში დააკონკრეტეთ *in the morning* ან *in the evening.* შეგიძლიათ გამოიყენოთ *o'clock,* თუმცა, კვლევით ნაშრომებში ის იშვიათად გვხვდება.

The participants planned to meet every Thursday around ten-thirty in the morning.

Although scheduled to end at 11:00 a.m. , the council meeting ran until 1:37 p.m.

გამოიყენეთ *noon და midnight* (რიცხვების ნაცვლად) დღეღამის ამ კონკრეტული მონაკვეთის აღსანიშნავად.

თარიღებში სიტყვების ან რიცხვების გამოყენების შესახებ იხილეთ 23.3.

### 23.1.6 სახელები რიცხვებთან ერთად

ზოგიერთი ტიპის საკუთარი, სამთავრობო და ორგანიზაციების სახელები და სახელწოდებები შეიცავს სიტყვებით ან ციფრებით გამოსახულ რიცხვებს. იხილეთ, ასევე, 22.1 ზოგადად საკუთარი სახელების მთავრული ასოებით დაწერასთან დაკავშირებით.

- ***ლიდერები.*** ერთი და იმავე სახელის მქონე იმპერატორებს, მეფეებს ან პაპებს განასხვავებენ მთავრულით დაწერილი რომაული ციფრებით (იხ. ცხრილი 23.1).

Charles V Napoleon III Elizabeth II Benedict XVI

- ***ოჯახის წევრები.*** იდენტური სახელებისა და გვარების მამრობითი სქესის ოჯახის წევრებს ხშირად განასხვავებენ რომაული ან არაბული რიცხვითი სახელებით (იხ., ასევე, 24.2.1). უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელსა და რიცხვით სახელს შორის არ იწერება მძიმე.

Adlai E. Stevenson III Michael F. Johnson 2nd

- ***მთავრობები და ადმინისტრაციულ-ტერიტორიალიულრი დანაყოფები.*** გარკვეული დინასტიები, მთავრობები, მმართველი ორგანოები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიიალულრი და სასამართლო დანაყოფები, ასევე, სამხედრო ერთეულები, ჩვეულებრივ,ად აღინიშნება რიგითი ნომრით არსებითი სახელის წინ. რიგობითი რიცხვითი სახელით არსებითის წინ. დაწერეთ ასამდე ნომრები ნომრის აღმნიშვნელი რიცხვი სიტყვიერად და მთავრულით (თუ საჭიროა, დეფისით ნომრის ნაწილებს შორის); გამოიყენეთ ციფრები ასის ზემოთ რიცხვებისთვის.

| | |
|---|---|
| Nineteenth Dynasty | Fourteenth Congressional District |
| Fifth Republic | Forty-seventh Ward |
| Eighty-first Congress | Tenth Circuit |
| 109th Congress | 101st Airborne Division |

- ***ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები.*** დაწერეთ ნომრები სიტყვიერად და მთავრულით ეკლესიების ან რელიგიური ორგანიზაციების სახელწოდებების წინ რიგობითი რიცხვითი სახელის ფორმით (თუ საჭიროა, დეფისით ნომრის ნაწილებს შორის).

Twenty-first Church of Christ, Scientist

***საერო ორგანიზაციები.*** საძმოებისა და კავშირების ადგილობრივი განყოფილებების ნომრები დაწერეთ ციფრებით სახელების შემდეგ.

American Legion, Department of Illinois, Crispus Attucks Post no. 1268

United Auto Workers, Local 890

### 23.1.7 მისამართები და მაგისტრალები

იხელმძღვანელეთ ზოგადი წესით (იხ. 23.1.1) ადგილობრივი დანომრილი ქუჩების დასაწერად. შტატის, ფედერალური და შტატებსშორისი მაგისტრალები ყოველთვის აღინიშნება ნომრებით, ისევე, როგორც

ქუჩების ან შენობების მისამართები, ტელეფონის და ფაქსის ნომრები. აღსანიშნავია, რომ ტექსტში სრული მისამართის ელემენტები გამოყოფილია მძიმეებით, მაგრამ მძიმე არ იწერება საფოსტო ინდექსის წინ. მისამართებში მიღებული აბრევიატურების შესახებ იხილეთ 24.3.2.

The National Park Service maintains as a museum the house where Lincoln died (516 10th Street NW, Washington, DC 20004; 202-426-6924).

Ludwig Mies van der Rohe designed the apartments at 860-880 North Lake Shore Drive.

Interstate 95 as a critical transportation line from Boston to Miami.

#### 23.1.8 გამოქვეყნებული ნამუშევრების ნაწილები

ნომრები გამოქვეყნებული ნამუშევრების ნაწილებში მოცემულია არაბულ რიცხვებში, მიუხედავად ზოგადი წესისა (იხ. 23.1.1) და ნაშრომის სხვადასხვა ადგილებში მათი მოხსენიებისა. იხ., ასევე, 22.3.2.

chapter 14 part 2 act 1, scene 3

#### 23.1.9 განტოლებები და ფორმულები

რიცხვები განტოლებებსა და ფორმულებში ყოველთვის მოცემულია ციფრებით, მიუხედავად ზოგადი წესისა (23.1.1). დეტალური სახელმძღვანელო მითითებები მათემატიკური გამოსახულებების წარმოდგენის შესახებ იხილეთ „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს“ 2003 წლის მე-15 გამოცემის მე-14 თავში.

### 23.2 რიცხვების მრავლობითი ფორმა და პუნქტუაცია

#### 23.2.1 რიცხვები მრავლობითში

სიტყვიერად დაწერილი რიცხვების მრავლობითი აწარმოეთ ისევე, როგორც სხვა არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვი (იხ. 20.1).

Half the men surveyed were in their thirties or forties.

ციფრებით წარმოდგენილი რიცხვების მრავლობითი იწარმოება მხოლოდ s-ის (და არა ‘s-ის) დამატებით.

The pattern changed in the late 1990s as more taxpayers submitted 1040s online.

To fly 767s, the pilots required special training.

### 23.2.2 მძიმეები რიცხვებში

ოთხ ან ოთხზე მეტნიშნა რიცხვთა უმრავლესობაში გამოყავით მძიმეებით ათასები, ასობით ათასები, მილიონები და ა.შ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დისციპლინებში ოთხნიშნა რიცხვებში მძიმეები ხშირად გამოტოვებულია.

1,500 12,275,500 1,475,525,000

ნუ იხმართ მძიმეს ოთხნიშნა წლებში; იხმარეთ მძიმე ხუთ ან ხუთზე მეტ ნიშნიან წლებში (იხილეთ ასევე 23.3).

2007 10,000 BC

ნუ იხმართ მძიმეს ოთხნიშნა გვერდების ნომრებში, ქუჩების მისამართებში, ტელეფონის ან ფაქსის ნომრებში, საფოსტო ინდექსებში, ერთზე ნაკლებ წილობით რიცხვით სახელებში ან ორგანიზაციების სახელებში.

page 1012 0.1911 centimetres Committee of 1000

### 23.2.3 სხვა პუნქტუაცია რიცხვებში

რიცხვები ზოგჯერ შეიცავს შიდა სასვენ ნიშნებს. სად იხმაროთ წერტილები (ათობითი რიცხვები decimals), იხილეთ 23.1.3 და 23.1.4; ორი წერტილი – 23.1.5; დეფისი – 23.1.1 და 23.1.3; ტირეები – 23.2.4.

### 23.2.4 ჩათვლითი რიცხვები

რიცხვების დიაპაზონის, მაგალითად, გვერდების ან წლების, საჩვენებლად მიუთითეთ თანმიმდევრობის პირველი და ბოლო (ან ჩათვლითი) რიცხვები. თუ ციფრები სიტყვიერად წერია, ბოლოსართებით *from* და *to* აღნიშნეთ დიაპაზონი; თუ რიცხვები მოცემულია ციფრებით, გამოიყენეთ ეს სიტყვები ან მაერთებელი დეფისი ორივე მხრიდან ინტერვალის გარეშე. ზოგიერთ კონსტრუქციაში, მაგალითად, მითითებებში, ყოველთვის იხმარეთ დეფისები (იხ. თავები 16-19). ნუ გამოიყენებთ ერთად სიტყვებს და დეფისებს ჩათვლითი რიცხვების წარმოსადგენად.

from 45 to 50 მაგრამ არა from 45-50

45-50 მაგრამ არა forty-five-fifty

ასი ან ასზე მეტი მნიშვნელობის ჩათვლითი რიცხვებისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ სრული ციფრები დეფისის ორივე მხარეს (245-280 ან 1929-

1994) ან შეამოკლოთ მეორე რიცხვი. 23.2 ცხრილში წარმოდგენილია შემოკლების ერთ-ერთი სისტემა.

ეს სისტემა მოსახერხებელია როგორც გვერდების ნუმერაციისთვის, ასევე, წლების აღნიშვნისთვის. მძიმეები იხმარება მხოლოდ ხუთნიშნა რიცხვებთან, რაც ძალზე იშვიათად ხდება (იხ. 23.2.2). თუ რიცხვი შეიცავს ერთ ან მეტ მძიმეს, საჭიროებისას, მეტი თვალსაჩინოებისთვის გაიმეორეთ რიცხვი მძიმის მარჯვნივ. ნურასდროს შეამოკლებთ რომაულ ციფრებს (იხ. ცხრილი 23.1).

6,000-6,018 12,473-479 xxv-xxviii

წლების შემთხვევაში უჩვენეთ იმ დიაპაზონის ყველა ციფრი, რომელიც შეიცავს ერთზე მეტ საუკუნეს. მიუთითეთ, ასევე, სრული თარიღები სისტემაში, რომელშიც თარიღების დათვლა ხდება კონკრეტული წერტილიდან უკანა მიმართულებით (ანუ ჩ, "ბეფორე ჩჰრისტ" და ჩ , "ბეფორე ტჰე ცომმონ ერა"ჩვ.წ.აღ-მდე – ჩვენს წელთაღრიცხვამდე). სხვა შემთხვევებში ისარგებლეთ სისტემით, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში 23.2. იხილეთ 23.3 თარიღების სისტემებზე მეტი ინფორმაციის მისაღებად.

the years 1933-36 15,000-14,000 BCE

the winter of 1999-2000 115 BC-10 AD

**ცხრილი 23.2 ინკლუზიური რიცხვების აბრევიაციის სისტემა**

| პირველი რიცხვი | მეორე რიცხვი | მაგალითები |
|---|---|---|
| 1-99 | დაწერეთ ყველა ციფრი | 3-10, 71-72, 96-117 |
| 100 ან 100-ის ჯერადები | დაწერეთ ყველა ციფრი | 100-104, 1100-1113 |
| 101-დან 109-მდე, 201-დან 209-მდე და ა.შ. | დაწერეთ მხოლოდ შეცვლილი ნაწილი | 101-8, 1103-4 |
| 110-დან 199-მდე, 210-დან 299-მდე და ა.შ. | დაწერეთ ორი ან ორზე მეტი ციფრი, საჭიროების მიხედვით | 245-48, 498-532, 1929-94 |
| | *მაგრამ* თუ ოთხნიშნა რიცხვში იცვლება სამი ციფრი, დაწერეთ ოთხივე ციფრი | 1894-1986, 2787-2816 |

## 23.3 თარიღთა სისტემები

ტექსტში თარიღების წარმოდგენა მოიცავს 23.1 და 23.2-ში მოყვანილი პრობლემების მსგავს მრავალ პრობლემას, ისევე, როგორც ელემენტთა თანმიმდევრობასთან და დასახელებასთან დაკავშირებულ გარკვეულ წესებს.

### 23.3.1 თვე, დღე და წელი

დაწერეთ სიტყვებით თვეების სახელები, როდესაც ისინი ჩნდება ტექსტში – ცალკე ან თარიღების შემადგენლობაში. წარმოადგინეთ დღეები და წლები რიცხვებით და თავი აარიდეთ მათ გამოყენებას წინადადების დასაწყისში, სადაც საჭირო იქნება მათი სიტყვიერად დაწერა (იხ. 23.1.2). ნურასდროს შეამოკლებთ წლების მითითებებს (“the great flood of ‘05”). ცხრილების, სურათების და მითითებების მიღებული აბრევიატურების შესახებ იხილეთ 24.4.2.

Every September, we recall the events of 2001.

*მაგრამ არა*

Two thousand one was a memorable year.

იმისათვის, რომ სრულად მიუთითოთ თარიღები, დაწერეთ თვე, დღე (მომდევნო მძიმით) და წელი, აშშ-ში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად. თუ გამოტოვებთ დღეს, გამოტოვეთ მძიმეც. გამოტოვეთ, ასევე, მძიმე თარიღებში, რომლებშიც თვეების ნაცვლად მითითებულია წელიწადის დროები; ნუ დაწერთ მთავრულით წელიწადის დროებს (იხ. 22.1.2). თუ მასალა, რომელიც ციტატად მოგყავთ, იყენებს ბრიტანული სტილის თარიღების აღნიშვნას (15 March 2007), ნუ შეიტანთ მათში ცვლილებებს.

President John F. Kennedy was assassinated on November 22, 1963.

By March 1865, the war was nearly over.

The research was conducted over several weeks in spring 2006.

უნდა აღინიშნოს, რომ სრული თარიღების აღნიშვნებში დღეები, ზოგადად, არ არის წარმოდგენილი რიგითი რიცხვების სახით – ანუ რიცხვით სახელებს არ ერთვის/მოსდევს *st, nd, rd* ან *th.* გამოიყენეთ ეს

დაბოლოებები მხოლოდ სიტყვიერად დაწერილ რიცხვებთან ერთად, იმ შემთხვევაში, როცა მიუთითებთ რომელიმე გარკვეულ თარიღს და არ ასახელებთ არც თვეს, არც წელს.

The date chosen for the raid was the twenty-ninth.

*მაგრამ არა*

The events occurred on June 11th, 1968.

### 23.3.2 ათწლეულები, საუკუნეები და ეპოქები

ზოგადად მიუთითეთ ათწლეულები რიცხვებით, საუკუნის ჩათვლით (იხილეთ 23.2.1 რიცხვებისთვის მრავლობითში). თუ საუკუნე გასაგებია, ნუ შეამოკლებთ რიცხვებს (მაგალითად, “the ‘90s”); ამის ნაცვლად, ათწლეულის სახელი დაწერეთ სიტყვებით. ნებისმიერი საუკუნის პირველი ორი ათწლეული არ ექვემდებარება არცერთ სტილს და სიცხადისთვის სრულად უნდა იქნეს მითითებული.

The 1920s brought unheralded financial prosperity.

During the fifties, the Cold War dominated the headlines.

Many of these discoveries were announced during the first decade of the twenty-first century.

ამ აღმოჩენების უმრავლესობის შესახებ გამოცხადდა ოცდამეერთე საუკუნის პირველ დეკადაში.

დაწერეთ საუკუნეები რიცხვებით ან სიტყვიერად, ნუსხურით (იხილეთ 23.2.1 რიცხვებისთვის მრავლობითში). თუ საუკუნე დაწერილია სიტყვიერად და გამოიყენება ზედსართავ სახელად, რომელიც წინ უსწრებს მის მიერ განსაზღვრულ არსებით სახელს, როგორც მეორე მაგალითშია ნაჩვენები, გამოიყენეთ დეფისი; სხვა შემთხვევებში დეფისს ნუ დაწერთ.

The Ottoman Empire reached its apex in the 1600s.

She teaches nineteenth-century novels but would rather teach poetry from the twentieth century.

იგი ასწავლის მეცხრამეტე საუკუნის რომანებს, თუმცა, ერჩივნა, ესწავლებინა მეოცე საუკუნის პოეზია.

ეპოქების ყველაზე გავრცელებულ აღნიშვნებში გამოყენებულია აბრევიატურები BC (“before Christ”) და AD (*anno Domini*). ზოგ დისციპლინებში იყენებენ სხვა აღნიშვნებს, როგორიცაა BCE და CE (იხილეთ 24.4.3). AD წინ უსწრებს წელს; სხვა აღნიშვნები მოსდევს წელს. ეპოქებთან ჩათვლითი რიცხვების გამოყენების შესახებ იხილეთ 23.2.4.

Solomon’s Temple was destroyed by the Babylonians in 586 BC and again by the Romans in AD 70.

## 23.4 ტექსტის გარეთ გამოყენებული რიცხვები

წინა ნაწილებში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები ნაშრომის ტექსტში რიცხვების წარსადგენად. იმ რიცხვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება საკუთრივ ნაშრომის სტრუქტურაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, იხელმძღვანელეთ ნაშრომის შესაბამისი ნაწილებისთვის და დანაყოფებისთვის განკუთვნილი სპეციალური სახელმძღვანელო მითითებებით.

### 23.4.1 რიცხვები ცხრილებში, სურათებში და მითითებებში

ცხრილებში და სურათებზე განთავსებული ციფრობრივი მონაცემები თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია არაბული ციფრებით. რიცხვები ცხრილებში, მათ შორის, ცხრილების სათაურებში განხილულია 26.2-ში; რიცხვები სურათებზე, მათ შორის, სურათების სათაურებში – 26.3-ში.

გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, ტომების, გამოცემების, გვერდების ნომრებისა და სხვა მდებარეობის მაჩვენებელი მითითებისთვის გამოიყენება არაბული ციფრები. ბიბლიოგრაფიის სტილის მითითებებში გამოყენებული რიცხვები განხილულია 16.1.5-ში და მე-17 თავში; მითითებების ჩამონათვლის სტილით რიცხვების მითითება განხილულია 18.1.5-ში და მე-19 თავში.

### 23.4.2 ჩამონათვლები

ტექსტში, დანართში ან ნაშრომთან დაკავშირებულ სხვა მასალებში განხილული საკითხების ჩამოსათვლელად შეგიძლიათ, გამოიყენოთ რიცხვები.

**ჩამონათვლები.** თქვენი ტექსტი შეიძლება, შეიცავდეს იმ საკითხების სიებს, რომელთა ჩამოთვლაც ხაზგასმის მიზნით გსურთ. როდესაც ასეთი სიები მოკლე და მარტივია, ჩართეთ ისინი ერთ წინადადებაში. საჭიროა უზრუნველყოთ ყველა კომპონენტის გრამატიკული პარალელურობა (ყველა სახელობითი ჯგუფის ზედსართავი სახელების და ა.შ.). ყოველ კომპონენტს წინ უნდა უძღვოდეს არაბული რიცხვი ფრჩხილებში. ორზე მეტი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, ყოველ მათგანს უნდა მოსდევდეს მძიმე (ან, თუ კომპონენტი სტრუქტურულად რთულია, წერტილ-მძიმე; იხ. 21.3). თუ სია ტექსტში შემოდის დასრულებული წინადადების შემდეგ, იხმარეთ ორი წერტილი ამ წინადადების ბოლოს; სხვა შემთხვევებში ნუ იხმართ სასვენ ნიშანს.

Wilson’s secretary gave three reasons for his resignation: (1) advancing age, (2) gradually failing eyesight, and (3) opposition to the war.

The committee strongly endorsed the policies of (1) complete executive power, except as constitutionally limited; (2) strong ligislative prerogatives; (3) limited judicial authority, especially when it interfered with their own role.

თუ სხვა მიზნებისთვის უკვე იყენებთ არაბულ რიცხვებს ფრჩხილებში, ციფრების ნაცვლად დაწერეთ ასოები, ნუსხურად, დახრილი შრიფტით.

Haskin’s latest theory has several drawbacks; (*a*) it is not based on current evidence and (*b*) it has a weak theoretical grounding.

თუ სიაში ჩამოთვლილი კომპონენტები გრძელია ან გსურთ, მათთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება, დააწყვეთ ისინი ვერტიკალური სიის სახით. სიას წინ გაუძღვება სრული წინადადება, ბოლოში ორი წერტილით. აქაც საჭიროა უზრუნველყოთ, რომ ყველა კომპონენტი იყოს გრამატიკულად პარალელური. ყოველი მათგანი დაიწყეთ მსხვილი წერტილით ან არაბული რიცხვით, რომელსაც მოსდევს წერტილი ფრჩხილების გარეშე. თუ კომპონენტები სრული წინადადებებია, დაწერეთ მთავრულით ყოველი წინადადების პირველი ასო და დასვით დამაბოლოებელი წერტილები; სხვა შემთხვევებში იხმარეთ ნუსხური ასოები წერტილების გარეშე (იხ. 21.1).

დაალაგეთ ერთ მწკრივში რიცხვები წერტილებით, ინტერვალი და პირველი სტრიქონის პირველი სიტყვა.

My research therefore suggests the following conclusions:

1. The painting could not have been a genuine Picasso, regardless of the claims of earlier scholars.

2. It is impossible to identify the true artist without further technical analysis.

**ტექსტური დოკუმენტის სქემა.** ზოგ სიტუაციაში შეგიძლიათ, დაურთოთ სქემა ან მსგავსი ჩამონათვალი თქვენი ნაშრომის დანართში ან ნაშრომის მომზადების დაგეგმვის ეტაპზე (იხ. 6.2.1). ისარგებლეთ აღნიშვნის იმ სისტემით, რომელიც შეიცავს ასოებს და რომაულ და არაბულ რიცხვებს, გადაწიეთ მარჯვნივ ყოველი დონე ტაბულაციის ერთი კლავიშით (ჩვეულებრივ, ნახევარი ინჩით). საჭიროა, ყოველ დონეზე მინიმუმ ორი კომპონენტი ჩამოთვალოთ; ორი ან მეტი კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში, გადახედეთ სქემის სტრუქტურას. თუ კომპონენტები ფრაზებია, დაწერეთ მთავრულით წინადადების სტილში (იხ. 22.3.1) და ნუ გამოიყენებთ დამაბოლოებელ სასვენ ნიშანს. თუ ისინი სრული წინადადებებია, დაწერეთ მთავრულით და დაუსვით სასვენი ნიშნები, როგორც ნებისმიერ სხვა წინადადებაში (იხ. მაგალითისთვის 6.2.1).

I. Wars of the nineteenth century

  A. United States

    1. Civil War, 1861-65

      a) Cause

        (1) Slavery

          (a) Compromise

            i) Missouri Compromise

            ii) Compromise of 1850 . . .

      b) Result

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

II. Wars of the twentieth century

A. United States

1. First World War . . .

2.

### 23.4.3 ნაშრომის სტრუქტურა

თქვენი ნაშრომი მოითხოვს რიცხვების გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში, გვერდების, თავების და სათაურების დანომვრისას. დანართში იხილეთ ნაშრომის სტრუქტურაში რიცხვების გამოყენების დეტალური განხილვა.

## 24. აბრევიატურები

**24.1 ზოგადი პრინციპები**

**24.1.1 აბრევიატურების ტიპები**

**24.1.2 როდის გამოვიყენოთ აბრევიატურები**

**24.1.3 როგორ დავაფორმატოთ აბრევიატურები**

**24.2 სახელები და სახელწოდებები, ტიტულები**

**24.2.1 საკუთარი სახელები**

**24.2.2 პროფესიული ტიტულები, წოდებები**

**24.2.3 სამეცნიერო ხარისხები**

**24.2.4 სააგენტოები, კომპანიები და სხვა ორგანიზაციები**

**24.3 გეოგრაფიული ტერმინები**

**24.3.1 გეოგრაფიული სახელები**

**24.3.2 მისამართები**

**24.4 დრო და თარიღები**

**24.4.1 დრო**

**24.4.2 დღეები და თვეები**

**24.4.3 ეპოქები**

**24.5 ზომის ერთეულები**

**24.6 ბიბლია და მისი წიგნები**

**24.6.1 ძველი აღთქმა**

**24.6.2 არაკანონიკური ტექსტები**

**24.6.3 ახალი აღთქმა**

**24.6.4 ბიბლიის ვერსიები**

**24.6.5 სხვა წმინდა წიგნები**

**24.7 აბრევიატურები მითითებებში და სხვა სამეცნიერო კონტექსტში**

წინამდებარე თავში შემოთავაზებულია აბრევიატურების გამოყენების ზოგადი წესები. თავის დროზე აბრევიატურები ოფიციალურ დოკუმენტებში გამოიყენებოდა მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებულ

შემთხვევაში, ახლა კი ისინი გართოდ გამოიყენება წერისას. მიუხედავად ამისა, მათი გამოყენებისას კონკრეტული დისციპლინების წესებს უნდა მისდიოთ. ამ თავში წარმოდგენილი წესები შეესაბამება უმეტეს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებაში მიღებულ წესებს. თუ ამზადებთ ნაშრომს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დისციპლინებში (natural sciences), ფიზიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში, გეოლოგიაში (physical sciences), მათემატიკაში ან ნებისმიერ სხვა ტექნიკურ დარგში, დაიცავით ამა თუ იმ დისციპლინის წესები.

ზოგ დისციპლინაში შეიძლება, დაგჭირდეთ ისეთი აბრევიატურების გამოყენება, რომლებიც აქ არ განიხილება. „მერიამ-ვებსტერის საერთო საუნივერსიტეტო ლექსიკონში" მოცემულია მრავალი აბრევიატურა მრავალი დარგიდან. კიდევ ერთ რესურსს წარმოადგენს „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს" 2003 წლის მე-15 გამოცემის მე-15 თავი. სახელმძღვანელო მითითებები სხვადასხვა დისციპლინაში მიღებულ სტილთან დაკავშირებით იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

თუ მუშაობთ სადიპლომო ნაშრომზე ან დისერტაციაზე, თქვენს განყოფილებას (ფაკულტეტს, კათედრას) ან უნივერსიტეტს შეიძლება, ჰქონდეს აბრევიატურების გამოყენების სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც, როგორც წესი, მოიპოვება სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების განყოფილებაში. თუ ამზადებთ საკლასო ნაშრომს, თქვენმა პედაგოგმა შეიძლება, მოგთხოვოთ გარკვეული პრინციპების დაცვა აბრევიატურების გამოყენების დროს. განიხილეთ ეს მოთხოვნები მანამ, ვიდრე მოამზადებთ თქვენს ნაშრომს. ისინი ამ თავში შემოთავაზებულ სახელმძღვანელო მითითებებზე უპირატესია.

## 24.1 ზოგადი პრინციპები

### 24.1.1 აბრევიატურების ტიპები

ტერმინების შემოკლება შესაძლებელია რამდენიმე გზით. როდესაც ტერმინი მოკლდება ყოველი სიტყვის მხოლოდ პირველ ასოებამდე და წარმოითქმება, როგორც ერთი სიტყვა (NATO, AIDS) და მას აკრონიმს უწოდებენ; თუ ასოები წარმოითქმება, როგორც ასოების რიგი (EU, PBS),

ამ სიტყვებს ეწოდება აბრევიატურა. სხვა ტერმინები მცირედება შემოკლების წესით: რჩება მხოლოდ ტერმინის პირველი და ბოლო ასოები (Mr., Dr.) ანვარდება ბოლო ასოები (ed., Tues.). წინამდებარე თავში ყველა ეს ფორმა განხილულია ზოგადი ტერმინის *აბრევიატურის* სათაურით, აბრევიატურების ტიპებს შორის ზემოხსენებული განსხვავებების გათვალისწინებით.

### 24.1.2 როდის გამოვიყენოთ აბრევიატურები

უმეტეს ნაშრომებში მცირე რაოდენობით გამოიყენეთ შემოკლებები, ვინაიდან მათ გამო ტექსტი შეიძლება, ზედმეტად არაფორმალური ან ზედმეტად სპეციფიკური გამოჩნდეს. წინამდებარე თავში განხილულია შემოკლებების ის ტიპები, რომელთა გამოყენებაც სჯობს სრული, გავრცობილი ტერმინის გამოყენებას, ასევე, ისეთი შემოკლებები, რომლებიც, თუ თანმიმდევრულად გამოიყენება, მისაღებია სამეცნიერო ნაშრომებში.

თუ თქვენი ადგილობრივი სახელმძღვანელო მითითებებით ეს დაშვებულია, შეგიძლიათ, შემოკლებები გამოიყენოთ სახელების, ტიტულებისა და სხვა ტერმინებისთვის, რომლებსაც ხშირად ხმარობთ თქვენს ნაშრომებში. პირველად მოხსენიებისას სრულად მიუთითეთ ტერმინი და დაურთეთ შემოკლება ფრჩხილებში. შემდგომ მითითებებში თანმიმდევრულად გამოიყენეთ ეს შემოკლება. მრავალი შემოკლების გამოყენებისას, შესაძლოა, უპრიანი იყოს ნაშრომის სატიტულო ელემენტებში შემოკლებების სიის დართვა, რათა დაეხმაროთ იმ მკითხველებს, რომლებსაც, შესაძლოა, გამორჩათ შემოკლების პირველი განმარტება (იხ. A.2.1).

შემოკლებები საკმაოდ გავრცელებული ფორმაა და ხშირად გამოიყენება ნაშრომის ტექსტის გარეთაც. წინამდებარე თავში განიხილება ზოგი ისეთი შემოკლება, რომლებიც, შესაძლოა, გამოიყენებოდეს ცხრილებში, სურათებსა და მითითებებში. ცხრილებსა და სურათებში გამოყენებული შემოკლებები დამატებით განიხილება 26-ე თავში; შემოკლებები სქოლიოს

სტილის მიხედვით იხილეთ _ 16.1.6-ში და მე-17 თავში; შემოკლებები ტექსტური მითითების სტილში იხილეთ – 18.1.6-ში და მე-19 თავში.

### 24.1.3 როგორ დავაფორმატოთ აბრევიატურები

მიუხედავად იმისა, რომ შემოკლებები ემორჩილება წინამდებარე თავში განხილულ ზოგად წესებს, არსებობს მრავალი გამონაკლისი.

- ***მთავრული ასოების გამოყენება.*** შემოკლებების ყველა ასო იწერება მთავრულით, ნუსხურით ან მათი კომბინაციით.

| | | |
|---|---|---|
| BC | p. | Gov. |
| CEO | a.m. | Dist. Atty. |
| U.S. | kg | PhD |

- ***პუნქტუაცია.*** ზოგადად, მთავრულით წარმოდგენილი ყველა აბრევიატურა არ შეიცავს წერტილებს, მაშინ, როდესაც ნუსხურით ან მთავრული და ნუსხური ასოების კომბინაციით დაწერილ აბრევიატურებს აქვს წერტილი ყოველი შემოკლებული ელემენტის შემდგომ. ამასთან, როგორც ზემოთ მოცემულ მაგალითებში ხედავთ, არის გამონაკლისებიც: აბრევიატურა ა.შ.შ. U.S. შეიცავს წერტილებს (იხ. 24.3.1); მეტრული საზომი ერთეულები (იხ. 24.5) მოცემულია ნუსხურში წერტილების გარეშე და აბრევიატურას PhD არ აქვს წერტილები. სხვა გამონაკლისები მოხსენიებულია ამ თავის სხვა ნაწილებში.

- ***ინტერვალები.*** ზოგადად, ნუ დატოვებთ ინტერვალს ასოებს შორის აკრონიმებში (NATO) და აბრევიატურებში (PBS), თუმცა, საჭიროა ელემენტებს შორის ინტერვალის დატოვება იმ აბრევიატურებში, რომლებიც შემოკლების შედეგად არის წარმოებული (Dist. Atty.). თუ აბრევიატურა შეიცავს ამპერსანდს (&), ნუ დატოვებთ ინტერვალებს მის გარშემო (Texas A&M). საკუთარ სახელებში ინტერვალების დასმის შესახებ იხილეთ 24.2.1.

- ***ტიპოგრაფიული მონიშვნა.*** ნუ დაწერთ აბრევიატურებს დახრილი შრიფტით.

- ***განუსაზღვრელი არტიკლები.*** როდესაც აბრევიატურა მოსდევს განუსაზღვრელ არტიკლს, აირჩიეთ არტიკლები *a* და *an*, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იკითხება აბრევიატურა. აკრონიმები ნატო,

შიდსი (NATO, AIDS) წარმოითქმება, როგორც სიტყვები; აკრონიმები (initialisms) (EU) იკითხება, როგორც ასოების რიგები.

| | |
|---|---|
| member nation of NATO | a NATO member |
| person with AIDS | an AIDS patient |
| member nation of the EU | an EU member |

## 24.2 სახელები და სახელწოდებები, ტიტულები

### 24.2.1 საკუთარი სახელები

ზოგადად, პირველად ნუ შეამოკლებთ პიროვნების სახელს (Benj. Franklin) ან გვარს. მას შემდეგ, რაც ტექსტში მიუთითებთ სახელსა და გვარს, შემდგომში მოხსენიებისას დაწერეთ მხოლოდ მისი გვარი. ამასთან, თუ მოიხსენიებთ ამ გვარის მატარებელ ერთზე მეტ პიროვნებას, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ყოველი მოხსენიებისას, გვართან ერთად დაწერეთ მათი სახელებიც (Alice James, William James). თუ ხშირად მოიხსენიებთ ამ სახელებს ნაშრომში, სანაცვლოდ შეგიძლიათ, გამოიყენოთ თქვენს მიერ შერჩეული აბრევიატურები (AJ, WJ), თუმცა, ამ აბრევიატურების დაწერისას აუცილებლად გაითვალისწინეთ 24.1.2-ში აღწერილი შემთხვევები.

ზოგი პიროვნება ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, ინიციალებით ნაცვლად სახელისა და/ან მეორე სახელისა. ამ ინიციალებს უნდა მოსდევდეს წერტილი და ინტერვალი. ამასთან, თუ ამოკლებთ სახელსა და გვარს, გამოტოვეთ წერტილები და ინტერვალები.

| | | |
|---|---|---|
| G. K. Chesterton | *but* | JFK |
| M. F. K. Fisher | *but* | FDR |

სოციალური ტიტულები, მაგალითად, *Ms.* და *Mr.*, ყოველთვის იწერება შემოკლებით, მთავრულით და მოსდევს წერტილი. თუმცა, ნაშრომების

უმეტესობაში აუცილებელი არ არის მათი გამოყენება, თუ ეს, სავარაუდოდ, არ იწვევს გაურკვევლობას, ვთქვათ, ქმრის ან ცოლის მოხსენიებისას.

დაწერეთ შემდეგი აბრევიატურების *Sr., Jr., III* (ან *3rd*), *IV* (ან *4th*) მსგავსი აბრევიატურები მათ წინ მძიმის გარეშე. დაწერეთ ისინი მხოლოდ სახელისა და გვარის შემდეგ და არა მხოლოდ გვართან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მეფეები და რელიგიური მოღვაწეები შეიძლება, ცნობილი იყვნენ მხოლოდ სახელით. ნუ დაწერთ სიტყვებით ტერმინს, როდესაც ის სახელის ნაწილია (მაგალითად, დაუშვებელია *John Smith Junior*).

Oliver Wendell Holmes Jr.     William J. Kaufmann III     Mary II

### 24.2.2 პროფესიული ტიტულები, წოდებები

ზოგ პიროვნებას სახელის გარდა, აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი სამოქალაქო, სამხედრო ან რელიგიური ტიტული. ბევრი ეს ტიტული ტრადიციულად შემოკლებულია, როდესაც ისინი წინ უსწრებს სახელს და მათ ნაწილად არის მიჩნეული. ვინაიდან ყველა ეს აბრევიატურა ოფიციალური (საკუთარი) ტიტულის შემოკლებული ფორმაა, მთავრულით იწერება მხოლოდ პირველი ასო, ბოლოში წერტილის დართვით.

| | | | |
|---|---|---|---|
| Adm. | Admiral | Lt. | Leutenant |
| Ald. | Alderman, Alderwoman | Lt. Col. | Lieutenant Colonel |
| Atty. Gen. | Attorney General | Maj. | Major |
| Capt. | Captain | Pres. | President |
| Col. | Colonel | Rep. | Representative |
| Dist. Atty. | District Attorney | Rev. | Reverend |
| Dr. | Doctor | Sen. | Senator |

| | | | |
|---|---|---|---|
| Fr. | Father | Sgt. | Sergeant |
| Gen. | General | Sr. | Sister |
| Gov. | Governor | St. | Saint |
| Hon. | Honorable | | |

ტიტულის მატარებელი პიროვნების პირველად მოხსენიებისას დაწერეთ აბრევიატურა პიროვნების სახელითა და გვარით. (თქვენი სურვილისამებრ ყოველთვის შეგიძლიათ ტიტულების სიტყვებით დაწერა, მაგრამ გააკეთეთ ეს თანმიმდევრულად). შემდგომი მოხსენიების დროს შეგიძლიათ, როგორც წესი, მიუთითოთ მხოლოდ პიროვნების გვარი, მაგრამ თუ თქვენთვის საჭიროა ტიტულის გამეორება (რათა განასხვავოთ ერთნაირი სახელის მქონე ორი ადამიანი ან გამოხატოთ პატივისცემა), მიუთითეთ ტიტული სიტყვებით გვართან ერთად. იხმარეთ სიტყვები *reverend* ან *honorable* მხოლოდ სახელთან და გვართან ერთად, რა შემთხვევაშიც ტიტულს წინ უნდა უსწრებდეს არტიკლი *the.*

| | |
|---|---|
| Sen. Barack Obama | Senator Obama |
| Gen. Richard Myers | General Myers |
| Rev. Jane Schaefer | the Reverend Jane Schaefer |

თუ იყენებთ ერთ-ერთ ტიტულს დამოუკიდებლად ან სახელის შემდეგ, ის იქცევა საერთო ტერმინად და იწერება ნუსხურით, სიტყვიერად.

| | |
|---|---|
| the senator from Illinois | Myers served as a general |

ზოგადი მოდელის გამონაკლისს წარმოადგენს შემოკლება Dr. გამოიყენეთ ან აბრევიატურა *Dr.* სახელის წინ ან ხარისხის აღმნიშვნელი ოფიციალური აბრევიატურა (იხ. 24.2.3), სახელის შემდეგ ორი მძიმით გამოყოფილი, ნუ გამოიყენებთ ორივეს ერთად.

Dr. Lauren Shapiro discovered the cause of the outbreak.

დოქტორ შაპირომ აღმოაჩინა ეპიდემიის აფეთქების მიზეზი.

Lauren Shapiro, MD, discovered . . .

ლორენ შაპირომ, მედიცინის დოქტორმა, აღმოაჩინა . . .

Dr. Shapiro discovered . . . დოქტორმა შაპირომ აღმოაჩინა . . .

The doctor discovered . . . ექიმმა აღმოაჩინა . . .

დამატებით წარმოგიდგენთ რამდენიმე სხვა პროფესიულ ტიტულს, რომელთა შემოკლებაც შესაძლებელია პირადი სახელის შემდეგ. ასეთი ტიტულები გამოიყოფა მძიმეებით, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში.

JP justice of the peace

LPN licensed practical nurse

MP member of Parliament

SJ Society of Jesus

### 24.2.3 სამეცნიერო ხარისხები

ქვემოთ ჩამოთვლილი საერთო სამეცნიერო ტერმინების აბრევიატურების გამოყენება შეგიძლიათ როგორც ტექსტში, ასევე სხვაგანაც. ზოგი მათგანი არის აბრევიატურა (იხ. 24.1.1), დაწერილი მთავრულით, წერტილების ან ინტერვალების გარეშე. სხვები შეიცავს როგორც ინიციალებს, ისე შემოკლებულ ტერმინებს და, შესაბამისად, როგორც მთავრულ, ისე, ნუსხურ ასოებს, ჩვეულებრივად, წერტილების ან ინტერვალების გარეშე. თუმცა, თუ მუშაობთ თეზისზე ან დისერტაციაზე, თქვენი ფაკულტეტის (კათედრის) სახელმძღვანელო მითითებით შეიძლება, მოითხოვება ამ ხარისხების (და შესაძლოა, ასევე, აბრევიატურების) დაფორმატება შიდა წერტილებით, როგორც ეს მითითებულია ფრჩხილებში.

| | |
|---|---|
| AB | Artium Baccalaureus (Bachelor of Arts) |
| AM | Artium Magister (Master of Arts) |
| BA | Bachelor of Arts |
| BD | Bachelor of Divinity |
| BFA | Bachelor of Fine Arts |
| BM | Bachelor of Music |
| BS | Bachelor of Science |
| DB | Divinitatis Baccalaureus (Bachelor of Divinity) |
| DD | Divinitatis Doctor (Doctor of Divinity) |

| | |
|---|---|
| DMin (D.Min.) | Doctor of Ministry |
| EdD | Doctor of Education |
| JD | Juris Doctor (Doctor of Law) |
| LHD | Litterarum Humaniorum Doctor (Doctor of Humanities) |
| LittD (Litt.D.) | Litterarum Doctor (Doctor of Letters) |
| LLB (LL.B.) | Legum Baccalaureus (Bachelor of Laws) |
| LLD (LL.D.) | Legum Doctor (Doctor of Laws) |
| MA | Master of Arts |
| MBA | Master of Business Administration |
| MD | Medicinae Doctor (Doctor of Medicine) |
| MFA | Master of Fine Arts |
| MS | Master of Science |
| PhB (Ph.B.) | Philosophiae Baccalaureus (Bachelor of Philosophy) |
| PhD (Ph.D.) | Philosophiae Doctor (Doctor of Philosophy) |
| SB | Scientiae Baccalaureus (Bachelor of Science) |
| SM | Scientiae Magister (Master of Science) |
| STB | Sacrae Theologiae Baccalaureus (Bachelor of Sacred Theology) |

### 24.2.4 სააგენტოები, კომპანიები და სხვა ორგანიზაციები

შეგიძლიათ, გამოიყენოთ აბრევიატურები როგორც ტექსტში, ასევე, სხვაგან, იმ სამთავრობო სააგენტოების, სამაუწყებლო კომპანიების, ასოციაციების, საძმო და მომსახურების ორგანიზაციების, კავშირების და სხვა ჯგუფების სახელების და დასახელებების შემთხვევაში, რომლებიც აკრონიმებით ან აბრევიატურებით საყოველთაოდ ცნობილია (იხ. 24.1.1). თავდაპირველი მოხსენიებისას დაწერეთ სიტყვებით სრული სახელწოდება და ფრჩხილებში მიუთითეთ მისი აბრევიატურა (იხ. 24.1.2). მსგავსი აბრევიატურები იწერება მხოლოდ მთავრული ასოებით, წერტილების

გარეშე. იხილეთ ქვემოთ ასეთი აბრევიატურების წარმომადგენლობითი ჩამონათვალი; ამ კატეგორიებში შემავალი სხვა სახელები და სახელწოდებები (მაგალითად, ABA, CBS და NEH) იმავე ჭრილში განიხილება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| AAAS | CNN | NAFTA | TVA | YMCA |
| AFL-CIO | EU | NFL | UN | |
| AMA | FTC | NIMH | UNESCO | |
| AT&T | HMO | NSF | VA | |
| COC | NAACP | OPEC | WHO | |

თუ კომპანიის აბრევიატურა არ არის საყოველთაოდ ცნობილი, დაწერეთ ტექსტში მისი სახელი სრულად და მთავრულით. შეგიძლიათ, სახელიდან ამოიღოთ ტერმინები *Inc.* ან *Ltd.* ნუ დაწერთ მთავრულით არტიკლს *the* სახელის დასაწყისში.

| | |
|---|---|
| Merck and Company | the University of Chicago Press |

ცხრილებში, სურათებზე და მითითებებში შეგიძლიათ, ასევე, დაწეროთ ქვემოთ ჩამოთვლილი აბრევიატურები კომპანიის სახელებში. მიაქციეთ ყურადღება განსხვავებებს მთავრულის დასმასა და პუნქტუაციაში.

| | |
|---|---|
| Assoc. | Ltd. |
| Bros. | Mfg. |
| Co. | PLC (public limited company) |
| Corp. | RR (railroad) |
| Inc. | Ry. (railway) |
| LP (limited partnership) | |

## 24.3 გეოგრაფიული ტერმინები

### 24.3.1 გეოგრაფიული სახელები

ტექსტში ყოველთვის დაწერეთ სიტყვებით და მთავრულით ქვეყნების, შტატების, ოლქების, პროვინციების, ტერიტორიების, წყლების, მთების და სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელები (იხ. 22.1.1). ერთი გამონაკლისია ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ზოგადად მოხსენიებული, როგორც *the former USSR.*

ყოველთვის სიტყვებით დაწერეთ *United States* მისი არსებითი სახელის ფუნქციით გამოყენებისას. ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოყენებისას შეგიძლიათ, ან შეამოკლოთ ის, როგორც *U.S.*, ან დაწეროთ სიტყვებით (მეტი ფორმალობისთვის). ტრადიციისამებრ, ის შეიცავს წერტილებს, მიუხედავად იმისა, რომ აკრონიმია.

She was ineligible for the presidency because she was not born in the United States.

His U.S. citizenship was revoked later that year.

ცხრილებში, სურათებზე, მითითებებში და საფოსტო მისამართებში შეამოკლეთ აშშ-ის შტატების სახელები აშშ-ის საფოსტო სამსახურის მიერ შემოღებული ორი ასოსგან შემდგარი უწერტილო საფოსტო კოდების გამოყენებით.

| | | | |
|---|---|---|---|
| AK | Alaska | DE | Delaware |
| AL | Alabama | FL | Florida |
| AR | Arkansas | GA | Georgia |
| AZ | Arizona | HI | Hawaii |
| CA | California | IA | Iowa |
| CO | Colorado | ID | Idaho |
| CT | Connecticut | IL | Illinois |
| DC | District of Columbia | IN | Indiana |
| KS | Kansas | NY | New York |
| KY | Kentucky | OH | Ohio |
| LA | Louisiana | OK | Oklahoma |
| MA | Massachusetts | OR | Oregon |
| MD | Maryland | PA | Pennsylvania |
| ME | Maine | RI | Rhode Island |
| MI | Michigan | SC | South Carolina |
| MN | Minnesota | SD | South Dakota |
| MO | Missouri | TN | Tennessee |
| MS | Mississippi | TX | Texas |
| MT | Montana | UT | Utah |
| NC | North Carolina | VA | Virginia |

| | | | |
|---|---|---|---|
| ND | North Dakota | VT | Vermont |
| NE | Nebraska | WA | Washington |
| NH | New Hampshire | WI | Wisconsin |
| NJ | New Jersey | WV | West Virginia |
| NM | New Mexico | WY | Wyoming |
| NV | Nevada | | |

შეგიძლიათ, ასევე, შეამოკლოთ კანადის პროვინციებისა და ტერიტორიების სახელები და გამოიყენოთ მიღებული აბრევიატურები:

| | | | |
|---|---|---|---|
| AB | Alberta | NU | Nunavut |
| BC | British Columbia | ON | Ontario |
| MB | Manitoba | PE | Prince Edward Island |
| NB | New Brunswick | QC | Quebec |
| NL | Newfoundland and Labrador | SK | Saskatchewan |
| NS | Nova Scotia | YT | Yukon |
| NT | Northwest Territories | | |

### 24.3.2 მისამართები

ტექსტში დაწერეთ სიტყვებით და მთავრულით ტერმინები, რომლებიც მისამართების ნაწილია, მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი და მათი მსგავსი ტერმინები (მაგალითად, სიტყვის *street* სხვა სინონიმები). ცხრილებში, სურათებზე, მითითებებში და საფოსტო მისამართებში გამოიყენეთ აბრევიატურები. აღსანიშნავია, რომ ყველა აბრევიატურა იყენებს წერტილებს, გარდა აკრონიმებისა (*Northeast* და მისი მსგავსი ტერმინები). იხილეთ 23.1.7, სადაც მოცემულია ტექსტში ჩართული მისამართის მაგალითი.

| | | | |
|---|---|---|---|
| Ave. | Avenue | Sr. | Street |
| Blvd. | Boulevard | N. | North |
| Ct. | Court | S. | South |
| Dr. | Drive | E. | East |
| Expy. | Expressway | W. | West |
| Pkwy. | Parkway | NE | Northeast |

| | | | |
|---|---|---|---|
| Rd. | Road | NW | Northwest |
| Sq. | Square | SE | Southeast |
| | | SW | Southwest |

თუ ცალკე იყენებთ ერთ-ერთ ამ ტერმინს, იგი იქცევა საერთო ტერმინად და იწერება ნუსხურით და სიტყვებით.

He drove down the street.

The storm came in from the west.

## 24.4 დრო და თარიღები

### 24.4.1 დრო

შეგიძლიათ, ტექსტში და სხვაგან გამოიყენოთ აბრევიატურები *a.m.* (*ante meridiem* ან before noon) და *p.m.* (*post meridiem* ან after noon) კონკრეტული დროის აღსანიშნავად. აბრევიატურა იწერება ნუსხურით, სწორი შრიფტით, შუალედური ინტერვალის გარეშე. ნუ დაწერთ მათ სიტყვებთან *in the morning, in the evening* ან *o'clock* ერთად; იხილეთ, ასევე, 23.1.5.

### 24.4.2 დღეები და თვეები

ტექსტში სიტყვებით და მთავრულით დაწერეთ კვირის დღეებისა და თვეების სახელები; იხილეთ, ასევე, 23.3.1. ცხრილებში, სურათებზე და მითითებებში შეიძლება მათი შემოკლება, თუ ამას თანმიმდევრულად გააკეთებთ. დაწერეთ წერტილები აბრევიატურებთან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Sun. | Wed. | Sat. | Jan. | Apr. | July | Oct. |
| Mon. | Thur. | | Feb. | May | Aug. | Nov. |
| Tues. | Fri. | | Mar. | June | Sept. | Dec. |

### 24.4.3 ეპოქები

არსებობს ეპოქების აღნიშვნის სხვადასხვა სისტემა და ყველა მათგანში ციფრებით დაწერილ თარიღებთან გამოიყენება აბრევიატურა. ყველაზე გავრცელებული სისტემა იყენებს ტერმინებს *BC* და *AD*, თუმცა, ზოგ დისციპლინებში მიღებულია სხვანაირი აღნიშვნები, როგორიცაა ქვემოთ ჩამოთვლილი აღნიშვნები. თქვენს ნაშრომში ყველგან გამოიყენეთ შესაბამისი აბრევიატურები; ჩასვით ყველა ასო მთავრულში, წერტილების

გარეშე. *AD* წინ უსწრებს წელს; სხვა აღნიშვნები მოსდევს მას (იხ., ასევე, 23.2.4 და 23.3.2).

| | |
|---|---|
| BC | before Christ |
| და | |
| AD | *anno Domini* (in the year of the Lord) |
| BCE | before the common era |
| და | |
| CE | common era |
| BP | before the present |
| MYA (ან mya) | million years ago |

## 24.5 საზომი ერთეულები

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში საზომი ერთეულების მანძილის, მოცულობის, სიმაღლის და ა.შ. ჩაწერა აუცილებელია. რიცხვების ჩაწერა უნდა განახორციელოთ 23.1.1 ძირითადი წესების შესაბამისად.

ხუთი მილი 150 კილოგრამი 14.5 მეტრი

ზუსტ მეცნიერებებში გამოიყენეთ რიცხვებში მოცემული საზომები. (თქვენ შესაძლოა გამოიყენოთ აბრევიატურა სხვა დისციპლინებში ადგილობრივად დადგენილი წესების შეასაბამისად.) დატოვეთ ადგილი რიცხვსა და განზომილებას შორის გარდა შემდეგისა ($36^{o}$ ; 512K), ასევე გახსოვდეთ, რომ აბრევიატურა იგივეა როგორც მხოლობითში ასევე მრავლობითში. სიტყვიერად ჩაწერეთ განზომილება თუ არ იწყება რიცხვით ან როდესაც რიცხვი სიტყვიერადაა ჩაწერილი. (ასევე წინადადების დაწყებისას; ნახეთ 23.1.1).

ინექციით შევუშვით ვირუსის 10მლ იმპლანტის ახლოს.

შედეგები მოცემულია მიკროლიტრებში.

თორმეტი მიკროლიტრი ვირუსისა მიჩნეულ იქნა როგორც უსაფრთხო რაოდენობა.

საზომი ერთეულების აბრევიატურის ცხრილი იხილეთ 15.55 ჩიკაგოს სტილის მე-15 გამოცემა (2003)

## 24.6 ბიბლია და მისი წიგნები

როდესაც მოიხსენიებთ ტექსტში ბიბლიის მთლიან თავებს ან წიგნებს, ან არაკანონიკურ ტექსტებს, დაწერეთ წიგნების სათაურები სიტყვებით, მაგრამ ნუ გამოიყენებთ დახრილ შრიფტს.

Jeremiah 42-44 records the flight of the Jews to Egypt. The Revelation of St. John the Divine, known as “Revelation,” closes the New Testament.

ბიბლიის ციტირებისას მუხლების მიხედვით (იხ. 17.5.2 და 19.5.2), დაწერეთ შემოკლებით წიგნების სახელები და მათი დანომვრისას, გამოიყენეთ არაბული ციფრები (1 მეფეები). გამოიყენეთ, ასევე, არაბული ციფრები თავების და მუხლების ნომრებისთვის, მათ შორის, ორი წერტილის დასმით. ვინაიდან წმინდა წერილის სხვადასხვა ვერსია იყენებს სხვადასხვა სახელს და ნომერს, მიუთითეთ ვერსია, რომლიდანაც მოგყავთ ციტატა. კონტექსტიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, ვერსიის სახელწოდება სიტყვებით დაწეროთ, თავდაპირველად მაინც, ან გამოიყენოთ აბრევიატურები (იხ.თ 24.6.4), წინმსწრები ან შიდა პუნქტუაციის გარეშე.

1 Song of Sol. 2:1-5 NRSV Ruth 3:14 NAB

2:1-5 NRSV 3:14 NAB

შემდეგ ნაწილებში ანბანის მიხედვით არის ჩამოთვლილი ბიბლიის წიგნების როგორც ტრადიციული, ასევე, უფრო მოკლე აბრევიატურები. თუ არ ხართ დარწმუნებული, აბრევიატურის რომელი ფორმაა შესაფერისი, შეეკითხეთ თქვენს პედაგოგს. სადაც არ არის მოცემული აბრევიატურები, დაწერეთ სრული ფორმა.

### 24.6.1 ძველი აღთქმა

გაითვალისწინეთ, რომ ძველი აღთქმის (Old Testament) აბრევიატურაა OT.

| *ტრადიციული აბრევიატურა* | *უფრო მოკლე აბრევიატურა* | *სრული სახელწოდება* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| Amos | Am | Amos |
| 1 Chron. | 1 Chr | 1 Chronicles |
| 2 Chron. | 2 Chr | 2 Chronicles |
| Dan. | Dn | Daniel |
| Deut. | Dt | Deuteronomy |
| Eccles. | Eccl | Ecclesiastes |
| Esther | Est | Esther |
| Exod. | Ex | Exodus |
| Ezek. | Ez | Ezekiel |
| Ezra | Ezr | Ezra |
| Gen. | Gn | Genesis |
| Hab. | Hb | Habakkuk |
| Hag. | Hg | Haggai |
| Hosea | Hos | Hosea |
| Isa. | Is | Isaiah |
| Jer. | Jer | Jeremiah |
| Job | Jb | Job |
| Joel | Jl | Joel |
| Jon. | Jon | Jonah |
| Josh. | Jo | Joshua |
| Judg. | Jgs | Judges |
| 1 Kings | 1 Kgs | 1 Kings |
| 2 Kings | 2 Kgs | 2 Kings |
| Lam. | Lam | Lamentations |
| Lev. | Lv | Leviticus |
| Mal. | Mal | Malachi |
| Mic. | Mi | Micah |
| Nah. | Na | Nahum |
| Neh. | Neh | Nehemiah |
| Num. | Nm | Numbers |
| Obad. | Ob | Obadiah |
| Prov. | Prv | Proverbs |
| Ps. (plural, Pss.) | Ps (plural, Pss) | Psalms |
| Ruth | Ru | Ruth |
| 1 Sam. | 1 Sm | 1 Samuel |
| 2 Sam. | 2 Sm | 2 Samuel |

| | | |
|---|---|---|
| Song of Sol. | Sg | Song of Solomon (Song of Songs) |
| Zech. | Zec | Zechariah |
| Zeph. | Zep | Zephaniah |

### 24.6.2 არაკანონიკური ტექსტები apocrypha

არაკანონიკური ტექსტების (Apocrypha) წიგნები შესულია ბიბლიის კათოლიკურ, თუმცა, არა ებრაულ ან პროტესტანტულ, ვერსიებში. უნდა გაითვალისწინოთ, რომ Apocrypha-ს ტრადიციული აბრევიატურაა Apoc. (არ არსებობს უფრო მოკლე აბრევიატურა).

| *ტრადიციული აბრევიატურა* | *უფრო მოკლე აბრევიატურა* | *სრული სახელწოდება* |
|---|---|---|
| Bar. | Bar | Baruch |
| Bel and Dragon | - | Bel and the Dragon |
| Ecclus. | Sir | Ecclesiasticus (Sirach) |
| 1 Esd. | - | 1 Esdras |
| 2 Esd. | - | 2 Esdras |
| Jth. | Jdt | Judith |
| 1 Macc. | 1 Mc | 1 Maccabees |
| 2 Macc. | 2 Mc | 2 Maccabees |
| Pr. of Man. | - | Prayer of Manasses (Manasseh) |
| Song of Three Children | - | Song of the Three Holy Children |
| Sus. | - | Susanna |
| Tob. | Tb | Tobit |
| Wisd. of Sol. | Ws | Wisdom of Solomon |
| - | - | Additions to Esther (Rest of Esther) |

### 24.6.3 ახალი აღთქმა

გაითვალისწინეთ, რომ ახალი აღთქმის (New Testament) აბრევიატურაა NT.

| *ტრადიციული აბრევიატურა* | *უფრო მოკლე აბრევიატურა* | *სრული სახელწოდება* |
|---|---|---|
| Acts | - | Acts of the Apostles |
| Apoc. | - | Apocalypse (Revelation) |
| Col. | Col | Colossians |

| | | |
|---|---|---|
| 1 Cor. | 1 Cor | 1 Corinthians |
| 2 Cor. | 2 Cor | 2 Corinthians |
| Eph. | Eph | Ephesians |
| Gal. | Gal | Galatians |
| Heb. | Heb | Hebrews |
| James | Jas | James |
| John | Jn | John (Gospel) |
| 1 John | 1 Jn | 1 John (Epistle) |
| 2 John | 2 Jn | 2 John (Epistle) |
| 3 John | 3 Jn | 3 John (Epistle) |
| Jude | - | Jude |
| Luke | Lk | Luke |
| Mark | Mk | Mark |
| Matt. | Mt | Matthew |
| 1 Pet. | 1 Pt | 1 Peter |
| 2 Pet. | 2 Pt | 2 Peter |
| Phil. | Phil | Philippians |
| Philem. | Phlm | Philemon |
| Rev. | Rv | Revelation (Apocalypse) |
| Rom. | Rom | Romans |
| 1 Thess. | 1 Thes | 1 Thessalonians |
| 2 Thess. | 2 Thes | 2 Thessalonians |
| 1 Tim. | 1 Tm | 1 Timothy |
| 2 Tim. | 2 Tm | 2 Timothy |
| Titus | Ti | Titus |

### 24.6.4 ბიბლიის ვერსიები

ქვემოთ მოცემული აბრევიატურები მოიცავს ბიბლიის მრავალ სტანდარტულ ვერსიას. თუ ვერსია, რომელსაც თქვენ მიუთითებთ, არ არის წარმოდგენილი ამ სიაში, მიმართეთ თქვენს პედაგოგს.

ARV American Revised Version

ASV American Standard Version

AT American Translation

AV Authorized (King James) Version

CEV Contemporary English Version

DV	Douay Version

ERV	English Revised Version

EV	English version(s)

JB	Jerusalem Bible

NAB	New American Bible

NEB	New English Bible

NRSV New Revised Standard Version

RSV Revised Standard Version

RV	Revised Version

Vulg.	Vulgate

**24.6.5 სხვა წმინდა წიგნები**

სხვა მრავალი რელიგიური წმინდა წიგნი დაყოფილია ბიბლიის მსგავს ნაწილებად. საკუთრივ წიგნების სათაურები დაწერეთ მთავრულით და სწორი შრიფტით (Qur'an, Vedas), მაგრამ დაწერეთ დახრილი შრიფტით მათი ნაწილების სათაურები (*ალ ბაქარა, რიგ-ვედა al-Baqarah, Rig-Veda*). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამ წიგნებისა და მათი ნაწილების შემოკლების საყოველთაოდ მიღებული მეთოდი, შეგიძლიათ, ბიბლიის მითითებების პუნქტუაციის მსგავსი სასვენი ნიშნები გამოიყენოთ მათი მითითებებისას (იხ. ასევე 17.5.2 და 19.5.2). თუ წიგნს აქვს მრავალჯერადი დანომრილი დანაყოფები, შეგიძლიათ, შეანაცვლოთ ორი წერტილი წერტილებით ან მძიმეებით ან სხვაგვარად მიუთითოთ ნაწყვეტის ადგილმდებარეობა.

Qur'an 2:257 *ან* Qur'an 2 (al-Baqarah): 257

Mahabharata 1.2.3

თუ თქვენი ნაშრომი ეძღვნება რელიგიური თემების გამოკვლევას, მიმართეთ თქვენს პედაგოგს უფრო კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებების მისაღებად.

## 24.7 აბრევიატურები მითითებებში და სხვა სამეცნიერო კონტექსტში

მითითებებში აბრევიატურებს ფართოდ იყენებენ და უპირატესობასაც ანიჭებენ, განსაკუთრებით სხვა (გარდა ავტორისა) ინდივიდების როლის

(ed. რედ., trans. მთარგმნ.), ნაშრომის ნაწილების (vol. ტ., bk. წიგ., sec. ნაწ.) განსაზღვრისა და ინფორმაციის ადგილმდებარეობის მოსაძიებლად (გვ. p., შენ. n.). თუმცა, ტექსტში და ზოგ მითითებებში საჭიროა აბრევიატურების ნაცვლად სიტყვების სრულად გამოყენება. სქოლიოს სტილში აბრევიატურების გამოყენების წესები იხილეთ 16.1.6-ში და მე-17 თავში; ტექსტობრივი მითითების სტილში აბრევიატურების გამოყენების წესები იხილეთ 18.1.6-ში და მე-19 თავში.

ზოგ დისციპლინაში დასაშვებია ნაშრომის ტექსტში, ფრჩხილებში ჩასმულ წინადადებებში სამეცნიერო აბრევიატურების გამოყენება: *მაგ. ე.ი. e.g.* და *i.e.* გაეცანით თქვენი დისციპლინის წესებს აბრევიატურების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულია მითითებებში და სხვა სამეცნიერო კონტექსტში გამოყენებული ყველაზე გავრცელებული აბრევიატურების ჩამონათვალი. აბრევიატურების უმრავლესობას მრავლობით რიცხვში დაურთეთ დაბოლოება *s* ან *es,* გარდა გამონაკლისებისა. ნუ დაწერთ დახრილი შრიფტით ლათინური ტერმინების აბრევიატურებს. თუ არ ხართ დარწმუნებული ამა თუ იმ აბრევიატურის სათანადო გამოყენებაში, მიმართეთ ავტორიტეტულ წყაროს.

| | |
|---|---|
| abbr. | abbreviated, abbreviation |
| abr. | abridged, abridgment |
| anon. | anonymous |
| app. | appendix |
| assn. | association |
| b. | born |
| bib. | Bible, biblical |
| bibliog. | bibliography, bibliographer |
| biog. | biography, biographer |
| bk. | book |
| ca. | *circa*, about, approximately |
| cap. | capital, capitalize |
| CD | compact disk |
| cf. | *confer*, compare |

| | |
|---|---|
| chap. | chapter |
| col. | column |
| comp. | compiler, compiled by |
| cont. | continued |
| d. | died |
| dept. | department |
| dect. | dictionary |
| diss. | dissertation |
| div. | division |
| DOI | digital object identifier |
| DVD | digital versatile (or video) disc |
| ed. | editor, edition, edited by |
| e.g. | *exempli gratia,* for example |
| esp. | especially |
| et al. | *et alii* or *et alia,* and others |
| etc. | *et cetera,* and so forth |
| ex. | example |
| fig. | figure |
| ff. | and following |
| fol. | folio |
| ftp | file transfer protocol |
| http | hypertext transfer protocol |
| ibid. | *ibidem,* in the same place |
| id. | *idem,* the same |
| i.e. | *id est,* that is |
| intl. | international |
| intro. | introduction |
| l. (*pp*. ll.) | line |
| loc. cit. | *loco citato,* in the place cited |
| misc. | miscellaneous |
| MS (*მრ*. MSS) | manuscript |
| n (*მრ*. nn) | note |
| natl. | national |
| n.b. ან NB | *nota bene,* take careful note |
| n.d. | no date |
| no. | number |

| | |
|---|---|
| n.p. | no place; no publisher; no page |
| NS | New Style (dates) |
| n.s. | new series |
| op.cit. | *opera citato*, in the work cited |
| org. | organization |
| OS | Old Style (dates) |
| o.s. | old series |
| p. (*pl.* pp.) | page |
| par. | paragraph |
| pl. | plate; plural |
| PS | *postscriptum*, postscript |
| pseud. | pseudonym |
| pt. | part |
| pub. | publication, publisher, published by |
| q.v. | *quod vide*, which see |
| r. | *recto*, right |
| repr. | reprint |
| rev. | revised, revised by, revision; review, reviewed by |
| ROM | read-only memory |
| sec. | section |
| ser. | series |
| sing. | singular |
| soc. | society |
| sup. | *supra*, above |
| supp. | supplement |
| s.v. (*pl.* s.vv.) | *sub verbo, sub voce*, under the word |
| syn. | synonym, synonymous |
| trans. | translated by, translator |
| univ. | university |
| URL | uniform resource locator |
| usu. | usually |
| v. (*pl.* vv.) | verse; *verso*, right |
| viz. | *videlicet*, namely |
| vol. | volume |
| vs. or v. | versus (in legal contexts, use *v.* |

25. ციტირებები

25.1 ზუსტი ციტირება და პლაგიატის თავიდან აცილება

25.2 ციტატების ჩართვა ტექსტში

25.2.1 წინადადებაში ჩართული ციტატები

25.2.2 ბლოკური ციტატები

25.3 ციტატების გარდაქმნა

25.3.1 დასაშვები ცვლილებები

25.3.2 გამოტოვებული ადგილები

წინამდებარე თავი გთავაზობთ ციტატების წარმოდგენის ზოგად წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს მაგალითი წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, წესები, ასევე, ვრცელდება უცხოენოვან ციტატებზე (იხილეთ, ასევე, 22.2.1).

თქვენს ნაშრომში სხვა ავტორების ნამუშევრების ჩართვის ერთ-ერთი ვარიანტთაგანიაუშუალოდ წყაროებიდან ციტირება; ალტერნატიული ვარიანტებისა და მათი გამოყენების წესების შესახებ იხილეთ 7.4.ნებისმიერი ვარიანტის არჩევისას უნდა მიუთითოთ სიტყვებისა და იდეების წყარო. მე-15 თავში მოცემულია შესავალი ციტატების გამოყენების შესახებ, ხოლო მომდევნო თავებში განხილულია ციტირების ორი გავრცელებული სტილი (მე-16 და მე-17 თავები, სქოლიოში მითითების სტილი; მე-18 და მე-19 თავები – ტექსტური მითითების სტილი).

თუ მუშაობთ თეზისზე ან დისერტაციაზე, თქვენს ფაკულტეტს ან უნივერსიტეტს შეიძლება, ციტატების წარდგენის სპეციფიკური წესები ჰქონდეს, რომლებიც, როგორც წესი, სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების ოფისშიმოიპოვება. თუ მუშაობთ საკურსო ნაშრომზე, თქვენმა პედაგოგმა შესაძლოა, ასევე, მოგთხოვოთ ციტირების გარკვეული პრინციპების დაცვა.გაერკვიეთ ამ მოთხოვნებში ნაშრომის მომზადებამდე. ისინი წინამდებარე თავში შემოთავაზებულ სახელმძღვანელო მითითებებზე უპირატესია. მითითებები სხვადასხვა დისციპლინაში გამოყენებული ციტირების სტილის შესახებ იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

თუ დისერტაციას გარე სადისერტაციო საცავში გზავნით, გარკვეული ტიპის ციტატების გამოსაყენებლად შესაძლოა, დაგჭირდეთ ოფიციალური ნებართვის აღება საავტორო უფლების მფლობელებისგან. იხილეთ „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს" 2003 წლის მე-15 გამოცემის მე-4 თავი.

## 25.1 ზუსტი ციტირება და პლაგიატის თავიდან აცილება

სამეცნიერო პროექტშიზუსტ ციტირებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ თქვენ უნდა:

- გამოიყენოთ ყველაზე სანდო ხელმისაწვდომი გამოცემა
- გადაწეროთ სიტყვები ზუსტად ისევე, როგორც ორიგინალშია ან გარდაქმნათ ციტატა, მხოლოდ ისე, როგორც ეს მითითებულია 25.3-ში
- ზუსტად მიუთითოთ წყარო თქვენს ბიბლიოგრაფიაში (იხ. მე-16 და მე-18 თავები), რათა მკითხველებმა შეძლონ მათი მოძიება.

სამეცნიერო ეთიკა, ასევე, მოითხოვს, რომ ყოველთვის, როდესაც სიტყვები, ცხრილები, გრაფიკები ან მონაცემები მოგყავთ წყაროდან ციტატად, საჭიროა, მითითების შესაფერისი სტილის გამოყენებით (იხ. მე-15 თავი) მკაფიოდ აღნიშნოთ, რა ისესხეთ და საიდან ისესხეთ. თუ ასე არ მოიქცევით, შეიძლება, პლაგიატშიდაგადანაშაულონ. თუმცა, მაშინაც კი, როცა ზუსტად მიუთითებთ წყაროს, პლაგიატში დადანაშულების რისკის ქვეშმაინც ჩაიგდებთ თავს, თუ წყაროსზუსტ სიტყვებსგამოიყენებთ, მაგრამ არ მიუთითებთ მათ, როგორც ციტატას 25.2-ში აღწერილი ერთ-ერთი გზით. პლაგიატის უფრო ვრცელი განხილვა მოცემულია 7.9-ში.

## 25.2 ციტატების ჩართვა ტექსტში

ციტატის ტექსტში ჩართვა, მისი სიდიდიდან გამომდინარე,ორიდან ერთ-ერთი გზითშეგიძლიათ, თუ ციტატა ოთხი ან ნაკლები სტრიქონისგან შედგება, მოათავსეთ იგი თქვენს ტექსტში და ჩასვით ბრჭყალებში. თუ იგი ხუთი ან ხუთზე მეტი სტრიქონისგან შედგება, გამოყავით როგორც

ბლოკური ციტატა, ბრჭყალების გარეშე. შენიშვნებში და სქოლიოებში ციტატების მოყვანისას იხელმძღვანელეთ იგივე პრინციპებით (იხ. 16:3.5). შეგიძლიათ, გამოიყენოთ ბლოკური ციტატა ხუთ სტრიქონზე პატარა ციტატის შემთხვევაშიც, თუ გსურთ მისი გამოყოფა ან მისი შედარება უფრო დიდ ციტატასთან.

### 25.2.1 წინადადებაში ჩართული ციტატები

ხუთ სტრიქონზე ნაკლები ნაწყვეტის ციტირებისას ჩასვით ზუსტად ციტირებული სიტყვები ორმაგ ბრჭყალებში. ტექსტში ციტატის ჩასმის რამდენიმე საშუალება არსებობს (იხილეთ 7.5.). შეგიძლიათ ციტატის შემოყვანა ავტორის სახელთან ერთად, რომელსაც მოსდევს ტერმინი, მაგალითად, *აღნიშნავს, აცხადებს, ამტკიცებსან თანახმად*(მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს ტერმინები, ჩვეულებრივ, აწმყოშია და არა წარსულში: *აღნიშნავდა, მოითხოვდა* და ა.შ., მაგრამ ზოგი დისციპლინა განსხვავებული წესებითხელმძღვანელობს). ამ შემთხვევაში დასვით მძიმე ციტატის წინ.

რიკოერი წერს, „არც ისე ადვილია ინტრიგასა და დავას შორის ზღვარის გავლება."

როგორც რიკოერი აღნიშნავს„„არც ისე ადვილია ზღვარის გავლება ინტრიგასა და დავას შორის".

თუ ციტატის შუაში სვამთ კუთვნილების აღმნიშვნელ ფრაზას, გამოყავით ის მძიმეებით.

„არც ისეთი ადვილია", რიკოერის თქმით, „ზღვარის გავლებაინტრიგასა და დავას შორის".

ციტატაში მძიმეების, წერტილების და სხვა სასვენი ნიშნების გამოყენების შესახებ იხილეთ 21.11.2 და 25.3.1; ციტატაში მთავრული ასოების გამოყენების შესახებ იხილეთ 25.3.1.

**ციტატების განლაგება.** თუ შენიშვნაში ან სქოლიოშიმიუთითებთ ციტირების წყაროს, მაშინ ის, თუ სად დაურთავთ ზედა ინდექსის ნომერს (იხ. 16.3.2), დამოკიდებულია წინადადების შიგნითციტატის ადგილზე. თუ

ციტატა წინადადების ბოლოშია, დაურთეთ ნომერი ჩამკეტი ბრჭყალის შემდეგ.

ლიტვაკის თქმით, „ათობით ახალგათავისუფლებული მონისთვის ეს მოძრაობა მათი ემანსიპაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო“.[4]

თუ ციტატა მთავრდება წინადადების შუაში, დასვით ნომერი იმ (დამოკიდებული ან დამოუკიდებელი) წინადადებისბოლოს, რომელიც შეიცავს ციტატას და რომელიც ხშირად წინადადების დასასრულია.

„ათობით ახალგათავისუფლებული მონისთვის ეს მოძრაობა მათი ემანსიპაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო“, ლიტვაკის თქმით. [4]

ლიტვაკი ამტკიცებს, რომ „ათობით ახალგათავისუფლებული მონისთვის ეს მოძრაობა მათი ემანსიპაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო“[4] და შემდეგ ამ მოსაზრებას ასაბუთებს.

განლაგების იგივე ვარიანტები ვრცელდება ციტატებზე, რომლებიც მოცემულია სქოლიოში მითითების (16.4.3) ან ტექსტური მითითების სტილის მუხლებთან ერთად (იხ. 18.3.1), მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: თუ წერტილი ან მძიმე, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს ჩამკეტ ბრჭყალს, ამ შემთხვევაში დასვით იგი ციტატის გარეთ, ჩამკეტი ფრჩხილის შემდეგ.

მწერლები ცდილობენ, გაიგონ, „როგორ ყოფენ ადამიანები კატეგორიებად იმ ობიექტებს, რომლებსაც ყოველდღიურ სიტუაციებში ხვდებიან“ (ბოუკერი და სტარი 1999, 59).

იმისათვის, რომ დაედგინათ, „როგორ ყოფენ ადამიანები კატეგორიებად იმ ობიექტებს, რომლებსაც ყოველდღიურ სიტუაციებში ხვდებიან“ (ბოუკერი და სტარი 1999, 59), მწერლებმა კვლევა ჩაატარეს.

იმის გაგება, თუ„როგორ ყოფენ ადამიანები კატეგორიებად იმ ობიექტებს, რომლებსაც ყოველდღიურ სიტუაციებში ხვდებიან“, მთავარია ბოუკერისა და სტარისთვის (1999, 59).

**სპეციალური პუნქტუაცია.** ერთ ციტატაში მეორე ციტატის მოქცევისას ციტირებული სიტყვების შიდა რიგისთვის გამოიყენეთ ერთმაგი ბრჭყალები.

როთკოს, ბოლის მტკიცებით, „სურდა შეექმნა ნახატები, რომელთაც სულიერი პრობლემების გადაჭრის უნარი ექნებოდა: 'სურათები სასწაულს უნდა სჩადიოდნენ', განაცხადა მან ერთხელ."

თუ ტექსტში ორ ან ორზე მეტ პოეტურ სტრიქონს ჩასვამთ, გამოყავით ისინი დახრილი ხაზით (/) წინმსწრები და მომდევნო ინტერვალებით. თუმცა, პოეზიისთვის, უმეტეს შემთხვევებში, გამოიყენეთ ბლოკური ციტატები.

მათ ცხოვრება ერთ მარტივ აზრამდე დაჰყავთ: „ყველაფერი მშვიდად არის და მწიფდება საფლავისკენ მიმავალ გზაზე; / ჩუმად, მწიფდება, ეცემა და კვდება."

### 25.2.2ბლოკური ციტატები

**პროზა.** წარმოადგინეთ ხუთი ან ხუთზე მეტი სტრიქონის მქონე პროზაული ციტატა ბლოკური ციტატის სახით. ციტატა შეიყვანეთ ტექსტში თქვენივე სიტყვებით; იხ. 7.5. თუ ციტატა შემოგყავთ სრული წინადადების ფორმით, დააბოლოეთ წინადადება ორი წერტილით.თუ იყენებთ მხოლოდ წყაროს მოსახსენიებელ ფრაზას, მაგალითად, *აღნიშნავს, მოითხოვს, ამტკიცებს, მიხედვით,* ავტორის სახელთან ერთად, დაასრულეთ ფრაზა მძიმით. თუკი ციტატას თქვენი წინადადების სინტაქსში რთავთ, ნუ გამოიყენებთ პუნქტუაციას ციტატის წინ, თუ ასეთ სიტუაციაში, ჩვეულებრივ, არ იწერება სასვენი ნიშნები (იხილეთ მეორე მაგალითი ქვემოთ).

ბლოკურ ციტატაში სტრიქონებს შორის ერთი ინტერვალია. გამოტოვეთ ერთი სტრიქონი ციტატის წინ და ციტატის შემდეგ. ნუ დაწერთ ბრჭყალებს დასაწყისში და ბოლოში, მაგრამ დატოვეთ ხელუხლებელი ორიგინალში არსებული ნებისმიერი ბრჭყალები. შეწიეთ

მარჯვნივ მთლიანი ციტატა იმდენად, რამდენადაც შეწევდით აბზაცის პირველ სტრიქონს. (ლიტერატურის შემსწავლელ და სხვა დარგებში, სადაც ტექსტების საგულდაგულო ანალიზიტარდება, თუ ორიგინალის ტექსტი შეწეულია მარჯვნივ, უნდა შეწიოთ მარჯვნივ ბლოკური ციტატის პირველი სტრიქონი უფრო ღრმად, ვიდრე დანარჩენი ციტატა; იხილეთ, ასევე, 25.3.) დამატებითი ინფორმაცია ციტატაში სასვენი ნიშნებისა და მთავრული ასოების გამოყენების შესახებ იხილეთ 25.3.1-ში.

ჯეკსონი იწყებს კერის მნიშვნელობის აღნიშვნით:

> საცხოვრებელი სახლი ადამიანის შინაგანი ბუნების გამოხატულებაა; ვერცერთ საზოგადოებას ვერ გავუგებთ ბოლომდე მის წევრთა საცხოვრებელი სახლების გარეშე. მეცხრამეტე საუკუნის მელოდიაში ისმის სიტყვები: „არაფერი შეედრება კერას“ და, თუმცა, მის ფეხქვეშ გართხმული იყო ზურმუხტის ქალაქი, დოროთის ვერ წარმოედგინა კანზასში მშობლიური სახლის გარდა სადმე სხვაგან ყოფნა, ჩვენი სახლები გვიცავს სამყაროსგან.[1]

შესავალის ბოლო ნაწილში იგი განიხილავს . . .

თუ ციტატაში მოგყავთ ერთზე მეტი აბზაცი, ნუ დაურთავთ დამატებით სტრიქონებს აბზაცებს შორის და შეწიეთ მარჯვნივ მეორე და მომდევნო აბზაცების პირველი სტრიქონი - უფრო ღრმად, ვიდრე დანარჩენი ციტატა.

მან აღნიშნა, რომ

> მთავრობებს, ჩვეულებრივ, ღუპავს მათი უსუსურობა ან ტირანია. პირველ შემთხვევაში ძალაუფლება ხელიდან უსხლტებათ; მეორე შემთხვევაში კი მას ძალით გლეჯენ ხელიდან.
>
> ბევრმა ადამიანმა, რომელმაც ნახა, როგორ მოიცვა ანარქიამ დემოკრატიული ქვეყნები, ჩათვალა, რომ იმ ქვეყნებში მთავრობა სუსტი და უსუსური იყო. სინამდვილეში კი საკმარისია, ერთხელ გაჩაღდეს ომი მათ პარტიებს შორის, რომ მთავრობა კარგავს საზოგადოებაზეგავლენას. (ტოკვილი, 248)

თუ სქოლიოში მიუთითებთ წყაროს, დაურთეთ შენიშვნის ნომერი სტრიქონის ზედა ინდექსის სახით ბლოკური ციტირების ბოლოში,

როგორც ზემოთ მოყვანილ პირველ მაგალითშია ნაჩვენები (იხ., ასევე, 16.3.2). თუ ტექსტშივე მიუთითებთ წყაროს, დაურთეთ მითითება ბლოკური ციტირების დამაბოლოებელი პუნქტუაციის შემდეგ, როგორც ეს ნაჩვენებია მეორე მაგალითში. (უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავდება 25.2.1-ში ნაჩვენები წესისგან, სადაც აღწერილია რა ადგილზე უნდა მიეთითოს წყარო ბრჭყალებში ჩასმული ციტატის მოყვანისას).

**პოეზია და დრამა.** ორი ან ორზე მეტი პოეტური სტრიქონისგან შემდგარი ციტატა წარმოადგინეთ ბლოკური ციტატის სახით. პოემის (ლექსის) ყოველი სტრიქონი დაიწყეთ ახალ ხაზზე, ორიგინალის მსგავსი პუნქტუაციით სტრიქონების ბოლოებში. ნაშრომების უმეტესობაში შეწიეთ პოეტური ნაწარმოების ბლოკი მარჯვნივ პროზაული ციტატის მსგავსად; თუ სტრიქონი იმდენად გრძელია, რომ ვერ თავსდება ერთ ხაზზე, შეწიეთ გადმოსული ნაწილი დანარჩენ ციტატაზე უფრო ღრმად. დისერტაციაში ან სხვა უფრო ვრცელ ნაშრომში, რომელიც მრავლად შეიცავს ციტატებს პოეზიიდან, მოათავსეთ ყოველი ციტატა გვერდის ცენტრში.

შექსპირის ეს სონეტი შეიცავს რამდენიმე დაუვიწყარ პასაჟს:

> რა შხამი მასვა სიყვარულმა?! ან რა სამსალა
> დამალევინა ჯოჯოხეთურ ცრემლთან ნაზავი?!
> შიში იმედზე და იმედი შიშზე გაცვალა,
> რომ გამარჯვებულს მარცხი მეგრძნო უზარმაზარი.

თუ ციტატად მოგყავთ უჩვეულოდ განლაგებული სტრიქონების მქონე ლექსი, გაიმეორეთ სტრიქონების დაჯგუფების ორიგინალური ვარიანტი.

ეს ჰერბერტმა ძალიან ლამაზად გადმოსცა შემდეგ სტრიქონებში:

> და იქ იყო ღვინო
> სანამ თვალით დავაშრობდი მას: იქ იყო პური
> სანამ ჩემს ცრემლში ჩავძირავდი მას.
> ნუთუ ის ხანი მხოლოდ მე დავკარგე?
> ნუთუ იმ ნაპირს ველარ მივაგნებ?
> არც ყვავილები, აღარც გვირგვინი?სულ განვიძარცვე?
> სულ გავფლანგე?

თუ დრამატული პიესის დიალოგიდან ორი ან მეტი სტრიქონი მოგყავთ ციტატად, გამოყავით ის, როგორც ბლოკური ციტატა, დაფორმატებული პროზაული ნაწარმოების მსგავსად. მიუთითეთ ყოველი მოქმედი პირის სახელი ისე, რომ იგი გამოირჩეოდეს დიალოგისგან, მაგალითად, დაწერეთ ისინი მთავრულით ან სხვადასხვა შრიფტით. დაიწყეთ ყოველი რეპლიკა ახალი სტრიქონიდან, ხოლო გადმოსული ნაწილები შეწიეთ დანარჩენ ციტატაზე უფრო ღრმად.

რ. როისტერ დოისტერი. თუ არ მოვიყვანე ცოლად, გავგიჟდები.

მ. მერიგრიკი. არა, „სულელი“ არ ვიცი, მაგრამ „გიჟი“ ნამდვილად ხარ.

**ეპიგრაფები.** ეპიგრაფი არის ციტატა, რომელიც განსაზღვრავს თქვენი ნაშრომის თემატიკას. სადიპლომო ნაშრომების ან დისერტაციის სატიტულო ელემენტებში გამოყენებული ეპიგრაფების შესახებ იხილეთ A.2.1-ში. ეპიგრაფი თავის ან ნაწილის დასაწყისში მიიჩნიეთ ბლოკურ ციტატად. ეპიგრაფის ქვემოთ მიუთითეთ ავტორი და სათაური, სტრიქონი გაასწორეთ მარჯვნივ და წინ ემტირე (ან ორი დეფისი; იხ. 21.7.2) დაურთეთ. ეპიგრაფის ციტირებისას არ გესაჭიროებათ ამაზე მეტი ფორმალობის დაცვა. დატოვეთ ორი ცარიელი სტრიქონი წყაროს სტრიქონსა და ტექსტის დასაწყისს შორის. იხ., ასევე, სურათი A.9.

ქალაქი არ გვიამბობს თავის წარსულზე, მაგრამ ხელისგულის ხაზებივით თან ატარებს მას.

-- იტალო კალვინო, უჩინარი ქალაქები

## 25.3 ციტატების შეცვლა

ციტირების დროს ზუსტად უნდა გაიმეოროთწყაროს ფორმულირება, დამწერლობა, მთავრული ასოების გამოყენება და პუნქტუაცია, მაშინაც, თუ ისინი არ მისდევს წინამდებარე სახელმძღვანელოს მითითებებს. ამასთან, ციტატის ტექსტში ჩართვისას, შეგიძლიათ მისი გარდაქმნა ტექსტის სინტაქსთან მისადაგების ან მის გარკვეულ ნაწილებზე ყურადღების გამახვილების მიზნით.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა დისციპლინას სხვადასხვა სტანდარტი აქვს წინამდებარე ნაწილში განხილული საკითხებისთვის,

მაგალითად, საწყისი მთავრული ან ნუსხური ასოების გარდაქმნის და გამოტოვებული ადგილების ნაცვლად მრავალწერტილის დაწერისთვის. დისციპლინათა უმეტესობაში ნაშრომის დაწერისას იხელმძღვანელეთ ზოგადი წესებით. ლიტერატურის შემსწავლელ და სხვა ისეთ დარგებში, სადაც ტექსტების საგულდაგულო ანალიზიტარდება, იხელმძღვანელეთ უფრო მკაცრი წესებით, რომლებიც გარკვეულ თემებშია მოცემულია. თუ არ ხართ დარწმუნებული, რომელ მითითებებს მისდიოთ, იხელმძღვანელეთ ადგილობრივი წესებით ან რჩევისთვის მიმართეთ პედაგოგს.

### 25.3.1 დასაშვები ცვლილებები

**ორთოგრაფია.** თუ ორიგინალური წყარო შეიცავს აშკარა ტიპოგრაფიულ შეცდომას, შეასწორეთ იგი კომენტარების გარეშე.

ორიგინალი: ეს დასკვნები საბლოო არ არის, თუმცა ნამდვილად დამაფიქრებელია.

კლეიტონი აღიარებს, რომ მისი დასკვნები “საბოლოო არ არის”.

მაგრამ თუ მსგავსი შეცდომა ავლენს რაიმე მნიშვნელოვანს წყაროს შესახებ ან ასაბუთებს თქვენს არგუმენტს, დატოვეთ იგი უცვლელად თქვენს ციტატაში. უშუალოდ შეცდომის შემდეგ დაურთეთ ლათინური სიტყვა *sic* (“*ასეა*”), დახრილი შრიფტით, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში, რათა აღნიშნოთ, რომ ეს ავტორის მიერ დაშვებული შეცდომაა. ცუდ მანერად ითვლება შეცდომებზე მითითება წყაროს უხერხულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად.

*ორიგინალი:* საშუალო ამერიკელმა არ იცის წერა და არ შეუძლია მძიმეის [*sic*] სწორად გამოყენება.

რასელს თავისი არგუმენტის მაგალითად მოჰყავს ის, რომ საშუალო ამერიკელს „არ შეუძლია მძიმეის [*sic*]სწორად გამოყენება“.

თუ ციტატა მოგყავთ ძველი ან არასტანდარტული ორთოგრაფიის მქონე დიალექტზე დაწერილი წყაროდან, შეინარჩუნეთ ორიგინალური მართლწერა და ნუ იხმართ *sic*-ს. თუ, სიცხადის მიზნით, თანამედროვე

მართლწერასა და პუნქტუაციას გამოიყენებთ ციტატაში, შენიშვნაში ან შესავალში, აცნობეთ თქვენს მკითხველებს ამის შესახებ.

**მთავრული ასოების გამოყენება და პუნქტუაცია.** დისციპლინების უმრავლესობაში შეგიძლიათ, შეცვალოთ ციტირებული ნაწყვეტის საწყისი ასო მთავრულიდან ნუსხურით ან ნუსხურიდან  მთავრულით ცვლილების შესახებ აღნიშვნის გაკეთების გარეშე. თუ ჩააქსოვთ ციტატას თქვენი ტექსტის სინტაქსში, დაიწყეთ იგი ნუსხურით.სხვა შემთხვევაში დაიწყეთ ციტატა მთავრულით, თუ იგი იწყება სრული წინადადებით, ხოლო ნუსხურით – თუ არ იწყება სრული წინადადებით. მსგავსი ცვლილებები შეგიძლიათ, ასევე, გაატაროთ მრავალწერტილის გამოყენებისას; იხილეთ 25.3.2.

*ორიგინალი:* ამ ფაქტორების შედეგად ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა.

ფერნანდესის თქმით, „ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა."

ფერნანდესი აცხადებს, რომ „ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა."

ფერნანდესი აღნიშნავს, რომ „ამ ფაქტორების შედეგად ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა."

"ცვლილებას", აღნიშნავს ფერნანდესი, „მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა."

იმისდა მიხედვით, თუ როგორ დაამუშავებთ ციტატას ტექსტში, შეგიძლიათ, ასევე, გამოტოვოთ დამაბოლოებელი წერტილი ან შეცვალოთ ის მძიმით.

ფერნანდესი აღნიშნავს, რომ ცვლილებას „მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა" მის მიერ განხილული ფაქტორების შედეგად.

„ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა", ამტკიცებს ფერნანდესი.

ლიტერატურის შემსწავლელ და სხვა ისეთ დარგებში, სადაც ტექსტების სიღრმისეული ანალიზი ტარდება, მთავრული ასოს ნებისმიერი ცვლილება აღნიშნეთ შეცვლილი ასოს კვადრატულ ფრჩხილებშიჩასმით.

ფერნანდესის მტკიცებით, „ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა.“

ფერნანდესი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „ამ ფაქტორების შედეგად ცვლილებას მექსიკელი ხალხისთვის სარგებელი უნდა მოეტანა.“

ნებისმიერ დისციპლინაში, თუ ორმაგ ბრჭყალებში ჩასვამთნაწყვეტს, რომელიც უკვე შეიცავს მათ, სიცხადის მიზნით შეცვალეთ შიდა ბრჭყალები ერთმაგი ბრჭყალებით (იხ. 25.2.1). თუ ორიგინალური ნაწყვეტი ბოლოვდება წერტილ-მძიმით ან ორწერტილით, შეცვალეთ იგი წერტილით ან მძიმით, რათა მიუსადაგოთ თქვენი წინადადების სტრუქტურას (იხ. 21.11.2).

**დახრილი შრიფტი.** სიტყვები, რომლებიც ორიგინალში დახრილი შრიფტითარ წერია, შეგიძლიათ, დაწეროთ დახრილი შრიფტით, მაგრამ ციტატაში ან მის მითითებაში უნდა აღნიშნოთ ცვლილება სიტყვებით *(დახრილი შრიფტი ჩემია)*ან *(გამოყოფილია)*. ციტატაში დაურთეთ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული აღნიშვნა უშუალოდ დახრილი შრიფტით დაწერილი სიტყვების შემდეგ. მითითებაში დაურთეთ აღნიშვნა გვერდის ნომრის შემდეგ; მას წინ უნდა უსწრებდეს წერტილ-მძიმე (იხ., ასევე, 16.3.5). თუ დახრილი შრიფტით დაწერთ ორ ან მეტ ადგილს ციტატაში, იხმარეთ შენიშვნა და არა ფრჩხილებში ჩასმული კომენტარი. იხ., ასევე, 22.2.2.

შულცის მიხედვით, „2010 წლის ბოლოსთვის *ყოველი დემოკრატია* [გამოყოფილია] ბირთვული ტერორიზმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.“[1]

ბრაუნი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ტომები განადგურება “სულ რაღაც *ათ წელზე მოკლე დროში*“ [271; დახრილი შრიფტი ჩემია].

**ჩანართები.** თუ თქვენთვის აუცილებელია ციტატაში ერთი ან მეტი სიტყვის ჩასმა განმარტების ან შესწორების მიზნით, ჩასვით ჩანართი კვადრატულ ფრჩხილებში. თუ აღმოჩნდა, რომ ბევრი ამგვარი ჩანართი გამოგდით, უმჯობესია, ხელახლა ჩამოაყალიბოთ წინადადება ან უფრო მცირე ზომის ციტატები ჩართოთ ტექსტში.

როგორც იგი აღნიშნავს, „ეს უდიდესი მხატვრები [პიკასო, ბრაკი, მატისი] აკადემიური სწავლების წინააღმდეგ აჯანყდნენ.“

იგი აღნიშნავს, რომ პიკასო, ბრაკი და მატისი „აჯანყდნენ აკადემიური სწავლების წინააღმდეგ."

**შენიშვნები.** თუ ციტატად მოგყავთ ნაწყვეტი, რომელიც შეიცავს შენიშვნის სტრიქონის ზედა ინდექსს, მაგრამ თქვენ საკუთრივ შენიშვნას არ რთავთ ტექსტში, შეგიძლიათ, გამოტოვოთ შენიშვნის ნომერი.

### 25.3.2 გამოტოვებული ადგილები

თუ ციტატიდან გამოტოვებთ სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებს ან აბზაცებს იმის გამო, რომ ისინი არ ეხება თქვენს თემას, ნუ შეცვლით ან არასწორად ნუ წარმოადგენთ ორიგინალური ციტატის აზრს. თქვენ ვალდებული ხართ არა მხოლოდ დატოვოთ ის სიტყვები, რომლებსაც შეუძლია ციტატის მთლიანი აზრის შეცვლა (როგორიცაა *არა, არასოდეს, ყოველთვის*), არამედ დატოვოთ მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ქვემოთ მოყვანილ ციტატაში არასწორად არის გადმოცემული ავტორის აზრი. (იხ., ასევე, 4.2.3.)

*ორიგინალი:* როგორც კი მოიხსნებოდა მიმდინარე პრობლემები, ცვლილება აუცილებლად მოიტანდა სარგებელს.

იანგის მტკიცებით, „ცვლილება აუცილებლად მოიტანდა სარგებელს".

გამოტოვებული სიტყვის, ფრაზის ან წინადადების აღნიშვნის მიზნით, იხმარეთ მრავალწერტილი – სამი წერტილი მათ შორისინტერვალებით. (ბევრ ტექსტურ პროცესორს აქვს სპეციალური ნიშანი, რომელიც მრავალწერტილს აღნიშნავს).ვინაიდან წერტილები ცვლის გამოტოვებულ სიტყვებს, ისინი ყოველთვის რჩება ბრჭყალების ან კვადრატული ფრჩხილების შიგნით. დატოვეთ ინტერვალი ბოლო ციტირებული სიტყვის ან სასვენი ნიშნის და მრავალწერტილის პირველ წერტილს შორის და კიდევ ერთი ინტერვალი ბოლო წერტილის შემდეგ სიტყვის ან სასვენი ნიშნის წინ.

ჩვენ ვიბრძვით სიმართლისთვის; . . . თავისუფლებისთვის . . .; და . . . გადარჩენისთვის".

ის, თუ როგორ იყენებთ თქვენ მრავალწერტილს გარკვეულ სიტუაციებში, დამოკიდებულია თქვენს დისციპლინაზე. დისციპლინათა უმრავლესობისთვის იხელმძღვანელეთ ზოგადი მეთოდით; ლიტერატურის

შემსწავლელი და სხვა იმ დარგებისთვის, სადაც ტარდება ტექსტების საგულდაგულო ანალიზი, იხელმძღვანელეთ ტექსტების შესწავლის მეთოდით (იხილეთ ქვემოთ). თუ არ ხართ დარწმუნებული, რომელი მეთოდით უნდა იხელმძღვანელოთ, გაეცანით თქვენს ადგილობრივ წესებს ან შეეკითხეთ თქვენს პედაგოგს. 25.3.1-ში იხილეთ მთავრულის დასმისა და პუნქტუაციის შეცვლის წესები გამოტოვებული ადგილების გათვალისწინებით.

**ზოგადი მეთოდი.** შეგიძლიათ, ციტატა სხვადასხვანაირად შეამოკლოთ, ისე, როგორც ეს ქვემოთ არის წარმოდგენილი.

*ორიგინალი:* როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს. ის უნდა მოიქცეს საერთაშორისო დიპლომატიური სტანდარტების შესაბამისად. მან, ასევე, უნდა გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად.

თუ გამოტოვებთ სიტყვებს წინადადების შიგნით, დაწერეთ მრავალწერტილი, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები.

„როდესაც ერი ცდება, მან . . . ბოდიში უნდა მოუხადოს დაზარალებულ მხარეს."

თუ გამოტოვეთ მასალა წინადადებებს შორის და თუ გამოტოვებული ადგილის წინმსწრები მასალა გრამატიკულად სრულყოფილი წინადადებაა, დაწერეთ დამაბოლოებელი სასვენი ნიშანი უშუალოდ ამ წინადადების შემდეგ. დატოვეთ ინტერვალი ამ სასვენი ნიშნის და მრავალწერტილის პირველ წერტილს შორის. დაიცავით ეს წესი იმ შემთხვევაშიც, თუ გამოტოვეთ წინმსწრები წინადადების დასასრული და თუკი ის, რაც დარჩა, გრამატიკულად სრულყოფილია (როგორც არის ნაჩვენები ქვემოთ მეორე მაგალითში).

„როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს. . . . მან, ასევე, უნდა გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად."

„როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს. . . . მან, ასევე, უნდა გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად."

თუ ტოვებთ მასალას წინადადებებს შორის ისე, რომ გამოტოვებული ადგილის წინმსწრები და მომდევნო მასალა

გაერთიანებისას ქმნის გრამატიკულად სრულყოფილ წინადადებას, ნუ დაწერთ დამაბოლოებელ სასვენ ნიშანს მრავალწერტილის წინ. ამასთან, ავტორის აზრის არასწორად გადმოცემის თავიდან ასაცილებლად, ამ დროს, ზოგადად, უმჯობესია, გამოვიყენოთ შემოკლების ერთ-ერთი ზემოთ ნაჩვენები ვარიანტი ან ცალ-ცალკე ორი ციტატა.

„როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს და . . . გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად."

იქიდან გამომდინარე, თუ სად არის სიტყვები გამოტოვებული, იგივე პრინციპები ვრცელდება სხვა ტიპის სასვენ ნიშნებზე, რომლებიც წინ უსწრებს ან მოსდევს მრავალწერტილს, ზოგ სიტუაციაში, როგორიცაა ქვემოთ მოყვანილი მეორე მაგალითი, გამოიყენეთ ციტატის მოყვანის განსხვავებული წესი.

„როგორ ციოდა? . . . ვერავინ შეძლებდა ასეთ ამინდში მუშაობას."

„ვაჭრის საქონელში იყო ქსოვილები და მრავალი სხვა რამ . . . , ყველაფერი, რასაც ქალაქის ქალბატონები შეიძენდნენ".

*ან*

ვაჭრის საქონელში იყო ქალაქის ქალბატონებისთვის განკუთვნილი „ქსოვილები და ბევრი სხვა რამ".

ვინაიდან მრავალ კონტექსტში ნათლად ჩანს, როდის შემოკლდა ციტატა, არსებობს სიტუაციები, როცა აუცილებელი არ არის მრავალწერტილის გამოყენება:

- ციტირებული ფრაზის, არასრული წინადადების ან ორიგინალის სხვა ისეთი ფრაგმენტის წინ ან შემდგომ, რომელიც ცალსახად არ არის სრულყოფილი წინადადება. მაგრამ, თუ რაიმეს გამოტოვებთ ფრაგმენტის შიგნით, იხმარეთ მრავალწერტილი შესაფერის ადგილას:

  სმითი წერდა, რომ პრეზიდენტზე „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა" მოხსენებამ, რომელიც ხაზს უსვამდა „ყველა მსხვილი ქვეყნის . . . ეკონომიკური რესურსების გამოყენებას."

- ციტატის დასაწყისში, მაშინაც, როცა გამოტოვებულია ორიგინალური წინადადების საწყისი ნაწილი.

- ციტატის ბოლოს, მაშინაც, როცა გამოტოვებულია ორიგინალური წინადადების ბოლო ნაწილი.

**ტექსტის შესწავლის მეთოდი.** ტექსტის შესწავლის მეთოდი ზოგად მეთოდზე უფრო მკაცრად მისდევს მრავალწერტილის გამოყენებას, რათა აღნიშნოს ციტირებული წინადადებების დასაწყისში ან ბოლოს გამოტოვებული მასალა. თუ ამ მეთოდს იყენებთ, იხელმძღვანელეთ ზოგადი წესებით, გარდა ქვემოთ მოყვანილი შემთხვევებისა.

*ორიგინალი:* როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს. ის უნდა მოიქცეს საერთაშორისო დიპლომატიური სტანდარტების შესაბამისად. მან, ასევე, უნდა გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად.

- თუ ტოვებთ მასალას წინადადებებს შორის, მაგრამ სრულად მოგყავთ გამოტოვებული ადგილის წინმსწრები წინადადება, დაწერეთ დამაბოლოებელი სასვენი ნიშანი უშუალოდ ამ წინადადების შემდეგ. დატოვეთ ინტერვალი ამ სასვენი ნიშნის და მრავალწერტილის პირველ წერტილს შორის, რასაც ითვალისწინებს ზოგადი მეთოდი, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ პირველ მაგალითში. ამასთან, თუ გამოტოვებულია წინმსწრები წინადადების ბოლო ნაწილი (მაშინაც, როდესაც დარჩენილი წინადადება გრამატიკულად სრულყოფილია), დასვით ინტერვალი სასვენი ნიშნის ნაცვლად უშუალოდ წინადადების შემდეგ. ინტერვალის შემდეგ ჩასვით მრავალწერტილის ოთხი წერტილი გამოტოვებული ადგილის აღსანიშნავად (როგორც ნაჩვენებია მეორე მაგალითში ქვემოთ).

„როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს. . . . მან, ასევე, უნდა გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად."

*მაგრამ*

„როდესაც ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს. . . . მან, ასევე, უნდა გადადგას ნაბიჯები სიტუაციის შესაცვლელად."

- თუ ციტატას იწყებთ წინადადებით, რომელიც, მიუხედავად წინადადების დასაწყისში გამოტოვებული ადგილისა, გრამატიკულად სრულყოფილია, აღნიშნეთ გამოტოვება მრავალწერტილის მეშვეობით. თუ პირველი სიტყვა ციტატაში, ორიგინალისგან განსხვავებით,

დაწერილია მთავრულით, ჩასვით შეცვლილი ასო კვადრატულ ფრჩხილებში (იხ. 25.3.1).

. . . მან ეს უნდა აღიაროს ეს და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს."

- თუ ასრულებთ ციტატას წინადადებით, რომელიც, მიუხედავად წინადადების ბოლოში გამოტოვებული ადგილისა, გრამატიკულად სრულყოფილია, აღნიშნეთ გამოტოვება ოთხწერტილით, ისევე, როგორც მიუთითებდით წინადადებებს შორის გამოტოვებულ დაბოლოებას.

„როცა ერი ცდება, მან უნდა აღიაროს ეს . ."

**განსაკუთრებული ტიპის გამოტოვებული ადგილები.** შემდეგი წესები ვრცელდება გამოტოვებული ადგილების მითითების ორივე მეთოდზე: ზოგადზე და ტექსტის შესწავლის მეთოდზე.

თუ ბლოკური ციტატის შეგნითტოვებთ მთლიან აბზაცს ან მეტს, მიუთითეთ გამოტოვება წერტილით და მრავალწერტილის სამი წერტილით აბზაცის ბოლოს, გამოტოვებული ადგილის წინ. თუ ციტატა შეიცავს კიდევ ერთ აბზაცს გამოტოვებული ადგილის შემდეგ, შეწიეთ ახალი აბზაცის პირველი სტრიქონი. თუ ციტატა იწყება აბზაცის შუიდან, დაიწყეთ ის მრავალწერტილის სამი წერტილით სტრიქონის შეწევის შემდეგ.

მერტონი წერს:

> ეს-ესაა ჩნდებოდა ახალთახალი სინდისი, როგორც სულის რეალური, მოქმედი ფუნქცია. სულ მალე ყოველი ჩემი მოქმედება უფრო შეგნებული გახდებოდა. . . .
>
> . . . ვინაიდან არავის შეუძლია ან შეეძლო მხოლოდ თავისით და თავისთვის ცხოვრება, სხვა ათასობით ადამიანის ბედს ეს აუცილებლად უნდა შეხებოდა.

აჩვენეთ ბლოკურ ციტატაში მოქცეული ლექსის ერთი მთლიანი ან მეტი გამოტოვებული სტრიქონი მრავალწერტილების ხაზით, რომლის სიგრძე ზედა სტრიქონის სიგრძის ტოლი იქნება.

მთავარ პასაჟში წერია:

ნუღარ იტირებთ, კაეშნით სავსე მწყემსებო, ნუღარ იტირებთ,

რადგან, ლიციდას, შენი წუხილი არაა მკვდარი,

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მათთვის, ვინც შედის იმ ხიფათით სავსე მდინარეში.

## 26. ცხრილები და სურათები

**26.1 ზოგადი წესები**

**26.1.1 ადგილმდებარეობა ტექსტში**

**26.1.2 ზომა**

**26.1.3 წყაროების აღმნიშვნელი სტრიქონები**

**26.2 ცხრილები**

**26.2.1 ცხრილების სტრუქტურა**

**26.2.2 ცხრილების ნომრები და სათაურები**

**26.2.3 სვეტების წესები**

**26.2.4 სვეტების სათაურები**

**26.2.5 გვერდული სვეტები**

**26.2.6 ცხრილის ცენტრალური ნაწილი**

**26.2.7 გვერდობლივი შენიშვნები**

**26.3 სურათები**

**26.3.1 დიაგრამები, სქემები**

**26.3.2 სურათების ნომრები და წარწერები**

მრავალ სამეცნიერო კვლევით ნაშრომში მონაცემების წარსადგენად გამოიყენება ცხრილები და სურათები. *ცხრილები* არის სვეტებისგან და რიგებისგან შემდგარი ცხაურები, რომლებშიც წარმოდგენილია რიცხობრივი ან სიტყვიერი მონაცემები კატეგორიების მიხედვით. *სურათები* მოიცავს გრაფიკებს, დიაგრამებს, სქემებს, ფოტოსურათებს, რუკებს, მუსიკალური ნაწარმოებების ნაწყვეტებს, ნახაზებს და სხვა გამოსახულებებს. ყველა ამ ტიპის არატექსტურ მასალას ერთობლივად მოიხსენიებენ, როგორც *ნახატს* (ტერმინი, რომელიც დროდადრო გამოიყენებდა *სურათის* ნაცვლად) ან *გრაფიკული გამოსახულებები* (დიაგრამები, გრაფიკები, სურათები და სიმბოლოები).

როდესაც გაქვთ მონაცემები, რომლებიც შეიძლება, გადმოიცეს ცხრილის ან სურათის სახით, თქვენი პირველი ამოცანაა, ამ

ფორმატებიდან ყველაზე ეფექტიანი აირჩიოთ; ზოგი ტიპის მონაცემები შეიძლება, უკეთ წარმოადგინოთ ცხრილში, ზოგი – სქემაში, ზოგი კი – გრაფიკში. თქვენი არჩევანი გავლენას მოახდენს იმაზე, თუ როგორი რეაქცია ექნება მკითხველს თქვენს მონაცემებზე. ეს არის რიტორიკული საკითხები, რომლებიც განიხილება მე-8 თავში. წინამდებარე თავი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უნდა ააგოთ შერჩეული კონკრეტული ფორმა, ამ შემთხვევაში, ცხრილები და ორი ტიპის სურათი: სქემები (დიაგრამები) და გრაფიკები.

დღესდღეობით ცხრილების, სქემების (დიაგრამების) და გრაფიკების უმრავლესობა კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით იქმნება. თუმცა, პროგრამა ვერ შეგირჩევთ ყველაზე ეფექტურ ფორმატს ან ცხრილებისა და სურათების სწორ სტილს; პროგრამა, ასევე, ვერ უზრუნველყოფს ლოგიკურ ან ფორმალურ თანმიმდევრულობას. მზად უნდა იყოთ, რომ ცხრილების, სქემების (დიაგრამების) და გრაფიკების შექმნამდე მოგიხდებათ ზოგი სტანდარტული პარამეტრის შეცვლა, ხოლო შექმნის შემდეგ – შესაბამისად დახვეწა. ინფორმაციას თქვენს ნაშრომში ცხრილებისა და ყველა ტიპის სურათების ჩასმის შესახებ, განსაკუთრებით, თუ ისინი არ არის შექმნილი თქვენს ტექსტურ პროცესორში, იხილავთ დანართის A.3.1-ში.

თუ მუშაობთ სადიპლომო თემაზე ან დისერტაციაზე, რომელიც შეიცავს ცხრილებსა და სურათებს, თქვენს ფაკულტეტს (კათედრას, განყოფილებას) ან უნივერსიტეტს შეიძლება, ჰქონდეს სპეციფიკური მოთხოვნები მათ ფორმატთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნები, როგორც წესი, შეგიძლიათ, მოიძიოთ სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების ოფისში. თუ მუშაობთ საკურსო ნაშრომზე, თქვენმა პედაგოგმა შესაძლოა, ასევე, მოგთხოვოთ ცხრილებისა და სურათების მომზადება გარკვეული წესების დაცვით. გაერკვიეთ ამ მოთხოვნებში, ვიდრე მოამზადებთ თქვენს ნაშრომს. ისინი წინამდებარე თავში შემოთავაზებულ სახელმძღვანელო მითითებებზე უპირატესია. სახელმძღვანელოების ხვადასხვა დისციპლინებში არსებული წესების შესახებ იხილეთ ბიბლიოგრაფიაში.

## 26.1 ზოგადი წესები

ნაშრომებში ცხრილებისა და სურათების წარმოდგენის რამდენიმე ზოგადი წესი არსებობს.

### 26.1.1 ადგილმდებარეობა ტექსტში

ცხრილი ან სურათი რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს იმ აბზაცთან, რომელშიც პირველად მოიხსენიებთ მას. თუ ცხრილი ან სურათი ვერ თავსდება დარჩენილ გვერდზე და არც სრულ გვერდს იკავებს, დაამთავრეთ ტექსტი გვერდის დასრულებამდე და მოათავსეთ ცხრილი ან სურათი მეორე გვერდის დასაწყისში. (იხილეთ A.3.1-ში ინფორმაცია ნაშრომში ცხრილებისა და სურათების ჩასმის შესახებ, ასევე, A.12-ში და A.13-ში იხილეთ ცხრილებისა და სურათების გვერდზე განთავსების მაგალითები).

შეგიძლიათ, მცირე ზომის ცხრილები ან სურათები ერთ გვერდზე ჯგუფებად დააწყოთ, ოღონდ ისინი ცალსახად უნდა გამოირჩეოდეს ერთმანეთისგან. ჯგუფებად დაწყობილი ცხრილები ზოგადად ინარჩუნებს სათაურებს (იხ. 26.2.2). თუ ჯგუფებად დაწყობილი სურათები ახლო კავშირშია ერთმანეთთან, დაურთეთ ერთი ნომერი და საერთო წარწერა; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიყენეთ ცალ-ცალკე ნომრები და წარწერები (იხ. 26.3.2).

თუ ცხრილი ან სურათი ტექსტთან ნაკლებად არის დაკავშირებული ან ზედმეტად დიდია მასში ჩასასმელად, მოათავსეთ დანართში ან თქვენი ნაშრომის საცნობარო განყოფილების ნაწილში სათაურით *ნახატები* (იხ.A.2.3).

### 26.1.2 ზომა

სადაც შესაძლებელია, დააფორმატეთ ცხრილები და სურათები ისე, რომ ისინი მოთავსდეს ჰორიზონტალური ან *ვერტიკალური* სწორების მქონე ერთ გვერდზე. თუ ვერ თავსდება, ეცადეთ, შეამოკლოთ სვეტების გრძელი სათაურები ან შეამოკლოთ განმეორებითი ტერმინები.

თუ ვერ ახერხებთ ცხრილის ან სურათის მოთავსებას ერთ გვერდზე, რამდენიმე გამოსავალი გაქვთ.

- ***ჰორიზონტალური სწორება.*** თუ ცხრილი ან სურათი ძალიან ფართოა გვერდისთვის, შეაბრუნეთ იგი ოთხმოცდაათი გრადუსით ისე, რომ მარცხენა მხარე მოხვდეს გვერდის ძირში; აღნიშნულ სწორებას ეწოდება *ვერტიკალური.* ნუ მოათავსებთ რაიმე ტექსტს ჰორიზონტალური ცხრილის ან სურათის შემცველ გვერდზე. დაბეჭდეთ ცხრილის სათაური ან სურათის წარწერა ჰორიზონტალური ან ვერტიკალური სწორებით. იხილეთ მაგალითისთვის სურათი A.13.

- ***გვერდიგვერდ.*** თუ ცხრილი გვერდზე გრძელია, სიგანით კი – გვერდის ნახევარზე ნაკლები, გაყავით ის ორად და ერთსა და იმავე გვერდზე გვერდიგვერდ მოათავსეთ ორივე ნაწილი. ორივე ნაწილს დაურთეთ სვეტების სათაურები.

- ***გვერდებზე განაწილება.*** თუ ცხრილი ან სურათი იმდენად გრძელია, რომ ვერ თავსდება ერთ ვერტიკალურ გვერდზე ან იმდენად ფართოა, რომ ვერ თავსდება ჰორიზონტალურ გვერდზე, გადაანაწილეთ იგი ორ (ან ორზე მეტ) გვერდზე. ყოველ გვერდზე გაიმეორეთ გვერდული სვეტისა და ყველა სხვა სვეტის სათაურები (იხ. 26.2). მიუწერეთ ცხრილის ნომერსსიტყვა *„გაგრძელება"* ყოველი გვერდის ზედა მარცხენა მხარეს, პირველი გვერდის შემდეგ, მარცხნივ სწორებით და დახრილი ასოებით (*ცხრილი 2 გაგრძელება).* ყველა გვერდზე, გარდა ბოლოსი, გამოტოვეთ ქვედა ხაზი.

- ***ზომის შემცირება.*** თუ სურათი წარმოადგენს ფოტოს ან სხვა გამოსახულებას, შეგიძლიათ, შეამციროთ მისი ზომა. გაეცანით თქვენს ადგილობრივ წესებს ფოტოსურათის რეზოლუციისა და სხვა შესაბამისი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

- ***ცხრილების და სურათების ცალ-ცალკე წარმოდგენა.*** თუ ზემოთ მოყვანილი წესებიდან არც ერთი არ შეესაბამება თქვენს შემთხვევას, მონაცემები შეგიძლიათ, გაყოთ და წარმოადგინოთ ორი ან მეტი ცალკე მოცემული ცხრილის ან სურათის სახით.

- ***დანართი.*** თუ ცხრილი ან სურათი შეიცავს მასალას, რომლის წარმოდგენა შეუძლებელია ნაბეჭდი ფორმით, მაგალითად, დიდი მოცულობის მონაცემთა ნაკრები ან მულტიმედიური ფაილი, დაურთეთ იგი დანართის სახით, როგორც ნაჩვენებია A.2.3-ში.

### 26.1.3 წყაროს აღმნიშვნელი სტრიქონები

აუცილებელია, მიუთითოთ ყველა იმ მონაცემის წყარო, რომელიც თავად არ მოგიპოვებიათ და ცხრილებსა და სურათებში გაქვთ გამოყენებული.

ასე უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაშიც, თუ მონაცემებს ახალი ფორმით წარმოადგენთ – მაგალითად, აგებთ გრაფიკს თავდაპირველად ცხრილის სახით გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამატებთ ცხრილში ახალ მონაცემებს სხვა წყაროდან ან მეტაანალიზის გზით აერთიანებთ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ მონაცემებს.

მიიჩნიეთ წყაროს აღმნიშვნელი სტრიქონები ცხრილის სქოლიოდ (იხ. 26.2.7) ან სურათის წარწერის ნაწილად (იხ. 26.3.2). დაიწყეთ წყაროს აღმნიშვნელი სტრიქონი სიტყვით *წყარო(ები).* თუ სტრიქონი იკავებს ორზე მეტ ხაზს, გადასული სიტყვები უნდა გასწორდეს მარცხნივ და დაიბეჭდოს სტრიქონებს შორისერთი ინტერვალით. დასვით წერტილი სტრიქონის ბოლოს.

თუ მითითებებისას ხელმძღვანელობთ სქოლიოში მითითების სტილით, მიუთითეთ სრული ინფორმაცია წყაროს შესახებ (იხ. მე-16 თავი), ასევე, მიუთითეთ ორიგინალური ცხრილის ან სურათის ნომერი ან იმ გვერდის ნომერი, საიდანაც აიღეთ მონაცემები. თუ არ მიუთითებთ ამ წყაროს ნაშრომის სხვა ადგილებშიც, საჭირო არ არის მისი ჩართვა თქვენს ბიბლიოგრაფიაში.

*წყარო:* მონაცემები აღებულია გამოცემიდან დევიდ ჰალე, *კულტურის გაგება: ხელოვნება და კლასი ამერიკულ ოჯახში* (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993), ცხრილი 2.)

*წყარო:* მონაცემები აღებულია გამოცემებიდან რიჩარდ გ. ადამსი უმც., „ფულადი გზავნილობები, ინვესტირება და სოფლის კაპიტალის აკუმულირება პაკისტანში“, *ეკონომიკური განვითარება და კულტურული ცვლილება 47, № 1 (1998); 155-73;* დევიდ ბევენი, პოლ კოლიერი და იენ განინგი, *გლეხები და მთავრობა: ეკონომიკური ანალიზი* (ოქსფორდი: გამომცემლობა კლერდონი. 1989), 125-28.

თუ იყენებთ ტექსტობრივი მითითების სტილს, მიუთითეთ წყარო ტექსტობრივ მითითების მსგავსად, მაგრამ ფრჩხილების გარეშე და ბიბლიოგრაფიაში მიუთითეთ სრული ინფორმაცია წყაროს შესახებ (იხ. მე-18 თავი).

*წყარო:* მონაცემები აღებულია გამოცემიდან ჰალე 1993, ცხრილი 2.

*წყარო*: მონაცემები აღებულია გამოცემებიდან ადამსი 1998, 155-73; ბევენი, კოლიერი და განინგი 1989, 125-28.

თუ მონაცემები ადაპტირებულია ორიგინალურ წყაროში წარმოდგენილი მასალიდან, წყაროს აღმნიშვნელ სტრიქონს დაურთეთ ფრაზა *ადაპტირებულია . . . –დან,* როგორც ნაჩვენებია ცხრილებში 26.1 და 26.3.

იმ ფოტოებს, რუკებს და სხვა სურათებს, რომლებიც უშუალოდ თქვენ არ შეგიქმნიათ, წყაროს აღმნიშვნელი სტრიქონის ნაცვლად მიუთითეთ ავტორი.

რუკა შეადგინა ჯერალდ ფ. ფაილმა. ფოტო გადაიღო ჯეიმს ლ. ბელადმა

თუ დისერტაციასგარე სადისერტაციო არქივში წარადგენთ შესაძლოა, საავტორო უფლებით დაცული ცხრილების ან სურათების რეპროდუქციის გამოსაყენებლად ოფიციალური ნებართვა დაგჭირდეთ. იხილეთ „ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელოს“ 2003 წლის მე-15 გამოცემის მე-4 თავი. თუ გჭირდებათ ნებართვებთან დაკავშირებული სამადლობელი სტრიქონების დართვა, იხილეთ *CMOS* 12.40-51 (სურათები) და 13.44 (ცხრილები).

## 26.2 ცხრილები

ბევრ სიტუაციაში შეიძლება, გერჩივნოთ მასალების ცხრილის სახით წარმოდგენა. მე-8 თავში ნაჩვენებია ცხრილების გამოყენების კრიტერიუმები და, ასევე, მათი შედგენის ზოგადი პრინციპები. წინამდებარე ნაწილი მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც შეიძლება, წამოიჭრას ცხრილების მომზადებისას. ცხრილებში 26.1-26-3 ნაჩვენებია ამ ნაწილში განხილული პრინციპების მაგალითები.

შინაარსის სირთულიდან და, შესაბამისად, სტრუქტურიდან გამომდინარე, ცხრილებს შორის ბევრი განსხვავებაა, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია ცხრილების შიგნით და მათ შორის ლოგიკური კავშირი, რათა თქვენი მონაცემები მკითხველისთვის გასაგები იყოს.

გამოიყენეთ არაბული ციფრები ცხრილებში მოთავსებული ყველა რიცხობრივი მონაცემისთვის, თუ არ იქნება სხვა რაიმე მითითებაამასთან

დაკავშირებით. ადგილის დაზოგვის მიზნით, შეგიძლიათ, შედარებით უფრო თავისუფლად იხმაროთ აბრევიატურები და სიმბოლოები, მაგრამ გამოიყენეთ ისინი დაზოგვით და თანმიმდევრულად. თუ არ არსებობს სტანდარტული აბრევიატურები, თავად შექმენით შემოკლებები და განმარტეთ ისინი ცხრილის სქოლიოში (იხ. 26.2.7) ან, თუ ასეთი ბევრი იქნება, თქვენი ნაშრომის სატიტულო ელემენტების აბრევიატურების ჩამონათვალში (იხ.A.2.1).

**ცხრილი 26.1 ფორ კორნერში, ბოსტონი, შერჩეული ეკლესიები**

| ეკლესია | რელიგიური ტრადიცია | დასწრება | ეთნიკური წარმომავლობა | კლასი |
|---|---|---|---|---|
| ღმერთის ეკლესია | ორმოცდაათია-ნელი | 100 | კარიბის, შერეული | საშუალო |
| წმინდა სულის ეკლესია | ორმოცდაათია-ნელი | 10 | სამხრეთული შავი | მუშა |
| ფუნდამენტალისტუ-რი ევანგელისტური ბაპტისტური | ბაპტისტური | 70 | სამხრეთული შავი | საშუალო |
| სულის სახლი | ორმოცდაათია-ნელი | 50 | ჰაიტური | მუშა |
| მთა ნიბოს აპოსტოლური | აპოსტოლური | 30 | სამხრეთული შავი | მუშა/ საშუალო |

*წყარო:* მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: ომარ მ. მაკრობერტსი, *ღიდების ქუჩები: ეკლესია და საზოგადოება ქალაქის შავკანიანი მოსახლეობით დასახლებულ უბანში* (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003), 53.

**ცხრილი 26.2. გოტფრიტის პროვინციის არჩევნების შედეგები, 1950-60**

| | 1950 | | 1956 | | 1960 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტია | ხმების % | აღებუ-ლი ადგი- | ხმების % | აღებუ-ლი ადგი- | ხმების % | აღებუ-ლი ადგი- |

| | | ლები | | ლები | | ლები |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | პროვინციის ასამბლეა | | | |
| კონსერვატორები | 35.5 | 47 | 26.0 | 37 | 30.9 | 52 |
| სოციალისტები | 12.4 | 18 | 27.1 | 44 | 24.8 | 39 |
| ქრისტიან-დემოკრატები | 49.2 | 85 | 41.2 | 68 | 39.2 | 59 |
| სხვები | 2.9 | 0 | 5.7 | 1[a] | 5.1 | 0 |
| **სულ** | 100.0 | 150 | 100.0 | 150 | 100.0 | 150 |
| | | | ეროვნული ასამბლეა | | | |
| კონსერვატორები | 32.6 | 4 | 23.8 | 3 | 28.3 | 3 |
| სოციალისტები | 13.5 | 1 | 27.3 | 3 | 24.1 | 2 |
| ქრისტიან-დემოკრატები | 52.1 | 7 | 42.8 | 6 | 46.4 | 8 |
| სხვები | 1.8 | 0 | 6.1 | 0 | 1.2 | 0 |
| **სულ** | 100.0 | 12 | 100.0 | 12 | 100.0 | 13[b] |

*წყარო:* მონაცემები ერვონიდან 1950, 1956, 1960.

[a]ეს ადგილი მოიპოვა რადიკალმა სოციალისტმა, რომელიც კონსერვატიული კოალიციის წევრი გახდა.

[b]1960 წლის გადანაწილებამ გოტფრიტს მოაპოვებინა დამატებითი ადგილი ეროვნულ ასამბლეაში.

**ცხრილი 26.3 უმუშევრობის მაჩვენებელი სამუშაო ასაკის ნიუ იორკელებში, 2000**

| უმუშევრობის პროცენტი | სამუშაო ძალის % | | |
|---|---|---|---|
| | მდედრობითი სქესი | მამრობითი სქესი | ორივე სქესის წარმომადგენლები |
| ყველა მუშაკი | 6.1 | 5.4 | . . . |
| განათლების მიხედვით (25-64 ასაკი) | | | |
| არასრული | 11.9 | 5.8 | . . . |
| საშუალო | 5.4 | 5.0 | . . . |
| კოლეჯის რამდენიმე | 4.2 | 4.5 | . . . |

| | | | |
|---|---|---|---|
| წელი | | | |
| ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი BA ან მეტი | 2.6 | 2.3 | . . . |
| ასაკის მიხედვით | | | |
| 16-19 | . . . | . . . | 19.3 |
| 20-34 | . . . | . . . | 6.5 |
| 35-54 | . . . | . . . | 4.7 |
| 55-64 | . . . | . . . | 2.9 |

*წყარო:* მონაცემები აღებულია ნაშრომიდანმარკ ლევიტანი, „ეს ნამდვილად აქ მოხდა: სიღარიბის ზრდა ნიუ იორკ სიტიში“, გამოცემაში *ნიუ იორკი და ლოს ანჟელესი: პოლიტიკა, საზოგადოება და კულტურა – შედარებითი მიმოხილვა,* გამომც. დევიდ ჰალე (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003), ცხრილი 8.2. *შენიშვნა:*„სამუშაო ასაკი“ განისაზღვრება 16-დან 64 წლამდე. აღწერის მონაცემებში 25 წლამდე ასაკის განათლების დონე მოკვლეული არ ყოფილა.

### 26.2.1 ცხრილის სტრუქტურა

ცხრილს გააჩნია ელემენტები, რომლებიც ანალოგიურია გრაფიკის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძებისა. ჰორიზონტალურ ღერძზე განთავსებულია *სვეტის სათაურები.* ვერტიკალურ ღერძზე – სათაურები, რომლებიც შეადგენს ეგრეთ წოდებულ *გვერდულ სვეტს.*

ცხრილში (ვერტიკალური) სვეტებისგან და (ჰორიზონტალური) სტრიქონებისგან შემდგარი ცხაური ერთმანეთს უფარდებს *დამოუკიდებელი და დამოკიდებული* ცვლადების ორ რიგს. დამოუკიდებელი ცვლადები, ტრადიციულად, თავსდება მარცხნივ, გვერდულ სვეტში. დამოკიდებული ცვლადები კი – ტრადიციულად, სვეტების სათაურებში. თუ ჩართავთ ცვლადების იმავე რიგს თქვენი ნაშრომის ორ ან ორზე მეტ ცხრილში, იყავით თანმიმდევრულნი: ყოველ ცხრილში ცვლადები უნდა ჩასვათ ერთსა და იმავე ადგილას – როგორც სვეტების სათაურებში, ისე გვერდულ სვეტში.

მონაცემებს, რომლებიც შეიძლება, იყოს სიტყვები, რიცხვები ან ორივე (იხ. ცხრილი 26.1), წერენ სვეტების სათაურების ქვეშ და გვერდული სვეტის მარჯვნივ არსებულუჯრედებში.

### 26.2.2 ცხრილების ნომრები და სათაურები

ზოგადად, ყოველ ცხრილს აქვს ნომერი და სათაური. მოათავსეთ ნომერი და სათაური მარცხნივ გასწორებულ სტრიქონზე, ცხრილის ზემოთ. დაიწყეთ სიტყვიერად *ცხრილი*, შემდეგ დაწერეთ ცხრილის ნომერი (არაბული ციფრებით) და დასვით წერტილი. ერთი ინტერვალის შემდეგ კი დაწერეთ სათაური დამაბოლოებელი წერტილის გარეშე. სათაურში მთავრული გამოიყენეთ წინადადების სტილში (იხ. 22.3.1). თუ სათაური იკავებს ერთზე მეტ სტრიქონს, შემდეგი სტრიქონები იბეჭდება მარცხნივ სწორებით, სტრიქონებს შორისერთი ინტერვალით.

ცხრილი 13. იენა-დოლარის ფარდობები იაპონურ ექსპორტში, 1995-2005.

ცხრილი, რომელიც მარტივად თავსდება ტექსტში, მაგალითად, უბრალო ორსვეტიანი ჩამონათვალი, არ საჭიროებს ნუმერაციას ან სათაურს.

ჩიკაგოს მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა მისი არსებობის პირველ საუკუნეში:

| | |
|---|---|
| 1840 | 4,470 |
| 1870 | 298,977 |
| 1900 | 1,698,575 |
| 1930 | 3,376,438 |

**ცხრილის ნომრები.** დანომრეთ ცხრილები ცალკე და სურათები ცალკე, იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მოიხსენიებთ მათ ტექსტში. თუ გაქვთ სულ რამდენიმე ცხრილი, დანომრეთ ისინი თანმიმდევრულად მთელ ნაშრომში, თავების ჩათვლით. თუ თქვენს ნაშრომში ბევრი ცხრილი და თავია, გამოიყენეთ ორმაგი ნუმერაცია; ანუ, დაბეჭდეთ თავის ნომერი, შემდეგ წერტილი, შემდეგ ცხრილის ნომერი, როგორც ნაჩვენებია *ცხრილში 12.4.*

როდესაც ტექსტში მოიხსენიებთ ცხრილს, მიუთითეთ ცხრილის ნომერი („მე-3 ცხრილში") ნაცვლად მისი ადგილმდებარეობისა („ქვემოთ"), ვინაიდან შეიძლება, მოგიხდეთ ცხრილის გადაადგილება ნაშრომის რედაქტირების ან დაფორმატების პროცესში.

**ცხრილის სათაურები.** ცხრილების სათაურები უნდა იყოს მოკლე, თუმცა, საკმაოდ მრავლისმეტყველი, რათა მიანიშნოს მათი მონაცემების სპეციფიკურ ხასიათზე და განასხვაოს ცხრილები ერთმანეთისგან. შესაფერისი სათაურების დაწერის წესები იხილეთ 8.3.1-ში.ცხრილების სათაურები შეიძლება, წარმოადგინოთ უფრო მცირე ზომის შრიფტით, ვიდრე დანარჩენი ტექსტი; გაეცანით თქვენს ადგილობრივ სახელმძღვანელო მითითებებს.

### 16.2.3 სვეტების ხაზები

ხაზები გამოყოფს სხვადასხვა ტიპის მონაცემებს და ტექსტს. ეტისმეტად ბევრი ხაზი დამაბნეველია, ამიტომ გამოიყენეთ ისინი ეკონომიურად და თანმიმდევრულად (იხ., ასევე, 8.3.2).

- გაავლეთ მსხვილი ჰორიზონტალური ხაზები, რათა გამოყოთ სათაური სვეტების სათაურებისგან (იხ. 26.2.4), სვეტების სათაურები – ცხრილის ძირითადი ნაწილისგან, ხოლო ძირითადი ნაწილი – სქოლიოებისგან. ჟამების სტრიქონის ზემოთ ხაზის გავლება ტრადიციულია, თუმცა, არა არსებითი. ტექსტში ორსვეტიანი ცხრილები უმჯობესია, განთავსდეს ხაზების გარეშე, იმ პირობით, რომ სვეტების სათაურები გამოყოფილი იქნება ტიპოგრაფიული წესით.

- გამოყენეთ ნახევრად მსხვილი ჰორიზონტალური ხაზები, რათა უჩვენოთ, სვეტების რომელი სათაურები და რომელი სვეტები ექვემდებარება სპეციალური ტიპის სათაურებს, თუ მათ იყენებთ (იხ. 26.2.4; ცხრილი 26.2).

- სვეტებს შორის საკმარისი ადგილი დატოვეთ, რათა არ მოგიხდეთ შიდა ვერტიკალური ან სხვა ჰორიზონტალური ხაზების გამოყენება. ნუ იხმართ ვერტიკალურ ხაზებს ცხრილის ჩარჩოში მოთავსების მიზნით. თუმცა, გვერდიგვერდ განლაგებული გრძელი და ვიწრო ცხრილის შემთხვევაში (იხ. 26.1.2), გამოიყენეთ ვერტიკალური ხაზი ორი ნაწილის გამოსაყოფად.

- მოერიდეთ ხაზების ნაცვლად ჩრდილების გამოყენებას, თუ ცხრილი არ არის გრძელი ან რთული (იხ. 8.3.2). ეცადეთ, ასევე, არ იხმაროთ ფერები მაშინაც კი, როცა თქვენი ნაშრომი იბეჭდება ფერად პრინტერზე, რადგან შემდგომში იგი შეიძლება, დაიბეჭდოს ან გამრავლდეს შავ-თეთრ ფერებში და თუ ნაშრომი დისერტაციაა, ის, შეიძლება, მიკროფილმითაც გააშუქონ. ნებისმიერ ამ ფორმაში

ჩრდილები და ფერები მკაფიოდ არ ჩანს. ჩრდილების გამოყენებისას დარწმუნდით, რომ ტექსტი კარგად იკითხება, არ იხმაროთ სხვადასხვა ელფერი, რადგან მათ შორის განსხვავება შეიძლება, არ გამოჩნდეს.

### 26.2.4 სვეტების სათაურები

ცხრილში უნდა იყოს მინიმუმ ორი სვეტი, ყოველი სვეტის თავშია *სათაური,* რომელიც ასახელებს ქვედა სვეტში მოყვანილ მონაცემებს.

- სვეტების სათაურებისთვის გამოიყენეთ არსებითი სახელის შემცველი ფრაზები. ეცადეთ, რომ სათაური იყოს მოკლე (ან მოათავსეთ უჯრედში, როგორც ნაჩვენებია 26.1 და 26.2 ცხრილებში), რათა ცხრილი არ გამოგივიდეთ მეტისმეტად განიერი.
- სვეტების სათაურები ჩასვით მხოლობითში ან მრავლობითში, ქვემოთ მოთავსებული მონაცემებიდან გამომდინარე. გვერდული სვეტების სათაურები, ჩვეულებრივ, მხოლობით რიცხვშია (იხ. 26.2.5).
- დაწერეთ სვეტების სათაურები მთავრულით წინადადების სტილში (იხ. 22.3.1).
- გაასწორეთ გვერდული სვეტების სათაურები მარცხნივ; დანარჩენი სვეტების სათაურები მოათავსეთ ცენტრში სვეტების ქვემოთ, ყველაზე ფართო ჩანაწერის თავზე. ჰორიზონტალურად გაასწორეთ ყველა სათაურის ქვედა სტრიქონი.

თუ მონაცემები რთულია, სვეტების სათაურებთან ერთად შესაძლოა, დაგჭირდეთ სპეციალური ტიპის სათაურების დართვა. ასეთი სათაური შეიძლება, მოიცავდეს მონაცემთა ორ ან მეტ სვეტს. მოათავსეთ სათაური ცენტრში, შესაბამისი სვეტების თავზე და გაუსვით ქვემოთ (და, თუ საჭიროა, ზემოთ) ნახევრად მსხვილი ჰორიზონტალური ხაზი. 26.2 ცხრილში ნაჩვენებია სათაურები როგორც სვეტების სათაურების ზემოთ (“1950”), ისე ქვემოთ.

სათაურებს შეიძლება, ჰქონდეს განმარტებითი აღნიშვნები ქვედასვეტში წარმოდგენილი მონაცემების ასახსნელად ან საზომიერთეულის საჩვენებლად. ჩასვით ასეთი აღნიშვნები ფრჩხილებში. აღნიშვნებისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ აბრევიატურები და სიმბოლოები (კმ/ლ, კმ, კგ.,

%, $და ა.შ.), ამასთან, დაიცავით თანმიმდევრობა ცხრილებში და მათ შორის.

პასუხები(%)                    პესო (მილიონი)

### 26.2.5 გვერდული სვეტი

ცხრილის გვერდულ სვეტად წოდებულ მარცხნიდან პირველ სვეტში ჩამოთვლილია ყოველ რიგში წარმოდგენილ მონაცემთა კატეგორიები.

- ყველგან, სადაც შესაძლებელია, გვერდულ სვეტს დაურთეთ სვეტის სათაური, მაშინაც, როცა სათაური საერთო ტერმინია („ტიპური მახასიათებელი“ ან „ცვლადი“). გამოტოვეთ სათაური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის,უბრალოდ, იმეორებს ცხრილის სათაურს ან თუ გვერდული სვეტის კატეგორიები ძალზე მრავალფეროვანია ერთი სათაურისთვის.

- ყველგან, სადაც შესაძლებელია, წარმოადგინეთ გვერდული სვეტის პუნქტები, როგორც არსებითი სახელები ან სახელობითი ჯგუფები და თანმიმდევრულად დაიცავით მათი ფორმა: „წიგნები, საჟურნალო სტატიები, ხელნაწერები და არა „წიგნები, ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ხელნაწერები“. ყველა ცხრილში ერთი და იგივე პუნქტისთვის გამოიყენეთ ერთი და იგივე სიტყვა (მაგალითად, თუ ერთ ცხრილში დაწერთ *ყოფილი სსრკ*, ნუ იხმართ მეორე ცხრილში ფრაზას *ყოფილი საბჭოთა კავშირი*).

- დაწერეთ მთავრულით გვერდული სვეტის ყველა პუნქტი – წინადადების სტილში (იხ. 22.3.1), დამაბოლოებელი წერტილების გარეშე.

- გაასწორეთ გვერდული სვეტის სათაური და პუნქტები მარცხნივ და დაწერეთ დახრილი შრიფტით მეორე სტრიქონზე გადასული ნებისმიერი სიტყვა (როგორც 26.1 ცხრილზეა ნაჩვენები).

- ცხრილში მოცემული ციფრების ჯამის საჩვენებლად დაურთეთ, დახრილი შრიფტით, გვერდული სვეტის პუნქტი სახელწოდებით *ჯამი* (იხ.ცხრილი 26.2).

თუ, მთავარ პუნქტებთან ერთად, გვერდული სვეტი ასევე შეცავს ქვეპუნქტებს (იხ. ცხრილი 26.3), გამოყავით ისინი შეწეული აბზაცით, ტექსტის ტიპოგრაფიული მონიშვნით (მაგალითად, დახრილი შრიფტით) ან ორივეს მეშვეობით. მთავრული შრიფტის ხმარებისას და სხვა წესების

გამოყენებისას იხელმძღვანელეთ მთავარი პუნქტებისთვის განკუთვნილი ზემოთ მოყვანილი პრინციპებით.

### 26.2.6 ცხრილის ცენტრალური ნაწილი

ცხრილის ცენტრალური ნაწილი შედგება თქვენი მონაცემების - სიტყვების, რიცხვების ან ორივეს - შემცველი *უჯრედებისგან* (იხ. ცხრილი 26.1).

თუ მონაცემები რიცხობრივია და სვეტში ან მთელ ცხრილში წარმოდგენილი ყველა მნიშვნელობა მოცემულია ათასებში ან მილიონებში, გამოტოვეთ მარჯვნიდან ბოლო ნოლები და შესაბამისი სვეტის სათაურის აღნიშვნაში (იხ. 26.2.4), ცხრილის სათაურში (26.2.2) ან სქოლიოში (26.2.7) მიუთითეთ ერთეული. მიუთითეთ ცარიელი უჯრედი ცენტრში მოქცეული ინტერვალებიანი სამი წერტილით (მრავალწერტილით), როგორც ნაჩვენებია 26.3 ცხრილში.

**ჰორიზონტალური გასწორება.** ყოველი რიგის მონაცემები გაუსწორეთ ამ რიგის გვერდული სვეტის პუნქტს.

- თუ გვერდული სვეტის პუნქტი გადადის ორ ან მეტ ხაზზე, ხოლო შესაბამისი მონაცემები ერთ ხაზზე თავსდება, გაუსწორეთ რიგი გვერდული სვეტის პუნქტის ქვედა სტრიქონს (იხილეთ რიგი, დაწყებული ფრაზით „წმინდა სულის ეკლესია“ 26.1 ცხრილში).
- თუ როგორც გვერდული სვეტის პუნქტი, ისე მონაცემები გადადის ორ ან მეტ ხაზზე, გაუსწორეთ რიგი გვერდული სვეტის პუნქტის ზედა სტრიქონს (იხილეთ რიგი, დაწყებული ფრაზით „მთა ნიბოს აპოსტოლური“ 26.1 ცხრილში).
- თუ საჭიროა, ჩასვით *პუნქტირის ხაზები,* რომლებიც მკითხველის ყურადღებას მიმართავს გვერდული სვეტიდან პირველი სვეტის მონაცემებისკენ. (პუნქტირის ხაზების ამგვარი გამოყენების მაგალითი იხილეთ სურათზე A.5.)

**ვერტიკალური სწორება.** გაასწორეთ ციფრების სვეტი ვერტიკალურად მათი ფაქტიური ან ნაგულისხმევი ათობითი წერტილების მიხედვით, მარჯვნიდან ბოლო რიცხვზე გასწორებით, რათა მკითხველებს შეეძლოთ სვეტში წარმოდგენილი მნიშვნელობების ერთმანეთთან შედარება. თუ

სვეტში მოცემულ ყველა რიცხობრივ მნიშვნელობას ერთვის ნოლი ათობითი წერტილის წინ, შეგიძლიათ გამოტოვოთ ნოლები (იხ. სურათი A.13).

გაასწორეთ დოლარისა და პროცენტის ნიშნები, ხარისხები და ა.შ. მაგრამ თუ ისინი გვხვდება სვეტის ყველა უჯრედში, ამოშალეთ ისინი უჯრედებიდან და სვეტის სათაურში მიუთითეთ ერთეული აღნიშვნის სახით (იხ. 26.2.4, ცხრილი 26.2 და სურათი A.13).

თუ მონაცემები შეიცავს სიტყვებს, განათავსეთ ყოველი სვეტის ცენტრში სათაურის ქვეშ. თუ ნებისმიერ პუნქტს აქვს მეორე ხაზზე გადასული ტექსტი, გაასწორეთ ყოველი სვეტი მარცხნივ (იხ. ცხრილი 26.1).

### 26.2.7 გვერდობლივი შენიშვნები

თუ ცხრილში გვხვდება გვერდობლივი შენიშვნები, გაასწორეთ ისინი მარცხნივ, სტრიქონებს შორის ერთი ინტერვალით. დატოვეთ ცარიელი სტრიქონი ცხრილის ქვედა ხაზსა და პირველ შენიშვნას შორის და ასევე, შენიშვნებს შორის. გვერდობლივი შენიშვნები შეიძლება, დაიბეჭდოს უფრო მცირე შრიფტით, ვიდრე დანარჩენი ტექსტი; ჩაიხედეთ თქვენს ადგილობრივ სახელმძღვანელო მითითებებში.

ცხრილებისთვის გაკუთვნილი შენიშვნები შეიძლება, ოთხი ტიპის იყოს: (1) წყაროს აღმნიშვნელი სტრიქონები (რომლებიც განვიხილეთ 26.1.3-ში), (2) ზოგადი შენიშნვები, რომლებიც ეხება მთელ ცხრილს, (3) შენიშვნები რომლებიც ეხება ცხრილის კონკრეტულ ნაწილებს და (4) შენიშვნები სტატისტიკური მნიშვნელობის ხარისხის შესახებ. თუ თქვენ გაქვთ ერთზე მეტი ტიპის შენიშვნა, დააწყვეთ ისინი ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით.

**ზოგადი შენიშვნები.** ზოგადი შენიშვნები ეხება მთელ ცხრილს. ისინი განსაზღვრავს აბრევიატურებს, განმარტავს ცხრილის სათაურს, აკონკრეტებს, როგორ ხდებოდა მონაცემების შეგროვება ან მოპოვება, მიუთითებს მნიშვნელობების დამრგვალებაზე და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულს ერთ შენიშვნაში მოუყარეთ თავი. ცხრილში ან მის სათაურში ნუ დაწერთ შენიშვნის ნომერს (ან სხვა სიმბოლოს), ნურც

საკუთრივ შენიშვნას მიაწერთ ნომერს. უბრალოდ, დაიწყეთ შენიშვნა სიტყვით *შენიშვნა* (დახრილი შრიფტით, მომდევნო ორი წერტილით). იხ, ასევე, 26.3.

*შენიშვნა*: რადგან ყველა მონაცემზე არ მიგვიწვდებოდა ხელი, ჯამებს შორის შეუსაბამობაა.

**სპეციფიკური შენიშვნები.** შენიშვნები, რომლებიც შეიცავს ცხრილის კონკრეტული პუნქტის ახსნა-განმარტებებს, შეიძლება, დავურთოთ ცხრილის ნებისმიერ ნაწილს, გარდა ცხრილის ნომრის ან სათაურისა. მიუთითეთ ასეთ შენიშვნაზე სტრიქონზედა ინდექსით, გამოიყენეთ ნუსხური ასოები ნაცვლად რიცხვებისა, როგორც ცხრილში, ისე, საკუთრივ, შენიშვნაში. შენიშვნის განმარტება დაიწყეთ არა სიტყვით *შენიშვნა,* არამედ სტრიქონზედა ინდექსით, რომელიც იგივე ასოა, რაც ცხრილში მითითებისას გამოიყენეთ. ნუ დაწერთ წერტილს ან ორწერტილს სტრიქონზედა ინდექსის შემდეგ.

[a]ჯამი არ შეიცავს ვაჭრობის მუშაკებსა და მუშებს.

თუ ცხრილში ჩასვამთ ერთზე მეტ ასეთ შენიშვნას (როგორც ნაჩვენებია ცხრილში 26.2), დაიცავით თანმიმდევრობა, დაიწყეთ ცხრილის ზედა მარცხენა ნაწილიდან, მარცხნიდან მარჯვნივ, შემდეგ ჩამოუყევით ქვემოთ – რიგიდან რიგამდე. თუ შენიშვნა ეხება ცხრილის ორ ან ორზე მეტ პუნქტს, იხმარეთ იგივე ასო ყოველი პუნქტისთვის; თუ შენიშვნა ეხება სვეტის ან რიგის ყველა პუნქტს, დაურთეთ ასო შესაბამისი სვეტის სათაურს ან გვერდული სვეტის პუნქტს.

**შენიშვნები სტატისტიკური მნიშვნელობის შესახებ.** თუ დაურთავთ შენიშვნებს თქვენი მონაცემების სტატისტიკური მნიშვნელობის შესახებ (რომლებსაც, ასევე, ეწოდება შენიშვნები ალბათობაზე) და თუ მნიშვნელობის დონე სტანდარტულია, აღნიშნეთ შენიშვნები ფიფქით როგორც ცხრილში, ისე საკუთრივ შენიშვნაში. იხმარეთ ერთი ფიფქი ალბათობის ყველაზე დაბალი დონესთვის, ორი ფიფქი – მომდევნო უფრო მაღალი დონესთვის და სამი – მომდევნო უფრო მაღალი დონესთვის. ამასთან, თუ აღნიშნავთ არა სტანდარტულ, არამედ სხვა მნიშვნელობის

ხარისხებს, ფიფქის ნაცვლად იხმარეთ სტრიქონზედა ინდექსები. ვინაიდან ეს სქოლიოები მოკლეა და ერთი მიზანი აქვს, შეგიძლიათ, ერთ სტრიქონზე გააერთიანოთ, ინტერვალით, შუალედური პუნქტუაციის გარეშე. ასო*p* (*ალბათობა,*წერტილის გარეშე) იწერება ნუსხურით და დახრილი შრიფტით. გამოტოვეთ ნოლები ათობითი წერტილების წინ.

*$p$<.05 **$p$ <.01 ***$p$ <.001

## 26.3 სურათები

ტერმინი *სურათი* გულისხმობს სხვადასხვა გამოსახულებას, მათ შორის, სქემებს, გრაფიკებს, დიაგრამებს, ფოტოებს, რუკებს, მუსიკალური ნაწარმოებების ნიმუშებს და ნახაზებს. დღესდღეობით შესაძლებელია ამ მასალების უმეტესობის ელექტრონულად მომზადება და ნაშრომში ჩართვა. ტექნიკური დეტალები დამოკიდებულია გამოყენებულ კომპიუტერულ პროგრამაზე და ძალზე რთულია იმისთვის, რომ სრულად ავსახოთ წინამდებარე წიგნში. თუმცა, რამდენიმე ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპი წარმოდგენილია დანართის A.3.1-ში.

წინამდებარე ნაწილში ნაჩვენებია მონაცემებისგან შექმნილი ორი ტიპის სურათის - სქემებისა და გრაფიკების - წარმოდგენის რამდენიმე პრინციპი. აქვე განხილულია ყველა ტიპის სურათის წარწერები.

ვიდეოები, ანიმაციები ან სხვა მულტიმედიური ფაილები, რომელთა ბეჭდურ ფორმაში წარმოდგენა შეუძლებელია, მიიჩნიეთ დანართად (იხ.A.2.3).

### 26.3.1 დიაგრამები და გრაფიკები

ბევრ შემთხვევაში შესაძლოა, მოისურვოთ მონაცემების სქემის ან გრაფიკის ფორმით წარმოდგენა. მე-8 თავში ნაჩვენებია ამ გრაფიკული ფორმების გამოყენების კრიტერიუმები და მათი აგების ზოგადი პრინციპები. დიაგრამებისა და გრაფიკების აგების დეტალური სახელმძღვანელო მითითებებისთვის მიმართეთ ავტორიტეტულ წყაროს.

თქვენი ნაშრომის ყოველი დიაგრამა და გრაფიკი ისეთი ფორმის უნდა იყოს, რომ საუკეთესოდ ასახოს მისი მონაცემები და დაასაბუთოს მასში გამოთქმული მტკიცებები. თუმცა, მნიშვნელოვანია შეთანხმებულობა როგორც დიაგრამებსა და გრაფიკებს შიგნით, ისე მათ შორის, რათა მკითხველები კარგად გაერკვნენ თქვენს მონაცემებში. ნებისმიერი ტიპის დიაგრამისა თუ გრაფიკის შემთხვევაში საჭიროა, მხედველობაში იქონიოთ შემდეგი პრინციპები:

- ერთნაირი ტიპის ელემენტები – ღერძები, ხაზები, წერტილები, სვეტები და სოლები – წარმოადგინეთ ერთნაირად. გამოიყენეთ გამოკვეთილი ვიზუალური ეფექტები მხოლოდ იმისთვის, რომ განასხვავოთ ელემენტები და არა იმისთვის, რომ შექმნათ დამატებითი ეფექტი.

- ყველა რიცხობრივი მონაცემისთვის იხმარეთ არაბული ციფრები.

- ყველა აღნიშვნა უნდა იყოს მოკლე და შეესაბამებოდეს ცხრილების კარგად დასათაურების წესებს (იხ. 8.3.1). გამოიყენეთ სურათის წარწერა (იხ. 26.3.2) მონაცემთა ყველა იმ ასპექტის ასახსნელად, რომლის ასახვაც შეუძლებელია აღნიშვნებში. ადგილის დაზოგვის მიზნით შეგიძლიათ, უფრო თავისუფლად გამოიყენოთ აბრევიატურები და სიმბოლოები, ვიდრე ეს ტექსტშია ნებადართული, მაგრამ იხმარეთ ისინი ზომიერად და თანმიმდევრულად. სტანდარტული აბრევიატურების არარსებობისას შექმნეთ თქვენი აბრევიატურები და განმარტეთ ისინი წარწერაში ან, თუ აბრევიატურა ბევრია, თქვენი ნაშრომის სატიტულო ელემენტებში მოცემულ აბრევიატურების ჩამონათვალში (იხ.A.2.1).

- აღნიშნეთ დიაგრამის ან გრაფიკის ყველა ის ხაზი, წერტილი ან სხვა ელემენტი, რომელიც საჭიროებს განმარტებას. თუ ფრაზები და ცალკეული სიტყვები ერთად არის წარმოდგენილი, ყველა მათგანი ერთ სტილში გააფორმეთ (როგორც ნაჩვენებია სურათში 8.3). ღერძის აღნიშვნის სხვა ზემოხსენებული პრინციპები ვრცელდება, ასევე, ამ ტიპის აღნიშვნებზე.

- მოერიდეთ გამუქებას და ფერების გამოყენებას მაშინაც კი, თუ თქვენი ნაშრომი დაიბეჭდება ფერად პრინტერზე, რადგანის შეიძლება, შემდგომში დაიბეჭდოს ან გამრავლდეს შავ-თეთრ ფერებში, სადაც გამუქება და ფერი,შესაძლოა, მკაფიოდ არ გამოჩნდეს. გამუქებისას

ეცადეთ, არ გაამუქოთ სურათის ტექსტი და არ იხმაროთ სხვადასხვა ელფერი, რადგან მათ შორის განსხვავება შეიძლება, არ გამოჩნდეს.

### 26.3.2 სურათების ნომრები და წარწერები

ზოგადად, თქვენი ნაშრომის ყველა სურათს უნდა ჰქონდეს ნომერი და წარწერა. თუ ნაშრომში დაურთავთ მხოლოდ რამდენიმე სურათს და ტექსტში მათზე კონკრეტულად არ მიუთითებთ, გამოტოვეთ ნომრები. წარწერები სურათებზე კეთდება დანარჩენ ტექსტზე უფრო მცირე ზომის შრიფტით; ჩაიხედეთ თქვენს ადგილობრივ სახელმძღვანელო მითითებებში.

სურათის ქვემოთ, სტრიქონის დასაწყისში დაწერეთ სიტყვა *სურათი* (გასწორებული მარცხნივ, მთავრულით, სწორი შრიფტით), შემდეგ სურათის ნომერი (არაბული ციფრებით), შემდეგ წერტილი. ინტერვალის შემდეგ – წარწერა, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოსდევს დამაბოლოებელი წერტილი (მაგრამ ნახეთ ქვემოთ). თუ წარწერა იკავებს ერთზე მეტ სტრიქონს, შემდეგ სტრიქონებზე გადასული სიტყვები უნდა გასწორდეს მარცხნივ, სტრიქონებს შორის ერთი ინტერვალით.

სურათი 6. კორდოვას დიდი მეჩეთი, მე-8-10 საუკუნეები.

ნაწარმოებების ნიმუშების სურათებს დააწერეთ ნომერი და წარწერა ზემოთ.

**სურათების ნომრები.** სურათები დანომრეთ ცალკე, ცხრილები ცალკე, იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მოიხსენიებთ მათ ტექსტში. თუ გაქვთ მხოლოდ რამდენიმე სურათი, დანომრეთ ისინი თანმიმდევრულად მთელ ტექსტში, თავების ჩათვლით. თუ ნაშრომში ბევრი სურათი და ბევრი თავია, გამოიყენეთ ორმაგი ნუმერაცია ანუ თავის ნომერი, შემდეგ წერტილი, შემდეგ სურათის ნომერი, როგორც ნაჩვენებია *12.4 სურათზე.*

როდესაც ტექსტში მოიხსენიებთ სურათს, მიუთითეთ სურათის ნომერი („მე-3 სურათზე“) ნაცვლად მისი ადგილმდებარეობის მითითებისა („ქვემოთ“), ვინაიდან ნაშრომის რედაქტირების ან დაფორმატების დროს შეიძლება, გადაადგილოთ სურათი. ტექსტში სურათებზე მიმანიშნებელ აღნიშვნებში ნუ დაწერთ მთავრულით სიტყვას *სურათი* და ნუ

შეამოკლებთ მას როგორც *სურ.*, გარდა ფრჩხილებში ჩასმული მითითებებისა – მაგალითად, „(ნახე სურ. 10)".

**სურათების წარწერები.** სურათების წარწერები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ცხრილების სათაურები. ზოგ შემთხვევაში წარწერები შეიძლება, შედგებოდეს მხოლოდ სახელობითი ჯგუფისგან, (იხ. 22.3.1), წერტილის გარეშე.

სურათი 9. ბეთიუნი მერი მაკლაუდი – შავი კაბინეტის ლიდერი ამ პერიოდის განმავლობაში

უფრო რთული წარწერები იწყება სახელობითი ჯგუფისგან, რომელსაც ერთი ან მეტი სრული წინადადება მოსდევს. ამ წარწერებს დასმული აქვთ დამაბოლოებელი წერტილები, საწყისი არასრული წინადადების შემდეგაც. თუ თქვენი წარწერები შეიცავს ამ ორი ტიპის ნარევს, თანმიმდევრულობის შესანარჩუნებლად შეგიძლიათ, დასვათ დამაბოლოებელი წერტილი პირველი ტიპის წარწერების შემდეგ.

სურათი 16. ბენიტო ხუარესი. მექსიკის გამოჩენილი პრეზიდენტი, აბრაამ ლინკოლნის თანამედროვე და მეგობარი, განასახიერებს შუა საუკუნის მძიმე ბრძოლებში მოპოვებულ მექსიკური ლიბერალიზმის გამარჯვებას. ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ბანკროფტის ბიბლიოთეკის საკუთრება.

როდესაც სურათს აქვს წყაროს აღმნიშვნელი ხაზი, დაურთეთ იგი წარწერის ბოლოს, 26.1.3-ის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

სურათი 2.7. იაოს ველი, ბოლო ბრძოლის ადგილი. ანასტასია ნოვაგის ფოტო.

ზოგჯერ წარწერა ერთვის ისეთ სურათს, რომელიც შეიცავს რამდენიმე ნაწილს. მიუთითეთ წარწერაში ნაწილი ტერმინებით *თავში, ქვემოთ, ზემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ ან მარცხნიდან საათის ისრის მიმართულებით* (დახრილი შრიფტით, რათა განასხვაოთ საკუთრივ წარწერისგან) ან დახრილი შრიფტით.

სურათი 6. *ზემოთ, მარცხნივ,* უილიამ ლივინგსტონი; *მარჯვნივ,* ჰენრი ბროკჰოლსტ ლივინგსტონი; *ქვემოთ, მარცხნივ,* ჯონ ჯეი; *მარჯვნივ,* სარა ლივინგსტონ ჯეი.
სურათი 15. ჰავაიური ანკესების ოთხი ტიპი: ა, ეკლიანი ანკესიკუს ზაკნისგან; *ბ,* ანკესი სატყუარი მარგალიტის ნიჟარისგან და ადამიანის ძვლის წვეროთი.

თუ სურათის წარწერა ვერ ეტევა იმავე გვერდზე, რომელზეც საკუთრივ სურათია განთავსებული, ჩასვით იგი ტექსტის უახლოეს წინმსწრებ გვერდზე (იხ.3.1), ადგილმდებარეობის მითითებით, დახრილი შრიფტით სურათის ნომრისა და წარწერის წინ.

*შემდეგ გვერდზე.*სურათი 19. ცოლ-ქმარი 20-დიუმიანი ფერადი ტელევიზორით. 1980-იანი წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა ძლიერი სტიმული მისცა სამომხმარებლო ინტერესის ზრდას ჩინეთში.

## დანართი ნაშრომის ფორმატი და მისი ჩაბარება

**ა.1 ფორმატთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები**

ა.1.1. არე

ა.1.2. შრიფტის სახეობა

ა.1.3. სტრიქონებს შორის დაშორება, აბზაცი

ა.1.4. გვერდების ორგანიზება

ა.1.5. სათაურები

**ა.2 ფორმატთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები**

ა.2.1. წინა გვერდები

ა.2.2. ტექსტი

ა.2.3. უკანა გვერდები

**ა.3. ჩაბარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები**

ა.3.1. თქვენი ფაილების მომზადება

ა.3.2. ამობეჭდილი ვერსიის ჩაბარება

ა.3.3. ელექტრონული ვერსიის ჩაბარება

როდესაც სადიპლომო ნაშრომს, დისერტაციას ან რაიმე თემას წერთ, აუცილებელია, დაიცვათ ფორმატისა და სტილის გარკვეული მოთხოვნები. სადიპლომო ნაშრომისა და დისერტაციის შემთხვევაში ამ მოთხოვნებს თქვენი კათედრა ან უნივერსიტეტის სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების სამსახური ადგენს; საკურსო თემის შემთხვევაში, მოთხოვნებს თქვენი ინსტრუქტორი განსაზღვრავს. ასევე, შესაძლებელია, თემის ჩაბარებისას სპეციფიკური პროცედურების დაცვა მოგთხოვონ, მაგალითად, ამობეჭდილი ვერსია უნდა ჩააბაროთ თუ ელექტრონული.

როცა სადიპლომო ნაშრომს ან დისერტაციას ამზადებთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამ მოთხოვნებს. თქვენ შეგაფასებენ იმის მიხედვითაც, რამდენად იცავთ თქვენს სფეროში დადგენილ აკადემიურ წესებს და მოთხოვნებს. ფორმატთან და ჩაბარებასთან დაკავშირებული წესების უმრავლესობა გამიზნულია იმისათვის, რომ თქვენი ნაშრომი შეინახოს, იქნება ეს აკინძული თუ ელექტრონული სახით და მომავალში ხელმისაწვდომი იყოს მკითხველისთვის.

აქ მოცემული მითითებები ფორმატისა და ნაშრომის ჩაბარების შესახებ ფართოდაა მიღებული სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების მომზადებისას. თუმცა, უნივერსიტეტების უმრავლესობას საკუთარი მოთხოვნები აქვს, რომლებიც, როგორც წესი, ხელმისაწვდომია სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების სამსახურში. სანამ თქვენს სადიპლომო ნაშრომს ან დისერტაციას ჩააბარებთ, გადახედეთ თქვენი კათედრის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები აქ მოცემულ მითითებებზე უპირატესია.

ზოგადად, საკურსო ნაშრომთან დაკავშირებული მოთხოვნები ნაკლებად მკაცრი და მრავლისმომცველია, ვიდრე სადიპლომო ნაშრომთან და დისერტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საკურსო თემები, როგორც წესი, ნაკლებ ელემენტებს მოიცავს და ვინაიდან მათ არც კინძავენ და არც ელექტრონულად ინახავენ, ჩაბარების განსაკუთრებული მოთხოვნები არ არსებობს. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, უნდა დაიცვათ თქვენს სფეროში დაწესებული წესები თემის დაფორმატებისას, რადგან ისინი მკითხველს ეხმარება, სწრაფად მოახდინოს სქოლიოებისა თუ ვრცელი ციტატების იდენტიფიცირება. თუ თქვენი თემის ფორმატთან დაკავშირებით რაიმე კითხვები გაქვთ, შეეკითხეთ თქვენს ინსტრუქტორს ან გაესაუბრეთ თქვენი კათედრის წარმომადგენლებს.

ამ დანართში მოცემულ ინსტრუქციებში ნაგულისხმებია, რომ თქვენ თემას კომპიუტერზე მოამზადებთ. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული ტექსტური რედაქტორები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მათი უმეტესობა ავტომატურად აკეთებს არეებს, სქოლიოებს, ნომრავს გვერდებს. თუმცა, თუკი სპეციფიკურ მითითებებს უნდა მისდიოთ, განსაკუთრებით, არეებთან და ფორმატირების სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, შეამოწმეთ თქვენი თემის ამობეჭდილი ვარიანტი (უმჯობესია, ხელთ სახაზავი იქონიოთ) მანამ, სანამ მას ჩააბარებთ. მართალია, პროგრამულმა უზრუნველყოფამ გაამარტივა თემის დაფორმატება, მაგრამ იგი ბოლომდე ვერასდროს შეცვლის თქვენს განსჯას.

## ა.1 ფორმატთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

ამ სექციაში აღწერილია ფორმატთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, რომლებიც თქვენს ნაშრომს ეხება. ინფორმაცია სპეციფიკური ელემენტებისა და მათი ფორმატირების შესახებ იხილეთ ა.2-ში. თქვენს ინსტრუქტორს, კათედრას

ან უნივერსიტეტს შესაძლოა, დაწესებული ჰქონდეს ნორმები, რომლებიც აქ მოცემული ინსტრუქციებისგან განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში, აქ მოცემულ ინსტრუქციებთან შედარებით, უპირატესობა თქვენს ადგილობრივ ინსტრუქციებს ენიჭება.

**ა.1.1. მინდვრები**

ზოგადად ყველა თემა ამერიკის შეერთებულ შტატებში სტანდარტული ზომის ფურცელზე იწერება - 8, 5 X 11 (ინჩი). დატოვეთ, დაახლოებით, ერთი ინჩის ზომის მინდორი გვერდის ოთხივე მხარეს. სადიპლომო ნაშრომის ან დისერტაციის შემთხვევაში, შესაძლოა, მარცხენა მხარეს უფრო დიდი მინდვრის დაცვა დაგჭირდეთ, როგორც წესი – 1,5 ინჩის.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ნებისმიერ სქოლიოსა და ფურცლის თავში დაწერილი ინფორმაცია, მათ შორის, ქუდშიც და სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, იმ ზომის მინდვრებში უნდა მოექცეს (იხ. ა.1.4), რაც ადგილობრივი ინსტრუქციებითაა განსაზღვრული.

**ა.1.2. შრიფტის სახეობა**

თქვენი ტექსტისთვის აირჩიეთ შრიფტი, რომელიც კარგად იკითხება, მაგალითად, Times New Roman ან Palatino და გამოიყენეთ ის მთელ ნაშრომში. მოერიდეთ ორნამენტებიან შრიფტებს. ასეთი შრიფტის გამო მკითხველმა შეიძლება, ნაკლებად სერიოზულად აღიქვას თქვენი ნაშრომი. (შრიფტების სპეციფიკური მახასიათებლებისთვის, იხილეთ რობერტ ბრაინჰერსტის ნაშრომი, *ტიპოგრაფიული სტილის ელემენტები* [Point Roberts, WA: Hartley & Marks, 2004]). თემების უმრავლესობისთვის, უმჯობესია, გამოიყენოთ 12 ზომის შრიფტი, ან მინიმუმ 10 ზომის მაინც. ზოგიერთი უნივერსიტეტი ითხოვს 12 ზომის შრიფტს ტექსტისთვის და 10 ზომის შრიფტს სქოლიოების და შენიშვნების, სქემებისა და ცხრილებში მოცემული წარწერებისთვის.

**ა.1.3. სტრიქონებს შორის დაშორება, აბზაცი**

ნაშრომის ტექსტში სტრიქონები ორი ხაზით დააშორეთ, გარდა ქვემოთ მოცემული შემთხვევებისა, სადაც მხოლოდ ერთი ხაზი უნდა იყოს გამოტოვებული:

- ვრცელი ციტატები (იხ. 25.2.2)

- ცხრილების სათაურები და სქემის წარწერები

ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტებში, გააკეთეთ სტანდარტული, ერთმაგი დაშორება თითოეულ სტრიქონს შორის, მაგრამ ერთეულები გამოყავით ერთმანეთისგან ორმაგი დაშორებით.

- გარკვეული ელემენტები წინა გვერდებზე (იხ. ა.2.1), მათ შორის, შინაარსი და სქემების, ცხრილებისა თუ აბრევიატურების ნებისმიერი ჩამონათვალი
- სქოლიოები და შენიშვნები
- ბიბლიოგრაფია და სახელთა საძიებელი

ზოგიერთი კათედრა ან უნივერსიტეტი სტრიქონებს შორის დაცილებას არა ჯერადობის (ერთმაგი, ორმაგი და მისთ), არამედ ერთეულების მიხედვით (მაგალითად, „ზუსტად 24 ერთეული") მიხედვით განსაზღვრავს. ამის გაკეთება ბევრ ტექსტურ რედაქტორშია შესაძლებელი.

საშვენი ნიშნის გამოყენებისას, მხოლოდ ერთი ერთეულით დააშორეთ სიმბოლოები ტექსტს. აბზაცის გამოყოფისას, უმჯობესია, tab კლავიშის გამოყენება; ასევე, გამოიყენეთ ტექსტის სვეტები და სხვა ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ტექსტის სიმწყობრეს.

ყველა პარაგრაფში აბზაცი ერთნაირად დაიცავით. ვრცელი ციტატებისთვის არსებობს აბზაცის გამოყოფის სპეციალური წესები, იმის მიხედვით, ციტატა პროზიდანაა თუ პოეზიიდან (იხ. 25.2.2).

### ა.1.4. გვერდების ორგანიზება

**გვერდების დანომვრა.** თუ თქვენი ნაშრომის წინა გვერდები მხოლოდ სატიტულო გვერდს მოიცავს, არ დანომროთ იგი. დანომრეთ ნაშრომის ძირითადი ნაწილი და ბოლო გვერდები არაბული ციფრებით. დანომვრა ტექსტის პირველი გვერდიდან დაიწყეთ.

თუ სადიპლომო ნაშრომს ან დისერტაციას წერთ, წინა გვერდები ტექსტის ძირითადი ნაწილისგან განსხვავებულად დანომრეთ.

- თუ ტექსტის წინა გვერდები მოიცავს სატიტულო ფურცელს და ბევრ სხვადასხვაგვარ კომპონენტს (იხ. ა.2.1.), ისინი დანომრეთ ნუსხური რომაული ციფრებით (i, ii, iii, და ა.შ., იხ. ცხრილი 23.1). როგორც წესი, დანომვრისას, წინა ნაწილის ყველა გვერდი, ჩაბარების გვერდის გარდა,

სათვალავში უნდა ჩათვალოთ, თუმცა, შეიძლება, ყველა მათგანს არ დააწეროთ ნომერი. კათედრებსა და უნივერსიტეტებს ხშირად აქვთ შემუშავებული სპეციფიკური მოთხოვნები წინა გვერდების დანომვრასთან დაკავშირებით; თუ თქვენს შემთხვევაში ასე არ არის, გამოიყენეთ ამ დანართში მოცემული ინსტრუქციები.

- ტექსტის დანარჩენი ნაწილი, მათ შორის, უკანა გვერდები (იხ. ა.2.3), ინომრება ერთმანეთის მიყოლებით, არაბული ციფრებით.

თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია ძალიან გრძელია, თქვენმა კათედრამ ან უნივერსიტეტმა იგი შეიძლება, რამდენიმე ტომად აკინძოს. ადგილობრივმა ინსტრუქციებმა უნდა მიგითითოთ, რა არის გვერდების მაქსიმალური რაოდენობა თითოეული ტომისთვის, ასევე, უნდა განგიმარტოთ, თუ არსებობს სპეციალური მოთხოვნები მრავალტომიანი ნაშრომის დასანომრად. **განლაგება**. როგორც წესი, გვერდების აღნიშვნა ხდება გვერდის ქვედა ან ზედა ნაწილის ცენტრში ან ზედა ნაწილის მარჯვენა მხარეს. საკლასო ნაშრომებისთვის ამოირჩიეთ ზემოთ მოცემული ერთ-ერთი სტილი და მუდმივად დაიცავით იგი.

ტრადიციულად, სადიპლომო ნაშრომებსა და დისერტაციებს გვერდების აღნიშვნას სხვადასხვა ადგილას უკეთებენ, იმის მიხედვით, თუ ნაშრომის რა ნაწილს ვნომრავთ (ისე, როგორც ამ დანართის ნიმუშებშია მოცემული).

- *გვერდის ქვედა ნაწილის ცენტრში ინომრება* ყველა წინა გვერდი; ნაშრომის ძირითადი ნაწილის გვერდები და უკანა გვერდები, რომელთაც სათაურები აქვთ, როგორიცაა ახალი თავის პირველი გვერდი ან დანართი.

- *გვერდის ზედა ნაწილის ცენტრში ან მარჯვნივ ინომრება*: ნაშრომის ყველა დანარჩენი გვერდი და უკანა გვერდები.

ბევრმა კათედრამ და უნივერსიტეტმა აღმოფხვრეს ეს განსხვავებები და მოითხოვენ, რომ მთელს დისერტაციასა თუ სადიპლომო ნაშრომში ერთნაირად იყოს დანომრილი ყველა გვერდი. ზემოთ მოცემული სამი ვარიანტიდან ზოგი გვერდების ნომრის განლაგების ადგილს აკონკრეტებს, სხვები კი სტუდენტს ანდობს ამ გადაწყვეტილებას. გაეცანით ადგილობრივ ინსტრუქციებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

**სხვა საიდენტიფიკაციო ელემენტები**. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება, ნება დაგრთონ, ან სულაც მოგთხოვონ, რომ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია ფურცლის ზედა ან ქვედა ნაწილში მიუთითოთ გვერდის ნომრის გვერდით. საკურსო ნაშრომისთვის, ინსტრუქტორმა შესაძლოა, მოგთხოვოთ ნაშრომს დააწეროთ თქვენი გვარი და სახელი, თემის ჩაბარების რიცხვი ან „პირველი ვარიანტი". უფრო გრძელი ნაშრომებისთვის, თავის ან სექციის დასათაურება დაეხმარება მკითხველს ტექსტში ორიენტაციაში. სადიპლომო ნაშრომებსა და დისერტაციებში ფურცლის ზედა და ქვედა მხარეს დასაცავი მოთხოვნები დღემდე მუშავდება. ამდენად, გაეცანით თქვენს ადგილობრივ ინსტრუქციებს.

### ა.1.5 სათაურები

იმისდა მიხედვით, რამდენად კომპლექსურია თქვენი თემა, შეიძლება, ნაშრომი საკმაოდ ბევრ კომპონენტს მოიცავდეს, ისე, როგორც ეს აღწერილია ა.2 ნაწილში. მათ უმეტესობას სათაური უნდა ჰქონდეს. ყველა ასეთი ელემენტის სათაურისთვის გამოიყენეთ ერთი და იგივე ტიპოგრაფია და ფორმატი, ტრადიციულად გაშუალედებული რომაული შრიფტი (ისევე, როგორც ნაჩვენებია ამ დანართში მოცემულ ნიმუშებში). ნებისმიერი ციფრის აღნიშვნა, რომელიც წინ უძღვის სათაურს (მაგალითად, *ნაწილი II: ადრეული წლები*) ტიპოგრაფიითა და ფორმატით სათაურს უნდა შეესაბამებოდეს.

თუ თქვენი ნაშრომი თავებადაა დაყოფილი, მაშინ თავების დასათაურება და ციფრების აღნიშვნა ტიპოგრაფიკულად ერთნაირი უნდა იყოს, მაგრამ უნდა განსხვავდებოდეს სხვა კომპონენტების სათაურებისგან. თავებში მოცემული ქვესათაურებისთვის იხილეთ ა.2.2.

თუ თქვენი ადგილობრივი ინსტრუქციები მოქნილია, შეგიძლიათ, განსხვავებული ტიპოგრაფიკა და ფორმატი გამოიყენოთ სხვადასხვა ტიპის სათაურებისთვის. მოცემული შრიფტის ყველა სათაური თანმიმდევრული უნდა იყოს და თითოეული შრიფტი დანარჩენისგან უნდა განსხვავდებოდეს. დიდი დანაყოფების სათაურები (ნაწილები, თავები) ვიზუალურად უფრო თვალშისაცემი უნდა იყოს, ვიდრე ქვესათაურები. ზოგადად, სათაურები უფრო თვალსაჩინოა, როცა

ჩამუქებული და დახრილი ასოებით ცენტრშია გამოტანილი, ვიდრე მაშინ, როცა მარცხნივ, ჩვეულებრივი ზომის შრიფტით ან წინადადებისთვის დამახასიათებელი ასოების სტილითაა მოცემული.

ყველაზე ეფექტური გზა სათაურებში თანმიმდევრულობის დასაცავად ის არის, რომ თავიდანვე განსაზღვროთ სტილი ყველა ტიპის სათაურისთვის (მათ შორის, შრიფტი, პოზიცია და ა.შ.) ზოგადი პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციის დახმარებით (ი. ა.3.1)

## ა.2 ფორმატთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები

ა.1-ში მოცემული ზოგადი მოთხოვნების გარდა, ნაშრომის განსაკუთრებულ ელემენტებს, სპეციფიკური, ფორმატთან დაკავშირებული მოთხოვნები გააჩნია. ამ სექციაში აღწერილია ის ელემენტები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება სკურსო თუ სადიპლომო ნაშრომებსა და დისერტაციებში, ასევე, მოცემულია მათი ნიმუშებიც. ყველა ნიმუში, ა.1 და ა.8 სქემების გამოკლებით, ჩიკაგოს უნივერსიტეტში დაცული დისერტაციებიდანაა ამოღებული. სადაც საჭიროება მოითხოვდა, გვერდები რედაქტირებულია ამ სახელმძღვანელოში მოცემულ სტილთან და ფორმატთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესაბამისად. თუ თქვენს ინსტრუქტორს, კათედრას ან უნივერსიტეტს აქვს სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც აქ მოცემული რეკომენდაციებისაგან განსხვავდება, უპირატესობა თქვენს ადგილობრივ მოთხოვნებს ენიჭება.

ვრცელი თემების უმრავლესობას, ისევე, როგორც სადიპლომო ნაშრომებსა და დისერტაციებს, სამი ძირითადი ნაწილი აქვს: 1) წინა გვერდები, 2) თავად ნაშრომის ტექსტი და 3) უკანა გვერდები. წინა და უკანა გვერდები, ასევე, რამდენიმე კომპონენტადაა დაყოფილი თქვენი თემის თავისებურების მიხედვით.

საკლასო ნაშრომის პირველი გვერდები, ალბათ, მხოლოდ სათაურის გვერდს მოიცავს, ბოლო გვერდები კი ბიბლიოგრაფიას ან სახელთა საძიებელს.

### ა.2.1. წინა გვერდები

თქვენი სადიპლომო ნაშრომის ან დისერტაციის პირველი გვერდები შესაძლოა, მოიცავდეს ყველა ან ზოგიერთ ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს. კათედრებსა და უნივერსიტეტებს, როგორც წესი, აქვთ ინსტრუქციები ამ ელემენტების

თანმიმდევრობასთან დაკავშირებით; ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები.

**ჩაბარების გვერდი**. სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების უმრავლესობას გააჩნია ჩაბარების გვერდი და იგი ნაშრომის პირველი გვერდია. ასეთ შემთხვევაში, იგი არ ინომრება და წინა გვერდების ნუმერაციის სათვალავშიც არ შედის.

ჩაბარების გვერდზე მითითებულია, რომ ნაშრომი ჩაბარებულია მაგისტრის და დოქტორის ხარისხისთვის წაყენებული მოთხოვნების დაცვით (ფორმულირება შესაძლოა, სხვანაირადაც ჩამოყალიბდეს) და მასში დატოვებულია ცარიელი ადგილი საგამოცდო კომისიის წევრების ხელმოწერისთვის.

გარდაქმნის მისტერია:
წმინდა იგნატუს ლოიოლას სულიერი ვარჯიშების გავლენა
კარავაჯოს წმინდა პავლეს მოქცევა

რობერტ ლობლაუ
შესავალი ხელოვნების ისტორიაში
15 მარტი, 2007 წელი

სქემა ა.1. სატიტულო გვერდი საკლასო ნაშრომისათვის

ჩიკაგოს უნივერსიტეტი

ადამ სმიტი და თანაგრძნობის წრეები

დისერტაცია ჩაბარებულია სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე
ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

პოლიტიკური მეცნიერებების კათედრა

ფიონა ფორმან-ბარზილაი

ჩიკაგო, ილინოისი
2001 წლის დეკემბერი

სქემა ა.2. დისერტაციის სატიტულო გვერდი. გადმობეჭდილია ფონა ფორმან-ბარზილაის ნებართვით. „ადამ სმიტი და თანაგრძნობის წრეები" [სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2001).

სარჩევი

სამადლობელი სიტყვა iv

შესავალი 1

ნაწილი I. „მე”-ს წრე 19

თავი 1. კონფლიქტური „მე” 20

თავი 2. „მე” და მისი სარკე: დინამიკურად გაგებული თანაგრძნობა 43

ნაწილი II. საზოგადოების წრე 74

თავი 3. სოციალიზებული სინდისი 75

თავი 4.„მოკრძალებული განყოფილებები”: სტოიკური კოსმოპოლის საწინააღმდეგოდ 102

ნაწილი III. კაცობრიობის წრე 137

თავი 5. კომერციული ერების კოსმოპოლისი 138

თავი 6. თანაგრძნობა სივრცეში 168

თავი 7. ნეგატიური სამართალი 187

დასკვნა 212

ბიბლიოგრაფია 215

iii

სქემა ა.3. შინაარსი. გადმობეჭდილია ფონა ფორმან-ბარზილაის ნებართვით. „ადამ სმიტი და თანაგრძნობის წრეები” [სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2001).

ცხრილები

1.1 ა.შ.შ-ის ცენტრალური მთავრობის ხარჯები, 1830-1860.........................41

1.2 ა.შ.შ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ხარჯები, 1855-1860.....................45

1.3 ეროვნული ჯარების შედარებითი მიახლოებითი

დანახარჯები 1860 წელს: საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო

და ამერიკის შეერთებული შტატები...........................................................65

1.4 კვარტირმეისტერის და კომისარიატის გადახდების გეოგრაფია, 1855 წლის ივლისი-1860 წლის ივნისი......................................68

1.5 კვარტირმეისტერის დეპარტამენტის ხარჯები კატეგორიების

მიხედვით, 1856-1860.....................................................................................................69

1.6 კონტრაქტორების გაძღოლა კვარტირმეისტერის დეპარტამენტში,

1855-1860.................................................................................................................66

1.7 ფორტ ლივენუორსში კვარტირმეისტერის დეპარტამენტის მარაგის

შინაარსის აღწერა ჩეინის და იუტას ექსპედიციისთვის, 1857...102

1.8 ცხოველებისა და ვაგონების შესყიდვის კონტრაქტები იუტას მეორე

ექსპედიციისთვის, თებერვალი-მარტი, 1858............................................................112

2.1 ნიუ იორკის ოცი ყველაზე დიდი სამხედრო მომმარაგებელი,

1861-1862.................................................................................................................................181

2.2 მასაჩუსეტსის ოცი ყველაზე დიდი სამხედრო მომმარაგებელი, 1861 ...186

2.3 პენსილვანიის ოცი ყველაზე დიდი სამხედრო მომმარაგებელი

1861-1862.................................................................................................................................188

3.1 ა.შ.შ-ს თავდაცვის დეპარტამენტის (არმიის) ხარჯები, 1860-1866...............240

3.2 კვარტირმეისტერის დეპარტამენტის წამყვანი შემსყიდველი ოფიცრები,1860-1865, ათვისებული თანხებისა და საბრძოლო პოსტების მიხედვით........................................................................................................................240

3.3 კვარტირმეისტერის და კომისარიატის გადახდების გეოგრაფია, 1861 წლის ივლისი-1865 წლის ივნისი.................................................................................................................260

4.1 წამყვანი სამხედრო საწარმო ინდუსტრიების შედარება ჩრდილოეთში.....319

4.2 ა.შ.შ.-ის არმიის წამყვანი მძიმე ტექნიკის მომწოდებლები, 1861-1866.............321

4.3 ა.შ.შ.-ის ტყვია-წამლის ინდუსტრია სამოქალაქო ომის წინ.............................330

სქემა ა.5. ცხრილების ჩამონათვალი. დაბეჭდილია მარკ რ. უილსონის ნებართვით, „სამოქალაქო ომის ბიზნესი: სამხედრო წარმოება, სახელმწიფო და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ეკონომია, 1850-1880” [სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2002].

## ლექსიკონი

**არაბული ციფრები.** ერთ-ერთი ცნობილი ერთეული, რომელსაც არითმეტიკული გათვლებისას იყენებენ (1, 2, 3 და ა.შ.)

**ვრცელი ციტატა.** ბრჭყალებში ჩასმული ციტატა, რომელიც ტიპოგრაფიკულად ტექსტისგან აბზაცებითაა გამოყოფილი

**ჩამუქებული შრიფტი.** შრიფტი, რომელიც უფრო მუქია და უფრო მსხვილი, ვიდრე ჩვეულებრივი შრიფტი

**დახრილი შრიფტი.** გადახრილი შრიფტი, რომელიც ხელით ნაწერს უფრო ჰგავს *(როგორც ეს)*, ვიდრე რომაულ შრიფტს.

**ნუსხური ასოები.** ასო, რომელიც არ არის დაწერილი მთავრული შრიფტით (a,b,c, და ა.შ.)

**რომაული ციფრები.** ციფრი, რომელიც ტრადიციული რომაული ციფრების კომბინაციით მიიღება, ან მთავრული (I, II, III, დ.ა.შ.), ან ნუსხური (i, ii, iii დ.ა.შ.).

**რომაული შრიფტი.** მთავარი შრიტი და არა დახრილი.

**ტექსტში შეჭრილი ციტატა.** ციტატა, რომელიც ტექსტშივე გრძელდება და არ არის ცალკე გამოყოფილი.

სქემა ა.8. ლექსიკონი

კათედრებისა და უნივერსიტეტების უმრავლესობას აქვს ჩაბარების გვერდის ნიმუში, რომელიც ზუსტად უნდა დაიცვათ ფორმატისა და სარჩევის ფორმულირების გათვალისწინებით.

**სატიტულო გვერდი.** საკურსო თემები უნდა იწყებოდეს სატიტულო გვერდით (თუმცა, ზოგიერთი სათაურს ტექსტის პირველ გვერდზე აკეთებს. მოელაპარაკეთ ამის შესახებ თქვენს ინსტრუქტორს). თემის სათაური ფურცლის ზედა კიდიდან მესამედი მანძილის დაშორებით, შუაში დასვით. თუ თემას მთავარი სათაურიც აქვს და ქვესათაურიც, ამ შემთხვევაში, მთავარი სათაური ერთ ხაზზე დაწერეთ, შემდეგ ორი წერტილი დასვით და ქვესათაური მეორე ხაზზე გადაიტანეთ. რამდენიმე ხაზის ქვემოთ დაწერეთ თქვენი სახელი იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც თქვენი ინსტრუქტორი მოითხოვს, როგორიცაა, მაგალითად, კურსის სახელწოდება (კათედრისა და ნომრის მითითებით) და რიცხვი. სქემა ა.1. გვიჩვენებს საკლასო ნაშრომის სატიტულო გვერდის ნიმუშს. თემების უმეტესობისთვის, ეს ერთადერთია, რომელიც წინა გვერდებში შედის.

სადიპლომო ნაშრომის ან დისერტაციისთვის, კათედრებისა და უნივერსიტეტების უმრავლესობას აქვს სანიმუშო სატიტულო გვერდები, რომლებსაც ზუსტად უნდა მიყვეთ შინაარსისა და ფორმატის გათვალისწინებით. სხვა შემთხვევებში, ნიმუშად გამოიყენეთ ა.2 სქემა. სატიტულო გვერდზე შეგიძლიათ, მიუთითოთ i, მაგრამ გვერდის ნომერი არ დააწეროთ.

თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია რამდენიმე ტომად აიკინძება (იხ. ა.1.4), ალბათ, დაგჭირდებათ ცალკე სატიტულო გვერდები თითოეულისთვის. გაეცანით ადგილობრივ წესებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

**საავტორო უფლება ან ცარიელი გვერდი**. სადიპლომო ნაშრომში ან დისერტაციაში, სატიტულო გვერდის შემდეგ ჩასვით საავტორო უფლებასთან დაკავშირებული გვერდი. ეს გვერდი დანომრეთ - ii, მაგრამ ეს ციფრი არ დააწეროთ, თუ ამას თქვენი ადგილობრივი წესები არ მიგითითებთ. მითითება საავტორო უფლებასთან დაკავშირებით გვერდის ბოლოს, მარცხენა მხარეს, დაახლოებით ასე დაიტანეთ:

საავტორო უფლება © 20XX ეკუთვნის თქვენი სახელი გვარი

ყველა უფლება დაცულია

არ დაგჭირდებათ საავტორო უფლებაზე ფორმალური განაცხადის გაკეთება, რადგან ეს ჩანაწერი უკვე ლეგალურად ასაბუთებს თქვენს საავტორო უფლებას. თუ არ გჭირდებათ თემაში საავტორო უფლების მითითება, შეგიძლიათ, ამ ადგილას ცარიელი ფურცელი ჩასვათ ან საერთოდ გამოტოვოთ ეს კომპონენტი. ეს დამოკიდებულია თქვენს ადგილობრივ წესებზე.

**მიძღვნა.** თუ თქვენი კათედრა ან უნივერსიტეტი თქვენს ნაშრომში მიძღვნის ტექსტის ჩართვის უფლებას იძლევა, შეგიძლიათ, მოკლე მიძღვნა გააკეთოთ იმ ადამიანის სახელზე, ვინც თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს გვერდი წინა გვერდების დანომვრისას გაითვალისწინეთ სათვალავში, მაგრამ მასზე ციფრი არ დააწეროთ, თუ ამას თქვენი ადგილობრივი წესები არ მიუთითებს. მიძღვნა ფურცლის ზედა კიდიდან მესამედი მანძილის დაშორებით განათავსეთ, როგორც წესი, ცენტრში და გამოიყენეთ რომაული შრიფტი სასვენი ნიშნის გარეშე. არ გჭირდებათ სიტყვები *ეძღვნება* ან *ვუძღვნი*, უბრალოდ დაწერეთ:

ანიკას

შეგიძლიათ, იმ ადამიანის დაკონკრეტებაც, ვისაც ნაშრომს უძღვნით („მამაჩემს, სებასტიან უელსს”). ან შეგიძლიათ, რაიმე სხვა ინფორმაცია დაურთოთ, მაგალითად, დაბადების და გარდაცვალების თარიღი. უფრო მეტად ექსტრავაგანტული მიძღვნები უკვე ძველმოდურად ითვლება, სახუმარო მიძღვნები კი დროს ვერ უძლებს.

**ეპიგრაფი**. თუ თქვენი კათედრა ან უნივერსიტეტი ეპიგრაფების გაკეთების საშუალებას იძლევა, შეგიძლიათ, მიძღვნასთან ერთად, ან მის ნაცვლად, ეპიგრაფი დაურთოთ. ეპიგრაფი არის ციტატა, რომელიც ნაშრომის თემას ეხება. ეპიგრაფი ყველაზე შესაფერისია მაშინ, როდესაც მისი შინაარსი განსაკუთრებით შთამბეჭდავია და კარგად გამოხატავს ნაშრომის არსს. ეპიგრაფის გვერდი წინა გვერდების სათვალავში გაითვალისწინეთ, მაგრამ არ დანომროთ,, თუ ამას არ მიუთითებს თქვენი ადგილობრივი წესები. არ არის საჭირო გვერდზე სიტყვა *ეპიგრაფი* დაურთოთ.

ეპიგრაფი ფურცლის ზედა კიდიდან მესამედი მანძილის დაშორებით იწერება, იგი ან ცენტრშია, ან განვრცობილი ციტატის ფორმა აქვს (იხ. 25.2.2). არ

გაუკეთოთ ბრჭყალები. ეპიგრაფის შემდეგ ხაზზე, როგორც წესი, მარჯვენა მხარეს, მოიყვანეთ წყარო – ავტორის სახელი, ნაშრომის სათაური (22.3.2) და, თუ სურვილი გაქვთ, ციტატის რიცხვი, რომლის წინაც ტირეს დასვამთ (ან ორ ტირეს; იხ 21.7.2):

პატარა დასაწყისიდან, დიდი საქმეები გამოვიდა მისი ხელით... და როგორც ერთი პატარა სანთლით ათასობით სანთელი შეიძლება, დაინთოს, ისე გაანათა აქ დანთებულმა სანთელმა ბევრი სხვა და მთელი ჩვენი ქვეყანა.

-უილიამ ბრედფორდი

ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ მოდერნიზმის მიზეზი ქალები არიან, რასაც არ უნდა გულისხმობდნენ მასში

-ნიუ იორკ სან, 13 თებერვალი, 1917

ეპიგრაფი, ასევე, შეიძლება, იყოს თავის ან სექციის დასაწყისში; იხ. 25.2.2 და სქემა ა. 9.

**სარჩევი:** ყველა ნაშრომს, რომელიც თავებს მოიცავს, სარჩევი სჭირდება. ამ კომპონენტის ყველა გვერდი რომაული ციფრებით დანომრეთ. გვერდის თავში სათაურად *სარჩევი* დააწერეთ. თუ სარჩევი ერთ გვერდზე მეტია, სათაური არ გაიმეოროთ სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის გააკეთეთ ორმაგი დაშორება. ჩამონათვალში, თითოეულ ელემენტს შორის დაშორება ერთმაგი უნდა იყოს.

სარჩევში არ იწერება ის გვერდები, რომლებიც წინ უსწრებს სარჩევს (ჩაბარების გვერდი, სატიტულო გვერდი, საავტორო უფლების ან ცარიელი გვერდი, მიძღვნა და ეპიგრაფი), მაგრამ უნდა იწყებოდეს წინა გვერდების შემადგენელი იმ გვერდებისგან, რომელიც სარჩევს მოყვება. ამ ნაწილის შემდეგ თანმიმდევრულად ჩამოთვალეთ ნაწილები, თავები ან ტექსტის სხვა ერთეულები და შემდეგ ბოლო გვერდების შემადგენელი ნაწილის კომპონენტები. თუ ტექსტში ქვესათაურებს იყენებთ (იხ. ა.2.2), გამოიყენეთ მხოლოდ პირველი ან მეორე დონე, თუ სხვა დონეები იმდენად სპეციფიკური არ არის, რომ თქვენს მკითხველს თემის ზუსტ მიმოხილვაში დაეხმაროს. დარწმუნდით, რომ სიტყვების ფორმულირება, მთავრული ასოების გამოყენება და დანომვრის სტილი (არაბული, რომაული თუ სიტყვიერი), ისევე, როგორც ყველა სათაურისა და

ქვესათაურის ტიპოგრაფიკა (იხ. ა.1.5) ემთხვევა ზუსტად იმას, რაც მოცემულია თქვენს ნაშრომში.

დანომრეთ თითოეული კომპონენტის მხოლოდ პირველი გვერდი (და არა მთელი გვერდები), გამოიყენეთ ნუსხური რომაული და არაბული რიცხვები, ისე, როგორც თავად გვერდებზე გაქვთ. ნუმერაცია მარჯვენა მხარეს მოაქციეთ და, თუ სურვილი გაქვთ, გამოიტანეთ წერტილებისგან შემდგარი ხაზი (მათ *მიმართულების მიმცემს* უწოდებენ), რათა მკითხველის თვალს მიმართულება მისცეს და ყველა სათაური გვერდის ნომერთან დააკავშიროს.

სქემა ა.3 გვიჩვენებს მარტივი სტრუქტურის მქონე თემის სარჩევის ნიმუშს. ნაწილებისა და თავების სათაურები მარცხნივაა, ნუმერაცია კი მარჯვნივ.

უფრო კომპლექსური თემისთვის, მიყევით თქვენი თემის ორგანიზების ლოგიკას, თუ თქვენი ადგილობრივი წესები არ მოითხოვს განსაკუთრებულ ფორმატს. სქემა ა.4 გვიჩვენებს გრძელი სარჩევის მქონე მეორე გვერდს. ყურადღება მიაქციეთ, რომ შეგიძლიათ, ცენტრში დასვათ ნაწილების სათაურები ან ტომების ნომრები (თუ რელევანტურია; იხ ა.1.4) რელევანტური თავების ზემოთ და გამოიყენოთ სიტყვა *თავი* სათაურად, თავების ნომრების აღმნიშვნელი სვეტის ზემოთ. თავების სათაურები და ქვეთავები უფრო ადვილად რომ გაარჩიოთ, შეგიძლიათ, ქვეთავები აბზაცით გამოყოთ. თითოეული დონე გამოყავით წინა დონისგან ნახევარინჩიანი აბზაცით.

თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია ერთზე მეტ ტომად აიკინძება, შესაძლოა, სარჩევის განმეორება მოგიწიოთ ან სხვა შემთხვევაში ყველა ტომში შინაარსის მნიშვნელოვანი ელემენტები მაინც გაიმეოროთ. ამ საკითხის შესახებ გაეცანით თქვენს ადგილობრივ წესებს.

**სქემების, ცხრილების და ილუსტრაციების ჩამონათვალი.** თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია (ზოგ შემთხვევაში კი საკლასო ნაშრომი) მოიცავს სქემებს, ცხრილებს ან ორივეს, მათი ჩამონათვალი წინა გვერდებში შეიტანეთ. ასეთი ჩამონათვლის გვერდი რომაული ციფრით დანომრეთ. თუ თქვენი ნაშრომი მხოლოდ სქემებს მოიცავს (იხ. 26-ე თავი განმარტებისთვის), პირველ გვერდს თავში დააწერეთ *სქემები*; თუ იგი მხოლოდ ცხრილებს მოიცავს, დააწერეთ *ცხრილები*. თუ ჩამონათვალი ერთზე მეტი გვერდია, არ

გაიმეოროთ სათაური სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ ხაზს შორის ორმაგი დაშორება გააკეთეთ, თავად თითოეულ ჩამონათვალს შორის კი - ერმაგი. სქემა ა.5 გვიჩვენებს ცხრილების ჩამონათვლის ნიმუშს.

თუ თქვენი ნაშრომი მოიცავს როგორც სქემებს, ისე, ცხრილებს, თქვენი ადგილობრივი წესების მიხედვით, შესაძლოა, მათი  გაერთიანებაც შეძლოთ. ჩამონათვალს დაარქვით *ილუსტრაციები* (იმ *ნიმუშის* მიხედვით, რაც ზემოთ აღვწერეთ), მაგრამ იგი ორ ნაწილად გაყავით, *სქემები* და *ცხრილები*, როგორც ა.6 სქემაშია მოცემული.

ყველა სქემა ან ცხრილი არაბული ციფრებით დანომრეთ და ვერტიკალურად გაათანაბრეთ ჩამონათვალი...თუ იყენებთ ორმაგ ნუმერაციას (როგორც ა.5 სქემაშია მოცემული), გაათანაბრეთ ციფრები მეათედებზე.

სქემის წარწერები და ცხრილების სათაურები შესაბამისობაში უნდა იყოს თემაში მოცემული სიტყვებისა და მთავრული ასოების გამოყენებასთან, თუ წარწერები ძალიან გრძელია, შეამოკლეთ ლოგიკურად. გადატანილი ტექსტი გამოყავით ნახევარინჩიანი აბზაცით. (ცხრილის სათაურებსა და სქემის წარწერებზე უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხ. 26.2.2 და 26.3.2). გვერდები ჩამოწერეთ და მარჯვნივ გაათანაბრეთ. თუ სურვილი გაქვთ, გამოიყენეთ მიმართულების მიმცემი ხაზი, რათა შეაერთოთ წარწერები და სათაურები გვერდების ნომრებთან.

**წინათქმა:** თქვენს სადიპლომო ნაშრომში ან დისერტაციაში შესაძლოა, გქონდეთ წინათქმა, სადაც ახსნით, რა იყო  თქვენი მოტივაცია, როცა ამ კვლევაზე მუშაობა დაიწყეთ, მიმოიხილავთ პროექტს, კვლევის მასშტაბს და ნაშრომის მიზანს. შესავალში, ასევე, შეიძლება, იყოს სამადლობელი სიტყვა, თუ ის იმდენად ვრცელი და დეტალური არ არის, რომ ცალკე სექცია დაუთმოთ (იხ. ქვემოთ). ამ კომპონენტის ყველა გვერდი რომაული ციფრებით დანომრეთ. პირველი გვერდის თავში დააწერეთ *წინათქმა*. თუ იგი ერთზე მეტ გვერდს მოიცავს, არ გაიმეოროთ სათაური სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ. ტექსტშიც ორი ხაზი გამოტოვეთ სტრიქონებს შორის და მთავარი ტექსტის მიხედვით დააფორმატეთ.

**სამადლობელი სიტყვა:** თქვენს სადიპლომო ნაშრომში ან დისერტაციაში შეიძლება, გამოყოთ სამადლობელი სიტყვა, რომელშიც მადლობას გადაუხდით თქვენს ხელმძღვანელსა და კოლეგებს და დაასახელებთ იმ ინდივიდებს ან ინსტიტუტებს, რომლებიც, თქვენი აზრით, კვლევაში განსაკუთრებით დაგეხმარათ (მაგალითად, აღნიშნეთ კონსულტაციები ტექნიკურ საკითხებზე ან დახმარება სპეციალური აღჭურვილობის ან რესურსების კუთხით). თუ მადლობას უხდით თემის ხელმძღვანელს ან კომისიას რუტინული დახმარებისთვის, იგი შესავალში შეიტანეთ (იხ. ზემოთ) ან სულაც გამოტოვეთ. მადლობის ყველა გვერდი რომაული ციფრებით აღნიშნეთ. პირველი გვერდის თავში დასვით სათაური *სამადლობელი სიტყვა*. თუ სამადლობელი სიტყვა ერთზე მეტ გვერდს მოიცავს, არ გაიმეოროთ სათაური სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ ხაზს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ. ტექსტშიც ორი ხაზი გამოტოვეთ ხაზებს შორის და მთავარი ტექსტის შესაბამისად დააფორმატეთ.

**აბრივიატურების ჩამონათვალი**. თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია (ან ზოგიერთ შემთხვევაში საკლასო ნაშრომი) ბევრ აბრივიატურას მოიცავს, გარდა ჩვეულებრივი აბრივიატურებისა, რომლებიც 24-ე თავში მიმოვიხილეთ, აბრივიატურების ჩამონათვალი გააკეთეთ წინა გვერდებში. აქ უნდა შეიტანოთ ისეთი აბრივიატურები, რომლებიც ეხება იმ წყაროებს, რომელთაც ხშირად მოიხსენიებთ, ან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფართოდაა ცნობილი (24.1.2).
ასეთი ჩამონათვლის ყველა გვერდი რომაული ციფრებით დანომრეთ. პირველი გვერდი ასე დაასათაურეთ - *აბრევიატურები*. თუ აბრევიატურები ერთზე მეტ გვერდს მოიცავს, არ გაიმეოროთ სათაური სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ. ერთი ხაზი გამოტოვეთ თითოეულ აბრევიატურას შორის. სქემა ა.7 გვიჩვენებს აბრევიატურების ნიმუშს. (ამ ნიმუშში მოცემული აბრევიატურები დახრილი ხაზით მხოლოდ იმიტომაა წარმოდგენილი, რომ ისინი გამოქვეყნებული ნაშრომების სათაურებია.)

ყურადღება მიაქციეთ, რომ აბრევიატურა ანბანის მიხედვით არის დალაგებული, და არა მისი განმარტების მიხედვით. აბრივიატურები, როგორც წესი, მარცხენა მხარესაა გათანაბრებული.

აბრევიატურების განმარტებები (ან გადატანილი ტექსტი) თანაბარი აბზაცებითაა გამოყოფილი, რომელიც საშუალებას იძლევა, პირველ სვეტში ყველაზე გრძელ აბრევიატურასა და მეორე სვეტში, პირველ სიტყვას შორის, დაახლოებით ნახევარი ინჩის ადგილი დარჩეს.

**ლექსიკონი:** თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია (ან, ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი საკლასო თემა) ბევრ უცხოურ სიტყვას ან ტექნიკურ ტერმინებსა და ფრაზებს მოიცავს, რომელიც თქვენი მკითხველისთვის შესაძლოა, უცნობი იყოს, ლექსიკონი დაგჭირდებათ. ზოგიერთი კათედრა და უნივერსიტეტი ითხოვს, რომ ლექსიკონი უკანა გვერდების ნაწილს შეადგენდეს, დანართების შემდეგ და შენიშვნების, ბიბლიოგრაფიისა და სახელთა საძიებლის წინ. თუკი არჩევნის თავისუფლება გაქვთ, ლექსიკონი წინა გვერდებში მოათავსეთ, თუ საჭიროა, რომ მკითხველი იცნობდეს ამ სიტყვებს ტექსტის წაკითხვამდე. სხვა შემთხვევაში კი იგი უკანა მხარეს მოათავსეთ (იხ. .2.3).

თუ ლექსიკონს წინა მხარეს მოათავსებთ, მისი ყველა გვერდი რომაული ციფრებით დანომრეთ. პირველ გვერდს დასაწყისში *ლექსიკონი* დააწერეთ. თუ ლექსიკონი ერთზე მეტ გვერდს მოიცავს, სათაური აღარ გაიმეოროთ შემდეგ გვერდებზე. სათაურის შემდეგ ორი ხაზი გამოტოვეთ, სანამ სიტყვების ჩამოწერას დაიწყებთ. ყოველი ახალი სიტყვისა და ფრაზის შემდეგ ერთი ხაზი გამოტოვეთ. სქემა ა.8 გვიჩვენებს ლექსიკონის ნიმუშს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ტერმინები ანბანის მიხედვით იყოს დალაგებული მარცხენა მხარეს და წერტილით მთავრდებოდეს (ზოგჯერ ორ წერტილს ან ტირესაც იყენებენ). ტერმინები შეგიძლიათ, ჩაამუქოთ ან დახრილი ასოებით დაწეროთ, რათა გამოყოთ ისინი. ამის შემდეგ მოდის თარგმანი ან განმარტება. მისი პირველი სიტყვის პირველი ასო მთავრულია და წერტილი მოსდევს. თუმცა, თუ განმარტება მხოლოდ ერთი სიტყვით ან მოკლე ფრაზით შემოიფარგლება, არ გამოიყენოთ წერტილი. თუ განმარტება ერთზე მეტ ხაზს მოიცავს, ნახევარინჩიანი აბზაცით გამოყავით გადატანილი ტექსტი.

**რედაქტირების ან კვლევის მეთოდი**. თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია მოითხოვს წინასწარ ახსნა-განმარტებას გამოყენებული კვლევის მეთოდების ან რედაქტირების სტილთან დაკავშირებით (როგორიცაა, როგორ გააკეთეთ არჩევანი სხვადასხვა ტექსტებიდან), იგი ცალკე კომპონენტად გამოყავით. მეთოდის შესახებ, ასევე, შესაძლებელია, მოკლედ ისაუბროთ შესავალშიც. თუ მხოლოდ იმის თქმა გსურთ, რომ გამოყენებული ლიტერატურიდან აღებული ციტატების ციტირების და მთავრული ასოების გამოყენების მოდერნიზება მოახდინეთ, იგი შესავალში შეიტანეთ ან შენიშვნად ჩაწერეთ პირველი ციტატის შემდეგ.

რომაული ციფრებით დანომრეთ ყველა გვერდი, სადაც მეთოდს აღწერთ. პირველ გვერდს თავში დააწერეთ *რედაქტირების ან კვლევის მეთოდი.* თუ ეს ნაწილი ერთ გვერდზე მეტია, სათაური სხვა გვერდებზე არ გაიმეოროთ. სათაურსა და ტექსტის პირველ ხაზს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ. ამ ნაწილის ტექსტში ორ-ორი ხაზი გამოტოვეთ და ისე დააფორმატეთ, რომ მთავარ ტექსტთან შესაბამისი იყოს.

**მოკლე მიმოხილვა.** ზოგიერთი უნივერსიტეტი და კათედრა მოითხოვს, რომ სადიპლომი ნაშრომს ან დისერტაციას ჰქონდეს მოკლე მომოხილვა, რომელიც მის მოკლე შინაარსს გვაცნობს (ზოგჯერ მოკლე მიმოხილვას ცალკე დოკუმენტად აბარებინებენ). ასეთი მიმოხილვა, სავარაუდოდ, ჩაბარდება გამოსაქვეყნებლად *დისერტაციების მიმოხილვების საერთაშორისო* გამოცემას. ამ კომპონენტის ყველა გვერდი რომაული ციფრებით დანომრეთ. პირველი გვერდის თავში, სათაურად გამოიტანეთ *მოკლე მიმოხილვა.* თუ მიმოხილვა ერთზე მეტ გვერდს მოიცავს, სათაური აღარ გაიმეოროთ შემდეგ გვერდებზე. სათაურის შემდეგ ორი ხაზი გამოტოვეთ, სანამ ტექსტის დაწერას დაიწყებთ. ზოგიერთ კათედრასა და უნივერსიტეტს მიმოხილვის სპეციფიკური მოდელი აქვს, რომელსაც ზუსტად უნდა მისდიოთ შინაარსის, ფორმატისა და ტექსტში მისი განლაგების დაცვით.

### ა.2.2 ტექსტი

ნაშრომის ტექსტი მოიცავს ყველაფერს, რაც წინა და უკანა გვერდებს შორისაა მოთავსებული. იგი იწყება შესავლით და მთავრდება დასკვნით. ორივე მათგანი

შეიძლება ერთ პარაგრაფს არ აღემატებოდეს ან იმდენად გრძელი იყოს, რომ რამდენიმე გვერდს მოიცავდეს. სადიპლომო ნაშრომში ან დისერტაციაში, ტექსტი რამდენიმე თავადაა დაყოფილი, ზოგჯერ ნაწილებად, სექციებად და ქვესექციებად. ვრცელი საკლასო ნაშრომებიც შესაძლოა, ამგვარად იყოს დაყოფილი.

ვინაიდან, ტექსტის დიდი ნაწილი თქვენი კვლევის შედეგებთან დაკავშირებულ პარაგრაფებს მოიცავს, ა.1-ში განხილული მოთხოვნების გარდა, შეიძლება, არსებობდეს თითზე ჩამოსათვლელი ფორმატირების მოთხოვნები. დამატებითი საკითხი შეიძლება, მხოლოდ ის იყოს, თუ როგორ დააფორმატოთ შენიშვნები ან ფრჩხილებში ჩასმული მითითებები და როგორ განალაგოთ ცხრილები და სქემები ტექსტში.

ნაშრომის დანომვრა არაბული ციფრებით თქვენი ტექსტის პირველივე გვერდიდან დაიწყეთ.

**შესავალი.** სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების უმრავლესობა იწყება სექციით, რომელიც მიმოიხილავს როგორც ნაშრომის შინაარსს, ისე, მასში მოცემულ არგუმენტებს. ეს კომპონენტი იმდენად გამოკვეთილია, რომ ავტორი მას მთელი დანარჩენი ნაშრომისგან გამოყოფს (შინაარსში უნდა შევიდეს პროექტის მიმოხილვა და ნებისმიერი საკითხი, რომელიც სიახლედ მიიჩნევა ამ პროექტში; იხ. ა.2.1). თუ ასეთი შესავლით დაიწყებთ, პირველ გვერდს თავში *შესავალი* დააწერეთ. სათაური აღარ გაიმეოროთ შემდეგ გვერდებზე. სათაურის შემდეგ ორი ხაზი გამოტოვეთ, სანამ ტექსტის დაწერას დაიწყებთ. თუ შესავლის შინაარსი ნათლად გამოკვეთილი არ არის დანარჩენი თავებისგან, დაფიქრდით, ხომ არ აჯობებს მისი შეტანა პირველ თავში.

**ნაშრომის ნაწილები.** თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომის ან დისერტაციის ტექსტს ორ ან მეტ ნაწილად დაყოფთ, რომელთაგანაც თითოეული ორ ან მეტ თავს მოიცავს, ყველა ნაწილი დაიწყეთ მისი სატიტულო გვერდით. თუ პირველი ნაწილის სატიტულო გვერდი მოიცავს შესავალს (მაშინაც კი, თუ შესავალს ჰქვია 1 თავი), დანომვრისას სათვალავში გაითვალისწინეთ, მაგრამ მასზე ნომერი არ აღნიშნოთ იმ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, რომელიც ქვემოთაა მოცემული ან იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას ადგილობრივი ინსტრუქციები

მოითხოვს. ამ გვერდს თავში დააწერეთ *ნაწილი* და წინ ნომერი მიუწერეთ. ადგილობრივი წესების გათვალისწინებით, ნაწილის ნომერი აღნიშნეთ ან მთავრული რომაული ციფრით (II), ან სიტყვიერად (ორი); თავები სხვა სტილით დანომრეთ. თუ ნაწილს ნომერთან ერთად სათაურიც აქვს, დატოვეთ ერთი ცარიელი ხაზი და დაწერეთ იგი ორი ხაზის ქვემოთ.

თუ ნაწილის სატიტულო გვერდზე წაუმძღვარებთ ტექსტს, რომელიც მკითხველს ამ ნაწილის შინაარს გააცნობს, მაშინ გვერდი არაბული ციფრით დანომრეთ. ორი ხაზი გამოტოვეთ სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის. თუ ტექსტი ერთ გვერდზე მეტია, არ გაიმეოროთ ნაწილის სათაური ან ნომერი შემდეგ გვერდებზე.

ყველა ნაწილის სატიტულო გვერდი ერთნაირად დააფორმატეთ: თუ ერთ ნაწილს ნომერთან ერთად სათაურიც აქვს, მაშინ ყველა ნაწილს გაუკეთეთ სათაური; თუ ერთ ნაწილს წამძღვარებული აქვს ტექსტი, ასეთი შესავლის ტექსტი ყველა ნაწილში გაიმეორეთ.

სურ. ა.9. თავის პირველი გვერდი. გადმობეჭდილია ფონა ფორმან ბარზილაის ნებართვით, „ადამ სმიტი და თანაგრძნობის წრეები" (სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2001).

თავი 1

კონფლიქტური მე

რაოდენ ღვარძლიანი უნდა იყოს ფილოსოფია, რომელიც არ აძლევს ადამიანობას და მეგობრობას იმავე პრივილეგიებს, რაც უყოყმანოდ ერგო შურისა და ბრაზის ბნელ ვნებებს. ასეთი ფილოსოფია უფრო სატირას ჰგავს, ვიდრე ადამიანური ბუნების რეალურ აღწერას და შესაძლებელია, კარგ საფუძველს ქმნიდეს პარადოქსული გონებამახვილობისა და ხუმრობისთვის, თუმცა, ძალიან ცუდია ნებისმიერი სერიოზული არგუმენტისთვის.

--დევიდ იუმი, *მორალის პრინციპებთან დაკავშირებული მსჯელობა*

მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ადამ სმიტის შესახებ კვლევები მიმოიხილავს საკითხებს, რომლებიც მის ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს ეხება. პრობლემა, რომელიც აქამდე „ადამ სმიტის პრობლემის" სახელითაა ცნობილი, იკვლევს, როგორ დავაკავშიროთ ერთმანეთთან *მორალური სენტიმენტების თეორიის* (1759) მორალურ-ფილოსოფიური აქცენტი თანაგრძნობაზე და *ერების სიმდიდრის* (1776) ეკონომიკური აქცენტი თვითინტერესზე.[1] შეესაბამება ეს წიგნები ერთმანეთს თუ ერთი მეორის გაგრძელებად შეიძლება, მივიჩნიოთ? და თუ არა, რომელია მათ შორის პირველი სმიტის თვალსაზრისით?

როგორც შესავალში ვახსენე, სმიტს უამრავი ეკონომისტი და ეკონომიკის ისტორიკოსი იკვლევს. შედეგი კი ისაა, რომ მისი მორალური ფილოსოფია მუდმივად სუბორდინირებულია.[2] უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ თვით-ინტერესმა ჩაქოლა თანაგრძნობა და დიდ ყურადღებას არ აქცევდა, რამდენად იყო ეს იდეები გადაჯაჭვული თავად სმიტის გონებაში. მიუხედავად იმისა, რომ „სმიტის მემკვიდრეობის" მათეული შეფასება რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ჩიკაგოს სკოლის მეცნიერები, როგორებიც არიან ჰაიაკი, ფრიდმანი, ბეკერი და ასევე, მარქსისტები, როგორებიც არიან მაკფერსონი და დუმონტი, ზოგადად, თანხმდებიან, რომ *ერების სიმდიდრეში* სმიტი, ძირითადად, ადამიანური მოტივაციის მატერიალისტურ, ჰობსიანურ ორიენტაციას მიჰყვება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თანაბრად, დიდი ოპტიმიზმით

20

1. სასარგებლო მიმოხილვისთვის იხილეთ რიჩარდ თაიჩგრებერ III „ადამ სმიტის პრობლემის კიდევ ერთი შეფასება", ბრიტანეთის შესწავლის საკითხების ჟურნალი 20. ნომერი 2, (1981 გაზაფხული): 106-23

2. განხილვებისთვის იხილეთ დონალდ უინჩი, *ადამ სმიტის პოლიტიკის შესავალი: ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ესე* (კემბრიჯი; კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 1978), 1-27; და უინჩი „ადამ სმიტი და ლიბერალური ტრადიცია", *ლიბერალიზმის ტრადიციები:* ესეები ჯონ ლოკის, ადამ სმიტის, ჯობ სტიუარტ მილის შესახებ, რედ. კნუდ ჰააკონსენი (სიდნეი: დამოუკიდებელი კვლევების ცენტრი, 1998), 82-104.

გავლენის გამო. ფაქტობრივად, დემოკრატები პალატაში 1857 წლამდე ვერ მოხვდნენ და კონგრესი, სადაც შემცირებებზე ყველაზე მეტი გადაწყვეტილება მიიღეს, სწორედ რესპუბლიკელების დომინირების ქვეშ იყო.[66] მცირე მშვიდობისმყოფელი ჯარის მხარდაჭერა გავრცელებული ამბავი გახლდათ, როგორც კონგრესში, ასევე, საზოგადოებაში. ამერიკელებს შორის ანტიმილიტარისტული ტრადიცია, რომელიც ატიბელუმის ერაში ჩამოყალიბდა, ომის შემდგომ ერაშიც შემორჩა.[67] 1865 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ჯონსონი კონგრესის წინაშე სიტყვით გამოვიდა, პრო-რესპუბლიკური გაზეთი "სინსინატი დეილი ქომერშალი" წერდა:

> ძლიერი არმიის შენახვა მშვიდობიანობის დროს არც ჩვენს ეროვნული ინტერესს შეესაბამება და არც ჩვენი მთავრობის პრინციპებს. ალბათ, არმიის შესანახი უზარმაზარი თანხები ყველაზე ნაკლები ბოროტებაა. მოქალაქეთა უზარმაზარი ნაწილი ტოვებს მნიშვნელოვან პროფესიებს, მაშინ, როცა მათ შეეძლოთ, პროდუქტიულები ყოფილიყვნენ. ყოველივე ეს, შფოთვას, ამბიციებს და უკმაყოფილებას უწყობს ხელს. საფუძველი ეყრება ეროვნულ ღვარძლიანობას და მტრობას, ჩნდება დომინანტობის და დაპყრობის სურვილი, რომელიც მომაკვდინებელია ხალხის კეთილდღეობისთვის. [68]

ბევრი რესპუბლიკელი დემოკრატებთან საერთო ენას პოულობდა მშვიდობიანობის დროს არმიის შენახვასთან დაკავშირებით. რესპუბლიკელთა შორის ბევრი ფისკალური კონსერვატორი იყო; მათ შორის იყვნენ ელიჰუ უოშბურნი, უან უიკის კომიტეტის ყოფილი წევრი, რომელიც 1870 წელს პარიზიდან მის ძმას (ასევე კონგრესმენს) სწერდა ვაშინგტონში, რომ შეშფოთებული იყო ომის კონტრაქტორების დაჯილდოებით. „იმედი მაქვს, თქვენი კომიტეტი", წერდა უოშბურნი, „ყელზე დანას დაადებს ხარჯვის ნებისმიერ მცდელობას, რომელიც აბსოლუტურად არ არის საჭირო". [69] მიუხედავად იმისა, რომ კონგრესმენთა უმეტესობა და მათი ამომრჩევლები ბუნებრივად

66. Utley, Frontier Regulars, 59-68

76. Marcus Cunliffe, Soldiers and Civilians: The Martial Spirit in America, 1775-1865 (Boston: Little, Brown & Co., 1968).

68. Cincinnati Daily Commercial. December 16, 1865

69. Elihu Washburne to C.C. Washburne, February 5, 1879, C.C. Washburne Papers, SHSW.

სურ. ა.10. ტექსტის გვერდი სქოლიოებით. გადმობეჭდილია მარკ რ. უილსონის ნებართვით, „სამოქალაქო ომის ბიზნესი: სამხედრო საწარმოები, სახელმწიფო და პოლიტიკური ეკონომია ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1850-1880" (სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2002).

141

იმ მეცნიერების დასკვნები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სახელმწიფო კრიზისს გადაურჩა (Pierson 1994; Piven and Cloward 1988; Schwab 1991; Ruggies 1996 ), არასანდოა, თუ ისინი მხოლოდ ასეთი სახელმწიფოს პირველ სეგმენტზე საუბრობენ, ძველი დროის პენსიებზე: რეიგანის პოზიცია სოციალური დაცვის ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით იმდენად არაპოპულარული იყო, რომ მან დროულად აიღო ხელი ამ ინიციატივაზე და შედეგად სოციალური დაცვის ხარჯები არა მარტო შეინარჩუნა, არამედ გაზარდა კიდეც. როგორც პიერსონი დაწვრილებით აღწერს:

> სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებულმა სახელმწიფომ საკუთარი ამომრჩეველი გაიჩინა. ის მოქალაქეებიც, ვისაც არ უყვართ გადასახადების გადახდა, საოცრად მიჯაჭვული არიან სახელმწიფო სოციალურ უზრუნველყოფას. ის ფაქტი, რომ ეს სოციალური პროგრამები უზრუნველყოფს კონცენტრირებულ და პირდაპირ სარგებელს და ამავე დროს გადანაწილებულ და ხშირად არაპირდაპირ ხარჯებს, მათი გრძელვადიანი პოლიტიკური სიცოხლისუნარიანობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს (Pierson 1994, 2).

რა თქმა უნდა, ეს სიმართლეს შეესაბამება მხოლოდ იმ პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც არ ახდენს სარგებლის კონცენტრაციასა და ხარჯების გაფანტვას, ისე, როგორც სოციალური დაცვის შემთხვევაში. საწინააღმდეგოსთან გვაქვს საქმე იმ პროგრამების შემთხვევაში, რომლებსაც სარგებელი მოაქვს უმცირესობისთვის, უმრავლესობაზე გადასახადების დაწესებით ისევე, როგორც AFDC პროგრამის შემთხვევაში, რომელიც ავად თუ კარგად, ამერიკის მეორე ნაწილის სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სახელმწიფოს სიმბოლო გახდა. რეიგანის ადმინისტრაციამ მოიგერია პირველი გაფიცვა AFDC–ს წინააღმდეგ, 1981 წლის ომნიბუსის ბიუჯეტის აქტით (OBRA Rochefort 1986), რომელმაც შეამცირა პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა და დროის ლიმიტი დააწესა „30 და 1/3 წესზე". გარდა ამისა, რეიგანმა შეამცირა კვების შტამპის პროგრამა, სუბსიდირებული საცხოვრებლები, სასკოლო სადილის პროგრამა, ბავშვთა ზრუნვისა და ოჯახური დახმარების პროგრამა, სახელმწიფო მენტალური ჯანმრთელობისა და კონსულტაციების პროგრამა, ლეგალური დახმარება და სხვა მცირე პროგრამები (Trattner [1974] 1999).

რადგან ეს შემცირებები უფრო მასშტაბური არ იყო, ამან ბევრ მეცნიერს აფიქრებინა, რომ კონსერვატორთა შემოტევა არ იყო წარმატებული: „ეს პროგრამები მნიშვნელოვნად ფართო იყო 1985 წელს, ვიდრე 1966 წელს. რეიგანის რევოლუცია ძალიან პატარა იყო, თუ მას ამ ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ (Gottschalk 1988). ეს არის დასკვნა, რომელსაც

სქემა ა.11. გვერდი, რომელშიც ფრჩხილებში ჩასმული მითითებებია მოცემული, გადმობეჭდილია მონიკა პრასადის ნებართვით, „თავისუფალი ბაზრის პოლიტიკა: ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის აღზევება ბრიტანეთში, საფრანგეთში და შეერთებულ შტატებში" (სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2000).

234




სურ. 1. Leonce Reynaud, “Prison Mazas,” *Traite d’ Architecture* (1863), vol. 2, plate 58.

მაზას ციხე, რომელმაც შეცვალა პარიზის ფობურგის წმინდა ანტუანის ციხე, ერთ-ერთი პირველი დაწესებულება იყო, სადაც განახორციელეს მთავრობის განკარგულება უჯრედოვან დიზაინთან დაკავშირებით (იხ. ნახ. 1)[35] . პარიზის პრეფექტმა მოიწვია დიუმა, ბოსინგო, ლებლონი და მათი კოლეგები სპეციალურ კომისიაში, სადაც ციხის ჰაერით მომარაგების მეცნიერული სტანდარტი უნდა შეემუშავებინათ. ბევრი ცდის შედეგად, როგორც ვნახეთ, მათ გააკეთეს საათისებრი ფიგურის დიზაინი, რომელიც გათვლილი იყო ათ კუბურ მეტრ ჰაერზე ერთი ადამიანისთვის. ეს სტანდარტი მიიღო კომისიამ და გადაწყდა, რომ მთავრობა ვენტილაციის ამ სისტემას აირჩევდა.

1850 წლის მაისში ახალი ციხე გაიხსნა. ბენტამის პანოპტიკონს ჰქონდა

35. ციხე მოიცავდა რამდენიმე ინდივიდუალურ დაკავების საკანს, და *La Roquette* საკანს ახალგაზრდებისთვის. მაზა ასეთი ფართო მასშტაბის პირველი პროექტი იყო საფრანგეთში. Benjamin Appert, *Bognes, prisons et criminals*, 2nd ed. (Paris: Guilbert, 1836), 1: 155

სურ. ა.12. გვერდი ტექსტითა და სქემით. გადმობეჭდილია დანა ჯინ სიმონსის ნებართვით „მინიმალური ფრანგი: მეცნიერება და ცხოვრების სტანდარტები, 1840-1960” (სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2004).

| | Rank | Number of subcenters | Fraction of regional employment in | | | Mean annual earnings ($) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | CBD | Center city | Subcenters | CBD | Center city | Subcenters | Region |
| New York | 1 | 38 | .19 | .83 | .47 | 47,217 | 34,781 | 37,360 | 33,984 |
| Los Angeles | 2 | 62 | .04 | .49 | .21 | 38,238 | 30,228 | 31,770 | 29,719 |
| Chicago | 3 | 67 | .09 | .44 | .16 | 39,968 | 30,133 | 28,137 | 29,355 |
| Washington | 4 | 46 | .08 | .33 | .22 | 40,156 | 35,657 | 32,329 | 32,556 |
| Dallas | 5 | 72 | .06 | .40 | .34 | 35,391 | 29,107 | 28,959 | 27,902 |
| Philadelphia | 6 | 58 | .10 | .55 | .34 | 32,614 | 28,393 | 28,805 | 27,696 |
| Houston | 7 | 47 | .06 | .77 | .19 | 37,379 | 27,863 | 30,784 | 27,493 |
| Detroit | 8 | 38 | .05 | .23 | .22 | 32,219 | 28,606 | 32,270 | 29,305 |
| San Francisco | 9 | 35 | .12 | .40 | .35 | 37,651 | 33,559 | 33,256 | 31,098 |
| Atlanta | 10 | 38 | .07 | .55 | .19 | 30,548 | 28,567 | 29,210 | 27,800 |
| Minneapolis | 11 | 52 | .08 | .22 | .30 | 31,671 | 27,534 | 27,918 | 25,962 |
| Boston | 12 | 37 | .14 | .39 | .24 | 38,285 | 33,620 | 27,653 | 30,684 |
| San Diego | 13 | 26 | .05 | .58 | .19 | 29,482 | 26,973 | 27,113 | 25,307 |
| Baltimore | 14 | 32 | .10 | .46 | .25 | 29,926 | 26,887 | 27,223 | 26,191 |
| Saint Louis | 15 | 36 | .08 | .29 | .24 | 29,923 | 26,383 | 28,503 | 25,147 |
| Phoenix | 16 | 32 | .02 | .58 | .18 | 29,529 | 25,147 | 24,734 | 24,600 |
| Denver | 17 | 43 | .07 | .47 | .29 | 32,725 | 28,072 | 26,990 | 26,305 |
| Miami | 18 | 32 | .07 | .44 | .26 | 28,345 | 24,539 | 24,800 | 24,462 |
| Seattle | 19 | 18 | .12 | .50 | .25 | 30,177 | 27,565 | 29,579 | 27,574 |
| Cleveland | 20 | 16 | .11 | .40 | .19 | 32,461 | 27,972 | 29,607 | 26,108 |
| Pittsburgh | 21 | 26 | .14 | .42 | .28 | 30,801 | 26,596 | 26,561 | 24,968 |
| Tampa | 22 | 36 | .05 | .36 | .29 | 27,650 | 23,974 | 22,825 | 22,812 |
| Kansas City | 23 | 34 | .07 | .43 | .18 | 29,578 | 25,897 | 24,835 | 24,925 |
| Milwaukee | 24 | 20 | .11 | .47 | .19 | 28,434 | 24,400 | 26,176 | 24,086 |
| Portland, OR | 25 | 32 | .12 | .48 | .18 | 28,319 | 25,287 | 23,317 | 25,458 |
| Sacramento | 26 | 31 | .10 | .46 | .28 | 29,996 | 27,995 | 26,240 | 27,118 |
| Orlando | 27 | 37 | .05 | .30 | .31 | 28,089 | 22,963 | 22,476 | 22,629 |
| Indianapolis | 28 | 17 | .11 | .80 | .22 | 27,004 | 25,264 | 26,930 | 24,693 |
| Columbus | 29 | 30 | .13 | .74 | .30 | 29,546 | 26,046 | 25,294 | 26,307 |
| Cincinnati | 30 | 21 | .14 | .54 | .13 | 30,358 | 27,615 | 23,093 | 25,900 |

*Source:* Data from U.S. Bureau of the Census 1990.

*Note:* The portion of CTPP-defined regions that are closest to the CBD of the largest city defines the geography. This definition does not result in exact matches with metropolitan areas in some cases.

**Table 2.2. The largest regions by employment**

სურ, ა.13. ჰორიზონტალური გვერდი. გადმობეჭდილია ნათანიელ ბაუმ-სნოუს ნებართვით, „ესეები მოსახლეობის სივრცულ განაწილებასა და დასაქმებაზე" (სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2005).

**თავები.** სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების უმრავლესობა, ისევე, როგორც ბევრი ვრცელი საკურსო ნაშრომი, ორი ან მეტი თავისგან შედგება. თითოეული თავი ახალ გვერდზე იწყება. გვერდის დასაწყისში დააწერეთ *თავი*, შემდეგ მიაწერეთ ნომერი. შეგიძლიათ, დანომროთ არაბული ციფრებით (4) ან სიტყვიერად (მეოთხე). თუ თქვენი თემა ნაწილებადაცაა დაყოფილი, თავებისთვის დანომვრის სხვანაირი სტილი შეარჩიეთ (მაგალითად, ნაწილი II; თავი მეოთხე). თუ თავს ნომერთან ერთად სათაურიც აქვს, ეს სათაური ორი ხაზით ქვემოთ დაწერეთ, გამოტოვებული ხაზის ქვემოთ. არც ნომერი და არც სათაური არ გაიმეოროთ თავის სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ ხაზს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ. სურათი ა.9 გვიჩვენებს თავის პირველი გვერდის ნიმუშს ეპიგრაფით (იხ. 25.2.2).

ალტერნატიული ფორმატი გულისხმობს, რომ გამოტოვოთ სიტყვა *თავი* და მხოლოდ მისი ნომერი და სათაური დაწეროთ, რომლებიც ერთ ხაზზე მოთავსდება და ორი წერტილით ან მათ შორის ცარიელი ადგილით გამოიყოფა. თუმცა ასეთ ფორმატს ნუ გამოიყენებთ, თუ თქვენი ნაშრომი ნაწილებსაც მოიცავს და თავებსაც, თუ არ ასათაურებთ თავებს ან თუ არის მოსალოდნელი, რომ ახალი თავი ნაშრომის ნებისმიერ სხვა ნაწილში აერიოთ.

**სექციები და ქვესექციები.** სადიპლომო ნაშრომებში, დისერტაციებსა და ვრცელ საკურსო თემებში, თავები შეიძლება, სექციებად იყოს დაყოფილი; სექციები კი თავის მხრივ – ქვესექციებად, და ა.შ. თუ თქვენს ნაშრომში, ან მასში მოცემულ თავში მხოლოდ რამდენიმე სექციაა, შეგიძლიათ, სექციებს შორის დანაყოფები არაფორმალურად მიუთითოთ პარაგრაფებს შორის დამატებითი ხაზის გამოტოვებით.

თუ ნაშრომში ან მის თავებში ფორმალურად გააკეთებთ სექციებს, თითოეული მათგანი შეგიძლიათ, დაასათაუროთ, ამ სათაურებს *ქვესათაურებსაც* უწოდებენ. შესაძლოა, რამდენიმე დონის ქვესათაურები გქონდეთ, პირველი *დონის, მეორე დონის* და ასე შემდეგ. თუ ძალიან გრძელ და კომპლექსურ ნაშრომს არ ამზადებთ, კარგად დაფიქრდით მანამ, სანამ ორზე ან სამზე მეტი დონის ქვესათაურს გამოიყენებთ. იმის მაგივრად, რომ მკითხველს დაეხმაროს, შეიძლება, ამდენმა ქვესათაურმა პირიქით, ხელიც კი შეუშალოს მას. ნებისმიერ დონეზე მინიმუმ ორი ქვესათაური მაინც უნდა გქონდეთ; თუ არ გაქვთ, თქვენი დაყოფა შესაძლოა, არ იყოს ლოგიკური.

თუ თქვენი ადგილობრივი ინსტრუქციები ქვესათაურებთან დაკავშირებით რაიმე სპეციფიკურ წესებს არ გთავაზობთ, შეგიძლიათ, საკუთარი ტიპოგრაფიკა და

ფორმატი შეიმუშაოთ. ქვესათაურის თითოეული დონე თანმიმდევრული უნდა იყოს და განსხვავდებოდეს ყველა სხვა დონისაგან. მაღალი დონის ქვესათაურები ვიზუალურად უფრო უნდა ჩანდეს, ვიდრე დაბალი დონისა. ზოგადად, ქვესათაურები უფრო კარგად ჩანს, როდესაც ცენტრში, გამსხვილებული და დახრილი შრიფტითაა გამოტანილი ან როდესაც სათაურისთვის დამახასიათებელი დიდი ასოების სტილითაა დაწერილი, ვიდრე, როცა მარცხენა მხარეს, ჩვეულებრივი შრიფტით ან წინადადებისთვის დამახასიათებელი დიდი ასოების სტილითაა დაწერილი. ქვესათაურის წინ და შემდეგ, დამატებით გამოტოვეთ ერთი ხაზი; ბოლოში არ დაუსვათ წერტილი.

გთავაზობთ სქემას ხუთდონიანი ქვესათაურებისთვის.

- *პირველი დონე:* ცენტრში, გამსხვილებული ან დახრილი შრიფტით, სათაურისთვის დამახასიათებელი სტილის მთავრული ასოებით

**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ**

- *მეორე დონე:* ცენტრში, ჩვეულებრივი შრიფტით, სათაურისთვის დამახასიათებელი სტილის მთავრული ასოებით

ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ?

- *მესამე დონე:* მარცხნივ, გამსხვილებული ან დახრილი შრიფტით, სათაურისათვის დამახასიათებელი სტილის მთავრული ასოებით

*ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲢᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ*

- *მეოთხე დონე:* მარცხნივ, რომაული შრიფტით, წინადადებისთვის დამახასიათებელი სტილის მთავრული ასოებით (ეს მაგალითი ქართულად არ გამოდის)

ძირითადი მხატვრები და პრაქტიკოსები

- *მეხუთე დონე:* იწყება პარაგრაფის დასაწყისში (არ მოყვება გამოტოვებული ხაზი), გამსხვილებული ან დახრილი შრიფტით, წინადადებისთვის დამახასიათებელი სტილის დიდი ასოებით და ბოლოში წერტილით.

*პოლოკი, როგორც ლიდერი.* წამყვანი აბსტრაქტული ექსპრესიონისტი მხატვრის როლი ჯეკსონ პოლოკმა მოირგო...

არასოდეს დაამთავროთ გვერდი ქვესათაურით. ტექსტური რედაქტორი ისე დააყენეთ, რომ ყველა სათაური მომდევნო პარაგრაფზე იყოს მიბმული და თუ საჭიროა, დამატებით ერთი ან ორი ხაზი გამოტოვეთ, რათა ქვესათაური გვერდის თავში იყოს. სხვადასხვა დონის ორ ქვესათაურს შორის, რომლებიც ერთადაა მოცემული ისე, რომ მათ შორის არ არის ტექსტი, კიდევ ერთი ხაზი გამოტოვეთ.

**შენიშვნები და ფრჩხილებში მოცემული მითითებები**. თუ სქოლიოში მითითების სტილს იყენებთ, იხილეთ 16.3, იმის თაობაზე, თუ როგორ დააფორმატოთ სქოლიოები. სურათი ა.10 გვიჩვენებს ტექსტის ნიმუშს სქოლიოებით.

თუ ტექსტობრივი მითითების სტილს იყენებთ, იხილეთ 18.3, სადაც განხილულია როგორ დააფორმატოთ ფრჩხილებში მოცემული მითითებები.

**ცხრილები და სქემები.** თუ თქვენი ნაშრომი ცხრილებს და სქემებს მოიცავს, იხილეთ 26-ე თავი იმის შესახებ, თუ როგორ დააფორმატოთ ცხრილები, გარკვეული ტიპის სქემები და სქემების წარწერები. ასევე, იხილეთ ა.3.1. იმის თაობაზე, თუ როგორ ჩასვათ ეს ელემენტები თქვენს ნაშრომში. სურათი ა.12 გვიჩვენებს ტექსტის ნიმუშს, სადაც სქემაა ჩასმული და სურათი ა.13 გვიჩვენებს ჰორიზონტალური ცხრილის ნიმუშს.

**დასკვნა.** სადიპლომო ნაშრომში ან დისერტაციაში (ზოგიერთ შემთხვევაში კი საკურსო ნაშრომში), სავარაუდოდ, დასკვნაც გექნებათ, რომელიც საკმარისად დიდი იქნება იმისათვის, რომ ცალკე კომპონენტად გამოყოთ. თუ ასეთი დასკვნა გაქვთ, გვერდის თავში დააწერეთ *დასკვნა*. არ გაიმეოროთ სათაური დასკვნის სხვა გვერდებზე. სათაურსა და ტექსტის პირველ ხაზს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ.

შესაძლებელია, დასკვნა თქვენი ნაშრომის ბოლო დანომრილი თავი იყოს, თუ გინდათ, ხაზი გაუსვათ მის კავშირს თქვენი ტექსტის დანარჩენ ნაწილთან. ასეთ შემთხვევაში, სიტყვა *დასკვნა*, თავის სათაურად აქციეთ (იხ. ზემოთ, გვ. 397).

### ა.2.3 ბოლო გვერდები

თქვენი ნაშრომის ბოლო გვერდები შეიძლება, შედგებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ან მხოლოდ ზოგიერთი კომპონენტისგან, ან სულაც არცერთ მათგანს არ

შეიცავდეს. უნივერსიტეტები და კათედრები, როგორც წესი, მიუთითებენ, რა თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს ეს კომპონენტები; თუ ეს ასე არ ხდება, მიყევით იმ რიგითობას, რაც ქვემოთაა მოცემული. უკანა გვერდები არაბული ციფრებით, ერთმანეთის მიყოლებით დანომრეთ.

**ილუსტრაციები**. თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია (ზოგ შემთხვევაში კი თქვენი საკურსო თემა) მოიცავს ფოტოებს, რუკებს ან მსგავსი ტიპის სქემებს, რომლებიც თქვენი თემისთვის შედარებით ნაკლებად რელევანტურია ან ზედმეტად დიდია იმისათვის, რომ ტექსტში ჩასვათ (იხ. 26.1.1), ისინი უკანა გვერდების პირველ კომპონენტად გადაიტანეთ. სხვა ტიპის სქემები, ცხრილები და გრაფიკები, რომლებიც ამ კრიტერიუმებში ჯდება, დანართად უნდა იყოს მოცემული; იხილეთ ქვემოთ.

პირველი გვერდის დასაწყისში დააწერეთ *ილუსტრაციები*. არ გაიმეოროთ სათაური ილუსტრაციების სხვა გვერდებზე. თქვენს ნაშრომში სქემების ჩართვასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ა.3.1.

**დანართები.** თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია (ზოგ შემთხვევაში კი თქვენი საკლასო თემა) მოიცავს მნიშვნელოვან მასალას, რომელიც მარტივად არ მოთავსდება თქვენს ძირითად ტექსტში, ეს მასალა ერთ ან რამდენიმე დანართში შეიტანეთ უკანა გვერდების ნაწილად (დანართები თავების ბოლოს არ დაურთოთ).

ასეთი მასალის მაგალითია ცხრილები და სხვადასხვა სახის სქემები, გრაფიკები, რომლებიც თქვენი თემისათვის ან შედარებით ნაკლებ რელევანტურია, ან ძალიან დიდია ტექსტში ჩასასმელად; განრიგები და ფორმები, რომლებიც გამოიყენეთ მასალების შესაგროვებლად; დოკუმენტების ქსეროასლები, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი მკითხველისთვის; და სიტუაციური მაგალითები, რომლებიც ზედმეტად გრძელია ტექსტში ჩასასმელად. პირველი გვერდის დასაწყისში დააწერეთ *დანართი*. არ გაიმეოროთ სათაური დანართის სხვა გვერდებზე, თუ იგი ერთზე მეტ გვერდს მოიცავს. სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ.

თუ დანართში მოცემული მასალა სხვადასხვა ტიპისაა – მაგალითად, ცხრილი და სიტუაციური მაგალითი -  მაშინ ერთზე მეტ დანართად დაყავით. ამ

შემთხვევაში, თითოეული დანართი დანომრეთ ციფრით ან ასოთი და სათაურიც გაუკეთეთ. დანომვრა შეგიძლიათ, გააკეთოთ ან არაბული ციფრებით (1, 2), ან სიტყვიერად (ერთი, ორი), ან შეგიძლიათ, უბრალოდ, ანბანის ასოები გამოიყენოთ თანმიმდევრულად (ა, ბ). რიცხვი ან ასო სიტყვა *დანართის* შემდეგ დასვით, სათაური კი მომდევნო ხაზზე დაწერეთ. (თუ თქვენი ნაშრომი მხოლოდ ერთი დანართისგან შედგება, ამ შემთხვევაშიც შეგიძლიათ სათაურის გაკეთება, მაგრამ აქ ნომრის ან ასოს დაწერა საჭირო აღარ არის).

თუ დანართი თქვენი საკუთარი განმარტებითი ტექსტისგან შედგება, ტექსტში სტრიქონები ორი ხაზით დააშორეთ ერთმანეთთან და დააფორმატეთ ძირითადი ტექსტის შესაბამისად. თუ იგი მხოლოდ პირველადი წყაროს ან სიტუაციური მაგალითისგან შედგება, შეიძლება, ტექსტში სტრიქონებს შორის ერთხაზიანი დაშორებები გააკეთოთ, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი გრძელია.

დამხმარე მასალა, რომელიც ვერ შეძელით, ამობეჭდილი სახით გქონოდათ, მაგალითად, მონაცემთა დიდი ბაზა ან მულტიმედიური ფაილი, ასევე, დანართად გქონდეთ. დაურთეთ ამ მასალის მოკლე აღწერა და მისი ადგილი, ასევე, თუ არსებობს – ჰიპერლინკიც. გაეცანით ადგილობრივ ინსტრუქციებს ფორმატისა და პრეზენტაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით; ასევე, იხილეთ ა.3.1

**ლექსიკონი:** თუ თქვენი სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია (ან ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი საკლასო თემა) ლექსიკონს საჭიროებს (იხ. ა.2.1), შეგიძლიათ, იგი უკანა გვერდებზე მოაქციოთ, დანართების შემდეგ და შენიშვნების, ბიბლიოგრაფიისა და სახელთა საძიებლის წინ. დაიცავით ყველა ფორმატის მოთხოვნები, რაც ა.2.1-შია მოცემული, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თუ ლექსიკონი უკანა გვერდებზეა, იგი რომაული ციფრების ნაცვლად, არაბული ციფრებით უნდა დაინომროს. სურათი ა.8 გვიჩვენებს ლექსიკონის ნიმუშს (რომელიც დაფორმატებულია წინა გვერდებზე შესატანად).

**შენიშვნები.** თუ სქოლიოში მითითებების სტილს იყენებთ, შეგიძლიათ, შენიშვნები ბოლო გვერდების ნაწილად გაუშვათ (იხ. 16.3.4 შენიშვნების დაფორმატებისთვის). პირველი გვერდის თავში დააწერეთ *შენიშვნები.* არ გაიმეოროთ სათაური დანართის სხვა გვერდებზე, თუ იგი ერთზე მეტ გვერდს

მოიცავს. სათაურსა და შენიშვნების პირველ სტრიქონს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ, თავად შენიშვნებს შორის კი – ერთი ხაზი. სურათი ა.14 გვიჩვენებს ბოლო შენიშვნების გვერდს იმ ნაშრომის შემთხვევაში, რომელიც თავებად არის დაყოფილი.

თუკი ტექსტობრივი მითითების  სტილს იყენებთ, შენიშვნები არ გექნებათ.

**ბიბლიოგრაფია და საძიებელი**. თუ სქოლიოში მითითების ბიბლიოგრაფიის ჩართვა ბოლო გვერდებში მოგიწევთ. ამ კომპონენტის საწყის გვერდს თავში დააწერეთ *ბიბლიოგრაფია.* არ გაიმეოროთ სათაური ბიბლიოგრაფიის სხვა გვერდებზე, თუ იგი ერთზე მეტ გვერდს მოიცავს. სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ, თავად ბიბლიოგრაფიაში მოცემულ ერთეულებს შორის კი – ერთი ხაზი. სურათი ა.15 გვიჩვენებს ბიბლიოგრაფიის გვერდის ნიმუშს.

ზოგიერთი სახის ბიბლიოგრაფიის შემთხვევაში განსხვავებული სათაური უნდა გამოიყენოთ, მაგალითად - *გამოყენებული ლიტერატურა.* თუ ბიბლიოგრაფიას ავტორების მიხედვით ანბანურად არ დაალაგებთ, წინ შენიშვნა გაუკეთეთ, ქვესათაური (რომელიც შესაბამისად იქნება დაფორმატებული) ან ორივე, რათა ახსნათ სტრუქტურა. იხ. 16.2 სხვადასხვა ვარიაციებისთვის.

თუ ტექსტობრივი მითითების სტილს იყენებთ, აუცილებლად უნდა დაურთოთ საძიებელი უკანა მხარეს. პირველი გვერდის თავში დააწერეთ *საძიებელი.* არ გაიმეოროთ სათაური საძიებლის სხვა გვერდებზე, თუ იგი ერთზე მეტ გვერდს მოიცავს. სათაურსა და ტექსტის პირველ სტრიქონს შორის ორი ხაზი გამოტოვეთ, თავად საძიებელში მოცემულ ერთეულებს შორის კი – ერთი ხაზი. სურათი ა.16 გვიჩვენებს ბიბლიოგრაფიის გვერდის ნიმუშს.

იშვიათ შემთხვევებში, როდესაც საძიებელს ავტორების მიხედვით ანბანურად არ ალაგებთ (იხ. 18.2.1), თავში გაუკეთეთ შენიშვნა, ქვესათაური (რომელიც შესაბამისადაა დაფორმატებული) ან ორივე, სტრუქტურის განსამარტად.

## ა.3. ჩაბარების მოთხოვნები

### ა.3.1. თქვენი ფაილების მომზადება

ელექტრონული ფაილების მართვისა და მომზადებისთვის რამდენიმე რჩევის გამოყენება დაგეხმარებათ, თავი აარიდოთ პრობლემებს და ნებისმიერი სიტუაციისთვის გასაგები, კარგად დაფორმატებული ნაშრომი წარადგინოთ. ეს ინსტრუქციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ნაშრომი ელექტრონული ფორმით უნდა ჩააბაროთ (იხ. ა.3.3).

ᲤᲐᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ. შეეცადეთ მაქსიმალურად შეამციროთ მონაცემების დაკარგვისა ან გაფუჭების რისკი.

- მოამზადეთ თქენი ნაშრომი ერთ ელექტრონულ ფაილად, მიუხედავად იმისა, თუ რა სიდიდისაა ის. ერთ ფაილთან მუშაობა საშუალებას გაძლევთ, მოძებნოთ და ცვლილებები განახორციელოთ გლობალურად, ასევე, დანომვრა გააკეთოთ ავტომატურად (მაგალითად, სქოლიოების დანომვრა) და აღწეროთ სტილი თანმიმდევრულად (იხ. ქვემოთ). ნაშრომები, რომლებიც ელექტრონულად ბარდება, ყოველთვის ერთ ფაილად უნდა იყოს.

- ფაილს მარტივი და ლოგიკური სახელი დაარქვით. თუ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ვერსია გექნებათ, თანმიმდევრულად დაარქვით სახელები (მაგალითად, ყოველთვის დაამთავრეთ რიცხვით), რომ სხვადასხვა ვერსიები არ აგერიოთ.

- მოერიდეთ ფაილზე მუშაობას ერთზე მეტი ტიპის პროგრამული უზრუნველყოფით. ერთი პროგრამიდან მეორეში გადატანა ყოველთვის მოიცავს შეცდომებისა და მონაცემთა დაკარგვის რისკს, მაშინაც კი, როდესაც სტანდარტულ ტექსტურ რედაქტორში მუშაობთ.

- ფაილი ხშირად შეინახეთ თითოეული წერითი სესიის დროს.

- თითოეული წერითი სესიის შემდეგ ინფორმაციის სარეზერვო ასლი შეინახეთ რამდენიმე ადგილას. თქვენი ადგილობრივი მყარი დისკის გარდა, შეინახეთ ადგილობრივ ქსელშიც (თუ ასეთი გაქვთ) ან ცალკე შესანახ მოწყობილობაში, მაგალითად CD-ზე.

- ამობეჭდეთ ფაილი მანამ, სანამ თემის ჩაბარების რიცხვი მოახლოვდება. კარგად დააკვირდით, რაიმე ხარვეზი არ იყოს კომპიუტერული უზრუნველყოფის გამო, მაგალითად, შეიძლება, თქვენი პრინტერი ვერ ცნობდეს გარკვეულ სიმბოლოებს და ცუდად ამოიბეჭდოს. ამონაბეჭდს

„პირველი ვერსია" დაარქვით და შეინახეთ, სანამ ბოლო ვერსიას ჩააბარებთ. გამოუვალ მდგომარეობაში (როგორიცაა კომპიუტერის გაფუჭება ან სერიოზული ვირუსით დაბინძურება) შეგიძლიათ, ეს ვერსია გამოიყენოთ, რათა დაამტკიცოთ, რომ პირველი ვერსია ნამდვილად გქონდათ.

**ტექსტის კომპონენტები:** თქვენი ტექსტის ყველა კომპონენტი წარმოადგინეთ გასაგებად და თანმიმდევრულად:

- ტექსტის თითოეული კომპონენტი თანმიმდევრულად დააფორმატეთ, მათ შორის ჩვეულებრივი ტექსტი, ვრცელი ციტატები, სქოლიოები და თითოეული ტიპის სათაური და ქვესათაური. თანმიმდევრულობის დასაცავად ყველაზე ეფექტური გზაა, თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვროთ და გამოიყენოთ გარკვეული სტილი (მათ შორის, შრიფტი, მთავრული ასოები, პოზიცია და ა.შ.) პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციების საშუალებით.

- თქვენი ტექსტური რედაქტორის საშუალებით ტექსტი მარცხენა მხარეს გაათანაბრეთ (დატოვეთ „არათანაბარი" მარჯვენა მხარე) და არ გამოიყენოთ ავტომატური გადატანა (იხ. 20.4.1).

- გააკეთეთ სპეციალური სიმბოლოები ან ძირითადი კლავიშების გამოყენებით, ან სიმბოლოს შრიფტიდან. სპეციალური აღმნიშვნელები (როგორიცაა ბერძნული ასოები, მათემატიკური სიმბოლოები და პარაგრაფები ან სექციის ნიშნები) გააკეთეთ სიმბოლოს შრიფტიდან.

- მოერიდეთ ფერად შრიფტს. იმ შემთხვევაშიც, თუ თემას ფერად პრინტერზე ამობეჭდავთ, მოგვიანებით შეიძლება, შავ-თეთრ პრინტერზე დაბეჭდოთ და ფერი კარგად აღარ გადავიდეს.

- ფორმულები და განტოლებები, თუ შესაძლებელია, განტოლებების რედაქტორის საშუალებით გააკეთეთ. თუ არა, ისინი რელევანტურ პროგრამაში გააკეთეთ და თქვენს ტექსტში იმიჯების სახით ჩასვით (იხილეთ ქვემოთ). იმიჯსა და ტექსტს შორის, სულ მცირე, ერთი ხაზი მაინც გამოტოვეთ (თუ, რა თქმა უნდა, ტექსტი მოყვება), როგორც ზემოთ, ასევე, ქვემოთ.

**ცხრილები.** გამოიყენეთ პროგრამული უზრუნველყოფა გასაგები, ფოკუსირებული და რელევანტური ცხრილების შესაქმნელად.

- ცხრილები თქვენი ტექსტური რედაქტორის ცხრილების რედაქტორში გააკეთეთ, თუ არის ამის შესაძლებლობა. თუ არა, მაშინ ექსელის ფაილში გააკეთეთ და ჩასვით თქვენს ტექსტში, როგორც ცხრილი, რომელიც არ არის მიბმული რომელიმე ფაილზე. დააფორმატეთ მის გარშემო არსებული ტექსტის შესაბამისად. იხილეთ 26-ე თავი ცხრილის სტრუქტურის, ფორმატის და ტექსტში მისი განლაგების თაობაზე.

- ცხრილის ნომერი და მისი სათაური ცხრილის თავზე დასვით (იხ. 26.2.2). სათაური ცხრილის მთელ სიგანეზე გააგრძელეთ და არ გამოყოთ აბზაცით გადატანა. ცხრილის სათაური შეიძლება, უფრო პატარა შრიფტით იყოს დაწერილი, ვიდრე ტექსტის შრიფტი. გაეცანით თქვენს ადგილობრივ მითითებებს.

- სქოლიოები (თუ, რა თქმა უნდა, გაქვთ) მოათავსეთ ცხრილის ბოლო ხაზს ქვემოთ, ერთი ხაზის გამოტოვებით. სქოლიოები უფრო პატარა შრიფტით უნდა იყოს დაბეჭდილი, ვიდრე დანარჩენი ტექსტი; გაეცანით ადგილობრივ ინსტრუქციებს ამასთან დაკავშირებით.

- სულ მცირე ერთი ხაზი მაინც გამოტოვეთ ცხრილის სათაურსა და მის ზემოთ არსებულ ნებისმიერ ტექსტს შორის, ასევე, ცხრილის დამაბოლოებელ ხაზსა (ან ბოლო სქოლიოს) და მის ქვემოთ არსებულ ნებისმიერ ტექსტს შორის. თუ ცხრილი გვერდის ზედა ნაწილში ან ბოლოშია, მიიყვანეთ ზედა ან ქვედა არეებამდე.

- მოერიდეთ ჩრდილებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გრძელი ან კომპლექსური ცხრილები გაქვთ (იხ. 8.3.2). ასევე, მოერიდეთ ფერებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ ნაშრომს ფერად პრინტერზე ბეჭდავთ. მოგვიანებით, შეიძლება, ის შავ-თეთრ პრინტერზე ამობეჭდონ და თუ დისერტაციაა, ამ შემთხვევაში მიკროფირებზეც შესაძლოა, რომ შეინახონ. ასეთ შემთხვევებში, ჩრდილები და ფერები კარგად არ ჯდება. თუ ჩრდილებს მაინც იყენებთ, დარწმუნდით, რომ იგი ცხრილის ტექსტს არ ფარავს, არ გამოიყენოთ ბევრი სხვადასხვაგვარი ჩრდილი. გაეცანით ადგილობრივ ინსტრუქციებს რეზოლუციასა და მასთან დაკავშირებულ მახასიათებლებთან დაკავშირებით.

- გაიმეორეთ სათაურის სვეტი და ყველა სვეტის სათაური (იხ. 26.2) მრავალგვერდიანი ცხრილის ყოველ გვერდზე. ცხრილის ნომერი დაწერეთ “გაგრძელებულ” ხაზზე ყველა გვერდზე პირველი გვერდის შემდეგ, მარცხენა მხარეს, დახრილი შრიფტით (*ცხრილი 2-ის გაგრძელება*). ცხრილის ბოლო ხაზი გამოტოვეთ ყველა გვერდზე, ბოლო გვერდის გარდა.

- ცხრილისთვის, რომელიც მთლიან გვერდს იკავებს ან ჰორიზონტალურია, დაიცავით სტანდარტული ველი (იხ. 16.1.2). არ დაამატოთ ჩვეულებრივი ტექსტი იმ გვერდზე, რომელზეც ცხრილი ფურცლის ჰორიზონტალურად არის განთავსებული. ცხრილის სათაური დასვით ფურცლის ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად. გვერდი შესაბამისად დანომრეთ.

- ისეთი ცხრილი, რომლის წარმოდგენა ბეჭდური სახით შეუძლებელია, მაგალითად, ცხრილი, რომელშიც საკმაოდ ბევრი მონაცემია, ნაშრომს დანართად დაურთეთ (იხ. ა.2.2).

**სქემები**. დარწმუნდით, რომ თქვენი გრაფიკები ადვილად იკითხება, ზუსტია და მიზანმიმართული.

- თუ შესაძლებელია, გრაფიკები და დიაგრამები ტექსტური რედაქტორის საშუალებით ააგეთ. სხვა შემთხვევაში, იგი შესაბამის პროგრამაში შექმენით და ტექსტში ჩასვით, როგორც გამოსახულება. დააფორმატეთ მის გარშემო არსებული ტექსტის შესაბამისად. იხილეთ 26-ე თავი ცხრილის ტიპთან, ფორმატსა და ტექსტში მის განთავსებასთან დაკავშირებით.

- ფოტოები, რუკები და სხვა ტიპის სქემები ტექსტში გამოსახულებების სახით ჩასვით. თუ რომელიმე მათგანი მხოლოდ ბეჭდური სახით გაქვთ, დაასკანერეთ, თუ არის ამის შესაძლებლობა და ისე ჩასვით ტექსტში,. გამოსახულებები, რომლებიც დართულია თქვენი ნაშრომის ბეჭდურ ვარიანტზე, ქსეროასლის გადაღების დროს ცუდად გამოდის და ასევე, არ იქნება იმ ვერსიაში, რომელსაც ელექტრონულიდან ამობეჭდავენ.

- სქემის ნომერი და წარწერა გააკეთეთ სქემის ქვედა ხაზზე (იხ. 26.3.2). (მხოლოდ მუსიკის მაგალითების შემთხვევაში გააკეთეთ ნომერი და წარწერა სქემის ზედა ხაზზე). წარწერა სქემის სრულ სიგანეზე გააყოლეთ და აბზაცით არ გამოყოთ გადატანა. თუ არეებს შორის მანძილი საკმარისი არ არის, როგორც სქემის, ასევე, წარწერისთვის, წარწერა უახლოესი წინა გვერდის ტექსტის ბოლოში გააკეთეთ (ან თუ აუცილებელია, თავში). სქემის წარწერები შეიძლება, უფრო პატარა შრიფტით გააკეთოთ თქვენს მთავარ ტექსტთან შედარებით; გაეცანით ადგილობრივ მონაცემებს.

- ამ გვერდზე დატოვეთ სულ მცირე ერთი ცარიელი ხაზი სქემასა და მის ზემოთ არსებულ ტექსტს შორის; ასევე, წარწერასა და ტექსტს შორის სქემის ქვემოთ. თუ სქემა გვერდის თავში ან ბოლოშია მოთავსებული, მიიყვანეთ ზედა ან ქვედა არეებამდე.

- მოერიდეთ ჩრდილებს და ფერებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ ნაშრომს ფერად პრინტერზე ბეჭდავთ. მოგვიანებით ის შეიძლება შავ-თეთრ პრინტერზე ამობეჭდონ და თუ დისერტაციაა, შეიძლება, მიკროფირებზეც შეინახონ. ასეთ შემთხვევებში, ჩრდილები და ფერები კარგად არ ჯდება. თუ ჩრდილებს მაინც იყენებთ, დარწმუნდით, რომ იგი ცხრილის ტექსტს არ ფარავს, არ გამოიყენოთ ბევრნაირი ჩრდილი, რადგან იგი გარკვევით არ ჩანს.

- გაეცანით ადგილობრივ ინსტრუქციებს რეზოლუციასა და მასთან დაკავშირებულ მახასიათებლებთან დაკავშირებით.

- სქემისთვის, რომელიც მთლიან გვერდს იკავებს ან ჰორიზონტალურად არის განთავსებული, დაიცავით სტანდარტული ველი (იხ. 16.1.2). არ დაამატოთ ჩვეულებრივი ტექსტი იმ გვერდზე, რომელზეც სქემა ჰორიზონტალურადაა მოცემული. სქემის სათაური დასვით ფურცლის ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად. გვერდი შესაბამისად დანომრეთ.

- ისეთი სქემა, რომლის წარმოდგენა ბეჭდური სახით შეუძლებელია, მაგალითად, მულტიმედიის ფაილი, შეინახეთ ცალკე და ნაშრომს დანართად დაურთეთ (იხ. ა.2.3).

### ა.3.2. ამობეჭდილი ვერსიის ჩაბარება

თუ საკურსო ნაშრომს აბარებთ, ეს პროცედურა შეიძლება, საკმაოდ მარტივი იყოს და მხოლოდ ერთი ვერსიის ამობეჭდვას და ინსტრუქტორისთვის ჩაბარებას მოიცავდეს. თუმცა, ასევე, შეიძლება, მოგთხოვონ მისი ელექტრონული ფორმით ჩაბარება (იხ. ა.3.3) ან მისი რამდენიმე ასლის გადაცემა რამდენიმე ინდივიდისთვის (თქვენი კლასელების ან სხვა მასწავლებლებისთვის). ზუსტად დაიცავით ინსტრუქციები და ყოველთვის შეინახეთ როგორც ამობეჭდილი, ასევე, ელექტრონული ვერსია. ყველა ასლი ზუსტად უნდა ედრებოდეს ორიგინალს.

მიუხედავად იმისა, რომ ფურცლის ორივე მხარეს ბეჭდვა ფურცელს დაგიზოგავთ და ტექნოლოგიურადაც სირთულეს არ წარმოადგენს, ინსტრუქტორების უმეტესობისთვის უფრო ადვილია, წაიკითხონ და კომენტარები გააკეთონ ერთ მხარეს ამობეჭდილ ტექსტზე. თუ განსხვავებულ

ინსტრუქციას არ მიიღებთ, ნაშრომი ფურცლის ერთ მხარეს ამობეჭდილი ჩააბარეთ.

მოთხოვნები სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციებისთვის უფრო მკაცრია, ვინაიდან ასეთი ნაშრომები, დიდი ალბათობით, აკინძული ან ელექტრონული ფორმით შეინახება უნივერსიტეტში ან, შესაძლოა, დისერტაციების გარე საცავში. მანამ, სანამ ჩაბარების დრო მოვა, გაეცანით თქვენი კათედრის ან უნივერსიტეტის კონკრეტულ მითითებებს, თუ რა ფორმით უნდა ჩააბაროთ ნაშრომი (ამობეჭდილი, ელექტრონული ვერსია თუ ორივე), რამდენი ასლი უნდა ჩააბაროთ და რაიმე დოკუმენტები ხომ არ არის მოსაწესრიგებელი ან შესავსები მანამ, სანამ ნაშრომს ჩააბარებთ. თუ ამის შესაძლებლობა გექნებათ, სთხოვეთ უნივერსიტეტის კომპეტენტურ თანამშრომელს, გადახედოს თქვენს ნაშრომს ფორმატის კუთხით მანამ, სანამ საბოლოო ვერსიას ჩააბარებთ.

თითქმის ყველა კათედრა და უნივერსიტეტი მოითხოვს სადიპლომო ნაშრომი და დისერტაცია რამდენიმე ვარიანტად ჩააბაროთ განსაკუთრებული ტიპის ქაღალდზე ამობეჭდილი. ასეთი ქაღალდი, როგორც წესი, უნდა იყოს $8^{1/}{}_{2}$ X 11 ინჩი (ამერიკულ უნივერსიტეტებში) და დიდი ხნის მანძილზე უნდა ინახებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქაღალდის შემადგენლობაში მჟავა არ უნდა იყოს. თუ ადგილობრივ ინსტრუქციებში არ წერია, როგორი უნდა იყოს ქაღალდი, დაიცავით ამერიკული ბიბლიოთეკის ასოციაციის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც უნდა აირჩიოთ ოცი პაუნდის წონის, Ph-ნეიტრალური ქაღალდი, რომელსაც აწერია „ბუფერული" და მინიმუმ 2 პროცენტ ტუტეს შეიცავს. ყველა ქაღალდი, რომელსაც „დისერტაციების ქაღალდს" უწოდებენ ამ კატეგორიაში არ გადის, ამიტომ კარგად გაიგეთ რა ტიპის ქაღალდს გთხოვენ, სანამ ამობეჭდვას დაიწყებთ.

უნივერსიტეტების უმეტესობას ერთი ან რამდენიმე ასლების გადამღები ცენტრი აქვს, კამპუსზე ან კამპუსისგან მოშორებით. ამ ცენტრებში კარგად იციან, რა ტიპის ქაღალდი დაგჭირდებათ დისერტაციებისთვის. მართალია, მათი მომსახურება ცოტა უფრო ძვირი შეიძლება დაჯდეს თქვენივე ამობეჭდილთან შედარებით, მაგრამ, სამაგიეროდ, ამცირებთ იმის რისკს, რომ თქვენს თემას

დაიწუნებენ ფურცლის არასწორი შერჩევის ან ამობეჭდვის ხარვეზის გამო. ასლების გადამღები ცენტრის თანამშრომლები, როგორც წესი, ფორმატთან დაკავშირებულ ხარვეზებს, როგორიცაა არეები, არ აკვირდებიან. ამიტომ, დარწმუნდით, რომ თქვენი თემა ფორმატის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს მანამ, სანამ ამობეჭდვას დაიწყებთ. კარგად შეამოწმეთ ასლები მანამ, სანამ ასლების გადამღებ ცენტრს დატოვებთ და აცნობეთ იქ მომუშავე პერსონალს, თუ რაიმე პრობლემას შეამჩნევთ.

### ა.3.3 ელექტრონული ფაილების ჩაბარება

ბევრი კათედრა და უნივერსიტეტი მოითხოვს სადიპლომო ნაშრომის ან დისერტაციის ელექტრონული სახით ჩაბარებას, ზოგ შემთხვევაში კი – ელექტრონული და ამობეჭდილი სახით. ასევე, საკურსო ნაშრომების შემთხვევაშიც შეიძლება, მოითხოვოს ინსტრუქტორმა ელექტრონული ფაილის ჩაბარება.

გაეცანით ადგილობრივ ინსტრუქციებს ტექნიკური სპეციფიკაციებისთვის და მოითხოვეთ დახმარება კარგა ხნით ადრე, სანამ თემის ჩაბარების დრო მოვა. თუ გთხოვენ, რომ ნაშრომი PDF ფორმატით ჩააბაროთ, დარწმუნდით, რომ შრიფტი მიბმულია ფაილზე და არ შეიცვლება, რათა შეინარჩუნოთ ნაშრომის გარეგნული სახე და ფორმატი. შეამოწმეთ, რომ ყველა ჰიპერლინკი სწორადაა ჩასმული. თუ ტექსტში ილუსტრაციებიც გაქვთ, გამოსახულების რეზოლუცია და სხვა მახასიათებლები იმისდა მიხედვით განსაზღვრეთ, თუ როგორ გამოიყენებენ ნაშრომს (დაარქივებენ, დაბეჭდავენ, ინტერნეტ სივრცეში განათავსებენ თუ სხვა). სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების ოფისში ან თქვენს ხელმძღვანელთან გადაამოწმეთ, როგორ ჩააბაროთ ისეთი მასალა, რომელიც საკმაოდ მოზრდილია, მაგალითად, მონაცემთა დიდი ბაზა ან მულტიმედიის ფაილები.

| | | |
|---|---|---|
| When this **General Condition** exists, | | this **General Consequence** follows.warrant |
| *When a country lacks confidence,*general condition | | *it quickly embraces stories of heroic military events.*general consequence |
| *In 1836, this country wasn't a confident player on the world stage*specific reason | so | *the story of the Alamo spread quickly.*specific claim |
| This **Specific Condition** exists,reason | so | this **Specific Consequence** follows.claim |

Figure 5.1. Argument structure

**Table 8.1. Male-female salaries ($),1996**

| | |
|---|---|
| Men | 32,144 |
| Women | 23,710 |
| Difference | 8,434 |

**Table 8.2. Changes in family structure, 1970–2000**

| | *Percentage of total families* | | | |
|---|---|---|---|---|
| Family type | 1970 | 1980 | 1990 | 2000 |
| 2 Parents | 85 | 77 | 73 | 68 |
| Mother | 11 | 18 | 22 | 23 |
| Father | 1 | 2 | 3 | 4 |
| No adult | 3 | 4 | 3 | 4 |




Figure 8.1. Changes in family structure, 1970–2000




Figure 8.2. Changes in family structure, 1970–2000



Figure 8.3. SAT scores for Mid-City High, 1990–2005

**Table 8.3. Gasoline consumption**

| | 1970 | 1980 | 1990 | 2000 |
|---|---|---|---|---|
| Annual miles (000) | 9.5 | 10.3 | 10.5 | 11.7 |
| Annual consumption (gal.) | 760 | 760 | 520 | 533 |

**Table 8.4. Per capita mileage and gasoline consumption 1970–2000**

| | 1970 | 1980 | 1990 | 2000 |
|---|---|---|---|---|
| Annual miles (000) | 9.5 | 10.3 | 10.5 | 11.7 |
| (% change vs. 1970) | | 8.4% | 10.5% | 23.1% |
| Annual consumption (gal.) | 760 | 760 | 520 | 533 |
| (% change vs. 1970) | | | (31.5%) | (31.6%) |

**Table 8.5. Unemployment in major industrial nations, 1990–2000**

| | 1990 | 2001 | Change |
|---|---|---|---|
| Australia | 6.7 | 6.5 | (0.2) |
| Canada | 7.7 | 5.9 | (1.8) |
| France | 9.1 | 8.8 | (0.3) |
| Germany | 5.0 | 8.1 | 3.1 |
| Italy | 7.0 | 9.9 | 2.9 |
| Japan | 2.1 | 4.8 | 2.7 |
| Sweden | 1.8 | 5.1 | 3.3 |
| UK | 6.9 | 5.1 | (1.8) |
| USA | 5.6 | 4.2 | (1.6) |

**Table 8.6. Changes in unemployment rates of industrial nations, 1990–2000**

English-speaking vs. non-English-speaking nations

| | 1990 | 2001 | Change |
|---|---|---|---|
| Australia | 6.7 | 6.5 | (0.2) |
| USA | 5.6 | 4.2 | (1.6) |
| Canada | 7.7 | 5.9 | (1.8) |
| UK | 6.9 | 5.1 | (1.8) |
| | | | |
| France | 9.1 | 8.8 | (0.3) |
| Japan | 2.1 | 4.8 | 2.7 |
| Italy | 7.0 | 9.9 | 2.9 |
| Germany | 5.0 | 8.1 | 3.1 |
| Sweden | 1.8 | 5.1 | 3.3 |




Figure 8.4. World's ten largest deserts




Figure 8.5. World distribution of large deserts




Figure 8.6. Stacked bar chart compared to grouped bar chart




Figure 8.7. Stacked bar charts showing generators of nuclear energy, 1980–1999



Figure 8.8. Foreign-born residents in the United States, 1870–1990



Figure 8.9. Foreign-born residents in the United States, 1870–1990




Figure 8.10. Capitol City pollution Index, 1982–1994




Figure 8.11. Union membership and unemployment rate, 1993–1999




Figure 8.12. Representation of collar counties in State U. undergraduates (percentage of total)

**Table 8.7. Common graphic forms and their uses**

| | Data | Rhetorical Uses |
|---|---|---|
| **Bar Chart** | | |
|  | Compares the value of one variable across a series of items called *cases* (e.g., average salaries for service workers$_{variable}$ in six companies$_{cases}$). | Creates strong visual contrasts among individual cases, emphasizing comparisons. For specific values, add numbers to bars. Can show ranks or trends. Vertical bars (called *columns*) are most common, but bars can be horizontal if cases are numerous or have complex labels. See section 8.3.3. |
| **Bar Chart, Grouped or Split** | | |
|  | Compares the value of one variable, divided into subsets, across a series of cases (e.g., average salaries$_{variable}$ for men and women service workers$_{subsets}$ in six companies$_{cases}$). | Contrasts subsets within and across individual cases; not useful for comparing total values for cases. For specific values, add numbers to bars. Grouped bars show ranking or trends poorly; useful for time series only if trends are unimportant. See section 8.3.3. |
| **Bar Chart, Stacked** | | |
|  | Compares the value of one variable, divided into two or more subsets, across a series of cases (e.g., harassment complaints$_{variable}$ segmented by region$_{subsets}$ in six industries$_{cases}$). | Best for comparing totals across cases and subsets *within* cases; difficult to compare subsets *across* cases (use grouped bars). For specific values, add numbers to bars and segments. Useful for time series. Can show ranks or trends for total values only. See section 8.3.3. |
| **Histogram** | | |
|  | Compares two variables, with one segmented into ranges that function like the cases in a bar graph (e.g., service workers$_{continuous\ variable}$ whose salary is \$0–5,000, \$5–10,000, \$10–15,000, etc. segmented variable). | Best for comparing segments within continuous data sets. Shows trends, but emphasizes segments (e.g., a sudden spike at \$5–10,000 representing part-time workers). For specific values, add numbers to bars. |
| **Image Chart** | | |
|  | Shows value of one or more variables for cases displayed on a map, diagram, or other image (e.g., states$_{cases}$ colored red or blue to show voting patterns$_{variable}$). | Shows the distribution of the data in relation to preexisting categories; deemphasizes specific values. Best when the image is familiar, as in a map or diagram of a process. |
| **Pie Chart** | | |
|  | Shows the proportion of a single variable for a series of cases (e.g., the budget share$_{variable}$ of U.S. cabinet departments$_{cases}$). | Best for comparing one segment to the whole. Useful only with few segments or segments that are very different in size; otherwise comparisons among segments are difficult. For specific values, add numbers to segments. Common in popular venues, frowned on by professionals. See 8.3.3. |

**Table 8.7. (Continued)**

| | Data | Rhetorical Uses |
|---|---|---|
| **Line Graph** | | |
|  | Compares continuous variables for one or more cases (e.g., temperature$_{variable}$ and viscosity$_{variable}$ in two fluids$_{cases}$). | Best for showing trends; deemphasizes specific values. Useful for time series. To show specific values, add numbers to data points. To show the significance of a trend, segment the grid (e.g., below or above average performance). See 8.3.3. |
| **Area Chart** | | |
|  | Compares two continuous variables for one or more cases (e.g., reading test scores$_{variable}$ over time$_{variable}$ in a school district$_{case}$). | Shows trends; deemphasizes specific values. Can be used for time series. To show specific values, add numbers to data points. Areas below the lines add no information, but will lead some readers to misjudge values. Confusing with multiple lines/areas. |
| **Area Chart, Stacked** | | |
|  | Compares two continuous variables for two or more cases (e.g., profit$_{variable}$ over time$_{variable}$ for several products$_{cases}$). | Shows the trend for the total of all cases, plus how much each case contributes to that total. Likely to mislead readers on the value or the trend for any individual case, as explained in section 8.4. |
| **Scatterplot** | | |
|  | Compares two variables at multiple data points for a single case (e.g., housing sales$_{variable}$ and distance from downtown$_{variable}$ in one city$_{case}$) or at one data point for multiple cases (e.g., brand loyalty$_{variable}$ and repair frequency$_{variable}$ for ten manufacturers$_{cases}$). | Best for showing the distribution of data, especially when there is no clear trend or when the focus is on outlying data points. If only a few data points are plotted, it allows a focus on individual values. |
| **Bubble Chart** | | |
|  | Compares three variables at multiple data points for a single case (e.g., housing sales,$_{variable}$ distance from downtown,$_{variable}$ and prices$_{variable}$ in one city$_{case}$) or at one data point for multiple cases (e.g. image advertising,$_{variable}$ repair frequency,$_{variable}$ and brand loyalty$_{variable}$ for ten manufacturers$_{cases}$). | Emphasizes the relationship between the third variable (bubbles) and the first two; most useful when the question is whether the third variable is a product of the others. Readers easily misjudge relative values shown by bubbles; adding numbers mitigates that problem. |

**Figure 16.1. Templates for notes and bibliography entries**

The following templates show which elements should be included and their order when citing several common types of sources in notes (N) and bibliographies (B). They also show punctuation, capitalization of titles, and typography of the elements. Gray shading shows abbreviations (or their spelled-out versions) and other terms as they would actually appear in a citation. *XX* stands in for page numbers actually cited, *YY* for a full span of page numbers for an article or a chapter.

For further examples, explanations, and variations, see chapter 17. For templates of shortened note forms, see figure 16.2.

## Books

**1. Single Author or Editor**

**N:** Note Number. Author's First and Last Names, *Title of Book: Subtitle of Book* (Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication), XX–XX.

1. Jared Diamond, *Guns, Germs, and Steel: The Fates of Human Societies* (New York: W. W. Norton and Company, 1997), 47–48.

**B:** Author's Last Name, Author's First Name. *Title of Book: Subtitle of Book*. Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication.

Diamond, Jared. *Guns, Germs, and Steel: The Fates of Human Societies*. New York: W. W. Norton and Company, 1997.

For a book with an editor instead of an author, adapt the pattern as follows:

**N:** Note Number. Editor's First and Last Names, ed., *Title of Book* . . .

7. Mark A. Noll, ed., *Religion and American Politics* . . .

**B:** Editor's Last Name, Editor's First Name, ed. *Title of Book* . . .

Noll, Mark A., ed. *Religion and American Politics* . . .

**2. Multiple Authors**

For a book with two authors, use the following pattern:

**N:** Note Number. Author #1's First and Last Names and Author #2's First and Last Names, *Title of Book: Subtitle of Book* (Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication), XX–XX.

2. Kai Bird and Martin J. Sherwin, *American Prometheus: The Triumph and Tragedy of J. Robert Oppenheimer* (New York: Alfred A. Knopf, 2005), 52.

**B:** Author #1's Last Name, Author #1's First Name, and Author #2's First and Last Names. *Title of Book: Subtitle of Book*. Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication.

Bird, Kai, and Martin J. Sherwin. *American Prometheus: The Triumph and Tragedy of J. Robert Oppenheimer*. New York: Alfred A. Knopf, 2005.

For a book with three authors, adapt the pattern as follows:

**N:** Note Number. Author #1's First and Last Names, Author #2's First and Last Names, and Author #3's First and Last Names, *Title of Book* . . .

5. Joyce Appleby, Lynn Hunt, and Margaret Jacob, *Telling the Truth about History* . . .

**Figure 16.1. Templates for notes and bibliography entries *(continued)***

**B:** Author #1's Last Name, Author #1's First Name, Author #2's First and Last Names, and Author #3's First and Last Names. *Title of Book* . . .

Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. *Telling the Truth about History* . . .

For a book with four or more authors, adapt the note pattern only as follows:

**N:** Note Number. Author #1's First and Last Names et al., *Title of Book* . . .

15. Jacquelyn Dowd Hall et al., *Like a Family* . . .

**3. Author(s) Plus Editor or Translator**

For a book with an author plus an editor, use the following pattern:

**N:** Note Number. Author's First and Last Names, *Title of Book: Subtitle of Book*, ed. Editor's First and Last Names (Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication), XX–XX.

9. J. B. Harley, *The New Nature of Maps: Essays in the History of Cartography*, ed. Paul Laxton (Baltimore: Johns Hopkins University Press, 2002), 132–33.

**B:** Author's Last Name, Author's First Name. *Title of Book: Subtitle of Book*. Edited by Editor's First and Last Names. Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication.

Harley, J. B. *The New Nature of Maps: Essays in the History of Cartography*. Edited by Paul Laxton. Baltimore: Johns Hopkins University Press, 2002.

If a book has a translator instead of an editor, substitute the words *trans.* and *Translated by* and the translator's name for the editor data.

**4. Edition Number**

**N:** Note Number. Author's First and Last Names, *Title of Book: Subtitle of Book*, Edition Number ed. (Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication), XX–XX.

11. Roger Daniels, *Coming to America: A History of Immigration and Ethnicity in American Life*, 2nd ed. (New York: Harper Perennial, 2002), 84.

**B:** Author's Last Name, Author's First Name. *Title of Book: Subtitle of Book*. Edition Number ed. Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication.

Daniels, Roger. *Coming to America: A History of Immigration and Ethnicity in American Life*. 2nd ed. New York: Harper Perennial, 2002.

**5. Single Chapter in an Edited Book**

**N:** Note Number. Chapter Author's First and Last Names, "Title of Chapter: Subtitle of Chapter," in *Title of Book: Subtitle of Book*, ed. Editor's First and Last Names (Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication), XX–XX.

15. Anne Whiston Spirn, "Constructing Nature: The Legacy of Frederick Law Olmsted," in *Uncommon Ground: Rethinking the Human Place in Nature*, ed. William Cronon (New York: W. W. Norton and Company, 1996), 101.

**Figure 16.1. Templates for notes and bibliography entries *(continued)***

**B:** Chapter Author's Last Name, Chapter Author's First Name. "Title of Chapter: Subtitle of Chapter." In *Title of Book: Subtitle of Book,* edited by Editor's First and Last Names, YY–YY. Place of Publication: Publisher's Name, Date of Publication.

Spirn, Anne Whiston. "Constructing Nature: The Legacy of Frederick Law Olmsted." In *Uncommon Ground: Rethinking the Human Place in Nature,* edited by William Cronon, 91–113. New York: W. W. Norton and Company, 1996.

## Journal Articles

**6. Journal Article in Print**

**N:** Note Number. Author's First and Last Names, "Title of Article: Subtitle of Article," *Title of Journal* Volume Number (Date of Publication): XX–XX.

4. Pramod K. Nayar, "Marvelous Excesses: English Travel Writing and India, 1680–1727," *Journal of British Studies* 44, no. 2 (April 2005): 213.

**B:** Author's Last Name, Author's First Name. "Title of Article: Subtitle of Article." *Title of Journal* Volume Number (Date of Publication): YY–YY.

Nayar, Pramod K. "Marvelous Excesses: English Travel Writing and India, 1680–1727." *Journal of British Studies* 44, no. 2 (April 2005): 213–38.

For an article with multiple authors, follow the relevant pattern for authors' names in template 2.

**7. Journal Article Online**

**N:** Note Number. Author's First and Last Names, "Title of Article: Subtitle of Article," *Title of Journal* Volume Number (Date of Publication), under "Descriptive Locator," URL (accessed Date of Access).

4. Daniel A. McFarland, "Resistance as a Social Drama: A Study of Change-oriented Encounters," *American Journal of Sociology* 109, no. 6 (May 2004), under "Settings," http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html (accessed May 3, 2006).

**B:** Author's Last Name, Author's First Name. "Title of Article: Subtitle of Article." *Title of Journal* Volume Number (Date of Publication). URL (accessed Date of Access).

McFarland, Daniel A. "Resistance as a Social Drama: A Study of Change-oriented Encounters." *American Journal of Sociology* 109, no. 6 (May 2004). http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html (accessed May 3, 2006).

**Figure 16.2. Templates for shortened notes**

The following templates show what elements should be included in what order in the three types of shortened notes (see 16.4.1 for when to use each type). They also show punctuation, capitalization of titles, and typography of the elements. Gray shading shows terms as they would actually appear in a citation. *XX* stands in for page numbers cited.

### Author-only Notes

**1. Single Author**

**N:** Note Number. Author's Last Name, XX–XX.

2. Diamond, 85–90.

For a work cited by editor or translator instead of author (see 17.1.1), use the editor or translator in place of the author. Do not add *ed.* or *trans.*, as in a full note.

**N:** Note Number. Editor's or Translator's Last Name, XX–XX.

9. Noll, 15.

If more than one author has the same last name, distinguish them by adding first names.

**N:** Note Number. Author's First Name and Last Names, XX–XX.

12. Philip Smith, 212–13.

**2. Two or Three Authors**

**N:** Note Number. Author #1's Last Name and Author #2's Last Name, XX–XX.

7. Bird and Sherwin, 88–89.

**N:** Note Number. Author #1's Last Name, Author #2's Last Name, and Author #3's Last Name, XX–XX.

15. Appleby, Hunt, and Jacob, 140.

**3. Four or More Authors**

**N:** Note Number. Author #1's Last Name et al., XX–XX.

10. Hall et al., 91–93.

### Author-Title Notes

**4. Books**

**N:** Note Number. Author's Last Name, *Shortened Title*, XX–XX.

2. Diamond, *Guns, Germs, and Steel*, 85–90.

For books by more than one author, follow the pattern for authors' names in templates 2 and 3.

**Figure 18.1. Templates for reference list entries and parenthetical citations**

The following templates show what elements should be included in what order when citing several common types of sources in reference lists (R) and parenthetical citations (P). They also show punctuation, capitalization of titles, and typography of the elements. Gray shading shows abbreviations and other terms as they would actually appear in a citation. *XX* stands in for page numbers actually cited, *YY* for a full span of page numbers for an article or a chapter.

For further examples, explanations, and variations, see chapter 19.

## Books

### 1. Single Author or Editor

**R:** Author's Last Name, Author's First Name. Date of Publication. *Title of book: Subtitle of book.* Place of Publication: Publisher's Name.

Diamond, Jared. 1997. *Guns, germs, and steel: The fates of human societies.* New York: W. W. Norton and Company.

**P:** (Author's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Diamond 1997, 47–48)

For a book with an editor instead of an author, adapt the pattern as follows:

**R:** Editor's Last Name, Editor's First Name, ed. Date of Publication . . .

Noll, Mark A., ed. 1990 . . .

**P:** (Editor's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Noll 1990, 75–80)

### 2. Multiple Authors

For a book with two authors, use the following pattern:

**R:** Author #1's Last Name, Author #1's First Name, and Author #2's First and Last Names. Date of Publication. *Title of book: Subtitle of book.* Place of Publication: Publisher's Name.

Bird, Kai, and Martin J. Sherwin. 2005. *American Prometheus: The triumph and tragedy of J. Robert Oppenheimer.* New York: Alfred A. Knopf.

**P:** (Author #1's Last Name and Author #2's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Bird and Sherwin 2005, 52)

For a book with three authors, adapt the pattern as follows:

**R:** Author #1's Last Name, Author #1's First Name, Author #2's First and Last Names, and Author #3's First and Last Names. Date of Publication . . .

Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. 1994 . . .

**Figure 18.1. Templates for reference list entries and parenthetical citations *(continued)***

**P:** (Author #1's Last Name, Author #2's Last Name, and Author #3's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Appleby, Hunt, and Jacob 1994, 135–36)

For a book with four or more authors, adapt the parenthetical citation pattern only as follows:

**P:** (Author #1's Last Name et al. Date of Publication, XX–XX)

(Hall et al. 1987, 114–15)

**3. Author(s) Plus Editor or Translator**

For a book with an author plus an editor, use the following pattern:

**R:** Author's Last Name, Author's First Name. Date of Publication. *Title of book: Subtitle of book.* Ed. Editor's First and Last Names. Place of Publication: Publisher's Name.

Harley, J. B. 2002. *The new nature of maps: Essays in the history of cartography.* Ed. Paul Laxton. Baltimore: Johns Hopkins University Press.

**P:** (Author's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Harley 2002, 132–33)

If a book has a translator instead of an editor, substitute the word *Trans.* and the translator's name for the editor data in the reference list entry.

**4. Edition Number**

**R:** Author's Last Name, Author's First Name. Date of Publication. *Title of book: Subtitle of book.* Edition Number ed. Place of Publication: Publisher's Name.

Daniels, Roger. 2002. *Coming to America: A history of immigration and ethnicity in American life.* 2nd ed. New York: Harper Perennial.

**P:** (Author's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Daniels 2002, 84)

**5. Single Chapter in an Edited Book**

**R:** Chapter Author's Last Name, Chapter Author's First Name. Date of Publication. Title of chapter: Subtitle of chapter. In *Title of book: Subtitle of book,* ed. Editor's First and Last Names, YY–YY. Place of Publication: Publisher's Name.

Spirn, Anne Whiston. 1996. Constructing nature: The legacy of Frederick Law Olmsted. In *Uncommon ground: Rethinking the human place in nature,* ed. William Cronon, 91–113. New York: W. W. Norton and Company.

**P:** (Chapter Author's Last Name Date of Publication, XX–XX)

(Spirn 1996, 101)

**Table 23.1. Roman numerals**

| Arabic | Roman | Arabic | Roman | Arabic | Roman |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | I | 11 | XI | 30 | XXX |
| 2 | II | 12 | XII | 40 | XL |
| 3 | III | 13 | XIII | 50 | L |
| 4 | IV | 14 | XIV | 60 | LX |
| 5 | V | 15 | XV | 70 | LXX |
| 6 | VI | 16 | XVI | 80 | LXXX |
| 7 | VII | 17 | XVII | 90 | XC |
| 8 | VIII | 18 | XVIII | 100 | C |
| 9 | IX | 19 | XIX | 500 | D |
| 10 | X | 20 | XX | 1,000 | M |

*Note:* Roman numerals are shown capitalized; for lowercase, use the same forms as in letters (*i* for *I*, *v* for *V*, etc.). For numbers not listed, follow the patterns shown.

There is a large literature on finding and presenting information, only some of which can be listed here. For a larger and more current selection, consult the Library of Congress catalog and commercial Web sites that provide customer reviews of books. If there is no date listed for an item, the publication appears annually. Sources available online or as a CD-ROM (in addition to or in place of traditional print formats) are so indicated. Online sources for which no URL is given are readily available from multiple online databases. This list is divided as follows:

## Internet Databases (Bibliographies and Indexes)


General 410
Humanities 411
Social Sciences 411
Natural Sciences 412


## Print and Electronic Resources


General 412
Visual Representation of Data (Tables, Figures, etc.) 414
Posters 415
Humanities
- General 415
- Art 416
- History 417
- Literary Studies 418
- Music 419
- Philosophy 419

Social Sciences
- General 420
- Anthropology 421
- Business 422
- Communication, Journalism, and Media Studies 422
- Economics 424
- Education 424
- Geography 425
- Law 425
- Political Science 426
- Psychology 427

| | |
|---|---|
| Religion | 428 |
| Sociology | 428 |
| Women's Studies | 429 |
| **Natural Sciences** | |
| General | 430 |
| Biology | 431 |
| Chemistry | 432 |
| Computer Sciences | 432 |
| Geology and Earth Sciences | 433 |
| Mathematics | 434 |
| Physics | 434 |

For most of those areas, six kinds of resources are listed:

1. specialized dictionaries that offer short essays defining concepts in a field
2. general and specialized encyclopedias that offer more extensive overviews of a topic
3. guides to finding resources in different fields and using their methodologies
4. bibliographies, abstracts, and indexes that list past and current publications in different fields
5. writing manuals for different fields
6. style manuals that describe required features of citations in different fields

## Internet Databases (Bibliographies and Indexes)

### General

*ArticleFirst.* Dublin, OH: OCLC, 1990–. http://oclc.org/.

*The Booklist.* Chicago: American Library Association. 1969–. http://www.ala.org/booklist/.

*ClasePeriodica.* Mexico, D.F.: UNAM, 2003–. http://oclc.org.

*Digital Dissertations.* Ann Arbor, MI: UMI, [19—]–. http://wwwlib.umi.com/dissertations/.

*Electronic Resources Review.* Bradford, UK: MCB University Press, 1997–2000. http://www.emeraldinsight.com/1364–5137.htm.

*ERIC.* Educational Resources Information Center. Ipswich, MA: EBSCO Pub., 1994–; Bethesda, MD: Cambridge Scientific Abstracts, 1998–. http://www.lib.umt.edu/laser/cdalpo.htm.

*Essay & General Literature.* Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1900–. http://wilson-web2.hwwilson.com.

*FirstSearch Dissertations.* Ann Arbor, MI: University Microfilms. http://wwwlib.umi.com/dissertations/.

*FRANCIS.* Institut de l'information scientifique et technique (France); Getty Information Institute; Research Libraries Group. Mountain View, CA: Research Libraries Group, 1984–. http://connectsciences.inist.fr/internes/oldi/baseSearch.php.

*General Reference Center Gold.* Farmington Hills, MI: The Gale Group, 1999–. http://infotrac.galegroup.com/.

*InfoTrac OneFile.* Farmington Hills, MI: Gale Group. http://web5.infotrac.galegroup.com/itw/infomark.

*ISI Web of Knowledge.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 2000–. http://isinet.com/webofknowledge.

*LexisNexis Academic Universe.* Dayton, OH: LexisNexis. http://web.lexis-nexis.com/universe/.

*Library Literature & Information Science Full Text.* Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1900–. http://wilsonweb2.hwwilson.com.

*Periodicals Index Online.* ProQuest Information and Learning Company, 1990–. http://pio.chadwyck.co.uk/home.do.

*ProQuest Research Library.* Ann Arbor, MI: ProQuest Information and Learning Co., 1998–. http://proquest.umi.com/pqdweb?RQT=306&DBld=4138#sform.

*Wilson Omnifile Full Text.* Mega edition. Bronx, NY: H. W. Wilson Company, 1990–. http://hwwilsonweb.com.

*WorldCat.* Dublin, OH: Online Computer Library Center. http://www.oclc.org/worldcat/.

## Humanities

*Arts & Humanities Search.* Philadelphia, Institute for Scientific Information; Dublin, OH: OCLC, 1990–. http://oclc.org.

*Bibliography of the History of Art.* Santa Monica, CA: J. Paul Getty Trust; Vandoeuvre-lès-Nancy, France: Centre national de la recherche scientifique, 1990–. http://www.eureka.rig.org.

*History Resource Center U.S.* Farmington Hills, MI: Gale Group, ca. 2000–. http://www.galenet.com/servlet/HistRC.

*Humanities Full Text.* Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1990–. http://hwwilsonweb.com/.

## Social Sciences

*Anthropological Literature.* Cambridge, MA: Tozzer Library, Harvard University, 1984–. telnet://cobalt.rig.org.

*LawDesk.* http://lawlibrary.ucdavis.edu/lawlib/august02/0095.html.

*On-Line Index to Indian Social Science Journals and Press Clippings Files.* New Delhi: ISID. http://isidev.nic.in/odb.html.

*PAIS International.* Public Affairs Information Service. Norwood, MA: SilverPlatter International, 1900–. http://www.bowdoin.edu/dept/library/erl/spirs/pais.

*PAISArchive.* Public Affairs Information Service. Dublin, OH: OCLC, 2004–. http://www.oclc.org.

*Political Science Resources on the Web.* Ann Arbor, MI: Document Center, University of Michigan, 1996–. http://www.lib.umich.edu/govdocs/polisci.html.

*PsycARTICLES.* Washington, DC: American Psychological Association, 2001–. http://psycinfo.com/library/fulltext.cfm.

*PsycINFO.* American Psychological Association. New York, NY: Ovid Technologies, 1900–. http://www.apa.org/psycinfo/.

*Social Sciences Abstracts.* Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1997–. http://www.oclc.org.

*Social Sciences Citation Index with Abstracts.* Philadelphia: Institute for Scientific Information, ca. 1992–. http://www.isinet.com/products/citation/ssci/.

*Sociological Abstracts.* Sociological Abstracts, Inc. Dublin, OH: OCLC, 1990–. http://www.oclc.com.

## Natural Sciences

*AGRICOLA (AGRICultural OnLine Access).* Beltsville, MD: The Library, 1970–. http://purl.access.gpo.gov/GPO/LPS1292.

*Applied Science and Technology Abstracts.* Bronx, NY: H. W. Wilson; Dublin, OH: OCLC, 1983–. http://www.oclc.org.

*ISI Web of Science.* Philadelphia: Institute for Scientific Information, ca. 1998–. http://isiknowledge.com.

*PubSCIENCE United States.* Washington, DC: U.S. Dept. of Energy, Office of Scientific and Technical Information, 1999–2002. http://purl.access.gpo.gov/GPO/LP3399.

*Science Citation Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information, ca. 1988–. http://isi01.isiknowledge.com/portal.cgi/wos.

*Web of Science.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1998–. http://isiknowledge.com, http://www.webofscience.com/.

# Print and Electronic Resources

## General

1. Bowman, John S., ed. *The Cambridge Dictionary of American Biography.* Cambridge: Cambridge University Press, 1995.
1. Garraty, John A., and Mark C. Carnes, eds. *American National Biography.* New York: Oxford University Press, 1999.
1. Matthew, H. C. G., and Brian Howard Harrison, eds. *Oxford Dictionary of National Biography, in Association with the British Academy: From the Earliest Times to the Year 2000.* New York: Oxford University Press, 2004. Also at http://www.oxforddnb.
2. Jackson, Kenneth T., Karen Markoe, and Arnie Markoe, eds. *The Scribner Encyclopedia of American Lives.* 6 vols. covering 1981–2002. New York: Charles Scribner's Sons, 1998–ca. 2004.
2. Lagassé, Paul, ed. *The Columbia Encyclopedia.* 6th ed. New York: Columbia University Press, 2000. Also at http://www.bartleby.com/65/.
2. *New Encyclopaedia Britannica.* 15th ed. 32 vols. Chicago: Encyclopaedia Britannica, 2005. Also at http://www.eb.com.
3. Balay, Robert, ed. *Guide to Reference Books.* 11th ed. Chicago: American Library Association, 1996.
3. Hacker, Diana, and Barbara Fister. *Research and Documentation in the Electronic Age.* 3rd ed. Boston: Bedford/St. Martins, 2002. Also at http://www.dianahacker.com/resdoc/.
3. Kane, Eileen, and Mary O'Reilly-de Brún. *Doing Your Own Research.* New York: Marion Boyars, 2001.
3. Lipson, Charles. *Doing Honest Work in College: How to Prepare Citations, Avoid Plagiarism, and Achieve Real Academic Success.* Chicago: University of Chicago Press, 2004.
3. Mann, Thomas. *Oxford Guide to Library Research.* 3rd ed. New York: Oxford University Press, 2005.
3. Preece, Roy A. *Starting Research: An Introduction to Academic Research and Dissertation Writing.* London: Continuum, 2000.

3. Rowely, Jennifer, and John Farrow. *Organizing Knowledge: An Introduction to Managing Access to Information*. 3rd ed. Aldershot, Hampshire, England: Gower, 2000.
3. Sears, Jean L., and Marilyn K. Moody. *Using Governmental Information Sources: Electronic and Print*. 3rd ed. Phoenix, AZ: Oryx Press, 2001.
3. Whiteley, Sandra, ed. *The American Library Association Guide to Information Access: A Complete Handbook and Directory*. New York: Random House, 1994.
4. *Alternative Press Index*. College Park, MD: Alternative Press Centre, 1969.
4. *Bibliographic Index*. New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.com.
4. *Book Review Index*. Detroit: Gale Research Co., 1965–.
4. *Book Review Index: A Master Cumulation*. Detroit: Gale Research Co., 1980–.
4. *Books in Print*. New Providence, NJ: R. R. Bowker. Also at http://www.booksinprint.com/bip.
4. Brigham, Clarence S. *History and Bibliography of American Newspapers, 1690–1820*. 2 vols. Westport, CT: Greenwood Press, 1976.
4. *Conference Papers Index*. Louisville, KY: Data Courier, Inc., 1978–.
4. *Current Book Review Citations* in English. New York: H. W. Wilson Co., 1976–1982.
4. *Current Book Review Citations* in multiple languages. Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1976–1982.
4. Fanning, C. E., Margaret Jackson, Mary Katharine Reely, and Mertice May James. *Book Review Digest. Annual Cumulation*. 1905–. New York: The H. W. Wilson Co.
4. Farber, Evan Ira, and Ruth Matteson Blackmore, eds. *Combined Retrospective Index to Book Reviews in Scholarly Journals, 1886–1974*. Arlington: Carrollton Press, 1979–.
4. Gregory, Winifred, ed. *American Newspapers 1821–1936: A Union List of Files Available in the United States and Canada*. New York: H. W. Wilson, 1937.
4. *Kirkus Reviews*. New York: Kirkus Service, 1991–.
4. *Library of Congress Subject Catalog*. Washington, DC: Library of Congress. Also at http://catalog.loc.gov/.
4. *National Newspaper Index*. Menlo Park, CA: Information Access. Also online from multiple sources.
4. *New York Times Index*. New York: New York Times.
4. *Newspapers in Microform*. Ann Arbor, MI: University Microfilms International.
4. *Periodical Abstracts & General Periodicals. Research II*. University Microfilms International. 1990s–.
4. Poole, William Frederick, and William Isaac Fletcher. *Poole's Index to Periodical Literature*. Rev. ed. Gloucester, MA: Peter Smith, 1970.
4. *Popular Periodical Index*. Camden, NJ: Rutgers University.
4. *ProQuest Digital Dissertations*. Ann Arbor, MI: University Microfilms International. Also at http://wwwlib.umi.com/dissertations/.
4. *Readers' Guide to Periodical Literature*. New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.com/.
4. *Reference Books Bulletin*. Chicago: American Library Association, 1984–.
4. *Serials in Microform*. Ann Arbor, MI: University Microfilms International.
4. *Serials Review*. San Diego: Pergamon. Also by subscription through Science Direct. 1975–.

4. *Subject Guide to Books in Print.* New York: R. R. Bowker. Also at http://www.booksinprint.com/bip/.
4. *Wall Street Journal Index.* New York: Dow Jones. Also at http://www.il.proquest.com/products/pt-product-WSJ.shtml.
5. Bolker, Joan, ed. *Writing Your Dissertation in Fifteen Minutes a Day: A Guide to Starting, Revising, and Finishing Your Doctoral Thesis.* New York: H. Holt, 1998.
5. Miller, Jane E. *The Chicago Guide to Writing about Numbers.* Chicago: University of Chicago Press, 2004.
5. Sternberg, David Joel. *How to Complete and Survive a Doctoral Dissertation.* New York: St. Martin's Griffin, 1981.
5. Strunk, William, and E. B. White. *The Elements of Style.* 4th ed. New York: Longman, 2004.
5. Williams, Joseph M. *Style: Toward Clarity and Grace.* Chicago: University of Chicago Press, 1990.
6. *The Chicago Manual of Style.* 15th ed. Chicago: University of Chicago Press, 2003.

## Visual Representation of Data (Tables, Figures, etc.)

2. Harris, Robert L. *Information Graphics: A Comprehensive Illustrated Reference.* New York: Oxford University Press, 2000.
3. Cleveland, William S. *The Elements of Graphing Data.* 2nd ed. Summit, NJ: Hobart Press, 1994.
3. ———. *Visualizing Data.* Summit, NJ: AT&T. Bell Laboratories, 1993.
3. Monmonier, Mark. *Mapping It Out: Expository Cartography for the Humanities and Social Sciences.* Chicago: University of Chicago Press, 1993.
3. Tufte, Edward R. *Envisioning Information.* Cheshire, CT: Graphics Press, 1990.
3. ———. *The Visual Display of Quantitative Information.* Cheshire, CT: Graphics Press, 1983.
3. ———. *Visual & Statistical Thinking: Displays of Evidence for Decision Making.* Cheshire, CT: Graphics Press, 1997.
3. Wainer, Howard. *Visual Revelations: Graphical Tales of Fate and Deception from Napoleon Bonaparte to Ross Perot.* New York: Copernicus, Springer-Verlag, 1997.
5. Briscoe, Mary Helen. *Preparing Scientific Illustrations: A Guide to Better Posters, Presentations, and Publications.* 2nd ed. New York: Springer-Verlag, 1996.
5. Kosslyn, Stephen M. *Elements of Graph Design.* New York: W. H. Freeman, 1994.
5. National Institutes of Health, Division of Research Services, Medical Arts and Photography Branch. *Graphics User Guide.* Bethesda, MD: The Branch, 1986?.
5. Nicol, Adelheid A. M., and Penny M. Pexman. *Presenting Your Findings: A Practical Guide for Creating Tables.* Washington, DC: American Psychological Association, 1999.
5. Robbins, Naomi, B. *Creating More Effective Graphs.* New York: John Wiley & Sons, 2004.
5. Ross, Ted. *The Art of Music Engraving and Processing: A Complete Manual, Reference, and Text Book on Preparing Music for Reproduction and Print.* Miami: Hansen Books, 1970.

5. Zweifel, Frances W. *A Handbook of Biological Illustration.* 2nd ed. Chicago: University of Chicago Press, 1988.
6. CBE Scientific Illustration Committee. *Illustrating Science: Standards for Publication.* Bethesda, MD: Council of Biology Editors, 1988.

## Posters

Corbin, Nancy C. "The Well-dressed Poster Board." In *A Mission to Communicate: Proceedings, 32nd International Technical Communication Conference, May 19–22, 1985, Houston, Texas,* VC 26–29. Washington, DC: Society for Technical Communication, 1985.

Dubois, Betty Lou. "Poster Sessions at Biomedical Meetings: Design and Presentation." *English for Special Purposes Journal* 4.1 (1985): 37–48.

Esposito, Mona, Kaye Marshall, and Fredericka L. Stoller. "Poster Sessions by Experts." In *New Ways in Content-based Instruction,* edited by Donna M. Brinton and Peter Master, 115–18. Alexandria, VA: Teachers of English to Speakers of Other Languages, 1997.

George Mason University, Department of Biology. "A Guide to Writing in the Biological Sciences: The Poster Session." http://classweb.gmu.edu/biologyresources/writingguide/Poster.htm.

Griffith, George W. "Poster Sessions: One-to-One Technical Communication." In *Proceedings: 28th International Technical Communication Conference, May 20–23, 1981, Pittsburgh, PA,* G26–G27. Pittsburgh: Society for Technical Writing, 1981.

Larkin, Greg. "Storyboarding: A Concrete Way to Generate Effective Visuals." *Journal of Technical Writing and Communication* 26.3 (1996): 273–90.

Rice University, Cain Project in Engineering and Professional Communication. "Designing Scientific and Engineering Posters." http://www.owlnet.rice.edu/~cainproj/ih_posters.html.

Shalom, Celia. "Established and Evolving Spoken Research Process Genres: Plenary Lecture and Poster Session Discussions at Academic Conferences." *English for Specific Purposes Journal* 12.1 (1993): 37–50.

Stanford University, Visual Art Services. "Posters Templates." http://stanford.edu/dept/VAS/posters/poster_temps.html.

University of California, Davis, Nutrition Department. "Poster Printer." http://teaching.ucdavis.edu/poster/template.htm.

White, J. T. "Technical Poster Fabrication." In *Proceedings: 28th International Technical Communication Conference, May 20–23, 1981, Pittsburgh, PA,* G64–G65. Pittsburgh: Society for Technical Writing, 1981.

## Humanities

### General

1. Murphy, Bruce, ed. *Benet's Reader's Encyclopedia.* 4th ed. New York: HarperCollins, 1996.
3. Kirkham, Sandi. *How to Find Information in the Humanities.* London: Library Association, 1989.
4. *American Humanities Index.* Troy, NY: Whitston Pub. Co.
4. *Arts & Humanities Citation Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1976–.

4. *Arts & Humanities Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information. Also at http://www.isiknowledge.
4. Blazek, Ron, and Elizabeth Smith Aversa. *The Humanities: A Selective Guide to Information Sources.* 5th ed. Englewood, CO: Libraries Unlimited, 2000. Also at http://www.netlibrary.com.
4. *British Humanities Index.* London: Library Association; Bethesda, MD: Cambridge Scientific Abstracts.
4. *Humanities Index.* New York: H. W. Wilson Co., 1974. Also at http://hwwilsonweb.com.
4. *Index to Book Reviews in the Humanities.* Williamston, MI: P. Thomson, 1960–90.
4. *Index to Social Sciences & Humanities Proceedings.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1979–.
4. Harzfeld, Lois A. *Periodical Indexes in the Social Sciences and Humanities: A Subject Guide.* Microform. Metuchen, NJ: Scarecrow Press, 1978.
4. Walford, Albert J., Anthony Chalcraft, Ray Prytherch, and Stephen Willis, eds. *Walford's Guide to Reference Material. Vol. 3, Generalia, Language and Literature, The Arts.* 7th ed. London: Library Association, 1998.
5. Northey, Margot, and Maurice Legris. *Making Sense in the Humanities: A Student's Guide to Writing and Style.* Toronto: Oxford University Press, 1990.

## Art

1. Chilvers, Ian, and Harold Osborne, eds. *The Oxford Dictionary of Art.* 3rd ed. Oxford: Oxford University Press, 2004. Also at http://www.oxfordreference.com.
1. Myers, Bernard L., and Trewin Copplestone, eds. *The Macmillan Encyclopedia of Art.* Rev. ed. London: Macmillan, 1981.
1. Myers, Bernard S., and Shirley D. Myers, eds. *McGraw-Hill Dictionary of Art.* 5 vols. New York: McGraw-Hill, 1969.
2. Myers, Bernard S., ed. *Encyclopedia of World Art.* 17 vols. New York: McGraw-Hill, 1987.
3. Arntzen, Etta, and Robert Rainwater. *Guide to the Literature of Art History.* Chicago: American Library Association, 1980.
3. Jones, Lois Swan. *Art Information and the Internet: How to Find It, How to Use It.* Phoenix, AZ: Oryx Press, 1999.
3. ———. *Art Information: Research Methods and Resources.* 3rd ed. Dubuque, IA: Kendall/Hunt, 1990.
3. Marmor, Max, and Alex Ross. *Guide to the Literature of Art History 2.* Chicago: American Library Association, 2005.
3. Minor, Vernon Hyde. *Art History's History.* 2nd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2001.
4. *Art Abstracts.* Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1984–. Also at http//wilsonweb2.hwwilson.com.
4. *Art Index.* New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.
4. *Art Index Retrospective.* Bronx, NY: H. W. Wilson Co., 1997–. Also at http://wilsonweb2.hwwilson.com.
5. Barnet, Sylvan. *A Short Guide to Writing about Art.* 8th ed. New York: Pearson/Longman, 2005.

## History

1. Cook, Chris. *A Dictionary of Historical Terms.* 3rd ed. Houndmills, UK: Macmillan, 1998.
1. Ritter, Harry. *Dictionary of Concepts in History.* Westport, CT: Greenwood Press, 1986.
2. Breisach, Ernst. *Historiography: Ancient, Medieval & Modern.* 2nd ed. Chicago: University of Chicago Press, 1994.
3. Benjamin, Jules R. *A Student's Guide to History.* 9th ed. Boston: Bedford/St. Martin's, 2004.
3. Brundage, Anthony. *Going to the Sources: A Guide to Historical Research and Writing.* 3rd ed. Wheeling, IL: Harlan Davidson, 2002.
3. Frick, Elizabeth. *History: Illustrated Search Strategy and Sources.* 2nd ed. Ann Arbor, MI: Pierian Press, 1995.
3. Fritze, Ronald H., Brian E. Coutts, and Louis Andrew Vyhnanek. *Reference Sources in History: An Introductory Guide.* 2nd ed. Santa Barbara, CA: ABC-Clio, 2004.
3. Higginbotham, Evelyn Brooks, Leon F. Litwack, and Darlene Clark Hine. *The Harvard Guide to African-American History.* Cambridge, MA: Harvard University Press, 2001.
3. Kyvig, David E., and Myron A. Marty. *Nearby History: Exploring the Past Around You.* 2nd ed. Walnut Creek, CA: AltaMira Press, 2000.
3. Prucha, Francis Paul. *Handbook for Research in American History: A Guide to Bibliographies and Other Reference Works.* 2nd ed. Lincoln: University of Nebraska Press, 1994.
4. *America: History and Life.* Santa Barbara, CA: ABC-Clio. Also at http://serials.abc-clio.
4. Blazek, Ron, and Anna H. Perrault. *United States History: A Selective Guide to Information Sources.* Englewood, CO: Libraries Unlimited, 1994. Also at http://www.netlibrary.
4. Danky, James Philip, and Maureen E. Hady. *African-American Newspapers and Periodicals: A National Bibliography.* Cambridge, MA: Harvard University Press, 1998.
4. *Historical Abstracts.* Santa Barbara, CA: ABC-Clio. Also at http://serials.abc-clio.
4. Kinnel, Susan K., ed. *Historiography: An Annotated Bibliography of Journal Articles, Books, and Dissertations.* 2 vols. Santa Barbara, CA: ABC-Clio, 1987.
4. Mott, Frank Luther. *A History of American Magazines.* 5 vols. Cambridge, MA: Belknap Press of Harvard University Press, 1930–1968.
5. Barzun, Jacques, and Henry F. Graff. *The Modern Researcher.* 6th ed. Belmont, CA: Thomson/Wadsworth, 2004.
5. Marius, Richard, and Melvin E. Page. *A Short Guide to Writing about History.* 5th ed. New York: Pearson Longman, 2005.

## Literary Studies

1. Abrams, M. H. *A Glossary of Literary Terms.* 8th ed. Boston: Thomson/Wadsworth, 2005.
1. Baldick, Chris, ed. *The Concise Oxford Dictionary of Literary Terms.* 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 2001.

1. Brogan, Terry V. F., ed. *The New Princeton Handbook of Poetic Terms.* Princeton: Princeton University Press, 1994.
1. Groden, Michael, Martin Kreiswirth, and Imre Szeman, eds. *The Johns Hopkins Guide to Literary Theory and Criticism.* 2nd ed. Baltimore: Johns Hopkins University Press, 2005.
1. Preminger, Alex, and Terry V. F. Brogan, eds. *The New Princeton Encyclopedia of Poetry and Poetics.* Princeton: Princeton University Press, 1993.
2. Drabble, Margaret, ed. *The Oxford Companion to English Literature.* 6th ed. New York: Oxford University Press, 2000. Also at http://www.oxfordreference.com.
2. Hart, James David, and Phillip W. Leininger, eds. *The Oxford Companion to American Literature.* 6th ed. New York: Oxford University Press, 1995. Also at http://www.oxfordreference.com.
2. Lentricchia, Frank, and Thomas McLaughlin, eds. *Critical Terms for Literary Study.* 2nd ed. Chicago: University of Chicago Press, 1995.
2. Parini, Jay, ed. *The Oxford Encyclopedia of American Literature.* 4 vols. New York: Oxford University Press, 2004.
2. Ward, Sir Adolphus William, A. R. Waller, William Peterfield Trent, John Erskine, Stuart Pratt Sherman, and Carl Van Doren. *The Cambridge History of English and American Literature: An Encyclopedia in Eighteen Volumes.* New York: G. P. Putnam's Sons, 1907–21. Also at http://www.bartleby.com/cambridge/.
3. Altick, Richard Daniel, and John J. Fenstermaker. *The Art of Literary Research.* 4th ed. New York: Norton, 1993.
3. Harner, James L. *Literary Research Guide: An Annotated Listing of Reference Sources in English Literary Studies.* 4th ed. New York: Modern Language Association of America, 2002.
3. Klarer, Mario. *An Introduction to Literary Studies.* 2nd ed. London: Routledge, 2004.
3. Vitale, Philip H. *Basic Tools of Research: An Annotated Guide for Students of English.* 3rd ed., rev. and enl. New York: Barron's Educational Series, 1975.
4. *Abstracts of English Studies.* Boulder, CO: National Council of Teachers of English.
4. Blanck, Jacob, Virginia L. Smyers, and Michael Winship. *Bibliography of American Literature.* 9 vols. New Haven: Yale University Press, 1955–1991. Also at http://lion.chadwyck.co.uk/.
4. *Index of American Periodical Verse.* Metuchen, NJ: Scarecrow Press, 1971–.
4. *MLA International Bibliography of Books and Articles on the Modern Languages and Literature.* New York: Modern Language Association of America. Also online from multiple sources.
5. Barnet, Sylvan, and William E. Cain. *A Short Guide to Writing about Literature.* 10th ed. New York: Longman/Pearson, 2005.
5. Griffith, Kelley. *Writing Essays about Literature: A Guide and Style Sheet.* 7th ed. Boston: Heinle & Heinle, 2005.
6. Gibaldi, Joseph. *MLA Handbook for Writers of Research Papers.* 6th ed. New York: Modern Language Association of America, 2003.

### Music

1. Randel, Don Michael, ed. *The Harvard Dictionary of Music.* 4th ed. Cambridge: Belknap Press of Harvard University Press, 2003.

1. Sadie, Stanley, and John Tyrrell, eds. *The New Grove Dictionary of Music and Musicians.* 2nd ed. 29 vols. New York: Grove, 2001. Also at http://www.grovemusic.com.
2. Netti, Bruno, Ruth M. Stone, James Porter, and Timothy Rice, eds. *The Garland Encyclopedia of World Music.* 10 vols. New York: Garland, 2002.
2. Sadie, Stanley, ed. *The Norton/Grove Concise Encyclopedia of Music.* Rev. and enl. ed. New York: W. W. Norton, 1994.
3. Brockman, William S. *Music: A Guide to the Reference Literature.* Littleton, CO: Libraries Unlimited, 1987.
3. Duckles, Vincent H., Ida Reed, and Michael A. Keller, eds. *Music Reference and Research Materials: An Annotated Bibliography.* 5th ed. New York: Schirmer Books, 1997.
4. *The Music Index.* Detroit, MI: Information Service. Also at http://www.hppmusicindex.com.
4. *RILM Abstracts of Music Literature.* New York: RILM. Also online from multiple sources.
5. Druesedow, John E., Jr. *Library Research Guide to Music: Illustrated Search Strategy and Sources.* Ann Arbor, MI: Pierian Press, 1982.
5. Herbert, Trevor. *Music in Words: A Short Guide to Researching and Writing about Music.* London: Associated Board of the Royal Schools of Music, 2001.
5. Wingell, Richard. *Writing about Music: An Introductory Guide.* 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2002.
6. Bellman, Jonathan. *A Short Guide to Writing about Music.* New York: Longman, 2000.
6. Holoman, D. Kern. *Writing about Music: A Style Sheet from the Editors of 19th Century Music.* Berkeley: University of California Press, 1988. Also at http://www.netlibrary.com.

## Philosophy

1. Blackburn, Simon. *The Oxford Dictionary of Philosophy.* 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 2005. Also at http://www.oxfordreference.com.
2. Edwards, Paul. *The Encyclopedia of Philosophy.* 8 vols. New York: Simon & Schuster Macmillan, 1996.
2. Parkinson, George H. R. *The Handbook of Western Philosophy.* New York: Macmillan, 1988.
2. Urmson, J. O., and Jonathan Rée, eds. *The Concise Encyclopedia of Western Philosophy and Philosophers.* 3rd ed. London: Routledge, 2005.
3. List, Charles J., and Stephen H. Plum. *Library Research Guide to Philosophy.* Ann Arbor, MI: Pierian Press, 1990.
4. *The Philosopher's Index.* Bowling Green, OH: Philosopher's Information Center. Also at http://www.ovid.com/site/catalog/DataBase/.
5. Martinich, Aloysius. *Philosophical Writing: An Introduction.* 3rd ed. Malden, MA: Blackwell Publishers, 2005.
5. Watson, Richard A. *Writing Philosophy: A Guide to Professional Writing and Publishing.* Carbondale: Southern Illinois University Press, 1992. Also at http://www.netlibrary.com.

## Social Sciences

### General

1. Calhoun, Craig, ed. *Dictionary of the Social Sciences.* New York: Oxford University Press, 2002. Also at http://www.oxfordreference.com.
1. *Statistical Abstract of the United States.* Washington, DC: U.S. Census Bureau. Also at http://www.census.gov/statab/www/.
2. Sills, David, ed. *International Encyclopedia of the Social Sciences.* 19 vols. New York: Macmillan, 1991.
3. Herron, Nancy L. *The Social Sciences: A Cross-Disciplinary Guide to Selected Sources.* 3rd ed. Englewood, CO: Libraries Unlimited, 2002.
3. Light, Richard J., and David B. Pillemer. *Summing Up: The Science of Reviewing Research.* Cambridge: Harvard University Press, 1984.
3. Øyen, Else, ed. *Comparative Methodology: Theory and Practice in International Social Research.* London: Sage, 1990.
4. *Bibliography of Social Science Research and Writings on American Indians.* Compiled by Russell Thornton and Mary K Grasmick. Minneapolis: Center for Urban and Regional Affairs, University of Minnesota, 1979.
4. *Book Review Index to Social Science Periodicals.* Ann Arbor, MI: Pierian Press, 1964–70.
4. *CommSearch.* Annandale, VA: Speech Communication Association, 1995–.
4. *C.R.I.S.: The Combined Retrospective Index Set to Journals in Sociology, 1895–1974.* Compiled by Annadel N. Wile and Arnold Jaffe. Washington, DC: Carrollton Press, 1978.
4. *Current Contents: Social & Behavioral Sciences.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1974–.
4. *Document Retrieval Index.* U.S. Dept. of Justice, Law Enforcement Assistance Administration, National Institute of Law Enforcement and Criminal Justice, 1979–. Microfiche.
4. Grossman, Jorge. *Indice general de publicaciones periódicas latinoamericanas: Humanidades y ciencias sociales; Index to Latin American periodicals: Humanities and social sciences.* Metuchen, NJ: Scarecrow Press, 1961–70.
4. Harzfeld, Lois A. *Periodical Indexes in the Social Sciences and Humanities: A Subject Guide.* Metuchen, NJ: Scarecrow Press, 1978.
4. *Index of African Social Science Periodical Articles.* Dakar: Council for the Development of Economic and Social Research in Africa, ca. 1989–.
4. *Index to Social Sciences & Humanities Proceedings.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1979–.
4. *PAIS International in Print.* New York: OCLC Public Affairs Information Service, 1991–.
4. *PAIS International.* New York: SilverPlatter Information, Inc.; OCLC Public Affairs Information Service, 1900s–.
4. *Social Sciences Citation Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1969–.
4. *Social Sciences Index.* New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.com.

4. Walford, A. J., Alan Day, and Michael Walsh, eds. *Walford's Guide to Reference Material.* Vol. 2, *Social and Historical Sciences, Philosophy, and Religion.* 8th ed. London: Library Association, 2000.
5. Becker, Howard S. *Writing for Social Scientists: How to Start and Finish Your Thesis, Book, or Article.* Chicago: University of Chicago Press, 1986.
5. Bell, Judith. *Doing Your Research Project: A Guide for First-time Researchers in Education, Health, and Social Science.* 4th ed. Maidenhead, UK: Open University Press, 2005.
5. Krathwohl, David R. *How to Prepare a Research Proposal: Guidelines for Funding and Dissertations in the Social and Behavioral Sciences.* 3rd ed. Syracuse, NY: Syracuse University Press, 1988.
5. Northey, Margot, Lorne Tepperman, and James Russell. *Making Sense: Social Sciences; A Student's Guide to Research and Writing.* Updated 2nd ed. Ontario: Oxford University Press, 2005.

## Anthropology

1. Barfield, Thomas J., ed. *The Dictionary of Anthropology.* Oxford: Blackwell, 2000. Also at http://www.netlibrary.com.
1. Winthrop, Robert H. *Dictionary of Concepts in Cultural Anthropology.* New York: Greenwood Press, 1991.
2. Barnard, Alan, and Jonathan Spencer, eds. *Encyclopedia of Social and Cultural Anthropology.* London: Routledge, 2004.
2. Ember, Melvin, Carol R. Ember, and Ian A. Skoggard, eds. *Encyclopedia of World Cultures: Supplement.* New York: Gale Group/Thomson Learning, 2002.
2. Ingold, Tim, ed. *Companion Encyclopedia of Anthropology: Humanity, Culture, and Social Life.* New ed. London: Routledge, 2002.
2. Levinson, David, ed. *Encyclopedia of World Cultures.* 10 vols. Boston: G. K. Hall, 1996.
2. Levinson, David, and Melvin Ember, eds. *Encyclopedia of Cultural Anthropology.* 4 vols. New York: Henry Holt, 1996.
3. Bernard, H. Russell, ed. *Handbook of Methods in Cultural Anthropology.* Walnut Creek, CA: AltaMira Press, 2000.
3. ———. *Research Methods in Anthropology: Qualitative and Quantitative Approaches.* 4th ed. Lanham, MD: AltaMira Press, 2005.
3. *Current Topics in Anthropology: Theory, Methods, and Content.* 8 vols. Reading, MA: Addison-Wesley, 1971–.
3. Glenn, James R. *Guide to the National Anthropological Archives, Smithsonian Institution.* Rev. and enl. ed. Washington, DC: National Anthropological Archives, 1996.
3. Poggie, John J., Jr., Billie R. DeWalt, and William W. Dressler, eds. *Anthropological Research: Process and Application.* Albany: State University of New York Press, 1992. Also at http://www.netlibrary.com.
4. *Abstracts in Anthropology.* Amityville, NY: Baywood Publishing.
4. *Annual Review of Anthropology.* Palo Alto, CA: Annual Reviews. Also online from multiple sources.

## Business

1. Friedman, Jack P. *Dictionary of Business Terms.* 3rd ed. Hauppauge, NY: Barron's Educational Series, 2000. Also at http://www.netlibrary.com.
1. Link, Albert N. *Link's International Dictionary of Business Economics.* Chicago: Probus, 1993.
1. Nisberg, Jay N. *The Random House Dictionary of Business Terms.* New York: Random House, 1992.
1. Wiechmann, Jack G., and Laurence Urdang, eds. *NTC's Dictionary of Advertising.* 2nd ed. Lincolnwood, IL: National Textbook Co., 1993.
2. Folsom, W. Davis, and Rick Boulware. *Encyclopedia of American Business.* New York: Facts on File, 2004.
2. *The Lifestyle Market Analyst: A Reference Guide for Consumer Market Analysis.* Wilmette, IL: Standard Rate & Data Service.
2. McDonough, John, and Karen Egolf, eds. *The Advertising Age Encyclopedia of Advertising.* 3 vols. New York: Fitzroy Dearborn, 2003.
2. Vernon, Mark. *Business: The Key Concepts.* New York: Routledge, 2002. Also at http://www.netlibrary.com.
2. Warner, Malcolm, and John P. Kotter, eds. *International Encyclopedia of Business and Management.* 2nd ed. 8 vols. London: Thomson Learning, 2002.
3. Amor, Louise, ed. *The Online Manual: A Practical Guide to Business Databases.* 6th ed. Oxford: Learned Information, 1997.
3. Daniells, Lorna M. *Business Information Sources.* 3rd ed. Berkeley: University of California Press, 1993.
3. Kervin, John B. *Methods for Business Research.* New York: HarperCollins, 1992.
3. Moss, Rita W., and Diane Wheeler Strauss. *Strauss's Handbook of Business Information: A Guide for Librarians, Students, and Researchers.* 2nd ed. Westport, CT: Libraries Unlimited, 2004.
3. Sekaran, Uma. *Research Methods for Business: A Skill Building Approach.* 4th ed. New York: John Wiley & Sons, 2003.
3. Woy, James B., ed. *Encyclopedia of Business Information Sources.* 19th ed. Farmington Hills, MI: Gale Group, 2004.
4. *Business Periodicals Index.* New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.com.
5. Farrell, Thomas J., and Charlotte Donabedian. *Writing the Business Research Paper: A Complete Guide.* Durham, NC: Carolina Academic Press, 1991.
6. Vetter, William. *Business Law, Legal Research, and Writing: Handbook.* Needham Heights, MA: Ginn Press, 1991.

## Communication, Journalism, and Media Studies

1. Miller, Toby, ed. *Television: Critical Concepts in Media and Cultural Studies.* London: Routledge, 2003.
1. Newton, Harry. *Newton's Telecom Dictionary: Covering Telecommunications, Networking, Information Technology, the Internet, the Web, Computing, Wireless, and Fiber.* 21st ed. San Francisco, CA: CMP Books, 2005.
1. Watson, James, and Anne Hill. *A Dictionary of Communication and Media Studies.* 4th ed. London: Arnold, 1997.
1. Weik, Martin H. *Communications Standard Dictionary.* 3rd ed. New York: Chapman & Hall, 1996.

1. Weiner, Richard. *Webster's New World Dictionary of Media and Communications.* Rev. and updated ed. New York: Macmillan, 1996.
2. Barnouw, Erik, ed. *International Encyclopedia of Communications.* 4 vols. New York: Oxford University Press, 1989.
2. Johnston, Donald H., ed. *Encyclopedia of International Media and Communications.* 4 vols. San Diego, CA: Academic Press, 2003.
2. Jones, Steve, ed. *Encyclopedia of New Media: An Essential Reference to Communication and Technology.* Thousand Oaks, CA: Sage, 2003.
2. Paneth, Donald. *The Encyclopedia of American Journalism.* New York: Facts on File, 1983.
2. Stern, Jane, and Michael Stern. *Jane and Michael Stern's Encyclopedia of Pop Culture: An A to Z Guide of Who's Who and What's What, from Aerobics and Bubble Gum to Valley of the Dolls and Moon Unit Zappa.* New York: HarperPerennial, 1992.
3. Clark, Vivienne, James Baker, and Eileen Lewis Key. *Concepts and Skills for Media Studies.* London: Hodder & Stoughton, 2003.
3. Stokes, Jane. *How to Do Media and Cultural Studies.* London: Sage, 2003.
3. Storey, John. *Cultural Studies and the Study of Popular Culture: Theories and Methods.* 2nd ed. Athens: University of Georgia Press, 2003.
4. Block, Eleanor S., and James K. Bracken. *Communication and the Mass Media: A Guide to the Reference Literature.* Englewood, CO: Libraries Unlimited, 1991.
4. Blum, Eleanor, and Frances Goins Wilhoit. *Mass Media Bibliography: An Annotated Guide to Books and Journals for Research and Reference.* 3rd ed. Urbana: University of Illinois Press, 1990.
4. Cates, Jo A. *Journalism: A Guide to the Reference Literature.* 3rd ed. Westport, CT: Libraries Unlimited, 2004.
4. *CD Review.* Hancock, NH: WGE Pub., 1989–96.
4. *Communications Abstracts.* Los Angeles: Dept. of Journalism, University of California, Los Angeles.
4. *Film Review Annual.* Englewood, NJ: J. S. Ozer, 1981–.
4. Matlon, Ronald J., and Sylvia P. Ortiz, eds. *Index to Journals in Communication Studies through 1995.* Annadale, VA: National Communication Association, 1997.
4. *Media Review Digest.* Ann Arbor, MI: Pierian Press, 1974–.
4. *New York Theatre Critics' Reviews.* New York: Critics' Theatre Reviews, 1943–1995.
4. *New York Times Directory of the Film.* New York: Arno Press, 1971–.
4. *Records in Review.* Great Barrington, MA: Wyeth Press, 1957–1981.
4. Sterling, Christopher H., James K. Bracken, and Susan M. Hill, eds. *Mass Communications Research Resources: An Annotated Guide.* Mahwah, NJ: Erlbaum, 1998.
6. Goldstein, Norm, ed. *Stylebook and Briefing on Media Law.* 40th ed. New York: Associated Press, 2005.

### Economics

1. Pearce, David W., ed. *MIT Dictionary of Modern Economics.* 4th ed. Cambridge, MA: MIT Press, 1992.

2. Eatwell, John, Murray Milgate, Peter K. Newman, and Sir Robert Harry Inglis Palgrave, eds. *The New Palgrave: A Dictionary of Economics.* 4 vols. New York: Palgrave, 2004.
2. Greenwald, Douglas, ed. *The McGraw-Hill Encyclopedia of Economics.* 2nd ed. New York: McGraw-Hill, 1994.
2. Mokyr, Joel, ed. *The Oxford Encyclopedia of Economic History.* 5 vols. Oxford: Oxford University Press, 2003.
3. Fletcher, John, ed. *Information Sources in Economics.* 2nd ed. London: Butterworths, 1984.
3. Johnson, Glenn L. *Research Methodology for Economists: Philosophy and Practice.* New York: Macmillan, 1986.
4. *Journal of Economic Literature.* Nashville, TN: American Economic Association. Also at http://www.jstor.org.
5. McCloskey, Deirdre Donald N. *The Writing of Economics.* New York: Macmillan, 1987.
5. Thomson, William. *A Guide for the Young Economist.* Cambridge, MA: MIT Press, 2001.

### Education

1. Barrow, Robin, and Geoffrey Milburn. *A Critical Dictionary of Educational Concepts: An Appraisal of Selected Ideas and Issues in Educational Theory and Practice.* 2nd ed. New York: Teacher's College Press, 1990.
1. Collins, John Williams, and Nancy P. O'Brien, eds. *The Greenwood Dictionary of Education.* Westport, CT: Greenwood, 2003.
1. Gordon, Peter, and Dennis Lawton. *Dictionary of British Education.* 3rd ed. London: Woburn Press, 2003.
2. Alkin, Marvin C., ed. *Encyclopedia of Educational Research.* 6th ed. 4 vols. New York: Macmillan, 1992.
2. Guthrie, James W., ed. *Encyclopedia of Education.* 2nd ed. 8 vols. New York: Macmillan Reference USA, 2003. Also at http://www.netlibrary.com.
2. Husen, Torsten, and T. Neville Postlethwaite, eds. *The International Encyclopedia of Education.* 2nd ed. 12 vols. Oxford: Pergamon, 1994.
2. Levinson, David L., Peter W. Cookson, and Alan R. Sadovnik, eds. *Education and Sociology: An Encyclopedia.* New York: RoutledgeFalmer, 2002.
2. Unger, Harlow G. *Encyclopedia of American Education.* 2nd ed. 3 vols. New York: Facts on File, 2001.
3. Bausell, R. Barker. *Advanced Research Methodology: An Annotated Guide to Sources.* Metuchen, NJ: Scarecrow Press, 1991.
3. Keeves, John P., ed. *Educational Research, Methodology, and Measurement: An International Handbook.* 2nd ed. New York: Pergamon, 1997.
3. Tuckman, Bruce W. *Conducting Educational Research.* 5th ed. Fort Worth, TX: Harcourt Brace, 1999.
4. *Education Index.* New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.
4. *The ERIC Database.* Lanham, MD: Educational Resources Information Center. Also at http://www.eric.ed.gov/.
4. O'Brien, Nancy P. *Education: A Guide to Reference and Information Sources.* 2nd ed. Englewood, CO: Libraries Unlimited, 2000. Also at http://www.netlibrary.com.

5. Carver, Ronald P. *Writing a Publishable Research Report: In Education, Psychology, and Related Disciplines.* Springfield, IL: C. C. Thomas, 1984.

## Geography

1. Witherick, M. E., Simon Ross, and John Small. *A Modern Dictionary of Geography.* 4th ed. London: Arnold, 2001.
2. Dunbar, Gary S. *Modern Geography: An Encyclopedic Survey.* New York: Garland, 1991.
2. McCoy, John, ed. *Geo-Data: The World Geographic Encyclopedia.* 3rd ed. Detroit, MI: Thomson-Gale, 2003. Also at www.netlibrary.com.
2. Parker, Sybil P., ed. *World Geographical Encyclopedia.* 5 vols. New York: McGraw-Hill, 1995.
3. Walford, Nigel. *Geographical Data Analysis.* New York: John Wiley & Sons, 1995.
4. Conzen, Michael P., Thomas A. Rumney, and Graeme Wynn. *A Scholar's Guide to Geographical Writing on the American and Canadian Past.* Chicago: University of Chicago Press, 1993.
4. *Current Geographical Publications.* New York: American Geographical Society of New York.
4. *Geographical Abstracts.* Norwich, UK: Geo Abstracts.
4. Okuno, Takashi. *A World Bibliography of Geographical Bibliographies.* Japan: Institute of Geoscience, University of Tsukuba, 1992.
5. Durrenberger, Robert W., John K. Wright, and Elizabeth T. Platt. *Geographical Research and Writing.* New York: Crowell, 1985.
5. Northey, Margot, and David B. Knight. *Making Sense: A Student's Guide to Research and Writing: Geography & Environmental Sciences.* 2nd updated ed. Ontario: Oxford University Press, 2005.

## Law

1. Curzon, L. B. *Dictionary of Law.* 6th ed. Harlow, UK: Pearson Education Limited, 2002.
1. Garner, Bryan A., and Henry C. Black, eds. *Black's Law Dictionary.* 8th ed. St. Paul, MN: Thomson/West, 2004.
1. Martin, Elizabeth A., ed. *A Dictionary of Law.* 5th ed. Oxford: Oxford University Press, 2003. Also at http://www.oxfordreference.com.
2. Baker, Brian L., and Patrick J. Petit, eds. *Encyclopedia of Legal Information Sources.* 2nd ed. Detroit, MI: Gale Research, 1993.
2. *Corpus Juris Secundum.* St. Paul, MN: West Publishing Company.
2. Hall, Kermit, and David Scott Clark, eds. *The Oxford Companion to American Law.* New York: Oxford University Press, 2002. Also at http://www.oxfordreference.com.
2. Lehman, Jeffrey, and Shirelle Phelps. *West's Encyclopedia of American Law.* 2nd ed. 13 vols. Detroit, MI: Thomson/Gale, 2005. Also online from multiple sources.
3. Campbell, Enid Mona, Lee Poh-York, and Joycey G. Tooher. *Legal Research: Materials and Methods.* 4th ed. North Ryde, Australia: LBC Information Services, 1996.

3. Long, Judy A. *Legal Research Using the Internet.* Albany, NY: West Legal Studies/ Thomson Learning, 2000. Also at http://www.netlibrary.com.
4. *Current Index to Legal Periodicals.* Seattle: M. G. Gallagher Law Library and Washington Law Review. Also at http://lib.law.washington.edu/cilp/cilp.html.
4. *Current Law Index: Multiple Access to Legal Periodicals.* Farmington Hills, MI: Gale Group, 2001.
4. *Index to Legal Periodicals & Books.* New York: H. W. Wilson. Also at http:// hwwilsonweb.
5. Bast, Carol M., and Margie Hawkins. *Foundations of Legal Research and Writing.* 2nd ed. Albany, NY: West/Thomson Learning, 2002.
5. Garner, Bryan A. *The Elements of Legal Style.* 2nd ed. New York: Oxford University Press, 2002.
6. *The Bluebook: A Uniform System of Citation.* 18th ed. Cambridge, MA: Harvard Law Review Association, 2005.

## Political Science

1. Robertson, David. *A Dictionary of Modern Politics.* 4th ed. London: Europa, 2005.
2. *The Almanac of American Politics.* Washington, DC: National Journal. Also at http://nationaljournal.com/members/almanac.
2. Hawkesworth, Mary E., and Maurice Kogan, eds. *Encyclopedia of Government and Politics.* 2nd ed. 2 vols. London: Routledge, 2004.
2. Lal, Shiv, ed. *International Encyclopedia of Politics and Laws.* 17 vols. New Delhi: The Election Archives, 1987.
2. Miller, David, ed. *The Blackwell Encyclopaedia of Political Thought.* Oxford: Blackwell, 1998. Also at http://www.netlibrary.com.
3. Green, Stephen W., and Douglas J. Ernest, eds. *Information Sources in Political Science.* 5th ed. Santa Barbara, CA: ABC-Clio, 2005.
3. Johnson, Janet Buttolph, and H. T. Reynolds. *Political Science Research Methods.* 5th ed. Washington, DC: Congressional Quarterly Press, 2005.
4. *ABC PolSci.* Santa Barbara, CA: ABC-Clio.
4. *PAIS International Journals Indexed.* New York: Public Affairs Information Service.
4. *United States Political Science Documents.* Pittsburgh: University of Pittsburgh, University Center for International Studies, 1975–1991.
4. Wynkoop, Sally. *Subject Guide to Government Reference Books.* Littleton, CO: Libraries Unlimited, 1972.
5. Biddle, Arthur W., Kenneth M. Holland, and Toby Fulwiler. *Writer's Guide: Political Science.* Lexington, MA: D. C. Heath, 1987.
5. Lovell, David W., and Rhonda Moore. *Essay Writing and Style Guide for Politics and the Social Sciences.* Sydney: Australasian Political Studies Association, 1992.
5. Schmidt, Diane E. *Writing in Political Science: A Practical Guide.* 3rd ed. New York: Pearson Longman, 2005.
5. Scott, Gregory M., and Stephen M. Garrison. *The Political Science Student Writer's Manual.* 5th ed. Upper Saddle River, NJ: Pearson/Prentice Hall, 2004.
6. American Political Science Association. *Style® Manual for Political Science.* Rev. Washington, DC: American Political Science Association, 2001.

## Psychology

1. Colman, Andrew M. *Oxford Dictionary of Psychology.* Oxford: Oxford University Press, 2003. Also at http://www.oxfordreference.com.
1. Eysenck, Michael, ed. *The Blackwell Dictionary of Cognitive Psychology.* Oxford: Blackwell, 1997.
1. Hayes, Nicky, and Peter Stratton. *A Student's Dictionary of Psychology.* 4th ed. London: Arnold, 2003.
1. Wolman, Benjamin B., ed. *Dictionary of Behavioral Science.* 2nd ed. San Diego, CA: Academic, 1989.
2. Colman, Andrew M., ed. *Companion Encyclopedia of Psychology.* 2 vols. London: Routledge, 1997.
2. Craighead, W. Edward, Charles B. Nemeroff, and Raymond J. Corsini, eds. *The Corsini Encyclopedia of Psychology and Behavioral Science.* 3rd ed. 4 vols. New York: Wiley, 2002.
2. Kazdin, Alan E., ed. *Encyclopedia of Psychology.* 8 vols. Washington, DC: American Psychological Association; Oxford: Oxford University Press, 2000.
3. Breakwell, Glynis M., Sean Hammond, and Chris Fife-Schaw. *Research Methods in Psychology.* 2nd ed. London: Sage, 2004.
3. Elmes, David G., Barry H. Kantowitz, and Henry L. Roediger III. *Research Methods in Psychology.* 8th ed. Belmont, CA: Wadsworth, 2005.
3. Reed, Jeffrey G., and Pam M. Baxter. *Library Use: A Handbook for Psychology.* 3rd ed. Washington, DC: American Psychological Association, 2003.
3. Shaughnessy, John J., Eugene B. Zechmeister, and Jeanne S. Zechmeister. *Research Methods in Psychology.* 7th ed. Boston: McGraw-Hill, 2005.
3. Wilson, Christopher. *Research Methods in Psychology: An Introductory Laboratory Manual.* Dubuque, IA: Kendall-Hunt, 1990.
4. *Annual Review of Psychology.* Palo Alto, CA: Annual Reviews. Also at http://arjournals.annualreviews.org.
4. *Compact Cambridge MEDLINE.* Bethesda, MD: NLM by Cambridge Scientific Abstracts. Also at http://www.ncbi.nlm.nih.gov/entrez/query.fcgi/.
4. *NASPSPA Abstracts.* Champaign, IL: Human Kinetics Publishers.
4. *PsycINFO.* Washington, DC: American Psychological Association. Also online from multiple sources.
4. *The Web of Science Citation Databases.* Philadelphia: Institute for Scientific Information. Also at http://isiknowledge.com.
5. Solomon, Paul R. *A Student's Guide to Research Report Writing in Psychology.* Glenview, IL: Scott, Foresman, 1985.
5. Sternberg, R. J. *The Psychologist's Companion: A Guide to Scientific Writing for Students and Researchers.* 4th ed. Cambridge: Cambridge University Press, 2003.
6. *Publication Manual of the American Psychological Association.* 5th ed. Washington, DC: American Psychological Association, 2003.

## Religion

1. Bowker, John, ed. *The Concise Oxford Dictionary of World Religions.* Oxford: Oxford University Press, 2000. Also at http://www.oxfordreference.com.
1. Pye, Michael, ed. *Continuum Dictionary of Religion.* New York: Continuum, 1994.

2. Jones, Lindsay, ed. *Encyclopedia of Religion.* 15 vols. Detroit, MI: Macmillan Reference USA, 2005.
2. Routledge Encyclopedias of Religion and Society (series). New York: Routledge.
3. Kennedy, J. *Library Research Guide to Religion and Theology: Illustrated Search Strategy and Sources.* 2nd ed., rev. Ann Arbor, MI: Pierian, 1984.
4. Brown, David, and Richard Swinbourne. *A Selective Bibliography of the Philosophy of Religion.* Rev. ed. Oxford: Sub-Faculty of Philosophy, 1995.
4. Chinvamu, Salms. *An Annotated Bibliography on Religion.* Malawi: Malawi Library Association, 1993.
4. *Guide to Social Science and Religion in Periodical Literature.* Flint, MI: National Library of Religious Periodicals, 1970–1988.
4. *Index to Book Reviews in Religion.* Chicago: American Theological Library Association. Also at http://www.ovid.
4. *Islamic Book Review Index.* Berlin: Adiyok, 1982–.
4. O'Brien, Betty A., and Elmer J. O'Brien, eds. *Religion Index Two: Festschriften, 1960–1969.* Chicago: American Theological Library Association, 1980. Also at http://www.ovid.com.
4. *Religion Index One: Periodicals.* Chicago: American Theological Library Association, 1977–.
4. *Religion Index Two: Multi-author Works.* Chicago: American Theological Library Association. Also at http://www.ovid.

## Sociology

1. Abercrombie, Nicholas, Stephen Hill, and Bryan S. Turner. *The Penguin Dictionary of Sociology.* 4th ed. London: Penguin, 2000.
1. Johnson, Allan G. *The Blackwell Dictionary of Sociology: A User's Guide to Sociological Language.* 2nd ed. Oxford: Blackwell, 2002.
1. Scott, John, and Marshall Gordon, eds. *A Dictionary of Sociology.* 3rd ed. New York: Oxford University Press, 2005.
2. Beckert, Jens, and Milan Zafirovksi, eds. *Encyclopedia of Economic Sociology.* London: Routledge, 2005.
2. Borgatta, Edgar F., ed. *Encyclopedia of Sociology.* 2nd ed. 5 vols. New York: Macmillan Reference USA, 2000.
2. Levinson, David L., Peter W. Cookson, and Alan R. Sadovnik, eds. *Education and Sociology: An Encyclopedia.* New York: RoutledgeFalmer, 2002.
2. Ritzer, George, ed. *Encyclopedia of Social Theory.* 2 vols. Thousand Oaks, CA: Sage, 2005.
2. Smelser, N., ed. *Handbook of Sociology.* Newbury Park, CA: Sage, 1988.
3. Aby, Stephen H., James Nalen, and Lori Fielding, eds. *Sociology: A Guide to Reference and Information Sources.* 3rd ed. Westport, CT: Libraries Unlimited, 2005.
3. Lieberson, Stanley. *Making It Count: The Improvement of Social Research and Theory.* Berkeley: University of California Press, 1987.
4. *Annual Review of Sociology.* Palo Alto, CA: Annual Reviews. Also at http://www.jstor.org and at http://arjournals.annualreviews.org/loi/soc/.
4. *Applied Social Sciences Index and Abstracts (ASSIA).* Bethesda, MD: Cambridge Scientific Abstracts. Also at http://www.csa.
4. *Social Science Research.* San Diego, CA: Academic Press. Also at http://www.sciencedirect.com.

4. *Sociological Abstracts.* Bethesda, MD: Sociological Abstracts. Also at http://www.csa.
5. Sociology Writing Group. *A Guide to Writing Sociology Papers.* 5th ed. New York: Worth, 2001.
5. Tomovic, Vladislav A., ed. *Definitions in Sociology: Convergence, Conflict, and Alternative Vocabularies: A Manual for Writers of Term Papers, Research Reports, and Theses.* St. Catharines, ON: Diliton Publications, 1979.

### Women's Studies

1. Bataille, Gretchen M., and Laurie Lisa, eds. *Native American Women: A Biographical Dictionary.* 2nd ed. New York: Routledge, 2001.
1. Mills, Jane. *Womanwords: A Dictionary of Words about Women.* New York: H. Holt, 1993.
1. Salem, Dorothy C., ed. *African American Women: A Biographical Dictionary.* New York: Garland, 1993.
1. Uglow, Jennifer S., Frances Hinton, and Maggy Hendry, eds. *The Northeastern Dictionary of Women's Biography.* 3rd ed. Boston: Northeastern University Press, 1999.
2. Hine, Darlene Clark, Elsa Barkley Brown, and Rosalyn Terborg-Penn, eds. *Black Women in America: An Historical Encyclopedia.* 2 vols. Bloomington: Indiana University Press, 1994.
2. Kramarae, Cheris, and Dale Spender, eds. *Routledge International Encyclopedia of Women: Global Women's Issues and Knowledge.* 4 vols. New York: Routledge, 2000.
2. Tierney, Helen, ed. *Women's Studies Encyclopedia.* Rev. and expanded ed. 3 vols. Westport, CT: Greenwood Press, 1999. Also at http://www.gem.greenwood.com/.
2. Willard, Frances E., and Mary A. Livermore, eds. *American Women: Fifteen Hundred Biographies with Over 1,400 Portraits.* 2 vols. Rev. ed. Detroit, MI: Gale Research, 1973.
3. Atkinson, Steven D., and Judith Hudson. *Women Online: Research in Women's Studies Using Online Databases.* New York: Haworth, 1990.
3. Carter, Sarah, and Maureen Ritchie. *Women's Studies: A Guide to Information Sources.* London: Mansell, 1990.
3. Searing, Susan E. *Introduction to Library Research in Women's Studies.* Boulder, CO: Westview Press, 1985.
4. *Studies on Women and Gender Abstracts.* Oxfordshire, UK: Carfax. Also at http://www.tandf.co.uk/swa/.
4. *Women Studies Abstracts.* Rush, NY: Rush Publishing Company.
4. *Women's Review of Books.* Wellesley, MA: Wellesley College Center for Research on Women, 1983–2004.
4. *Women's Studies International.* Baltimore, MD: National Information Services Corp. Also at http://www.nisc.com.

## Natural Sciences

### General

1. *McGraw-Hill Dictionary of Scientific and Technical Terms.* 6th ed. New York: McGraw-Hill, 2003. Also at http://www.accessscience.com.
1. Morris, Christopher, ed. *Academic Press Dictionary of Science and Technology.* San Diego, CA: Academic, 1992.
1. Porter, Ray, and Marilyn Bailey Ogilvie, eds. *The Biographical Dictionary of Scientists.* 3rd ed. 2 vols. New York: Oxford University Press, 2000.
1. *Science Navigator.* New York: McGraw-Hill, 1998. CD-ROM, version 4.0.
1. Walker, Peter M. B., ed. *Chambers Dictionary of Science and Technology.* London: Chambers, 2000.
2. Heilbron, J. L., ed. *The Oxford Companion to the History of Modern Science.* Oxford: Oxford University Press, 2003. Also at http://www.oxfordreference.com.
2. *McGraw-Hill Encyclopedia of Science and Technology.* 9th ed. New York: McGraw-Hill, 2002. Also at http://www.accessscience.com.
2. *Nature Encyclopedia: An A-Z Guide to Life on Earth.* New York: Oxford University Press, 2001.
2. *Van Nostrand's Scientific Encyclopedia.* 9th ed. New York: Wiley-Interscience, 2002.
3. *Directory of Technical and Scientific Directories: A World Bibliographic Guide to Medical, Agricultural, Industrial, and Natural Science Directories.* 6th ed. Phoenix, AZ: Oryx Press, 1989.
3. Hurt, Charlie Deuel. *Information Sources in Science and Technology.* 3rd ed. Englewood, CO: Libraries Unlimited, 1998. Also at http://www.netlibrary.com.
3. Nielsen, Harry A. *Methods of Natural Science: An Introduction.* Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1967.
4. *Applied Science & Technology Index.* New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.
4. *British Technology Index.* London: Library Association, 1962–1980.
4. *Compumath Citation Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1981–.
4. Fanning, C. E., Margaret Jackdon, Mary Katharine Reely, and Mertice May James. *Book Review Digest: Annual Cumulation.* New York: The H. W. Wilson Co., 1905–.
4. *General Science Index.* New York: H. W. Wilson, 1978–. Also at http://hwwilsonweb.com.
4. *Genetics Citation Index: Experimental Citation Indexes to Genetics with Special Emphasis on Human Genetics.* Comp. Eugene Garfield and Irving H. Sher. Philadelphia: Institute for Scientific Information, 1963.
4. *Index to Scientific Reviews: An International Interdisciplinary Index to the Review Literature of Science, Medicine, Agriculture, Technology, and the Behavioral Sciences.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1974.
4. *ISI Web of Science: Science Citation Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information. Also at http://www.isiknowledge.
4. *Science and Technology Annual Reference Review.* Phoenix, AZ: Oryx Press, ca. 1989–.
4. *Science Citation Index.* Philadelphia: Institute for Scientific Information, 1961–.

4. *Technical Book Review Index.* New York: Special Libraries Association, 1935–. Available on microfilm and microfiche from University Microfilms.
5. Booth, Vernon. *Communicating in Science: Writing a Scientific Paper and Speaking at Scientific Meetings.* 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press, 1993.
5. Gilpin, Andrea A., and Patricia Patchet-Golubev. *A Guide to Writing in the Sciences.* Toronto: University of Toronto Press, 2000.
5. Valiela, Ivan. *Doing Science: Design, Analysis, and Communication of Scientific Research.* Oxford: Oxford University Press, 2001.
5. Wilson, Anthony, et al. *Handbook of Science Communication.* Bristol: Institute of Physics Pub., 1998. Also at http://www.netlibrary.com.
6. Rubens, Phillip, ed. *Science and Technical Writing: A Manual of Style.* 2nd ed. New York: Routledge, 2001. Also at http://www.netlibrary.com.

### Biology

1. *A Dictionary of Biology.* 5th ed. Oxford: Oxford University Press, 2004. Also at http://www.oxfordreference.com.
1. Allaby, Michael, ed. *The Oxford Dictionary of Natural History.* Oxford: Oxford University Press, 1985.
1. Lawrence, Eleanor, ed. *Henderson's Dictionary of Biology.* 13th ed. Harlow, UK: Prentice Hall, 2005.
1. Singleton, Paul, and Diana Sainsbury. *Dictionary of Microbiology and Molecular Biology.* 3rd ed. New York: Wiley, 2001.
1. Smith, Anthony D., ed. *Oxford Dictionary of Biochemistry and Molecular Biology.* Rev. ed. Oxford: Oxford University Press, 2003.
2. *Biology Encyclopedia.* New York: HarperCollins, 1991. Videodisc.
2. Creighton, Thomas E., ed. *Encyclopedia of Molecular Biology.* 4 vols. New York: John Wiley & Sons, 1999.
2. Dulbecco, Renato, ed. *Encyclopedia of Human Biology.* 2nd ed. 9 vols. San Diego, CA: Academic Press, 1997.
2. Eldredge, Niles, ed. *Life on Earth: An Encyclopedia of Biodiversity, Ecology, and Evolution.* 2 vols. Santa Barbara, CA: ABC-Clio, 2002.
2. Hall, Brian Keith, and Wendy M. Olson, eds. *Keywords and Concepts in Evolutionary Developmental Biology.* Cambridge, MA: Harvard University Press, 2003.
2. Pagel, Mark D., ed. *Encyclopedia of Evolution.* 2 vols. Oxford: Oxford University Press, 2002.
3. Boorkman, Jo Anne, Jeffrey T. Huber, and Fred W. Roper. *Introduction to Reference Sources in the Health Sciences.* 4th ed. New York: Neal-Schuman, 2004.
3. Wyatt, H. V., ed. *Information Sources in the Life Sciences.* 4th ed. London: Bowker-Saur, 1997.
4. *Biological Abstracts.* Philadelphia: BioSciences Information Service of Biological Abstracts. Also at http://www.ovid.
4. *Biological and Agricultural Index.* New York: H. W. Wilson. Also at http://hwwilsonweb.com.
4. *Environment Sciences & Pollution Management.* Bethesda, MD: Cambridge Scientific Abstracts. Also at http://www.csa.com.
4. *Genetics Citation Index; Experimental Citation Indexes to Genetics with Special Emphasis on Human Genetics.* Comp. Eugene Garfield and Irving H. Sher. Philadelphia: Institute for Scientific Information, 1963.

5. McMillan, Victoria E. *Writing Papers in the Biological Sciences.* 3rd ed. Boston: Bedford/St. Martin's, 2001.
6. *CBE Style Manual: A Guide for Authors, Editors, and Publishers in the Biological Sciences.* 5th ed. Bethesda: Council of Biology Editors, 1983.

### Chemistry

1. Hawley, Gessner Goodrich, and Richard J. Lewis Sr. *Hawley's Condensed Chemical Dictionary.* 14th ed. New York: Wiley, 2002.
2. Kroschwitz, Jacqueline, and Arza Seidel, eds. *Kirk-Othmer Encyclopedia of Chemical Technology.* 5th ed. Hoboken, NJ: Wiley-Interscience, 2004.
2. Lide, David R. *CRC Handbook of Chemistry and Physics.* 86th ed. Boca Raton, FL: CRC Press, 2005.
2. Meyers, Robert A., ed. *Encyclopedia of Physical Science and Technology.* 3rd ed. 18 vols. San Diego, CA: Academic, 2002. Also at http://www.sciencedirect.com.
3. *CRC Handbook of Chemistry and Physics.* Cleveland, OH: CRC.
3. Leslie, Davies. *Efficiency in Research, Development, and Production: The Statistical Design and Analysis of Chemical Experiments.* Cambridge: Royal Society of Chemistry, 1993.
3. Wiggins, Gary. *Chemical Information Sources.* New York: McGraw-Hill, 1991.
4. *ACS Publications.* Columbus, OH: American Chemical Society. Also at http://pubs.acs.org.
4. *Chemical Abstracts.* Columbus, OH: American Chemical Society. Also at http://www.cas.org.
4. *Composite Index for CRC Handbooks.* 3rd ed. 3 vols. Boca Raton, FL: CRC Press, 1991.
4. *CrossFire Beilstein.* San Leandro, CA: MDL Information Systems. Also at http://www.beilstein.com/products/xfire/.
4. *ScienceDirect.* New York: Elsevier Science. Also at http://www.sciencedirect.com/.
5. Beall, Herbert, and John Trimbur. *A Short Guide to Writing about Chemistry.* 2nd ed. New York: Longman, 2001.
5. Ebel, Hans Friedrich, Claus Bliefert, and William E. Russey. *The Art of Scientific Writing: From Student Reports to Professional Publications in Chemistry and Related Fields.* 2nd ed. Weinheim, Germany: Wiley-VCH, 2004.
5. Schoenfeld, Robert. *The Chemist's English, with "Say It in English, Please!"* 3rd rev. ed. New York: Wiley-VCH, 2001.
6. Dodd, Janet S., ed. *The ACS Style Guide: A Manual for Authors and Editors.* 2nd ed. Washington, DC: American Chemical Society, 1997.

### Computer Sciences

1. Gattiker, Urs E. *The Information Security Dictionary: Defining the Terms That Define Security for E-Business, Internet, Information, and Wireless Technology.* Boston: Kluwer Academic, 2004.
1. LaPlante, Phillip A. *Dictionary of Computer Science, Engineering, and Technology.* Boca Raton, FL: CRC Press, 2001.
1. Pfaffenberger, Bryan. *Webster's New World Computer Dictionary.* 10th ed. Indianapolis, IN: Wiley, 2003.

1. *Random House Concise Dictionary of Science and Computers.* New York: Random House Reference, 2004.
1. South, David W. *The Computer and Information Science and Technology Abbreviations and Acronyms Dictionary.* Boca Raton, FL: CRC Press, 1994.
2. Henderson, Harry. *Encyclopedia of Computer Science and Technology.* New York: Facts on File, 2003.
2. Marins, Brigham, ed. *World of Computer Science.* 2 vols. Detroit, MI: Gale Group/Thomson Learning, 2002.
2. Reilly, Edwin D., Anthony Ralston, and David Hemmendinger, eds. *Encyclopedia of Computer Science.* 4th ed. Chichester, UK: Wiley, 2003.
3. Ardis, Susan B., and Jean A. Poland. *A Guide to the Literature of Electrical and Electronics Engineering.* Littleton, CO: Libraries Unlimited, 1987.
4. *Directory of Library Automation Software, Systems, and Services.* Medford, NJ: Learned Information.
5. Eckstein, C. J. *Style Manual for Use in Computer-Based Instruction.* Brooks Air Force Base, TX: Air Force Human Resources Laboratory, Air Force Systems Command, 1990.

## Geology and Earth Sciences

1. Clark, John O. E., and Stella Stiegeler, eds. *The Facts on File Dictionary of Earth Science.* New York: Facts on File, 2000.
1. Jackson, Julia A., and Robert Latimer Bates, eds. *Glossary of Geology.* 4th ed. Alexandria, VA: American Geological Institute, 1997.
1. *McGraw-Hill Dictionary of Geology and Mineralogy.* 2nd ed. New York: McGraw Hill, 2003.
2. Bishop, Arthur C., Alan R. Woolley, and William R. Hamilton. *Cambridge Guide to Minerals, Rocks, and Fossils.* Rev. ed. Cambridge: Cambridge University Press, 2001.
2. Bowes, Donald R., ed. *The Encyclopedia of Igneous and Metamorphic Petrology.* New York: Van Nostrand Reinhold, 1989.
2. Dasch, E. Julius, ed. *Macmillan Encyclopedia of Earth Sciences.* 2 vols. New York: Macmillan Reference USA, 1996.
2. Good, Gregory A., ed. *Sciences of the Earth: An Encyclopedia of Events, People, and Phenomena.* 2 vols. New York: Garland, 1998.
2. Hancock, Paul L., and Brian J. Skinner, eds. *The Oxford Companion to the Earth.* Oxford: Oxford University Press, 2000. Also at http://www.oxfordreference.com.
2. Nierenberg, William A., ed. *Encyclopedia of Earth System Science.* 4 vols. San Diego, CA: Academic, 1992.
2. Selley, Richard C., L. R. M. Cocks, and I. R. Plimer, eds. *Encyclopedia of Geology.* 5 vols. Amsterdam: Elsevier Academic, 2005.
2. Seyfert, Carl K., ed. *The Encyclopedia of Structural Geology and Plate Tectonics.* New York: Van Nostrand Reinhold, 1987.
2. Singer, Ronald, ed. *Encyclopedia of Paleontology.* 2 vols. Chicago: Fitzroy Dearborn, 1999.

2. Steele, John H., S. A. Thorpe, and Karl K. Turekian, eds. *Encyclopedia of Ocean Sciences.* 6 vols. San Diego, CA: Academic Press, 2001. Also at http://www.sciencedirect.com/science/referenceworks/.
4. *Bibliography and Index of Geology.* Alexandria, VA: American Geological Institute. Also at http://georef.cos.com/.
4. *Geobase.* New York: Elsevier Science. Also online from multiple sources.
4. Wood, David N., Joan E. Hardy, and Anthony P. Harvey. *Information Sources in the Earth Sciences.* 2nd ed. London: Bowker-Saur, 1989.
5. Bates, Robert L., Marla D. Adkins-Heljeson, and Rex C. Buchanan, eds. *Geowriting: A Guide to Writing, Editing, and Printing in Earth Science.* Rev. 5th ed. Alexandria, VA: American Geological Institute, 2004.
5. Dunn, J., et al. *Organization and Content of a Typical Geologic Report.* Rev. ed. Arvada, CO: American Institute of Professional Geologists, 1993.

### Mathematics

1. Borowski, E. J., and J. M. Borwein, eds. *Collins Dictionary: Mathematics.* 2nd ed. Glasgow: HarperCollins, 2002.
1. James, Robert Clarke, and Glenn James. *Mathematics Dictionary.* 5th ed. New York: Van Nostrand Reinhold, 1992.
1. Schwartzman, Steven. *The Words of Mathematics: An Etymological Dictionary of Mathematical Terms Used in English.* Washington, DC: Mathematical Association of America, 1994.
2. Darling, David J. *The Universal Book of Mathematics: From Abracadabra to Zeno's Paradoxes.* Hoboken, NJ: Wiley, 2004.
2. Ito, Kiyosi, ed. *Encyclopedic Dictionary of Mathematics.* 2nd ed. 2 vols. Cambridge: MIT Press, 1993.
2. Weisstein, Eric W. *CRC Concise Encyclopedia of Mathematics.* 2nd ed. Boca Raton, FL: Chapman & Hall/CRC, 2003.
3. Pemberton, John E. *How to Find Out in Mathematics: A Guide to Sources of Information.* 2nd rev. ed. Oxford: Pergamon, 1969.
4. *East European Scientific Abstracts.* Arlington, VA: Joint Publications Research Service.
4. *Mathematical Reviews: 50th Anniversary Celebration.* Providence, RI: American Mathematical Society, 1990.
4. *MathSci.* Providence, RI: American Mathematical Society. Also at http://www.ams.org/mathscinet/.
5. *A Manual for Authors of Mathematical Papers.* Rev. ed. Providence, RI: American Mathematical Society, 1990.
5. Miller, Jane E. *The Chicago Guide to Writing about Multivariate Analysis.* Chicago: University of Chicago Press, 2005.

### Physics

1. Basu, Dipak, ed. *Dictionary of Pure and Applied Physics.* Boca Raton, FL: CRC Press, 2001.
1. Isaacs, Alan, ed. *A Dictionary of Physics.* 4th ed. Oxford: Oxford University Press, 2000.
1. Sube, Ralf. *Dictionary: Physics Basic Terms; English-German.* Berlin: A. Hatier, 1994.

1. Thewlis, James. *Concise Dictionary of Physics and Related Subjects.* 2nd ed. rev. and enl. Oxford: Pergamon, 1979.
2. Lerner, Rita G., and George L. Trigg, eds. *Encyclopedia of Physics.* 3rd ed. Weinheim, Germany: Wiley-VCH, 2005.
2. *McGraw-Hill Concise Encyclopedia of Physics.* New York: McGraw-Hill, 2005.
2. Meyers, Robert A., ed. *Encyclopedia of Modern Physics.* San Diego, CA: Academic Press, 1990.
2. Trigg, George L., ed. *Encyclopedia of Applied Physics.* Weinheim, Germany: Wiley-VCH, 2004.
2. Woan, Graham. *The Cambridge Handbook of Physics Formulas.* 2003 ed. Cambridge: Cambridge University Press, 2003.
3. Shaw, Dennis F. *Information Sources in Physics.* 3rd ed. London: Bowker-Saur, 1994.
4. *American Institute of Physics Journals.* College Park, MD: AIP. Also at http://www.aip.org/ojs/service.html.
4. *Astronomy and Astrophysics Abstracts.* Berlin: Springer-Verlag.
4. *Current Physics Index.* New York: American Institute of Physics. Also at http://ojps.aip.org/spinweb/.
4. *IEEE Xplore.* New York: Institute of Electrical and Electronics Engineers. Also at http://www.ieee.org/ieeexplore/.
4. *Inspec.* Stevenage, UK: Institution of Electrical Engineers. Also at http://www.iee.org/Publish/INSPEC/.
4. *Institute of Physics Electronic Journals.* London: IOP. Also at http://www.iop.org/EJ/.
4. *Physics Abstracts.* London: Institution of Electrical Engineers.
5. Katz, Michael J. *Elements of the Scientific Paper.* New Haven: Yale University Press, 1985.
6. American Institute of Physics. *AIP Style Manual.* 4th ed. New York: American Institute of Physics, 1990. Also at http://www.aip.org/pubservs/style/4thed/toc.html.

REFERENCE

## The standard for generations of students and their teachers, revised for a new age

Kate L. Turabian literally wrote the book on the successful completion and submission of the student paper. *A Manual for Writers of Research Papers, Theses, and Dissertations*, created from her years of experience with research projects across all disciplines, has sold more than eight million copies since it was first published in 1937.

Now, with this seventh edition, Turabian's *Manual* has undergone its most extensive revision, ensuring that it will remain the most valuable handbook for writers at every level—from first-year undergraduates to dissertation writers submitting final manuscripts. Wayne C. Booth, Gregory G. Colomb, and Joseph M. Williams—the gifted team behind *The Craft of Research*—have combined their expertise with that of the University of Chicago Press editorial staff to remake this classic resource. They preserve Turabian's clear and practical advice while fully embracing the new modes of research, writing, and source citation brought about by the Internet.

### More than 8 million copies sold

- New section by the authors of the bestselling *Craft of Research* that clearly explains every aspect of the research and writing process
- Thorough coverage of scholarly citation: standard practices, an expanded array of source types, and hundreds of examples
- Comprehensive guidelines for proper paper format, as recommended by dissertation offices nationwide
- Authoritative advice on all matters of style, updated to reflect *The Chicago Manual of Style*, fifteenth edition

Chicago Guides to Writing, Editing, and Publishing

CHICAGO GUIDES TO WRITING, EDITING, AND PUBLISHING

THE UNIVERSITY OF CHICAGO PRESS
WWW.PRESS.UCHICAGO.EDU

ISBN-13: 978-0-226-82337-9
ISBN-10: 0-226-82337-7
$17.00

COVER DESIGN BY MICHAEL BREHM